

504

1951 v29



25-67

my

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი
Институт Истории им. И. А. Джавахишвили

504
1951

504

მასალები

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

по истории Грузии и Кавказа

20

1951

ნაკვეთი 29 ВЫПУСК



ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი
Институт Истории им. И. А. Джавахишвили

მასალები

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

по истории Грузии и Кавказа

5005

1951

ნაკვეთი 29 ВЫПУСК



შენაარსი—СОДЕРЖАНИЕ

ა. კიკვიძე. XIX საუკ. ქართული ისტორიული აზროვნება	1
ლ. ბარამია. 1832 წლის შეთქმულების შესახებ საქართველოში	21
ო. სოსელია. გიორგი ერისთავის ყმათა ქონება და ვალდებულება	37
✓ დ. გვრიტიშვილი. გვიანფეოდალური ქართლის სოციალური ურთიერთობიდან	41
აპოლონ როგავა. ვრცელე მეორის დაბადების თარიღი	51
ო. სოსელია. ტაშის-კარის ბაჟის ნუსხა	57
მ. ლორთქიფანიძე. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“	61
✓ ბ. ლომინაძე. მასალები საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის	67
ვ. ფუთურიძე. შირზა აუსუფ ყარაბაღელი და მისი ისტორია „თარიხე საფი“	75
ელ. დოჩანაშვილი. ადიშის ოთხთავის კომპოზიტები	87
მ. კახაძე. ფილოლოგიური შენიშვნები	103
მ. კახაძე. შენიშვნები ძველი ქართული ენის ლექსიკიდან	127
ი. გძელიშვილი. არქეოლოგიური გათხრა ს. ლუნია-ყალაში	131
ნ. თქროპირიძე. ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან	141
ბ. გიორგაძე. დიონიჯო კარლის ცნობები თბილისის შესახებ (მე-17 ს.)	155
Г. Г. Леммлейн. Каменные бусы Самтаврского некрополя	183
✓ ვ. ლემლეინი. სამთავროს სამაროვანის ქვის შიხები (რეზუმე)	210
Е. И. Круинов. Отзыв о работе проф. Г. Г. Леммлейна „Каменные бусы Самтаврского некрополя“	233
ბ. კილაძე. ახალი ქვისხანის ძეგლები თეთრამიწიდან	237
Н. З. Киладзе. Памятник нового каменного века из Тетрапица (резюме)	263
И. Эниколопов. Царевич Давид о Рейнгерсе	289
ბ. ბერძენიშვილი. იასე ცინცაძე—ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან	295

აბელ ქიქვიძე

XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება

(ღიშ. ბაშრაძე, ილ. ზავაძე)

XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ზოგ წარმომადგენელს საქართველოს ისტორიად „ქართლის ცხოვრება“ მიაჩნდა. მოსე ჯანაშვილი თავის „საქართველოს ისტორიას“, რომელიც პირველად 1884 წელს გამოიცა, „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულ რედაქციად სცნობდა. რეცენზენტი— ცნობილი დავით ერისთავი, „კავკაზის“ რედაქტორი, რომელიც მ. ჯანაშვილს თავისი წიგნის სწორ შემთასებლად მიაჩნდა, წერდა: „ჯანაშვილის შრომა, როგორც თვით ავტორი ამბობს, მეცნიერული გამოკვლევა არ არის, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდა პრაქტიკულის მხრით; საქართველოს ვრცელი მატრიანე, დაბეჭდილი ორ დიდ ტომად, ძვირი და ხელმიუწვდომელი უმრავლესობისათვის, ავტორს მოკლედ გამოუთქვამს თავისს სახელმძღვანელო წიგნში და ეს არის მისი უმთავრესი დამსახურება“ („კავკაზი“ 1884 წ., № 125, მ. ჯანაშვილის საქართველოს ისტორია, ტ. I, 1906 წ. იხ. წინასიტყვაობა).

ისტორიკოს-მკვლევართა ყურადღება, თეიმურაზ ბატონიშვილიდან დაწყებული, მიმართული იყო „ქართლის ცხოვრების“ შევსება-შესწორებისაკენ და, იშვიათი გამოწაკლისის გარდა, ფიქრადარ მოსვლიათ თვით „ქართლის ცხოვრების“ სისტემის შეცვლა.

„ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიად ცნობილია ჯერ კიდევ XIII-ს 60-იან წლების დასაწყისში. 1263 წლ. ახლო ხანების საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებაში, იქ სადაც ეკლესიის მესვეურნი უღუდავითს მიმართავენ, ვკითხულობთ: „სამოცდა-ათხუთმეტთა თქუენთა გარდასულთა მეუბათა შიგა უფროდსი და უმრავლესი ქამი ამისაგან უძნელესი და უბოროტესი ყოფილა ვითა ქართლისა ცხოვრებად ვამაჩნენს“ (ივ. ჯავახიშვილი, — სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეში, გვ. 41—45, სადაც მთლიანად არის მოცემული ძეგლი).

ქართლის ცხოვრების ცნობების შევსებისა და შემოწმების ცდა XIX საუკუნეში პირველად თეიმურაზ ბატონიშვილს ეკუთვნის, თუმცა ამ მხრივ იგი ვახუშტის გზას აგრძელებს. მის დამსახურებად ჩაითვლება უცხო-

* წაკითხული იყო მოხსენებად სტალინის სახელობის თბ. საზ. უნივერსიტეტის დიპლომში 1947 წ. 25/XII-ს.



ური წყაროების გამოყენება, კერძოდ ბერძნულისა. იგი იცნობს ჰეროდოტეს, სტრაბონს და კიდევაც იყენებს მათ ცნობებს.

თეიმურაზ ბატონიშვილი მეცნიერული ისტორიისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფოლკლორულ მასალას და საერთოდ მითოლოგიას. მის შრომაში („ისტორია ივერიისა“, კოლხეთის ანუ, როგორც ის უწოდებს, ქვემო ივერიის ეკონომიური ძლიერებისა და პოლიტიკური ბრწყინვალეების დასამოწმებლად თეიმურაზს მოჰყავს თქმულება არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის შესახებ (ისტორია ივერიისა, გვ. 85—100), დიდ ადგილს უთმობს აგრეთვე ის ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით წმინდა ნინოს შესახებ ზღაპრულ ამბებს. ისტორიკოსი დარწმუნებულია, რომ მითოლოგია შეიცავს რეალურ ისტორიულ ცხოვრების ანარეკლს, რომელიც რამდენადმე შუქს მოჰფენს მაინც კვლევის სფეროს. იგი წერს: „ხოლო მოთხრობანი იგი, რომელზედა იქვენულობა იქნების, გინა იგინი, რომელნიცა თუ სადამე ზღაპარ-სიტყვაობადცა აღსაარებულ-იყოს, ეგრეთცა სათანადო არს წარმოდგინებად ასპარეზსა ზედა მოთხრობათასა; მით რამეთუ მეტთა და განუწირველებელთა მოთხრობათა შემოღება არა სრულიად უნაყოფო არიან; არამედ სჭირთ მათ ესე ხშირად, რომელ შეუძლებელ არს მათ შორის არა იპოვებოდეს მცირედნი ანუ ზოგნი ნაწილნი სიმართლისანი ადგილთათვის მცხოვრებთა, თემთა, გვარეულობათა, გინა სხვათა სახელისდებათათვის საისტორიოთადა ერისა. ეგრეთვე რომელნიმე ზეპირსიტყვაობანი არიან ალილორიანი და ესე ვითართა მოთხრობათაგან შესაძლო არს, რომელისამე უამთა ვითარებათა გარდასულთა შინა შემთხვეულებათა საქმისათა მოპოვება“ (ისტორია ივერიისა, 1).

მაგრამ არა ყოველი ზეპირგადმოცემა შეიძლება შეწყნარებული ანუ მიღებული იყოს ისტორიკოსის აზრით, არამედ ისეთნი, „რომელნიცა რომელთაგანმე მომთხრობელთა შეწყნარებულცა არიან“ (იქვე, გვ. 2). და ყოველივე ეს საჭიროა სინამდვილის ვრცელი სურათის წარმოსადგენად ანუ, როგორც ავტორი ამბობს, „აღწერათ ნივთთა გამრავლებისათვის ამბავთა შინა“, როცა ძირითადი წყარო ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

„ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული გამოცემის ამოცანებმა გამოიწვიეს და განსაზღვრეს ჩვენში ეპიგრაფიკული კვლევა-ძიება XIX საუკუნეში. ამ მუშაობის საფუძვლის დამდებად შეიძლება ჩაითვალოს თეიმურაზ ბატონიშვილის მოწაფე აკად. მარტი ბროსე, რომელმაც 1847—1848 წლებში ჩაატარა მოგზაურობა საქართველოში იმისათვის, რომ აღერიცხა ისტორიული ძეგლები და ამ ძეგლებით შეემოწმებია „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობა.

ბროსე დარწმუნებული, რომ ეპიგრაფიკული ძეგლები, სამოქალაქო სამართლის საბუთებივით, ისტორიული სინამდვილის უტყუარი მეტყველნი არიან, დიდი ენთუზიაზმით შეუდგა არქეოლოგიურ ძიებას საქართველოს კუთხეებში. ამ მუშაობის მნიშვნელობის შესახებ 1873 წელს დიმიტრი ბაქრაძე წერდა: „ჩვენ შევნიშნეთ, რომ წარწერები ეკლესია-მონასტრების კედლებზე და ხატებზე, მინაწერები ხელთნაწერებზე, საეკლესიო და საერო სიგლები ავსებენ და შუქს ჰფენენ ქართულ-მატიანეებში მოთხრობილ ფაქტებს. და მართლაც,

საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის გარეშე აკადემიკოს ბროსეს არ შეიძლო ხელი მოეკიდა „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულად გამოცემისათვის. ამ შესწავლის ნაყოფი იყო მისი ცნობილი თხზულება: *Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans l' Arménie en 1847—1848, S.—Petersb., 1849*. ეს თხზულება საუკეთესოდ მოწმობს საქართველოს და რუსეთის სომხეთში არქეოლოგიურ მონაცემების დიდ სიმრავლეს... თავის *Voyage archeologique* ბროსე ვეაწნობს ჩვენ როგორც წარწერების ტექსტს, ისევე მათ ისტორიას მხარის ისტორიასთან დაკავშირებით. ამასთანავე ის გვიხსნის ჩვენ შინაარს ქართული სიგელებისას, რომლებიც მოიცავენ პერიოდს XI საუკუნიდან XIX საუკუნემდე“. (*Археологическое путешествие по Гурии и Аджаре*“, стр. XII, С. П. 1878 г.). „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტი ბატონიშვილის შრომების ბროსეს მიერ ფრანგულად გამოცემის შემდეგ, როცა ამ შრომებს თან ახლდა გამომცემლის—*Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie*, მთელმა განათლებულმა მსოფლიომ დაინახა საქართველოს ისტორიის სიდიადე—რა ეკუთვნოდა ქართველებს კავკასიის ძველი კულტურის საგანძურში. თუმცა, საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის შესახებ სენ-მარტენისა და დიუბუა დე-მონპერეს შრომიდან უკვე ცოტად თუ ბევრად დაახლოვებითი წარმოდგენა შეიძლებოდა ჰქონოდათ უცხოელებს. ბროსეს პუბლიკაცია წინააღმდეგ დიდმპრობლეური შოვინიზმით მოწამულ სენკოვსკის ლაშქრობას ქართული კულტურის წინააღმდეგ. სენკოვსკი უარყოფდა ქართული კულტურის სიძველეს. ბროსემ გააცამტვერა სენკოვსკის ისედაც უსუსური მოთხრობა.

ფასდაუდებელია ბროსეს ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლისა და საქართველოს ისტორიის წყაროების მეცნიერული გამოცემის საქმეში. მაგრამ ბროსე ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, როგორც ისტორიკოსი, თუ როგორ ესმოდა მას საქართველოს ისტორია, ან რა მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ისტორიულ ფაქტებს.

ბროსე ისტორიულ საბუთებში—სიგელ-გუჯრებში ხედავდა ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების სახეს,—რელიგიურ, მოქალაქეობრივ და სამხედრო წყობის დამსურათებელ წყაროს. ქვეყნის შინაგანი ისტორიის დასაბუთებისათვის მას დასაყრდენად ეს სიგელ-გუჯრები მიაჩნია. მაგრამ ყოველივე ეს, ბროსეს აზრით, ავსებს ძირითად წყაროს—„ქართლის ცხოვრებას“, რომელიც XV ს-მდე წარმოგვიდგენს საქართველოს მთლიან ისტორიას. XV ს-დან ამ ქვეყნის ისტორია ერთობას მოკლებულია.

ანიჭებდა რა ისტორიულ ძეგლებსა და საბუთებს უდიდეს მნიშვნელობას მატინის შევსება-განვრცობისათვის, ბროსე წერდა: „თუ ვინმე გამოჩნდება, რომელიც ხელს მოკიდებს ამ შრომას, მაშინ მრავალი წლის კეთილსინდისიერი და გულმოდგინე მუშაობის შემდეგ მისი ჯილდო იქნება უტყუარი და კრიტიკული ისტორია საქართველოსი“ (*Histoire de la Géorgie*, II, 2e livr. p. 411—442, 450—462).

XIX საუკ. ქართულ ისტორიოგრაფიაში დიმიტრი ბაქრაძე პირველი იყო, რომელმაც საფუძვლიანად გააჩნია მოპოვებული სიგელ-გუჯრები

და შეუფარდა ისინი ისტორიულ სინამდვილეს. საქმარისია ამისათვის მიეუ-
 თითოთ მის მიერ გამოცემულ ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ უამრავ
 შენიშვნებზე. მაგრამ იგი საქართველოს სიძველეთა შესწავლას აკუთვნებდა
 არა მარტო „ქართლის ცხოვრების“ შევსება-შესწორების მნიშვნელ-ბას,
 არამედ საქიროდ სცნობდა თვით ამ ისტორიული მონუმენტური შრ მის
 სისტემის შეცვლასაც.

რუსეთის სამეცნიერო აკადემიისადმი მოხსენებაში კავკასიის სიძველეთა
 შესწავლის მნიშვნელობის შესახებ დიმიტრი ბაქრაძე 1873 წელს წე-და:
 „ამჟამად, როგორც ცნობილია, ხალხის ისტორიად, ამ სიტყვის ნამდვილი
 მნიშვნელობით, მიჩნეულ უნდა იქნას არა აღწერა გარეგან მოვლენათა და
 არა ცალკეულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, არამედ ნამდვილი და საფუძვლია-
 ნი დასურათება ხალხის შინაგანი ცხოვრებისა, მისი ეკონომიური და სოცია-
 ლური ყოფისა. ასეთი ისტორია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს შედგენილი,
 როცა გაგებული და გამორკვეული იქნება შინაგანი ცხოვრების ყველა მხა-
 რე. ძველ საქართველოს შინაგანი ცხოვრების შესახებ ჩვენ მაინცდამაინც
 არა ვიცით რა. მათზე ჩვენ ან ცოტა გვაქვს მონაცემები, ან სულ არა. ქრო-
 ნიკები უმთავრესად ეხებიან მის საგარეო მოვლენებს, საქართველოზე მტრის
 დაცემას და მის განდევნას. შინაგან ცხოვრებას ისინი ან დუმილით უვლიან
 გვერდს ან გაკვრით ეხებიან“ (Археологическое путешествие по Гурии
 и Аджаре, С.-П. 1878г.).

ამრიგად ხალხის ისტორიად დიმიტრი ბაქრაძეს მიაჩნია ამ ხალხის ში-
 ნაგანი ცხოვრების ანალიზი, დასაბუთება მისი ეკონომიური და სოციალური
 წყობისა. ისტორიის საგანი, მაშასადამე, უნდა იყოს ხალხის ცხოვრება, მისი
 მამოძრავებელი ეკონომიური და სოციალური ძალები.

ეს შეხედულება XIX საუკ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალია და
 იგი დ. ბაქრაძის ღვაწლად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ის ცდება, როცა „ქარ-
 თლის ცხოვრებას“ ერთიანად საგარეო ურთიერთობის ამსახველ ქრონიკე-
 ბად, საქართველოს თავდაცვითი ბრძოლის ისტორიად აცხადებს. დ. ბაქრა-
 ძის უკიდურესი შეხედულება ამ მხრივ უნდა აიხსნას იმით, რომ მას უნდო-
 და მიეთითებინა საქართველოს სიძველეთა შესწავლის მნიშვნელობაზე, გასა-
 ძლიერებლად „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილისა, სადაც მართლაც მხო-
 ლოდ პოლიტიკური ამბებია გადმოცემული.

დ. ბაქრაძის აზრით, ამათუ იმ ხალხის კრიტიკული ისტორია თავის
 სათავეს იღებს ამ ხალხის განვითარების საწყისებიდან და იგი შენდება იმის-
 დაგვარად, თუ როგორ ფაზებს გაივლის ხალხი და როგორ გამოხატულებას
 პოულობს ამ განვითარებაში ხალხთა ურთიერთზეგავლენა და ამისდამიხედ-
 ვით როგორ შეუქმნია ხალხს თავის ყოფაცხოვრება, კულტურა და რა წვლი-
 ლი შეუტანია მას კაცობრიობის ისტორიაში.

თავის წიგნის—„ისტორია საქართველოსი“ წინასიტყვაობაში დ. ბაქრა-
 ძე წერს: „ისტორია, ისეთი, როგორსაც აწინდელი მეცნიერება მოითხოვს,
 უნდა იყოს ნამდვილი და სრული, ეპოქ-ეპოქად, სურათი იმ ერისა, რომელ-
 საც ის შეეხება. ისტორია მოვლენა განსაზღვროს როგორ და სად დაარსე-

ბულა ერი, რა ადგილებში უმოგზაურია იმას, როდესაც იგი იქიდან დაძრულა; რა კულტურა შეუტანია იმ ქვეყანაში, სადაც იგი სამუდამოდ დამყარებულა, როგორი გავლენა აღმოუჩენია ამ ქვეყნის მდებარეობას და თვისებას იმის ტაძრზე, ხასიათზე, მიმართულებაზე. რა დამოკიდებულება ჰქონია იმასთან უცხო ტომ-ნათესავთა და რა კვალი დაუტოვებიათ იმის ცხოვრებაში; რაგვარ მოუწყვია იმას თავისი ყოფაცხოვრება სოციალური და პოლიტიკური; რა სამსახური მიუგია საზოგადოდ კაცობრიობის კულტურის წარმატებაში“ (გვ. I).

დ. ბაქრაძე იცავს იმ დროს რუსულსა და დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას ე. წ. არიული მოდგმის ხალხების მოძრაობის შესახებ და მას შეურყეველ ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ კულტურული კაცობრიობის საფუძვლის ჩამყრელი ხალხები ბალკანეთზე და ევროპაში აზიიდან არიან მოსულნი. ქართველი ტომებიც დ. ბაქრაძეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მცირე აზიაში გადმოსახლებულად მიაჩნია. მცირე აზიიდან ქართველი ტომები შემდეგ მოხვედრილან შავი ზღვის სანაპიროზე და ამიერკავკასიაში.

დ. ბაქრაძე საისტორიო მეცნიერებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არქეოლოგიას და ლინგვისტიკას. ამ მეცნიერებათა შონაცემების ანალოზსა და გამოყენებას ისტორიული კონცეფციისათვის ის უწოდებს მეთოდს და ასახელებს არქეოლოგიურსა და ლინგვისტიკურ მეთოდებს. მისი აზრით, უძველეს ხალხთა ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ნაყოფიერი და სწორი მეთოდი უნდა იყოს ლინგვისტიკური მეთოდი, რადგან სწორედ ენაა ის საუნჯე, რომელსაც დაუცავს უძველესი დროის ყოფა-ცხოვრების ნიშნები.

— „რამდენადაც ძველია რომელიმე ტომი — ამბობს დ. ბაქრაძე, — რამდენად ძომეტებული გავლენა გამოუვლია იმას გარეგან, იმდენად მეტია უძველეს საუკუნეთა კვალი იმის ენაში, იმის ყოფაცხოვრებაში და საზოგადოდ იმის კულტურაში. ამგვარი ცნობანი საფუძვლიანად შემუშავებულნი შეადგენენ შეურყეველ საძირკველს ახალის მეთოდის ისტორიისას“ („ისტორია საქართველოსი“, გვ. I).

ჩვენი ისტორიკოსი ქართველ ტომთა ენებად მიიჩნევს ქართულ, მეგრულ-ქანურ და სვანურ ენებს, ამ მოძმე ენების ურთიერთისგან დაცილება, დ. ბაქრაძის აზრით, გამოწვეულია ქართველ ტომთა ერთმანეთისგან დაცილებით. „ქართველი ტომი—ამბობს ის—შავი ზღვის პირად და კავკასიის მხარეებში დიდისხნის მიმდინარეობაში გაცალცალკეებული ყოფილა; ამის გამო ვაჭმორებიან ერთიმეორეს იმისი მონათესავე ენები: ქართული, სვანური და მეგრული ქანურითურთ“ (გვ. III).

დ. ბაქრაძეს კარგად ესმის, რომ მოძმე ტომების ეთნიური თავისებურებანი იმდენად ძლიერია, რამდენად ეს ტომები ისტორიულ განვითარებაში თემური განცალკეების ფარგლებიდან ვერ გამოდიან. ამავე ნიადაგზე იწარჩუნებენ სხვაობას მოძმე ენები.

უაღრესად საინტერესოა, რომ ჩვენი ისტორიკოსი სახელმწიფოს წარმოშობას განიხილავს გვაროვნული წყობილების დაშლისა და კერძო საკუთრე-

ბის წარმოშობის ნიადაგზე. XIX საუკუნის 80-იან წლებში, ქართული ისტორიოგრაფიისათვის ეს დიდი მიღწევა იყო.

კერძოდ, საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების შესახებ დ. ბაქრაძე ამბობს: „მინაგანი წყობილება იმისი საზოგადოებრივი, სარწმუნოებრივი და პოლიტიკური იმგვარი თურმე იყო, რაგვარსაც ისტორია უძველეს დროებში სხვა მრავალ ტომებსაც მიაწერს: თვითოეული ტომი თვითვე განაგებდა სათემო საქმეებსა, საეროსა და სასულიეროსა მის მიერვე ამორჩეულ პირთა შუამდგომლობით. შემდეგ სამეფოები დამყარებულა“ (იქვე). დ. ბაქრაძის აზრით, ამა თუ იმ ხალხის სახელმწიფოს წარმოშობა იმავე დროს მისი დამწერლობის წარმოშობაცაა და იგი სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს დამწერლობის წარმოშობასაც. ქართული დამწერლობა ამრიგად, დ. ბაქრაძის აზრით, გაჩნდა ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობისთანვე. დ. ბაქრაძისათვის უეჭველია, რომ ქართული მწერლობა ქრისტიანობაზე უადრესია, მაგრამ გარკვეულად რა დროიდან იწყება ის, ჩვენს ისტორიკოსს პრობლემად მიაჩნია.

დ. ბაქრაძე ლენორმანზე დაყრდნობით საბუთიანად უარჰყოფს სომხური საისტორიო მწერლობის ცნობას ქართული ანბანის გაჩენაზე. იგი ამტკიცებს, რომ VIII საუკ. ისტორიკოსი მოსე ხორენელი, რომელიც ქართული ანბანის გამოგონებას მიაწერს მესროპს, სიყალბეს ჩადის და მისი შრომაც ფსევდო-ისტორიული ნაწარმოებია. შეუძლებელია ანბანის ერთბაშად შემუშავება, იგი ჩნდება თანდათან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში—ამბობს დ. ბაქრაძე. იგი ქართული ანბანის სათავეებს ფინიკიურ და ბერძნულ დამწერლობაში ეძებს და მიუთითებს ფინიკიურ-ბერძნულსა და ქართული ანბანის ნათესაობის შესახებ.

დ. ბაქრაძემ დაამტკიცა, რომ ნუსხური ქართული ანბანი მთავრულის განვითარებას წარმოადგენს. მას შეგნებული ჰქონდა პალეოგრაფიის, როგორც დამხმარე დისციპლინის, დიდი მნიშვნელობა ისტორიისათვის. ქართული პალეოგრაფიის მამამთავრად შეიძლება მიჩნეული იქნას დ. ბაქრაძე.

ფრიად საყურადღებოა დ. ბაქრაძის ცდა უცხოური და ქართული საისტორიო წყაროების შედარებისა. ამ შედარებითი გზით იგი ამტკიცებს ქართული წყაროს მაღალ ღირსებას. ხოლო უძველეს პერიოდში, იქ, სადაც ქართულ წყაროს შესატყვისი უცხოური წყარო არ გვხვდება, ჩვენი ისტორიკოსი ამ შემთხვევაში თავს იკავებს ან და, თუ მარტო ქართულ მატინანის მოთხრობას ემყარება, თავის დებულებას პრობლემატურ მნიშვნელობას აძლევს. რა თქმა უნდა, უცხოური წყაროების, მეტადრე ბერძნულ-რომაული მწერლობის, ცნობათა გამოყენება ქართულ ისტორიოგრაფიაში დ. ბაქრაძის დროისათვის ახალი არ არის. თავი რომ დავანებოთ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობას, თვით XIX საუკუნეში ჯერ თეიმურაზ ბატონიშვილი და შემდეგ ბროსე მშეენიერად პოულობენ ამ ცნობებს. მაგრამ დ. ბაქრაძის დამსახურება ის არის, რომ მან წინაფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების მთელი სურათი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ბერძნულ-ლათინურ წყაროებზე დაამყარა. ჩვენ ისტორიკოსს კარგად

აქვს შესწავლილი სტრაბონის, პლინიუსის, დიონ კასიუსის და ტაციტის ცნობები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დ. ბაქრაძე პირველია, რომელმაც შესწავლა, „ქართლის ცხოვრების“ სისტემა საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდზე და, მონოგრაფიის სახით, საესებით ახლებურად შეადგინა საქართველოს ისტორიის წიგნი. მართალია, საქართველოს ისტორია ჯერ კიდევ ბროსემ დასწერა 1855—1858 წლებში, რომელიც გვიან 1895 წელს და 1900 წ. გამოიცა ლოლობერიძის ქართული თარგმანის სახით, ხოლო მოსე ჯანაშვილმა 1884 წელს გამოსცა თავისი საქართველოს ისტორია, მაგრამ როგორც ბროსეს, ისე ჯანაშვილის შრომები ძირითადად „ქართლის ცხოვრებას“ მისდევენ და ავსებენ მას.

საქართველოს ისტორიის პრობლემებზე მუშაობამ გამოიწვია დ. ბაქრაძის გატაცება არქეოლოგიის, ლინგვისტიკისა და პალეოგრაფიის საკითხებით. ფასდაუდებელია დ. ბაქრაძის ღვაწლი ქართული ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის დარგში. მუდამ იცოცხლებს მისი შრომები: „Кавказ в древних памятниках христианства“, „Грузийская палеография“, „Археологическое путешествие по Гурии и Аджаре“. ასეთმა ინტენსიურმა სამეცნიერო მუშაობამ შეუწყო ხელი ახალ კონცეფციას ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომლითაც დ. ბაქრაძე გარდატეხას ახდენს XIX ს. ქართულ საისტორიო მწერლობაში.

მაგრამ დ. ბაქრაძის ღვაწლს უპირველესად შეიძლება გამართლება ჰქონდეს ეროვნული ღირებულების თვალსაზრისით, რადგან თვით მას, თავისი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამთბარს, შეეძლო ეწარმოებია ესოდენ მრავალმხრივი და დაულალავი შემოქმედებითი სამეცნიერო მუშაობა.

დ. ბაქრაძე, როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწე, ჯერ კიდევ 1866 წელს გახეთ „ღროების“ ფურცლებზე დიდ ნარკვევში—„ისტორიული მოძრაობა განათლებისა“ („ღროება“ 1866 წ. №№ 5, 14—22), შეეცადა დაესახა ქართველი ხალხის არა მარტო გაევროპელების გზები, არამედ სოციალური ჩაგვრის მოსპობის გზებიც. დ. ბაქრაძე ესწრაფოდა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ თავისუფლებას და ქართველი ხალხის დიდ მომავალზე ოცნებობდა, სოციალური თანასწორობის განხორციელების საფუძვლად ასოციაციების ორგანიზაციას მიუთითებდა. დ. ბაქრაძე ქადაგებდა ასოციაციების, როგორც საწარმოო ამხანაგობების, მოწყობის საპირობებას მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან ხალხის დასახსნელად.

დ. ბაქრაძე იყო გახეთ „ღროების“ მოღვაწე, მეორე დასელი და მუდამ მხარში ედგა 60-იანი წლების გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს. ეროვნული კულტურის დაცვის მოთხოვნილებამ, ერის სიყვარულმა გამოიწვია დ. ბაქრაძის ბრძოლა შავრაზმელი ძალების წინააღმდეგ 80-იანი წლების რუსეთის პოლიტიკური რეაქციის მკაცრი შემოტევის პირობებში, როცა თვითმპყრობელობის აგენტები მეცნიერების ფრონტზედაც შეეცადნენ მოეწყოთ ლაშქრობა ქართველობისა და ქართული ეროვნული კულტურის წინააღმდეგ. ცნო-

ბილია, თუ რა დაუსაბუთებლად ილაშქრებდა პროფ. პატკანოვი „ქართლის ცხოვრების“ წინააღმდეგ. 1883 წლის დეკემბერში მან რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში მოათავსა წერილი, სადაც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ XVIII საუკ. უწინარეს თითქოს „ქართლის ცხოვრება“ არ არსებობდა და ესეც ვითომცდა მიმდინარეობდა XII საუკ. უფიცი სომხის მიერ შედგენილი სომხური ქრონიკიდან. დ. ბაქრაძემ პროფ. პატკანოვის საპასუხოდ ვაზ. „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი—„პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“, სადაც მზის სინათლეზე გამოიტანა ამ მეცნიერის ნამდვილი ზრახვები და მისი მსჯელობის მთელი უსუსურობა.

აქედანაც ცხადია, რომ დ. ბაქრაძის შრომებს მარტო მეცნიერული მნიშვნელობა არ ჰქონია. XIX საუკ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გოლიათმა ილია ჭავჭავაძემ დ. ბაქრაძის შრომები დასაყრდენად გაიხადა იმ დიდი ბრძოლისათვის, რომელსაც ეროვნული-კულტურის დაცვისა და ეროვნული თავისუფლების ნიშნით ის მეთაურობდა. თავის ცნობილ შრომაში—„ი ისტორია“—ილ. ჭავჭავაძე იე. ჯაბადარის მისამართით ამბობდა: „სხვაში არ ვიცი და ამ შემთხვევაში ჩვენი, მის მიერ კიჟინად აგდებული ლიტერატურა ცოტაოდნად მაგალითს აჩვენებდა—რა არის კრიტიკა და შედარებითი მეთოდი, თუ რომ ავტორი თავის ახირებულ გუნებას არ გაჰყოლოდა და წაეკითხა ბ-ნ ბაქრაძის წერილი „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“, დეგარწმუნებთ ავტორს, რომ ბ-ნ ბაქრაძის წერილები—თუმცა ქართულის ლიტერატურისაა, არამც თუ მასალად გამოსადევია, ქუთის მასწავლებელიც არის ახირებულთათვის“ (ილ. ჭავჭავაძე, თხზ. 1927 წ., V, გვ. 29—30).

ანიჭებდა რა საქართველოს ისტორიის ცოდნას გარდაუვალ მნიშვნელობას ქართველობისათვის, ილ. ჭავჭავაძე თავის სპეციალურ წერილში—„ერი და ისტორია“ წერდა: „დიდი სიხარულით ვეგებებით იმ ამბავს, რომ ჩვენს დაუღალავს მოღვაწეს ბ-ნ დ. ბაქრაძეს განუზრახავს ჩვენის დავიწყებულის ისტორიის აღდგენა და გახსენება. „ივერიაში“ დაბეჭდილი პროგრამიდან ჩანს, რომ ბ-ნ ბაქრაძეს სანატრელი სიდიდით შემოუფარგლავს თავისი საგანი ასე, რომ, თუ პროგრამა შესრულდა, ჩვენ, ქართველებს, ხელთ გვექნება მთელი დიდი ვრცელი სურათი ჩვენი აწ დავიწყებულის წარსულისა... შემოხსენებულისა ცხადად დაინახავს მკითხველი, თუ რა დიდსა და სახელოვან ღვაწლს და სამსახურს სდებს ბ-ი ბაქრაძე ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას“ (ტ. V, გვ. 244).

ამას წერდა ილ. ჭავჭავაძე 1888 წ. გაზეთ „ივერიაში“ დ. ბაქრაძის მიერ საქართველოს ისტორიის გეგმის გამოქვეყნების გამო. 1889 წ. კიდევაც დაიბეჭდა დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“, რომელიც მიყვანილია მეათე საუკ.-ნდ(ჩათვლით).

დ. ბაქრაძემ ვერ მოასწრო მთლიანად თავისი გეგმის განხორციელება. იგი გარდაიცვალა 1890 წელს 10 თებერვალს ფილტვების ანთებით, რომელიც მან, საქართველოს სიძველეების შესასწავლად მოგზაურობის დროს,

დასავლეთ საქართველოში მიიღო. მაგრამ თუ როგორ შეასრულა მან თავისი ვალი, როგორც ისტორიკოსმა და საქართველოს ისტორიის წიგნის ავტორმა, ამის შესახებ საკმარისია მიუთითოთ XIX საუკ. 80—90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი ორგანოს „ივერიის“ შეხედულებათზე:

დ. ბაქრაძის დაკრძალვის დღეს, 13 თებერვალს, 1890 წელს „ივერია“ წერდა: „არ შეიძლება რომ შენ დაგივიწყოთ, არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუტყავს ყოველ ერს თავისი ეროვნება; თავისი არსებობა და ეგ წარსული შენ მოგვეცი.“

დ. ბაქრაძის დიდი დამფასებელს. ეროვნულ-გამანათვისებელ ბრძოლის მედროშეს იღია ჭავჭავაძეს არ შეიძლებოდა საქართველოს ისტორიის საკითხები თავის ყურადღების ცენტრში არ მოექცია. სწორედ ამით არის გამოწვეული ილ. ჭავჭავაძის წერილები საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ილ. ჭავჭავაძის ცნობილი წერილებს. — „აი ისტორიის“ სათაურით რომ იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1889 წელს, მთლიანად განხილვას, იმისათვის, რომ ცხადყოფოთ ილ. ჭავჭავაძის შრომის მნიშვნელობა ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში ნილილიზმისა და ფსევდო-ისტორიული კონცეფციის წინააღმდეგ. ეს საკითხი განხილული აქვს განხეუნებულ აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის ნარკვევში — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ (1937 წ.), რომელიც სპეციალურ მოხსენებად ჰქონდა მას წაკითხული ილ. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის თავზე საიუბილეო დღეებში.

ილ. ჭავჭავაძეს ერის სიცოცხლის პირობად ერისაგან თავის წარსულის ცოდნა და ამ ცოდნაზე აგებული გამოცდილება მიაჩნია. იგი ამბობს: ერის პირქვე დამხობა. გათანხსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა („ერი და ისტორია“, (ტ. V, გვ. 239; „ივერია“ 1888 წ., № 237).

თავის ისტორიის ცოდნის გარეშე, ილ. ჭავჭავაძის აზრით, ერი ჰკარგავს შეგნებას, ის ცხოველს ემსგავსება: „როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოვანა, ვისაც აღარ ახსოვს—ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავის ისტორია აღარ ახსოვს“.

რა არის ისტორია? სვამს კითხვას ჩვენი დიდი მოღვაწე და პასუხობს: „იგია მთხრობელი მისი,—თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიყვნეთ კვლავადაც“ (ტ. V, გვ. 207; დ. აღმაშენებელი, „ივერია“ 1888 წ., № 17).

„ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან“ (თხზულებანი, V, გვ. 26).

ცალკე ისტორიულ წერილებში ილ. ჭავჭავაძე ეხება საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებს.

1880 წელს ვაზეთ „ივერიის“ (№ 25) მეთაური ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიის საკითხებისათვის მიუძღვნია. მეთაურში—„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“ იგი ეხება საქართველოს ისტორიის საფუძვლებს, მის მამოძრავებელ ძალებს და ასაბუთებს, რასაკვირველია თავისებურად, თუ რა უწყობდა და უშლიდა ხელს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ძლიერებას. ამასთან ერთად ამ წერილში წამოყენებულია „ქართლის ცხოვრების“ რაობისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საკითხი.

„ჩვენ ხალხს—ამბობს ავტორი—ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა... საქართველო დღედა-ღამე იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველი მხრიდგამე მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლს ღვრიდა... რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქულზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვიღო და საზოგადოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?..

... ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს... აი საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინ ჰქონდეს ჩვენს ახლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვეცეს ვინმემ, ბევრ ნათელს მოჰყენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“ (თხზ., V, გვ. 202—203).

ამრიგად, ილ. ჭავჭავაძე საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს, ისტორიის საფუძველს ეკონომიურ ძალებში, ეკონომიკაში ხედავს. ისტორიული ცხოვრების მატარებელი ხალხის ეკონომიური წყობის გარკვევა, მისი აზრით, იმავე დროს იქნებოდა ამ ხალხის ისტორიის სინამდვილის გამოვლენა, დასაყრდენი ისტორიულ მოვლენებისა და ფაქტების მეცნიერულად გაშუქებისა.

პოლიტიკური წყობილება, მისი სიმტკიცე თუ სისუსტე, ილ. ჭავჭავაძის აზრით, ეკონომიკაზეა დამოკიდებული.

კერძოდ, რა ურთიერთობაშია საქართველოს ისტორიულ წარსულში პოლიტიკური და ეკონომიური წყობა? აი კითხვა, რომელსაც სვამს ილ. ჭავჭავაძე და რომელიც მას აინტერესებს. მას არ აქვს პრეტენზია ამ კითხვის გასარკვევად, მარტო იმის გამო, რომ ისტორიკოსად არ მიაჩნია თავი, რომ ის სპეციალისტი ისტორიკოსი არ არის: „ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა რომ ამ მხრივ საქმის გამოკვლევას შევდგომოდით გაზეთის მოკლე წერილშია. სწორედ მოგახსენოთ, ამისათვის არც მომზადება გვაქვს და არც საქირო წყარო. ფიქრად მოგვდის ორიოდ აზრი ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებ მეტი არ იყოს ის ორიოდ აზრი მკითხველს გაეუზიაროთ.

ჩვენა გვეონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში... ჩვენს ეკონომიურ წყობაში ორგვარი მდინარება იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სასოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სო-

ფლის წრეში ყოველი მამულეები გინა მინდორი ტყე—საზოგადო სასოფლო ხმარებაში ყოფილიყო, მეორე ისე, რომ ყოველი ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორმასწორობას მიწის მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა და თუ სასოფლო გაძლიერდებოდა,—მაშინ უსწორმასწორობას გზა შეეკვრებოდა. აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაფრთხილებოდნენ“ (იქვე, გვ. 203—204).

ამრიგად, ილ. ჭავჭავაძე მიწის თემურ მფლობელობაში ხედავს საწინდარს ქვეყნის ძლიერებისათვის. დარღვევა მიწის საერთო ანუ სასოფლო მფლობელობისა, ვასაკუთრება თემის მიწებისა და ამ ნიადაგზე უსწორმასწორობა მიწათმფლობელობაში შეიძლებოდა ისე განვითარებულიყო, რომ ამას გამოეწვია მიწათმოქმედი მოსახლეობის გაბოვანობა, მაგრამ ეს პროცესი, ილ. ჭავჭავაძის აზრით, ჩვენში ისეთი არ ყოფილა, რომ ასეთი შედეგი მიგვეღო: „საკვირვებელია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძეგება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრობელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოობისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ჩვენი ქვეყანა ღონიერი ყოფილა და გასძლოლია მტერს ასე თუ ისე“ (იხ. დასახელებული წერილი, ტ. V, გვ. 203).

აქ არ შეგუდგებით მსჯელობას იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია ილ. ჭავჭავაძის მიერ ძველი საქართველოს ეკონომიკის დასაბუთება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ილ. ჭავჭავაძის კონცეფცია არა საერთოდ ძველ საქართველოს ეკონომიკის შესახებ, არამედ მიწათმფლობელობის შესახებ, გარდა იმისა, რომ ფრიად საინტერესოა, მიახლოებით გამოხატავს ისტორიულ სინამდვილეს. საქმე ის არის, რომ მოწათმოქმედ გლეხთა „ფუძეები“ პატრონყმურ საქართველოში შეიცავდა ანარეკლს თემური მიწათმფლობელობისა, როცა თემური საკუთრება უკვე დიდი ხნის დარღვეული იყო და მხოლოდ საძოვრები და ტყე რჩებოდა თემის მფლობელობაში. „ფუძე“, როგორც დღიურების მიხედვით განსაზღვრული მიწის ფართობი, წარმოსდგა სწორედ თემური მიწათმფლობელობის საფუძველზე.

გლეხთა მიერ „ფუძეების“ მასობრივი დაკარგვა აღნიშნავდა თავისუფალ მიწისმოქმედთა გაქრობას და პატრონყმობის გადასვლას ბატონყმობაში, ხოლო ბატონყმობა იყო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაქვეითებისა და მისი პოლიტიკური სისუსტის გამომხატველი.

ისტორიულ საქართველოს ეკონომიკური ვითარების სურათს ილ. ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებაში“ ვერ ხედავს, იმავე წერილში („ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“) იგი ამბობს: „ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხედელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ის-

ტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა“ (იქვე, ტ. V, გვ. 201).

ამგვარი აზრი, რომ ისტორია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის ხალხის შინაგანი ისტორია, ისტორია მისი ეკონომიური და სოციალური ყოფისა, — უკვე გამოთქმული იყო დ. ბაქრაძის მიერ და მასვე ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ ისეთი კრიტიკა, რომელიც უფრო ღრმად და უფრო უკიდურესადაც ილ. ჭავჭავაძემ წარმოადგინა. ეკონომიური ფაქტორების მნიშვნელობა ისტორიისათვის საქართველოს ისტორიის მაგალითზე ახსნა ილ. ჭავჭავაძემ და მან წამოაყენა პრობლემა ძველ საქართველოს ეკონომიკის რაობისა.

ილ. ჭავჭავაძეს კარგად ესმის რელიგიის სოციალური შინაარსი, რომ ერთიდაიგივე რელიგია სხვადასხვა ხალხში სხვადასხვაგვარად პოულობს გამოხატულებას. ასე რომ საერთო საზომი აქ არ გამოდგება და შეუძლებელია სპარსული მანდიანობის მიხედვით ქართველებში მანდიანობის რაობის ახსნა. რომ გამოირკვეს — იმეორებენ თუ არა ქართველები მანდიანობაში სპარსელებს, ამისათვის, ილ. ჭავჭავაძის სიტყვით, საჭიროა ქართველთა და სპარსთა სჯულის შედარება. ამისათვის ერთად-ერთი სახსარია ქართველთა და სპარსთა სჯულის ზედმიწევნითი ცოდნა. ილ. ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რომ ეს ცოდნა არ გააჩნია მის მოპირდაპირეს, მაგრამ მაინც საჭიროდ ცნობს, რომ განიხილოს მისი საბუთები.

საბუთი პირველი: „იგი [ივანე ჯაბადარი] ამბობს, რომ ქართველები ცეცხლმსახურნი იყვნენ სამთავროს სასაფლაოს ხანაში, ე. ი. მეათე საუკუნიდან მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ. რატომ? იმიტომ, რომ ცეცხლში დამწვარ ძვლებს შორის, რომელიც სამთავროს სასაფლაოზე იპოვნა ბაიერმა, აღმოჩნდა ობსიდიანის ნატეხები. ეს ობსიდიანის ნატეხები ამტკიცებსო — გვეუბნება ავტორი, — რომ მაშინდელ დროში მცხეთის მკვიდრნი ცეცხლმსახურნი იყვნენო... მართალია, ობსიდიანის ნატეხები კი აღმოჩნდა საფლავებში, მაგრამ აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ ამნაირის დანის მომხმარებელნი ცეცხლმსახურნი ყოფილიყვნენ.

მეორე საბუთი — ქართველთა ცეცხლმსახურებისა ის არის, ავტორის აზრით, რომ ვითომც დღესაც ქართველები ცოდვად სთვლიან უწმინდურებით რითიმე წამურტლონ ცეცხლი. არ ვიცით, სად და რომელ მხარეს ჩვენში შეუნიშნავს ეს ამბავი ჩვენს ყოველად მხედველს ავტორს. ის მაინც არ უნახავს ავტორს, რომ ყოველ დღესასწაულის წინა დღეს ქართველი კაცი თავის ეზოს, სახლს მოჰკვის და ყოველს უწმინდურებას ერთ ადგილას დაახვავებს და მეორე წაუკიდებს ცეცხლსა... (თხზ. ტ. V, გვ. 161—162).

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ სპარსელნი ისეთის სასოებით ეპყრობიან ცეცხლს, არაფერს მიაკარებენ. მკვდრებს არცა მარხავენ, დედამიწა არ წამურტლოთო და არც ცეცხლში სწვავენ, — ცეცხლი არ შეერყვნათო. მკვდარს ხეზე დასდებენ, ან ჩამოჰკიდებენ ფრინველთა შესაქმევად. ვებერი ამბობს, რომ სპარსელნი ისეთი პატივისმცემელნი იყვნენ ცეცხლისა, რომ შიშობდნენ ამოსუნთქულის ჰაერითაც არ წაებიდწებინათო...

ახლა იფიქრეთ, ცეცხლმსახურება ქართველებისა რაში ჰგვანებია სპარსელებისას, როდესაც პირველნი ცეცხლში სწვავენდნ ადამიანის გვამსა, თუ ლეშსა, და მეორენი სუნთქვასაც არ აკარებდნენ არ წაებილწოთ ცეცხლიო“ (თხზ. V, 163—164).

„ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა—ამბობს ილ. ჭავჭავაძე ვითომ არა გვეჯიროდეს, რომ ქართველები ერთ დროს ცეცხლის მსახურნი ყოველიყვნენ“ (იქვე).

ქართველების პირველ რელიგიად, ე. ი. იმ რელიგიად, რომელიც ახასიათებს ანტიკურ საქართველოს, ილ. ჭავჭავაძეს წარმართობა მიაჩნია, რომელსაც ქრისტიანობა სცვლის.

იმავე ჯაბადართან პოლემიკაში ილ. ჭავჭავაძემ დაასაბუთა ქრისტიანობის პროგრესული როლი ფეოდალურ საქართველოს ცხოვრებაში და მიუთითა ქრისტიანული კულტურის განვითარების გზებზე. ამგვარი მტკიცება დიდი საქმე იყო მაშინ, როცა ხალხოსანი „ისტორიკოსები„ უარყოფდნენ საქართველოს ისტორიის კლასიკურ ხანას და სრულიად უგულვებელყოფდნენ ჩვენი ისტორიული წარსულის არა თუ კულტურულ ღირებულებას, ეჭვი შეჰქონდათ თვით თამარ მეფის სახელმწიფო მოღვაწეობის დადებით მნიშვნელობაში.

„ამისთანა სახელის [ე. ი. თამარის სახელის] გაუქმებას და დამდაბლებას პატარა მეტი საფანელი უნდა, ვიდრე ავტორს ჰგონია—წერდა ილ. ჭავჭავაძე—ი საბუთად რა მოკავს—აუარებელი ფული იხარჯებოდა სასახლის მორთულობაზე. მონასტრების და ტაძრების აშენებაზეო.

სრა-სასახლის მორთულობისა რა მოგახსენოთ და რაც შეეხება მონასტრებისა და ტაძრების განდიდება-გაშენებასა და ერთობ ამეგზე დიდ ხარჯსა, სწორედ ამაშია დიდი სიბრძნე თამარისა, თუ მართლა ესენი მოუხდენია. ქრისტეს სჯული ქართველობისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამისთან ერთად პოლიტიკური ქეიტიკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთებლად და შესაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არ-არა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენი ისტორიის დასაბამიდან სასურველი ერთობა აღედგინა...

და თუ თამარ მეფე ამავე გზას ვიდოდა, ეგ მარტო იმის სიბრძნესა და მიხვედრილობას უფრო მოასწავებს, ვიდრე არ გაგებას დროების საქიროებისას“ (თხზ. V, 64—65).

ილ. ჭავჭავაძის აზრით, ყოველ ისტორიულ მოვლენას თავისი ობიექტური გამართლება აქვს, ისე რომ ეს მოვლენები არ წარმოსდგებიან ცალკე თუნდ დიდ ისტორიულ პიროვნებათა კაპრიზისაგან. ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის თავის დროის მოთხოვნილების გარეშე განხილვა იმას ნიშნავდა, რომ ვერც აზრი და ვერც საბუთი გვეპოვა თუნდა ჯეაროსნული ომებისათვის, „რომელსაც მთელმა ევროპამ კინალამ თავი შეაკლა“.

თავის დროის მიხედვით ისტორიულ პიროვნების მოქმედების შეფასება—„ეს ხომ ანბანია ფილოსოფიისა“—ამბობს ილია.

„თუნდ ეგეც არ იყოს, რომელ ისტორიაში თქმულა, რომ აშენება, გამართვა, სახსოვრების აგება—თუნდ მონასტრებისა და ტაძრებისაც,—წუნად ჩაეთვალოს რომელსამე ერსა, ანუ ერის ბედის გამგებელსა... განა ძველმა სარწმუნოებამ ძველის ბერძნებისამ არ შექმნა იგი მათი ხელოვნება, რომელიც დღესაც ქვეყანას აკვირვებს და სახელს ბერძნისას ჰფენს მთელ ქვეყნიერობაზედ“ (თხზ. V, გვ. 17).

ილია განაგრძობს: „მეორე საბუთად ის მოჰყავს ავტორს, რომ თამარ მეფემ გაილაშქრა ყარსზედა, ვითომც და მარტო იმისათვის, რომ თავისი ახლადდაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და იმისათვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილუბრალოდაო“.

ილია აღნიშნავს, რომ არავითარი საბუთი არ არსებობს ასეთი დასკვნის გამოსატანად ყარსის ომზე და კიდევაც რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ასე ეწეროს, იმას გაგება უნდა და რომ კრიტიკოსს, რომელიც ყარსის ექსპედიციას მიაწერს ლაშა გიორგის დაბადების აღსანიშნავ კომპანიას, წარმოდგენა არ აქვს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებზე და არც შეუძლია გაიგოს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. რომ ეს ასე არის, ამისათვის ილიას მოჰყავს ივანე ჯაბადრის მიერ ციტირებული და მისგანვე ახსნილი ტექსტი „ქართლის ცხოვრებისა“. ილია წერს: „იი როგორ უთარგმნია ჩვენს ავტორს „ქართლის ცხოვრების“ ცხადი სიტყვები: „პირველად შემყრელთა ბედსა და სვესა ზედა ლაშასა... მიჰმართეს ბარდავად“... და სხვანი. აქ ის არის ნათქვამი, რომ ლაშა გიორგის დაბადების დღიდან ეს პირველი გალაშქრება იყო და სიტყვანი „ბედსა და სვესა ზედა ლაშასა“ უფრო სიტყვის გალაშქრებისათვის არის მთხრობლისაგან, ვიდრე რაიმე აზრის დასაბუთებისა და დასკვნისათვის. ეხლა კი არ ვიტყვით ხოლმე—„ამის ბედზედ წავედიო“. განა აქ ბედი წასვლის მიზეზად იგულისხმება და არა სიტყვის მასალად?“

ახლა ყარსზე ლაშქრობის შესახებ. „მას შემდეგ რაც სომხეთი შეიმუსრა,—ამბობს ილია,—სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად“. ამიტომ საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, ილიას აზრით, მუდამ თვალი უნდა სკეროდათ სამხრეთზე და გაემაგრებიათ სამხრეთის ზღუდე. „ეს იყო პოლიტიკური საჭიროებაო—ამბობს ილია,—რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა“ (V, 68).

სწორედ ვულგარიზატორებისა და ფსევდო-ისტორიკოსების მისამართით ამბობდა ილია ჭავჭავაძე: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს... და ქეშმარიტი მვისტორიე ვითარცა გამკითხველი ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“ (იქვე, 65).

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ილ. ჭავჭავაძემ აღნიშნა დავით აღმაშენებლის ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. დღეს უკვე ცნობილი გახდა დავით აღმაშენებლის მიერ მუსლიმან ხალხებისა და სომხების მფარველობის პოლიტიკური მნიშვნელობა XII საუკ. საქართველოს სახელმწიფოსათვის. ეს ჰუმანური პოლიტიკა ხელს

უწყობდა საქართველოს უფლებათაში მრავალეროიან კავკასიის შემავრცობას, იგი ხელს უწყობდა კავკასიის ხალხების დაახლოებას.

აი რას ამბობს ილ. ჭავჭავაძე ყოველივე ამის შესახებ: „დავით აღმაშენებელი... თავგამოდებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივის მცემელი იყო სხვის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ამასთან შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად-შემძღვებელ-მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაქმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტელა დიდ-ბუნებოვანობა მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივს სცემდა!“.

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლის დასახასიათებლად და, სხვათა შორის, მისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის დასაბუთებისათვის, დიდად გატაცებული დავითის პიროვნებით, მარტო ქართულ წყაროს კი არ სჯერდება, არამედ იმოწმებს სომეხ ისტორიკოსებს—მათე ურჰაელს და ვარდანს. რატომ? იმიტომ, რომ მათ მიერ დახასიათება დავითისა უფრო პირუთენელი იქნებოდა ილიას აზრით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს და, შეიძლება ითქვას, ცალკე განხილვის საგანი იყოს ილ. ჭავჭავაძის შეხედულება ისტორიულ პიროვნებათა შესახებ. ილიას შეხედულებით დიდი ისტორიული პიროვნებები მით არიან დიდნი, რომ ისინი დროის საჭიროებას ანუ ტკივილს თანადროულობაში ყველაზე უკეთ იგებენ და სწვდებიან. ესენი არიან გმირები. „ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწკრთნელსა, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“.

გამოჩენილი ადამიანები, ილ. ჭავჭავაძის აზრით, მათი სახელის ხსენებითაც გვზრდიან და გვამალლებენ ჩვენ. ამიტომაც რომ ილიას საჭიროდ დაუნახავს სპეციალური წერილები მიეძღვნა დავით აღმაშენებლისა, ლუარსაბ მეფესა და ერეკლე მეორესათვის („ივერია“, 1888 წ., № 17, 1886 წ., № 133, 1899 წ., № 255). ლუარსაბ II-ის ბრძოლას, რომელიც დამთავრდა მისი ტრადიციული ბოლოთი, ილ. ჭავჭავაძე ისტორიულ მნიშვნელობას აკუთვნებს და თვით ლუარსაბს ეროვნულ გმირად აცხადებს, ხოლო ლუარსაბის თავგადასავალის მოსათხრობად მას საჭიროდ დაუნახავს დეხატა მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური სურათი. ფრიალ საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის დასკვნები. მას ქვეყნის უბედურების მიზეზად თავადობის პოლიტიკური პირველობა მიაჩნია. ამ თავად-დიდებულთ „მოადგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობა“

(თხზ. V, 216). ამით აიხსნება, ილიას აზრით, ის, რომ მაშინდელმა ქართველმა ვერ გამოიყენა სააკაძის დიდი ნიჭი. ილია სწერს: „დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატივებდა მას მდაბალ-ბუნებიათა კაცთა შურისაგან“ (იქვე).

ილ. ჭავჭავაძე არ იწყნარებს „ქართლის ცხოვრების“ შეხედულებებს გიორგი სააკაძეზე. იგი ამბობს: „ჩვენი ქართლის ცხოვრება“ ბრალს სდებს დიდ მოურავსა, რომ იგი აზრახებდა ყვენსა დაპყრობად ქართლისად“. ილია დარწმუნებულია, რომ შაჰმა სააკაძის დამოუკიდებლად გადაწყვიტა ლაშქრობა და იგი მივიდა არა ქართლში, არამედ კახეთში. ილია ამბობს: „ესე იყო თუ არა (ე. ი. მართლა აზრახებდა სააკაძე შაჰაბაზს თუ არა ა. კ. ყვენი შაჰ აბაზი მივიდა განჯას და დააპირა უგრძნეულად შესვლა კახეთს“ (თხზ. V, 217).

ილია აღფრთოვანებულია ლუარსაბ II-ის პრინციპულობით და, აღწერს რა მისი სიკვდილით დასჯის მომენტს, ამბობს: „მხოლოდ დიდბუნებიათა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავისი სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი“ (იქვე).

ფეოდალურ სახელმწიფოებრიობაში იქ. სადაც მესამე წოდების მონაწილეობა გამორიცხულია, კულტურული მოქმედი ძალა ფეოდალურ ცენტრიდან იკაფავს გზას მის ახლო წრეებში და ეხება რა მთელ გაბატონებულ კლასს, ამით ის ეხება ხალხსაც. დამპყრობელი კულტურული ნაკადის მკვიდრ კულტურულ ნაკადთან ბრძოლა სათავეს პოლიტიკურ ცენტრიდან იღებს და ყველაზე მეტად ამას უპირველესად მკვიდრი კულტურის მესაჭე წრეები განიცდიან.

ქრისტიანობა შეადგენდა ფეოდალური ქართლისა და კახეთის დასაყრდენ ბურჯს, სახელმწიფოებრიობისა და მაშინდელი ქართული საზოგადოებრიობის გამძლეობის ძალას. ქართლის მეფისაგან ქრისტიანობის დატეგება, მისი მაჰმადიანობაში გაცვლა ჰქმნიდა ქართლის დენაციონალიზაციის საფრთხეს. ამიტომ შეეძლო საქართველოს ეკლესიას, ლუარსაბი, ისლამის წინააღმდეგ მებრძოლი და ქრისტიანობის შეურყვევად დამცველი, გამოეცხადებია გმირად. თუმცა ლუარსაბი დენაციონალიზაციის საფრთხეზე კი არ ფიქრობდა, ის ფიქრობდა თავის პოლიტიკურ უფლებების შენარჩუნებაზე, რომლის სოციალ-ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა მემამულეობა, ხოლო ამ მემამულეების იდეოლოგიურ სიმაგრეს—ქრისტიანობა. ქრისტიანობის დაკარგვა მას ხელიდან აცლიდა მამულსაც და პოლიტიკურ უფლებასაც. ის ხდებოდა შაჰზე საფსებით დამოკიდებული, მისი წყალობის შეწყურე უბრალო ხანი.

გასაგებია, თუ რატომ შეიმოსა ლუარსაბის პიროვნება ასეთი შარავნდელით ქართულ ისტორიოგრაფიაში. ილ. ჭავჭავაძე მხოლოდ აძლიერებს მას, რაც სოვად ხაზებში უკვე მოცემულია ვახუშტისაგან. მაგრამ ვახუშტი სულ სხვა შეხედულებისაა გიორგი სააკაძეზე. და სწორედ ილიას დამსახურება ამ შემთხვევაში ის არის, რომ მან პირველმა დასვა საკითხი გიორგი

ცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადღეღ შემდეგისა“ (თხზ. V, 19).

რაკი არქეოლოგია, ეთნოლოგია, ლინგვისტიკა და სიტყვიერება დასაყრდენ დარგებს წარმოადგენს ისტორიისათვის, ამიტომ ისტორიის მეთოდები, ილ. ჭავჭავაძის დასაბუთებით, შეიძლება იყოს არქეოლოგიური ეთნოლოგიური ანუ ფილოლოგიური და სიტყვიერებითი.

ყველა ამათში მთავარია ფილოლოგიური მეთოდი, რადგან „ფილოლოგია არის ენის მკვლევარი მეცნიერება“, ხოლო „ენა, როგორც ვასალები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგან უფროს-ერთ შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“.

რა საბუთი გვაქვს ამისათვის? ამაზე ილია უპასუხებს: „გამოცნობილია, რომ რამდენადაც ბევრია საერთო სახელები ენაში და ახლოა ერთმანეთზე მათი მნიშვნელობა, იმდენად შესაძლოა გამოვარკვიოთ ცოდნა ეპოქისა“ (იქვე, გვ. 20). მაგრამ არის ერთი და ყველაზე მთავარი მეთოდი—აღნიშნავს ილია, როგორც ისტორიული მეცნიერებისა, ისე ყველა სხვა მეცნიერებისა—ეს არის შედარებითი მეთოდი, „რომელმაც დიდი ძალა მისცა თვით ფილოლოგიურ მეცნიერებას მას შემდეგ, რაც ფილოლოგიამ მას მიმართა. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, სადაც საქირთა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრ წყვილადსა—და ბნელს ნათელი მოეფინა. ბევრი დაფარული გამოჩნებურდა. ამიტომაც ამბობს ერთი მეცნიერი—„შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევა მოსილებია გონებითად ჩვენისა საუკუნისაო“ (იქვე).

ცალკე საკითხად გამოვყავით ილ. ჭავჭავაძის შეხედულება საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და საქართველოში რუსეთის მფლობელობის შესახებ. ეს საკითხი ეხება ილ. ჭავჭავაძის პოლიტიკურ კრედოს.

საქართველოს რუსეთთან შეერთება, ილ. ჭავჭავაძის აზრით, განსაზღვრა მისმა მწვავე საგარეო კრიზისმა და რუსეთის ექსპანსიამ კავკასიაში, როცა წინა აზიაში ორ მეტოქე ძალთა—ირანისა და ოსმალეთის—რკალში მოქცეულ და თვითმწყობობისათვის მებრძოლ საქართველოს დაუახლოვდა რუსეთი. ეს მოხდა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში.

„ეს ორმხრიული მტრობა საქართველოსათვის ახალი არ იყო—წერს ილ. ჭავჭავაძე—თუმცა დიდი ხანია ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ამ აზრით ეტანებოდნენ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ საქართველო ასე თუ ისე, როგორც იყო იგერიებდა ერთსაც და მეორესაც და არც ერთს არა ნებდებოდა. ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგრმონანგრიეს, ჩამოსთაღეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ შეუნგრის. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე, შეირჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა, როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მოაბჯინა კავკასიის მთებს“.

სამი საუკუნის მანძილზე ირანის და თურქეთის დამპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლმა საქართველომ ახლა მის კიდურზე მომდგარ ახალ დიდ ძალას მიმართა, მისკენ „მიიხედა და გული მიიბრუნა“, რომ ის მფარველად ვაეხადა და ამრიგად დაედწეა თავი ირან-თურქეთისაგან განსაცდელისათვის.

რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებამ და ამის შედეგად მფარველობით-მა ხელშეკრულებამ, ილ. ჭავჭავაძის აზრით, კიდევ უფრო გაამწვავა საქმე. ამას მოჰყვა ალა-შაჰმადხანისაგან თბილისის განადგურება, მაგრამ საქართველომ მაინც არ უარყო რუსეთის ორიენტაცია, მით უმეტეს, რომ დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი“ შეეხსნა, უფრო კარლია შეიქმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარშემორტყმულ მტრებს“, ასე დაჩქარდა საქართველოს რუსეთთან შეერთება (ასის წლის წინააღმდეგობა, „ივერია, 1899 წ., 255; თხზ. V, 233).

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან, ილიას დასაბუთებით, იწყება ახალი ხანა, ხანა მისი მშვიდობიანი ცხოვრებისა, რომელსაც უნდა უზრუნველყო მისი თვითარსებობა და მომავალი: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჭღერა ხმლისა და მახვილისა მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწავადა და ჰბუგავდა ჩვენს მამაპაპათა ბინას, გათავდა რბევა და აკლება“ ... დაუდგა ახალი ხანა, ხანა უშიშარი ცხოვრებისა სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს“ (გვ. 235).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე რუსეთის მფლობელობას საქართველოს ფიზიკურად გადაარჩინისა და მისი დაცვის მნიშვნელობას აძლევდა. ამ მხრივ მიაჩნდა მას გამართლებულად საქართველოზე რუსეთის პოლიტიკური უკლებობა და დადებითი მნიშვნელობის დიდ ისტორიულ მოვლენად თვლიდა მას მაშინ, როდესაც ის მთელი არსებით რუსეთის მფლობელობას ებრძოდა. საქართველოს გმირული ისტორიული წარსული იყო ილ. ჭავჭავაძის სუნთქვა, მაგრამ მხოლოდ აწმყო ამოქმედებდა მას, როცა სოციალ-პოლიტიკური თავისუფლების მაღალ იდეებს უმღეროდა თავის ხალხს მომავალი ბედნიერებისათვის.

დიდი მოაზროვნე სპეციალურ ისტორიულ საკითხებსაც მთელი სიღრმით ჩასწვდა და საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას, თავისი დროის მეცნიერების მიღწევების მიხედვით, აქტუალური საკითხები გაუთვალისწინა.

ილია ჭავჭავაძე ხომ რეფორმატორი იყო ქართული ენისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა და საერთოდ კულტურის დარგში. ახალი იყო მისი სიტყვა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც.

ისტორიულ ლიტერატურაში განმტკიცებულია აზრი, რომ 1832 წლის შეთქმულება საქართველოში მოწყობილი იყო ქართველი ფეოდალების წინათ მმართველი წრის მიერ და მას მიზნად ჰქონდა დასახული რუსების განდევნა საქართველოდან და აქ ბაგრატიონთა ხელისუფლების აღდგენა იმ სახით, როგორც იგი რუსეთის ხელისუფლების დამყარებამდე არსებობდა¹.

მკვლევარები, ამრიგად, მიყვებიან საგამომძიებლო კომისიის დასკვნას².

ეს შეხედულება უკანასკნელ დროს ხაზგასმით გამოთქვა ამხ. აღ. ქუთელიამ. სოლ. დოდაშვილის „ლოგიკის“ წინასიტყვაობაში იგი წერს: „1832 წლის შეთქმულება ქართველ უფლისწულთა და ყველაზე უფრო აგრესიულ თავადთა და აზნაურთა შეთქმულება იყო მეფის მმართველთა წინააღმდეგ კავკასიაში იმ მიზნით, რომ აღედგინათ თავიანთი დინასტია და პრივილეგიები“³.

სწორია თუ არა ეს აზრი?

უეჭველია ის, რომ ქართველი თავადაზნაურების ბრძოლა XIX ს. 20-იან და 30-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოადგენს ფეოდალურ-მონარქიულ „ნაციონალურ“ მოძრაობას. ამხანაგი სტალინი ამის შესახებ გარკვევით ლაპარაკობს (1904 წ.): „ქართველ თავადაზნაურობას“ უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედობა! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“⁴.

უდავოა ის, რომ 1832 წლის შეთქმულება საქართველოში წარმოადგენს ძირითადად ქართველ თავადაზნაურთა მოძრაობას და მონარქიულ ხასიათს ატარებს. ჰემზარიტებას წარმოადგენს ის, რომ შეთქმულთა ძირითადი ნაწილი თავის მიზნად ისახავდა რუსი მმართველებისაგან საქართველოს განთავისუფლებას იმისათვის, რომ აქ ბაგრატიონთა დინასტია აღედგინა და თავადაზნაურობის ბატონობა დაემყარებინა.

ყველაფერი ეს უდავოა. მაგრამ 1832 წლის შეთქმულების ასეთი ზოგადი დახასიათებით არ შეიძლება დავეყიფილდეთ ამ ისტორიული ამბის სპეციალური გამოკვლევის დროს, განსაკუთრებით დღეს. მასალები, რომელნიც დღეს ჩვენს განკარგულებაში არის, გვაძლევენ იმაზე გაცილებით მეტის თქმის

¹ იხ. წერილი „Грузинская ССР“, в БСЭ, т. XIX, стр. 569, И. А. Джавахишвили. Политическое и социальное движение в Грузии XIX в., С.-П., стр. 27—28, ს. კაკაბაძე. „საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი ეპოქა“, თბ. 1910, გვ. 186—187, В. Н. Иваненко. „Гражданское управление Закавказьем“, Тб., 1901, стр. 192—194, პროფ. მ. შოლივეკტოვი. საარქივო მასალები საქართველოში 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის, იხ. „საქართველოს არქივი“, 1927 წ. II, გვ. III.

² იხ. Акты Кавк. арх. общ., т. VIII, стр. 291—423.

³ იხ. სოლ. დოდაშვილის ლოგია, თბ., 1949, წინასიტყვაობა, გვ. XXXI.

⁴ ი. ბ. სტალინი. „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“, თბ. კრებ., ტ. I, გვ. 32.

უფლებას, რაც შეგვეძლო გვეცოდნოდა ჩვენ იმ მონაცემებით, რაც თავის დროზე გამოქვეყნებული იყო (ცნობილ „АКТЫ“-ში).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ იქნება სწორი 1832 წლის შეთქმულების ყველა მონაწილე წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანად ერთიანი მასა, ვეძებოთ მასში მხოლოდდა მხოლოდ „ქართული უფლისწულები და ყველაზე უფრო აგრესიული თავადები და აზნაურები“, ვილაპარაკოთ შეთქმულთა მთელი მასის „რეაქციული, ანტი-ხალხური არსის“ შესახებ¹. იმ მასალების შესწავლა, რაც 1832 წლის შეთქმულებას შეეხება, გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ამ შეთქმულებაში მოქმედებდნენ სხვა ძალებიც, რომლებსაც სულ სხვა მიმართულება ჰქონდათ, რომ შეთქმულების ორგანიზატორთა და ხელმძღვანელთა რიგებში ისეთი პირებიც იყვნენ, რომელნიც საქართველოში „აგრესიულ თავადთა და აზნაურთა“ ხელისუფლების დამყარებაზე სრულებით არ ოცნებობდნენ.

1. დავიწყოთ სოლომონ დოდაშვილით. საგამომძიებლო კომისიამ ს. დოდაშვილი იცნო შეთქმულების ერთ-ერთ ორგანიზატორად და მის იდეოლოგად². კომისიას ამის საფუძველი ჰქონდა. შეთქმულთა ჩვენებიდან აშკარად ჩანს ის, რომ ს. დოდაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო შეთქმულების ორგანიზაციაში. ორგანიზატორული ფუნქციების გარდა ს. დოდაშვილის ხელში იყო ბეჭდვითი პროპაგანდის საქმე, მის ხელში იყო აგრეთვე ამ შეთქმულების იდეური დასაბუთების საქმეც. მან გამოსცა ქართული გაზეთი, იგი წერდა პროკლამაციებს³, წერდა ლექსებს⁴ და ა. შ.

შეთქმულების ასეთი აქტიური მონაწილე, მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, მისი იდეური ბელადი და მასწავლებელი სრულიადაც არ იყო მონარქისტი.

ამხ. აღ. ქუთელია ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ წინასიტყვაობაში, იკვლევს რა უკანასკნელის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს მისი პოზიციების შესწავლის მიხედვით 1832 წლის შეთქმულებაში და უკეთებს რა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ანალიზს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ს. დოდაშვილი არ იყო იდეოლოგი და მებრძოლი ბაგრატიონების მიერ დაკარგული დინასტიის აღდგენისა, არამედ იგი იყო გამოჩენილი განმანათლებელი, ბურჟუაზიული დემოკრატი და რესპუბლიკელი“. ს. დოდაშვილმა რუსეთიდან ჩამოიტანა „თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, თავისი სამშობ-

¹ აღ. ქუთელია. სოლ. დოდაშვილის „ლოგიკის“ წინასიტყვაობა, გვ. XXXV.

² იხ. „АКТЫ“..., стр. 400.

³ ასეთი ერთი პროკლამაცია, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით იყო გამსჭვალული, აღმოჩენილ იქნა განჩრეკის დროს სოლ. დოდაშვილთან. იხ. საგამ. საქ., რე. IX, ფ. 15—17.

⁴ იხ. გ. გოხალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, I, გვ. 95.

ლოს ნაციონალური განთავისუფლებისა და მისი რესპუბლიკად გარდაქმნის იდეა¹. იგი არ სცნობდა ხალხთა წოდებრივად დაყოფას².

ყოვლად შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ს. დოდაშვილს შეთქმულთა და მის მიმდევართა შორის არ ჰყოლოდა თავისი მომხრენი, რომ იგი ხელმძღვანელობდა მარტოოდენ მეფის გვირგვინის მადიებელთა შეთქმულებას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. გ. ხაჭაპურიძის აზრით ს. დოდაშვილის მეთაურობით მთელი „ჯგუფი“ იყო, რომელიც დასავლეთ ევროპის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ფიქრობდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გლეხობის მასები და ქალაქის მოსახლეობის ღარიბი ნაწილი ჩაება³.

შეთქმულთა შორის მთელ „ფრთას“ ხედავს აგრეთვე პ. ინგოროყვა⁴.

არ შეიძლება, ჩვენის აზრით, მართებულად ჩაითვალოს მკვლევართა ჩვეულებრივი მტკიცება, რომ შეთქმულთა მასა, ს. დოდაშვილის გამოკლებით, მთლიანად ძველი წყობილების მომხრე რეაქციულ თავად-აზნაურობისაგან შესდგებოდა. ამხ. ა. ქუთელიას აზრით, მაგალ., რესპუბლიკელი ს. დოდაშვილი იყო მარტოდ-მარტო მონარქისტ შეთქმულთა შორის, უკანასკნელებმა იგი მოატყუეს და ისე გამოიყენეს. თურმე „ზოგიერთი მათგანი (შეთქმულთაგანი ლ. ბ.) ხანდახან, როცა მარტო რჩებოდა დოდაშვილთან“, ეპირფერებოდა მას და თავს რესპუბლიკელად ასაღებდა⁵.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ს. დოდაშვილის ჩათვლა ასეთ გულუბრყვილო ადამიანად, რომელსაც ყველა ატყუებს, რომელიც ვერ ხედავს იმას, თუ რას აკეთებს, რაზმებს და ასულდგმულებს მარტოოდენ მისი იდეებისადმი მტრულად განწყობილ, ძველი წყობილების მოტრფიალე „ყველაზე აგრესიულ თავადებსა და აზნაურებს“, — ს. დოდაშვილის ასეთ გულუბრყვილოდ ჩათვლა, ჩვენი აზრით სწორი არ იქნებოდა.

ს. დოდაშვილი ხედებოდა შეთქმულებს და ჰქონდა მათთან სოციალურ-პოლიტიკურ თემებზე მსჯელობა, რასაკვირველია, არა მხოლოდ მაშინ, როცა თითოეულ მათგანთან მარტო რჩებოდა. იგი შეთქმულებს იცნობდა არა მარტო მათი პირადი ნაამბობით. ს. დოდაშვილს ჰქონდა უფრო სარწმუნო მონაცემები იმ პირებზე, ვისთანაც იგი წლობით იყო დაკავშირებული.

2. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მთელი რიგი, მაგ.: ბატონი-შვილი ფარნაოზი და დიმიტრი ბაგრატიონი, სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარი, დიმიტრი და გიორგი რაფიელის-ძე ერისთავები, ალექსანდრე და ვახ-

¹ იხ. ს. ლ. დოდაშვილის „ლოგია“, წინასიტყვაობა, გვ. XXXV, V—VI, XXIV, ზახი ჩემია. ლ. ბ. იხ. აგრეთვე გვ. XXXIX—XL.

² Г. Хачапуридзе. К вопросу о культурных связях России и Грузии в первую половину XIX века, იხ. ჟურნ. „Вопросы истории“, 1946, № 5—6, стр. 87.

³ ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული პროფ. მ. პოლივეკოვისათვის. იხ. „საქართველო მასალები საქართველოში 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის“, „საქართველოს არქივი“, 1927 წ., I, გვ. 111.

⁴ პ. ინგოროყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1945, გვ. 5—6.

⁵ იხ. ს. ლ. დოდაშვილის „ლოგია“, წინასიტყვაობა, XXXII, XLV.

ტანგ ორბელიანები, სოლომონ რაზმაძე, ტარასი ალექსიშვილი, ზაქარია და ალექსანდრე ჩოლოყაშვილები, დიმიტრი ჯორჯაძე და სხვები XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ცხოვრობდნენ, მეტწილად პეტერბურგში¹.

დეკემბრის ამბების შემდეგ, 1827 წლიდან დაწყებული, ეს პირები სხვადასხვა დროს ბრუნდებიან საქართველოში. მათ გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოში 1832 წლის შეთქმულების მოწყობის საქმეში.

ამ ვარაუდებზე მიუთითებს, სხვათა შორის, თავის მოგონებებში შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი—ალ. ორბელიანი:

„რუსეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდები, —წერს, იგი,—და მე გავერთიანდით ამ საქმეში... განათლებული ახალგაზრდობა ჩამოვიდა პეტერბურგიდან და ქართველები შეუდგნენ საერთო შეთქმულების მოწყობას².

საქართველოში მყოფ შეთქმულებს მუდმივი ცოცხალი და წერილობითი კავშირი ჰქონდათ რუსეთში დარჩენილ ქართველებთან.

1830 წელს პეტერბურგიდან საქართველოში შეთქმულების მოსაწყობად სპეციალურად ჩამოვიდა ელიზბარ ერისთავი. შეთქმულების საქმისათვის აგრეთვე საქართველოში ჩამოვიდა ბატონიშვილი ოქროპირ ბაგრატიონი.

დიმიტრი ერისთავი პეტერბურგიდან თბილისში გამოგზავნილ წერილში თავის ძმას ელიზბარს აუწერს აჯანყების მსვლელობის საქმეს პოლონეთში და სთხოვს მას დაწერილებით აცნობოს საქართველოში საქმის მსვლელობა. იგი ეკითხება პირობითი ენით: „რატომ არ იწერები, ბევრი გყავს მეგობარი, თუ ცოტა“³. „მეგობრებში“ ივულისხმება შეთქმულების წევრები. წერილში მოხსენებულნი არიან ვიორჯი ერისთავი, მამუკა და დავით ჯორჯაძეები და მათ შორის ლაპარაკია ქეთევანზე (ბაგრატიონი).

ალ. ორბელიანი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ ელიზბარ ერისთავს მიმოწერა ჰქონდა ბატონიშვილ დიმიტრი ბაგრატიონიან 1831 წელს. იგი მოუთხრობს იქვე: „საქართველოში შესდგა საზოგადოება და ამ საზოგადოებამ დიმიტრი ბატონიშვილი მოიწვია საქართველოში“⁴.

ლუარსაბ ორბელიანი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ „ჩოლოყაშვილმა შეთქმულების შესახებ იცოდა პეტერბურგში იმ წერილებიდან, რომლებიც მას ეგზავნებოდა საქართველოდან“. შემდეგ ნათქვამია, რომ ბატონიშვილი დიმიტრი ბაგრატიონი თბილისში გამოგზავნილ წერილში თავის დას თამარს ეკითხებოდა, „მომწერეთ, რას აკეთებთ, ელიზბარ, ვახტანგი და სხვ. როგორ ატარებენ დროს?“ და ა. შ.⁵

ს. დოდაშვილი და ალ. ორბელიანი თბილისიდან გაგზავნილი წერილით ატყობინებდნენ ოქროპირ ბაგრატიონს შეთქმულების მოწყობის შესახებ.

¹ იხ. საგამომძ. საქ., რგ. I, ფ. 1056, რგ. XI, ფ. 1153, 1211 1148, 1289, რგ. XVI, ფ. 2911.

² გ. გ. ზ. ა. ლ. ი. შ. ვ. ე. ლ. ი. 1832 წლის შეთქმულება, I, გვ. 121, 128,

³ იქვე, გვ. 19.

⁴ იქვე, გვ. 21.

⁵ იქვე.

ოქროპირ ბაგრატიონი, იმყოფებოდა რა პეტერბურგში, სისტემატურად იღებდა შეთქმულთა მუშაობის შესახებ ცნობებს. იგი მიმართავს რა დიმიტრი ერისთავს, ელაპარაკება მას: „შენ უკვე მიემგზავრები საქართველოში, მე იქ ვესაუბრე სოლომონ დოდაშვილს, შენ ძმას და ალ. ორბელიანს იმის შესახებ, რომ მათ იქ უნდა მოაწყონ საზოგადოება ახალგაზრდობისაგან და შენ გთხოვ მიიღო მონაწილეობა და მაცნობო შეთქმულების მსვლელობის და შეთქმულების მონაწილეთა შესახებ“. ზემოხსენებულ პირებს გარდა იგი ასახელებდა ალექსანდრე ქავჭავაძესა და გიორგი ერისთავს¹

საქართველოში 1832 წლის შეთქმულების კავშირის შესახებ იქ მყოფ ქართველებთან პეტერბურგიდან მოგვითხრობენ სხვა შეთქმულები².

ამრიგად, საქართველოში 1832 წლის შეთქმულების დასაწყისს საფუძველი პეტერბურგში ჩაეყარა. შეთქმულების ორგანიზატორები და მთავარი მონაწილე ქართველები რუსეთიდან დაბრუნდნენ [და მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ იქ დარჩენილ შეთქმულების მონაწილე სხვა ქართველებთან. 1832 წლის შეთქმულება საქართველოში, მაშასადამე, წარმოიშვა განსახლებულ წრეში, რომელშიაც ტრიალებდა ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში, შეთქმულებას კვებავდა განსახლებული იდეური ატმოსფერო, რომელიც გარს ერტყა XIX ს. 20-იან წლებში ამ ახალგაზრდობას.

როგორი იყო ეს ატმოსფერო?

არ არის საეჭვო, რომ საქართველოს ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი, რომელიც რუსეთში ჩავიდა განათლების მისაღებად ანდა გადასახლებული იყო იქ, იმყოფებოდა განმათავისუფლებელთა მოძღვრების გავლენის ქვეშ, მოძღვრებისა, რომელიც გავრცელებული იყო რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობას შორის XIX ს. დასაწყისში და შემდგომ გამოვლინდა დეკაბრისტთა მოძრაობაში.

ცნობილია, თუ როგორ ეკიდებოდა ს. დოდაშვილი დეკაბრისტებს. მისი ბინის გაჩხრეკის დროს ჩამორთმეულ ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა რილევის მიერ სიკვდილის წინ ციხიდან ცოლისთვის გამოგზავნილი წერილი³ ასლი. ს. დოდაშვილმა უჩვენა საგამომძიებლო კომისიას, რომ რილევის ეს წერილი მან „გადაწერა პეტერბურგში 1826 წ. სტუდენტ კრუშკისგან“⁴.

დეკაბრისტების რევოლუციური იდეებით გატაცებული იყო არა მარტო ს. დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე თარგმნის საფრანგეთის მთავრობის 1830 წ. დეკრეტებს, წერს პოლიტიკური ხასიათის ლექსებს⁵.

¹ იქვე, გვ. 22—24.

² იქვე, გვ. 18—26.

³ საგამომძ. საქ., რგ. XI, ფ. 1813.

⁴ იხ. გ. ვ. ოხალაიშვილი: „1832 წლის შეთქმულება“, I, გვ. 98—101.

საქართველოში 1832 წ. შეთქმულების მონაწილეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ დეკაბრისტები. შეთქმულების ერთ-ერთ ორგანიზატორსა და აქტიურ მონაწილეს—ელიზბარ ერისთავს—რილევეს უწოდებენ¹.

„ნალივაიკოს აღსარების“ ტექსტი თარგმნა ქართულად გრიგოლ ორბელიანიმა („გვიე ამილახვარის აღსარების“ სახელწოდებით), ელიზბარ, ალექსანდრე და გიორგი ერისთავების, ვახტანგ ორბელიანის და სხვათა დავალებით. „ნალივაიკოს აღსარების“ ტექსტი შეთქმულებმა ზეპირად იცოდნენ².

1832 წლის შეთქმულები დიდად აფასებენ დეკაბრისტებს. სიკვდილით დასჯილ დეკაბრისტების ხსოვნა მათთვის წმინდათაწმინდაა. დამახასიათებელია ამ მხრივ ის გარემოება, რომ შეთქმულები უსაზღვრო სიხარულით შეხვდნენ საქართველოში გავრცელებულ იმ ხმებს, რომ აჯანყებულმა პოლონელებმა პესტელს, რილევეს და მის ამხანაგებს ძეგლი დაუდგეს³.

ქართველი შეთქმულები კარგად იცნობენ რილევეს, პესტელს და საერთოდ დეკაბრისტებს. ისინი კარგად იცნობენ დეკაბრისტების გამოსვლების ტაქტიკას, იციან და აღნიშნავენ ამ ტაქტიკის უარყოფით მხარეებს. ზაქარია ჩოლოყაშვილი, რომელიც 1811 წ. პეტერბურგში ცხოვრობდა, როგორც ამას უჩვენებენ ანტონ აფხაზი და ელიზბარ ერისთავი, იხილავდა მათთან ერთად 14 დეკემბრის აჯანყების გეგმას⁴. სთვლიდნენ რა უხეშ შეცდომად დეკაბრისტების 14 დეკემბრის გამოსვლას სენატის მოედანზე და არა არსენალთან⁵, საქართველოში 1832 წლის შეთქმულები თავისი გამოსვლის გეგმით თავდაპირველად არსენალისა და ხაზინის დაკავებას ითვალისწინებდნენ.

დასავლეთ ევროპის კონსტიტუციური იდეებით გამსჭვალული იყო ზოგიერთი ბატონიშვილიც. დიმიტრი ჯორჯაძე უჩვენებს, რომ ბატონიშვილ გიორგი ბაგრატიონთან პეტერბურგში ხშირად თავს იყრიდნენ ქართველები და აწყობდნენ საუბრებს. „ბატონიშვილი დიმიტრი ძალიან ხშირად მოუთხრობდა მათ თავისუფლებაზე, უხსნიდა საფრანგეთის უფლებებს, მისი მცხოვრებლების თავისუფალ ცხოვრებას, ებაასებოდა მეფის შეზღუდულ უფლებებზე, იმაზე, თუ რა უფლება აქვს საფრანგეთის თითოეულ მოქალაქეს მეფის არჩევის დროს და ბოლოს მოუთხრობდა საფრანგეთში მომხდარ აჯანყებებზე. ზოგჯერ მსჯელობდნენ თავისუფალი ქალაქების—მიანის ფრანკფურტის და კრაკოვის—მმართველების შესახებ, აღნიშნავდნენ რა ამ ქალაქების მოქალაქეთა თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას“⁶.

დიმიტრი ერისთავი თავის ჩვენებაში ლაპარაკობს, რომ პეტერბურგში ბატონიშვილ დიმიტრისთან ხშირად თავს იყრიდნენ: ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ორბელიანი, ელიზბარ და გიორგი ერისთავები და თვითონ

¹ საგამომძ. საქ., რგ. XXIII, ფ. 4746.

² იქვე, რგ. XI, ფ. 1893—1892, რგ. XXVII, ფ. 71—72.

³ იხ. იქვე, რგ. VI, ფ. 18.

⁴ იქვე, რგ. II, ფ. 34—36, 193—194.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, რგ. XII, ფ. 2161.



იგი. ბატონიშვილი დიმიტრი ატარებდა საუბრებს „თავისუფლების ისტორიიდან, რითაც აავუღიანა“ ისინი¹..

ბატონიშვილი დიმიტრის ძმამ ოქროპირ ბაგრატიონმა თარგმნა ქანქაკ რუსო².

დაბოლოს, ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება „ყველაზე უფრო აგრესიულ თავადად“ ჩაითვალოს 1832 წლის შეთქმულების ისეთი მონაწილე, როგორც იყო ცნობილი ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე. გრიბოდოვის, კუხელბეგერის და საქართველოში მცხოვრებ სხვა მოწინავე რუსების მეგობრობა ალ. ჭავჭავაძესთან, თვით პოეტის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რაც გამოიხატა მის ლექსში „ვაჰ სოფელსა ამას“, ა. ოდოევსკის ლექსის „გარდისა და ბულბულის“ და ვოლტერის ლექსის თარგმანში, აგრეთვე ნარკვევში „საქართველოს ისტორიის შესახებ“³—ყველა ეს სულ სხვა რამეზე ლაპარაკობს. „ვაჰ სოფელსა ამას“, როგორც ამას მკვლევარნი სამართლიანად აღნიშნავენ, „პირველი ლექსია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ზემთაგონებულია სოციალური თანასწორობის იდეებით“⁴, ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის მოკლე ნარკვევებში „საქართველოს ისტორიის შესახებ“, რომელიც მან ნიკოლოზ 1-ს წარუდგინა 1836—37 წ. წ., აღწერს იმ მძიმე მდგომარეობას, რასაც განიცდიდა საქართველო მეფის ჩინოვნიკებისა და ფეოდალური ჩაგვრის პოლიტიკის შედეგად. ყურადღების ღირსია ნიკოლოზ 1-ის წერილი პასკევიჩისადმი 1932 წლის შეთქმულების შესახებ. „თავადი ჭავჭავაძე ყველასათვის ცნობილი იყო და, უმძველია, იგი ისეთ როლს თამაშობდა, როგორც მიხეილ ორლოვი 14 დეკემბრის საქმეში“⁵.

„ყველაზე უფრო აგრესიულ თავადს“ სრულებით არ წარმოადგენს აგრეთვე გრიგოლ ორბელიანიც. შეთქმულების ამ აქტიური წევრის—მისი ერთ-ერთი ორგანიზატორის და ხელმძღვანელის—შეხედულების დასახასიათებლად მოვიტანთ ამონაწერს მისი დღიურიდან, რომელიც 1831 წელს არის შედგენილი ქ. ნოვგოროდში. გრ. ორბელიანი ადარებს ერთი-მეორეს ნოვგოროდის ძველ წყობილებას მის ახალ წყობილებასთან თვითმპყრობელურ რუსეთის პირობებში. „ფიქრმა ნოვგოროდისათვის არ დამაძინა დიდს ხანს,—წერს იგი,—გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათი მმართველობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, ვენეს ზარი (ანუ ბუკი), რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი მძიმე საქმის გარდასაწყვეტად. ნოვგოროდის რაიფობა მოსკოვის მეფეებთან და შემდგომად დამხობა მისი მრისხანე ივანეს მიერ“. „ვიდრე იყო რესპუბლიკა ნოვგოროდი ყვავილოვნობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა, და იგი იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულიც, და თვით თათართა მონებასაც ვალურჩა, გარნა აწ ალარ აჩრდილი სჩანს უწინ-

¹ იქვე, რე. XII, ფ. 3861.

² „არქეოლოგიური მოგზაურობანი“, ტ. I, გვ. 27. „აზრი ქანქაკ რუსოსანი სხვადასხვა საგნისთვის“.

³ „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა, 1801-დან 1831 წლამდე“.

⁴ იხ. ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობა წიგნში: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, გვ. X.

⁵ იხ. „Русский архив“, № 1, 1897, стр. 9.

გამსჭვალული. განსაზღვრული ნაწილი განათლებული ადამიანებისა (თუ არაფერს ვიტყვი თუც თავად-აზნაურებზე), ისეთები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1832 წლის შეთქმულებაში, აგრეთვე ისეთებისა, რომლებიც ამ შეთქმულებაში არ მონაწილეობდნენ, შორს იდგა საქართველოს კონსტიტუციურ სახელმწიფოდ გარდაქმნის აზრისაგან.

საქართველოს განათლებულ თავად-აზნაურთა ასეთი რეაქციული ნაწილის მავალითის მაჩვენებელია ბატონიშვილი ბაგრატი ბაგრატიონი, რომელიც დეკაბრისტების აჯანყების დროს პეტერბურგში იმყოფებოდა და რომელმაც ეს ამბავი სამშობლოში ჩამოიტანა. აი როგორი ვერსია გაავრცელა ბაგრატიონმა საქართველოში: „დღეს 19 ნოემბერს 1825 წელს გარდაიცვალა იმპერატორი ალექსანდრე I პავლეს-ძე, რომელიც ავადმყოფობდა 15 დღე ქალაქ ტაგანროგში... რომლის დიდება და მზრუნველობა თავის სამშობლოზე განუზომელი და ძნელი აღსაწერია. საუკუნო ხსენება მას, რომელიც ჩემი უზომო პატივისცემელი იყო. მე, ბაგრატი, მეფის შვილი, ვმუშაობდი მის სასახლეში კამერგერად. იმპერატორის ტახტზე ავიდა მისი ძმა კონსტანტინე პირველი, მაგრამ მისმა დედამ დედოფალმა მარიამ თევდორეს ასულმა 1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში უარი სთქვა ეცნო იმპერატორად კონსტანტინე, რადგანაც მან დატოვა მისი მართლმადიდებელი ცოლი და თავისი დედის თანხმობის გარეშე ცოლად შეირთო პოლონელი აზნაურის გრუზინოვის ქალიშვილი. ამიტომ მას მხარი დაუჭირა პეტერბურგის მთელმა წარჩინებულებმა, სინოდმა, სენატმა და კონსტანტინე პირველი, რომელმაც ჩამოსვლაც კი ვერ მოსწრო ვარშავიდან პეტერბურგში, სადაც იგი თავისი ოჯახით ცხოვრობდა, ჩამოაყენეს და იმპერატორად დასვეს მისი უმცროსი ძმა ნიკოლოზი. გაიგეს რა ამის შესახებ, გვარდიის ნაწილები შეეყოყმანდა. წინეთ მათ ერთგულების ფიცი მისცეს კონსტანტინეს და ამიტომ მათი უმრავლესობა არ გადადგა ამ ფიციდან. მათ მიეგზავნა შიტროპოლიტი სერაფიმი, რომ ჩაეხშო ამბოხება, მაგრამ მას, გარდა ხალხისა, არავინ არ დაუჭირა მხარი. პეტერბურგის და ქვეყნის უბრალო ხალხმა მოაწყო დიდი აჯანყება. ხალხი გაიყო ორ ნაწილად: ერთი ნახევარი იყო კონსტანტინეს მხარეზე, ხოლო მეორე კი — ნიკოლოზის. სენატის მოედანზე მოხდა ბრძოლა, ამ ბრძოლაში მოკლეს გრაფი მილორადოვიჩი, პეტერბურგის მთავარი მმართველი და შეფ-გენერალი. შემდეგ აჯანყებულ სამხედრო უფროსებთან მივიდნენ სალდათები და მდამბო ხალხი, ისროლეს ზარბაზნებიდან, გაიმარჯვა ნიკოლოზის მომხრეებმა, კონსტანტინეს მომხრეები კი დამარცხდნენ და თავისთავად გაიფანტნენ. რუსეთის ტახტზე აყვანილი იქნა ნიკოლოზი“¹.

ბაგრატი ბაგრატიონს თვითონ არ სჯეროდა, რასაკვირველია, ყოველივე ის, რასაც იგი თავის „საქართველოს ახალ ისტორიაში“ წერდა დეკაბრისტების შესახებ. აქ მთელი ამბავი მთლიანად აიხსნება მით, რომ ვითომც იყო ბრძოლა ტახტისათვის კონსტანტინესა და ნიკოლოზს შორის. ბაგრატი იმ დროს ცხოვრობდა პეტერბურგში, ალექსანდრე I-ლის სასახლეში

¹ „Материалы для истории Грузии, Батонишвили Давида Георгиевича и его братьев“, Тб. 1803, с. 166—167.

და საკმაოდ დაახლოებული პირი იყო მეფის კარზე. თვითონ იმპერატორი ალექსანდრე „მეტად პატივს სცემდა“ მას, თვითონ ბაგრატიანე ემელება მეფის წყალობის „ჩამოთვლა“. ამ მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის ძნელი აღმოჩნდა დაეწერა ისეთი რამ, რაც ოფიციალურ ვერსიას ეწინააღმდეგებოდა. ბაგრატი ამტკიცებს, რომ არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ წყობილებას არსაიდან არავითარი საფრთხე არ მოეღოს; იყო მხოლოდ ბრძოლა ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც დაიწყო დედოფალ მარიამის ინიციატივით. გვარდია არსებული წყობილების წინააღმდეგ არ აჯანყებულა, არამედ მან დაიცვა ის, ვისაც იგი კანონიერ ხელმწიფედ სთვლიდა.

ქართველი საზოგადოების განათლებულ ნაწილს შორის, კერძოდ 1832 წლის შეთქმულთა შორის, უმეტესად ცოტანი არ იყვნენ ისეთები, როგორც ბაგრატ ბაგრატიონია, ისეთები, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი ქვეყნის სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის საქმისადმი (თვით ბაგრატ ბაგრატიონს 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღია). მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც ამას ზემოაღნიშნული მონაცემები ადასტურებენ, სოლომონ დოდაშვილს შეთქმულთა შორის ჰყავდა თავისი თანამოაზრენი და მოკავშირენი სამშობლოს მეფის რუსეთისაგან განთავისუფლებისა და მისი კონსტიტუციურად გარდაქმნისათვის ბრძოლის საქმეში.

3. საქართველოს 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებულია არა მარტო 145 კაცი, რომლებიც საგამომძიებლო კომისიამ აღმოაჩინა, ამ შეთქმულებას უფრო მასობრივი ხასიათი ჰქონდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ზემოაღნიშნული საქართველოს ისტორიის ნარკვევში აჩვენებს, თუ სანამდე მიიყვანა საქართველოს მოსახლეობა მეფის ჩინოვნიკების პოლიტიკამ და ფეოდალურმა ჩაგვრამ. ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებებში მოგვითხრობს 1832 წლის შეთქმულების შესახებ: „ეს შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოკიდებული კასპის ზღვამდისინ სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულეყავით და ერთიანი აღრეულობა უნდა მოგვეხდინა... სრულიად საქართველოს დიდი კაცი და მცირენი და ბევრი სასულიერო წოდებანი, რომლებთაც ხნიანი დედაკაცი და ყმაწვილ ქალთა ერთი აზრი ქონდათ ყველას ჩვენთანა: ან უნდა გავწყვეტილეყავით სულ ერთიან, ან არადა მამული გამოგვეხსნა საშინელის ჩვენის მტრის რუსეთისაგან. ბევრმა პატიოსანმა გვარმა დედაკაცებმა დაიფიცეს: კაცურათ ჩავიცვამთ და ჩვენს უქანასქნელს სისხლს დავღვრით მამულის გამოსახსნელათო. ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა ბაიზაზების კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოაშაადეს...“ ზოგიერთი ამ ქალებიდან, რომლებიც საგამომძიებლო კომისიამ გამოამყვანა, გადასახლებულ იქნენ რუსეთში¹.

შეთქმულებასთან დაკავშირებული იყვნენ არა მარტო უმაღლესი წოდების წარმომადგენლები. სოლომონ დოდაშვილი ეყრდნობოდა კახეთის გლეხობას,

¹ იბ. გოხალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, I, გვ. 128—129.

ამ მიზანმიმართულებით მუშაობდა საგამომძიებლო კომისია. იგი ცდილობდა მთელი მოძრაობა წარმოედგინა როგორც რამდენიმე უგუნურ თავადისა და აზნაურის შეთქმულება, რომელიც უფლისწულთა მიერ იყო მოწყობილი იმისათვის, რომ მათ თავიანთი წარსული მდგომარეობა აღედგინათ. საგამომძიებლო კომისიის მთელი ანგარიში, რომელიც მან ბარონ როზენს წარუდგინა და გამოძიების შედეგების შეჯამებას წარმოადგენს, აქრელებულია სათაურებით: „Наушение царевича Окропира“, „Внушение князя Димитрия და სხვ. დამახასიათებელია ის, რომ საგამომძიებლო კომისიამ ჩათვალა ოცნებად („Способом мечтательным“), „ცარიელ ტრაბახად“ შეთქმულთა, და, კერძოდ, სოლ. დოდაშვილის იმედი გლეხებზე¹.

4. საქართველოში 1832 წლის შეთქმულების ხასიათის შესახებ (თუმცა არაპირდაპირ) ლაპარაკობს ერთი გარემოებაც. არის მონაცემები, რომ რუსი ლიბერალი ჩინოვნიკები საქართველოში თანაუგრძნობდნენ ქართველი მოწინავე წრეების ზრახვებს და საქართველოში 1832 წლის შეთქმულების საქმის კურსში იყვნენ. ზოგი მათგანი არათუ თანაუგრძნობდა, მონაწილეც კი იყო ამ შეთქმულების.

რუსებისაგან, რომლებიც 1832 წლის შეთქმულების უშუალო მონაწილენი იყვნენ, საგამომძიებლო კომისიის მიერ გამოვლინებულ იქნენ მხოლოდ დუშეთის სამაზრო ისპრავნიკი ტიტულიარნი სოვეტნიკი დიმიტრი პაუშენკო და თბილისის პოლიცემისტერი ანდრია მელნიკოვი.

დ. პაუშენკო, როგორც გიორგი ერისთავმა აჩვენა, „ასწავლიდა და ამხნეევდა“ შეთქმულებს, ჩააგონებდა მათ ემუშავათ დღე და ღამ, აწვდიდა მათ პოლონეთში, საფრანგეთში მომხდარ ამბებს და ა. შ. აღ. ორბელიანის ჩვენებით დ. პაუშენკო აქტიურ მონაწილედ ითვლებოდა 1832 წლის შეთქმულებაში. იგი იძლეოდა მითითებებს შეთქმულებაში ახალი პირების ჩაბმისა, სამხედრო ნაწილებს შორის მუშაობის აუცილებლობაზე, აჯანყების გეგმაზე და ა. შ. ეს დასტურდება თვით დ. პაუშენკოს ჩვენებიდანაც².

ანდრია მელნიკოვი, როგორც ლუარსაბ და ალექსანდრე ორბელიანები და გიორგი და ელიზბარ ერისთავები აჩვენებენ, შეთქმულების მონაწილე იყო, იძლეოდა რჩევა-დარიგებებს. მის ბინაზე ხშირად თავს იყრიდნენ შეთქმულების მონაწილენი. შეთქმულების საქმის კურსში იყო აგრეთვე ა. მელნიკოვის ცოლი მელანია (დაბადებით ერისთავის ქალი³).

1832 წლის შეთქმულების მონაწილე, შემდგომ ცნობილი ქართველი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი თავის მოგონებებში ამ ორი რუსი მოღვაწის შესახებ წერს: „ჩემ მოვალეობად მიმაჩნია ვთქვა მათ შესახებ ის, რაც მე ვიცოდი. იმდროინდელ საზოგადოებაში მათი რეპუტაცია უმწიკვლო იყო, პაუშენკოს ტალანტურ და სამაგალითო პატიოსან ჩინოვნიკად სთვლიდნენ. მელნიკოვის შესახებ ამბობდნენ, როგორც მკაცრ და პატიოსან პოლიცემისტერზე“.

¹ იქვე, გვ. 407.

² იხ. გ. ვოხალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, I, გვ. 63—68.

³ იქვე, 69—70.



რომელიც დღესაც (XIX საუკუნის ოთხმოციანი წლები) ახსოვთ თბილისის მოხუცებს. თუ იგი მოიქცეოდა ისე, როგორც სხვა ტიტულიარნი სოვეტნიკები იქცეოდნენ, მას ადვილად შეეძლო გამდიდრებულიყო, მაგრამ როდესაც იგი სასწაულოდან წავიდა, ღარიბი აღმოჩნდა¹.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. როგორც საქართველოში შეთქმულთა საქმის დაკითხვის ოქმიდან ჩანს, 1832 წლის შეთქმულება დიდი ხანია კოორდინებული იყო პოლონეთის 1830—1831 წლების აჯანყებასთან. ზოგიერთი ქართველი შეთქმული პირდაპირ აჩვენებს პოლონელებთან კავშირზე. ბრალდებული გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მეფისწულ დავითთან დაკავშირებული იყო ერთი პოლონელი (ჩანს, 1813 წლამდე), რომლის გვარს იგი არ ასახელებს (ვითომც მას არ შეუძლია უცხო გვარის დამახსოვრება). ეს პოლონელი იცნობდა საქართველოს წარსულს და ძლიერ სწუხდა მის დღევანდელ მდგომარეობაზე². ბრალდებულები დაჟინებით ცდილობდნენ გამოეყვანათ საქმიდან ეს პოლონელი. ერთი აჩვენებს: „მისი გვარი და სახელი არ ვიცი... ტანად მომცროა, შავგრემანი, თმა შავი, ქალარა შერეული³, იგი მგონი ვილნოს გუბერნიიდან არის“. ბრალდებული ორბელიანი აჩვენებს: „პოლონელი, რომელსაც მე ვხედავდი, იგი მგონი ვილნოს გუბერნიიდან არის, სახელი არ მახსოვს, იგი ქერაა, პატარა ქილვაშებითაა, არ ვიცი სად მსახურობს და დიდი ხანია თუ არა პეტერბურგში“⁴.

ერთი სიტყვით, პოლონელი გამოურკვეველი დარჩა. ასეთი პოლონელი, რომელთანაც ქართველ შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ, ალბათ ერთი არ იყო. ზემოთ მოხსენებული ალ. ორბელიანი თავის მოგონებებში სხვათა შორის მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უგდებდნენ ყურს 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი პოლონეთის აჯანყებას⁵.

5. ბოლოს, მეტად საყურადღებოა ერთი გარემოება. შეთქმულებს შემუშავებული ჰქონდათ „საქართველოს მმართველობის პროექტი“. პროექტი დაამუშავა გიორგი რევაზისძე ერისთავმა ელიზბარ ერისთავთან ერთად, შეთქმულების ერთ-ერთ ხელმძღვანელ ალექსანდრე ვახტანგისძე ორბელიანის მინდობით, იმ ალექსანდრე ორბელიანის რომელსაც შეთქმულები რილეგვს უწოდებდნენ. შეთქმულთა წრეში ეს პროექტი ხშირად იკითხებოდა, მას გულდასმით არჩევდნენ⁶.

როგორც გიორგი რ. ერისთავი აჩვენებს, ამ პროექტით „2 სამთავრობო ადგილი იყო—ზედა და ქვედა. ზედაში იყვნენ: პირველი პირი თვით მეფე, რომელშიც ალექსანდრე ბატონიშვილს გულისხმობდნენ, მე-2-ე—სამხედრო მინისტრი ჭავჭავაძე, მე-3-ე—იუსტიციის მინისტრი მუხრანბატონი, მე-4-ე

¹ საგამომ. საქ., რგ. IV, ფ. 635—636.

² იქვე, ფ. 635, გ. ერისთავის ჩვენება.

³ იქვე, გვ. XII, ფ. 2193.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 24.

⁶ იხ. გ. გ. ალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 134—135, 143—144, 167, 185

— ფინანსთა მინისტრი თ. ფალავანდიშვილი, მე-5-ე — შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი ჭილაშვილი, მე-6-ე — საგარეო საქმეთა მინისტრი გენ. თ. ბეზუთაშვილი. ქვედა სამმართველოში უნდა ყოფილიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები, რომელთაც თავის საქმეები უნდა განეხილათ¹.

იასე ფალავანდიშვილი, რომელმაც შეთქმულება გასცა, დასმენის პატაკში უფრო ზუსტ ცნობებს იძლევა: ქვედა სამმართველოში მეფეს თავმჯდომარის ადგილი უკავია, „ქვედა სამმართველოში დაჯდებიან დეპუტატები თვითეულ მაზრიდან თითო, სასულიერო მმართველობა კი გადაეცემა (предоставлено) საქართველოს მიტროპოლიტს. მაზრაში კი იქმნებიან სამდივნოები (диваны სასამართლოები). თითოეულ მათგანში იქნებიან თითო თავადი, აზნაური მოქალაქე (მხედველობაშია საზოგადოების დაბალი ფენა. ლ. ბ.) და სასულიერო პირებიდან ერთი მღვდელი“. ი. ფალავანდიშვილი დასძენს, რომ პროექტი უნდა წაეკითხათ ხალხისათვის აჯანყების მოხდენისთანავე². ამასვე ამბობს ალ. ორბელიანიც³.

ზაალ ავთანდილაშვილი აჩვენებს: „აჯანყების მეორე დღეს გვინდოდა სეიმის დაარსება, სანამდი კი მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მმართველობა უნდა მიგვენდო სეიმის წევრებისათვის, რომელთა არჩევას საზოგადოება ღირს ყოფდა (к выбору коих удостоит общество)“⁴.

შეთქმულები, როგორც ჩანს, მტკიცედ იცავდნენ არჩევითი პრინციპს. „არჩევის ღირს უნდა იყოს“ საზოგადოების არა თუ სეიმის წევრები და მეფე ან სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი, რეგულარული ჯარის ნაწილებიც არჩევითი წესის საფუძველზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი: უფროსები უნდა „დანაშნული“ ყოფილიყვნენ „არჩევითი წესით (способом избирательным)“⁵...

იმ მასალებიდან, რაც აქ ჩვენ მოვიყვანეთ, შეიძლება დავასკვნათ:

1. ქვეყნის სათავეში ნაგულისხმევია მეფე (წამოყენებულია კანდიდატურა ბაგრატიონების დინასტიიდან),

2. ქვეყნის მმართველობის ფორმის განსაზღვრის უფლება ეძლევა არა მეფეს. სახელმწიფო მმართველობის ფორმა, ის საკითხი, თუ „როგორი იქნება მმართველობა“ საქართველოში⁶, წინასწარ არის განსაზღვრული სპეციალურ საბუთში — „საქართველოს მმართველობის პროექტი“, რომელიც მომავალ ხელისუფლებისათვის დანასაქმს წარმოადგენს და მომავალ საკონსტიტუციო აქტს საფუძვლად უნდა დაედვას,

3. სასამართლო ხელისუფლება („ქვედა სამმართველო“) გამოყოფილია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. იგი (სასამართლო ხელისუფლება) არჩე-

¹ იხ. საგამომდ. საქმე, რგ. 1, ფ. 78-79.

² იქვე, ფ. 7.

³ იქვე, ფ. 31.

⁴ იქვე, რგ. IV, ფ. 1122.

⁵ რგ. XXV, ფ. 5008.

⁶ გ. ერისთავის ჩვენებიდან, იხ. საგამომდ. საქ., რგ. I, ფ. 78.

ო. სოსელია

გიორგი ერისთავის ყმათა ქონება და ვალდებულება

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბუთების ფონდში 397 ნომრის ქვეშ ინახება ერთი საბუთი ასეთი სათაურით: „სია ყმებთა აღწერილთა ვალთა შინა ქუთაისის მცხოვრების იდ-თა [14] კლასთა მელქო სოლოროვსთა მისადმი თის [თავადის] გიორგი ივანეს ძის ერისთავთა“. როგორც საბუთის სათაურიდან ჩანს, გიორგი ერისთავს მელქო სოლოროვის ვალი მართებია. ერისთავს ვალის გადახდა ვერ მოუხერხებია და ამის გამო მოვალის დასაკმაყოფილებლად აუწერიათ მისი ყმები.

საბუთში მოხსენებული გიორგი ერისთავი „ბარის ერისთავის“ ჩამომავალი უნდა იყოს. XVIII საუკუნის 30-იან წლებში იმერთა მეფე ალექსანდრე V-ემ თავის მოწინააღმდეგე რაჭის ერისთავების დასუსტების მიზნით ერისთავების სახლში უთანხმოების ჩამოგდება სცადა. მან ვადმოიბირა გრიგოლ რაჭის ერისთავის ბიძა გენათელი ეპისკოპოზი გედეონ. უკანასკნელმა მეფის ჩაგონებით თავი დაანება სასულიერო ხარისხს, წაართვა ცოლი თავის ძმისწულს პაპუნას, თვითონ შეირთო იგი და „მოვიდა მეფისა თანა“. ალექსანდრე V მისცა მას „საერისთო მამული იმერეთსა შინანი და უწოდეს ბარის ერისთავად“¹. ასე გაჩნდა იმერეთში „ბარის ერისთავი“. როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ივანეს-ძე ამ „ბარის ერისთავი“-საგან უნდა მომდინარეობდეს.

საბუთი უთარილოა, მაგრამ მისი დაახლოებით დათარიღება ხერხდება მასში მოხსენებული მელქო სოლოროვის მიხედვით. მელქო სოლოროვს ჩვენ ვხვდებით თარიღიან საბუთებშიც. 1835 წელს სიმონ ბაინდუროვი უჩივის მელქო სოლოროვს ქუთაისის კომენდანტთან: სოლოროვს მოჯამაგირედ ვყავდი, რამდენიმე თვე ვემსახურე და ჯამაგირი არ მომცაო². 1848 წელს კი თვით მელქო სოლოროვი სთხოვს დავით დადიანს: ისრაელაშვილს და ქაქუჩა ადამიას ჩემი ფული მართებთ და არ მაძლევენ. გთხოვთ განკარგულებას ვალი ვადამიხადონო³. ასე რომ მელქო სოლოროვი XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოქმედებს. გიორგი ერისთავის ყმათა ქონებისა და ვალდებულების სიაც ამდროს უნდა იყოს შედგენილი.

¹ ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. II, გამ. ჩუბინოვის, სპბ. 1854, გვ. 232. „ბარის ერისთავის“ შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ. 1922, გვ. 197.

² ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბუთების ფონდი, საბ. № 448.

³ იქვე, საბ. № 667.

საბუთი სრულად არ არის დაცული. ის ისეთ ადგილზე წყდება, რომ მას ბევრი უნდა აკლდეს. მაგრამ ის ერთი ფურცელიც, რომელიც ჩვენდრომდე მოღწეულია, საყურადღებო ცნობებს შეიცავს დასავლეთ საქართველოს ყმა-გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ამიტომაც მისი გამოცემა საჭიროდ მივიჩნიეთ, მით უმეტეს გამოქვეყნებულ ქართულ საისტორიო მასალებს შორის ასეთი ხასიათის საბუთს არც ისე ხშირად ვხვდებით¹.

ქუთაისის ისტორიულ-ფონოგრაფიული მუზეუმის საბუთი
 № 397, ზომის 21x35 სმ, დაწერილია სქელ თეთრ
 ქაღალდზე შავი მელნით, უშნო მხედრული
 ხელით, განკვეთილობის ნიშნად ზოგან ნახმარია წერტილი².

ს ი ა

ყმებთა აღწერილობა ვლთა შინა ქუთაისის მცხოვრების იდ-თა [14] კლასთა მეღქო სოლო-
 როვსთა მისადმი თის [თავადის] გიორგი იოვანეს ძის³ ერისთავთა.

№	სოფელსა ძულუხს ⁴	წელნი		დასი ვეცხლით	
		მამრისა	მდედრისა	მანეთი	კაპეიკი
1	კიკოლა მამუას ძე ხურციძე ცოლი მისი დოდო შვილები მათნი: ძენი: 1. მაქსიმე ასული 2. სოფიო ყმისა ამას აქვს სამოსახლო 1 ქცევა, მამული 6 ქცევა, საყანე 7 ⁶ ქცევა, ტყე 100 ქცევა. გარდა ამისა აქვს 1 სახლი, 2 ძროხა, 2 ღორი, 4 თხა ⁷ , 20 კოკა ღვი- ნო, ღომი 2 ურემი, სიმინდი 4 ურემი,	7 ⁵	20		
		2		I	

¹ თუმცა ნავიანევი ხანის (1863 წლის), მაგრამ ასეთივე შინაარსის საბუთი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებების საბუთების Qd ფონდში 1816 ნომრით. საბუთი 31 აკინძული ფურცლისაგან შედგება, წარმოადგენს მიხეილ გიორგის ძე ანდრონიკაშვილის მამულებისა და ყმათა ქონების აღწერილობას.

² რადგან საბუთს აკლია, არ ჩანს დედანია ის, თუ პირი.

³ „იოანეს ძე“ ტექსტში გადახაზულია.

⁴ ძულუხი ვანის რაიონშია. ამ სოფელში ეწლაც ცხოვრობს ერისთავების რამდენიმე ოჯახი.

⁵ წლოვანება ნაჩვენებია არ არის.

⁶ ტექსტში ეს ციფრი „ზ“ ასოთი არის აღნიშნული.

⁷ „4 თხა“ სტრიქონს ზემოთ სწერია ტექსტის ხელით.

	წელი		უასი ვეცხლით	
	მამრისა	მდედრისა	მანეთი	კაპეიკი
2	4 ბათმანი ლობიო. ყმასა ამას მართებს ყოველდღიური შინაყმა, ერთი ოყა სანთელი, ერთს წელიწადს სამის ¹ მოხმარება, ერთი დოქი ღვინო, ერთი ქათამი. წლიური შემოსავალი ამა ყმისა ჭღირს			
			16	60 ³
	52	60		
	ლაზარე ხაუტას ძე ხურციძე ცოლი მისი დარიჯან ⁵ შვილნი მათნი ძენი:			
	25			
	1. კიკოლა ცოლი მისი ბარბარა ძე მისი			
	4	27		
	19			
	1. დათა 2. როსტომა ცოლი მისი ხვანვალა ძე მათი:			
	2	16		
	13			
	7			
	ყმას ამას აქვს სამოსახლო 4 ქვევა. მამული 16 ქვევა, ტყე 100 ქვევა. ამას გარდა აქვს 1 1/2 სახლი, 1 ბეღელი, 1 სასიმინდე ⁵ , 1 ცხენი, 1 ხარი, 1/2 ძროხა, 3 ღორი, 3 თხა ⁶ , ღვინო 100 კოკა, ღომი 6 ურემი, სიმინდი 7 ურემი, ლობიო 7 ბათმანი. ყმას ამას მართებს მიუცილებელი შინაყმა, სამის დღის მოხმარება წელიწადში, 1 ოყა სანთელი, 22 პატარა პურები, ერთი ქათამი. წლიური შემოსავალი ყმისა ამის ჭღირს სოფელს ს ი მ ო ნ ე თ ს ⁷			
			16	70
3	40			
		40		
	სიმონა თამაზას ძე გიორგაძე ცოლი მისი გულქან შვილნი მათნი: ძე			

¹ „სამის მოხმარება“ სამი დღის ან სამი კაცის მოხმარებას უნდა გულისხმობდეს.
² მანეთის გრაფაში 16-ს ქვევით ტექსტის ხელით წერია: 166. ამას ქვევით კიდევ—16. კაპეიკის გრაფაში 60-ს ქვევით წერია: 60, ამას ქვევით—600, ოღონდ ორივე ნული გადახაზულია. ეტყობა, საბუთის შემდგენს ხურციძის წლიური შემოსავლის გამორაგარიშება აქ უწარმოებია. ციფრების ასეთი არეგ-დარევის გამო ძნელი სათქმელია, თუ რომელი ციფრი უჩვენებს ხურციძის შემოსავალს. მაგრამ ამავე საბუთში დასახელებულ სხვა ყმათა შემოსავლის რაოდენობის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ხურციძის წლიური შემოსავალი 16 მანეთსა და 60 კაპეიკზე მეტი არ იყო.
³ „დარიჯანი“ წინ იმავე სტრიქონზე ტექსტის ხელით წერია: „ბარბარა“, მაგრამ გადახაზულია.
⁴ „ძე მათი მიქელა“ ტექსტში ვრთ სტრიქონზე წერია. გამოყოფილია ჩვენ მიერ.
⁵ ტექსტში 1 სიტყვით წერია. როგორც აქ, ისე სხვა შემთხვევაში, სადაც ტექსტში ციფრი სიტყვით არის აღნიშნული, ჩვენ ციფრით უჩვენებთ.
⁶ „3 თხა“ ტექსტში სტრიქონს ხევით წერია ჩამატების ნიშნით, ტექსტის ხელით.
⁷ ამჟამად სოფელი სიმონეთი იყოფა ზედა და ქვედა სიმონეთად. ზედა სიმონეთი შედის ჩხარის რაიონში, ქვედა სიმონეთი კი—ქუთაისის რაიონში.

	წელი		ფასი ვერცხლით	
	მამრისა	მდედრისა	მანეთი	კაპეიკი
1. ქრისტეფორე ¹ ცოლი მისი ხათუნა ძე მათი	20	17 ²		
1. გრიგოლა ³ ასული მათი	I			
1. თინია ⁴ ყმას ამას აქვს სამოსახლო 2 ქცევა, ვენახი 7 ქცევა, საყანე 20 ქცევა, ტყე 60 ქცევა. გარდა ამისა აქვს 1 ¹ / ₂ სახლი, 1 სასიმინდე, 1 ¹ / ₂ ცხენი, 1 ხარი, ღორი 2, 2 თხა, 12 კო- კა ღვინო ⁶ , სიმინდი 6 ურემი, 6 ბათმანი ლობიო. ყმას ამას მართებს მიუცილებლად შინაყმა, ⁷ 10 ბათმანი ღომი, 1 ჩარეკი სან- თელი, 3 პური ⁸ . ერთი მარჩილი ხორცის ფასი ⁹ , 1 ქათამი, 1 დოქი ღვინო. წლიური შემოსავალი ყმისა ამის ჭლიოს		7 ⁵	20	90 ¹⁰
4 1. გოგიტა თამაზას ძე გიორგაძე ცოლი მისი გულქან ასული მათი:	60	65		
1. მარია ¹¹		9		
2. რუსანა ძმა მისი		7		
2. მამუკა ¹¹ ცოლი მისი სალომე	30	32		

¹ „ძე ქრისტეფორე“ ტექსტის ერთ სტრიქონზე წერია, გამოყოფილია ჩვენ მიერ.

² ტექსტში 7 „ზ“ ასოთი არის აღნიშნული.

³ „ძე მათი გრიგოლა“ ტექსტში ერთ სტრიქონზე წერია, გამოყოფილია ჩვენ მიერ.

⁴ „ასული მათი თინია“ ტექსტში ერთ სტრიქონზე წერია, გამოყოფილია ჩვენ მიერ.

⁵ ტექსტში 7 „ზ“ ასოთი არის ნაჩვენები.

⁶ „ღვინო“-ს შემდეგ ტექსტში ღომი წერია, მაგრამ გადახზულია.

⁷ „მიუცილებლად შინაყმა“ სტრიქონს ზემოთ წერია ტექსტისვე ხელით, ჩამატების ნიშნით.

⁸ 3-ის შემდეგ ტექსტში რაღაც ციფრი წერია, მაგრამ წაშლილია. „პური“-ს პირველი ასო ტექსტში გრაკვევით არ იკითხება. ის უფრო „ს“-ს გავს, მაგრამ ეს საბუთის შემდგენის მიერ დაშვებული კალმის ლასუსია: კონტექსტის მიხედვით აქ სიტყვა „პური“ არის საფულისხმებელი.

⁹ „ერთი მარჩილი ხორცის ფასი“ სტრიქონს ზემოთ წერია ტექსტის ხელით.

¹⁰ კაპეიკის გრაფაში „90“-ს ქვემოთ ტექსტის ხელით ორ ადგილას წერია „209“.

¹¹ „ძმა მისი მამუკა“ ერთ სტრიქონზე წერია, გამოყოფილია ჩვენ მიერ.

დ. გვრიტიშვილი

გვიანფეოდალური ქართლის სოციალური ურთიერთობიდან

I

ამილახორის დამოკიდებულება მეზობელ სათავადოებთან

გვიანფეოდალური ქართლის და, საერთოდ, საქართველოს, ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ახლად ჩამოყალიბდება სათავადოები, როგორც გარკვეული პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულები, და ამასთან დაკავშირებით იზრდება თავადის პოლიტიკური წონა სახელმწიფოში. თავადის დამოკიდებულება მეფესთან თუ მეზობელ თავადთან ისაზღვრება „იმის მიხედვით, თუ რას უპარნახებს მას საკუთარი ფეოდალური ინტერესები, ხოლო თვით მეფის პოლიტიკა არ შეიძლება ყოფილიყო სხვა რამ, თუ არა ამ ფეოდალურ ინტერესთა თანასწორმოქმედი. მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პოლიტიკას, პირუკუ, უკანასკნელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ, საბოლოო ანგარიშით, პირველს“¹.

სათავადოების აღმოცენება-გაფორმების შემდეგ ქვეყანა, თავადის წარმოდგენით, სათავადოების კრებულია. მაგრამ ამ კრებულის წევრთა შორის განსხვავება მაინც არის. ყოველი სათავადო ერთი წონის არ ჩანს ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად, XVII—XVIII ს. ს. ქართლის სამეფოში სხვა თავადთაგან განირჩევიან: მუხრანბატონი, ამილახორი, ქსნის ერისთავი, არაგვის ერისთავი, ყაფლანიშვილი, ზემო ციციშვილი, სომხითის მელიქი. ფეოდალურ ქვეყანაში, ისევე როგორც საზოგადოდ ყველა ანტიკონსტრუქციულ კლასობრივ საზოგადოებაში, ადამიანის ადგილი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, საბოლოო ანგარიშში, მისი ქონებრივი მდგომარეობით განისაზღვრება. ვახტანგის კანონთა 23-ე მუხლში ნათქვამია, რომ: „როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ციხით, მონასტრით და უფროსის კაცის მოყუასად მოკიდებით ამალღების, სისხლი გაუდიდღების, ისე გაყრით, მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების“².

მთელი კონკრეტულ-ისტორიული მასალა ერთხმად ადასტურებს, რომ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური ბედიღბალი ამ წარჩინებულ თავადთა „ჟინიანობაზე“ დიდად იყო დამყარებული. ამათი ჟინიანობის შედეგად საქართველოს მეფენი „ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცუალებით ასრე დამდაბლებულან, რომ ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა

¹ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები, 1-1937 წ., გვ. 28—29.

² კრესტომათია, ჩუბინაშვილის რედაქციით, გვ. 402.

უქნენებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ, ისე უსამართლებიათ და ურიგებიათ¹. თავადური ურთიერთობისა და ამ თავადთა ადგილის შესახებ, გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ერთი საინტერესო ცნობა დაუკავს ყანჩაეთის ჟამნუღლანს: „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი, ერთმანერთის მტერნი და მოქიშპენი იყვნენ; არც ერთმანერთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაზარა, თორემ თუ ამით ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდენ, ვერცარას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანერთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც (მოკლებიან) და არც მოუშლიათ“².

მას შემდეგ რაც ქვეყანა სათავადოებად დანაწევრდა, თავადებმა მიღწიეს იმას, რომ „ერთიმეორის მიმართ ეს „დარბაისერნი“ დამოუკიდებელნი არიან. კეთილმეზობლობენ, ან კიდევ მტრობენ ურთიერთს და ხშირად „პატრონის“ სურვილის წინააღმდეგაც კი. მეფე ყველა ამათი „პატრონია“, მაგრამ ის ეხლა, XV საუკუნეში „ღმრთისა სწორი“ აღარ არის და ეს „დარბაზ-ბატონები“ მისი „ძმები“ და „შვილებია“³.

ამ საერთო მოსაზრებათა ფონზე საამილახორო შემდეგ სურათს იძლევა. საამილახოროს სამხრეთ აღმოსავლეთიდან ქსნის საერისთავო ემეზობლებოდა. რიგი სოფლები ურთიერთ საზღვრებში ისე იყო შეჭრილი, რომ ძნელი ხდებოდა სასაზღვრო ხაზის დადგენა. ეს გარემოება ხშირად ურთიერთ მტრობის წყაროდ ხდებოდა. მაგ. ქვემო-ბოლი ამილახორებს ეკუთვნოდათ, ახმაჯი კი, რომელიც ერთ დროს (XVI ს-ში) ამილახორებს ჰქონდათ, შემდეგში ერისთავებმა მიიღეს. ასევე ახალგორი ერისთავის საჯდომად გახდა. ახალგორელთა და ბოლელთა სანახები ურთიერთ საზღვრებშია არეული. ამ სოფლების მცხოვრებნი ხშირად... „ერთმანეთში ნასყიდობაზე შელაპარაკებულან და ცილებულან და ნიადაგ ამილახორი და ქსნის ერისთავი ამაზედ მღურებულან და ჩხუბი და მტრობა ჰქონიათ“⁴.

ამილახორებისა და ერისთავების ისე, როგორც საერთოდ სათავადოების, ურთიერთ დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირი არ იყო. იმისდა მიხედვით, თუ ესა-თუ ის ფეოდალი მეზობელ ფეოდალთა ურთიერთობაში თავის სათავადოსათვის რა სარგებლობას ხელადავდა, ურთიერთობის ფორმებსაც ამისდა გვარად სცვლიდა. ამ მოსაზრების სისწორეს არა ერთი საბუთი ადასტურებს: მე-17 საუკუნის 20-იან წლებში ანდრეაფარ ამილახორმა ისარგებლა ქვეყნის საერთო მდგომარეობის გართულებით, შეუთანხმდა იასე ქსნის ერისთავს; ეს ორი ფეოდალი საერთო ძალებით თავს დაესხნენ ღაზნელთა გვარს, რომლის სამფლობელო ამ ორ საფეოდალოს შორის მდებარეობდა, მათ ამოჰკლტეს ღაზნელთა საგვარეულო და საღაზნელო ურთიერთში გაინაწილეს. ერისთავმა მიიღო საღაზნელოს ჩრდილო აღმოსავლეთის ნაწილი, — ქოლოთ-ქვიტყირის

¹ ვახტანგის სამართალი, დასახ. ქრესტომათია, გვ. 196.

² Такайшвили. Кавчаецкий Жамгулани, გვ. 22—26.

³ ბ. ბერძენიშვილი. დასახ. შრომა, გვ. 23.

⁴ საქ. ცენტრარქივი, ფ. 226, საბ. 607, ბერძენიშვილი. დოკუმენტები I, გვ. 177.

ხეობა, ხოლო ამილახორს ხედა საღაზნელოს დანარჩენი. ამ ფაქტს ვახუშტი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მოიმწო ანდუყაფარ ამილახვარმან ქსნის ერისთავი, რამეთუ შესწამა შეპყრობისა თვისისა უწყება ღაზნელსა, დაესხა და მოსწყვიტნა იგი და განიყენეს მამული მისი, ქოლოთ-ქვიტკირი დაიპყრა ქსნის ერისთავმან და ნეშტი ამილახორმან“¹.

ყურადსადებია, რომ ამილახორებს ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუაწლებში უჭირავთ თვალი საღაზნელოზე. ლუარსაბ პირველის მიერ ამილახორებისათვის ბოძებულ სიგელში საგანგებოდ არის აღნიშნული: „ღაზნელისძის მამული, რა რიგადცა ღაზნელისძესა უანდერძებია, იმა წესითა არა მოგვეშალოს“².

ამგვარად, თუ ერთ შემთხვევაში ამილახორები და ქსნის ერისთავები ურთიერთმტრობას აწარმოებენ, მეორე შემთხვევაში, როცა მათი ფეოდალური ინტერესები ამას უკარნახებს, გუშინდელ მტრობას იგიწყებენ და დღეს „ძმობა“ მოყრობას“ ამყარებენ. მართალია, ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ყველა ფეოდალს არ შეუძლიან ერთმანეთთან გაერთიანება და საერთო ძალით რომელიმეს მიმართ, ვთქვათ, მეფის მიმართ დაპირისპირება და სწორედ ეს არის სამეფო ხელისუფლების არსებობის ერთი მთავარი პირობათაგანი, მაგრამ ცალკეული ფეოდალების შეკავშირება-შეთანხმება კი გვიანფეოდალურ ხანაში ჩვეულებრივი მოვლენაა. რა თქმა უნდა, ეს იმას სრულიადც არ ნიშნავს, რომ მათი შეკავშირება მყარია, მაგრამ ის ფაქტი, რომ თავადები ასეთ ჯგუფებს ჰქმნიან, იმის მომასწავებელია, რომ ასეთ კავშირებს ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ფორმა აქ ერთია: მეფე დიდ თავადს აძლევს პირობას—თუ შენ ერთგული იქნები, ჩვენც ერთგულნი ვიქნებითო მარად; თავადიც თავადს ამასვე ეფიცება... „წიგნი ფიცი და პირი მოგართვით ჩვენ არაგვის ერისთვის შვილმა ბატონმა ბაინდურ და ბატონმა პა[ა]ტამა და ბატონმა ზაალ, ოტიამ, ნუგზარ, გივი, ვახტანგ, ბეჟან, თქვენ ამილახორს ბატონს გივს, ყორჩიბაშს პა[ა]ტასა, ძმისწულსა თქვენსა ბოქაულთუხუცესს იოთამს, ავთანდილს, რევაზს და ბეჟანს, შვილთა თქვენთა ანდუყაფარს და დემეტრეს ასე, რომე ბატონის ჩვენის მეფის გიორგის უზიანოს საქმითა ვიყვნეთ დღეს და დღეის წალმა კარგი და კარგის მდომნი, უვნო და უზიანო, რაც კარგი დაგემართებოდესთ იმისი მომჭირველნი ვიყვნეთ; არც თქვენს ქიშხსა და მტერს თქვენი საზიანო და საჩხუბარი—სამტერო დაუჯეროთ და არც ავყვეთ. თუ ვინმე თქვენი ამხანაგი გარდმოგვიდოსთ სამტეროთ, არც მიუდგეთ და არც ყმა მოვაწვაროთ, რაც იასონის უკუგდომამ თქვენს მამულში წა[ა]ქვდინა და ან მოიტაცა რამე, ღთითა, თუ ჩვენს მამულში მოსვლა და ბატონობა მოგვიწდა, სადაც შევამჩნიოთ, ჩვენს ყმას კიდევ მოვაცემინოთ და სამართალიც უყოთ. არც ბატონთან და ამხანაგთან გიჩხუბოთ რამე და არც სხვას შენს ამხანაგისას შენიც გვერჩიოს, თუ თქვენმა ყმა ჩვენი ყმა საქურდალში და[ა]ქვლოს და მოკლას, არც მისი სისხლი გათხოვნიოთ და ჯელიც ასე ჩაგირთოთ, რომ ამის გათავების მეტი გუნებაში არა აღვიაროთრა“³.

¹ ვახუშტი, ქ. ც. II, გვ. 43.

² საქ. მუზეუმი, Hd, 2120.

³ საქ. მუზეუმი, Hd, 2149.

„ფიცი, პირი და წიგნი“ მისცეს ამილახორმა იოთამ და მისმა ძმამ, ეშვიკ-ალასბაშმა ავთანდილ ფარსადან ჯავახიშვილს და მის ძმებს... „ასე რომე ამ დღეს მერმე ვიყვნეთ თქვენთვის კარგი და სიკეთის მდომნი, რაც თქვენი სამჯობინარო საქმე იყოს, იმის მცდელი შავიქნათ. არც თქვენი სახლისკაცისა თქვენსა ვარჩიოთ და რომელიც ჩვენგან გაეწყობოდეს, ნდომა-მოდგომა და მოხმარება არ დაგაკლოთ. თუ თქვენც თქვენი საფიცარი და პირობა გაგვითავოთ, ჩვენც ამ პირობის გათავების თავდებად მოგვიცია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი“¹.

მსგავსი შინაარსის საბუთები ჩვენ სხვაც გვაქვს. როგორც ვხედავთ, ამ პირობის ფიცში ბევრი საყურადღებო მასალაა შემონახული.

ირკვევა, რომ: 1. ასეთი „ურთიერთ პირობის წიგნები“ ორმხრივ ვალდებულებათა თავისებური ხელშეკრულებები იყო; ორმხრივ ვალდებულებებს შეიცავდა და ძალა ჰქონდა მანამ, სანამ ესა თუ ის მხარე არ დაარღვევდა ამ ვალდებულებებს. ამიტომ იყო, რომ ამ ხასიათის წიგნებში საგანგებოდ იყო ხოლმე აღნიშნული: „თუ თქვენც ამ თქვენი საფიცარი და პირობა გაგვითავოთ, ჩვენც ამ პირობის გათავების თავდებად მოგვიცია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი“. 2. მართალია, დიდ თავადთა ვალდებულებანი უფრო და უფრო მცირდება მეფის ხელისუფლებისადმი, მაგრამ თავადები მაინც ყმები არიან, თუმც ისეთი ყმები, რომლებიც „ძმებსა“ და „შვილებთან“ გაიგივებულან, და ვალდებულნი არიან, რომ ურთიერთ საფიცრის წიგნების მიცემისას ამ წიგნებში საგანგებოდ აღნიშნონ: „მევერთდით „მეფის უზიანოს საქმიითა“. 3. პირობის წიგნებში ხაზგასმულია, აგრეთვე, რომ ამ პირობის დამდები სუბიექტები ურთიერთის კარგის მდომნი არიან და არა მარტო თვითონ იქნებიან ურთიერთ დამხმარე, არამედ ურთიერთის მტრისა მტერნი და ამხანაგის ამხანაგი შეიქმნებიან და, თითოეული ვალდებული იმის ცდაში იყოს, რომ „კარგი და კარგის მდომი, უვნო და უზიანო, რაც კარგი დაგემართებოდესთ იმისი მომჭირველნი ვიყვნეთ“.

ასეთი ფეოდალური დაჯგუფებების აღმნიშვნელი საბუთები თუ მფარველობის წიგნები მარტო ამილახორებისათვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ სხვათათვისაც.

ამილახორები ზემო ქართლის სარდლებიც იყვნენ და, ბუნებრივია, ზემო ქართლში შემავალ სათავადოებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ. ამიტომ ამ ურთიერთობის ბუნების გასაგებად თვით სასარდლოს ბუნების არსის გარკვევაც გვჭირდება.

II

ურთიერთობა ქსნისა და არაგვის ერისთავებს შორის

არაგვის საერისთაო ქსნის საერისთაოს აღმოსავლეთიდან ემეზობლებოდა. ორივე საერისთაო ქართლის მთიანეთში პირველობას ჩემულობდა. ამდენად მათ შორის ხშირი იყო შეხლა-შემოხლა.

¹ საქ. მუზეუმი Qd, 604.

როგორც ცნობილია, XIII ს-ის დამლევებიდან ქართლში ოსთა ჩამოსახლება დაიწყო. მათ ჯერ მთიანეთი,—არაგვის, ქსნისა და ლიახვის სათავეები დაიკავეს, ხოლო შემდეგ თანდათან ქართლში იწყეს ჩამოსვლა და მალე გორიც დაიპყრეს. ოსების წინააღმდეგ ომმა სამამულო ხასიათი მიიღო და დიდხანს გაგრძელდა. ვიორგი ბრწყინვალე სამ წელს ებრძოდა მათ და ბოლოს შესძლო მათი განდევნა. ამ ბრძოლაში არაგვისა და ქსნის საერისთავოებიც იღებდნენ მონაწილეობას. ქსნის ერისთავი „ვირშელი და ლაშკარი მისი უმჯობეს ბრძოდა სპათა ყოვლისაგან და აქებდეს ქებითა დიდითა“¹. არაგველებმა ქსნელთა ქება ვერ აიტანეს და საომრად გამოიწვიეს— „თქუჴს: „უკეთუ ომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემებნენ ჩუჴს და იხილოთ რომელნი უმჯობეს ვართ“² არაგველთა ეს დაჟინება ქსნელებმაც გაიგეს, მათ გამოწვევა მიიღეს და იწყეს ბრძოლისათვის სამზადისი. ასე რომ ორივე მხარე უაზრო სისხლის ღერისათვის ემზადებოდა. პაემანი დაინიშნა. საომარ ადვილად არჩეულ იქნა ლომისის მთა. ეს მთა ორივე საერისთოს ეკუთვნოდა. მთის აღმოსავლეთ კალთებს არაგველები ჰფლობდნენ, ხოლო დასავლეთის კალთებს—ქსნელები. ქსნიდან არაგვზე ორი გზა-ბილიკი გადადიოდა. ორივე ეს გზა-ბილიკი ლომისის მთას ჰკვეთდა, ერთი—ოხირთან, ხოლო მეორე—ლომისასთან. ამ გზებით „შევიდეს ვირშელ და ყოველი ლაშკარი მისი მთასა ლომისსა“³. დავით ბატონიშვილი იმჟამად იქ იმყოფებოდა. იგი ცდას არ აკლებდა უაზრო სისხლის ღვრა თავიდან აეცდინა. მან პირველად ერთგვარ შედეგსაც მიაღწია. „განყარა ყოველნი ჯევისთაენი და წარგზავნეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი და წავიდეს ყოველნი თჳნიერ სამთა მათ ჯევთა“⁴. ვირშელმა უკან დაიხია და „შთამოვიდა ვაკედ“, მისი ლაშქარიც „წყაროთა, მუხათა და წისქვილთა თანა გვერდსა მას შთამოვიდოდა“⁵.

არაგველები ამით გათამამდნენ, თავიანთ განლაგებიდან „წარმოვიდეს უკანა მთასა და გამოვიდეს ლომისსა“⁶. დავით ბატონიშვილი კვლავ სთხოვდა ერისთავებს არ გამოეწვიათ სისხლის ღვრა. მაგრამ „მათ არა ისმინეს, არამედ მრავლითა ვინებითა მისძხედეს და საგორავისა სიმრავლესა ჩამოყრიდეს“⁶.

ქსნელები, ყველა ამის გამო, შეტევაზე გადავიდნენ. „ძეგლი ერისთავთა“ ასე აგვიწერს ამ ბრძოლას: „განიშვილეს ფეხები მათი და წარიძღვანეს დროშა და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისა და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხაუტელთ გარეთნი და ყოველი მიმდგომი მათი (და ერთსა მას ხადელ-მოწვენი და მიმდგომი მათნი). მაშინ ჩამოყარნეს საგორაენი ურიცხენი და აღვიდეს კვალადცა, რამეთუ დაბურვილ იყვნეს ფართთა, ვითარცა სიპითა და აასხეს ქვა და შუბი მსგავსი წვიმისა. მაშინ შეეჴმნა სიმრავლე ის—

¹ ქაები, II, გვ. 8—9.

² ი ვე, გვ. 9.

³ იქვე, გვ. 9.

⁴ იქვე, გვ. 9.

⁵ იქვე, გვ. 9.

⁶ იქვე, გვ. 9.

რისა, ვითარცა სეტყუა ხშირი და ფუცავდენ ღმერთსა, რომელ ქვემოთ ნას-
 როლმან ისარმან ფარი და ჯაჭუიანი კაცი გააბარის და მიწასა ნახევრად დაე-
 სვის; აღმოაფუადეს კრძლები და ახვნენს და აღემართნეს აღმა მთასა მას და
 გორვიდეს ჩამოღმა, და იგი იყო უმჯობესი მათ შორის რომელმან დაჰყარის
 აბჯარი და ტანისამოსი და შიშველი მირბოდის“¹.

ძველი ერისთავთა გვარწმუნებს, რომ ამ ბრძოლაში ქსნელებმა გაიმარ-
 ჯვესო.

ეს ბრძოლა როდი იყო მათთვის პირველი და უკანასკნელი. შემდეგშიც
 ისინი არაერთხელ დასხმიან თავს ურთიერთს. ამ ბრძოლის შემდეგ არ გავიდა
 დიდი ხანი, რომ არაგველებმა ქსნის ერისთავების სანაპირო ქვეყანა—ქაშური
 დალაშქრეს, ხოლო ქსნელებმა გიორგი ვირშელისძის მეთაურობით არაგვი და-
 არბიეს.

ასეთია არაგვისა და ქსნის ერისთავების ურთიერთ დამოკიდებულების
 ფაქტები XIV საუკუნეში. სამწუხაროდ, მომდევნო საუკუნეებში, XVII საუკუ-
 ნემდე, ჩვენ თითქმის არავითარი ცნობა არ გვაგვაჩნია ამ ორი საერისთაოს
 ურთიერთ დამოკიდებულების ისტორიიდან.

არაგვისა და ქსნის ერისთავების ურთიერთ მტრული დამოკიდებულება
 განსაკუთრებით შეიმჩნევა XVIII ს. 40-იან წლებში.

1736 წელს შანშე ქსნის ერისთავმა ალექსანდრე მეფისაგან წყალობად
 მიიღო არაგვის ერისთავთა კუთვნილი მიწა-წყალი ნარეკვივის ხეობაში სათა-
 ნადო სიგელით: „...არაგვის ერისთავის ქვეყნისა და მამულის წიგნი და სი-
 გელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ყმაალმატებულის ხელმწიფის მრავალ-
 გვარად ერთგულსა და წესისაებრ თავდადებით ნამსახურს, ქსნის ერისთავს
 შანშეს... გიბოძეთ არაგვის ერისთავის ქვეყანა და მამული“².

ბუნებრივია, რომ ეს მდგომარეობა არაგვის ერისთავებში მტრობა-შუღლს
 გამოიწვევდა. ასეც მოხდა. შანშე ნიადაგ ბრძოლას აწარმოებდა ყიზილბაშთა
 წინააღმდეგ. გაუჭირდა და ჯერ იმერეთს, ხოლო შემდეგ რუსეთს წავიდა. არა-
 გვის ერისთავი ხელსაყრელ დროს უცდიდა და სამაგიეროს გადახდისათვის
 ემზადებოდა. მალე მას საამისო დროც დაუდგა. შანშეს ძმის იასე ყულარაღისის
 ცოლ-შვილი ქსნიდან კახეთში მიდიოდა. ისინი ენათესავებოდნენ თეიმურაზ
 კახ-ბატონს და რადგან ქსანში მშვიდობა მინელდა და ნიადაგ საფრთხე იყო,
 გადაწყვიტა კახეთს გაზიზვნა. გზად არაგვის ერისთავის მამულზე გაიარა. ბა-
 ზალეთის ტყეში მას გარს შემოეხვივნენ არაგვის ერისთავის კაცები, დედო-
 ფალი და მისი მხლებლები გათოკეს და თავის პატრონს—არაგვის ერისთავს
 მიჰკვარეს. ერისთავმა ბევრი აღარ დააყოვნა და ისინი ყიზილბაშებს გადასცა.

შანშე დაბრუნდა რუსეთიდან, დაიქორავა ლეკები „მოადგა ანანურს, შე-
 მუსრა, აღიღო იგი და მოსწყვიტა არაგვის ერისთავიანი სრულიად, რამეთუ
 არაგვი გაწერა“³. ლეკებთან ბრძოლის დროს ქსოვრისთან ვახტანგ VI-ეს შანშე

¹ იქვე, გვ. 9.

² საქ. ცენტრარქივი, ფ. 229, დავთ. 23. საბ. 142.

³ ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 92.

ერისთავი, სიმონ აბაშიძე და ოთარ არაგვის ერისთავი მოეხმო. ოთარ ერისთავი და „ქართველნი“ „აიძულებდნენ მეფესა ბრძოლად. არამედ შანშე მტერი იყო ოთარისა და ვინაიღვან სპანი ოთარისა უმეტესობდენ არა ენება შანშეს ბრძოლა, რამეთუ იქმნების გამარჯვებისა მიხეზი ოთარ“¹.

უმართებულო იქნებოდა ქსნისა და არაგვის ერისთავების ურთიერთობაში მხოლოდ მტრობა დაგვენახა. მათ „ძმობა“ და „ერთგულეობაც“ იცოდნენ, როცა ამას მათი ფეოდალური ინტერესები უკარნახებდა. იმ შემთხვევაში, როცა მეფე თავადური რეაქციის წინააღმდეგ რადიკალურ ღონისძიებებს ატარებდა, ქსნისა და არაგვის ერისთავები, გუშინ რომ ერთმანეთს ებრძოდნენ, დღეს „ძმობა“-„სიყვარულს“ ჩამოაგდებდნენ და ურთიერთის შემწეობა-მხარველობას კისრულობდნენ. საამისო მაგალითები ჩვენ საქმაოდ მოგვეპოვება. 1688 წელს გიორგი მეფემ გამდგარ გიორგი არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ჯარი შეჰყარა, ბრძანა და შეყრილი ჯარით დღუშეთს წავიდა. არაგვის ერისთავის წინააღმდეგ მეფემ ქსნის ერისთავი მოიხმო. მაგრამ „იხილე კვალად სიბოროტე და არა კეთილისა წილი, რამეთუ დათუნა ქსნის ერისთავი წარაგვლინა მეფემან, რათა მოვიდეს იგი გრემისკვევიდამ ბრძოლასა ზედა: ხოლო იგი არა მოვიდა. არამედ დაადგრა მკვრეტელი, თუ რაი იქნას. გარნა რა ჟამს ივლტოდენ იგინი მოისწრაფა დათუნამ მეფისა თანა და ამას ემთხვია გიორგი და ბარძიმ ძმანი, მცირედითა კაცითა ლტოლვილნი; ხოლო მან არა რაი ჟნო, არცა ბრძო, არცა შეიპყრნა, არამედ განუტევა მშვიდობით და თვით დათუნა მოვიდა წინაშე მეფისა და მყისვე აიძულებდა უკუნქცევად, რამეთუ გიორგი და ბარძიმ ვედრებად მიწვენილ მეფისად, რათა შეუნდოს, ამის დათუნას მიერ არცალა მათ ინებეს და კვალად ქვეგამხედველთა და ბოროტთა კაცთა მეფისათა, განზრახვითავე დავით ერისთავისათა, იხმიეს მასვე ღამესა შინა ლტოლვა და დაუტეეს მეფე მუნ. ამისი მხილველი მეფე და უღონო ქმნილი წარმოვიდა თვითცა მასვე ღამესა მშვიდობით და მოვიდა კოჟორსა ზელა“².

ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ როდესაც მეფე ამა თუ იმ თავადის წინააღმდეგ იბრძვის, თუ მეორე თავადს ეს მოვლენა თავის საწინააღმდეგოდ მიაჩნია, მაშინ ამ თავადის სიმპათიები მეფის მხარეზე კი არ არის, არამედ „დაჩაგრული“ თავადის მხარეზეა. ეს მოვლენა იმდენად აშკარა და დამახასიათებელია, რომ არ დაგვირდება მოწმობათა სიმრავლე, ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტს დავიმოწმებთ იმავე ვახუშტიდან.

როცა ვახტანგ VI ერანს წავიდა, „შეიზრახნენ სვიმონ და მთავარი ქართლისანი ვახტანგის ბოროტსა ზედა, რამეთუ რა ჟამს დაიპყრა ვახტანგ ოვსეთი და განიწყო მცველნი თვისი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაპყრობისათჳს. ამისთჳს მიუწერეს ყენისა: „არა გუნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე“³.

¹ ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 86.

² ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 59.

³ ვახუშტი, დასახ. შრ. გვ. 78.

ამრიგად, არაგვისა და ქსნის ერისთავების ურთიერთობა ხშირცვალებადი იყო; იმისდა მიხედვით, თუ გარკვეული კონკრეტული პოლიტიკური მდგომარეობა მათი ფეოდალური ინტერესებისათვის რა პირობებს ჰქმნიდა, ერისთავებიც ურთიერთ დამოკიდებულებას სცვლიდნენ: ხან მტრობდნენ, ხან კი ძმობა-ერთობას ეფიცებოდნენ ურთიერთს.

ამ ფონზე მყარდებოდა სხვა თავადთა ურთიერთობაც. ავიღოთ თუნდაც ერისთავებისა და მუხრან ბატონების ურთიერთობა.

პირდაპირი თუ არაპირდაპირი მასალები გვარწმუნებენ, რომ ეს საფეოდალოები ერთმანეთს ზვერავენდნენ და, როცა სათანადო პირობებს გამონახავდნენ, ერთმანეთის ყმაშაშულის მიტაცებით ხელს ითბობდნენ.

ქაიხოსრო მუხრანბატონი ბაზალეთის ომში 1626 წელს მოურავს ახლდა. ამ ომში მოურავის ჯგუფი დამარცხდა და გიორგი სააკაძე ოსმალეთს გადიხეწა. თან გაჰყვა ქაიხოსრო მუხრანბატონიც. ამის შემდეგ ზურაბ არაგვის ერისთავი სიმონ მეფეს მოუყიდა. სიმონმა იგი უსაჩუქროდ არ დატოვა, დაუმალლა სამსახური. ფარსადან გორგიჯანიძის თქმით „ზურაბ ერისთავი მეფემ სვიმონ შემოირიგა და მუჭრანი მს მისცა და ზოგზოგი სავანტანგო სოფლებიც მას მისცა და მამობა უბრძანა“¹.

რომ ზურაბ ერისთავი მუხრანბატონის წინააღმდეგ ხმაღს იქნევდა, ჩანს მის მიერ მცხეთის ეკლესიისათვის 1628 წელს მოცემული ერთი საბუთიდან:

„საფურცლე ძველითგანვე თქუენი ყოფილიყო და მუხრანის ბატონს თამურაზს და ქაიხოსროს წაერთამევინათ და ჩუენ შეწვენითა ღმრთისათა გლმით ვიშოენეთ და დავიჭირეთ. ეამთა ვითარებისაგან თქუენი მკვიდრი მამული ისრევე თქუენ შემოგწირეთ“².

ასეთია ქართლის სათავადოების ურთიერთობის ისტორიის ფაქტები:

ჩვენი თემისათვის ძირითადად სამი სათავადო ავიღეთ და მათი ურთიერთობა სხვა სათავადოებთან განვიხილეთ. ეს სამი სათავადო გვიანფეოდალური ხანის საქართველოში ტიპური სათავადოები იყო. ამიტომ მათი შესწავლის საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება ზოგადი დასკვნების გამოტანაც.

მას შემდეგ, რაც წარმოიქმნებიან ცალკეული სათავადოები, ისინი, იმისდამიხედვით თუ რა კონკრეტული პირობები შეიქმნება ქვეყანაში, ცდილობენ მიაღწიონ დამოუკიდებლობას.

2. ამიერიდან თავადთა პოლიტიკა კი არ ისაზღვრებოდა მეფის პოლიტიკით, არამედ მეფე თავადთა ზრახვის გამტარებელი იყო.

3. თავადთა დაჯგუფებები, მათი ურთიერთ დამოკიდებულების ფორმები გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ურთიერთ თავდასხმები, ყმა-შაშულის წართმევა ჩვეულებრივ მოვლენად ხდება.

4. როდესაც ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პირობები ერთგვარად უმჯობესდება და ქვეყნის სასიცოცხლო ძალები ცხოველდებიან, მეფის ხელისუფლებაც აქტიურ ბრძოლაზე გადადის თავადების წინააღმდეგ.

¹ გორგიჯანიძე, ისტორია, საისტ. მოამბე, წ. II, გვ. 236.

² ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, IV, გვ. 12.

5. თავადური რეაქციის წინააღმდეგ ყველაზე უფრო გაბედულ მებრძოლად ჩანს ერეკლე მეორე. მან დაინახა რა, რომ ქვეყნის დაკნინების მიზეზი არა მარტო საგარეო ომებია, არამედ შინაფეოდალური ომებიც, იწყო სათავადოების გაუქმება: 1743 წ. გაუქმდა არაგვის საერისთაო, 1765 წელს გაანადგურა ერეკლემ „მარკოზაშვილის დარბაზი“, 1777 წელს მოსპო ქსნის საერისთაო, მაგრამ ასეთი ღონისძიებანი თავადურ რეაქციას საბოლოოდ ვერ აღმოფხვრიდა, რადგან ის ეკონომიური მიზეზი, რომელიც თავადური რეაქციის წყარო იყო, ძალაში რჩებოდა.

ასე გვესახება ჩვენ საკითხის ნამდვილი არსი.

აკოლონ კოგაზა

მრავალე მემორიის დაბადების თარიღი¹

XIX—XX სს. როგორც ქართულსა და რუსულ, ისე უცხოურ მწერლო-შაში ამა თუ იმ ავტორის მიერ თავის ნაწარმოებში მეფე ერეკლე მეორის და-ბადების თარიღად ჩვეულებრივია 1716—22 წლებიდან ერთი რომელიმე წლის აღნიშვნა. უმეტესი მათგანი თავის მიერ აღნიშნულ თარიღს იძლევა ლიტონად, რაიმე წყაროს დაუსახელებლად; ზოგიერთი კი მიგვითითებს ამა თუ იმ აღ-რინდელ ერთ ან, უკეთეს შემთხვევაში, ორ წყაროზე, რომელიც მას სანდო ჰგონია და მით ემყარებილება. სინამდვილეში კი დაკვირვებული მკითხველისა-თვის ეს დამაჯერებელი არაა, ნამდვილი თარიღის აღნიშვნას დროსაც კი.

ერეკლეს დაბადების მცდარი თარიღის გამომწვევია განსაკუთრებით მის უმცროს თანამედროვეთა ცნობები. უკანასკნელნი, ჩანს, არ მიმართავენ რა ამ თარიღის აღნიშვნისას უფროს თანამედროვეთა და სათანადო დოკუმენტთა ზუსტ ცნობებს, ვარაუდი ანგარიშით ან სახელდახელოდ მოპოვებული შემთხ-ვევითი წყაროს მიხედვით უშვებდნენ ამ საქმეში ხშირად შეცდომებს².

საკითხის გადასაჭრელად ჩვენთვის უფრო საყურადღებოა თვით ერეკლეს უფროს თანამედროვეთა ან ხნით თანატოლ მის ახლობელთა და კარგად მცნობ-თა ცნობები, ვიდრე უმცროსი თაობისა და გვიანდელი ხანის წარმომადგენელ-თა ნათქვამი. ამ შემთხვევაში უკანასკნელთაგანაც ზოგიერთს მაინც მოეპოვე-ბოდა სანდო საფუძველი და ქვევით მათ უტყუარ ცნობებზე დაყრდნობითაც შევეცდებით ერეკლეს დაბადების ნამდვილი თარიღის დადგენას.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „...წელს ქს. ჩიბ, ქრ. უწარვიდა თეიმურაზ ტფილისს დიდებით, რამეთუ წარსვლად იყო ვახტანგ

¹ წაკითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების დიახსლომაზე 1948 წ. მარტს.

² მაგალითად, ასეთებია: კავკასიის მხარის მთავრმმართველი ფ. პაულუჩის (1811—12 წწ.) მიერ სვეტიცხოველში, ერეკლეს საფლავის ძეგლის მემორიალურ დაფაზე ერეკლეს დაბადების თარიღად შეცდომით აღნიშნული 1716 წელი (ამ წარწერის გარდა, იხ. Отношение Маркиза Паулуччи к т. с. Гурьеву, от 11-го апреля 1812 года, Акты собр. Кавк. Археогр. Комиссии, т. V, გვ. 45); დავით ბატონიშვილის სიტყვით, ერეკლეს გარდაცვალება „80-წლისა“-დ (ქართლის ცხოვრება, II, „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“; ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 516), ე. ი. თითქოს ის დაიბადა (1798—80=) 1718 წელს; თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, ერეკლეს გარდაცვალება „მეოთხმოცსა შინა წელიწადსა“ („მეფე ერეკლე“, პივერიია 1891 წ., № 56), ე. ი. თითქოს ის დაიბადა 1718 ან 1719 წელს; ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვით, ერეკლეს გარდაცვალება „წლისა 80“-სად („ახალი მოთხრობა“, თ. ლომოტის მიერ გამოც. 1941 წ., გვ. 69); გენ. პავლე პოტიომკინი 1784 წ ერეკლეს 62 წლისად თვლიდა (П. Бутков, Материалы., II, 1869 г., გვ. 155—156), თითქოს ის 1722 წელს დაიბადა, და ა. შ.

ისპანს, იქორწინა და დიდითა დიდებითა და ზითვითა მოიყვანა თამარ ნაგს და ქმნა კვალად ქორწილი ჯგროვანი“¹. ვახუშტის ამ ცნობით, თეიმურაზ II ერეკლეს დედა თამარზე, ვახტანგ VI-ის ქალიშვილზე, დაქორწინებულა 1712 წელს². თეიმურაზი კი, თავისივე სიტყვით, ქართლში 1744 წ. გამეფებისას 44 წლის იყო³; მაშასადამე, დაბადებულია 1700 წელს. ამრიგად, თამარის შერთვის დროს ის 12 წლისა ყოფილა (1712—1700=12), მცირეწლოვანი, და 4—5 წლის განმავლობაში მას შვილი არც ეყოლებოდა, 1716—17 წლამდე მინც, ამ დროის შემდეგ კი საეკლესიოებელია შვილის შეძენა.

ვახტანგ ბატონიშვილის სიტყვით, ნადირ-შაჰმა „მოსცა მეფესა თეიმურაზს მეფობა ქართლისა და ძესა მი[ს]სა ირაკლის მეფობა კახეთისა. იყო მაშინ მეფე თეიმურაზ მყოფი შობილდგან თვისით წელსა შინა ორმეოცდა ნეხუთესა, ხოლო მეფე ირაკლი ოცდამეხუთესა“⁴. თუ ერეკლე კახეთში გამეფების დროს—1744 წლის ივნისს იყო 25-ე წელში, მაშასადამე, იგი დაბადებულია 1719 თუ 1720 წელს, ვახტანგ ბატონიშვილის ცნობით.

ომან მდივანბეგ ხერხეულიძე თავის ცნობილ ისტორიულ ნაშრომში წერს: „ხოლო წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15, რომელმან შემოიყარა სოფლებილამ ჯარი, ეწია ნეიშნის მინდორში“⁵ ლეკთ და სასტიკად დაამარცხა ისინიო⁶. მაშასადამე, ომან ხერხეულიძის ცნობით, ერეკლე II დაბადებულია 1720 წელს (1735—15=1720).

1720 წელს გულისხმობს თავისი სახელოვანი შვილის დაბადების თარიღად მეფე თეიმურაზ მეორეც თავის პოეტურ ნაწარმოებში „ქება სრისა“⁷. იგი გვაცნობებს:

„რაც ამ სოფელსა ღმრთისაგან მომეცა წყალობანია,

არ ძალმიძს მისად სანაცვლოდ შევსწირო მადლობანია;

თუ, ვითა ღირსნყო ხარისხსა, დავიწყო წარმოთქმანია,

და ორმოცდაოთხის წლისასა მერწმუნა მეფობანია.

ღმერთმან მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაის მიზეზობით,

ჯერ მფლობელმყო კახეთისა, მერმე ქართლში მემკვიდრობით,

კახეთშია ჩემ ძეს დასვამს—ერეკლესა—მეფედ ხმობით,

და ოცდაოთხის წელსა იყო, როსა პატივს სდევს ბატონობით.

მას ჟამს ჩემ დისწულს, მეფის ძეს, ანტონის, კაცსა ღმრთისასა,

ვარწმუნეთ პატრიარქობა ოცდაოთხისა წლისასა,

ბრალთა სიმრავლით უღირსსა მადლს მომტენს კურთხევისასა,

და მცხეთას მოიღო კურთხევა, ზეთს მცხებდა მეფობისასა“⁸.

¹ ვახუშტის ისტორია, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 133

² ამგვარივე ცნობა აქვს ვახუშტის ვეხლმჯივრედ თავისი ისტორიის „ქორკონებში“: „1712—... და ვახტანგ მეფემ ფებერვალში ქორწილი უყო თეიმურაზს, ერეკლე მეფის ძეს თამარს თვის ქალზე... და წარვიდა ისპანს აპრილს კვ“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 252).

³ იხ. მისი „ქება სრისა“, თეიმურაზ მეორის თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას მიერ გამოც., თბილისი, 1939 წ., გვ. 104.

⁴ ვახტანგ ბატონიშვილი, „ისტორიები აღწერა...“, ს. კაკაბაძის მიერ 1914 წ. გამოც., გვ. 24.

⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 476—477.

⁶ თეიმურაზ მეორის თხზულებათა სრული კრებული, გვ. 104.

თეიმურაზ მეორის ქართლში გამეფება და ერეკლესი კახეთში ერთდროულად მოხდა 1744 წლის ივნისს, ამავე წელს გახდა კათალიკოზად ანტონ პირველიც. მაშასადამე, თეიმურაზის ზემომოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ თვით იგი თავის დაბადებას გულისხმობს 1700 წელს (1744—44=1700) და თავისი შვილი ერეკლესა და დისწული ანტონისას კი—1720 წელს (1744—24=1720); უკანასკნელნი ერთი ხნისანი არიან (ერთ წელში მაინც დაბადებულნი). თვით ერეკლეს მამისა და ანტონის ბიძის—თეიმურაზის ეს ჩვენება ექვემოტანელია, მით უმეტეს, რომ უტყუარი სხვა საბუთებიც ამას მოწმობს. აი ესენიც.

ჩვენ მოგვეპოვება ორი ხოტბა ერთ ქალაქზე, შეთხზული ანტონ პირველის მოწაფის—ტრიფილეს მიერ. ორივე ხოტბა საგანგებოდ დაწერილია „შობის“ დღეს მისართმევად, პირველი—მეფე ერეკლესათვის და მეორე—ანტონ პირველისათვის. ხელნაწერი ეს ხოტბები უთუოდ ავტოგრაფებია: ¹ ხელი ამ ნაწერებისა იდენტურია ტრიფილეს მიერ გადაწერილი ცნობილი ხელნაწერებისა². ასლების სახით ეს ხოტბები მოპოვება საქ. მუზეუმის № 139 S ხელნაწერშია³:

I. „თითქმისა ოკდომბერსა 7, შობასა მისისა სიმაღლისა უკეთილმსახურებისა მეფის ირაკლი მეორისსა, ქმნილი ტრიფილესაგან მცირისა დიაკონ-მონაზონისა.

ირაკლის შობას, წელთა ორმეოც-ცხრობას
 დღეთა განგოძობას, სიბრძნით სიმწნითა მკობას,
 ძმის შობის სწორობას არწლით—დღითათობას,
 მეფეთა ძობას, მწყემსთმოთავრისა ბრძნისა ძმობას
 კმა ვიყოფ ლმობას, ჯელეყოფ შესხმის-მრთელობას“.

ქვევით მისდევს ხოტბა-დიდება ერეკლესი.

II. „თითქმისა ოკდომბერსა 17, შობასა უნეტარებისა და უწმიდებისა პატრიარხისა მეფის ძის ანტონისსა, ქმნილი ტრიფილესაგან მცირის დიაკონ-მონაზონისა“

ხოტბიდან მოგვაქვს მხოლოდ ნაწყვეტები:

„აღმოცისკროის მთიები დღეს, მცხინვარე
 ნათლოისავითა ერმი სხივთ-მწოლვარე,
 ტომ-დავითისობს ფეროვან ბრწყინ-მთოვარე,
 ორ მეფეთ ძეობს ირაკლის ძმად მპოარე,
 წიაგ-სურნელობს სძებრ სიბრძნის-მწოარე“.

„ანტონი დიდი იშტა დღეს, ...
 ქართქმლთა, კახთა ჴმეცრების ღებარძლთ-მწმიდი...“

„... გონება ვრცელსა, ... მწყემსა ურულოს...“

„... ტრიფილე გიძნობ, ოთხათ-რტა წელ ხნიერო!
 ღავითის ტომით ვარსკჳლაო წარმომზეო,
 ორდფოს-მუსიკ, გონების განმამზეო,

¹ საქ. მუზ. № 1577 (1659) A.

² შეად. ანტონ პირველის „ღმრთის-მეტყუჳლება“, საქ. მუზ. S—№№ 3657—3660, და სხვ.

³ გვ. 604—607.

უმროს-სოფოს, უეცი თა გან მაძეო,
 მეფეთა ძეო, მეფის ძმად აღმომზეო,
 მწყემს-მთავარ, ქართულთ ხარ სიბრძნით განმაძლეო!
 შენი შენდავე შევსწირენ აწ მორთმულნი,

მიიღე, მოძღუარ, მოწაფის განწართქმულნი“ და სხვ.¹

ამ ხოტბების დაწერის წელი ტექსტში ტრიფილეს პირდაპირ, სახელდობრ, არ აქვს მოცემული. მაგრამ თვე და დღეები აღნიშნული აქვს და მისივე სიტყვების შემწეობითა და სხვა საფუძვლების დადებით შეგვიძლია ეს წელიც კი აღვნიშნოთ,— ე. ი. საბოლოოდ ორივე ხოტბა ზუსტადაც დაეთარილოთ, ანტონ პირველის „მზამეტყველების“, მისივე „სპეკალის“, საქ. მუზ. ხელნაწერ № 123 A-ზე სანდო მინაწერისა და რიგი სხვა ძეგლების ცნობების გათვალისწინება ანტონ პირველის დაბადების თარიღად 1720 წ. 17 ოქტომბერს გვაძლევს². ანტონისადმი მიძღვნილ ზემომოყვანილ ხოტბაში მის „მოწაფეს“ თავის „მოძღუარისადმი“ ხოტბის წერისას ნათქვამი აქვს: „ტრიფილე გიმნობ, ოთხათ-რუა წელ ხნიერო“-ო! ე. ი. მაშინ ანტონი 48 წლისაყოფილა. ანტონის დაბადების თარიღს, 1720 წ. 17 ოქტომბერს, თუ მივუმატებთ 48 წელს, მივიღებთ 1768 წლის 17 ოქტომბერს, რომელ დღესაც დაწერილა ეს ხოტბა. ტრიფილეს მიერ ხოტბაში თქმული ანტონისაგან „უეცი თა განმაძეობაც“ ერთი წლით ადრე—1767 წელს მოხდა: ამ წელს იქნა ერეკლესა და ანტონის მიერ ანტონის ოპოზიციის მეთაური ზაქარია გაბაშვილი ირუსეთს გაძევებული და მისი მიმდევრებიც სხვადასხვაგვარად დასჯილი.³ ამრიგად, 1768 წლის „თათქსა ოკლომბერსა 17“-ს, ანტონის „შობის“ დღეს მიუძღვნია თავისი მასწავლებლისადმი ავტორს ეს ხოტბა, რაც იმავე დღეს ყოფილა „ქმნილი ტრიფილესაგან მცირის დიაკონ-მონაზონისა“ (იქნებ წინა დღეებში შექმნა, მაგრამ მაინც ამ დღეს ასახელებს—„ოკლომბრის 17“-ს, „შობის“ დღეს, ანტონს ექსპრომტად რომ მიართვას!).

ერთ მეღნითვე ერთდღივე ქალაღზე ანტონის ამ ხოტბის უწინარეს ტრიფილეს მიერ საკუთარი ხელითვე მოთავსებული, ერეკლესადმი მიძღვნილი მეორე ხოტბა, (ცხადია, 1768 წელსვე, ოღონდ „დღით ათით“ ადრე, 7 ოქტომბრისათვის, ერეკლეს „შობის“ დღისათვისაა ტრიფილეს მიერ დაწერილი. იგი „ქმნილია“ მის მიერ „შობის“ დღეს, „თათქსა ოკლომბერსა 7“-ს (მსგავსად ანტონის ხოტბის შესახებ ჩვენ მიერ შენიშნულისა, იქნებ ესეც წინა დღეებში შეთხზა ტრიფილემ, მაგრამ მაინც ხოტბის „შექმნის“ დღედ განზრახ ამ სადღესასწაულო დღეს ასახელებს!), მეფის საჯარო შესაქებლად,—„მკობის“ დროს, ე. ი. ლხინში

¹ საქ. მუზ. № 1577 (1659) A; შეად. № 139 S, გვ. 604—607.

² იხ. ამ საკითხის შესახებ ვრცლად საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში აპ. როგავას სადისერტაციო შრომა „ანტონ პირველი ის „სპეკალი““, 1947 წ., გამოკვლევის გვ. 16—20.

³ იხ. ამის შესახებ ვრცელ მცირის წერილი ყიზლარის კომენდანტისადმი, ანტონ პირველის წერილი „სულიერსა პრავენიესა ყიზლარ ქალაქისასა“ და „არზი ზაქარიასი... მეთოდი ეპისკოპოსისა აშტარხნისა და სტავროპოლისასა“ (საქ. მუზ. Sd 2801/S3182). არსებობს სხვა საბუთებიც ამ საქმის შესახებ.

თუ სხვაგან შექების ჟამს პირისპირ მეფისა ექსპრომტად წარმოსათქმელად; ასეთი რამ მაშინ ჩვეულებრივი იყო დიდი პიროვნებების საამებლად.

ტრიფილეს ცნობით, ხსენებული ხოტბის წერის დღეს, ე. ი. 1768 წ. 7 ოქტომბერს, ერეკლე 49 წელში ჩამდგარა. ხოტბაში ნათქვამია:

„ირაკლის შობას, წელთა ორმოც-ცხრობას
დღეთა განგრძობას, სიბრძნით სიმწნითა მკობას...“

მაშასადამე, 1768 წლის 7 ოქტომბერს ერეკლეს შეუსრულდა 48 წელი და, ტრიფილეს გულისხმობით, იგი დაბადებულა (1768 წ. 7 ოქტომბერი—48 წ. =) 1720 წ. 7 ოქტომბერს¹. ამასვე ადასტურებს ტრიფილესვე მომდევნო სიტყვებიც:

„ძმის შობის სწრობას არ წლით—დღით ათობას,
მეფეთა ძობას, მწყემსთმთავრისა ბრძნისა ძმობას,
კმა ვიყოფ ლმობას, გელვყოფ შესხმისმრთელობას“.

ე. ი. ერეკლე თავის „ძმაზე“ (სინამდვილეში—მამიდაშვილზე), ანტონ პირველზე უფროსი ყოფილა ათი დღით მხოლოდ. ტრიფილეს ეს ანგარიშიც მართალია: ანტონი დაბადებულია 1720 წ. 17 ოქტომბერს და ამ თარიღს რომ გამოვავლოთ 10 დღე—უდრის 1720 წ. 7 ოქტომბერს. მაშ, ხოტბის ამ მეორე ადგილითაც, ტრიფილეს საჯარო (ხოტბა ხომ საჯაროდ წარმოსათქმელი იყო!) განცხადებით, ერეკლეს დაბადების თარიღად 1720 წლის 7 ოქტომბერია ნაგულისხმევი. ის ამაში შეუძლებელია ხოტბის წერისას დაექვებული ყოფილიყო, რადგან სხვა დროის გულისხმობისა მეხოტბეს მოელოდა საჯაროდვე თუ არ მეფისაგან, რომელიმე მსმენელისაგან მაინც გაკილვა ანაქრონიზმის გამო. ერეკლეს დაბადების ეს თარიღი ტრიფილეს არამც თუ სხვა თანამედროვეთაგან, არამედ, აუცილებლად, თვით თავისი მასწავლებლის—ანტონ პირველისაგანაც უნდა სკოდნოდა, რომლის ცნობებსაც ამ საკითხზე იგი, უეჭველია, ამოიკითხავდა მის ნაწარმოებთა შესწავლისას მაინც.

ანტონ პირველი თავის ნაწერებში არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს თავის ერთხნოვნობას ერეკლესთან. მაგალითად, სომხურიდან 1764 წ. მის მიერ გადმოთარგმნილი მხითარ სევასტიელის „რიტორიკის“ წინასიტყვაობაში (= „წინასიტყვაობა—ეპისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ... ირაკლის მიმართ...“), სხვათა შორის, ერეკლეს საყურადღებოდ ანტონს ნათქვამი აქვს თავის ნაწარმოებთა შესახებ: „მიიღენ ესენი, უპატიოსნესო წევრო შენისა და ჩემისათან-შობილებითისა ერთობისაო, და მიეც ყრმათა შენთა“ სახელმძღვანელოდ სკოლებშიო¹. ადრინდელ, 1752 წ. თავის თხზულება „სპეკალისადმი“ წამძღვარებულ „ეპისტოლეშიაც“ მეფე ერეკლესადმი ანტონის მიერ თქმულია: „მე, შენთა ვგზომ შეწვენად ჩვენდა ტკივილთ-მოყუარებათა, სტრატოტო ქრისტესო, შენმან უსაკუთრე-

¹ „ოქტომბერი 7“ ერეკლეს დაბადების დღედ სხვა ხელნაწერებშიაც აქა-იქ გვხვდება, მაგრამ ზოგან არა 1720 წელთან, არამედ რომელიმე მახლობელ სხვა წელთან (მაგ., საქ. მუხ. № 2481 *Hi/Ros* 247—უცნობი ავტორის რუსულ ძველ ხელნაწერშიაც კი ვკითხულობთ: „Царь Ираклий родился в 1718-м году, октября 7-го...“ (გვ. 3), და მსავგასადვე აღნიშნულია სხვა ხელნაწერებშიც), რაც არაა სწორი.

² საქ. მუხ. № 123 S, შეად. ვ. ბარნოვის „ქართული ხელნაწერები“, „მოამბე“ 1898 წ., № IX, გვ. 92—94.

სად თანა-შობილებითა და თანა-ზრდითა და თანა-სწავლის-შინაობითა სამადლობელად გიძღვენ, ვითარ მეფეთა შესაბამ შეწირვად «სპეკალია»-ო¹. ამ გვარადვე, ანტონის მიერ თავის ზოგიერთ სხვა ნაშრომშიაც არა ერთხელ თქმულია ერეკლესა და მისი „თანა-შობილების“ შესახებ. ტრიფილეს ხოტბების გათვალისწინების შემდეგ კარგად გასაგებიცაა ეს ჩვენთვის: ცხადია, 10 დღით უმცროსი ანტონი ლაპარაკობს ერეკლესთან „თანა-შობილები“², ერთხნოვანობის შესახებ შემომოყვანილი სიტყვების წარმოთქმისას. ამრიგად, 1720 წ. 17 ოქტომბერს დაბადებული ანტონი გვიან გულისხმობს თავისი „ძმის“ ერეკლეს დაბადების დროდ 1720 წლის 7 ოქტომბერს.

შემომოტანილ საბუთებთან ერთად, მართლაც 7 ოქტომბერს ერეკლეს დაბადებას მოწმობს, აგრეთვე, იესე ოსეს-ძის ცნობაც. იესე თავის თავგადასავალში (ე. წ. „ანდერძი“) 1778 წ. ოქტომბრის ამბებს შორის მოგვითხრობს: მეფე ერეკლე ჯარით რიცხვსა „შვიდს ამზა-ჩირმანს იდგა და მისის შობის დღე გათენდა. მიულოცე“-ო². ამრიგად, ერეკლესთან ახლო მდგომი მოხელე, ცნობილი მდივანი და მსაჯული სსამართლოსა იესე ოსეს-ძე მას „შვიდს“ ოქტომბერს „შობის დღეს“ იულოცავს, რაშიაც უფუძლებელია ეჭვი შევიტანოთ.

შემომოყვანილი სარწმუნო ცნობები გვაძლევენ უფლებას დავასკვნათ, რომ მეფე ერეკლე II დაიბადა 1720 წლის 7 ოქტომბერს ძველი სტილით, ახლით კი—18-ს). უთუოდ სხვა სარწმუნო ცნობებიც მოიპოვება ძველ ხელნაწერებში ამ თარიღის კიდევ დამადასტურებლად და ამჟამად აქ გამოსაყენებლად ჩვენთვის ხელმიუწვდომელი დარჩა. მაგრამ რაც ითქვა, ვფიქრობთ, საკმარისია ამ დასკვნისათვის.

ერეკლე გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს. მას უცხოვრია (1798 წ. 11 იანვარი—1720 წ. 7 ოქტომბერი=) 77 წელი, 3 თვე და 4 დღე³.

¹ საქ. მუხ. №1743 A.

² „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, ს. კაკაბაძის შიერ 1913 წ. გამოც., გვ. 114.

³ ამრიგად, პ. ბუტკოვი, თუმცა თავისი ნაშრომის ორ ადგილას უშვებს შეცდომას, როცა ერეკლეს დაბადების თარიღად 1721 წ. 7 ნოემბერი აქვს აღნიშნული (Материалы... ч I, გვ. 136 და 241), მაგრამ მესამე ადგილას მაინც, ჩვენთვის უცნობი რაღაც საფუძვლით, სწორად ამბობს: „...царь Ираклий скончался в Телаве, с 10 на 11 января 1798 года, от воляной болезни, на 78 году своей жизни...“ (Материалы..., ч. II, გვ. 438. ნახვასმა ჩვენია, ა. რ.).

მ. სოსელია

ტაშის-კარის ბაჟის წუსხა

ტაშის-კარის საბაჟოს შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება ქართლის აბაშიძეთა საგვარეულო საბუთებში. ტაშის-კარი ამ ფეოდალური გვარის სა-მფლობელოში შედიოდა¹. აბაშიძეებს ტაშის-კართან საბაჟო ჰქონდათ. ამ საბა-ჟოში გაივლიდა ოსმალეთიდან ან ოსმალეთის გზით სხვა ქვეყნებიდან აღმოსავ-ლეთ საქართველოში მომავალი საქონელი და პირიქით, აბაშიძეებს საქონლის ეს მოძრაობა დიდ მოგებას აძლევდა.

XVIII საუკუნის შუა წლებში პაატა და ნიკოლოზ აბაშიძეებმა ტაშის-კა-რის გამგებლობა ბეჟან ნახუცრიშვილს ჩააბარეს. ტაშის-კარის საბაჟოს მოვლა აღნიშნულ აბაშიძეთა მამისაგანაც მასვე ქონდა მინდობილი. ტაშის-კართან იქ, სადაც საბაჟო იყო, კოშკი ყოფილა აგებული. აღსანიშნავია, რომ საბუთში კოშკი საბაჟოს აუცილებელ ატრიბუტად არის წარმოდგენილი. კოშკში იყო სა-ბაჟოს მეთვალყურეთა სადგომი და, ალბათ, აქვე ინახავდნენ შემოსულ სა-ქონლის ბაჟს.

ტაშის-კარის ბაჟს ქართლის მეფე და ამ საბაჟოს მფლობელი აბაშიძეები განსაზღვრავდნენ. ბეჟან ნახუცრიშვილი ბაჟს მათგან შედგენილი ნუსხის მიხე-დვით იღებდა. აღებული ბაჟის „ათის თავი“ მას ეკუთვნოდა. დანარჩენი აბა-შიძეებისათვის უნდა მიერთოდა.

ბეჟან ნახუცრიშვილს ტაშის-კარის საბაჟოს საქმეების მოსაგვარებლად თავისი ხელქვეითი „კაცი“ ჰყავდა. მასთან ერთად საბაჟოსთან აბაშიძეების „ორი კაცი“ იდგა. ისინი ბეჟან ნახუცრიშვილის განკარგულებას ემორჩილე-ბოდნენ და მასვე აბარებდნენ ანგარიშს.

გარდა საქონელზე დადებული ბაჟისა, ტაშის-კართან თუ მის მიდამოებ-ში მდგომი აბაშიძეების „ორი კაცი“ გამგლელი ვაჭრებისა და მგზავრები-საგან „სალამათს“² იღებდა, „რაც სამართალით“ იყო განწყესებული.

ტაშის-კარის ბაჟის ნუსხა, პაატა და ნიკოლოზ აბაშიძეების მიერ ბეჟან ნახუცრიშვილთან გაგზავნილ წიგნთან ერთად, მნიშვნელოვან ცნობებს იძ-ლევა საქართველოში საბაჟოს მმართველობის წესის, ამა თუ იმ საქონელზე

¹ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილების საბუ-თების ფონდი Hd—1265.

² „სალამათი“ დოც. ვ. ფუთურძის განმარტებით, არაბულ-სპარსული წარმოშო-ბის სიტყვაა და სპარსულად ნიშნავდა იმ ფულად საჩუქარს, რომელსაც მოგზაური აძლევდა გამცილებელს. იხ. სიტყვა سَلَامَاتِي «სალამათი»-სი. „Полный персидско-русский словарь“-ში. საქართველოში კი „სალამათი“, ჩანს, მნიშვნელოვან საბაჟო-სავაჭრო პუნქტებზე მგზავრთათვის სავალდებულო გადასახადი ყოფილა.

- ქ. საპალნე საყათზე¹ რომ საწვრილმანო არის, აბაზი ხუთი, ქალაღდიც იქნებ,
- ქ. საიასა მაუდსა და ლანდრაზე საპალნეზე² აბაზი ექვსი,
- ქ. ბრინჯუელ საპალნეზე ერთი ლიტრა,
- ქ. ზეთის ხილზე საპალნეზე ერთი ლიტრა,
- ქ. საპალნე მარილზე ნახევარი ლიტრა,
- ქ. ზურგზე მარილზე ნახევარი ჩარეკი,
- ქ. ზურგით ბანბა ვისაც მიქონდეს, ერთი აბაზი,
- ქ. ზურგით ფარჩა ვისაც მიქონდეს, ორი აბაზი,
- ქ. ზურგით სამოსელი ვისაც მიქონდეს, ერთი აბაზი.

ძმაო ბეჟან! ამ ჩვენს კაცსა და შენს კაცს ამ რიგათ ააღებინე ეს ჩვენი

ბაჟი.

მარტის დამდეგს ქქს უმა [1753 წ.].

ქართველთ მეფისა
 ტომ შათ ძირისა
 აბაშიძე პაატა

¹ „საყათი“, პატივც. ვ. ფუთურძის განმარტებით არაბული სიტყვაა. სპარსულში გვხვდება „საყათ-ფორუში“ და ნიშნავს საწვრილმანო საქონლით (ჩაი, შაქარი, პილპილი და სხ.) მოვაჭრეს. საქართველოში „საყათი“, როგორც ტექსტიდან ჩანს, „საწვრილმანოს“ აღსანიშნავად იხმარებოდა.

² ლანდრა არის წითელი ფერის დაბალი ზარისზის ქსოვილი. И. Ягелло, Полный персидско-арабско-русский словарь, Ташкент, 1910.

³ ეს ის ბეჭედი, რომელიც პირველ საბუთზე არის დასმული.

მ. ლორთქიფანიძე

ჰაზიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“

სახალიფო-საქართველოს ურთიერთობის შესწავლისათვის, განსაკუთრებით ამ ურთიერთობის ხასიათის გარკვევისათვის აღმ. საქართველოში არაბთა ძვლებლობის დამყარებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება „დაცვის სიგელს“. გაცემულს არაბი სარდლის ჰაზიბ იბნ მასლამას მიერ აღმ. საქართველოს დამორჩილებული მოსახლეობისათვის.

თვით „დაცვის სიგელს“ მატერიალური დოკუმენტის სახით ჩვენამდე არ მოუღწევია (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილი არაა), მაგრამ მისი შინაარსი დაცულია IX ს. არაბი ისტორიკოსების ტაბარის და ბალაძორის შრომებში¹. ნათ, ალბათ, თვით „დაცვის სიგელი“ ექნებოდათ ხელთ. ის მკირეოდენი განსხვავება, რომელიც „დაცვის სიგელს“² ორ,—ტაბარის და ბალაძორის ვარიანტებს შორის არსებობს, შემდგომ გადამწერთა დამახინჯებებისა და შეცდომებისაგან უნდა მომდინარეობდეს.

„დაცვის სიგელის“ ორივე ვარიანტის შემოკლებული ტექსტი გერმანული თარგმანითურთ გამოქვეყნებული აქვს Ghazarian³—ს, საიდანაც ის, აგრეთვე მკირე შემოკლებებით, ქართულად თარგმნა აკად. ივ. ჯავახიშვილმა⁴. ხოლო მისი (ბალაძორისეული ვარიანტის) რუსული თარგმანი შესრულებული აქვს პროფ. ჟუხეს⁵. „დაცვის სიგელის“ ბალაძორისეული ვარიანტი De Goeje-ს გამოცემის მიხედვით შესულია აკად. გ. წერეთლის მიერ შედგენილ არაბულ ქრესტომათიაში⁶.

„დაცვის სიგელი“ გაცემულია ოსმანის ხალიფობის (644—656) უკანასკნელ წლებში 654/5 წ. როგორც ეს დადგენილი აქვთ ჯერ Ghazarian-ს⁷ და შემდეგ აკად. ს. ჯანაშიას⁸ და არა 643/5 წ., როგორც აღნიშნული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს⁹.

„დაცვის სიგელი“ გაცემულია აღმ. საქართველოს მცხოვრებთა ნაწილისათვის სახელდობრ, თბილისის, არმაზის, მანგლისის ოლქის მცხოვრებთათვის.

¹ البلاذرى كتاب فتوح البلدان للإمام أبى العباس أحمد بن يحيى بن جابر — ed. M. J. De Goeje Leiden, 1866.

² Изд. соч. Баладзори „Книга завоевания стран“ — текст и перевод. Перевод — Проф. П. К. Жухе. Баку, 1927.

³ Ghazarian, Armenien unter der arabischen Herrschaft. Marburg, 1906. გვ. 163—167.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. II, თბილისი, 1943 წ. გვ. 70—72.

⁵ Г. წერეთელი, არაბული ქრესტომათია. თბილისი, 1949 წ. გვ. 67—7.

⁶ Ghazarian, დასახელებული ნაშრომი.

⁷ ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში. თბილისი, 1936. გვ. 22.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70.

الذين معى من المومنين فذكر عنكم انا امة
اكرما لله وفضلنا وكذلك فعل الله و له
الحمد كثيرا و صلى الله على محمد نبيه خيرته
من خلقه و عليه السلام و ذكرتم انكم احببتم
سلمنا و قد قوت هديتكم و حسبتمنا من
جزيتكم و كتبت لكم امانا و اشترطت
فيه شرطا فان قبلتموه ووقيتم به و الا فاذنوا
يحرب من الله ورسوله و السلام على من اتبع
الهدى، ثم ورد تفليس و كتب لاهلها صلحا
”بسم الله الرحمن الرحيم هذا كتاب من
حييب بن مسلمة لاهل طفليس من منجليس من
جرزان القرمز بالامان على انفسهم و
بيعتهم و صوامعهم و صلواتهم و دينهم على
اقرار بالصغار و الجزية على كل اهل
بيت دينار و ليس لكم ان تجتمعوا بين اهل
البيوتات نخيفا للجزية و لا لنا ان تفرق
بينهم استكثرنا منها و اننا نصيحتكم و ضلعتكم
على اعداء الله و رسوله صلعم ما استطعتم
وقرى المسلم المحتاج ليلة بالمعروف من
حلال طعام اهل الكتاب لنا و ان اقطع
برجل من المسلمين عندكم فعليكم اداؤه
الى ادى فيه من المومنين الا ان يحال دو
هم و ان انبتهم واقمتهم الصلاة فاحواثا فى
الدين و الا فالجزية عليكم و ان عرض
للمسلمين شغل عنكم فمهركم عنكم فغير
ماخوذين بذلك و لا هو ناقض عهدكم هذا
لكم و هذا عليكم شهد الله و ملائكته و
كفى بالله شهيدا“ و كتب الجراح بن عبد
الله الاحكمى لاهل تفليس كتابا نسخته “بسم
الله الرحمن الرحيم هذا كتاب من الجراح
بن عبد الله لاهل تفليس من رستاق منجليس
من كورة جرزان انه اتونى .سكتاب امان لهم
من حبيب بن مسلمة على الاقرار بصغار
الجزية و انه صالهم على ارضين لهم و كروم
وارحاء يقال لها اوارى و ساينا من رستاق
منجليس و عن طعام و ديوننا من رستاق

როდესაც ის (ჰაბიბი) აპირებდა მის
(ჯურზანის) დაპყრობას და გადასცა
მას უსტარი და სთხოვა მას ზავისა და
უშიშროების წიგნი⁴. და დაუწერა მათ
ჰაბიბმა: „შემდეგ კი (აირა): კუშმარი-
ტად ნიკოლა⁵, მოციქული თქვენი, წარ-
მოვიდგა მე და იმ მორწმუნეებს, რომ-
ლებიც მე მახლავან და მოგვახსენა
თქვენგან, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რო-
მელსაც ალ-ლაჰმა მიანიჭა პატივი და და-
აწინაურა⁶. ამგვარად მოიმოქმედა ალ-
ლაჰმა, დიდება მას მრავლად, აკურთ-
ხებს ალ ლაჰი მუჰამადს—მის მოცი-
ქულს, რჩეულს მის ქმნილებათა შორის
და მას მშვიდობა. მოგვახსენეთ, რომ
თქვენ გსურთ ზავი ჩვენთან. მე შევადგასე
თქვენი საჩუქარი და ჩაგითვალეთ ჯი-
ზიაში⁷. დაგიწერეთ დაცვის სიგელი და
დაგიდეთ ერთი პირობა, თუ მიიღებთ
მას და შეასრულებთ (ხომ კარგი) და
თუ არა, გამოგეცხადებთ ომი ალ-ლა-
ჰისა და მისი მოციქულის (სახელით).
სალამი მათდა, ვანც მიღის სწორი
გზით“. შემდეგ მივიდა თბილისში და
დაუწერა მის, მოსახლეობას ზავის წიგ-
ნი. „სახელთა ალ-ლაჰისა მოწყალისა
მწყალობელისათა. ეს (არის) წიგნი ჰა-
ბიბ იბნ მასლამასაგან თბილისის მო-
სახლეობისადმი მანგლისიდან და არმა-
ზის ქართლიდან⁸ მათი პიროვნების,
ტადრების, მონასტრების, ლოცვის
და რელიგიის გარანტიის პირობით.
მცირე ჯიზიას⁹ ცნობისა — კომ-
ლის თავზე თითო დინარი. თქვენ არ
გაქვთ უფლება რომ გააერთიანოთ კომ-
ლები ჯიზიას შემსუქების მიზნით და
ჩვენ კი არ გვაქვს უფლება დავენაწი-
ლოთ ისინი მისი გაზრდის მიზნით.
თქვენ ვალდებული ხართ, რომ დაგე-
ხმაროთ ჩვენ რჩევით და შეწყვიტოთ
ალ-ლაჰისა და მისი მოციქულის მტრე-
ბის წინააღმდეგ (პარძოლაში) რამდენ-

გეორგიძე

قحويط من كورة جرزان على ان يودوا
 عن هذه الارحاء والكروم في كل سنة
 مائة درهم بلا تانية فافقت لهم امانهم و
 صلحهم وامرت الاي زاد عليهم فمن قري
 عليه كتابي ملا يتعد ذلك فيهم ان شاء
 الله“ و كتب

მიიყვანოთ ის მართლმორწმუნეთა უახლოეს რაზმამდე, თუ ეს თქვენთვის შეუძლებელი არ არის. თუ მოიქცევით და შეასრულებთ ლოცვას— გახდებით ჩვენი თანამომენი სარწმუნოებაში, თუ არა (ვალდებული ხართ) იხადოთ ჯიზია. და თუ მუსლიმანები ვერ დაგეხმარებიან თქვენ, ხოლო თქვენი მტერი დაგიმორჩილებთ, ამისთვის თქვენ არ იქნებით დასჯილნი და ეს არ იქნება დაზღვევა თქვენი აღთქმისა, ესაა თქვენი უფლებები და თქვენი ვალდებულებანი. დასწერა ალ ჯარაჰ იბნ ყაბდ ალ-ლაჰ ალ-ჰაქამიმ თბილისის მოსახლეობისათვის წიგნი ¹² ნუსხა მისი (ჰაბიბის ხელშეკრულების). „სახელითა ალ-ლაჰისა მოწყალისა მწყალობლისათა ეს არის წიგნი ჯარაჰ იბნ ყაბდ ალ-ლაჰისაგან თბილისის მოსახლეობას მანგლისის თემიდან ქართლის ოლქიდან მასში, რომ მივიღე მე დაცვის სიგელი (მიცემული) მათდა ჰაბიბ იბნ მასლამასაგან მცირე ჯიზიას ცნობისა და რომ შეუთანხმდა ის მათ მათ მიწებზე, ვენახებსა და წისქვილებზე ეწოდება მათ აგარი და საბიანა მანგლისის თემიდან და ტაყამი და რიღუნა კოგოგიტის თემიდან ქართლის ოლქიდან. ¹³ რომ გადაიხდიან ამ წისქვილებისა და ვენახებისათვის წელიწადში 100 დირჰემს ერთდროულად. მე დავუმტკიცე მათ დაცვის სიგელი და საზავო ხელშეკრულება და ვბრძანე რომ არ გაიზარდოს მათზე (იგი). და ვისაც წაეციოთხოს ჩემი სიგელი, არ დაირღვიოს ის თუ სურს ალ-ლაჰს“. და დაამტკიცა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

¹) ჰაბიბ იბნ მასლამა—არაბი სარდალი, სირიისა და მესოპოტამიის დამპყრობი, VII ს. 50 წლებში იწყებს ქართლისათვის ბრძოლას.

²) ქართლი.

³) ერისმთავარი

⁴) დაცვის სიგელი

⁵) ბალაძორისეულ ტექსტშია ნიკოლა نقلا (ნკლ). ტაბარისეულში—თეოფილე توفيل (თფლ) ეს სხვაობა გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოშობილი.

⁶) ტაბარისეულ ვარიანტში ეს მიმართვა სულ სხვაგვარადაა. ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი—ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 71. თბილისი, 1948.

⁷) დაცვის სიგელის 'გერმანულ თარგმანში (Ghazarian, დას. ნაშრომი) ეს نقلا ჯიზია ყველგან თარგმნილია Kopfsteuer-ად; ხოლო ქართულ თარგმანში (ივ. ჯავახიშვილი დას. ნაშრომი) ხარაჯად. ხარაჯა სამამულო გადასახადია, ჯიზია კი სულადი. მართალია, თავდაპირველად მტკიცე ზღვარი ამ ორი სახის გადასახადს შორის არ არსებობდა, მაგრამ ტექსტის თარგმნისას მაინც სიხუსტის დაცვას ვერჩევთ.

⁸) როგორც აღვნიშნეთ, აქ ბალაძორისეულ ვარიანტში „კირმიზია“. მაგრამ ჩვენ შესაძლებელად მიგვიჩნია ამ ადგილის შესწორება ტაბარისეული ვარიანტით.



9) ეს გამოთქმა ცოტა გაუგებრობას იწვევს *على اقرار بصغار والجزية* ტაბარისფელ ვარიანტში ეს „ა“-და-არ არის. იქ ეს ფრაზა ასეა წარმოდგენილი: *على اقرار بصغار الجزية* და შეიძლება ასე ითარგმნოს „მცირე ჯიზიას ცნობისა“. თითქოს ასეცაა გასაგები. რადგან არაბთა მიერ ქართლის მოსახლეობისათვის დაკისრებული ჯიზია—სწორედ რომ მცირე იყო, უდრიადა რა მხოლოდ 1 დინარს. თუ ამ წინადადებას მივიღებთ „ა“-იანად (ე. ი. „და“ კავშირთანად) მაშინ იქნება *على اقرار بصغار والجزية* დამცირებისა და ჯიზიას ცნობისა—ე. ი. ხელშეკრულება გულისხმობს, რომ ქართლის მოსახლეობა აღიარებდა თავის დამცირებას დამოუკიდებლობის დაკარგვას).

10) ეს იქნებ ის ვალდებულებაა, რომელსაც მუსლიმანები დაპყრობილ ხალხებს საბინაო გადასახადის სახით აკისრებდნენ.

11) გერმანულ თარგმანში (Ghazarian) და იქიდან მომდინარე ქართულში (ივ. ჯავახიშვილი) ეს ადგილი ასეა: *Bewertung mit solchen Guten, den Schriftbesitzern (Christen und Iuden) erlaubten Speisen, die auch uns erlaubt sind* „გაუპასპინდლდეთ ისეთის საქებლებით, რომელიც (საღმრთო) წერილის მქონე ერებს (ე. ი. ქრისტიანებს და ებრაელთ) და ჩვენც გვიშეუვა“. უხუც ამ ადგილს ასე თარგმნის — „Кормить его дозволенною пищею „яюдскй писания“ (op. cit გვ. 12). მაგრამ ვფიქრობთ, ამ „წიგნში“ (كتاب) იგულისხმება მხოლოდ მუსლიმანთა წიგნი—ყურანი და არა საღვთო წერილი—საერთოდ დაცვის სიგელში ლაპარაკია ~~წიგნზე~~ მუსლიმანთა მიმართ დაწესებულ ვალდებულებებზე. აქ რომ საერთოდ საღვთო წერილი იგულისხმებოდეს, მაშინ არც იქნებოდა საქმელში განსხვავება. მუსლიმანები სწორედ თავისთვის დასაშვებ საქმელს გულისხმობენ.

12) როგორც აღვნიშნეთ, ქართლის ნებით დამორჩილებული მოსახლეობა შემდეგ აღარ უდებს თავს არაბთა ბატონობას და არაბებს უხდებათ ქართლის დამორჩილება ხელახლა და ჯარაჰიბნ აბდ-ალ-ლაჰი VIII ს. 20-იან წლებში ლაშქრობს ქართლში.

13) ამ სახელებისა და გეოგრაფიული პუნქტების დაჯგენა ვერ მოხერხდა.

ბაბული ლომინაძე

მასალები საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის
ქრონოლოგიისათვის

წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს დაადგინოს ქართლის კათალიკოს-თა ქრონოლოგია. ამჟამად ვაქვეყნებთ ამ სამუშაოს მხოლოდ ერთ ნაწილს (მოიცავს XVII—XVIII ს-ებს).

ძველ ავტორებს, მათ შორის დავით რექტორს (ალექსიძე), პლ. იოსე-ლიანს, თ. ჟორდანიას, პ. კარბელაშვილს და სხვებს, გამოქვეყნებული აქვთ სპეციალური სიები, მაგრამ მათი მეცნიერული ღირებულება დღეისათვის ძლიერ დაბალია. კათალიკოსთა მეცნიერული ქრონოლოგიის უქონლობა კი, უკვე მას შემდეგ რაც მეფეთა ქრონოლოგია დადგენილია, ერთგვარ ნაკლს წარმოადგენს. ჩვენი მიზანი იყო ამ ხარვეზის შევსება.

* * *

I. ქრისტეფორე. მოხსენებულია, როგორც მოქმედი კათალიკოსი შემდეგ წლებში: 1616—16 სექტემბერი¹, 1618², 1619², 1620⁴, 1622—23 სექტემბერი⁵.

კათალიკოსობს 1616 წლიდან: წინა კათალიკოსი, იოანე, უკანასკნელად 1616 წლის საბუთში იხსენიება; ამავე წლის 16 სექტემბრის საბუთში მოქმედ კათალიკოსად უკვე ქრისტეფორეა მოხსენებული. უკანასკნელად ქრისტეფორე 1622 წლის 23/IX-ის საბუთში გვხვდება, მომდევნო კათალიკოსი ზაქარია კი, ჩვენი საბუთების მიხედვით, პირველად 1623 წელს იხსენიება. ამგვარად, ქრისტეფორე კათალიკოსის ზეობა შეიძლება 1616—1622 წლებით განისაზღ-ვროს.

II. ზაქარია ჯორჯაძე. მოხსენებულია—1623 წ.¹, 1624 წ.², 1625 წ.³, 1626 წ.⁴, 1627 წ.⁵, 1628 წ.⁶, 1629 წ.⁷, 1630 წ. 30 სექტ⁸.

ზაქარიას კათალიკოსობის დასაწყისად 1623 წ. უნდა მივიღოთ (იხ. ქრისტეფორე). ზ. კათალიკოსობს 1630 წლამდე: 1630 წლის 9/IX-ის საბუთ-ში კათალიკოსად ზ. იხსენიება; ამ წლისვე საბუთში მოიხსენიება მომდევნო კათალიკოსი ვედემოზ დიასამიძეც. ამგვარად, ზაქარიას კათალიკოსობის პე-რიოდი 1623—1630 წ-ბით უნდა განისაზღვროს⁹.

III. ვედემოზ დიასამიძე. მოხსენებულია—1630 წ.¹, 1633 წ.², 1634 წ.³, 1637 წ.⁴.

კათალიკოსობას იწყებს 1630 წელს, 9/IX-ის შემდგომ (იხ. ზაქარია)-უკანასკნელად ე., ჩვენი საბუთების მიხედვით, 1637 წელს მოიხსენიება, 1638



წლის საბუთში კი კათალიკოსად ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი ჩანს. ამგვარად, ევდემოზ დიასამიძის კათალიკოსობა 1630—1637 წლებში უნდა დაიდვას.

ევდემოზი, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, როსტომ მეფეს გადაუყენებია კათალიკოსობიდან და დაუბატიმრებია, ბოლოს ციხიდან გადმოგდებით სიკვდილით დაუსჯია⁵. იკორთის ქრონიკა ევდემოზის მკვლელობას 1643 წლით უჩვენებს⁶.

IV. ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი. მოხსენებულია—1638 წ.¹ 1640 წ.², 1644 წ.³, 1645, წ.⁴, 1648 წ.⁵, 1651 წ.,⁶ 1652 წ.⁷, 1654 წ.⁸, 1655 წ.⁹, 1659 წ.¹⁰.

ქრისტეფორეს კათალიკოსობის დასაწყისად 1638 წ. უნდა მივიღოთ (იხ. ევდემოზი). ქრ. კათალიკოსობს 1650 წლის იანვრამდე: ვახუშტი ქრისტეფორეს გარდაცვალებას და მომდევნო კათალიკოსის, დომენტი ბატონიშვილის, დადგენას 1650 წლით ათარიღებს, თვეს არ მიუთითებს;¹¹ ამას ეთანხმება დოკუმენტალური წყაროებიც—ჩვენი საბუთების მიხედვით ქრ. უკანასკნელად 1659 წელს იხსენიება, ხოლო დომენტი, როგორც კათალიკოსი, პირველად 1660 წლის 26 იანვრით დათარიღებულ საბუთში მოიხსენიება. ამგვარად, ქრ. ურდუბეგაშვილის კათალიკოსობის პერიოდად მივიღეთ 1638—1660 წ. იანვარი.

V. დომენტი ქაიხოსროს ძე მუხრან-ბატონი. მოხსენებულია—1660 წ. 26 იანვარი¹, 1661 წ.², 1662 წ.³, 1663⁴, 1664⁵, 1665 წ.⁶, 1666 წ.⁷, 1667 წ.⁸, 1668 წ.⁹, 1669 წ.¹⁰, 1670 წ.¹¹, 1671 წ.¹², 1673 წ.¹³, 1675 წ.⁵, ივნისი¹⁴.

დ. კათალიკოსობას იწყებს 1660 წ. იანვრიდან (იხ. ქრისტეფორე). კათალიკოსობს 1676 წლის სექტემბრამდე: უკანასკნელად დ., ჩვენი საბუთების მიხედვით, 1675 წლის 5/VI-ს იხსენიება; მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიის კედლის და თვით დომენტის საფლავის წარწერები დ-ის გარდაცვალებას 1676 წლის 22 სექტემბრისათვის უჩვენებენ;¹⁵ ამას სხვა ქრონიკალური წყაროც ეთანხმება, მხოლოდ განსხვავებას თვის რიცხვში იძლევა—1 სექტემბერი¹⁶. ამგვარად, დომენტი ბატონიშვილის კათალიკოსობის პერიოდი არის 1660 წ. იანვარი—1676 წ. 22 სექტემბერი¹⁷.

VI. ნიკოლოზ იოთამის ძე ამილახორის შვილი. მოხსენებულია—1678 წ. 28 მარტი¹, 1680 წ.², 1681 წ.³, 1685 წ.⁴, 1686 წ.⁵, 1687 წ.⁶, 1688 წ.⁷, 1693 წ.⁸.

ნიკოლოზის კათალიკოსობა ორ პერიოდად იყოფა. მას ორივეჯერ იოანე დიასამიძე ცვლის. ნ. კათალიკოსობას იწყებს 1678 წლიდან (28/III-ის წინა დროიდან): მოგვეპოვება პირდაპირი მითითება—1687 წლის სიგელში ნ. თვითონვე წერს—ვეკურთხე 1678 წელსო (თვეს არ ასახელებს); როგორც კათალიკოსი, პირველად 1678 წლის 28/III საბუთში იხსენიება. ნ. კათალიკოსობს 1688 წლამდე: ნიკოლოზის გადაყენებას კათალიკოსობიდან და იონეს დადგენას ვახუშტი 1688 წლით ათარიღებს;⁹ ამას უდგება ის ფაქტი, რომ უკანასკნელად ნ. 1688 წლის საბუთში იხსენიება და ამ წლისვე საბუთში მოქმედ კათალიკოსად იოანე დიასამიძესაც ვხედავთ (იხ. იოანე)..

ამგვარად, ნიკოლოზის კათალიკოსობის პირველი პერიოდი 1678—1688 წლებით განისაზღვრება.

მეორე პერიოდში ნ. კათალიკოსობას იწყებს 1691 წლიდან: ვახუშტის ცნობით გიორგი მეფემ 1691 წელს ხელახლად დაადგინა ნ. კათალიკოსად; შინა კათალიკოსი იოანე კი უკანასკნელად 1691 წელს იხსენიება. საერთოდ ამ მეორე პერიოდიდან ნიკოლოზის შესახებ მხოლოდ ერთი საბუთი (1693 წ.) არის ჩვენთვის ცნობილი. ნ. კათალიკოსობს ვიდრე 1696 წლამდე: ვახუშტის მითითებით ნ. გადაყენებულ იქნა კათალიკოსობიდან 1696 წელს¹¹; ამას უდგება ის ფაქტი, რომ მომდევნო კათალიკოსი იოანე პირველად 1696 წლის 24/III საბუთში იხსენიება (იხ. ქვევით, იოანეს ზეობის მეორე პერიოდი). ამგვარად, ნიკოლოზ იოთამის ძის კათალიკოსობის მეორე პერიოდი 1691—1696 წ-ბით განისაზღვრება.

VII. იოანე დიასამიძე. მოხსენებულია — 1688 წ.¹, 1690 წ.², 1691 წ.³, 1696 წ. 24 მარტი⁴, 1697 წ.⁵, 1698 წ.⁶, 1700 წ.⁷.

იოანე დიასამიძის კათალიკოსობა ორ პერიოდად იყოფა. პირველად კათალიკოსობას იწყებს 1688 წლიდან: ამ წელს ი. ნიკოლოზ იოთამის ძეს ცვლის (იხ. ნიკოლოზი). შემომოყვანილ არგუმენტაციას (იოანეს კათალიკოსობის დასაწყისის შესახებ) აქ უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი ცნობა—იკონოსის ქრონიკაც 1688 წლით ათარიღებს იოანეს გაკათალიკოსებას⁸. ი. კათალიკოსობს 1691 წლამდე: საკათალიკოსო ტახტზე იოანეს ისევ ნიკოლოზ იოთამის ძე ცვლის (იხ. ნიკოლოზი). იოანეს ზეობის პირველი პერიოდი იქნება 1688--1691 წ.

მეორე პერიოდში ი. კათალიკოსობას იწყებს 1696 წელს, 24/III-ის შინა პერიოდიდან (იხ. ნიკოლოზი)⁹. კათალიკოსობს ვიდრე 1700 წლამდე: ვახუშტის ცნობით ი. 1700 წელს გარდაიცვალა¹⁰; ჩვენს საბუთებში უკანასკნელად 1700 წ. იხსენიება, ხოლო 1701 წლის დასაწყისში უკვე ევდემოზ დიასამიძე გახდა კათალიკოსად. ამგვარად, იოანეს კათალიკოსობის მეორე პერიოდი იქნება 1696—1700 წლები.

VIII. ევდემოზ დიასამიძე. მოხსენებულია — 1701 წ. 11 იანვარს¹ — 8 თებერვალ¹, 1702 წ.², 1704 წ. 11 აპრილ³.

ე. კათალიკოსობას იწყებს 1701 წ. 11 იან. — 8 თებერვლიდან: არსებობს პირდაპირი მითითება — ირანის შაჰის სპეციალურ ფირმანში, რომელიც აღნიშნული რიცხვით არის გაცემული, ნათქვამია, ე. აყვანილია კათალიკოსობის ხარისხში იოანეს გარდაცვალების თარიღიდან (ი. გარდაიცვალა 1700 წ.). აქ, იოანეს გარდაცვალების თარიღი ფორმალური მხარეა, ფაქტურად კი ევდემოზის კათალიკოსობა ფირმანის გაცემის დროიდან უნდა იგულისხმებოდეს. პირველად ე. 1701 წ. საბუთში იხსენიება. ე. კათალიკოსობს 1705 წლამდე: მომდევნო კათალიკოსი დომენტი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1705 წ. ლებულობს კათალიკოსობას. ამგვარად, ევდემოზის კათალიკოსობა მოდის 1701—1705 წ-ში.

IX. დომენტი ლევანის ძე ბატონიშვილი. მოხსენებულია — 1705 წ.¹, 1706 წ.², 1707 წ.³, 1708 წ.⁴, 1709 წ.⁵, 1710 წ.⁶, 1712 წ.⁷, 1713 წ.⁸.

1715 წ.⁹, 1716 წ.¹⁴, 1718 წ.¹¹, 1719 წ.¹², 1722 წ.¹², 1724 წ.¹⁴, 1725 წ. 21 თებერვალი¹⁵, 1727 წ.¹⁶, 1736 წ.¹⁷, 1738 წ.¹⁸, 1740 წ. აპრილი¹⁹, 1741 წ. იანვარი²⁰.

დ. კათალიკოსობას იწყებს 1705 წელს: მოგვეპოვება პირდაპირი მითითება — დომენტის საკათალიკოსო ბეჭედზე წარწერასთან ერთად აღნიშნულია კათალიკოსად კურთხევის თარიღიც, 1705 წელი²¹; ამასვე ეთანხმება ვ ა ხ უ შ ტ ი²².

პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით დომენტი კათალიკოსს რამდენიმე ხნით ოსმალეთში უხდება ყოფნა. მოგვეპოვება პირდაპირი წყარო, სადაც ნახეწება ამ ამბების ქრონოლოგია: 1725 წ. დომენტი კონსტანტინეპოლში მიდის, აქ 2 წელსა და 8 თვეს დაჰყოფს (ე. ი. 1728 წლამდე), შემდეგ ხონთქარის ბრძანებით ექსორირებულ იქნა ტენედოში (კონსტანტინეპოლის ახლოს), სადაც 9 წელიწადს ატარებს (1728—1737 წ. წ.)²³. ამის შემდეგ ისევ კონსტანტინეპოლში ბრუნდება (რაც იქედან ჩანს, რომ 1738 წლის სიგელი დაწერილია კონსტანტინეპოლში)²⁴. ბოლოს იმერეთზე გამოვლით ქართლში მიდის. იმერეთში მოსულა, ს. ჩხეიძის ცნობით, 1738 წლის 25 მაისს,²⁵ ხოლო იმერეთიდან ქართლში 1739 წ. 27 ნოემბერს (პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი)²⁶. 1740 წ. აპრილის სიგელი უკვე ქართლშია დაწერილი.

დ. კათალიკოსობს 1741 წლამდე: უკანასკნელად, როგორც მოქმედი კათალიკოსი, 1741 წ. იანვარში იხსენიება, ხოლო ამ წლის მარტში კათალიკოსად უკვე ნიკოლოზ ხერხეულიძე ჩანს (იხ. ნიკოლოზი). ამგვარად, დომენტის ზეობა 1705—1741 წლებით უნდა განისაზღვროს. როგორც ვნახეთ, 1725—1739 წლებში დ. ქართლში არ იმყოფება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იგი მაინც საქართველოს კათალიკოსად ითვლება (იხ. კონსტანტინეპოლში დაწერილი სიგელები 1727 წ. და 1739 წ. ან ტენედოში შესრულებული ხელნაწერი 1736 წ.)²⁷.

პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ცნობით დ. 1742 წ. იანვარში გარდაიცვალა,²⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი ს ცნობით 1741 წელს²⁹. მომდევნო კათალიკოსი ნიკოლოზი მას თავის სიცოცხლეზევე უკურთხება³⁰.

X. ბ ე ს ა რ ი ო ნ ო რ ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. მოხსენებულია — 1725 წ. მარტი,¹ 1736 წ. 30 მარტი².

დომენტი კათალიკოსის საქართველოდან წასვლის შემდეგ კათალიკოსობას იწყებს ბესარიონი 1725 წ. მარტიდან (1725 წ. თებერვალში დ. იხსენიება, ამ წლის მარტში ბესარიონი). ვ ა ხ უ შ ტ ი ს თხზულებიდან ჩანს, რომ ბესარიონი ვახტანგ (VI) მეფის მოწინააღმდეგეთა კანდიდატი ყოფილა, და როცა დგება ხელსაყრელი მომენტი, ვახტანგი რუსეთში მიდის და დომენტი კათალიკოსი — ოსმალეთში, მაშინ კათალიკოსობასაც მას აძლევენ³.

ბესარიონის გარდაცვალების თარიღი წყაროებში სხვადასხვანაირად არის ნახეწები. ერთი მინაწერი 1735 წელს უჩვენებს⁴, ასევე ს. ჩხეიძე⁵, მაგრამ არსებობს ბესარიონის მიერ გაცემული სიგელი 1736 წლის მარტის თარიღით (აქვს ბეჭედი და ხელრთვა⁶). ეს უკვე იმას გვიმტკიცებს, რომ პირველი და

მეორე ცნობა სწორი არ არის. ამასვე ეთანხმება ვახუშტიც, რომელიც ბესარიონის გარდაცვალებას 1737 წლის ამბებში მოგვითხრობს⁷.

XI. კირილე. მოხსენებულია—1738 წ. 2 თებერვალი¹. ბესარიონის გარდაცვალების შემდეგ საკათალიკოსო ტახტს კირილე იკერს. მისი კათალიკოსობა 1739 წ. 1/XI-დე უნდა გაგრძელებულიყო (დომენტის საქართველოში დაბრუნებამდე). თანამედროვე საბუთებში ხშირად იხსენიება „ქართლის მთავარეპისკოპოსი კირილე“. თუ ესენი ერთიდაიგივე პიროვნებაა (ჩვენ ასეც ვფიქრობთ), მაშინ ზუსტად შეიძლება გავარკვიოთ კირილეს ზეობა: კ. მთ. ეპისკოპოსად იხსენიება — 1736 წ. მაისი², 1737 წ. აპრილი³, 1740 წ. თებერვალი⁴, 1741 წ. მარტი⁵ და ა. შ. ამ წლებს დაახლოებით უდგება ბესარიონის გარდაცვალების წელი (1736—1737 წ. იხ. ზემოთ) და დომენტის ქართლში დაბრუნების თარიღი (1736 წ. 1/XI). ამგვარად, კირილეს კათალიკოსობა 1737—1739 წ-ებში უნდა ვიგულისხმოთ.

XII. ნიკოლოზ ხერხეულიძე. მოხსენებულია 1741 წ. 1 მარტი¹, 1742 წ.², 1744 წ. 11 აგვისტო³.

ნ. კათალიკოსობას იწყებს 1741 წლის II ან III თვიდან: დომენტი უკანასკნელად 1741 წ. იანვარში იხსენიება, ამ წლის 1 მარტს კათალიკოსად უკვე ნიკოლოზ ხერხეულიძეა. 1744 წ. 11 აგვისტოს ნ. მოკლულ იქნა⁴.

XIII. ანტონ იესეს ძე. ანტონის კათალიკოსობა ორ პერიოდად იყოფა. კათალიკოსად ეკურთხა 1744 წ.¹, 1755 წ. დეკემბერს კათალიკოსობიდან გადააყენეს, ამის შემდგომ ა. რუსეთში მიდის², 1763 წ. რუსეთიდან საქართველოში ბრუნდება და 1764 წ. 5 მარტს კათალიკოსობას აახლებს³. 1781 წ. 1 მარტს გარდაიცვალა⁴.

XIV. იოსებ ჯანდიერი შვილი. მოხსენებულია — 1757 წ.¹—1761 წ.².

ი. კათალიკოსობს 1755 წლიდან 1764 წლამდე (იმ პერიოდში, როცა ანტონი გადაყენებული იყო)³.

XV. ანტონ ერეკლეს-ძე. ა. კათალიკოსობას იწყებს 1788 წლიდან¹. 1811 წელს რუსეთის მეფის მიერ საბოლოოდ გაწვეულ იქნა რუსეთში და საქართველოში დაინიშნა ეგზარხოსი². 1827 წ. 21 დეკემბერს გარდაიცვალა ნიენ-ნოვგოროდში³.

შემომოყვანილ მსჯელობათა საფუძველზე, ქართლის კათალიკოსთა ქრონოლოგიური სია შემდეგ სახეს მიიღებს:

ქრისტეფორე 1616 წ.—1622 წ.

საქარია ჯორჯაძე 1623 წ.—1630 წ.

ევდემოზ დიასამიძე 1630 წ.—1637 წ.

ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი 1638 წ.—1660 წ. იანვარი.

დომენტი ქაიხოსროსძე მუხრან ბატონი 1660 წ. იანვარი—1676 წ. 22 სექტემბერი.

ნიკოლოზ იოთამის-ძე ამილახორის შვილი 1678 წ.—1688 წ.

1691 წ.—1696 წ.

ოთანე დიასამიძე 1686 წ.—1691 წ.

1696 წ.—1700 წ.

ევდემოზ დიასამიძე 1701 წ. 11 იან.—8 თებ.—1705 წ.

ლომენტი ლევანის ძე ბატონიშვილი 1705 წ.—1741 წ.

(1725 წ. 21/II—1739 წ. 27/XI ქართლში არ იმყოფებოდა).

ბესარიონ ორბელიშვილი 1725 წ./III—1737 წ.

კირილე 1737 წ.—1739 წ.

ნიკოლოზ ხერხეულიძე 1741 წ.—1741 წ. 11 აგვისტო.

ანტონ იესეს ძე 1744 წ.—1755 წ.*

1764 წ. 5/III—1788 წ.

იოსებ ჯანდიერიშვილი 1755 წ.—1764 წ.

ანტონ ერეკლეს-ძე 1788 წ.—1811 წ.

შ ე ნ ი შ ვ ე მ ე ი

I. 1) ქრონიკები II, 441; საქ. ცენტრ. არქივი, ფონდ 230, დავთარი 1, დავით-გარეჯის მონასტრის საბ. 2) კ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1900, 120—122. 3) არქივ. ფ. 226, № 5058. 4) არქ. ფ. 229, დ. 2, № 143. 5) 1622 წლის თარიღით ოთხ საბუთს ვიცნობთ: ქრ. II, 444—445. 6) საქართველოს სიძველენი, II, 145.

II. 1) ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმი, ფონდი Hd, № 9446. 2) ქრ. II, 446. 3) ქრ. II, 447. 4) არქ. ფ. 226, № 80. 5) 2 საბუთი: არქ. ფ. 226, № 2045; ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. 1940, 364. 6) 2 საბუთი: არქ. ფ. 229, დ. 2, № 75; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, 12; ქრ. II 447. 7) მუზეუმი, ფ. Hd, № 2390. 8) 3 საბუთი: არქ. ფ. 226, № 2044; საქ. სიძვ. III, 539. მიქ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ. 1902. 113—114. 9) ზაქარიას გვარის შესახებ: 1637 წ. საბ., პ. კარბელაშვილი ი. ნ. საქ. ეკლესიისა, 116—119.

III. 1) არქ. ფ. 2 9, დ. 38, № 191. ამ საბუთში თვე (ივნისი) სწორად არ არის ნაჩვენები, საბუთი პირს წარმოადგენს და შეიძლება გადაშწერის შეცდომა იყოს. როგორც ვნახეთ ამ წლის სექტემბერში კათოლიკოსად ჯერ კიდევ ზაქარიას. 2) არქ. ფ. 229, დ. 31, № 120. 3) 3 საბუთი: არქ. ფ. 229, დ. 29, № 126; ისტ. საბ. IV, 20; საქ. სიძვ. II, 231 და ქრ. II, 450. 4) არქ. ფ. 229, დ. 31, № 119. 5) ვახუშტი ი, საქ. ცხოვრება, II, ჭიჭ. გამოც. 73—74. 6) ქრ. II, 456.

IV. 1) ქრ. II, 453. 2) არქ. ფ. 229, დ. 29, № 58. 3) არქ. ფ. 226, № 5102. 4) არქ. ფ. 229, დ. 31, № 122. 5) 2 საბუთი: ქრ. II, 451—464, თ. ყორღანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი 1903, 1; მუხ. ფ. Ad, № 352. 6) 3 საბუთი: არქ. ფ. 229, დ. 29, № 59; არქ. ფ. 229, დ. 31, № 105; ისტ. საბ. IV, 33. 7) 2 საბუთი: ქრ. II, 466; არქ. ფ. 229, დ. 31, № 95. 8) ისტ. საბ. IV, 34; ქრ. II, 467. 9) არქ. ფ. 229, დ. 31, № 89. 10) ქრ. II, 476. 11) ვახუშტი ი, საქ. ცხ. II, ჭიჭ. გამოც. 378. 12) შესაძლებელია ეს ქრისტეფორე და ზემოაზნილული ქრისტეფორე (1616—1622) ერთი და იგივე პიროვნება იყო, ჯერჯერობით კი წყაროებით არ ირკვევა. ქრ. ურდუმეგაშვილი იხსენიება 1610 წელსაც (ქრ. II, 439), ოღონდ როგორც მცხეთის სივლის დამწერი.

V. 1) 2 საბუთი: მუხ. ფ. Hd, № 2627; ქრ. II, 477. 2) ქრ. II, 478. 3) ისტ. საბ. IV, 37. 4) არქ. ფ. 229, დ. 31, * 125. 5) 5 საბუთი: ქრ. II, 482; ისტ. საბ. IV, 40, 41; ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 41; ქრ. II, 482; იგივე, თ. ყორღანია, ქ. კ. მონ. საბ. 187. 6) 2 საბუთი: ისტ. საბ. IV, 42, 43; იგივე, არქ. ფ. 227, № 1193. 7) ისტ. საბ. IV, 44. 8) ქრ. II, 484. 9) 2 საბუთი: ისტ. საბ. IV, 46; არქ. ფ. 227, № 1198; წარწერა ჰადისჯვრის ეკლესიაზე ქრ. II, 485. 10) ისტ. საბ. IV, 47; საისტორიო მთაბმე II, 1925. 11. 11) 2 საბუთი: ისტ. საბ. IV, 49; იგივე, ქრ. II, 486; საქ. სიძვ. II, 132—133; იგივე, ქრ. II, 486—487. 12) 2 საბუთი: ისტ. საბ. IV, 51, 50; იგივე, არქ. ფ. 227, № 1180. 13) 2 საბუთი: ქრ. II, 488; ისტ. საბ. IV, 50—51; იგივე, არქ. ფ. 227, № 1197; თ. ყორღანია, Описание рукописей. № 517. 14) 2 საბუთი: ქრ. II, 490; იგივე, თ. ყორღანია, ქ. კ. მონ. საბ. 205; არქ. ფ.



229, დ. 2, № 177.¹⁵⁾ ქრ. II, 491.¹⁶⁾ ე. თაყაიშვილი, Описание рукописей.. II, т. вып. 4, № 384.¹⁷⁾ ვახუშტის თარიღი დომენტის გარდაცვალების შესახებ (1675 წ.) სწორი არ არის ვახუშტი, საქ. ცხ. II, ჭიჭ. გამოც. 380.

VI. 1) 3 საბუთი: არქ. ფ. 229, დ. 2, № 176; 6. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 56—57; საქ. სიძვ. II, 95; თ. ჟორდანიას, Описание рукописей. № 763.²⁾ არქ. ფ. 226 № 123 ქრ. II, 477; საქ. სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. I, თბ. 1946: 98; მუხ. ფ. A, № 30.³⁾ წარწერა მცხეთის სვეტიცხოველის ეკლესიაზე, ქრ. II, 504.⁴⁾ არქ. 229, დ. 29, № 31.⁵⁾ 2 საბუთი: ისტ. საბ. IV, 65; იგივე, ქრ. II, 505; არქ. ფ. 229 დ. 31, № 52.⁶⁾ ქრ. II, 506.⁸⁾ ისტ. საბ. IV, 69.⁹⁾ ვახუშტი, საქ. ცხ. II, ჭიჭ. გამოც. 92. .¹⁰⁾ იქვე, 95.¹¹⁾ იქვე 102.

ბ. კარბელაშვილს კათალიკოსთა რიგში, დომენტისა და ნიკოლოზს შორის, 1677 წლის ქვეშ, დასახელებული ყავს ნიკოლოზ მალაღაძე (ბ. კარბელაშვილი, ი. საქ. ეკლესიისა). ნ. მალაღაძე კათალიკოსად არასდროს არ ყოფილა, იგი ცნობილია როგორც მცხეთის ქადაგი. ბ. კარბელაშვილის შეცდომა ამ შემთხვევაში გამომდინარეობს ს. წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერის არასწორი წაკითხვიდან—თითქმის ნიკოლოზ მალაღაძე კათალიკოსად იხსნიებოდეს წარწერაში (იხ. ვახტ. ბერგიძე, წინარეხულ მალაღაძეთა მშენებლობა XVI—XVIII ს-ებში, საქ. მუხ. „მოამბე“, XIV, B. 1947. 195—217; ანდერძი პაპუა მალაღაძისა 1681 წ., გამოც. საქ. მუხ. „მოამბე“, IX, B. 51—58. პატ. მეცნიერმა ვახტ. ბერგიძემ წინარეხის წარწერებზე ზეპირი კონსულტაციაც გაგვიწია).

VII. 1) ქრ. II, 507.²⁾ თ. ჟორდანიას, ქ. კ. მონ. საბ. 9.³⁾ წარწერა თასზე ქრ. II, 512, არქ. ფ. 226, № 5072.⁴⁾ 2 საბუთი: ქრ. II, 516; 515—516.⁵⁾ 2 საბუთი: ისტ. საბ. IV, 71; იგივე, ქრ. II, 516 და არქ. ფ. 227, № 1190; საქ. სიძვ. II, 119; თ. ჟორდანიას, Описание рукописей... № 449.⁶⁾ 2 საბუთი: არქ. ფ. 226, № 5098; ფ. 227, № 3167.⁷⁾ საქ. სიძვ. III, 203.⁸⁾ ქრ. II, 507.⁹⁾ 1695 წ. სიგელში მოხსენებული კათალიკოსი იმ დროისათვის მოქმედი არაა. ისტ. საბ. IV, 70; ქრ. II, 515.¹⁰⁾ ვახუშტი, საქ. ცხ. ჭიჭ. გამოც. 103.

VIII. 1) მ. ხუბუა, სპარსული ფირმანები, 40; მუხ. ფ. Ad, № 326; თ. ჟორდანიას, ქ. კ. მონ. საბ. 216.²⁾ თ. ჟორდანიას, იქვე, 13.³⁾ არქ. ფ. 229, დ. 29, № 55.

IX. 1) საქ. სიძვ. II, 202—204.²⁾ 3 საბუთი: არქ. ფ. 229, დ. 29, № 169. მუხ. ფ. Ad № 1774. თ. ჟორდანიას, ქ. კ. მონ. საბ. 188.³⁾ 6 ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 133⁴⁾ წარწერა ხატზე, А. Натроев, Михета и его собор Свети—Цховели. 1901, 417.⁵⁾ საბუთი: არქ. ფ. 229, დ. 29, № 117; 6. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 140; მუხ. ხელნაწერთა აღწერილობა, I, 97.⁶⁾ 3 საბუთი: არქ. ფ. 229, დ. 31, № 190; საქ. სიძვ. III, 193. თ. ჟორდანიას, ქ. კ. მონ. საბ. 216.⁷⁾ 4 საბუთი: არქ. ფ. 226, № 1245; საქ. სიძვ. 481; 6. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 150; Акты, собранные Кавказско-Археологическою Комиссиею, т. I, 55.⁸⁾ 2 საბუთი: არქ. ფ. 226, № 5577; 6. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 150.⁹⁾ თ. ჟორდანიას, ქ. კ. მონ. საბ. 222; თ. ჟორდანიას, Описание рукописей... № 914.¹⁰⁾ წარწერა სახატებზე, А. Натроев, Михета... 413; Акты.. I, 31—32.¹¹⁾ 2 საბუთი: არქ. ფ. 226, № 2770; საქ. სიძვ. II 306.¹²⁾ 3 საბუთი: არქ. ფ. 226, № 603; არქ. № 115; მუხ. ფ. Ad, № 48, წარწერა ხატზე, А. Натроев, Михета... 256.¹³⁾ არქ. ფ. 226, № 5070.¹⁴⁾ 4 საბუთი: არქ. ფ. 226, № 864, № 2767; 6. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 204; საქ. სიძვ. 321.¹⁵⁾ 2 საბუთი: საქ. სიძვ. III, 194; მუხ. ფ. Ad, 142.¹⁶⁾ ე. თაყაიშვილი, Материалы для истории Грузия, 1895, 70—71.¹⁷⁾ თ. ჟორდანიას, Описание рукописей... № 176.¹⁸⁾ ე. თაყაიშვილი, оп. с. 65.¹⁹⁾ 4 საბუთი: საქ. სიძვ. I, 90—არქ. ფ. 226, № 72; № 5063; თ. ჟორდანიას, ქ. კ. მონ. საბ. 200.²⁰⁾ არქ. ფ. 226, № 969.²¹⁾ საქ. სიძვ. II, 204.²²⁾ ვახუშტი, საქ. ცხ., II, ჭიჭ. გამოც. 109.²³⁾ იხ. მე-18 შენ.²⁴⁾ იგივე.²⁵⁾ ს. ჩხვიძე, საქ. ცხ. ჩუბინაშვილის გამოც. 342; ნაჩვენებია 1739 წ. 6 მარტიც; თ. ჟორდანიას, ქ. კ. მონ. საბ. 203.²⁶⁾ ბ. ბრბელიანი, საქ. ცხ. ჩუბინაშვილის გამოც. 344;²⁷⁾ იხ. მე-16, 17, 18 შენ.²⁸⁾ ბ. ბრბელიანი, оп. с. 349, 29 ვახუშტი, საქ. ცხ. ჭიჭ. გამოც. 143.³⁰⁾ იქვე; 6. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 296.

X. ¹⁾ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 212. ²⁾ არქ. ფ. 226, № 2771; არქ. ფ. 226 № 955, ამ საბუთის ქორონიკონი არ ირკვევა. ³⁾ ვახუშტი, საქ. ცხ. II, კიჭ. გამოც. 134—135. ⁴⁾ ქრ. II, 21. ⁵⁾ ს. ჩხეიძე, საქ. ცხ. ჩუბინაშვილის გამოც. 340. ⁶⁾ იხ. მე-2 შენ. ⁷⁾ ვახუშტი, ორ. ც. 143. ბესარიონის საფლავის ქვაზე აღნიშნული თარიღი 1735 წ. შეცდომაა. მცხეთის საფლავებზე არა ერთი შეცდომა გვხვდება (პ. კარბელაშვილი, ი. საქ. ეკლესიისა, 139).

XI. ¹⁾ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 275. ²⁾ იქვე, 295. ³⁾ ს. ჩხეიძე, საქ. ცხ. ჩუბინაშვილის გამოც. 342. ⁴⁾ საქ. სიძე. I, 90. ⁵⁾ ნ. ბერძენიშვილი, ორ. ც. 296, 316.

XII. ¹⁾ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... 296. ²⁾ 2 საბუთი; იქვე, 306. ³⁾ მუხ. ფ. Ad, № 1776. ⁴⁾ თ. ლომოური, დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. თბ. 1941, 1; პ. ორბელიანი, საქ. ცხ. ჩუბ. გამოც. 371; მუხ. ხელნაწერთა აღწერილობა, III, 1011, 4 ბ.

XIII. ¹⁾ თ. ლომოური, ორ. ც. 1. ²⁾ იქვე, 7,50; პ. კარბელაშვილი, ი. საქ. ეკლ. 145. ³⁾ თ. ქორდანიანი, ქ. კ. მონ. საბ. 203, 218—219. თ. ლომოური, ორ. ც. 7,52. ⁴⁾ თ. ლომოური, იქვე; საფლავის წარწერა მცხეთაში, A. ნაგროვ. Мцхета. 327.

XIV. ¹⁾ თ. ქორდანიანი, ქ. კ. მონ. საბ. 256. ²⁾ იქვე, 254. ³⁾ თ. ლომოური, ორ. ც. 50,52.

XV. ¹⁾ არქ. ფ. 227, № 125; მუხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, № 2110. ²⁾ თ. ლომოური, ორ. ც. 111. ³⁾ მუხ. ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. V, № 2108.

3. უპოვნიძე

მირზა ახსუვ შარაბალელი და მისი ისტორია „თარისე საფი“¹

სპარსული საისტორიო თხზულებები სამეცნიერო კატალოგებში ჩვეულებრივ იყოფა სამ მთავარ დარგად: მსოფლიო, ადგილობრივ და ცალკეული დინასტიების წარმომადგენელ ხელმწიფეთა ისტორიებად. ასე აქვს დაყოფილი სპარსული საისტორიო ლიტერატურა Rieu-ს თავის ცნობილ კატალოგში, ასეთივე დარგები აქვს წარმოდგენილი Storey-ს „სპარსული ლიტერატურის ისტორიაში“.

ადგილობრივი ისტორიები, ე. ი. ცალკეული პროვინციების ან ქალაქების ისტორიები განსაკუთრებული ინტერესის მატარებელია. ისინი უმთავრესად შედგენილია ადგილობრივ მკვიდრთა მიერ, რომელნიც კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს, გადმოცემებს, ისტორიულ ადგილებს და უფრო დაწვრილებით აღწერენ ამბებს, ვიდრე იმავე კუთხის ან იმავე ისტორიული ფაქტის შესახებ შეხვდებით მსოფლიო ისტორიაში.

მუსლიმანურ კავკასიის და კერძოდ ა/კავკასიისაც ჰყავს თავისი ისტორიკოსები. სამეცნიერო და საცნობო ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით შემდეგ ნაწარმოებთა სახელებს, რომლებიც კავკასიის და ა/კავკასიის ისტორიას შეეხება.

ამ რამდენიმე წლის წინად გამოცემულ Storey-ს „სპარსული ლიტერატურის ისტორიაში“, რომელიც ბროკელმანის „არაბული ლიტერატურის ისტორიის“ გეგმაზეა აგებული და, მაშასადამე, იძლევა ავტორთა შესახებ მხოლოდ ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, აღნიშნულია შემდეგი ძეგლები²:

1. დერბენდ-ნამეს სპარსული თარგმანი (მაგრამ კითხვის ნიშნის ქვეშ).
2. აბასული-ხანის „გოლესტანე ირამ“.

3. მირზა ჰედადარ ვაზიროვის Darband-namahi jadid (ახალი დერბენდ-ნამე), დაწერილი 1846 წ. ცნობას მის შესახებ იძლევა ხანიკოვი.

4. Kitāb dar bayān-i asli shahri Darband u ahālii Daghistan (დარუბანდის და დაღესტნის ხალხის ისტორია), აგრეთვე ხანიკოვის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით.

აკადემიკოსი ბარტოლდი თავის წერილში „Собрание Мусульманских рукописей в Баку“ და შემდეგ წ. გნში: „Место прикаспийских областей в“

¹ წაკითხული იყო მოხსენებად საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყ-ბის სხდომაზე 1942 წ. ნოემბრის 8 (თქმი № 2). იბეჭდება დამატებითი მასალის გამოყენებით.

² Persian Literature a Bio-bibliographical survey by C. A. Storey, section II, fasc. 1, გვ. 422—426.

истории мусульманского мира"¹ იხსენიებს შემდეგ პირთ: მირზა ჯამალს, მირზა გაუზალ-ბეგს და მირ-მაჰდი ხიზანის, როგორც ყარაბაღის ისტორიის ავტორებს. "Дагестанский Сборник"-ის პირველი ნაკვეთის საისტორიო ნაწილში ჩამოთვლილია რამდენიმე ადგილობრივი ისტორიის სახელი, მათ შორის: 1. Летопись Кабирской мечети, повествующая о Дербенте, Дагестане, и Тамир-Ленге. 2. Рукописная летопись Албанских евреев... 3. Летопись о Дагестане и о потопленном морем городе. 4. Записки о Кубино-Дербентских ханах, начиная от смерти Надиршаха до похода Зубова. 5. Персидская летопись малжмюя, доставшаяся в руки губленцев во время бегства Наир-Шаха (1742) и повествующая о древнейшем Карабахском городе Барда, Богдате, Эривани, лекзинах².

სამწუხაროდ, არც ერთი აქ ჩამოთვლილი წიგნი გამოცემული არ არის, მხოლოდ ბაქიხანოვის „გოლესთანე ირამ“-ის თვით ავტორის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი იქნა 1926 წელს გამოქვეყნებული³ და აგრეთვე მირზა ჯამალის „თარახე ყარაბაღ“-ის რუსული თარგმანი აქვს მოცემული ა. ბერძეს გაზ. „Кавказ“-ის 1855 წ. ფურცლებზე. ზოგიერთი დანარჩენი ნაშრომის შესახებ ისიც არ ვიცით, სადაა მათი ხელნაწერები და არსებობენ კიდევ თუ არა.

ადგილობრივ ისტორიათა შემომოყვანილ სიას ამჟამად ჩვენ შეგვიძლია დავეშვათ კიდევ ერთი ავტორი და ერთი ნაწარმოები სპარსულ ენაზე, რომელიც აკაკასის ქვეყნების და ხალხების, კერძოდ საქართველოს ისტორიას მოგვითხრობს.

ა. გაწერელიას მიერ გამოცემულ წიგნში—„გრიგოლ ორბელიანი. წერილები“, ტ. II, მოთავსებულია გრ. ორბელიანის წერილი ყაფლან ორბელიანისადმი, სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

„...ძალიან მიამა, რომ შენი შვილი სწავლობს სპარსულსა; ნეტავი შარშან ეგე წამომეყვანა აქა: ყარაბაღელი მირზა ჰუსუფი ჩემთანა არის: ვაწვრინებ სპარსეთის ისტორიასა, მეტადრე განვრცელებით ძალიან ნადირშაჰიღამ აქამომდის.—ამასთან შენი შვილი ძალიან კარგად ისწავლიდა, და რუსულიც უფრო გაუადვილდებოდა.—მაღე მოგართმევ ფეშქაშად მთლად ვალუფის ლექსებსა, აქ დაბეჭდილსა მირზა ჰუსუფისაგან...“.

მირზა ფუსუფს მართლაც შეუსრულებია ჩვენი პოეტის გრ. ორბელიანის დავლება და დაუწერია ისტორია, რომლის ხელნაწერი საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მუსლიმანურ კოლექციაში აღმოჩნდა. ამ ნაშრომის სხვა ხელნაწერი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. საქიროდ მიმაჩნია მოვიტანო აქ ხელნაწერის მოკლე აღწერა.

¹ Академик-профессор В. В. Бартольд.—Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. Баку, 1924 г., გვ. 124.

² Дагестанский Сборник, вып. 1, отд. II, გვ. 168.

³ Абас-кули-Ага Кудси Бакиханов—Гюлистан-Ирам. Баку, 1926 г.

⁴ გრიგოლ ორბელიანი. წერილები, ტ. მეორე, 1851—1859, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით. 1937 წ. სახელმწ. გამომც.ბა.

ხელნაწერი № 195, ზომა: 25,5×21, შეიცავს 148 ფურცელს. მას ჰქონია თავისი გვერდობლივი პაგინაცია არაბული (აღმოსავლური) ციფრებით, რომელიც წიგნის აკინძვის დროს ჩამოჭრილა და ამჟამად მხოლოდ რამდენიმე ბოლო გვერდზეა შერჩენილი. ყდა ევროპულია, მუყაოსი, მუქი ქალაქით გადაკრული, მოყვითალო ტყავის ყუთით, მცირედ დაზიანებული. ქალაქი თეთრია, რუსული ქარხნისა. დაწერილია შედარებით წვრილი ნასთაღიკით, ზოგჯერ შიქასთენარევით; ზოგიერთი სათაური (მაგ. კარის, მეყალბეს) მსხვილი ნასხით არის შესრულებული. ნასხით არის აგრეთვე გამოყვანილი ცალკეული გამოთქმები ტექსტში. სათაურები წითელი მელნითაა ნაწერი. გვერდზე 15 სტრიქონია მოთავსებული. როგორც თავის წინასიტყვაობაში ამბობს ავტორი, წიგნი მას გადაუწერია ჰიჯრის 1271 წ. (1854—1855 წ. ჩ. წ.). სხვათა შორის, ავტორს თითქმის ყველგან ჰიჯრის წელთაღრიცხვასთან ერთად ჩვენი წელთაღრიცხვითაც აქვს მოყვანილი თარიღები. ამას ის, როგორც თვით ამბობს წინასიტყვაობაში, მკითხველისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით შეგება.

ჩვენი ხელნაწერი ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს, ის იწყება შაჰ-ნამეს პირველი სტრიქონით:

نام خداوند جان و خرد * کزان برتر اندیشه برنگذر

ბოლო სტრიქონებში ავტორი ამბობს, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაწილია მისი შრომისა და მეორეში ის ასწერს დაღესტნის ამბებს¹.

საიდან მოხვდა ხელნაწერი საქართველოს მუზეუმში, არ ჩანს, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელი გვერდის ზემო აშიაზე ფანქრით წერია: „ქვემო ბიბლიოთეკიდან“.

ამ საინტერესო ნაშრომის ავტორი არის მირზა აფსუფ ნერსე-სოვი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის აზერბაიჯანის ლიტერატურის ისტორიის წინაშე. ტომით სომეხი, მირზა აფსუფი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა აზერბაიჯანის კულტურის ასპარეზზე როგორც პედაგოგი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე. აზერბაიჯანელ ავტორთა ბევრი ნაწარმოების სახელი მხოლოდ იმ „კრებულებით“ გახსნარა ცნობილი, რომელიც მირზა აფსუფს შეუდგენია პირველად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი აზერბაიჯანის დიდი პოეტის ვაყიფის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში². მიუხედავად დიდი ინტერესისა, რომელსაც ბუნებრივად იწვევდა მირზა აფსუფის პიროვნება და მოღვაწეობა, მისი ცხოვრების შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი. არსებობდა ცნობა, რომ მას შედგენილი ჰქონდა ისტორია, მაგრამ არც სახელი და არც შინაარსი ამ ნაწარმოებისა

¹ و بعضی احوالاترا که پیش ازین مصالحه سالمه و بعد ازان اتفاق افتاده چون با قزلباشه من بعد دعوا و محاربه نبوده و اکثر آن داستان در ولایت داغستان بوقوع رسیده لهذا آن احوالاترا در مجلد دیگر² که برای گذارش داغستان گفتگو خواهد شد مذکور خواهم نمود و من الله الاستعانه التوفیق

² А. А. Сеид-вадэ, Мирза Юсиф Нерсесов (Шушинский). — Учен. зап. Кавк. вост. ун-та. Филол. АН СССР, № 9, 1942.

ცნობილი არ იყო უკანასკნელ წლებამდე, მხოლოდ ფიქრობდნენ, რომ ის შირვანის ისტორია უნდა ყოფილიყო¹. ჩვენს წინაშე მდებარე ხელნაწერი წარმოადგენს სწორედ ამ ისტორიულ ნაშრომს, რომლის წინასიტყვაობაში ვპოულობთ ცნობებს მისი ავტორის თავადასაველის და თვით წიგნის შედგენის მიზეზების შესახებ.

ამ წინასიტყვაობაში მირზა აფსუფი გვიამბობს, რომ როცა ის ბავშვობისას ყარაბაღიდან ყიზილბაშთა ქვეყანაში მოხვდა², მას სარდალ ამირ-ხანთან 18 წელიწადი დაუყვია და მშვენიერად შეუსწავლია „მათი (ე. ი. სპარსული) ენა“. ერთ ხანს ის მსახურობდა სამდიენოში მწერლად³; თავისუფალ დროს სხვადასხვა ხალხის ისტორიის კითხვას ანდომებდა და ამ ხალხების სარწმუნოებისა და თავადასაყალის ამბებს ეცნობოდა. 1828 წელს, როცა რუსეთმა მეორეჯერ დასდო ზავი ერანთან (ე. ი. თურქმანჩაის ზავი), მირზა აფსუფი ყიზილბაშთა ქვეყნიდან დაბრუნებულა და თავის მკვიდრ სამშობლოში, ყარაბაღში, მოსულა (از ولایت قزلباش برگشته بموطن اصلی یعنی) (ولایت قزلباش آمد). აქ ნიკოლოზ I-ის დროს მას რამდენიმე დრო მოუწოდებია ძველი და ახალი აღთქმის წაკითხვა-შესწავლისათვის. რადგანაც საისტორიო შრომებში ბევრი შეცდომა და წინააღმდეგობა ვპოვევ, ამბობს ავტორი, მეგობრების ერთი ჯგუფის თხოვნით და მითითებით განვიზრახე შემედგინა ისტორია, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ტყუილებისა და შეცდომებისაგანო, სახელდობრ, მას გადაუწყვეტია აზიისა და კავკასიის ხელმწიფეთა ისტორიის შედგენა და იმის აღწერა, თუ როგორ მოექცნენ ისინი დიდი რუსეთის მფლობელობის ქვეშ. ა/კავკასიაში ყოფნის დროს მირზა აფსუფს მონაწილეობა მიუღია (თუ დასწრებია მხოლოდ) ზოგიერთ ბრძოლაში. ამრიგად ის თავის მიერ ზოგიერთი აღწერილი ამბის თვითმხილველიც გამოდის. 1854 წ. ჩვენი ავტორი „კასპიის ზღვის მხარის და ჩრდილო-დაღესტნის ჯარების სარდლის, მეფის საყვარელი დიდი გენერლის „გენერალ-ლეიტენანტის კნიაზ გრიგოლ ორბელიანის სინათლით გაბრწყინებულ არეში“ მოხვედრილა, ე. ი. გრ. ორბელიანის შტაბში შესულა სამსახურად. აქ ის განაგებდა, როგორც ჩანს, მიმოწერას სპარსულ და არაბულ ენებზე⁴.

გრიგოლ ორბელიანთან მუშაობის დროს შეუძენია მირზა აფსუფს ლიტოგრაფიის ქვები და დაუბეჭდავს თემირ-ხანშურაში (ახლანდელ ბუნიაკსკში) „ვაყიფის და სხვა მისი თანამედროვეების ლექსების კრებული“. ეს გამოცემა აქვს მოხსენებული გრ. ორბელიანს ზემოთე წერილში. დაღესტანში სამი წლის მუშაობის შემდეგ, მირზა აფსუფი გადასულა ქ. შუშაში, სადაც გარდაცვლილა 1864 წ.⁵.

¹ იქვე, გვ. 11.

² *چون بنده در خلفولیت از قزلباغ بولایت قزلباش افتادم* ა. სეიდ-ზადეს ზემოხსენებულ წერილში; მოყვანილი ცნობებით, რომლებიც მას მირზა-აფსუფის საოჯახო ქრონიკიდან აქვს შეკრებილი, მირზა აფსუფი ტყვედ წაუყვანია ერანში ბანდიტებს და იქ შაჰისტის წარუდგენია საჩუქრის მიღების მიზნით.

³ *مدتی مباشر شغل و عمل دیوانی و تحریر مراسلات بوده*

⁴ *در زمرهٔ ارباب مناصب و تحریرات مناسب مشغول*

⁵ A. A. Сеид-заде.—Мирза Юсиф Нересов (Шушинский), გვ. 17.

როგორც თავის წიგნის წინასიტყვაობაში ამბობს ავტორი, ეს შრომა მას მეგობრების თხოვნით განუზრახავს იმ მიზნით, რომ გაესწორებია სხვა ისტორიკოსების შეცდომები და მოეცა ა/კავკასიის ისტორიის სწორი სურათი. თავის ნაშრომს ის ამიტომ არქმევს صافي تاريخ სიწმინდის“ (ან „წმინდა“) ისტორია, ე. ი. წმინდა, შეცდომებისაგან თავისუფალი ისტორია. ამისთვის მას გაუცვნია რიგი საისტორიო შრომა და დაუგროვებია დიდი მასალა, რისთვისაც დიდი შრომა და ჯაფა გაუწევია. გრ. ორბელიანთან სამსახურში ჩადგომის შემდეგ, მას დავალება ისტორიის დაწერის შესახებ თვით გრიგოლ ორბელიანისაგანაც მიუღია და მისი შემწეობით და ძვიარელობით დაუმთავრებია კიდევაც (ყოველშემთხვევაში დაუმთავრებია პირველი ნაწილი, რომელიც ჩვენს ხელნაწერშია წარმოდგენილი). ამ საქმეში მისთვის დახმარება გაუწევია აგრეთვე დ ი მ ი ტ რ ი დ ა ვ ი თ ი ს ძ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ე ს¹ (جواد آغا آصفی), რომელსაც ის დიდის ქებით და მადლობით იხსენიებს წინასიტყვაობაში.

თავის წყაროების შესახებ მირზა აფსუფი ამბობს—ზოგიერთ (ჩემს ისტორიაში აღწერილ) ბრძოლაში მე თვითონ ვიღებდი მონაწილეობას და საკუთარი თვალთ ვიხილე აღწერილი ამბებიო, ზოგი ამბავიც სანდო პირისაგან გავიგონე და ზოგი კიდევ სომხურ და სხვა პატივსაცემ, სანდო (معتبر) წიგნებიდან გადმოვიღეო. თავის წიგნში ის ასახელებს ჩამჩიანს, რომელიც სტეფანოს ორბელიანის მიხედვით აგვიწერს ორბელიანთა გვარის სიძველესო. ზოგიერთი ისტორიული ადგილის შესახებ ის შენიშნავს—„ამ ძეგლის ნაშთი ახლაც ჩანსო“. صافي تاريخ მირზა აფსუფს განზრახული ჰქონია ორ წიგნად. ჩვენს ხელნაწერში, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია პირველი წიგნი, რომლის ბოლოს ავტორი ამბობს—მეორე წიგნში დაღისტნის ამბებს აეწერო. არ ვიციოთ, შეასრულა თუ არა მირზა აფსუფმა თავის დაპირება, რადგანაც არც თვითონ წიგნი და არც რაიმე ცნობა მისი შედგენის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

თავის ნაშრომი ავტორს დაყოფილი აქვს შესავალად (مقدمه) და 9 კარად (الفصل سيقصا-სიტყვით: „საუბარი“).

შესავალში, ღვთისა და რუსი ხელმწიფეების—ნიკოლოზ I და ალექსანდრე II-ის (რომელიც ტახტზე ახლად ასული იყო წიგნის დაწერის დროს) ქება-დიდებას შემდეგ მოთხრობილია ჩვენ მიერ მოკლედ გადმოცემული ავტობიოგრაფია და წიგნის შედგენის ისტორია, მისი მიზნები და წყაროები.

პირველ კარში ნაამბობია ქვეყნის დასაბამის ისტორია ადამიდან. როგორც ითქვა, მირზა აფსუფს თავის შრომა განუზრახავს იმ შეცდომების გასასწორებლად, რომელიც ძველ ისტორიებში მოიპოვება. აქ ის უნდა გულისხმობდეს, სხვათა შორის, არაბულ-სპარსული მსოფლიო ისტორიების შესავალ ნაწილში ჩვეულებრივ მოყვანილ ბიბლიის ისტორიას, რომელიც, რა-

¹ დ ი მ ი ტ რ ი დ ა ვ ი თ ი ს ძ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ე ს—მეფის დიდი მოხელე, მეფის ნაცვლის, საბჭოს წევრი, სათავად-ახანაურო ბანაის სახედაზმედგელო კომისიის წევრი 1879 წლიდან.

საკვირველია, მუსლიმანური გადმოცემების მიხედვით არის ყოველთვის შედგენილი და არ ეთანხმება ქრისტიანულ ტრადიციებს. თავის შრომასაც ავტორი სწორედ ამ ბიბლიური ისტორიის მოკლედ გადმოცემით იწყებს.

შემდეგი სამი კარი მოგვითხრობს ერანის ძველი ხელმწიფეების, სასანიდების, აგრეთვე წინამუსლიმანური არაბეთის ხელმწიფეთა, ხალიფების და ერანის სხვა მეფეთა შესახებ და აგვიწერს ერანის ისტორიას სეფიანთა ეპოქამდე, ჩართვით, მაგრამ ყველაფერი ეს მოცემულია ძალიან მოკლედ, ხშირად მხოლოდ ხელმწიფეთა სახელების რიგია მოყვანილი მეფობის თანამიმდევრობის მიხედვით.

მე-9 კარით იწყება სეფიანთა დინასტიის მოსპობის შემდეგ ერანში დაწყებული არეულობის ამბები და ზოგიერთი ცნობა ნადირ-შაჰის ისტორიდან. მირზა ფუსუფს ზუსტად შეუსრულებია გრ. ორბელიანის დავალება: ნადირ-შაჰამდე მას ძალიან მოკლედ აქვს ყველაფერი აღწერილი, ამ ხელმწიფის შემდეგ კი ის ცდილობს დაწვრილებით გადმოსცეს ამბები. ნადირ-შაჰის დროიდან დაწყებული ის ვრცლად აღწერს ერანისა და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ა/კავკასიის სახანოების ისტორიას. ამას შეიცავენ მე-7 და მე-8 კარები. მე-9 კარში კი რუსების კავკასიაში მოსვლა, რუსეთ-ერანის ომი და რუსული მმართველობის პირველი ათეული წლებია აღწერილი. ხათემე—დასკვნითი ნაწილი, სადაც სხვა სპარსული საისტორიო ნაშრომთა მიბაძვით, ქვეყნის სხვადასხვა საკვირველი და ღირსშესანიშნავი ადგილების და ძეგლების აღწერა უნდა ყოფილიყო, როგორც ეს წინასიტყვაობაში მოთავსებულ „ზანდუშუა“ აღნიშნული, ავტორს მოცემული არ აქვს. ჩვენივე, რასაკვირველია, განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის ის ადგილები, სადაც ავტორს შეეძლო გადმოეცა თანამედროვე ამბები, რომლებიც, როგორც ის ამბობს, საკუთარი თვალით ჰქონდა ნახული ან სანდო პირთაგან გაგონილი. გარკვეული ინტერესის მქონეა აგრეთვე მირზა ფუსუფის შრომაში ყარაბაღის და მიმდგომი სახანოების შესახებ ფურცლები, სადაც გეოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად იქაური ხანების საგვარეულოთა წარმოშობისა და ისტორიის შესახებაც არის გადმოცემული ცნობები; ყარაბაღს, როგორც თავის სამშობლო მხარეს, ჩვენი ავტორი კარგად იცნობს და მისი თავგადასავალი XVIII საუკუნეში და XIX ს-ის დასაწყისში მას ყველაზე უფრო დაწვრილებით აქვს ნაამბობი. ამ სახანოების ისტორიასთან დაკავშირებით, მირზა ფუსუფი ერეკლე II მეფობის ზოგიერთ ამბავსაც საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს და ორიოდე საინტერესო დეტალსაც გვაწვდის. ასეთია, მაგალ., ცნობა იმის შესახებ, რომ XVIII საუკ. მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ა/კავკასიის ისტორიის ფონზე საკმაოდ თვალსაჩინო პირი ბაჰანამ-ხანი ქართველი და ქრისტიანი იყო და რომ ის ერეკლემ გადმოიბირა თავის მხარეზე, რითაც ძალიან შეასუსტა თავის მოწინააღმდეგე ძლიერი აზატ-ხანი.

მირზა ფუსუფის ცნობა ბაჰანამ-ხანის შესახებ ეწინააღმდეგება ქართველი ისტორიკოსის პაპუნა ორბელიანის ცნობებს, რომლის სიტყვებიდანაც გამოდის, რომ ბაჰანამი (იგივე ბაჰმან-ხანი) აზატ-ხანმა გამოაგდო თავის სახანოდანო. „ბაჰმან-ხანის ცოლ-შვილი მოვიდა ნახჩევანით ქალაქში, რომელი იყო

ასული ქსნის ერისთვის შვილის იასე ყულარაღასისა“. „ამის შემდგომად მოვიდა ზაალ ორბელიანი ნახჩევნით ქალაქსა თბილისისასა, აზათ-ხან, რომელი სპასალარობდა აღრბეჟანში, ის გასწყრომოდა ბამან ნახჩევნის ხანსა და თავის დედაწულით წამოსულიყო, ცოლშვილი იქ რომ ქართლში გამოგზავნა და თითონ ერევანს ამოსულიყო... დარჩა ნახჩევანი აზათ-ხანს“¹. რაც შეეხება ბაჰმან-ხანის ქართველობას და ქრისტიანობას, აქ ჩვენ გვაქვს გარკვეული ცნობა იმავე პ. ორბელიანისა, რომელიც ამბობს, რომ ბამან-ხანი „დაბალი კაცის შვილი იყო და თათარი“². რასაკვირველია, ქართველ ისტორიკოსს, რომელიც, აღწერილი ამბების თანამედროვე იყო, უფრო დაეკერება ამ საკითხშიც, ვიდრე ჩვენს ავტორს, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ცხოვრობდა და რომლის წყაროებს ჩვენ კარგად არ ვიცნობთ.

საკმაოდ დაწვრილებით აქვს მირზა აფსუფს მოთხრობილი აგრეთვე ფანა-ხანის, იბრაჰიმ-ხანის, ჰაჯი-ჩელების და მათთან ქართველების ომისა თუ ზავის და კავშირის შესახებ.

ალა-მაჰმად-ხანის, შუშას აღების ამოცანის შემდეგ, თბილისზე გამოლაშქრების მიზეზად აფსუფ-მირზაც ჯავად-ხან განჯელს და მელიქ მაჯუნს სთვლის, რომელთაც წააქეხეს ალა-მაჰმად-ხანი თბილისზე შემოტევისათვის, რადგანაც ასე ხელცარიელი და გაწბილებული რომ დაბრუნდებოდა, ხალხი ავიჯანყდებოდა. თბილისის აღებისა და დარბევის აღწერილობაში ჩვენ ახალს არაფერს ვპოულობთ „წმინდა ისტორიაში“; ის, სხვათა შორის ამბობს, რომ თითქოს ყიზილბაშთა ის რაზმი, რომელმაც მითით მოუარა ქალაქს და თავს დაადგა ციხეს, წინასწარ შემუშავებული გეგმით კი არ წასულა ამ მიმართულებით, არამედ იმიტომ, რომ ბურუსის გამო გზა დაებნა და თავისთვის მოულოდნელად გაჩნდა ციხეს დამყურე მთაზე, რამაც გამოიწვია ქართველი ჯარის სასწრაფოდ უკან დახევა და ციხის დაცლა. მირზა-აფსუფი განსაკუთრებით აღნიშნავს ქართველი მეზარბაზნეების შეუპოვარ ბრძოლას და იმ დიდ ზარალს, რომელიც მათ ალა-მაჰმად-ხანის შემომტევე ურდოებს მიაყენეს ქალაქის იერიშის დროს.

განსაკუთრებით დაწვრილებით აღწერს ავტორი ქ. შუშას და შუშას სახანოს ამბებს. შუშაზე მეორედ მოდგომის დროს ალა-მაჰმად-ხანის მიერ შუშის ციხის აღვილად აღების მიზეზიც აქვს მირზა აფსუფს დასახელებული. ის ამბობს, რომ იმ წლებში სულ შიმშილობა და მოუსავლიანობა იყო სახანოში და ამის გამო ხალხი დახოცილ-დასუსტებული, ან საკვებისათვის სხვადასხვა მხარეს გახიზნული იყო, რის წყალობითაც ქალაქისა და ციხის დამცველად არავინ იყო დარჩენილი. ზუბოვის ლაშქრობა, გიორგი XIII მეფობა და დავით ბატონიშვილის მმართველად დანიშვნა მოკლედ აქვს აწერილი მირზა აფსუფს. უფრო ვრცლად არის გადმოცემული მე-XIX ს. პირველ ათწლეულის ისტორია, როცა ა/კავკასიაში მყარდებოდა რუსეთის მმართველობა. ავტორს

¹ პ. ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი... ჩუბინაშვილის გამოც. გვ. 431.

² იქვე, გვ. 459.

აქ თავის მოთხოვნა ცალკე მთავარმმართველთა მიხედვით აქვს დასათაურებული და თავებად დაყოფილი. აი ეს თავები:
 105 r. در بیان سرداری کنیاز سیسیانوف در حدود قفقاز و صادرات زمان او
 ციციანოვის მთავარმმართველობა (სიტყვა-სიტყვით: „სარდლობა“) და მისი დროის ამბები.

105 v. رفتن کنیاز سیسیانوف بجانب بجاو و بلکان و تنبیه لگزیه آنحدود
 კნიაზ ციციანოვის წასვლა ჭარ-ბელაქანის მხარეს და იქაური ლეკების დასჯა.

106 v. آمدن قشون روس بسر کنجه بجنگ آوری و مسخر نمودن آن بزور سرینجه دلاوری
 რუსის ჯარის წასვლა-გალაშქრება განჯაზე და მისი დაპყრობა „გულადობის ხელის ძალით“.

108 r. رفتن کنیاز سیسیانوف بسر ایروان و محاربه کردن با قشون قزلباش و بی نیل
 مقصود باز گشتن

კნიაზ ციციანოვის წასვლა ერევანზე, ბრძოლა ყიზილბაშთა ჯართან და უშედეგოდ უკან დაბრუნება.

111 v. رفتن کنیاز سیسیانوف بطرف گنجه و تراقانات بستن با ابراهیمخان و سلیمخان
 و تبعیت قره باغ و نخوی بدولت قوی مکت روسیه

კნიაზ ციციანოვის წასვლა განჯის მხარეს და ტრაქტატის დადება იბრაჰიმხანთან და სელიმ-ხანთან, დემორჩილება ყარაბაღისა ძღვევამოსილ რუსის სახელმწიფოსადმი.

112 r. در قتل ابراهیمخان
 იბრაჰიმ-ხანის მოკვლა.

112 v. آمدن قشون قزلباش بسر قره باغ و جنگ بر فکرنیک قراگین

ყიზილბაშის ჯარის მოსვლა ყარაბაღზე და ბრძოლა კარიაგინთან

113 v. رفتن کنیاز سیسیانوف بجانب بادکوبه و مقتول گشتن درانجا

კნიაზ ციციანოვის წასვლა ბაქოს მხარეს და იქ მისი მოკვლა.

115 r. در بیان سرداری ینارال اود اینفانطری غراف غودوویچ باطراف قفقاز و کیفیت
 احوالات آن زمان

ინფანტერიის გენერალ გრაფ გუდოვიჩის მთავარმმართველობა კავკასიაში და იმ დროის ამბები.

115 v. درسرداری غنارال اود قوالری دورماسوف باطراف قفقاز و گذارش آترمان

კავალერიის გენერალ ტორმასოვის მთავარმმართველობა კავკასიაში და იმ დროის ამბები.

116 v. درسرداری ینارال لیطناند مرکز باولویچ در حدود قفقاز و کیفیت وقایع آترمان

გენერალ-ლეიტენანტ მარკიზ პაულუჩის მთავარმმართველობა კავკასიაში და იმ დროის ამბები.

117 v. در بیان سرداری ینارال لیطناند ردیشچოვ در حدود قفقاز و صلح با قزلباش

გენერალ რტიშჩევის მთავარმმართველობა კავკასიაში და ზავი ყიზილბაშებთან.

118 v. در بیان سرداری ینارال لیطناند یرملوف و مصالحه با قزلباشیه

გენერალ-ლეიტენანტ ერმოლოვის მთავარმართებლობა და დაზავება ყი-
ზილბაშებთან.

119 v. ملاقات ینارال مددوف با عباس میرزا

გენერალ მადათოვის შეხვედრა აბას-მირზასთან.

120 r. درفسخ صالح قزلباشیه با روس و آمدن عباس میرزا بسر قره باغ و شکست او
ზავის დარღვევა ყიზილბაშებსა და რუსებს შორის, აბას-მირზას მოსვლა ყარა-
ბაღზე და მისი დამარცხება.

122 v. در حرکت قشون بسمت قره باغ و غیره

ჯარის წასვლა ყარაბაღის მხარეს და სხ.

126 r. درکشایش کار و فتوحات

საქმეების შემსუბუქების და გამარჯვებათა შესახებ.

136 r. جنگ کردن ینارال مددوف با عباس میرزا در کنجه و شکست عباس میرزا

با قشون قزلباشیه با زور سرپنجه

გენერალ მადათოვის ბრძოლა აბას-მირზასთან განჯაში და აბას-მირზას დამარ-
ცხება ძლევა მოსილღების ძალით.

138 v. در احوالات متنوعیه بعد از فرار قزلباشیه

სხვადასხვა ამბები (გარემოებანი) ყიზილბაშების გაქცევის შემდეგ.

140 v. رفتن گنیز بسکویچ بطرف ایران و جنگ عباس میرزا و تسخیر قلعه جات عباس
آباد و ایروان و غیره

კნიაზ პასკევიჩის გალაშქრება ერანისაკენ, ომი აბას-მირზასთან და დაპყრობა
აბას-აბადის და ერევნის ციხეებისა და სხ.

141 v. در کیفیت جنگ کجگر و چوان بلاغ و شکست قشون و اخذ بیرق ایشان
ბრძოლა ბკა-კაჯერ და-თან, დამარცხება აბას-მირზას ჯარისა და მათი
(ყიზილბაშების) დროშის აღება.

145 v. فتح سردارآباد و ایروان

სარდარ-აბადის და ერევნის დაპყრობა.

143 r. رفتن عباس میرزا بطرف ایروان و جنگ کردن با روسیه

აბას-მირზას წასვლა ერევნისაკენ და ბრძოლა რუსებთან.

رفتن گنیز ارستوف بسر تبریز

კნიაზ ერისთოვის გალაშქრება თავრიზზე.

აღმოსავლეთ ა/კავკასიის მე-XIX საუკუნის პირველ ნახევრისათვის, რა-
საკვირველია, ბევრი სხვა საისტორიო მასალა და წყარო არსებობს ქართულ,
რუსულ და სომხურ ენებზე, მაგრამ არც ეს სპარსული ტექსტია მნიშვნელო-
ბას მოკლებული ამ თვალსაზრისით და აქაც შეიძლება დასახელებული პერიო-
დის სპეციალისტმა-ისტორიკოსმა თავისთვის საინტერესო ცნობები აღმოაჩი-
ნოს.

სრულდება صافی تاریخ-ის საისტორიო თხრობა თურქმანჩაის ზავით.

მირზა აფსუფის ნაწარმოებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აზერბაიჯანის ლიტერატურის ისტორიისათვის, რადგანაც ბევრი საინტერესო ცნობა მოეპოვება აზერბაიჯანის ერთ-ერთი უდიდესი პოეტის მოლა ფენაჰ ვაყიფის (გრ. ორბელიანის წერილში—ვალუფი) შესახებ.

მოლა ფენაჰ ვაყიფი ითვლება ახალი აზერბეიჯანული ლიტერატურის ფუძემდებლად, მისი გავლენა აზერბეიჯანულ პოეზიაზე მეტად დიდი ყოფილა. ლიტერატურის ისტორიკოსები ნეზამის და ხაყანის გვერდით აღნიშნავენ მის სახელს. როგორც ზემოთ ვთქვით, ამ დიდი პოეტის ნაწარმოებში პირველად შეუკრებია და გამოუცია ჩვენს მირზა აფსუფს ყარაბაღელს. ამ გამოცემაზე ლაპარაკობს თავის წერილში გრ. ორბელიანი. მირზა აფსუფს თავის ისტორიაში გადმოცემული აქვს რიგი ბიოგრაფიული ცნობა პოეტის შესახებ. მას ხშირად მოჰყავს ამათუიმ შემთხვევაში მოლა ფენაჰის მიერ ნათქვამი ლექსი, ის აღწერს აგრეთვე მოლა ფენაჰის დაღუპვის ამბავს. ალა-მაჰმად-ხანის მოკვლის შემდეგ შუშაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო შუშას ხანის იბრაჰიმ-ხანის ძმისწულმა მოჰამედ-ბეგმა. თვით შუშას ხანი იბრაჰიმში ქარ-ბელაქანში იყო ალა-მაჰმად-ხანისაგან ლტოლვილი. მოჰამედ-ბეგმა თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად დახოცა ქალაქში ყველა ის, ვინც იბრაჰიმ-ხანის მომხრე და ერთგული იყო. დაიღუპა თავის შვილთან ერთად მოლა ფენაჰიც, რომელიც იბრაჰიმ-ხანის ვაზირი იყო. ყარაბახის ხალხი დიდხანს გლოვობდა საყვარელი პოეტის დაღუპვას, ამბობს აზერბაიჯანის ლიტერატურის ისტორიკოსი, მისი საფლავი შუშაში გადაიქცა წმინდა ადგილად და ყოველ წელიწადს მრავალი ხალხი მიდის იქ თავყვანისსაცემლად¹.

ენა მირზა-აფსუფისა საერთოდ მარტივია, მოთხრობაც სადად მიმდინარეობს. მას არ უყვარს იმ რთულ და ღვარჯნილ გამოთქმების ხმარება, რომლებითაც ახალი საუკუნეების სპარსელი მწერლები-ისტორიკოსები ცდილობდნენ თავიანთი ნაწარმოები შეემკოთ და მჭერმეტყველება გამოეჩინათ. მხოლოდ როცა ხელმწიფეს მიმართავს ჩვენი ავტორი (ამ შემთხვევაში რუს ხელმწიფეს ნიკოლოზ I და ალექსანდრე II-ს), ან თავის უფროსებისა და მფარველების, გრ. ორბელიანის და დ. ჯორჯაძის, შესახებ ლაპარაკობს და მათ თავის ნაწარმს უძღვნას,—ის ცდილობს რაც შეიძლება მეტად იმჭერმეტყველოს და მაღალფარდოვანი ენით გამოხატოს თავისი გრძნობები. მირზა აფსუფის ენაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ძალიან ხშირი ელიქსისები. რთულ წინადადებაში საჭირო რამდენიმე დამხმარე ზმნის ნაცვლად ის ტოვებს, მხოლოდ ერთს, წინადადების ბოლოში და არაიშვიათად მასაც უშვებს ხოლმე. ამის გამო ზოგჯერ ძნელი ხდება ტექსტის ზუსტად გაგება. მირზა აფსუფს უკვე შემოღებული აქვს (რუსულის გავლენით, ალბათ) ის ზოგიერთი (ველილება ენასა და მართლწერაში, რაც მე-XIX საუკუნის მეორე

¹ Антология Азербайджанской поэзии, Баку гв. 86. ვაყიფის შემოქმედების ნიმუშებს ქართველი მკითხველი გაიცნობს აგრეთვე წიგნაკში: ჟვავიეი. ლექსები საქართველოზე-თარგმანი კ. კიკინაძისა. თბილისი, 1948 წ.

ნახევარში გაჩნდა მხოლოდ ერთი ევროპასთან გაცნობის გზით. ის, მაგალითად, ხმარობს კუთხოვან ფრჩხილებს, თარიღებს აღნიშნავს როგორც ჰიჯრით, ისე ჩვენი წელთაღრიცხვითაც. ორიოდ შემთხვევაში მას სომხურ ენაზე მოჰყავს წინადადება სომხურივე შრიფტით, რაც უჩვეულო ამბავია არაბულ-სპარსულ ან თურქულ ტექსტისათვის. მირზა აფსუფის ენაში რუსიციზმებიც მოიპოვება: ის ხმარობს რუსულიდან გადმოღებულ სიტყვებს: ثرا ვერსი, اتصل სალდათი და სხ.

ჩვენ დამზადებული გვაქვს გამოსაცემად მირზა აფსუფის „წმინდა ისტორიის“ ის ადგილები (ქართულ თარგმანთან ერთად) ნადირშაჰის დროიდან დაწყებული დავით ბატონიშვილამდე, რომლებიც საქართველოს ისტორიას შეეხება, მაგრამ მირზა აფსუფ ყარაბაღელის ნაშრომს უფრო ფართო და დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს. ის დაწერილია არამუსლიმანის (სომხის) მიერ თავისებურ პირობებში და ამ მხრივ საინტერესო მოვლენას წარმოადგენს სპარსულ ისტორიოგრაფიაში. ამიტომ სასურველი და გამართლებული იქნებოდა მისი სრულად გამოცემაც.

პლ. ლოჩანაშვილი

ადიშის ოთხთავის კომპოზიტიანი

(ოთხთავის სომხურ და ბერძნულ ტექსტთან მიმართებით)

უკანასკნელ ხანებში ადიშის ოთხთავზე წარმოებულმა (ენობრივი, რედაქციული და სხვა ხასიათის) კვლევა-ძიებამ დაგვანახა, რომ ადიშის ტექსტს გრძელი ისტორია აქვს გავლილი. ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები მის ტექსტში იმაზე მიგვიჩივებენ, რომ ოთხთავის ადიშისეული რედაქცია აღმოცენდა და არსებობდა ქართულ მწერლობაში ხანმეტური და ჰაემეტური ნორმების ბატონობისას—აქ ჩვენ საქართველოში ქრისტიანული ეპოქის დასაწყისში აღმოცენებული რედაქციიდან მომდინარე ტექსტთან უნდა გვკონდეს საქმე. მაგრამ ადიშის ტექსტი ამჟამად საკმაოდ დაშორებულია თავის ამ უძველეს წინაპარს.

ბოლო დროის კვლევა-ძიებამ, კერძოდ, ცხადჰყო ის უქვევლი ფაქტი, რომ ადიშის ხელნაწერი ორი განსხვავებული რედაქციის ტექსტს შიშვც შეიცავს. ამიტომ შეუძლებელია ადიშის ოთხთავზე ვილაპარაკოთ, როგორც ერთიან რამეზე, როდესაც საქმე ეხება თუნდაც ამ ძეგლის წარმომავლობის საკითხს. ამას გარდა, უკვე a priori ცხადია, რომ ოთხთავის ამ ტექსტს, რომელსაც გრძელი ისტორია აქვს, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მრავალჯერ უნდა განეცადა შესწორება-გადაკეთებები, შეიძლება ბერძნული, სომხური თუ სხვა უცხო ოთხთავების ან სხვა წყაროდან მომდინარე ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქციების მოშველიებით. ყველა ამ გზით აქ, ალბათ, მოიყარა თავი არა ერთი სამყაროს გავლენამ. ამიტომ უცხო გავლენის ის ფაქტები, რომელთაც ჩვენ ამჟამად ადიშის ტექსტში ვპოულობთ, ყველა როდი უნდა იყოს ძველიდანვე ამ რედაქციის დამახასიათებელი, არამედ ნაწილობრივ შემდეგდროინდელი გადაკეთება-გასწორებებიდან უნდა მოდიოდეს. ვფიქრობთ, ჯერჯერობით ძალიან ძნელია უცხო გავლენის ამ თავდაპირველისა და შემდეგდროინდელი ფენის გამოიჯნა, რის გამოც ძნელია აგრეთვე მტკიცება ადიშის ტექსტის არმენიზმებისა თუ ბერძნიზმების პრიმატობისა.

საერთოდ ადიშის ტექსტის გარშემო აღძრულ ყველა ამ საკითხზე პასუხის გაცემა მოითხოვს შემდგომს გულდასმითს, ხანგრძლივსა და სხვადასხვა მიმართულებით წარმოებულ კვლევა-ძიებას. ექვს გარეშეა, აქ თავისი სიტყვის თქმა მართებს არა მარტო უცხო ტექსტის ნაკვალავის გამოვლენის მიზნით (არმენიზმებისა თუ ბერძნიზმების აღმოჩენის მიზნით) წარმოებულ კვლევა-ძიებას, არამედ ბევრი სხვა მიმართულებით (ენობრივი, რედაქციული, დიალექტოლოგიური და სხვა) წარმოებულ კვლევა-ძიებასაც.



საერთოდ ნათარგმნ ძეგლს უცხო ტექსტის გავლენა სხვადასხვა სფერო-ში შეიძლება დაეჩინოს: ლექსიკისა, საკუთარ სახელებისა და მისთანაა გვერ-დით კომპოზიტებშიც შეიძლება თავი იჩინოს უცხო გავლენამ. სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ისეთი შემთხვევა აღნიშნული, როდესაც ბერძნუ-ლიდან თუ სომხურიდან ქართულად თარგმნისას ქართველი მთარგმნელები ცდილან ზუსტად (შემადგენელი ნაწილებისათვის ანგარიშის გაწევით) გადმოე-ცათ უცხო ტექსტის კომპოზიტები, რაც ხშირად გაუგებრობასა და მცდარ თარგმანს იძლეოდა. ამიტომ, როდესაც ვინილავთ ამა თუ იმ ქართულ ნა-თარგმნ ძეგლში არმენიზმებისა თუ ბერძნიზმების საკითხს, საჭიროა ყურად-ღება მივაქციოთ კომპოზიტებსაც, ქვემოთ ჩვენ გვინდა გავარჩიოთ, თუ რო-გორ უპასუხებს აღიშის ტექსტი ოთხთავის სომხური ტექსტის კომპოზიტებს და ზომ არ შეინიშნება ამაში სომხურის რაიმე ხელშესახები გავლენა?

ამ სფეროში აღიშის ტექსტი ოთხთავის სომხურ ტექსტთან მიმართებით ერთგვარ ვითარებას არ გვიჩვენებს. სომხური ტექსტის კომპოზიტები აღი-შის ტექსტში რიგ შემთხვევებში წარმოდგენილია კომპოზიტებითვე; ზოგჯერ კი არა კომპოზიტებით—ერთი მარტივი სიტყვით ან აღწერით.

* * *

პირველყოვლისა ჩვენ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სომ-ხური ტექსტის კომპოზიტი აღიშის ოთხთავის სათანადო ადგილას კომპოზი-ტითვეა წარმოდგენილი ან სიტყვათა ისეთი კომპლექსით, რომელსაც კომპო-ზიტს ვერ დავარქმევთ, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის აქ გამოსადგვია, რადგან წარმოადგენს სომხური (თუ ბერძნული) კომპოზიტის შემადგენელი ნაწილების ცალ-ცალკე სიტყვებით წარმოდგენის შემთხვევას.

ა. ამ ტიპის შემთხვევებში ცალკე ჯგუფად გვინდა გამოვყოთ ისეთი მოვ-ლენები, როდესაც ოთხთავის ამა თუ იმ ადგილას არა მარტო სომხური და აღიშის ტექსტი იძლევა კომპოზიტს, არამედ კომპოზიტს ან სიტყვათა შესა-ბამ კომპლექსს ხმარობს ბერძნული ტექსტიც, ე. ი. ისეთი შემთხვევები, რო-დესაც აღიშის ტექსტის ამა თუ იმ ადგილას კომპოზიტის არსებობა თანაბ-რად შეიძლება მომდინარეობდეს როგორც სომხური, ისევე ბერძნული ტექ-სტიდან. ასეთი შემთხვევები დიდი ოდენობით იჩენს თავს, მაგალითად:

1. ქართული ტექსტის „ათასის-თავი“ (მკ. 6₂₁ ინ. 18₁₂) ერთნაირად ზუსტად შეესატყვისება სომხ. *հազარაպის-საცა* და ბერძნ. *χίλιαρχος-საც* (*χίλιαι*—ათასი), ისევე როგორც „ასის-თავი“ (მთ. 8₅, 8₁₃, 27₅₄; ლკ. 7₂₆) სომხურ *հարիւრապის-სა* და ბერძნ. *ἐκατονταρχος-ს* (*ἐκατόν*—ასი).

2. სომხური ტექსტის *საქსიორბ* (მევენახე), რომელიც *საქსი* (=ვენახე) და *იორბი* (=ქმნა, მოქმედება) სიტყვებიდანაა წარმოდგარი, აღიშის ოთხთავში (ლკ. 13₇) „ვენახის მოქმედი“—თაა წარმოდგენილი. ბერძნული ტექსტიც ამ ადგილას მსგავსი შედგენილობის სიტყვას—*ἀμπελοπαργών-ს* ხმარობს (=მე-

ვენახე: ჰუპელოც-ვაზი) ჰერძეიამ-ვაკეთებ, ვეშეობ, ვამეშეებ). VDE¹-შიც „ვენახეს- მოქმედი“-ა.

3. ადიშის „ვეცხლის-მოყუარე“ (ლკ. 16₁₄)=სომხ. ტექსტის *არ-ბამსაძე*-ს (*არბამ*—ვერცხლი, *სძე*—სიყვარული) და ბერძნ. ფილჰერაიჯ (ფილან—სიყვარული, ჰერაიჯ—ვერცხლი) VDE-ც ადიშის მსგავსად „ვეცხლის მოყვარე“-ს ხმარობს.

4. ადიშის „კაცის მკვლელი“-ც (ინ. 8₃₄—ასევე VDE-ში) ერთნაირად ზუსტად შეესატყვისება როგორც *მარქასიან-ს* (*მარქ*—კაცი, *სიანს*—მოკვლა) ისევე *მუჰრაპიანის*-ს (*მუჰრაპი*—კაცი, *ანს*—გვლავ).

5. სომხ. *გარგარ* (=კეთილის მოქმედი, კეთილის მყოფელი: *გარგ*—კეთილი, *ანს*—ქმნა, ყოფა) ადიშის ოთხთავში წარმოდგენილია სიტყვებით „კეთილის-მყოფელი“ (ლკ. 6₃₃). ბერძნულ ტექსტში (*ბერაპიან*—დგას: *ბერა*—კარგი კეთილი; *პიან*—კეთება, ქმნა) და „ქველის მოქმედი“ (ლკ. 22₂₅. ბერძნ. =*მეპეტე*: *მ*—სიკარგე, *სეტე*; *ბერძეიამ*—მეშეობა); VDE-ც ადიშის ოთხთავის მსგავსად „კეთილის მყოფელი“-ს (ლკ. 6₃₃) და „ქველის მოქმედი“-ს (ლკ. 22₂₅) ხმარობს.

6. აგრეთვე ერთნაირ მიმართებაშია ადიშის „მღვდელთ მოძღვარი“ მთ. 2₃, 16₂₁, 20₁₈, 21_{23, 43}, 26_{3, 14, 47, 51, 57}, 27_{1, 3, 6, 41, 62}, 28₁₁, მკ. 8₃₁, 10₃₃, 11₁₈, 14_{1, 47, 53, 55, 60, 61, 63, 66}; ლკ. 3₂, 23_{3, 10}, 9₂₂, 20_{1, 19}, 22_{50, 52, 66}; ინ. 7₃₂, 11_{47, 49, 51, 57}, 18_{3, 10}, 18_{13, 15, 19}) სომხურ *გარანაკაიხან*-სა (*გარანაკ*—მღვდელი, *აიხან*—თავი, მეთაური, მოძღვარი) და ბერძნ. *ბერაპეტე*-თან (*ბერა*—მღვდელი, მოძღვარი), ABDE-ც აგრეთვე ხმარობს „მღვდელთ მოძღვარს“ V-კი „მღვდელთ-მთავარ“-ს.

7. სომხ. ტექსტის *გარაგორ* (*გარ*—ტახტი, საჯდომი, *გორ*—თავი) = „ადიშ“. „მენის თაობა“ = ბერძნ. *ბერაპეტე* (*ბერა*—პირველი, მთავარი, *ბეტე*—ადგილი მაგიდასთან) მკ. 12₃₉;

8. ზუსტად, შემადგენელი ნაწილების მიხედვით წარმოგვიდგენს აგრეთვე ადიშის ოთხთავის „ქვის სატყორცებელ“ (ლკ. 22₄) სომხურ *გარგან-ტე*-ს (*გარ*—ქვა, *გან*—დავარდნა, გადაგდება, გადასროლა) და ბერძნ. *ბერაპეტე*-ს (*ბერა*—ქვა *ბეტე*—გადასროლა). VDE-შიც „ქვის სატყორცებელი“-ი დგას.

9. ადიშის „ღმერთის მსახური“ (ინ. 9₃₁)¹ თანაბრად ზუსტად შეესატყვისება სომხ. *ბერაპეტე*-ს (*ბერა*—ღმერთი, *ბეტე*—მსახურება) და ბერძნ. *ბერაპეტე*-ს (*ბერა*—ღმერთი, *ბეტე*—სამსახური); ქართული ოთხთავის სხვა ხელნაწერებიც (VDE) ამ ადგილას „ღმერთის მსახურ“-ს ხმარობენ.

10. ადიშის „გულფიცხელობა“ (მთ. 19₃; მკ. 10₅), შეიძლება ითქვას ერთნაირ მიმართებაშია სომხური ტექსტის *ბერაპეტე*-სა (*ბერა*—მკაც-

¹ ისევე როგორც ზემოთ: A=თბილისი, B=ტბეთის, C=ადიშის, D=ჯრუჭის, E=პარხლის ხელნაწერები, V=ქართული ვულგატა, X=ხანმეტი ლექციონარი. Y=ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოცემული ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები.



რი, სასტიკი, *სქრა*—გული) და ბერძნული ტექსტის *σκληροκαρδία*-სთან (სკლერა—მკაცრი, სასტიკი, მაგარი, *καρδία*—გული).

ადიშის მსგავსად „გულფიცხელობა“-ა აგრეთვე VABDE-ში.

11. იგივე ითქმის ადიშის ტექსტის „ერთთუალისაჲ“-ს (მთ. 18₉; ასევე VDE-შიც) დამოკიდებულებაზე სომხურ *ძქაქან*-თან (*ძქ*—ერთი *სქნ*, *სქან*—თვალი) და ბერძნულ *μιασφαιμασιν*-თან (*μιασ*—ერთი, *σφαιμασ*—თვალი).

12. სომხურ *ძქაჯარქ*-ს ადიშის ოთხთავის ტექსტში (მთ. 28₁ მკ. 16₂; ლკ. 24₁; ინ. 20₁₉), ისევე, როგორც ოთხთავის სხვა ქართულ ხელნაწერებშიც შეესატყვისება „ერთუაფათი“. ასევე ბერძნულშიც: *μία τῶν σφαιμάτων*.

13. სომხური ტექსტის *ჯერჯერაქან*-ის შესატყვისად ადიშშია „მეოთხედ მთავარი“ (ლკ. 9₇; ასევე VDE-შიც), ბერძნული კი *τετραρχος*.

14. სომხ. *ჯერჯერაქან* = ადიშის ოთხთავის „ოთხდღისაჲ“ = ბერძნ. *τέσσαρας ἡμέρας*.

15. ადიშის „პირველ-ჯდომა“-ს (ლკ. 20₄₆) სომხურ ტექსტში შეესატყვისება *ნაქანქო* (*ნაქ*—პირველი, *პირველად*, *აქო*—ტახტი, საყდარი), ბერძნულში კი *πρωτοκλήριον* (*πρωτος*—პირველი, *κλήριον*—საჯდომი). ადიშის მსგავსად „პირველ-ჯდომა“-ა DE-ში, V-შია „პირველად ჯდომა“.

16. ადიშის „თუალბოროტებანი“ (მკ. 7₂₂) ზუსტად წარმოგვიდგენს როგორც სომხური *ჯარქნოქან*-ს (*ჯარ*—ბოროტი, *სქნ*—თვალი), ისე ბერძნული ტექსტის შესატყვის გამოთქმას: *σφαιμασίν πονηρός* (*σφαιμασ*—თვალი, *πονηρός*—ცუდი, ავი). ადიშისნაირად „თვალბოროტებანი“-ს ხმარობს აგრეთვე VABDE.

17. სომხური ტექსტის *სქქანამქან*-ს (*სქქან*—გრძელი, *ამქან*—გონება, გული) შესატყვისად ადიშის ოთხთავი ხმარობს „სულგრძელს“ (მთ. 18_{26, 29} და ლკ. 18₇), რასაც აგრეთვე ზუსტად შეესატყვისება ბერძნული *μακροθυμία* (*μακρος*—გრძელი, *θυμία*—სული). VABDE-ც აგრეთვე „სულგრძელს“ იძლევა.

18. ადიშის ოთხთავის „მცირედ მორწმუნე“-ს (მთ. 6₃₀, 8₂₆, 14₂₁; ლკ. 12₂₈) შესატყვისად სომხურში დგას *ქქანაქან* (*ქქან*—ნაკლები, მცირე, *ნაქან*—სარწმუნოება), ბერძნულში კი *ἐλαττωστος* (*ἐλαττωσ*—მცირე, *πistos*—მორწმუნე), VABDE-ც „მცირედ მორწმუნე“-ს ხმარობს.

19. სომხურ *საქანანაქან*-ს (*საქან*—მცირე, *ნაქან*—სარწმუნოება) ადიშში (მთ. 8₂₆) „მცირედ მორწმუნე“ შესატყვისება (ასევე VABDE-ში). ბერძნულ ტექსტშია *ἐλαττωστος* (*ἐλαττωσ*—ცოტა, მცირე, *πistos*—მორწმუნე).

20. ასევე ერთნაირ მიმართებაში უნდა იყოს ადიშის „მხოლოდ შობილი“ (ინ. 1₄₈, 3₁₈) როგორც სომხ. *ძქანქან*-თან (*ძქ*—ერთი, *ანანქ*—შობა), ისევე ბერძნ. *μονογενής*-თან (*μιασ*—ერთი, ერთადერთი, *γενος*—შობა, წარმოქმნა) ადიშის მსგავსად „მხოლოდ შობილი“-ს ხმარობს აგრეთვე VDE.

21. ადიშის „მხოლოდ შობილი“ (ლკ. 7₁₂) = *ძქანქან* (*ძქ*—ერთი



ერთადერთი, *მადე*—შობა)=ბერძნ. *μηνιαίος* (მნიაც—ერთი, ერთადერთი, *γίνωμι*—შობა...). ადიშის მსგავსად „მხოლოდ შობილი“-ა აგრეთვე VDE-ში.

22. ადიშის „პირველად საჯდომელ“-ს (მთ. 23₆) შეესატყვისება სომხურში *კათაქაყან*, ბერძნულში კი *πρωτογενής* (პრῶთეს—პირველი, წინა, *αίσις*—წოლა, ჯდობა). VABDE ამ ადგილას „ზემოჯდობა“-ს ხმარობს.

23. სომხ. *ძანთაქიქნი* (*ძანთ*—ვერაგი, ბოროტი, სულელი, *ქიქნი*—ლეღვი) ადიშში (ლკ. 19₃) წარმოდგენილია „ლეღუსულელი“-ს სახით, ბერძნულში კი *σχιμαρῆς* (σχιον—ლეღვი, *μαρῆς*—სულელი) იკითხება. ადიშისნაირადაა აგრეთვე VDE-შიც.

24. სომხ. *ჟარაკათაქ* ადიშის ოთხთავში „ქვაფენილი“-თაა წარმოდგენილი (იხ. 19₁₃). ბერძნულშია *λιθοστρωτός* (ლითეს—ქვა, *στρωτος*—ფენი), ადიშის მსგავსად VDE-ც „ქვაფენილ“-ს ხმარობს.

25. სომხ. *თანილთქ*-ს (*თილ*—სახლი, *თქ*—პატრონი, უფალი) ადიშის ოთხთავში შეესატყვისება „მამასახლისი“ (მთ. 10₂₅, 13₂₇, 52, 20₁, 11, 21₃₃, 24₄₃, მკ. 14₁₄). ბერძნულ ტექსტშია *οικονομστῆς* (ოიკოს—სახლი, *οστῆς*—მეფე, პატრონი); VABDE აქ „სახლისა უფალს“ ხმარობს. ადიშის ოთხთავის რედაქციის მიერ აქ „მამასახლისის“ ხმარება პროფ. ს. ყაუხჩიშვილს სიძველე-არქაულობის ერთ-ერთ გამოვლენად მიიჩნია. ლკ. 12₃₉, 13₂₅, 14₂₁-ში კი ადიშის ხელნაწერი „სახლისა უფალ“-ს ხმარობს.

26. სომხ. *ღიყაღიყაღ*-ს (*ღიყ*—ღაბა) ადიშის ოთხთავში „ღაბაქაღაქი“ (მკ. 1₃₈) შეესატყვისება. ბერძნულშია *καμπασις* (კამყ—ღაბა, სოფელი, *პას*—ქალაქი).

27. სომხური ტექსტის *ნაქაქნი* (*ნაქ*—პირველი, პირველად, *ქნი*—საყდარი, ტახტი) ადიშში წარმოდგენილია „ზეშთაჯდობა“-ს სახით (მთ. 23₆). ბერძნულშია *πρωτογενής* (პრῶთეს—პირველი, *გენῆς*—ჯდობა). VAB, ზუსტად გადმოსცემს ამ უკანასკნელს (ბერძნულს) „პირველ დაჯდობა“-ს სახით, DE—ხელნაწერები კი „წინაჯდობა“-ს იძლევა.

აქ აღვნიშნეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც სომხური ტექსტის კომპოზიტი ადიშის ტექსტში წარმოდგენილია კომპოზიტითვე ან სიტყვათა შესაბამისი კომპლექსით და ბერძნული ტექსტიც კომპოზიტს (ან სიტყვათა შესაბამის კომპლექსს) იძლევა. ამრიგად, აქ თითქოს ერთი სახის შემთხვევებთან გვაქვს საქმე, — მაგრამ კომპოზიტითა თუ არა კომპოზიტით წარმოდგენის პრინციპს გარდა, ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ როგორ არის გადმოცემული კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები. ამ თვალსაზრისითაც ზემომოყვანილ შემთხვევებში თითქმის ერთგვარი მდგომარეობაა: ქართული კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები თანაბრად ზუსტად გადმოსცემენ როგორც სომხური, ისე ბერძნული კომპოზიტების (თუ გამოთქმების) შემადგენელ ნაწილებს.

მაგრამ არის რიგი შემთხვევები, როდესაც სამივე (სომხური, ბერძნული, ადიშის ოთხთავი) ტექსტში კომპოზიტის არსებობის შემთხვევაში ადიშის ოთხთავის კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები თითქოს ბერძნული კომპოზი-

¹ იხ. მისი „ადიშის ხელნაწერის ბერძნისებში“, ვინიკის მონაბე XIV, გვ. 95.

ტის შემადგენელ ნაწილებს უფრო ზუსტად გადმოსცემენ, ვიდრე სომხურისა. ასე მაგალითად, მკ. 5_{22, 35, 38}; ლკ. 8₄₉, 13₁₄-ში (იხ. აგრ. მკ. 5₃₆) სომხური ტექსტის ძიჟიქჟაყსა-ის (ძიჟიქჟაყ— „ხალხი“, „სიმრავლე“, „კრებული“ და იშვიათად „საკრებულო“, აქსა—თავი, მეთაური) შესატყვისად აღიშნის ოთხთავი (და მის მსგავსად VABDE-ც) კითხულობს „შესაკრებელთ მთავარს“; ბერძნულ ტექსტში კი ἀρχισαρχαγος დგას (საყაყაყ—შემკრები, საყაყაყი—შეკრება, შეკრების ადგილი). ოთხთავის ქართული რედაქციების „შესაკრებელთ მთავარი“, „შესაკრებლის მთავარი“ თითქოს ბერძნულ კომპოზიტს (ἀρχισαρχαγος) უფრო ზედმიწევნით გადმოსცემს.

მაგრამ ამის გვერდით თითო-ორიოლა ისეთი შემთხვევაც არის, როდესაც ასეთ ვითარებისას (ე. ი. სამივე: სომ., ბერძნ., აღიშნის ოთხთავის ტექსტში კომპოზიტი რომ დგას) აღიშნის კომპოზიტი შემადგენელი ნაწილების მხრივ სომხურ კომპოზიტთან უფრო ახლო დგას, ვიდრე ბერძნულთან:

1. სომხ. რაყაქსაყ-ს (რაყ—გარე, აქს—„ღამის გატარება“, „ღამის თევა“) აღიშნის ოთხთავში შესატყვისება „გარემყოფი“, ბერძნულში კი ἀρχααξა (=ველად, ღია ცის ქვეშ მცხოვრები—იხ. ἀρχαξ, ἀβλ!ξαα). VDE ამ ადგილას „ველთა დგებოდეს“-ს ხმარობს და, როგორც ჩანს, ბერძნულზე დამოკიდებულებას ამჟღავნებს, მაშინ, როდესაც აღიშნის „გარემყოფი“ სომხურ რაყაქსაყ-ს უფრო უახლოვდება (ლკ. 2₈).

2. რარბრაყაყ (რარბრ—მაღალი, ყან—ტახტი)—აღიშნის წარმოდგენილია ზემოჯდომადა—თ (ლკ. 11₄₃). ბერძნულშიც მსგავსი შინაარსის და აგრეთვე რთული შემადგენლობის სიტყვა დგას (πρωτοιμαξιδρια: πρωτοι—პირველი, ἰμαξιδρια—საჯდომი). მაინც ქართული გამოთქმის პირველი ნაწილი (ზემო) თითქოს სომხურს უფრო უჭერს მხარს (რარბრ—მაღალი); VDE-შიც—„ზემოჯდომა“ არის.

3. აღიშნის „ძრის მოქმედი“ (ინ. 18₃₀; ლკ. 23_{32, 33, 23₃₉})=სომხ. ჯარაყიბ-ს (ჯარ—ბოროტი, ყიბელ—ქმნა, მოქმედება), ისევე, როგორც ბერძნულ ἰακωπιδის-ის (იაკიბ—ცული, ძრი, პიხა—გაკეთება, ქმნა) (ინ. 18₃₀), ἰακωβιδის (იაკიბ—ცული, ძრი, ἰβιδρια—კეთება, ქმნა—ყველა დანარჩენ ადგილას), თუმცა აქ საყურადღებოა ის, რომ აღიშნის კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი (ძრი) ფონეტიკურადაც წარმოადგენს სომხური კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილის (ჯარ)ის შესატყვისს¹. VDE-ც ყველგან იძლევა „ძრის მოქმედს“, გარდა ინ. 18₃₀-ისა („ბოროტის მოქმედი“).

ბ. ბუნებრივია, სომხურმა გავლენამ შეიძლება უფრო მძლავრად იჩინოს თავი ჩვენი მასალის იმ სახის შემთხვევებში, როდესაც სომხური კომპოზიტი აღიშნის ოთხთავში კომპოზიტივით წარმოდგენილი, ხოლო ბერძნული ტექსტი კი ამ ადგილებში კომპოზიტს არ იძლევა. ასეთ შემთხვევებში მეტწილად სომხურთან სიახლოვე მართლაც ჩანს. ასე მაგალითად:

1. აღიშნის ოთხთავის „ზღკს კიდე“ (მკ. 1₁₆, 2₁₃, 4₁, 5₂₁; მთ. 4₁₃, 13₃; ლკ. 6₁₇) საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს სომხური ბიქსაყ-ის შემადგენელ ნაწილებს (ბაქ—ზღვა, ხაყ—კიდე). ბერძნული ამ ადგილებში კითხულობს:

¹ იხ. ილ. აბულაძის „ქართული და სომხური ლიტ. ერთიგნობა IX—X სს-ში. გვ. 0110.

პარამეტრიზაცია-ს (მთ. 4₁₃), პარამეტრიზაცია-ს (მკ. 1₁₆, 2₁₃, 4₁₁, 5₂₁), პარამეტრიზაცია-ს (ლკ. 6₁₇), A,B (მათესა და მარკოზთან) VDE-ც „ზღვს კიდეს“ ხმარობს.

2. საყურადღებოა, რომ მთ. 21₁₂-სა და ინ. 2₁₅-ში ადიშის ოთხთავითავეის „თესლის მოფარდულთაჲ“-თ საკმაოდ ზუსტად, შემადგენელ ნაწილების მიხედვით სთარგმნის სომხურ *հասաქանա*-ს (*հաս*—მარცვლი, *ქანა*—ფრდა); მაშინ, როდესაც ბერძნული ტექსტი არ იძლევა კომპოზიტს—*αἰκλαβιστής* (=გადამხურდავებელი: *αἰκλαβισ*—მცირე მონეტა, *αἰκλαβισ*—*αἰκλαβισ*); *τὸ κέρμα*=მცირე მონეტა). საინტერესოა, რომ A,B (მთ. 21₁₂) და VDE (მთ. 21₁₂ იხ. 2₁₅) ამ ადგილებში ზუსტად გადმოსცემს ბერძნულს და „მეკრემ“, „კერმის მსყიდელს“ ხმარობს.

3. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის, რომ ლკ. 2₃-ში ბერძნული ტექსტი მარტივად *ἀπειραφή*-ს (=სია, აღწერა) ხმარობს და ქართული ვულგატაც (აგრეთვე DE) მის შესაბამისად „აღწერას“ იძლევა, მაშინ, როდესაც ადიშის ოთხთავი ამ ადგილას კომპოზიტს მიმართავს—*სოფლის აღწერა*“ სომხური ტექსტის შესაბამისად, სადაც *աշխարհագիր*—არის (*աշխար*—სოფელი, *հագիր*—აღწერა).

4. ადიშის ოთხთავის „გულმედგარი“ (მთ. 8₂₆ და მკ. 4₄₀) უფრო ახლო დგას სომხური ტექსტის *վասաիրա*-თან (*վաս*—ცული, *սիրա*—გული), ვიდრე ბერძნული ტექსტის *δελγδ*-თან (=მშობარა) ოთხთავის სხვა ძველ ქართულ ხელნაწერებშია: „მოშიში“ (მკ. 4₄₀—VABDE) „შეშინება“ (მთ. 8₂₆—VDE) „შეძრწუნება“ (მთ. 7₂₆—DE).

5. სომხური ტექსტის *խրահաւատ*-თან (*խ*—ნაკლები, მცირე, *հաւատ*—სარწმუნოება) უფრო ახლო დგას ადიშის ოთხთავის „მცირე მორწმუნეობა“ (მთ. 17₂₀), ვიდრე ბერძნული ტექსტის *ἀπιστία*-სთან „ურწმუნოება“. V ამ ადგილას ზუსტად იმეორებს ბერძნულს, იძლევა რა „ურწმუნოებას“; DE-ში ადიშის სახარების მსგავსად „მცირე მორწმუნეობა“ არის.

6. ადიშის ხელნაწერის „სეფე წული“-ც (ინ. 4₄₆, 49) უფრო ახლო დგას სომხურ *թագաւորաւն*-თან (*թագաւոր*—მეფე, *աւն*—გვარი, ტომი), ვიდრე ბერძნულ *βασιλεύς*-თან (სამეფო, სამეფო). VDE ამ ადგილებში „სამეფო“, „სამეფო კაცს“ ხმარობს.

7. საყურადღებოდ მოიხანს, რომ ლკ. 9₂₉-ში ბერძნული იძლევა უბრალოდ *ἐπειράξ*-ს (=სხვა), ხოლო ადიშის ხელნაწერი თავისი „სხუა სახე“-თი იძლევა ზუსტ თარგმანს (შემადგენელი ნაწილების მიხედვით) სომხური *սյլ-կերպ*-ისას (*սյլ*—სხვა *կերպ*—სახე, ხატი). ეს მით უფრო საინტერესოა, რომ VDE ბერძნულის შესაბამისად უბრალოდ „სხუა“-ს ხმარობს.

მართალია, მკ. 9₁-შიც სომხურის *սյլ-կերպ* ადიშის ოთხთავში აგრეთვე კომპოზიტით არის წარმოდგენილი—*სხუა ფერ* (იქმნა)“, ხოლო ბერძნულში კი *ματαίωσις* (=გადასხეაფერება) ზმნის ფორმა გვაქვს მხოლოდ, მაგრამ აქ სომხურ გავლენაზე ლაპარაკი ძნელია, რაკი ადიშის ხელნაწერის „სხუა ფერ იქმნა“ შინაარსობლივ ზუსტად გადმოსცემს ბერძნ. *ματαίωσις*-ს და ოთხთავის სხვა ქართული რედაქციებიც მსგავს გამოთქმებს იძლევიან (იხ. VABDE: „იცვალა... სხუად ხატად“).

8. ინტერესს არ არის მოკლებული, რომ ადიშის ხელნაწერი თავისი „დიდ-დიდი“-თ (ლკ. 1₄₉ 21₁₁ ინ. 21₁₁) ზუსტად იმეორებს სომხურ ძეგლ-ძეგლს (*ძეგლ*—დიდი), მაშინ, როდესაც ბერძნული ტექსტი აქ მარტივად ქე-ჯე-ს (დიდი) იძლევა. ასევე „დიდ-დიდს“ ხმარობს VDE ყველა შემოდასახელებულ ადგილას, გარდა ლკ. 1₄₉-სა (V „დიდებული“, DE „დიდალი“).

9. ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა აღნიშნა, რომ ადიშის ხელნაწერის „პირად-პირადი“ (მთ. 4₂₄ მკ. 1₃₄) არა მარტო შინაარსობლივ, არა-მედ მატერიალურადაც ზუსტად გადმოსცემს სომხ. *ყსაყსა*-ს¹; VABDE. ამ ადგილას „თითო-სახეთაგან სნეულებათა (სენთა)“-ს კითხულობს, ბერძნულ ტექსტში კი *παισις* (=მრავალფეროვანი, სხვადასხვა გვარი) დგას.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი კი ფიქრობს, რომ ამ და მსგავს შემთხვევებში საქმე არ უნდა გვექონდეს სომხურ გავლენასთან. მისი აზრით, გამოთქმის ასეთი წესი დამახასიათებელია ძველი ხალხური და საერთოდ ძველი ქართული ენისათვის. ასეთი მრჩობლი კონსტრუქცია იხმარება, მაგალითად, მრავალგზისობის და მრავლობითობის გამოსახატავად, რაგვარობის გამოსახატავად და სხვ. მართალია, ქართულთან ერთად ასეთი მრჩობლობითობა ახასიათებს სომხურსაც და სხვა აღმოსავლურ ენებსაც (მაგ. ასურულს), მაგრამ, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, აქ მსგავს და საერთო მოვლენასთან გვაქვს საქმე და არა გავლენასთან².

მიუხედავად იმისა, ადიშის ხელნაწერის „პირად-პირადი“ სომხურის გავლენით არის თუ ქართულსავე ნიადგზე აღმოცენდა, ჩვენ მაინც ხაზგასმის ღირსად მიგვაჩნია შემოდასახელებული შემთხვევები, რაკი ასეთი ტექსტობრივი თანხვედნილობა იჩენს თავს.

10. საინტერესოა, რომ სომხურის *ჯარაჯარ* (*ჯარ*—ძარი, ბოროტი) ადიშის ოთხთავში (მთ. 8₆, 17₁₅) მისი ფონეტიკური შესატყვისი „ძრძრ“-ითაა გადმოცემული. ბერძნულშია *δευαδ* (=„საშინლად“ მთ. 8₆) და *αααδ* („ცუდად, ბოროტად“—მთ. 17₁₄). ოთხთავის სხვა ძველი ქართული ხელნაწერები ბერძნულთან სიახლოვეს ამკლავებენ, იძლევიან რა მთ. 8₆-ში „ძნიად“ (ABDE), „ფრიად“ (V) და მთ. 17₁₅-ში „ბოროტად“ (VABDE).

11. სომხური გავლენის მნიშვნელოვანი გამოხატულება უნდა იყოს აგრეთვე *აქსანოსის*-ის „თუალითმხილველის“ სახით წარმოდგენა ადიშის სახარებაში (ლკ. 1₂). ბერძნულშია *απαρτης* (თვითმხილველი) და ამ უკანასკნელის შესაბამისად VDE-ც „თვთ-მხილველ“-ს ხმარობს.

12. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია (ისევე, როგორც შემოდასახელებული „თუალითმხილველის“ მიმართაც), რომ სომხური გავლენის ერთ-ერთ მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს სომხური *აქსარქეს*-ის (ინ. 3₂₄; *აქს*—თვალი, *არქანს*—გადასროლა...) „თვალ-უყვნა“-თი გადმოცემა ადიშის ტექსტში (VDE-შია „წამ-უყვნა“ ბერძნულ ტექსტში—*νεσε*).

¹ XB ტ. II, вып. 2, გვ. 172.

² იხ. „ადიშის ხელნაწერის ბერძნობები“, ენიშის მოამბე, ტ. XIV, გვ. 97—98.

13. ლკ. 1₈₈-ში სომხური *აყყასთირამ*-ი (*აყყ* — ნათესავი, *თირამ* — ტომი) ადიშის ოთხთავში ზუსტადაა წარმოდგენილი „ნათესავ-ტომი“-ს სახით. ბერძნულ ტექსტშია *σαγγαεις* (= „ნათესავნი“ და ამ უკანასკნელის შესაბამისად ქართული ვულგატა, ჯრუჟისა და პარხლის ხელნაწერები მარტივად „ნათესავთა“-ს ხმარობენ.

14. ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ ზემომოყვანილი „დიდ-დიდის“, „პირად-პირადის“, „ძვრძვრის“ ტიპის კიდევ ერთი მაგალითი: ადიშის „ადრე-ადრე“ (მთ. 28₈ ლკ. 16₆; 17₇) კარგად გადმოსცემს სომხურ *ქაყქაყაქქ*-ს. ბერძნულ ტექსტშია: *αρχς* (მთ. 28₈), *αρχνας* (ლკ. 16₆), *επινας* (ლკ. 17₇). ოთხთავის სხვა ძველ ქართულ ხელნაწერებში (VABDE) უბრალოდ „ადრე“ დგას (სადაც კი ამ გამოთქმას შესატყვისი მოეპოვება).

მივგამ ამ სახის შემთხვევებში, გვხვდებით ისეთ მაგალითებსაც, სადაც სომხურთან რაიმე სიახლოვეზე ლაპარაკი ძალიან ძნელია; ასე მაგალითად:

1. სომხ. *ყაქათაყას*-ისა და ბერძნ. *ἐπιρροιας*-ის შესატყვისად ადიშის ხელნაწერი (მთ. 20₈, ასევე VAB-ში), „ეზოჲს მოძღუარს“ ხმარობს. ასევე „ეზოჲს მოძღუარი“ არის ლკ. 8₃-შიც (ასევე V-ში) ბერძნ. *ἐπιρροιας*-ისა (=მეურვე, მმართველი) და სომხ. *հազարաყას*-ის (=ათასისთავი) შესატყვისად. ქართული ტერმინი არ წარმოადგენს არც სომხურ და არც ბერძნულ შესატყვისობათა ზუსტსა და ზედმიწევნით თარგმანს; აქ ჩვენ ძველისძველ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სამყაროს კუთვნილ ტერმინთან უნდა გვქონდეს საქმე. არმაზის ორენოვან ბერძნულ-არამეულ წარწერაშიც, რომელსაც ჩვენი ერის II საუკ. ძველად სთვლიან¹, ბერძნული ტექსტის *ἐπιρροιας*-ს (სტრ. 6) არამეულ ტექსტში შესატყვისება *rb trhs* (სტრ. 4, 5), რაც, როგორც ჩანს, ადგილობრივი ტერმინის „ეზოჲს მოძღუარის“ გადმოცემას წარმოადგენს². ძველი სპარსული *hazarapatiš*, საშ. სპარს. *hazarapat*, სომხ. *հազარაყას*-ის (=ათასის თავი) შესატყვისად ქართული „ეზოჲს მოძღუარის“ ხმარება, გ. წერეთელს იმ საფუძველზე აღმოცენებულად მიაჩნია, რომ ჩვეულებრივ ამ ტერმინით აღინიშნებოდა რჩეული ათასეულის მეთაური, რომელსაც მეფის, სამეფო კარის, „ეზოს“ დაცვა ჰქონდა დაკისრებული³.

2. ადიშის ხელნაწერი — „თაყუანის-ცემა, თაყუანის მცემელი“ (მთ. 4₉, 14₃₃; მკ. 5₆, 15₁₉; ლკ. 4₇, 8; ინ. 4₂₀, 21, 22, 23, 24) (რომელიც, როგორც ცნობილია, აღმოცენებულია „თავ-ყანის-ცემიდან“) თავისი შედგენილობით უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სომხურ *ხრქჩრყაყანხ*-თან (*ხრქჩრ* — მიწა, *ყაყანხ* — კოცნა), ვიდრე ბერძნულ *πρωταρχης*-სთან (=თავყანისცემა), თუმცა აქ სომხურის ტექსტობრივ გავლენაზე, ცხადია, ძნელია ლაპარაკი და ეს ქართული კომპოზიტი თავისთავადაც ალბათ არ არის სომხურის გავლენით აღმოცენებული, VDE-ც აღნიშნულ ადგილებში აგრეთვე „თაყუანის-ცემა, თაყუანის მცემელს“ იძლევა.

¹ გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა. 1942, გვ. 14 და სხვ.

² გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

³ იქვე, გვ. 45.

3. სომხ. *լուսակափող*—ადიშის ხელნაწერში (იხ. 2₁₄) „ქერმის მცვალებელი“-თაა წარმოდგენილი. ბერძნული აქ კომპოზიტს არ ხმარობს: *καρματωτής* (=მეკერმე) და VDE-ც ასევე უზრალოდ „მეკერმეს“ ხმარობს.

4. სომხ. *վրէժխնդրութիւն*-ის (შურისძიება: *վրէժ*—შურისგება, *խնդր*—ძებნა, ძიება) შესატყვისად ადიშის ხელნაწერიც (ლკ. 18_{7,8} 21₂₂) კომპოზიტს იძლევა: „შურისგება“. ბერძნულში ამ ადგილებში *ἐξάνηχται* (შურისძიება) არის. VDE-ც ყველა ამ ადგილას „შურისგებას“ ხმარობს.

5. სომხური *մեծագին* (*մեծ*—დიდი, *գին*—ფასი) ადიშის ხელნაწერში (მთ. 26₉) „დიდძალ“-ითაა წარმოდგენილი, ბერძნული კი მარტივად *πίλ-λან-ს* (=ბერი, მრავალრიცხოვანი) იძლევა. სომხური და ადიშის ხელნაწერი, როგორც ვხედავთ, კომპოზიტს ხმარობს, თუმცა შემადგენლობით ერთმანეთისაგან განსხვავებულს. VABDE-შიც ამ ადგილას „დიდძალი“ იკითხება.

6. ადიშის „ჯვარცმულ“-ს (მკ. 15₃₂; 16₆—ასევე VABDE-შიც) ბერძნულში კომპოზიტი არ შესატყვისება (*σχαρδς, σχαρδα*=ჯვარცმა), სომხურში კი კომპოზიტია—*խաչկետ*.

7. სომხ. *մխակումანի*-ს (*մխ*—ერთი, *կում*—მხარე) შესატყვისად ადიშშიც (მთ. 15₃₀) კომპოზიტს „ქუეწარმძრომელ“-ს იძლევა, თუმცა შემადგენელი ნაწილების მიხედვით სომხურისაგან განსხვავებულს. VA DE-ც ამ ადგილას „ქუწარმძრომელს“ ხმარობს. ბერძნულ ტექსტშია *καλλς* (=მრული, მახინჯი).

8. სომხ. *գիսարակիր*-ს (*գիսար*—მიძიე, ძნელი, *կիր*—ტვირთის ტარება) საკმაოდ ზუსტად წარმოგვიდგენს ადიშის ხელნაწერის (მთ. 23₄; ლკ. 11₄₆) „ძნიალ სატვირთავი“ (ასევე VABDE-შიც). ბერძნულშია *ματ-βάρჯი* (=მიძიე, ძნელად სატარებელი)¹.

¹ ამ ჯგუფში გარჩეული მასალა ძირითადად დალაგებული გვაქვს ქართული ტექსტის კომპოზიტების სახეთა მიხედვით (თვით ცალკეული სახის შიგნით კი ანბანის მიხედვით); როგორც ვხედავთ, გარჩეულ მასალაში ბერი სხვადასხვა სახის კომპოზიტები იჩენს თავს. 1. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ჰქმნის მართულ მსახლერელიანი კომპოზიტები, სადაც მართული მსახლერელის გამოსახატავად განკუთვნილია ნათესაობითი ბრუნვა (იხ. ავ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვეთი I, 1942, გვ. 150). მართული მსახლერელი სიტყვის გვევლება როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში. ასე მაგალითად მხოლოდობით რიცხვშია: ათასის-თავი, ასის თავი, ეზოას მოძღვარი, ვენაქის მოქმედი, ვეცხლის მოყვარე, ზღუს კიდე, თაყუანის-ცემა, თესლის მოფარდული, კაცის მკლელი, კეთილის მყოფელი. კერძის მცუვალებელი, სოფლის აღწერა, ქველის მოქმედი, ქვის სატყორცბელი, ღმრის მსახური, შურისგება, ძვრის მოქმედი...—ასეთივე სახის, მხოლოდ შემბრუნებული რიგის მოვლენასთან გვაქვს საქმე „მამასახლისის“ შემთხვევაში. გვაქვს აგრეთვე მართული მსახლერელი სიტყვის მრავლობით რიცხვში დგომის მაგალითებიც: ძლღელთ მოძღვარი, შესაკრებელთ მთავარი. 2. აქ მოტანილ მასალაში ვხვდებით აგრეთვე ატრიბუტულ მსახლერელიანი კომპოზიტებს. მათში გვაქვს შემთხვევები, როდესაც მსახლერელად ზედსართავი სახელია (დიდ-ძალი, გარე-მყოფი; შემბრუნებული რიგით: გულ-მედგარი, გულ-ფიცხლობა), ან როდესაც მსახლერელად რიცხვითი სახელია (ერთ-თუალი, ერთ-შაფათი, ნეთხედ მთავარი, ოთხ-დღე, პირველ-ჯდომა...). 3. ნათესაობითს გარდა (იხ. ზემოთ მართულ მსახლერელიანი კომპოზიტები) მსახლერელს ვხვდებით აგრეთვე სხვა ბრუნვებში—მაგალითად: მიცემითში (ჯუარცუმა, ჯუარცუმული) მოქმედებითში: (თუალით მიიღ-

* *

ზემოგანხილული ტიპის შემთხვევებს გარდა, როდესაც სომხური ტექსტის კომპოზიტები ადიშის ოთხთავში კომპოზიტებითვეა გადმოცემული, დიდი რაოდენობით ვხვდებით ისეთ ადგილებსაც, როდესაც სომხური კომპოზიტი ადიშის ტექსტში კომპოზიტითვე კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ერთი მარტივი სიტყვით ან აღწერით. ასეა მაგალითად:

1. *სეკსაინამ* = „ნათესავი“ (მკ. 6₄).
2. *სკსარარ* = „ემშაქეული“ (მთ. 15₃₂; მკ. 5₁₆).
3. *სნიკასლიკი* = „განრღუეული“ (მკ. 2₃, 4₉, 10₁; ლკ. 5₁₈, 5₂₄).
 „ = „დავსნილი“ (მთ. 8₆, 9₂, 6).
4. *სკსარასიქე* = „მოღვათა თვსთა“ (ინ. 11₁₆).
5. *სეკსინქადანაი სეკსინქ*—მტრედი, *ქადანაი*—ვაჰარი (= „რომელნი ჰყიდდეს ტრედებსა“).
6. *სეკსინქ* = „მზე“ (მთ. 5₄₅, 17₂, 24₂₉; მკ. 1₃₂; ლკ. 21₂₅, 23₄₈).
7. *სეკსიკი* (*სეკს*—მზე, *იკი*—მოსვლა, ამოსვლა) = „ამოსლვასა ოდენ მზისასა“ (მკ. 16₂).
8. *სეკსინქარარ* (*სეკსინქ*—გაყოფა, *არარ*—ქმნა, ყოფა) = „განყოფილი“ (ლკ. 12₁₄).
9. *სეკსინქი* ადიშში გადმოცემულია (მთ. 26₁₇) „ბალარჯობით“ რაც ლექსიკის სფეროში სომხურ გავლენაზე შეიძლება მიუთითებდეს.
10. *სეკსინქი* = „მრავალი წილი“ (ლკ. 18₃₀).
11. *სეკსინქი* (*სეკს*—კეთილი, კარგი, *ინქი*—ქმნა, კეთება). ადიშში მარტივად „კეთილი“ დგას (ლკ. 23₃₀); ასევეა ბერძნულშიც (*ბეზინქ*.

ელი); ენთარებიოთი, (მცირედ მორწმუნე (ობა), მხოლოდ შობილი, პირველად საჯდომელი, ძნაიდ სატურთავი...), 4. აქ ჩვენ დავასახელებთ აგრეთვე რიგი ფუძე-გაორკეცებულ კომპოზიტები (ინ. ზემოთ: ადრე-ადრე, დიდ-დიდი, პირად-პირადი, ძრე-ძრე). 5. არის აგრეთვე შერწყმული სახელები: სულ-გრძელი, თუალ-ბოროტება და სხვა (ინ. შემდეგი: დედა-მამა, ჯელ-წიფე, ორგული...).

კომპოზიტების ასეთ სახეებს, ტიპებს, ჩვენ ვაცალკევებთ წარმოების პრინციპის მიხედვით. ამ თვალსაზრისით შესატყვის სომხურ კომპოზიტებთან ქართული ტექსტის კომპოზიტების შედარება ბევრს ვერაფერს გვაძლევს, რაკი სომხური კომპოზიტებისათვის დამახასიათებელია წარმოების თავისი საკუთარი, ქართულისაგან განსხვავებული, წესი. სომხური კომპოზიტების უდიდეს ნაწილში კომპოზიტის ორივე შემადგენელი ნაწილი ფუძის სახითაა მოცემული, რომელთაც აერთებს შემაერთებელი ხმოვანი: (*ასთილათაჟაჟოთ, სეკსინქარარ, სეკსინქარარ, სეკსინქარარ, სეკსინქარარ* და სხვა). არის შემთხვევები, როდესაც ქართული და სომხური კომპოზიტები წარმოების მხრივაც ახლო დგანან ერთმანეთთან: ასეა ფუძე-გაორკეცებულ კომპოზიტებში (შდრ. *სეკსინქ*—პირად-პირადი, *სეკსინქარარ*—ძრე-ძრე, *სეკსინქარარ*—დიდ-დიდი, *სეკსინქარარ*—ადრე-ადრე). თუმცა აქაც სომხური ხშირად აჩენს შემაერთებელ ხმოვანს, რათაც იგი ქართულ შესატყვისთან შედარებით განსხვავებულ ელფერს ატარებს.

12. მთ. 5₄₇, 11₁₉; ლქ. 7_{6, 34}, 11_{5, 6, 8}, 15_{6, 29}, 16₉, 21₁₆; ინ. 11₁₁, 15_{13, 14, 15}-ში სომხ. *բարեկամ* (*բարե*—კეთილი, *კარგი*, *կամ*, *ք*—ნება, სურვილი) აღიშნი წარმოდგენილია „ნეგობართ“. ბერძნული ყველა ამ ადგილებში *φίλος*-ს კითხულობს. სომხ. *բարեկամ*-ისა და ბერძნ. *φίλος*-ის შესატყვისად აღიშნი „მოყუარე—დამოყურებას“ იძლევა ლქ. 23₁₂-სა და ინ. 3₂₉-ში.

13. მთ. 11₁₂: სომხ. *բնապատ*-ის (*բուռն*—მუშუტი, ძალადობა, *պատկ*—სჯა, განსჯა) შესატყვისად აღიშნი „იძულება“ დგას.

14. მთ. 14₁₀: *գլխասէլ* = „თავის მოკუთვა“. მკ. 6₂₇-ში კი ამის შესატყვისად აღიშნი იკითხება „მოკუთვა მან თავი“ (ასევეა ტბეთისა და ოპიზის ხელნაწერებშიც). ბერძნული კითხულობს: *ἐνεχθηται* (*ἐνεχεται*) *την κεφαλην αυτου* (ე. ი. დგას *φέρω* = „მოტანა“ —ზმნის inf. Pass.). ბერძნულის შესაბამისად ვულგატაში, ჯრუჭისა, და პარხლის ხელნაწერებში იკითხება: „უბრძანა მოღებად თავი მისი“.

15. *Իխարար* = „ეშმაკეული“ (მთ. 8₁₆; მკ. 1₃₂, 5₁₈; ლქ. 8₃₆).

16. *Իռնապար*¹ = „მეკარე“ (ინ. 18_{16, 17}).

17. ინ. 11₄₄: სომხ. *Կրկապխի* = აღიშნის „კრული... რეზითა“-ს. აღიშნის „რეზი“ ლექსიკის სფეროში, ცხადია, სომხურთან სიახლოვის მნიშვნელოვანი ფაქტია (იხ. ზემოთ, „საერთო ხმარების ლექსიკაში“), მაგრამ კომპოზიტობა-არაკომპოზიტობის თვალსაზრისით აქაც იმავე ტიპის—სომხური კომპოზიტის აღიშნი არაკომპოზიტით წარმოდგენის შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

18. ლქ. 17₂: *Կրկնաբար* (*Կրկան*—წისქვილი, *բար*—ქვა) = „ქვაა ფქვისაჲ“.

19. მთ. 17₂₄-ში ბერძნული ტექსტის *καὶ ἐνδραχμα* აღიშნი „დიდრაგმა“-თივე გადმოცემული, სომხური კი საკუთარ კომპოზიტს იძლევა:—*Կրկբար-ման*.

20. ინ. 19₁₇: *խաչափայտ* (*խաչ*—ჯვარი, *փայտ*—ხე, ძელი) = „ჯუჰარი“.

21. მთ. 10₁₆: *խորագէտ* (*խոր*—ღრმა, *գէտ*—მცოდნე, გონიერი) = „მეცნიერი“.

22. მთ. 12₁₁: *խորխորատ* (გაორკეცებულია *խոր*—ღრმა) = „ენარცუ“.

23. მთ. 18_{28, 29, 31, 33}, 24₃₉: *ծառայակից* = „მოყუასი“, გარდა მთ. 24₃₉-ისა სადაცაა „მონა მოყუასი“.

24. ლქ. 22₆₆: *ծրակայտ* (*ծիր*—მოხუცი, *կայտ*—კრებული, კრება) = „მოხუცებულნი“.

25. ინ. 21₁: *ծովկը* (*ծով*—ზღვა, *կը*—კიდე) = „ზღუა“.

26. სომხ. *Կերակեր, կերակուր* აღიშნი გადმოცემულია: „გამოზრდა—საზრდელით“ (მთ. 3₄, 6₂₅, 10₁₀, 14₁₅, 25₂₇; ლქ. 12₂₃ ინ. 4₈), „უმაღლი—უმაღლი—საქმელით“ (მთ. 15₂₇; მკ. 1₆; ლქ. 24₄₁; ინ. 4_{32, 34}, 6_{27, 56}), „როკიკით“ (მთ. 24₄₅), ლქ. 12₄₂-ში კი სომხ. *Կերակուր*-ს აღიშნი შეესატყვისება: „იფქლი (საწყაული)“.

¹ *Պարն*—აფქისია სომხურისათვის, მაგრამ წარმომავლობით იგი ცალკე სიტყვაა—ასე რომ შეიძლება მოტანილი სახით ეს სიტყვა კომპოზიტად ჩათვალოთ.

49. ლკ. 15¹⁷ *სიქამაზ* (*სიქ*—სიმშილი, *მაზ*—სიკვდილი) = „სიყმილი“.

50. მთ. 24¹⁹; ლკ. 21²³; *სანაოლ* (*საქინ*—ძუძუ, *საქ*—მიცემა)—ადიშში გადმოცემულია: „მაწონებელი“ (მთ. 24¹⁹); „რომელნი აწონებდენ“ ლკ. 21²³).

51. მთ. 10²⁵; ლკ. 6⁴⁰, 7⁴⁰, 8²⁴-ში სომხ. *ქარყაყას* ადიშში წარმოდგენილია „მოძღუარით“.

52. ინ. 11⁴⁴: *ქარჯამსკაყას* (= ზეწრით შემოხვეული: *ქარჯამსკ*—ზეწარი, პირსახოცი, *ყასახ*—ხვევა, ზღუდვა). ადიშში აქ კითხულობს: „პირი მისი დახუფელ იყო სუდრითა“.

53. ინ. 7⁹: *თაყაღარანარ* (*თაყაქარ*, *ნარქანსი*) = „ტალავრობა“ (VDE-შია „კარგობა“). აქაც ლექსიკის თვალსაზრისით ჩანს ადიშის სიხლოვეს სომხურთან. იმ თვალსაზრისით კი, რომელიც ამჟამად ჩვენ გვინტერესებს, ე. ი. თუ როგორაა სომხური კომპოზიტი ადიშის ტექსტში წარმოდგენილი, აქაც ჩვენ იმავე ტიპის ფაქტთან გვაქვს საქმე, როდესაც სომხური კომპოზიტი ადიშის ტექსტში არაკომპოზიტით, ერადი მარტივი სიტყვით არის წარმოდგენილი.

54. ინ. 2^{8,9}: *თაძარაყას* (*თაძარ*—ტაძარი, *ყას*—თავი, შე-თაური, მთავარი). ადიშში იკითხება: „მთავარმან მან მის ტაძრისამან“ (ინ. 2⁹), და „მთავარსა ამის ტაძრისასა“ (ინ. 2⁸). ბერძნულშია *ἀρχιεπίσκοπος* (*ἀρχι*—სავარძელი, მაგიდასთან დასადგმელი; *ἐπί*—*ἐπίσκοπος*—სასადილო მაგიდა), VDE აქ „პურის უფალს“ ხმარობს. ამ შემთხვევაში, ადიშში, როგორც ჩანს, გარკვეულ სიხლოვეს ამქლავნებს სომხურთან. ერთხელ კიდევ ინ. 2⁹-ში სომხ. *თაძარაყას*-ის შესატყვისად ადიშში უბრალოდ „მთავარი“-ა ნახმარი (VDE-შია „პურის უფალი“, ბერძნულში—*ἀρχιεπίσκοπος*).

55. ლკ. 9¹²: *თარაძამსი* = „მიდრეკა“.

56. მთ. 5⁴¹: *თარაყარანსი* = „წარძღუანება“.

57. ლკ. 12⁴² 16²: *თახსილქინ* (*თიხ*—სახლი, *სიხ*—ყურება) = „სამ-ნომ, მნე“.

58. მთ. 11³⁰: *ქიქიქი* (*ქიქი*—პატარა, მცირე, *იქი*—სული) = „მცირე“.

59. ლკ. 6⁴; ინ. 7⁴⁵-ში სომხ. *ქარანაყას* (*ქარანაყ*—მღვდელი, *ყას*—თავი, მთავარი) ადიშში უბრალოდ „მღვდელი“-თაა გადმოცემული.

აქ ჩამოთვლილ შემთხვევათაგან, ე. ი. იმ ტიპის შემთხვევებიდან, როდესაც სომხური ტექსტის კომპოზიტები ადიშში არაკომპოზიტებით არის წარმოდგენილი, მხოლოდ თითო-ორილას მიმართ შეიძლება ლაპარაკი სომხური გავლენის შესახებ (არა კომპოზიტობის თვალსაზრისით, არამედ უმეტეს წილად ლექსიკის თვალსაზრისით). ასე მაგალითად: ინ. 2^{8,9}-ში სომხური ტექსტის *თაძარაყას* ადიშში „ტაძრის მთავრის“ სახით არის წარმოდგენილი, თუმცა არაკომპოზიტის ფორმით, მაშინ როდესაც ბერძნული ტექსტი *ἀρχιεπίσκοπος*-ს იძლევა და ქართული ფულგატა, ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერები „პურის უფალს“ ხმარობენ (იხ. ზემოთ № 54). ლექსიკის თვალსაზრისით სომხურის მნიშვნელოვანი გავლენა იჩენს თავს: *ჯიქიქიყას*-ის „ჩორორდით“ წარმოდგენაში (№ 45), *რაყარქინ*-ის „ბალარჯობით“ წარმოდგენაში (№ 9), *სიქიყას*-ის „კრული... რეხითა“-ს სახით გადმოცემაში (№ 17), *თაყაქარან*-ის

„ტალავრობის“ სახით წარმოდგენაში (№ 53) და სხვა, თუმცა აქ სპეციფიკურად კომპოზიციის გადმოცემის თვალსაზრისით ქართული ფორმები მაინცადამაინც სომხურ გავლენას ბევრით არაფრით ამჟღავნებენ (იძლევიან რა ჩვეულებრივი სომხური კომპოზიციის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილის ფონეტიკურ შესატყვისებს).

ცალკე შეიძლება გამოიყოს ერთი საინტერესო შემთხვევა, რომელიც, შესაძლებელია, სომხური ტექსტის გავლენაზე მიგვითითებდეს: მთ. 5₁₈-სა და ლკ. 16₁₇-ში ბერძნულ ტექსტში გვხვდება სიტყვა *ჰეპაღა*; ქართულ ვულგატაში, ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებში (მთ. 5₁₈; ლკ. 16₁₇), ტბეთის ხელნაწერში (მთ. 5₁₈) ამის შესაბამისად „რქა“ იხმარება, ადიში კი ორივეგან „სასწაულს“ იძლევა¹. ადიშის ასეთი თავისებური წაკითხვა, როგორც ჩანს, მომდინარეობს სომხური ტექსტიდან, სადაც ამ ადგილას *საჰაჰაჰა*—დგას. თავისთავად ეს სიტყვა „რქა“-საც ნიშნავს, მაგრამ ქართველ მთარგმნელს, როგორც ჩანს, მართებულად ვერ გაუგია ის, უთარგმნია ამ კომპოზიციის პირველი შემადგენელი ნაწილი, მისთვის ცნობილი ნაწილი (*საჰაჰა*—სასწაული), მეორე ნაწილისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია. ეს ვარაუდი მით უფრო მისაღები მოჩანს იმის გამო, რომ ადიშში არა ერთს ვხვდებით ასეთი სახის შემთხვევას: ასე მაგალითად: *საჰაჰაჰაჰაჰა* გადმოცემულია „ჩოროროდით“, *საჰაჰაჰაჰაჰა* „ბალარჯობით“, *საჰაჰაჰაჰაჰა* „ტალავრობით“ და სხვა. ასე რომ ადიშის „სასწაულში“, ვფიქრობთ, არმენიზმთან გვაქვს საქმე და არა ბერძნიზმთან როგორც პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს².

* * *

საკვიროა აღინიშნოს, რომ ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ადიშის ტექსტი კომპოზიციის ხმარობს, სომხური ტექსტის შესატყვის ადგილას კი არაკომპოზიტია. ამ სახის შემთხვევებიც არა ერთი მოიპოვება—ასე მაგალითად:

1. გულის წყრომა = *საჰაჰაჰაჰა* (მკ. 10₄₁; ლკ. 4₂₈).
2. ა) გულის გმა = *საჰაჰა* (მკ. 12₃₃...)
- ბ) უგულის გმა = *საჰაჰა* (მთ. 15₁₆ მკ. 7₁₉).
3. დედაკაცი = *საჰა* (...მკ. 5₂₅; 33; 7₂₅; 26; 10₁₁; 12₂₂; 14₃; ლკ. 7₃₇; 39; 44; 50).
4. დედამთილი = *საჰაჰა* (ლკ. 12₅₃).
5. დღესასწაული = *საჰა* (ლკ. 2₄₁; 42).
6. ზეთის ხილი = *საჰაჰა* (მკ. 13₃; 14₂₆; ლკ. 22₃₉).
7. თავიკიდე = *საჰაჰაჰა* (მთ. 21₄₂).
8. ა) მკ. 13₁₂ ადიშის „მამა-დედა“ = *საჰა* (მამა, მშობელი“, ბ) ლკ. 8₅₅, 18₂₉, 21₁₆-ში კი = *საჰა*.

¹ ს. ყაუხჩიშვილი, „ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები“ (ენიშკის მთაბე, XIV გვ. 115—116).

² დასახ. ნაშრ., გვ. 115—116.

9. მამაკაცი = *აკჲ* (მკ. 10₁₂; ლკ. 1₃₄).
10. მუცელ-ქმნული = *კჲანსჲ* (მკ. 13₁₇; ლკ. 21₂₃).
11. ა) ნელსაცხებელი = *სილსჲ* (მკ. 16₁); ბ) ნელსაცხებელი = *სლ* (ლკ-7_{37, 46}).
12. ნიავქარი = *ძრქსჲ* (მკ. 4₃₇).
13. ორგული, ორგულება = *სიგბასი* (მკ. 7₆; ლკ. 12₁).
14. პურის მტე = *ყასყას* (მკ. 6₄₀; ლკ. 9₁₄).
15. ქველის მოქმედი = *ყარქ* (მკ. 10_{17, 18}).
16. ქუყყანის მოქმედი = *ძასჲ* (ლკ. 20₁₄).
17. წინადაცვეთა = *სქქასსჲ* (ლკ. 1₃₉).
18. ა) ჯელმწიფე = *სარასჲ* (მკ. 14₇);
ბ) „ვერ ველს—იწიფებდა“ = *ძილ სარსჲ* (მკ. 6₁₉);
გ) ჯელმწიფება = *სქქასსჲ* (მკ. 10₄₂, 11₂₉, 13₃₄).
19. ჯუარ-ცუმა = *ს სასჲ რანსჲ* (მკ. 15_{20, 25...}).

როგორც ვხედავთ, კომპოზიტების სფეროში ჩვენს წინაშე ერთგვარი ვითარება არ არის: სომხური ტექსტის კომპოზიტები ადიშის ტექსტში რიგ შემთხვევებში წარმოდგენილია კომპოზიტების სახით, რიგ შემთხვევებში კი არაკომპოზიტებით—ერთი მარტივი სიტყვით ან აღწერით. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადიშის ტექსტი იძლევა კომპოზიტს, სომხური ოთხთავის შესატყვისი ადგილი კი არაკომპოზიტს აჩენს. როგორც დავინახეთ, შემთხვევათა უდიდეს ნაწილში ბერძნულის ან სომხურის რაიმე სპეციფიკური გავლენა თავს არ იჩენს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ადიშში თითქოს მეტ სიახლოვეს იჩენს ბერძნულთან, ვიდრე სომხურთან. ბოლოს, ჩანს ისეთი შემთხვევებიც, სადაც სომხურთან სიახლოვე იჩენს თავს (იხ. ზემოთ, განსაკუთრებით იმ ტიპის შემთხვევათა ჯგუფში, სადაც სომხური ტექსტის კომპოზიტები ადიშში კომპოზიტებითვე არიან წარმოდგენილი, ბერძნული ტექსტი ამ ადგილებში არაკომპოზიტებს იძლევა).

მ. კახაძე

ფილოლოგიური შენიშვნები

I. ბერძნულიდან ნათარგმნ ქველთა ერთ-ერთი შენიშვნალოვის შესახებ¹

მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრების შედეგად ქართველმა ხალხმა შექმნა დიდი ლიტერატურა, რომელშიაც უკუფენილია ქართული ენის უმდიდრესი ენობრივი საუნჯე, ლექსიკა. ლექსიკაში საუკუნეთა სიმრავლეს ბევრი მარგალიტი (სიტყვა) დაუფარავს მტვრით მთლიანად ან ნაწილობრივ; ესე იგი ძველი ან საშუალო ქართულის ლექსიკიდან ჩვენ მრავალი სიტყვის მნიშვნელობა ან სრულებით არ ვიცით, ან დაახლოვებითა ვიცით. რა ღონე უნდა ვიხმართ ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად? ჩვენი აზრით, ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა რაც შეიძლება მეტი ნათარგმნი ძეგლების მეცნიერული პუბლიკაცია. ნათარგმნ თხზულებათა პარალელური ლექსიკონები საიმედო გასაღებს წარმოადგენენ ქართული ორიგინალური ძეგლებისათვის, მათი ლექსიკის გაგებისათვის; აქედან ცხადია: თუ სიტყვები მხოლოდ ორიგინალურ თხზულებებშია დამოწმებული და დღეს არც ცოცხალია (ე. ი. დიალექტებში არ ჩანს), მათი მნიშვნელობის დაზუსტება შეუძლებელია, და პირიქით: ყველა მნიშვნელობა და ნიუანსი დადგინდება იმ სიტყვებისა, რომლებიც ორიგინალურსა და ნათარგმნ ძეგლებშია მოცემული.

ზემოთქმულის დასადასტურებლად ჩვენს საისტორიო მწერლობიდან მოვიყვანთ მხოლოდ ოთხ მაგალითს, რომელთაგან სამი დამოწმებულია ნათარგმნ თხზულებებში და ერთი არა.

I. დამოწმებული: 1. დაზულვა, 2. დასო, 3. დაგება.

1. დაზულვა: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იქ, სადაც საქართველოს უბედობაზე ლაპარაკობს, მოიხსენიებს იმ სტიქიურ უბედურებას, რომელიც დაახლოებით 1077 წელს ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს მიწისძვრის სახით. თითქოს «ცოდვათა ჩუენათუს... მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესეოდენ სასტიკებითა, ვიდრემდის მთანი მალაღნი და კლდენი მყარნი სახედ მტურისა დაიგაღნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს და სახლნი დაინთქნეს, და დაზულეს, და იქმნნეს საფლავ მას შინა მკუიდრთა, რომელთა თანა თმოგვიცა დაიქცა, და იპყრნა ქუეშე კახაბერის ძე ნიანია ცოლითურთ»².

¹ რასაც ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლების შესახებ ვამბობთ, იგივე ითქმის სირიულიდან, არაბულიდან და სომხურიდან გადმონათარგმნილ თხზულებებზე.

² ანასეული ქართლის ცხოვრება სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942 წ., გვ. 204.



საბა: დაზულენ ჩამოინგრენ (2 პეტრე, 3, 11) A¹.

ჩუბ. დაზღვევა, დაზვლევა (ვიზღვები, ვიმზლევი), ზ. მ. დავიქცევი, ჩამოვიქცევი, ჩამოვსწვები, დავინგრევი, *обрушаться, разрушиться*, 2 პეტ. 3—10². ეს განმარტებები, ცხადია, საკმაო არ იქნებოდა ზემოდასახელებული სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად თუ არ მოვიშველიებდით ბერძნულიდან ნათარგმნ ძველს, სადაც შემდეგი იკითხება:

2 პეტრე, 3, 11: *Τοῦτων οὗν πάλυται λαιμαίαι, πταταις δὲν ἰπάρχει: ἰμάξ δὲν ἄρῖαι ἀνατρεφῖαις καὶ εὐσεβῖαις*³...

რატამს ესე ყოველნი ესრეთ დაზულებოდენ; რაბამთა ჯერ არს თქუშნი ყოფა წმიდითა ქცევითა და კეთილითა მსახურებითა⁴...

მოყვანილ პარალელურ ციტაციიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული „დაზულებოდენ“-ის ბადალი სიტყვა ბერძნულში არის *λαιμαίαι*, ზმნიდან *საბა* = გახსნას, გაშვებას, გათავისუფლებას, გადაწყვეტას, დასრულებას, დანგრევას, განადგურებას. და მას (ე. ი. ამ სიტყვას) არაფერი აქვს საერთო ამავე სახის სიტყვა „ზუელვა“-სთან, რომელიც საბას მიხედვით «არს მოკიცხართავან სხვს მსგავსად საუბარი და სხუასავით სღვა და სიცილი და მისთანანი, ხოლო ფრინველნიცა არიან მზუელავ, ვითარ ზორაყი, ჩხიკვ და მისთანანი». (საბა s. v. ზუელვა)⁵.

2. დახო: თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს, ბასილი ეზოს-მოძღვარს, ეს სიტყვა ორჯერ აქვს ნახმარი თავის თხზულებაში: ა) მერმე დასოს შემოდგის და მუნ იხარებდიან ვიდრემდის თოელმან არა დაამძიმის კარავი 24, 39; ბ) «და შემდგომად მცირედთა დღეთა ენებათ ჩუეულებისაებრ, რათა დასოს განვიდენა»⁶ 33, 1.

საბა: დასო მღნარისა და ჯშირისა რომელთაცა ფიჩხთა სახელი არს (9, 18 ესაია).

ჩუბ. დასო, ს. ფიჩხი, *куст терновый, тернъ*. ბუნ. ლ. საღვთო წერილში. სიხშო მღნარისა, ფიჩხნარისა, *чаша дуброва*, ისაი. 9—18.

საბას განმარტება მიანიცადაშინც ნათელი არაა. ჩუბინაშვილი კი ამ სიტყვის ორ მნიშვნელობას იძლევა: 1. ფიჩხი და 2. სიხშო მღნარისა, ფიჩხნარისა (ალბათ ფიჭვნარისა!). ვინაიდან დასახელებულ ავტორებთან ამ სიტყვის ზუსტი განმარტება მოცემული არაა, ამიტომ მივმართოთ ნათარგმნ ძველს:

¹ სულხან საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკ. შანიძის რედაქციით, 1928 წ.

² დავით ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, СПб 1887 წ.

³ *Ἡ καινή διαθήκη*, 1893.

⁴ ახალი აღთქმა 1879 წ.

⁵ საბა, მართალია, წყაროს არ დასახელებს ამ სიტყვის განმარტებისას, მაგრამ მას მხარს უჭერს ბერძნულიდან ნათარგმნი ძველი ბასილი დიდის «ექუსთა დღეთაჲ», სადაც ზუელვა ნახმარია ბერძნული სიტყვისა ბადლად *καταμαίαι*, რაც «ზმით მიმბაძველობას» ნიშნავს ქართულად (იხ. აღნიშნული ძველის ჩვენი გამოცემა სერიაში «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1946, ნაკ. II (25)).

⁶ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი. გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, 1944 წ.

ესაია 9, 18 *και καυήθησαν εν τω ενδεκάθεσσι τον νερυμιν*¹...

ფულგ.: და აღეტყინოს დასოთა შორის მალნარისათა²...

როგორც ამ პარალელურ ტექსტიდან ირკვევა, ქართველ მთარგმნელს ბერძნულ *δεκάθεσι*-სათვის (სიტყვიდან *δεκά*, τή) შესიტყვისი ვერ უპოვია და ქართულში შემოუტანია ბერძნული ფორმა³, რაც ქართულად ნიშნავს „ტვერს, უღრან ტყეს, დაბურულ ტყეს“, აწინდელ „აგარაკს“.

3. დაგება: გიორგი მთაწმიდელი „იოვანესა და ეფთუმეს ცხოვრებაში“ ამბობს: „უკუეთუ კულა გულ-ფიცხელ იპოვნიან და მასვე ზედა დაადგრიან, განწყესა, რომელ ვიდრე დაგებადმდე ტრაპეზსა ვერ შევიდენ და პურსა ზოლო და წყალსა ივმარებდენ. 35, 6⁴“.

საბა: დაგება შერიგება (დაწყობა C).

ჩუბ. დაგება, ზხ. *постланье, настилка; примирение*, (ვა), ზ. მ. გაეშლი, დაეჭვენ საგებსა ან სუფრას; დავაზავებ, მოვარიგებ; etc. ამ განმარტებათა მიხედვით უდავოა, რომ „დაგება“-ს ჰქონია ორი მნიშვნელობა: 1. გაშლა, დაფენა და 2. შერიგება, დაზავება.

ახლა ვნახოთ, რა მდგომარეობაა ნათარგმნ ძეგლებში, ისინი ასეთ ახსნას მხარს უჭერენ თუ არა?

1. მთ. 5, 24: *ἀφεξέκει τὸ βῆρον σου ἔμπροσθεν τῆς ἰσχυροῦς σου, καὶ ἰσχυρὸς σου, καὶ ἰσχυρὸς σου, καὶ ἰσχυρὸς σου, καὶ ἰσχυρὸς σου, καὶ ἰσχυρὸς σου.*

დაუტყვევ მუნ შესაწირავი იგი შენი წინაშე საკუთხეველსა შენსა და მიველი პირველად და დაეგე ძმისა შენსა და მაშინ მოვედ და [შეწირე] მსხუერპლი იგი შენი (C)⁵.

¹ Τὴ βίβλιον τῆς παλαιᾶς τε καὶ καινῆς διαθήκης. ἐν Μοσχῶ, 1821.

² ბიბლია II ტ. ე. წ. ფულგატა 1884 წ. გამოცემა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ოსკურ ბიბლიაში ამ ადგილას დასო აღარ იკითხება: «და აღატყებოდის მალნართა შინა ტყესა» (წიგნი ძუელისა აღთქმისანი ტ. I, ნაკვ. 2. აკაკი შანიძის გამოცემა, 1948 წ.). ტექსტთა შეპირისპირებით ირკვევა: Vulg. დასო=ოშკ. მალნარ-ს (*δεκά*, τή) და მალნარი—ტყე-ს (*νερυμίν*, ἔ). ოღონდ საკითხავია: *δεκά* რატომ გადმოსცა ფულგატას მთარგმნელმა დასოთ? აქ ორში ერთია: 1. *δεκά* რომ გადმოეცა დასო-თ, როგორც მოსალოდნელი იყო, მაშინ ის აღირედა „დას“-ში, რაც „გუნდს“, „ჯგუფს“ ნიშნავს. 2. ბოლომთავანი ὲ გაგებულნი იქნა როგორც ὁ—მიკრონი. ასეთივე ამბავია *Νύσση*-ს ნოსელი-თ გადმოცემა, რაც არც ერთ ენაში არაა ამ სახით გადმოცემული.

³ ასეთი მოვლენები ჩვენს ნათარგმნ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება; ასე მაგალითად, ეგრემ მცირე იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ თარგმნისას შენიშნავს: «ვინაფთგან ქართულად არ დაეტეოდა, შემინდევით: სრულიად დაგდებასა სიტყუსასა ბერძულადვე დაწერა და ვერა და ვერა გირჩიე, რამეთუ ბერძულად მსგავს არიან სიტყუანი ესე „აგენნიტონ“ და „აგენიტონ“ და ორითა წარითა დაწერილი უშობელსა იტყუს, ხოლო ერთითა წარითა დაწერილი—აუგებელსა» (თ. ყორღანიძე, ქრონიკები I, 219).

⁴ „ცხოვრება იოვანესი და ეფთუმისი“. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანესა და ეფთუმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, 1946 წ. ამ ძეგლიდან ციტატას ვიძლევი გვერდებისა და სტრიქონების მიხედვით, რაც უფრო მარჯვედ მიგვაჩნია პარაგრაფებისა და მათში სტრიქონსათვალავთან შედარებით.

⁵ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა აკაკი შანიძემ, 1945 წ.

2. Τῆ ἑαυτῶν μασιτεῖα βιαλλακτικῆς γίνεσθαι.

შუამდგომელობითა თჳსითა დამგებელ იქმნების („ექუსთა დღეთაჲ“ 47, 15).

3. Πρὶν τὰ πρὸς ἀλλήλους βιασθῆναι.

უწინარეს ურთიერთარს დაგებისა (იქვე, 29, 29).

ბერძნულ-ქართულ ტექსტთა შეპირისპირებით ირკვევა „დაგებას“ ორი მნიშვნელობა: 1. შერიგება, მორიგება, შუამავლობა (βιαλλασθαι), შემარიგებელი, მომარიგებელი, შუამავალი (βιαλλακτικῆς, ὁς, ἡ) და 2. უთანხმოება, წინააღმდეგობა (βιασθῆναι, ზმნიდან βιασθηῖς). სხვათაშორის, ეს უკანასკნელი მნიშვნელობა „ექუსთა დღეთას“ გამოქვეყნებამდე არსებულ ლექსიკონებში ცნობილი არ ყოფილა.

II. დაუმოწმებელი: აჯოჯვა.

გიორგი მთაწმიდელი ხაზგასმით აღნიშნავს ექვთიმეს დემოკრატიულობას; მიუხედავად მაღალი ადმინისტრაციული პოსტისა, იგი ყოველგვარ სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობდა და როგორც უბრალო „ძმა“ ისე იქცეოდაო „და მისთა შრომათა და ღუაწლთა ზედა, ოდესცა რაჲმე საეროჲ საქმე არნ მონასტრისაჲ, თჳნიერ უცალოებისა თანავე გავიდის: გინა თუ ნავისა გამოზიდვასა, გინა თუ ნავი მოვიდის ხუარბლითა, გინა თუ ვენაჯთა ასარგასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულებასა“ (ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳმესი 41, 36).

1. საბა: აჯოჯვა ვენაჯის შტოს მოტება.

2. ჩუბ.: აჯოჯვა ვენახისა, წათა ცხოვრ. 423, (საბინინ), ставить таркальник под лозу.

3. ივ. ჯავახიშვილი: „გიორგი მთაწმინდელის თხზულებითგან და საბა ორბელიანის ლექსიკონში მოყვანილი განმარტებითგან, — შენიშნავს განსვენებული მკვლეარი, — ირკვევა, ძველად ვახის შტოების მოტება-ჩამოკლას გაფურჩქვნა არც პრქმევია, არამედ თავისი საკუთარი სახელი ჭკონია კიდევაც: ამას თურმე აჯოჯვა, ანუ აჯოჯვა ეწოდებოდა¹“.

4. Таркал, таркальник ს. მ. ჭიგო, სარი, ხარდანი; ставить т-лы, т-ик აჯოჯვა, აკვრა, მოზარდნვა, მოსარვა (ვენახისა)².

ამ განმარტებიდან ირკვევა: 1. ჩუბინაშვილის განმარტება დამყარებულია ზემომოყვანილი ტექსტის მცდარ გაგებაზე; მას აჯოჯვა გაიგივებული აქვს „ასარვასთან“, სინამდვილეში კი ეს ორ სხვადასხვა საქმიანობად ჩანს ტექსტში. 2. რუსულ-ქართული ლექსიკონის ავტორებს საბასეული და ჩუბინაშვილისეული გაგებანი ერთად შეურწყამთ, და ალბათ ინტუიციით, მესამე გაგებაც მოუციათ „აკვრა“. საბასეული განმარტება, რომ „აჯოჯვა ვენაჯის შტოს მოტებას“ ნიშნავდეს, ეგების სწორი იყოს, მაგრამ „აჯოჯვის“ ჩათვლა „ვაფურჩქვნის“ ბადალ სიტყვად ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრებების გამო:

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია II, 362.

² რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1937 წ.

1. კონტექსტის მიხედვით აჯოჯვა ისეთი პროცედურაა მიყენახეობაში, რომელიც ასარგას მისდევს და ახალ ასარულ (ქვ. იმერ. გაშენებულ) ვაზს არ ფურჩქნიან, მაშინ მას ჩამოსატეხი ფოთლები და ყლორტები არ გააჩნია. 2. პრევერბი ა (აღ) ქართულ ენაში ვარაუდობს მოქმედებას ქვემოდან ზემოთ და არა პირიქით (ა—ჯოჯვა) და 3. არის ზოგიერთი დიალექტური მონაცემი, რომელიც აჯოჯვაში აკვრას ან ახვევას გვაგარაულებინებს¹.

როგორც მოსალოდნელიც იყო ტერმინ „აჯოჯვას“ ზუსტი მნიშვნელობის დადგენა ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ იგი ნათარგმნ ლიტერატურაში ჯერჯერობით დამოწმებული არაა, და თითქოს, არც დიალექტებში უნდა იყოს შემონახული².

II. უნიკუმი იოცთაშული ნათარგმნი კავლის გამოცემისათვის

უდიდესი პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ ჩვენი ძველი მწერლები მთარგმნელობას. «მეო—ამბობს ეფრემ მცირე, — ძალისაებრ ვიღუწიდი სიმაართლესა და შედარებასა ბერძულისასა: მრავალთა და მეცნიერთა მოძღუართა ბერძენთა და ქართველთა გამოკითხვითაო»³. ისინი ლიტერატურულ მოღვაწეობას სასხვათაშორისო საქმედ კი არ თვლიდნენ, არამედ პირიქით, [ივ. ჯავახიშვილის] სამართლიანი თქმისა არ იყოს, «წიგნის თარგმნას და თარგმანებას, ათონელ ბერთა შეხედულებით, უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მონასტრის გამგეობას და მამასახლისობას, იმიტომ რომ მაშინ მთარგმნელობა უფრო საპირო იყო სამშობლოსათვის»⁴. ეკლესიის პრაქტიკული სამსახური ყოველ მომავლადვე შეედლო, მაგრამ ქვეყნის კულტურისადმი სამსახური მხოლოდ ისეთს რჩეულებს, როგორც იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე და სხვები, რომლებმაც უდიდესი სამსახური გაუწიეს საქართველოს თავიანთი დაუცხრომელი რედაქტორული თუ მთარგმნელობითი მოღვაწეობით. ამ სამი დიდი მწერლის ცხოვრებიდან ვიცით, რომ თუ კი რომელიმე ქართველს შესაფერისს ნიქსა და ერუდიციას შენიშნავდნენ თანამემამულენი, მას აუცილებლად ხელიდან საცეცხლურს გამოართმევდნენ და კა-

¹ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქვემო იმერულის თემები: შემო-ჯონ-ჯვა=სხეულის რომელიმე ნაწილზე უშინდ შემოხვევა ბევრი ქსოვილისა («შამეიჯონჯა ტანზე კაბები»). დაჯონ-ჯვა=თავზე ან ტანზე ძონძების ან საბნების დაყრა («შეაცივა და დეიჯონჯა საბნები»). აჯონჯვა=ახვევა, აკრა («ბამბით და ჭინჭებით ოუჯონჯავს ყურები»). ჩაჯონჯვა=უწყრივად ჩაყრა რისიმე («ფურცლები ჩაჯონჯილა თხრილში») etc.

² «იოვანესა და ეფთამეს ცხოვრების» გამოცემეშლს ა. შანიძეს ეს სიტყვა ლექსიკონში შეტანილი აქვს განუპარტებლად ალბათ იმ მიზეზის გამო, რომ ლიტერატურაში არსებული განპარტებანი მას დამაკმაყოფილებლად არ მიუჩნევია (იხ. ძველის ლექსიკონი). ეგვე ტერმინი მოხსენებული აქვს ლ. დეჟავას ყოველგვარი განპარტების გარეშე წერილში «მევენახეობის ტერმინები ჭიათურაში» (სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი III, გვ. 76).

³ ბლეკ, ეფრემ მცირის ლიტერატურულ მოღვაწეობიდან (იხ. მიომხილველი I, 165).

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, გვ. 177, 1948 წ.



ლამს ააღებინებდნენ. ისეთი დიდი იყო პასუხისმგებლობის გრძნობა ლიტერატურულ საქმიანობისადმი, რომ არცაა სავარაუდებელი არსებობა „შემთხვევით“ მწერლებისა; ასეთი მღარე ხარისხივანი მოღვაწენი უსაქმოდ მაინც არ რჩებოდნენ: ისინი ახლად ნათარგმნ წიგნთა პოპულარიზაციაში იდებდნენ წილს. ყველა ამ მომენტის გათვალისწინება ავალებს ნათარგმნ ძეგლთა გამომცემელს მეტი ს მოწიწებითა და ნდობით მოეპყროს ტექსტს, და უნებლიე შეცდომების გარდა, თავი შეიკავოს ყოველგვარ შესწორებებისგან და დედნის მონაცემთა საპირისპირო საკუთარ სავარაუდო წაკითხვათა მოწოდებისაგან, რაც ძალიან ხშირად იმდენად შეუსაბამო და უხერხულია, რომ ტექსტის გაფუჭებას უფრო ჰკავს, ვიდრე გაკეთება-გასწორებას!

როდესაც ნათარგმნი ძეგლი მოცემულია რამდენიმე სხვადასხვა დედნიდან მომდინარე ნუსხაში¹, მაშინ ტექსტის დადგენა მათი ბერძნულ ორიგინალთან შედარების შემწეობით ხდება. ამ შემთხვევაში დასადგენ ტექსტში 4 სახის სამუშაო კეთდება: 1. სწორდება უნებლიე შეცდომები გადამწერლისა, 2. სწორდება უნემში ორთოგრაფიული შეცდომა, 3. სწორდება ფაქტიური შეცდომა და 4. ნაკლები ტექსტი ერთი ნუსხისა იყება მეორე ნუსხის მიხედვით. ყველა ამ შესწორებისათვის ამოსავალი უნდა იყოს ბერძნული დედანი. საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ, როგორც გამოცემული ძეგლი, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲ“:

- 1. 5, 16 ამრვასა A, ძრვასა B (= *αίνησιν*),
- 16, 10 უმსგაეი A, უმსგაესი B (= *ἀνεπίσει*),
- 89, 27 უფკრულთა A, უფსკრულთა B (= *ἐν πέλαις*),
- 98, 27 მფინველთა A, მფრინველთა B (*ὄρνιθων*) etc.

მართალია, ძირითად ნუსხად გამოცემისას ალებული იყო A, მაგრამ ვინაიდან მასში აღმოჩნდა მრავალი უნებლიე შეცდომა, ამიტომ მათ გასასწორებლად გამოყენებულ იქნა B—ნუსხა, რომელიც სხვა დედნიდანაა გადმოწერილი.

- 3². 4, 15 მოძრავობისა მათისა სი გ- ლ უეე (A: სიმრგლუე) τὸ τῆ; *αὐτῆσδεσ ἀπὸ τῶν β μ α λ ρ ν*
- 8, 16 რადთა ვისწოათ (A: ვისწრაფოთ) *Ἰνα τῶσιναι β ἰ θ α χ μ θ μ ε ν*

¹ „სხვადასხვა დედნიდან მომდინარეობას“ ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ შეიძლება ვსათუხ ძეგლი წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ხელნაწერში, მაგრამ ყველა წარმოადგენდეს ერთი ნუსხის პირებს; ასე მაგ. ჩვენ გამხადებული გვაქვს გამოსაცემად გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს „კაცისა შესაქმის“ ორი რადაქცია ა) ანონიმური და ბ) გიორგი მთაწმიდლისეული. ამათგან პირველი წარმოდგენილია შატბერდის კრებულიდან მომდინარე (S/1141) ოთხ ნუსხაში, და ამდენად გამოუდგარნია, მათი კითხვა-სხვაობანი მხოლოდ გაუგებრობის ნიადაგზეა წარმოშობილი.

² მეორე სახის შესწორებანი (ორთოგრაფიული) ჩვენ „ექუსთა დღეთაში“ არ გვქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ო || უ-სა და ႁ || ი-ს მონაცვლეობას, რომელთაგან პირველი ისე ხშირადაა ძველ ძეგლებში, რომ შეიძლებოდა არც გაგვესწორებინა; რაც შეეხება მეორე მოვლენას (ႁ || ი), არც ისაა იშვიათად და მისი დატოვებაც არ იქნებოდა დიდი დანაშაული.

- 21, 5 ქეშმარიტისა (A: პირ-ველისა) ბოროტისათჳს 40 τὸν ἀπείραστον
 34, 18 და შთადის იგი მეოტის (A: მეოხის) ტბასა εἰς τὴν Μαῦρον ἕξει: λίμνην etc.

ძირითადი ნუსხის ფაქტიური შეცდომები, რომლებიც უთუოდ გადამწერლის მიერაა დაშვებული, გასწორდა B ნუსხისა და ბერძნული დედნის მიხედვით.

4. 11, 22: რამეთუ ბუნებასა წყალთა-სა ყოვლით-კერძო შეუტაცეს და გარე-მოსხმულ არს ქუეყანისადა იგი τὸ πᾶντομεν περιεχεῖσθαι: τῆ γῆ τῆς τῶν ἕδατος φῶς
 14, 25: და ეზოად ტაძრისად (+B) καὶ προπύλαια τῶν ναῶν.
 106, 19: და ბუნებით თვისისა καὶ φυσικῆ τῆς ἔαυτῶν ἤως etc.
 ცხორებისა

ყველა ის სიტყვა თუ წინადადება, რომლებსაც აკლებს A-ნუსხა, შემოტანილია ძირითად ტექსტში B-ხელნაწერის მიხედვით და არცაა სავარაუდებელი, რომ ისინი მთარგმნელის გარდა ვისმეს სხვას ეკუთვნოდეს, ისინი უთუოდ მთარგმნელისაა, მისი კალმიდან გამოსული და გადაწერისას ერთი უგულისყურო „მწერლის“ მიერ გამოტოვებული, დედნის მონაცემთა ღირებულების მქონე გახლავთ.

სულ სხვა საქმეა უნიკუმში მოცემული ძეგლის პუბლიკაცია; აქ რედაქტორ-გამომცემელს შეუძლია ჩაატაროს მხოლოდ ერთი სახის უდავო შესწორებები: ეს გახლავთ უნებლიე შეცდომებისგან ტექსტის გასუფთავება. ხოლო რაც შეეხება ორ ძირითად სახის შესწორებას, როგორცაა ფაქტიური შეცდომა და მთარგმნელის მიერ დაკლებულ სიტყვათა თუ წინადადებათა გასწორება-აღდგენა და მათი ტექსტში შეტანა ფრჩხილებითა თუ უფრჩხილებოდ, ეს იმდენად სარისკო და საეგებო ამბებია, რომ მისგან თავის შეკავება აჯობებდა. უნიკუმში არ არსებული სიტყვის თუ წინადადების აღდგენა ბერძნული დედნის მიხედვით ჩვენ ძლიერ საძნელო და უიმედო საქმედ მიგვაჩნია იმიტომ, რომ ქართული ენა მდიდარია სინონიმებით: ერთ ბერძნულ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ქართულში რამდენიმე შესატყვისი, ერთ ავტორთანაც-კი, ერთს თხზულებაში!

- მაგ.: 1. *ἰνᾶμα*, τὰ, τὸ თვთება, აგებულება, თვსება, თვსება და განკუთვნილება (ექუსთა დღეთაჲ. იხ. ლექსიკონი).
 2. *χάριον*, τὸ არე, ქუეყანა, ადგილი (ibid.).
 3. *δαψορά*, ἡ განწვალება, განყოფილება, თვთოფერება (ibid.).
 4. *საყყენი*, 2. თანტომი, მეტომე, თანმეტომე, თვისი, უთვსესი, უთვსიერესი, უმახლობელესი, თანდათვსებული, თანამიტომებული (პეტრიწი I)².

¹ ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად გადამწერლის ისეთი „აქტიურობა“, რომ მას ქართული დედანი ბერძნულ ორიგინალთან ედარბინოს და შენიშნული ნაკლები სიტყვები თუ წინადადებები ეთარგმნოს და ტექსტში ჩაერთოს. ასე შორს არ მიდიოდა მათი უფლებამოვალეობანი.

² იონანე პეტრიწის შრომები, ტომი I. პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი. ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთოს ი. მ. ყაჯხჩიშვილმა, თბილისი, 1940 წ.

5. *იხანიძე* თვსი, საკუთარი, საკუთარი და სახუდერი (ibid.).

6. *ქარაიძე* შედგომილი, თანწყობი, მიდევნებელი, შეერთებული, მზიარებელი, შეყოფილი (ibid.) etc.

ამას გარდა ერთი ბერძნული სიტყვის ბაღდად ქართულ მთარგმნელს შეუძლია იხმაროს სინონიმები:

1. *σχημασμάς*, 6 ხატი და სახე („ექუსთა დღეთაჲ“. იხ. ლექსიკონი).

2. *საყვეს*, 2: თვსი და მახლობელი (ibid.).

3. *ἀπλὸν* სიმარტივე და სიწრფოება და სხვ.

დავუშვათ, რომ პეტრიწის თარგმანი მოცემული გვექნოდა ერთადერთ ხელნაწერში და მასში გვეკლებოდა ერთ ადგილას *საყვეს* ბაღდადი ქართული სიტყვა; როგორ მოვიქცეოდით, რომელ მათგანს ვიხმარდით იმ ცხრა შესაძლებლობიდან პეტრიწი რომ იძლევა? რომელი ფორმაც არ უნდა გვეხმარა, ჩვენის ღრმა რწმენით, საეგვიპტო იქნებოდა და ამდენად მას დედნის მონაცემის ღირებულებაც აღარ ექნებოდა. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთი შემთხვევის დროს? ჩვენი აზრით, აღდგენილი თუ შესწორებული ფორმები უნდა ჩატანილ იქნეს სქოლიოში (თუ ამას ტექნიკურად მოვახერხებთ) ან გადატანილ იქნეს გამოკვლევაში და არავითარ შემთხვევაში ტექსტში. ასეთი რედაქტორული ოპერაციები იმდენად მძიმე და სარისკო საქმეა, რომ აქ უხეში შეცდომები არათუ მოსალოდნელია, აუცილებელიცაა¹.

დასასრულ, ერთი არსებითი საკითხიც; უნიკუმში მოცემული ძეგლის გამომცემელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თარგმანის ტიპი („ქართული“, ბიზანტიურ-ელენისტური და ულტრა ბიზანტიურ-ელენისტური). წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მუშაობა დაემსგავსება საქმიანობას იმ არქიტექტორისას, რომელმაც მარმალლოთი ნაგები მონუმენტალური ძეგლის რესტავრაციისას შენობის დაზიანებულ ადგილთა აღსადგენად ალიზი იხმარა!

III. გიორგი მთაწმიდელი და მხრამ მცირე თარგმანთა „ერთმანეთში ბარამისა“ და „სიტყუათა ცვალების“ შესახებ

როდესაც ჩვენ პრინციპულად წინააღმდეგი ვართ უნიკუმში მოცემულ ნათარგმნ ძეგლში სიტყვათა თუ წინადადებათა შესწორება-შეცვლისა სხვა რედაქციის თარგმანით, წინა თავებში გამოთქმულ მოსაზრებათა გარდა მხედველობაში გვაქვს ამავე საკითხზე შეხედულებანი გიორგი მთაწმიდელი-

¹ არსებობს ერთადერთი, არცთუ მაინცადამაინც საგარანტიო, საშუალება ამ შეცდომათაგან ნაწილობრივ თავის დასაზღვევად: ეს გახლავთ ბერძნულ-ქართული სიმფონიის შედგენა გამოსაცემ ძეგლისათვის. ამით შეიძლება კაცმა გაითვალისწინოს მთელი თხზულების მანძილზე ამა თუ იმ ბერძნული სიტყვის ქართული შესატყვისობანი, მაგრამ მაშინ გამოთქვებულ წინადადებებს რა უნდა მოუფერხოთ, ისინი ხომ არ შეორდებიან ერთი და იმავე სახით? არც თუ სიტყვის აღდგენა მოსახერხებელი ამ გზით: მთარგმნელს, მაგალითად, შეიძლება *ნაჰაჰიძ* სამეჯრ „განწვალება“-თი ჰქონდეს გადმოცემული, მაგრამ მეოხეჯერ (რომელსაც აკლებს) მას ეს სიტყვა „განყოფილება“ გადმოეცა. ერთი სიტყვით აქ უფრო მკითხაობა-გარაუდებთან გვექნება საქმე, რაც შეენიერებაწი მაინცადამაინც საქებარ მოვლენად არ ითვლება.

ლისა და ეფრემ მცირის, რომლებიც კატეგორიულად უკრძალავენ ყველას ასეთ საქმიანობას.

ა) „დავითნის“ თარგმანების ანდერძში გიორგი მთაწმიდელი წერს: «აწ უკუ¹ გვედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხნეთ წმიდათა ამით დავითთა, რათა ჩუენთს ლოცვა ჰყოთ, და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთვე შეუცვალებელად დასწერდით, ნუცა ჩაუტავთ, ნუცა დააკლებთ, ჩუენ რომელი ჯერ იყო ჩაგვრთავს, და რომელი ჯერ იყო, დაგვკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა, ნუცა დონ ანსა (=და) დააკლებთ, ნუცა რამეთუსა. და ესე ეგების გონიერისა გულსწმის ყოფად, რომელი-იგი დონ ანი (=და) ჩუენცა ვიცოდით, და თუმცა რას აენებდა, გინა იგი, გინა სხუად რომელიცა სიტყუად, არა დაუტეობდით, არცა აღმოვჰკოცდით, უკუეთუ ვინმე ამას ჩუენსა შრომით და რუდუნებით ქმნილსა და ყოვლითა ქეშმარიტებითა სავსესა ნაშრომსა და აღწერილსა არა ჯერ იყოს და კე (ჯან=და) იცოდის, ანუ ღარ (γάρ=რამეთუ), გინა ოტი (ὅτι=ვითარმედ, რომელ, რამეთუ), ანუ თუ ღმერთი და უფალი, გინათუ რიტორიკა იყოს, ანუ ფილოსოფოსი, მაშა ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს, ახლად თუ ვითა გინდა, თარგმანნეს სხუანი დავითნი, არას ვზრუნავ²; და თუ ქართულთა დავითთა დასწერდეს, ჯუარი აქუს და კურთხევა. რომელმან კულა ჩვენი დავითი, გინა ზეპირით იძალოს, გინა ესე მრავლითა სისხლითა თარგმნილი ჩემი წინა დაიდვას და დავითსა რყუნად და ზე-ქუ³ ქცევად დაუწყოს, საშჯელი მიჰჭადენ ღმერთმან დღესა მას საშინელსა საშჯელისასა»².

იგივე მწერალი „ოთხთავის“ ანდერძში ამბობს: «ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელ ესე წმიდა ოთხთავი არათუ ახლად გვეთარგმნია, არამედ იძულეებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძულთა სახარებათადა შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა, და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა

¹ ანდერძი ვრცლად მოვიყვანეთ იმიტომ, რომ 1. აქ მოცემულია გიორგი მთაწმიდელის თარგმნელობითი მეთოდი და გადაშლილია ნათელი სურათი იმ გაცხოველებული შემოქმედებითი შრომისა, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენს ძველი მწერლები. 2. აქა კლასიკური ნიმუში ისეთი გამანადგურებელი ირონიისა, რომლის ბადალიც ძველ-ქართულ მწერლობაში ჩვენ არ გვევლევება. ასე მაგ. ა) ნორმალურ მკითხველს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებულად, რომ „და“ ჩვენც ვიცოდით და თუ რამეს აენებდა ესა ან სხვა რომელიმე სიტყვა, მაშინ არ ამოვშლიდით (=აღმოვჰკოცდით) და ასეთი სიტყვების აღდგენაზე თავს ნუ შეიწუხებთო, ბ) თუ კი ვინმე კე, ღარ და ოტი იცოდეს და ფილოსოფოსი ან რიტორიკ იყოს, ეს ძველი თეოდონე თარგმნოს, ჩვენს ნაშრომზე ნუ ბრძნობს! გამანადგურებელი ირონია: ბერძნული ენის ელემენტარული ცოდნის მქონე „ფილოსოფოსებმა“ და „რიტორებმა“, — გიორგი მთაწმიდელის აზრით, — თავი უნდა გაანებონ სხვათა ნაშრომებზე „ბრძნობას“ და თავიანთ „ცოდნას“ საკუთარ თარგმანებში გამოამქაფანონ.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ. 11, 194 წ.; შდრ. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, 107—110; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 196—197.

აქა პოოთ, ესე დაწერეთ, და თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დასწერეთ და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ, და გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთოა¹.

ბ) ეფრემ მცირეც ამავე აზრისაა: იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ (=πηγῆ γυναικῶς) ანდერძში ამბობს: «აჲა ესერა გქონან ასნი თავნი საეკლესიონი ორმეოცდაათთა თავთა მიერ საფილოსოფოსოთა გარეშეზღუდვილნი; და არცა ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა იგინი უმათოდ, ვინაჲცა ვიკადრებ და ვიტყვ: რომელსა ძალი მისცეს ღმერთმან ამითა გარდაწერად, ესე დაიმარხენ, რაჲთა უკუშთუ მოკლე წინამძღუარი უნდეს, წმიდისა მამისა ეფთუმეს მიერ თარგმანებული, იგი შეიტკბოს... ხოლო უკუშთუ ახალი ესე სწადდეს გარდაწერად, მას ამას თანა ნუ გაჰრევს, ნუც ამას მას თანა; არამედ უკუშთუ ამას დაიწერდეს, ენე ილუაწენ, რაჲთა არა რაჲ დააკლოს არა ხოლო ასორმეოცდაათთა ამით თავთაგანი პირველით ებისტოლითურთ, არამედ არცაღა ჩემი ესე კადრებული და მოზრახული... და ზეპირობისა მიზეზი ესე არს, ვინაჲთგან ყოველსა თარგმანსა უტმს შემატებაჲ, რეცა განმაცხადებელად ძალისა² etc.

ზემომოყვანილ ანდერძებიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1) მთარგმნელს უფლება აქვს ბერძნულ დედანს დააკლოს ან შეუმატოს, თუ კი ამას ქართული ენის ბუნება მოითხოვს³.

2) გადამწერელს (ან გამომცემელს) ეკრძალება ჩაუმატოს ან ამოაგდოს ტექსტში ნაწილაკებიც კი! (ჯას, ყძპ, შჲ).

3) გადამწერელს (ან გამომცემელს) უფლება არა აქვს ორი რედაქციის ერთმანეთში „გარევისა“. მაგ. ტერმინი A რედაქციისა შეცვალოს B რედაქციის მონაცემით. თუ არ მოსწონს რაიმე, ჩვენს თარგმანს სწორებასა და ჯიჯგნას ნუ დაუწყებს, თვითონ თარგმნოსო – შენიშნავს გიორგი მთაწმიდელი.

ჩვენი აზრით, ამ ლიტერატურულ ნოთხოვნათა დაცვა ერთ-ერთი საწინდარი იქნება ძველი ქართული კულტურის დაუცხრომელ მოღვაწეთა პატივისცემისა და მათი ნაშრომების პუბლიკაციის მეცნიერული პროფილისა.

¹ თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 207; შდრ. ზელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტ. და საეთნ. საზ-ბის ყოფ. მუზეუმის ზელნაწერები. ტ. III, გვ. 30, 1948 წ.; ბ. კ ა ნ ძ ე - ლ ი ძ ე, ოპ. ს. I², 197.

² ს. გ ო რ გ ა ძ ე, ი. დამასკელის Πηγῆ γυναικῶς ქართულ მწერლობაში (მიომხილველი I, 187); შდრ. თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 216–217.

³ გიორგი მთაწმიდელი ჩამატება-დაკლებასთან ერთად ძალიან ზნირად დედნის მონაცემებს სცვლის კიდევაც (იხ. ეჭუსთა დღეთაჲ, გვ. 071–072).

IV. ოშკური ბიბლია

თუ თორნიკემ, როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა, მცირერიცხოვან გულად ქართველ მეზობელთა რაზმით მემბოხე ბარდა სკლიაროსის დამარცხებით ბიზანტიის იმპერატორთა მაკედონურ დინასტიას დიდი სამსახური გაუწია, მანვე (თორნიკემ, როგორც მეცენატმა, უჭქნობი სახელი მოაბოვა ქართულ ლიტერატურაში მით, რომ გვიანდერძა მისი დაკვეთით გადაწერილი ხელნაწერი, ოშკური ბიბლია. ოშკის ბიბლია ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი და ძვირფასი თარიღიანი ძეგლია, რომლის მეცნიერულ გამოცემაზე დიდხანია ოცნებობდნენ ქართული კულტურის მესვეურები (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, აკ. შანიძე), მაგრამ მისი განხორციელების საპატიო მოვალეობა მხოლოდ ა. შანიძეს ხვდა წილად. გამომცემელმა მისთვის დამახასიათებელი ენერგიით, გამოცდილებით და ერუდიციის მომარჯვებით მიჰყო ხელი ამ დიდსა და საძნელო საქმეს და ამჟამად ჩვენ უკვე მოგვებოვება I ტომის ორი ნაკვეთი, რომელთა მიხედვით შეიძლება გამოითქვას ამა თუ იმ საკითხზე გარკვეული მოსაზრებანი.

ოშკის ბიბლია სამწუხაროდ უნიკუმს წარმოადგენს და ამიტომ მისი ნაკლულევანი ადგილების აღდგენა, ან შიკდარი წაკითხვების გასწორება ამავე რედაქციის სხვა ნუსხების დახმარებით შეუძლებელია¹. ჩვენი აზრით, ძველი წარმოადგენს ე. წ. „ქართულ“ თარგმანს, რაც, კ. კეკელიძის თქმით, იმით ხასიათდება, რომ «სთარგმნიან არა მონურად, სიტყვა-სიტყვით, არამედ თავისუფლად და თავისებურად»². ეს ორი მომენტი იმდენად ჭარბადაა მოცემული თარგმანში, რომ, ვფიქრობთ, მათი ზუსტი აღნუსხვა და კვალიფიკაცია შეუძლებელია. მთარგმნელი თავგამოდებით იცავს ქართული ენის თავისებურებას და არასოდეს უკანასკნელი არ მიაქვს აკრიზისის სამსხვერპლოზე. ამიტომაც თარგმანში ასე უხვად ქართული გამოთქმები, ილიომები, სინონიმები და სხვა, რომელთა ნიმუშებს ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ.

რაც შეეხება შეცდომებს, ასეთი რამ არა მხოლოდ აქ, არამედ საერთოდ ბერძნულიდან ნათარგმნ ძეგლებში ყველა ენაზე შეინიშნება³ და აი რატომ:

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები S/422 და A/471 ოშკის ბიბლიის პირებია, 1851 წ. პლ. იოსელიანის ინიციატივით გადაწერილი.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 46.

³ ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ერთს კლასიკურ მაგალითს „აბალი აღთქმიდან“. სადაც ითანე ნათლისმცემელზე ნათქვამია: მთ. 3, 4: Ἀὐτὸς δὲ ὁ Ἰωάννης εἶπε τὸ ἕνδεκα ἀπὸ τοῦ ἀπὸ τριῶν καμῆλου, καὶ ἄλγην δερματίνην περὶ τοῦ ὄφθους ἀπὸ τοῦ ἵψου ἀπὸ τοῦ ἀπὸ τριῶν καμῆλου καὶ μέλι ἄγριον.

ხოლო თავადსა იოჰანეს ემოსა სამოსელი თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყვისადა წელთა მისთა; ხოლო სახრდელად მისა იყო მკალი და თაფლი გელური (C).

ბერძნული სიტყვა ἀκρίδες (ἀκρίς, ἰδος, ἡ ყველა ენაზე, გარდა რუსულისა, გაგებულ იქნა და ითარგმნა როგორც „მკალი“ (ლათ. locustae, სომხ. მარაჩი, არაბ. جراد-ქართ. მკალი, გერმ. Huschrecken, ფრ. sauterelles, რუს. акрияды, სლავ. прыжие (= прыг) და როგორც ირკვევა, ყველაგან შეცდომად დაშვებული (გაშინაკლისად რუსული უნდა ჩაითვალოს: რუსმა მთარგმნელმა ეს სიტყვა უთარგმნელად დატოვა და შეცდომაც ამით იცილას).

V. შენიშვნები „ოქაური ბიბლიის“ გამომცემული წიგნების შესახებ

«ფილოლოგებს რომ საღვთისმეტყველო ამბები არ აინტერესებთ,—შე-
ნიშნავს ბოლო ტოვი,—ესაა საუკეთესო თავდები იმისა, რომ ისინი ტექსტს
მოგვეცემენ იმ სახით, რა სახითაც ის მოიპოვება საუკეთესო ხელნაწერებში ან
აღდგენილი იქნება საუკეთესო [მეცნიერული] საშუალებით»¹ (ხაზი ჩვენი მ. კ.). ვანსვენებული მეცნიერის ამ შეხედულებას სავსე-
ბით ვიზიარებთ და სწორედ ამ ნიადაგზეა წარმოშობილი ის მცირე და უბრე-
ტენზიო შენიშვნები, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1. გასწორება.

1. შესაქმმ² 48,6; Τὰ δὲ ἄρχονα, ἃ μὲν γυνήτης μετὰ τὰντα, τοὶ
ἔτασαν: ἐπὶ τῷ ὀνόματι τῶν ἀνδραφῶν ἀντὶν κληθήσονται ἐν τοῖς ἐκείνων
κληροῖς.

ოქკ.: ხოლო შვილის შვილნი, რომელნი გესხნენ შენ შემდგომად შენსა
[გამომც. მაგათსა], იყვნენ სახელითა ძმათა მათთაჲთა, იწოდნენ მათსა მას
ნაწილსა.

ვულგ.: ხოლო შვილის შვილი რომელნიცა შენე შემდგომად ამისა,
შენდა იყუნენ: სახელსა ზედა ძმათა მათთასა, იწოდნენ ნაწილთა შორის
მათთა.

თარგმანი კარგადაა შესრულებული, მაგრამ აქ ორი თავისებურებაა:
1. გამოტოვებულია τὰντα (=ამისა) და 2. „შენდა“-ის ნაცვლად წერია
„შენსა“ (=ვულგ. „შენდა“-ს). რომ ყველა ეს კორექტივი შევიტანოთ ტექ-
სტში, მივიღებთ: «ხოლო შვილის შვილნი რომელნი გესხნეს შენ შემდგომად
[ამისა, შენდა] იყვნენ etc.

2. გამოხლ. 12, 39: ὁ δὲ ἐπεισεύθη ἐπιείθεον ἔαυτοῖς εἰς τὴν ἔσθιν.

ოქკ. ვერცალა საზრდელი იქმნეს საზრდელად [გამომც. საგზლად].

ვულგ. ვერცალა საზრდელი იქმნეს საზრდელად მათდა გზასა ზედა.

აქ ტექსტის გასწორება, ჩვენი აზრით, საჭირო არ იყო: ჩვენ არ ვიცით
ტერმინი „საგზალი“ ამ ძეგლის თარგმნის დროს (VIII ს.) არსებობდა თუ
არა. საბა და ჩუბინაშვილი ამ სიტყვის განმარტებისას წყაროს არ ასა-
ხელებენ და ჩვენ მხოლოდ XI საუკუნის ძეგლში, „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვ-
რებაში“, გვაქვს იგი დამოწმებული. რაც მთავარია, მთარგმნელს კარგად გაუ-
გია დედანი, და თუ შესაფერისი ფორმა ვერ იპოვა, მხოლოდ ის არაა ამაში
დამნაშავე. ასე მაგ., გიორგი მთაწმიდელმა ბერძნული სიტყვა ძიკῶν, ἣ ῥομ
„კიკით“ ვადმოიღო და არა „კოტოშით“ (იხ. „ექუსთა დღეთას“ ლექსიკონი),
ჩვენ მას არ ვუსაყვედურებთ იმიტომ, რომ უკანასკნელი ტერმინი მის დროს,

¹ Проф. В. В. Болотов. Лекции по истории древней церкви. I. Введение в церковную историю, посмертное издание под редакцией проф. А. Бриллиантова, 1907, стр. 129.

² ვინიდან „დაბადება“-ს უწოდებენ ძველი აღთქმის ყველა წიგნებს. ამიტომ მოსეს პირველ წიგნს „შესაქმმ“ რომ დავარჯვათ, ვფიქრობთ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნება.

ალბათ, არც არსებობდა. სანამ ქართულ-ბერძნული ისტორიული დოკუმენტი-რებული ლექსიკონი არ გვექნება, მანამ ასეთ სარისკო შესწორებებიდან თავი უნდა შევიკავოთ.

3. ლევიტ. 2, 5: Ἐὰν ὄξυς ἴσθαι ἀπὸ τοῦ ἄρουρου σου, σὺ μὴ δάξῃς πᾶσαις τῶν ἄρουρων σου, ἵνα ἴσθαι ἀπὸ τοῦ ἄρουρου σου, ἵνα ἴσθαι.

ოშკ. უკუეთუ შესწირვიდე [გამომც. შესაწირავი] ტაბაკისაგან იყოს ძღუენი იგი შენი, სამინდოდ შესუარული ზეთითა, უცომოდ იყოს.

ვულგ. უკუეთუ შესაწირავი იგი ტაბაკისაგან იყოს ძღუენი იგი შენი სამინდოდ შესუარული ზეთითა უცომოდ იყოს.

ქართველ მთარგმნელს შეეძლო სახელი მათაჲ (=შესაწირავი) გადმოეცა ზმნით „შესწირვიდე“. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ „ქართული თარგმანია“.

4. ლევიტ. 6, 28: ἐκ τῆς ἄρουρου, καὶ ἐκ τῆς ἄρουρου ἄρουρου.

ოშკ. მოხუეტენ იგი და დაიწუას [გამომც. გამოირცხენ წყლითა].

ვულგ. მოხვეწენ და მონახუწი იგი გარეცხონ წყლითა.

აქ მოცემულია თავისუფალი თარგმანი: „დაწუა“ „გამოწვას“ მნიშვნელობითაა ნახმარი. ეს პროცესი კი უფრო რადიკალური საშუალებაა ბინძური ქურქლის განსასპეტაკებლად, ვიდრე „გამორცხვა“.

5. რუთ. 1, 1: καὶ ἐπορεύθη ἀνὴρ ἀπὸ Βηθლემ ἐν τῇ ἡμέρᾳ τῇ ἰσθμῷ, τὸν παρῶν αἰῶνος ἐν ἀρχῇ Μωσῆ.

ოშკ. და წარვიდა კაცი ბეთლემით ჰურიასტანისათ, მწირობდა [გამომც. მწირობად] სოფელსა მას მოაბისასა.

ვულგ. და წარვიდა კაცი ბეთლემელი ჰურიასტანისათ, მწირობდა სოფელსა მას მოაბისასა.

თუ გავითვალისწინებთ თარგმანის ტიპს, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მთარგმნელს შეეძლო ბერძნული ინფინიტივი გადმოეცა ნამყო უწყვეტლით, ოღონდ სასვენი ნიშანი უნდა დაისვას ისე, როგორც ვულგატაშია.

6. რუთ. 1, 22: ἀνὴρ δὲ παρευῆνε ἰσθμῶν εἰς Βηθლემ ἐν ἀρχῇ τοῦ αἰῶνος αἰῶνος.

ოშკ. და ესენი მოვიდეს ბეთლემდ დასაბამსა ოდენ მკასა ქართლისასა [გამომც. მკისა ქართლისასა].

ვულგ. და ესენი მოვიდეს ბეთლემად, დასაბამსა ოდენ მკასა ქართლისასა.

ბერძნული ბრუნვების ქართულში გადმოცემის საკითხი ჯერჯერობით არავის არ მიმოუხილავს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ბერძნული გნეტივი შეიძლება ქართულში გადმოიცეს როგორც ნათესაობითით, ისე მიცემითი ბრუნვით. ასევე ბერძნული მიცემითი ქართულში გადმოიცემა როგორც მიცემითით, ისე ნათესაობითით (ამას განსაზღვრავს კონტექსტი).

7. რუთ. 4, 4: λέγων αἰῶνος ἐναντίον τῶν ἀνθρώπων, καὶ ἐναντίον τῶν ἀνθρώπων τῶν αἰῶνων.

ოშკ. და ჰრქუა მას: მოუგე [გამომც. მოიგე] ამათ წინაშე, რომელნი სხენან, და მოხუებულთა წინაშე, ერისა ჩემისათა.

ვულგ. მოიგე ამათ წინაშე, რომელნი სხენან, და მოხუცებულთა წინაშე ერისა ჩემისათა.

ინფინიტინი *αὐτῶν*, —ცხადია, არავითარ ქცევის გაგებას არ იძლევა, მაგრამ თუ „ამათ“-ის შემდეგ მიძიმეს დასავამთ და „წინაშე რომელნი სხენან“-ს ამხსნელ წინადადებად ჩავთვლით (ასეცაა!), მაშინ თარგმანი ძალიან კარგად იქნება შესრულებული: „მოუგე ამათ, წინაშე რომელნი სხენან“. სიტყვა-სიტყვით თარგმანით იქნებოდა: მოქუშელმან: მოუგე წინაშე მსხდომარეთა მათა etc.

8. იოზ. 2, 2: *ὁ κύριος εἶπε πρὸς Μωϋσῆν ὅτι ἴσθαι, καὶ ἐμπεριπατήσῃς ἐν τῇ σῆμασθαι, πάρεμ.*

ოშკ. განმივლიეს ცასა ქუეშე და მომიხილავს [გამომც. მომივლიეს] ყოვლითურთ და აწ წინაშე შენსა ვარ.

ვულგ. განმივლიეს ცასა ქუეშე და მომივლიეს ყოველი ქუეყანად. ლათ. *Circuivi terram, et perambulavi eam.*

აქ სტილის ამბავია; მთარგმნელს *ἐμπεριπατήσῃς* პირდაპირი მნიშვნელობით რომ ეთარგმნა, მაშინ ტავტოლოგია ექნებოდა: „განმივლიეს—მომივლიეს“ და ამიტომ იხმარა „მომიხილავს“, რაც შინაარსობრივად სავარაუდო ფორმისაა (სხვათაშორის *ἐμπεριπατήσῃς*—მოხილვასაც ნიშნავს). უნდა შევნიშნოთ, რომ ამ განმეორების თავიდან ასაცილებლად ლათინურშიაც ორი სხვადასხვა ფორმა უხმარიათ *circuivi* და *perambulavi*.

9. იოზ. 6, 3: *καὶ ἔη ἔμμοι παρὰ τῆς βάρταρας εἰσεῖ*

ოშკ. ქვშისამცა ზღვს კიდისა უმრავლეს [გამომც. უმძიმეს] იპოვნეს.

ვულგ. იგი ქვშისაცა ზღვს კიდისა უმძიმეს იყუნენ.

ოშკური ბიბლიის მთარგმნელი საუკეთესო „ქართულ“ თარგმანს იძლევა: „ქვშის სიმრავლე“-ზე შეიძლება ვილაპარაკოთ და არა „სიმძიმეზე“. *βάρταρας* ასეთი გაგებითა აქვს ნახმარი ბერძენ მთარგმნელსაც. „ქვშის სიმრავლე“ ქართული იდიომაა და, თუ იგი ამ სახით ვულგატის მთარგმნელს არ უხმარია, ქართული ენის ბუნებისათვის დასადასტოვებელი უნდა ჩავთვალოს.

10. იოზ. 10, 12: *ὁ κύριος ἔειπεν πρὸς Μωϋσῆν.*

ოშკ. ცხოვრება შემმოსე, დასდეგ ჩემ ზედა.

ვულგ. ხოლო ცხოვრება და წყალობა დასდეგ ჩემ თანა.

ოშკურ ბიბლიაში, „შემმოსე, დასდეგ“ სინონიმებადაა საგულევებელი და არა ის, რომ პირველი („შემმოსე“) იყოს თავდაპირველი ვარიანტი, რომლის წაშლა დაპვიწყებით და ამგვარად ტექსტში შემორჩენილა. ჩვენ ვიცით, რომ სინონიმებს უხვად იყენებდნენ ქართველი მთარგმნელები და ამას ოშკის ბიბლიის მთარგმნელიც მიმართავდა. სხვათაშორის „შემმოსე“ უფრო მხატვრული და ქართული ფორმაა, ვიდრე „დასდეგ“. უკანასკნელი ზმთა-ს (ზმნიდან *ἐμῆς*) აღდევატური გადმოღებაა ქართულში და ამდენად თუ ამოვადებაზე მივდგება საქმე, სწორედ ეს „დადება“ ამოსავლებიცა და გადასავლებიც.

11. იოზ. 21, 20: *καὶ ἔειπεν κύριος πρὸς Μωϋσῆν.*

ოშკ. და ღმრთისა მიერ ნუ განეშორებინ (გამომც. განერებინ).

ვულგ. ხოლო უფლისაგან რათა არა ცხოვნდეს.

„განშორება“ და „განრინება“ თითქმის სინონიმებია და „გაცლა“-სა და „თავის დაღწევას“ ნიშნავს. რა უპირატესობა აქვს მეორეს პირველთან შედარებით, ჩვენ არ ვიცით. სხვა საქმე იყო მათ აღვილას რომ გვეხმარა ვულგატას წაკითხვა „ცხოვნება“, რაც უფრო ზუსტად გადმოსცემს *διασωθήναι*-ს (ზმნიდან *διασωθήναι* = გადარჩენა) მნიშვნელობას, მაგრამ ოპერაციები განა საქიროა?.

12. იოზ. 22, 16: *ὅτι σὺ ἐπέφυγες ἀπὸ τοῦ θανάτου, ὁ δὲ θεὸς οὐκ ἐπέφυγεν ἀπὸ τοῦ θανάτου.*

ოშკ. რომელ - იგი შეიპყრნეს უჟამოდ? მდინარესა მოდინებულსა [გამომც. მდინარე მოდინებულ] საფუძველნი მათნი.

ვულგ. რომელნი შეპყრობილ იქმნეს პირველ ჟამად მდინარე მჩქეფარე საფუძველთა მათთა.

უნდა სიმართლე ითქვას: არც შეუსწორებლად და არც შესწორებით ეს კონტექსტი არც გამართულია და არც გასაგები. ახალი ქართულით ასე იქნება: ისინი შეპყრობილ იქმნენ უფრო ადრე, ვიდრე მდინარე გადმოვიდოდა მის საფუძველებიდან (კალაპოტიდან).

13. იოზ. 22, 28: *ἀποκαταστήσει δὲ οὗτος δῖαιταὺν διαίτισσιν.*

ოშკ. და მოგაგოს შენ სასყიდელი [გამომც. საყოფელი] სიმართლისად.

ვულგ. ხოლო აღვიშენოს შენ საყოფელი სიმართლისა.

διαίτα-ს ერთი მნიშვნელობა არის „სასყიდელი“, „ჯილდო“, „მისაგებელი“ და ამიტომ მისი შეცვლა ვულგატის „საყოფელით“ საქირო არ იყო. „სიმართლის სასყიდელი“ იდიომად შეიძლება ჩაითვალოს, „სიმართლის საყოფელი“ კი არავითარ შემთხვევაში მას არ ჯობს. *δῖαιτα* და *μισθός* ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან და უკანასკნელი კი „სასყიდელით“ ითარგმნება. (იხ. „ექ. დღ.“ ლექსიკონი s. v. სასყიდელი; შდრ. „უფალმან მისცეს სასყიდელი გულსმოდგინებისად“. მიმომხილველი I, 168).

14. იოზ. 26, 3; *ὅτι ἡ μὲν ψαυθὴ ἔσται.*

ოშკ. არა-მეა რომლისა მიერ არს სიმდიდრე [გამომც. სიდიდრე] ძლიერებისად.

ვულგ. არა ხოლო მისა თუ ძლიერება დიდია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „სიმდიდრე“ კარგად გადმოსცემს აღმატებითს ხარისხში დაყენებულ ბერძნულ სიტყვას *μυθη*-ს და მისი შეცვლა „სიდიდრე“-თი საქირო არაა.

15. ესაია. 10, 24: *ἔτι ἐν ἰβάνη παταξεί σε πληγῆς ἕξ. ἐπὶ ἄρα ἐπὶ ὄψι.*

ოშკ. რამეთუ კუერთხითა დაგცე [გამომც. დაგცეს] შენ და რამეთუ გუემად მოვაწიო შენ ზედა.

ვულგ. რამეთუ კუშროთხითა დაგცეს შენ, რამეთუ წყულულება მოაწიოს შენ ზედა.

ლათ. *in virga percutiet te, et baculum suum levabit super te.* ამ მუხლში ერთმანეთზე მოყოლებით ოთხი ზმნაა, რომელთაგან სამი II ობ. სუბ...

პირშია და ერთი მესამე ობიექტურში (1. *μὴ*) *φ*ი β ი σ ν , ნუ გეშინინ, 2. *κατοι-*
αυνητες—რომელნი დამკვდრებულ ხართ, 3. *παταξῆς*—დაგცეს და 4. *ἐπαγχα*—
 მოგაწიო). რაშია საქმე? მოსალოდნელი არ იყო კონტექსტის მიხედვით ასეთი
 პირთა სხვადასხვაობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ *παταξῆς* ბერძენი გადამწერლის
 შეცდომაა, ამის ნაცვლად უნდა ყოფილიყო *παταξῆ* (fut. I პირი). ეს აღრევა
 უგრძენია ოშკური ბიბლიის მთარგმნელს და ორივე ზმნა II ობ. პირში დაუ-
 ყენებია. რაც შეეხება ვულგატას მთარგმნელსა და ლათინური ტექსტის ავ-
 ტორს, მათ ისინი III პირში გადაუყვანიათ. თუ გავითვალისწინებთ ბერძნული
 დედნის მდგომარეობას, მაშინ ოშკურ ბიბლიაში „დაგცე“ უნდა დარჩეს.

ესაია. 19, 21: *καὶ ποιήσους φασάξ καὶ ὄμιρον.*

ოშკ. და შესძინონ [გამომც. შესწირონ] მსხუერპლი და შესაწი-
 რავი.

ვულგ. და შესწირონ მსხუერპლი ძლუშნა.

მთარგმნელმა *ποιήσους* არ გადმოგვცა „შესწირონ“ ფორმით იმიტომ,
 რომ ქვემოთ მას ჰქონდა შესაწირავი (ὄμιρον). ამ ვარიაციით მან დაიცვა
 კარგი სტილის მოთხოვნილება.

16. ესაია. 29, 24: *οἱ δὲ γογγύζοντες μαθήσονται ἄπαυσις, καὶ αἱ*
γλῶσσαι αἱ ψαλλῆσονται μαθήσονται λαλεῖν εἰρήνῃ.

ოშკ. და რომელნი დრტუნვიდენ, ისმინონ [გამომც. ისწაონ] სმენად;
 და ენა-ბრუნვილთა ისწაონ სიტყუად მშვდობისად.

ვულგ. ხოლო მდრტუნავთა; ისწაონ მორჩილება და ენათაბრგენილ-
 თა ისწაონ თქუმად მშვდობა.

ხომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ოშკური ტექსტის მთარგმნელმა პირ-
 ველი *μαθήσονται* ვერ გაიგო და „ისმინონ“ ზმნით გადმოგვცა, ხოლო მეორე
 ამავე ფორმის სიტყვა ზუსტად თარგმნა „ისწაონ“ ფორმით. აქ მთარგმნელის
 სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მას სტილის საუკეთესო შეგრძნება აქვს
 და სადაც კია მოსახერხებელი, ებრძვის განმეორებებს. ამას ვულგატის თარგ-
 მანიც ნათელჰყოფს: იქ ზედიზედ განმეორებული „ისწაონ-ისწაონ“ ყურს
 მაინცადამაინც სასიამოვნოდ არ ხედება.

17. ესაია. 30, 20: *Καὶ ὁὔσαι ἄμιν ἄρτον φλῆψας καὶ ὄμιρον στυγόν, καὶ*
ὄμιρον ἄμιν μὴ ἐγγίσωσι σοὶ οἱ πλάγνυτές σε.

ოშკ. და მოგცეს თქუენ პური ქირისად და წყალი იწროებისად და არ-
 ლარა მოგეცენოს მაქირებელი შენი [გამომც. არლარა მოგეახლოს
 მაცთუნებელი შენი].

ვულგ. და მოგცეს თქუენ უჟალმან პური ქირისა, და წყალი იწრო, და
 არღა მერმე არ მიგეახლენენ შენ მაცთუნებელნი შენნი.

ოშკური ტექსტი ამ მუხლისა კარგადაა შესრულებული: ის თავისუფალი
 თარგმანია, აზრი იგივეა, «არლარა მოგეცენოს მაქირებელი შენი» ახალი
 ქართულით იქნება „აღარ იყოს ხსენება შენი მტრისა“, ან „გაქრეს სახსენ-
 ბელი შენი მტრისა“.

ესაია. 30, 25: *Καὶ ἔσται ἐπὶ παγτες ἕρως ἰψήγισ, καὶ ἐπὶ παγτες βου-*
γῶν μετεώρου ὄμιρον ἔαπορευόμενον...

ოშკ. და იყოს ყოველსა ზედა: მთასა ზედა [ეს ამოღებულია ტექსტიდან] მაღალსა და ბორცუსა განსაცხრომელსა წყალი გამომდინარე.

ვულგ. და იყოს ყოველსა ზედა მთასა მაღალსა და ყოველსა ზედა ბორცუსა განსაცხრომელსა წყალი წარმდგინარი(!)

ოშკის ტექსტის მთარგმნელმა ბერძნულში არსებული ორი ზღაპრული-ში უკლებლივ მოგვცა და ჩვენ რატომ უნდა ამოვშალოთ ერთი მათგანი? მისი თარგმანის უპირატესობა ვულგატასთან შედარებით ამ მუხლშია: ჩანს: ვულგატა მისდევს რა ბრმად ბერძნულ დედანს, ანგარიშგაუწვევლად იმეორებს „ყოველსა ზედას“ ორჯერ, პირველი კი, როგორც კარგი სტილისტი, მხოლოდ ერთხელ თარგმნის მას და მეორე „ყოველსას“ (=παντες) უთარგმნელად ტოვებს. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ოშკური ტექსტის მთარგმნელი ცდება *ματῶν* — გადმოცემისას. მას ეს სიტყვა ასე დაუშვია *ματῶν + ἄρα* (*ἄρα* = განცხრომა, აყვავება), სინამდვილეში კი ეს სიტყვა ნიშნავს „ამაღლებულს“, „აღზიდულს“ და უნდა იყოს: «ბორცუსა ამაღლებულსა». ეს შეცდომა განმეორებული აქვს ვულგატას მთარგმნელსაც და, როგორც ირკვევა, უკანასკნელი თარგმნისას არც თუ იშვიათად იხედებოდა ოშკურ ბიბლიაში რთული სიტყვების ასახსნელად.

19. ესაია. 32, 18: *καὶ κατοικήσει ἢ λαὸς ἀπὸ τῆς ἐν πύλαις ἐρήμῳ, καὶ ἐνοικήσει πεπρωμένῳ.*

ოშკ. დაეშენოს ერი ჩემი ქალაქსა მშველობისასა და დაემკვდრნენ მშველობით [გამომც. სასოებით].

ვულგ. და დაემკვდროს ერმან მისმან ქალაქსა შინა მშველობისასა და მკვდრ იქმნეს სასოებით.

ზნისართი *πεπρωμένῳ* (ზნნიდან *περω*) ნიშნავს „მშველობით“, „მორჩილებით“ — საც და მისი შეცვლა ვულგატას მონაცემით საჭირო არ იყო. ასეთი „შესწორებების“ ნიმუშთა გამრავლება ადვილი საქმეა, მაგრამ ზემომოყვანილი მაგალითებიც საკმარისია ჩვენი პრინციპის საილუსტრაციოდ, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო უნიკალურ ხელნაწერში არსებული ძეგლის ტექსტის დადგენისას და არ შეიძლება „შეცდომა“ შესწორდეს სხვა ტიპის თარგმანით.

2. სავარაუდო წაკითხვები:

1. შესაქმც 17, 16: *καὶ βασιλεὺς ἐπιγῆν ἐξ ἀπὸ τῆς ἔσχαται.*

ოშკ. და მეფენი ნათესავისა შენისაგან გამოვიდოდიან. [გამომცემელი: და მეფენი ნათესავთან ი შენგან გამოვიდოდიან].

ვულგ. და მეფენი წარმართთანი მისგან გამოვიდენ.

თარგმანი კარგადაა შესრულებული: *ἐπιγῆν* ოშკური ბიბლიის მთარგმნელს შეეძლო გადმოეცა როგორც მრავლობითით („ნათესავთანი“), ისე მხოლოდითით („ნათესავისა“). შეადარე:

τῶν ἐν φιλισთίμῳ ἐπιγεῖται (PG t. 36, გვ. 512).

ექვთიმე: საფილაფოსოჲსა სწავლისა (A/1, გვ. 278).

ეფრემი: ფილოსოფოსობისა სჯულთასაცა (A/109 გვ. 43b₁₄ ზემ.).

აქ „მოიგო“ ვნებითი გვარისაა და ნიშნავს „მოგებულ იქმნა“, რასაც ზუსტად ნიშნავს aor. I, inf. *κατήσθη* და მის ნაცვლად ქართული აორის-ტის „მოიგე“-ს ხმარებას არავეითარი გამართლება არ ექნებოდა.

6. იოზ. 5, 6: *Ὁν γὰρ μὴ ἐξέλαβη ἐκ γῆς ἰσραὴλ*.

ოშკ. რამეთუ არა გამოვდის ქუეყანით ზნელი [გამომც.: მოსალოდ-ნელი იყო „ურვაჲ“ ან სხვა რამ ამის მსგავსი].

ვულგ. რამეთუ არა აქუს ქუეყანისაგან გამოსლვად შრომაჲ. *ισραὴλ*-ს მრავალი მნიშვნელობა აქვს და, სხვათა შორის, ესეც: სიმძიმე, სიძნელე, ქირი, უბედურება; „ბნელიც“ ამავე გაგებითაა აქ ნახპარი.

7. იოზ. 6, 13: *Ἦ ἰσὺ ἐπ' ἀντὶ ἐπεποίηειν; βιοήθειαι εἰς ἀποδῶν*
ἄπειρα γ'

ოშკ. ანუ მე არა მას ვესვებ? შეწევნაჲ ჩემი მისგან არს, განმეშორა ძალი ჩემი [გამომც.: მოსალოდნელი იყო «შეწევნაჲ განმეშორა ჩემგან»].

ვულგ. ანუ არა ვესავ მას ზედა, ხოლო შეწევნა ჩემგან განე-შორა.

ოშკი იძლევა გავრცობილ თავისუფალ თარგმანს, აზრი ბერძნული ტექსტისა კარგადაა გადმოცემული და რატომ მიეცეს უპირატესობა ვულგატას ფრთაშეკვეცილ წაკითხვას?

8. იოზ. 11, 16: *ἀπαρ ἡμῶν παρελήθη*.

ოშკ. ვითარცა ღელვანი წარჯდენ [გამომც.: მოსალოდნელი იყო „წარჯდომილნი“].

ვულგ. ვითარცა ღელვა თანა-წარჯდომილი.

თუ გავითვალისწინებთ ოშკური ბიბლიის თარგმანის ტიპს, მაშინ მოცემული ფორმის საპირისპიროდ სხვა რომელიმე წაკითხვა არაა სავარაუდო. „ქართული თარგმანის“ ავტორს ჩვენ ვერ შევზღუდავთ და ვერ მოვთხოვთ, რომ ბერძნული participium-ი აუცილებლად ქართული მიმღებობით მოგვეცეს ტექსტში. ამას შემდგომი პარალელური თარგმანიც კარგად ცხადჰყოფს:

τὸς ἀπελάξῃ, τὸς ἐκ διασπασῶν παροισπέτασόμενος (part. pr.) (PG. t. 36, გვ. 557).

ექვთ.: რისხვანი მეფისანი და მსაჯულთანი, რომელნი მოვიღინებოდეს (ნამ. უწყ.) მისდა (A/1, გვ. 324).

ეფრ.: შინებათა სამსჯავროთა დასისაგან მოვიღინებულთა, (მიმღ. ნამყ.) მისსა (A/109, 80 ა₄ ზემ.).

9. იოზ. 19, 29: *καὶ τότε γυῶσονται πῶς ἀντὶν ἡ σὺν ἔσθιν*.

ოშკ. და მაშინ ცნან, სადა არს მათი იგი სიმაართლე [გამომც.: ასეა, MT მათნი ნივთნი].

ვულგ. და მაშინ სცნა სადა არს მათნი ნივთნი.

ლათ. et scitote esse iudicium.

სღე აქ ნახპარია „ნივთიერი საბუთის“, „დამამტკიცებელი საბუთის“, „სიმაართლის“ მნიშვნელობით. ასევე გაუგია ეს ადგილი ლათინური ტექსტის ავტორსაც (iudicium), და ვულგატას წაკითხვას არავეითარი უპირატესობა არ გააჩნია ოშკურთან შედარებით.

10. იოზ. 20, 25: *διεξέλαθι μετὰ σάματις ἀπὸν βέλοϛ.*

ოშკ. განვედინ გულსა მისსა ისარი [გამომც.: მოსალოდნელი იყო „გუამსა“].

ვულგ. და რათა განვიდეს შორის ჯორცისა მისისა ისარი.

„გულს ისრის გაწონვა“ ქართული იდიომაა და ამიტომ არ გაუწია ანგარიში მთარგმნელმა „სინუსტეს“.

11. იოზ. 29, 9; *ἀνδρῶν δὲ ἐπαρσασατο λαλοῦντας, ὁ ἀκτασλον ἐπιειθέντες ἐπὶ στήματι ἀχῆνυ.*

ოშკ. მთავარნი [გამომც. უნდა „მჭევრნი“, ან „ბჭევრნი“] დადუმნეს სიტყვაგან და ჯელი დაიდევს პირთა მათთა [გამომც. უნდა „თითი დაიდევს“?].

ვულგ. ხოლო დიდ შემძლენი მეტყუელნი დასცხრებოდეს, თითთა დაისხმიდეს პირთა.

„პირზე ხელის დადება“ ქართული იდიომაა, „პირზე თითის დადებას“ ქართულად არ ამბობენ და ამიტომ შეცვლა ვულგატის მონაცემით საჭირო არაა.

12. ესაია. 22, 21: *καὶ ἔσται ὡς πατήρ τινος ἐνοικῶσιν ἐν Ἱερουσαλήμ, καὶ τινος ἐνοικῶσιν ἐν Ἰούδα.*

et erit quasi pater habitantibus Ierusalem, et domui Iuda.

ოშკ. და იყოს იგი ვითარცა მამა მკვდრთა იერუსალემისათა და კაცთა [გამომც. უნდა „მკვდრთა“] იუდასთა.

ვულგ. და იყოს ვითარცა მამა და იერუსალემს შინა დამკვდრებულთა შორის, და კაცთა იუდასთა.

კარგი სტილის საუკეთესო ნიმუშია: ბერძნული *ἐνοικῶσιν* ბაღდად პირველად იხმარა „მკვდრთა“, მეორე შემთხვევაში კი „კაცთა“, რომ ამით თავიდან აეცილებინა ტავტოლოგია. ოშკის ბიბლიის გავლენით ასევე მოქცეულა ვულგატას მთარგმნელიც. („დამკვდრებულთა—კაცთა“).

13. ესაია. 27, 12: *ἄμαρξ δὲ σπυαγᾶγετε τοὺς σείους Ἰσραὴλ καὶ ἔνα ἔνα.*

ოშკ. ხოლო თქვენ შეკერებით ძენი ისრაელისანი თითოეული. [გამომც. მოსალოდნელი იყო „შეკრიბებით“].

ვულგ. ხოლო თქუა შეკრიბებით ძენი ისრაელისანი თითოეულნი. მოსალოდნელი იყო არა „შეკრიბებით“, არამედ „შეკერებებით“ ან „შეკრებებით“ (=შეიკრიბებით, თავს მოიყრიით ერთად).

14. ესაია. 29, 6: *καὶ φθῆξ πῦρξ κατ᾽εσθῆσοσσ.*

ოშკ. და ალითა ცეცხლისა შემწუჟველისა მათა [გამომც. მოსალოდნელი იყო „შემჭმელისა მათა“].

ვულგ. და ალი ცეცხლისა, შემჭამელი.

ჩვენნი აზრით, მშვენიერი „ქართულია“: ცეცხლი სწორედ რომ „წვავს“ და არა „შჭამს“. „ცეცხლი შემწუჟელი“ (=ცეცხლი დამწუჟელი) იდიომაა და მისი ხმარა ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ოშკის ბიბლიის მთარგმნელს.

15. ესაია. 30, 30: *καὶ ὡς ὄνειρ καὶ χᾶμα ἄσχυαταφρομένη ψα.*

ოშკ. და ვითარცა წყმაჲ [გამომც. მოსალოდნელი იყო „წყალი“] და სეტყუჲ ერთბამად გარდამოვალნ მძაფრი.

ვულგ. და ვითარცა წყალი და სეტყვა გარდამოსრული დაპატიჟებით.
ლათ. *allidet in turbine, et in lapide grandinis.*

სიტყვა *შნაჲ* „წვიმისაც“ ნიშნავს. ციდან, ქართველის თქმით, მოდის „წვიმა“ და არა „წყალი“. ასე გასინჯეთ, როცა ამ სახის ატმოსფერული ნალექი კოკისპირულია, მაშინაც ქართველი მას „კოკისპირულ წვიმას“ ეძახის. ასევე კარგად მოქცეულა ლათინურად მთარგმნელი: მას *შნაჲ* გადმოუცია *turbine*-თი, რაც (*turbo, inis*) „ქარიშხალს“, „გრიგალს“ ან „ქარაშოტს“ ნიშნავს.

16. **ესაია.** 33, 3: *Διχ φωνη των φρβου σου ελξεταισαν λαου ძαბ του φρβου σου, και δεσπαρησαν τα ξιθυ.*

ლათ. *A voce angeli fugerunt populi, et ab exaltatione tua dispersae sunt gentes.*

ოშკ. ვმითა შიშისა შენისაჲთა განჰკრთეს ერნი და სიმაღლისაგან [გამომც.: მოსალოდნელი იყო „შიშისაგან“] შენისა განეთესნეს წარმართნი.

ვულგ. ვმისათჳს შიშისა შენისა, განჰკრთეს ერნი შიშისაგან შენისა და განეთესეს ნათესაენი.

ოშკის ბიბლიის მთარგმნელს კარგად გაუგია ბერძნული დედნის შინაარსი: მან პირველი *ფრბჲ* გადმოსცა „შიშით“, ხოლო მეორე კი—„სიმაღლით“, რაც მნიშვნელობით არის „საშინელება“, „ქედმაღლობა“. ასევე სწორად უვარაუდნია ლათინური ტექსტის მთარგმნელს, როცა მას ეს სიტყვა *exaltatione*-თი (სახელიდან *exaltatio*) გადმოუცია. ტექსტიდან ამ გადახვევით ოშკური ბიბლიის მთარგმნელმა ორი რამ მოიმოქმედა: 1. თავიდან აიცილა ვულგატასებური ტაეტოლოგია (შიშისა—შიშისაგან) და 2. გადმოგვცა ზუსტი ნიუანსი მეორე *ფრბჲ*-ისა.

3. აღდგენა

უნიკუმში მოცემული ძეგლის ტექსტის დადგენისას ნაკლულ სიტყვათა თუ წინადადებათა აღდგენა სხვა რედაქციის მიხედვით და მათი ტექსტში შეტანა რომ მეცნიერულად გაუმართლებელი საქმეა, ამის შესახებ ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ ამ წერილის II თავში და მასზე აქ არაფერს ვიტყვით. გარდა იმისა, რომ კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ყველა წაკითხვა სქოლიოშია ჩასატანი, ისინი მატერიალურად სხვა მასალას წარმოადგენენ და ბიბლიის სიმფონია რომ შედგეს, მათ იქ ადგილი არ უნდა ექნეს.

4. ორთოგრაფია

ა) *შ*-ს ხმარება: როგორც ცნობილია *შ* VII—VIII საუკუნეთა ძეგლებში იხმარება ა) *ე*-ზე გათავებულ ზოგად და საკუთარ სახელთა ნათესაობითში, ბ) უცხო სიტყვების გრძელი *ე*-ს (*ηξ*) გადმოსაცემად და ც) „შშნება“ ზნაში. რაც შეეხება მომდევნო საუკუნეებს, *შ*-ს ხმარების სფერო ფრიად გაფართოვდა: ის იხმარება ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევის გარდა იქაც, სადაც მოსალოდნელია ე და თითქმის ყველგან უ-ს კომპლექსში (უკუშ, ჩუშნ

etc) და ჩვენ არ ვიცით X საუკუნის ძეგლში (მხედველობაში გვაქვს ოშკური ბიბლია) რატომ მაინცადამაინც უნდა დავიცვათ ეს არქაული ორთოგრაფია და უკუგადოთ თანამედროვე მართლწერა, რომელიც ეპოქის დამახასიათებელია?

ბ) **ო-უ მონაცვლეობა:** ამ ორი ხმოვნის მონაცვლეობა საერთოდ ძველ ქართულში და კერძოდ წინამდებარე ძეგლში ისე ხშირია (სხორებულსა || სხურებულსა, სადგორსა || სადგურსა, ცროსსა || ცრუსსა etc.), რომ მათი გაუსწორებლობით არც ტექსტი დაზიანდებოდა და სქოლიოებიც განიტვირთებოდა.

გ) როგორი მაღალი კვალიფიციური მწერალი და გადამწერელი არ უნდა იყოს, მას, როგორც ცოცხალი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელს, ხშირად კალმის წვერიდან გაუსხლტება დიალექტური გამოთქმები და კარგად მოქცეულა გამომცემელი, როცა დაუტოვებია ამ ნიადაგზე წარმოშობილი პარალელური ფორმები: იწრაფა (შეს. 19, 29), ისწრაფა (შეს. 18, 6), ცხომდა (შეს. 47, 28) ცხონდა (შეს. 50, 22) etc. მაგრამ თუსა (8, 13), მრწემსა (შეს. 25, 23), სულთქუმიანი (გამ. 24, 6) და სხვა მონაცემებიც ხომ იმავე კატეგორიისაა, როგორც ზემოდასახელებული პარალელური ფორმები? აქ ხომ მეტყველებასა და დამწერლობას შორის ე. წ. „კონფლიქტის“ გამოვლენაა და რატომ მათი შეწყნარებაც არ შეიძლებოდა? დიალექტურ მონაცემებს უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ენათმეცნიერებაში ამა თუ იმ ეპოქის ფონეტიკის სათვალისწინებლად¹.

5. **დაკლებული ადგილების** შეუვსებლად დატოვება იმ მიზეზით, რომ მცხეთური ბიბლია „მთლად თუ არა, უმეტესად მაინც სხვა რედაქციისაა“², ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რომ ასეთი ადგილები აღდგენილიყო, ბიბლიის ბეჭდვის დამთავრების შემდეგ ჩვენ ხელთ გვექნებოდა მთლიანი ტექსტი, შედგებოდა მისი სიმფონია და საშუალება მოგვეცემოდა უხვად გვესარგებლა იმ ძვირფასი ენობრივ-ლექსიკური საგანძურით, რომლის კარები დღემდე ჩვენთვის დახშული იყო.

დასასრულ, გულთაფი მადლობის ღირსია ამ დიდი კულტურული საქმის წამომწყები, ძველისა და ახალი ქართულის საუკეთესო ოსტატი, ძველისა და ახალი ქართული ენის ძეგლთა დახელოვნებული გამომცემელი ა. შანიძე, და ვუსურვოთ მას შედარებით მოკლე ხანში დაემთავრებინოს ნაკისრი საპატიო მოვალეობა—მეცნიერული პუბლიკაცია ბიბლიისა, რომელიც როგორც დაუშრეტელი წყარო ენისა, საიმედო საფუძვლად დაედება ძველი ქართული ენის იმ მეცნიერულ გრამატიკას, რომლის დიდ საჭიროებას ასე მწვავედ განიცდიან დღეს ამ დარგში მომუშავენი.

¹ ჩვენი აზრით, ამ ხასიათისაა სუმონ—სუმეონ (შეს. 34, 14), მვევალად—მვევლად (შეს. 29, 24) და სხვა, რომელთა გასწორებაც არ იყო აუცილებელი.

² წიგნი ძველისა აღთქუმისანი, ტომი I, ნაკვ. I, გვ. VII.

8. კახაქი

შენიშვნები ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან*

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეხებით ორ ბოტანიკურ ტერმინს: გ რ ი კ-სა და ტ ე გ ა ნ ს, რომელთაგან პირველი დამოწმებულია ოსკური ბიბლიისა და „ექუსთა დღეთას“ ტექსტებით, ხოლო მეორე—ოთხთავის მიხედვით.

1. გ რ ი კ ი

1. იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი: вереск—ღვია. верес—ჩადუნა¹.
2. სა ბ ა: გ რ ი კ ი მთის ყოლო.
3. დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი: გ რ ი კ ი, ს. მ ც ე ნ. მთის მაყვალი, ყოლო, малина, ბუნ. ლ.; საბას ლექს. და ბუნ. ლექ. ჰსწერია გრივი; საღუთო წერილში: იერ. 17,6 мирика, верес, ბუნ. ლექსიკონში: гребенщик, тамарикс (!).
4. ი ე. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი: верес, вереск—გრივი, მთის ჩადუნა, ბუჩქები, მარად მწვანე წვრილის ფოთლით, ჰყვავის პირის(!)ფრად ზაფხულის გასულს, აძლევს კარგ საზრდოს ფუტკრებს².
5. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე: верес გრივი. მთის ჩადუნა (მცენ.); вереск ველური ან იმერული (!) თაფლი, გრივი³.
6. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი და ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი: вереск, გრივი, ნეგო (მცნ.) [იო]. მთის ჩადუნა, გვიგირა, დათვის საგებელა⁴.
7. ა ლ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი: მანანა, ერიკა вереск Erica; იქვე: ყოლო малина Rubus idaeus L. მთ. მყვალი, მყოლი; მხვ. ქუბი; ხეს. ღვაფი, ხვაფი; თშ. ღვაფა; ხვაფა; მსხ. ყვალა; ზმ. რკ. ყოლა; ინგ. ქჭრაი; ქნ. დაძი კანდღუ; მგრ. იმღვა, ინღვა, ბალიშ მუყი; სენ. ინლა; იქვე: ჩადუნა шиповник და სხვ⁵.

როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, სიტყვა გრიკის განმარტებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა და მისი ზუსტი ქართული შესატყვისის მოძებნა სათანადო დარგის სპეციალისტებმა უნდა იკისრონ. ჩვენ აქ უფრო გვიანტერესებს ფორმა გ რ ი კ ი ს გენეზისი და ამ მიზნით გამოვიყენებთ ძველი ალექსის პარალელურ ტექსტებს:

* მოხსენდა ისტორიის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების სწდომას 1950 წლის თებერვალში.

¹ საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი H/2328.

² რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი ივ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით. II, თბ. 1899 წ.

³ ი ლ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ნაწ. I, თბილისი, 1927 წ.

⁴ რუსულ-ქართული ლექსიკონი. შედგინეს პროფ. გ. ს. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი და ს. გ. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი მა პროფ. გ. ს. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს რედაქციით. ტ. I, თბილისი, 1931 წ.

⁵ ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949.



იერ. 17,6: *Και ἔταυ ἄς ἡ ἀγριόσυριχη ἢ ἐν τῇ ἐρήμῳ*
და იყოს იგი ვითარცა გრიკი ველისა უდაბნოსა შინა¹.

სხვა ენებზე არსებულ ბიბლიის სარგმანებში *საყრუ-ს* ბადალი სიტყვებია:
სომხ. *ძიუჯ* (тамариск, гребенчик²), ლათ. *myrica* (ვერ უთარგმნიათ), რუს.
вереск, ფრ. *bruyère* (вереск), გერმ. *Heide* (вереск) და ინგლ. *heath* (вереск).

ამ შესატყვისობებიდან ჩანს, რომ *საყრუ-ს* განსაზღვრებაშიც არ არსებობს აზრთა ერთობლივობა: საძიებელი სიტყვა *тамариск-იცაა*, *гребенчик-იც*
და *вереск-იც*. ამ საკითხის ვარკვევაც არ შემოდის ჩვენს კომპენტენციაში:
ჩვენ ვვინტერესებს როგორ გაჩნდა ძველ-ქართულში გრიკი? სავარაუდებელია,
რომ გრიკი ბერძნულ გრაფიკულ ნიშნადგება წარმომდგარი ასე: *საყრუ-ს*
ქართველმა მთარგმნელმა ბადალი სიტყვა ვერ მოუძებნა ქართულში და ამჯო-
ბინა დაეტოვებინა იგივე ბერძნული ფორმა ქართული ტრანსკრიფციით (ამავე
გზას დასდგომია ბიბლიის ლათინურ ენაზე მთარგმნელიც) და შეცდომაც აქ
გაჩნდა: *საყრუ-ს* ში მან *საყრუ-ს* როგორც *ყ*, ხოლო *ს* სულ გამორჩა, *რ* ბი-
ზანტიური ეპოქის გამოთქმით ი-დ დაწერა და გამოუვიდა გრიკი. ასეთი
შეცდომა რომ ადვილად შესაძლებელია მოსვლოდათ, ამაში ყველა დაგვერ-
წმუნება, ვისაც კი ჩაუხედავს ბერძნულ ხელნაწერებში, რომლებიც ლიტერატურ-
ების სიმდიდრითაა ცნობილი. რომ ასეთი შეცდომა არ მოსვლოდა მთარ-
გმნელს, მივიღებდით სავსებით სწორ ფორმას მირიკი-ს და მისი დატოვე-
ბაც ქართულში მიზანშეწონილი იქნებოდა ისევე, როგორც რუსულში *мирика-ა*.

ძნელია იმის თქმა, თუ ვინ დაუშვა პირველად ასეთი შეცდომა, მაგრამ
ამ გაუმართლებელმა მახინჯმა ტერმინმა რომ სამოქალაქო უფლება მოი-
პოვა როგორც ძველს³, ისე ახალ მწერლობაში, აშკარაა. ეს არის პირველი სა-
ფეხური ამ სიტყვის დამახინჯების ისტორიაში. მეორე საფეხური მისი სახე-
ცვლისა არის „გრივი“, რაც უდავოდ მხედრულში კ და ვ-ს აღრევის გზითაა
წარმოშობილი: *საბას* ლექსიკონის *კოპიოში*⁴ კ-ს ალბათ ცოტათი მოზრდი-

¹ A/471, ოშკის ბიბლიის პირი გადაწერილი 1851 წ. ნ. კაპარავას ხელით (იხ. აგრეთვე
კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 382).

² იხ. აღ. ხუდაბაშიანის სომხურ-რუსული ლექსიკონი *ს. v. ძიუჯ* (Москва, 1838).

³ როდესაც „ძველ-მწერლობას“ ვამბობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ოშკური ბიბლიის
გარდა ბასილ დიდის „ექუსთა დღეთა“, რომლის პუბლიკაციისას ჩვენ გავასწორეთ ორთო-
გრაფია ორი სიტყვისა: „მინთა“ (ნაცვლად „მინთისა“) და სელაპი სელაქი (ნაცვლად „სელა-
პისა“) [იხ. დასახ. წიგნი, გვ. 067. შწმ. 2 და მისი „ლექსიკონი“ *ს. v. იმინთი*]. რითაც გრი-
კი მესამე სიტყვაა, რომლის გასწორების საშუალება ჩვენ მოგვცა ზემოდასახელებულმა ძვე-
ლმა, და ვდოქრობთ, სათანადო დარგთა სპეციალისტები ამ კორექტივებს მომავალში მაინც
გაითვალისწინებენ. საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ ფორმა „გრიკის“ სადატურობით *ა. მ. აყა-*
შვილი ი დაინტერესდა.

სხვათაშორის ჩვენი ვარაუდი „მინთის“ შესახებ გამართლდა მგერულისა და სენური
ენების მონაცემებით: მგრ. ყვალმითა, ყვალმინთა; სენ. მინთვ, მინთჳ, მინთორ. (იხ. აღ. მ. აყა-
შვილის დასახ. წიგნი, *ს. v. ტყის პიტნა* *Мята лесная, М. русская Mentha longifolia*).
როგორც ჩანს, ამ ენებში „მინთი“ არა მშვიგნობრული, არამედ ცოცხალ-
ი-მეტყველებებისგან შესულა.

⁴ სიტყვა *კოპიოს* ნახს ვუსვამთ იმიტომ, რომ საბას ავტორად ლექსიკონებში
(H/1035, H/1423) ვარკვევით წერია გრიკი. „საბას ლექსიკონში გრივი სწერია“
რომ ანბობს დ. ჩუბინაშვილი, სინამდვილეს არ შეესაბამება. ბოლოსდაბოლოს „გრივი“ საწყა-
ოს ერთეულად დიდი ნაწილა ცნობილი (საბა, ჩუბინაშვილი, ივ. ჯავახიშვილი) და ამას მაინც
უნდა დაეძვებინ ჩვენი ლექსიკოლოგები.

ლი მოკაუჭებული თავი ექნებოდა და ჩათვალეს ვ-ად (გრიკი→გრივი) ასე გაჩნდა ჩვენს ლექსიკონებში მცდარი ფორმები „გრიკი“ და „გრივი“.

2. ტ ე გ ა ნ ი

საბა: ტეგანი (11,42 ლუკა) ტარხუნა. ბერძნულში სხვა მხალი სწორია და ლათინურში სხვა და სომხურში სხვა. იქვე: ტარხუნა სხვათა ენაა, ქართულად ტეგანი ჰქვან; დ. ჩუბინაშვილი: ტეგანი ს. სადაფა ბალახი და არა ტარხუნა поган (!) ერის. ლ. рута; ივ. იმნაიშვილი: ტეგანი ტარხუნა (?)¹.

ლკ. 11,42: *Ἔτι ἀπίστανται τὸ ἦν ἰσχυρὸν καὶ τὸ πῆρξαι οὖν*

რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისასა და ტეგანისასა.

საბას განმარტებაში უნდა შეტანილ იქნას შემდეგი კორექტივები:

1. არაა სწორი, რომ თითქოს ტეგანის ბადალ სიტყვებად ბერძნულსა, ლათინურსა და სომხურში სხვადასხვა მხალი ეწეროს (*πῆρξαι* = *ruta* = *ჩხყანა*).
2. ტეგანი ქართული არაა, იგი ბერძნულიდან მომდინარეობს.

დ. ჩუბინაშვილი მართალია იმაში, რომ ტეგანი „ტარხუნა“ არაა, მაგრამ поган-ში გაჰპარვია ბექდვითი შეცდომა (უნდა იყოს перган-ი).

რაც შეეხება ივ. იმნაიშვილს, იგი დაეჭვებულა ამ სიტყვის მნიშვნელობაში და „ტარხუნა“ კითხვითი ნიშნით დაუწერია. რომ ტეგანი „ტარხუნა“ არაა, ეს ცნობილი იყო სპეციალურ ლიტერატურაში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით და მისი მნიშვნელობის დასაზუსტებლად ოთხთავის პარალელურ ტექსტებისათვის უნდა მიემართა. მართლაცდა, ეს ორი სხვადასხვა მცენარეა: ტეგანი = *рута* *Ruta graveolens*, ხოლო ტარხუნა = *εστραγον*, *Artemisia dracunculus*².

საინტერესოა ამ სიტყვის გენეზისის საკითხი: ტერმინი ტეგანი (|| ტეგანი), რომელსაც დღეს ქართულში სამოქალაქო უფლება აქვს მოპოვებული და ლექსიკონებშია შესული, წარმოშობილია ბერძნული τ-სა და π-ს აღრევის ნიადაგზე (τ-*ῆρξαι* → π-*ῆρξαι*). ეს ლიტერატურული გზით მიღებული გრაფიკული შეცდომა შემდგომ გასულა ცოცხალ სამეტყველო ენაში (მაგ., გურულში) და დამკვიდრებულა როგორც სწორი ფორმა.

რომ ჩვენს ძველ ქართველ მწერლებს აღნიშნული შეცდომა არ მოსვლიდათ (τ-სა და π-ს აღრევას ვგულისხმობ. მ. კ.), მაშინ ქართულში „ტეგანი“ უნდა შესულიყო.

¹ ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I (V—X საუკუნეების ძეგლები). გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა ა. შანიძის რედაქციით, 1949.

² ა. მაყაშვილი, დასახელებული ლექსიკონი s. v. ტეგანი, ტარხუნა.

ი. ზეილიძე

არქეოლოგიური გათხრა ს. ლუნია-ყალაში

1947 წლის ზაფხულში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა წალკაში მიაღწინა არქეოლოგიური ექსპედიცია¹. მას დაევა არქეოლოგიური გათხრა ს. ლუნია-ყალას გორაკისა, რომელიც ხრამჭესის კაშხლის გადაკეტვის შემდეგ ნასოფლართან ერთად წყალ ქვეშ უნდა მოქცეულიყო.

სოფ. ლუნია-ყალა მდებარეობდა რაიონული ცენტრის, წალკის, დასავლეთით, დაახლოებით 8 კმ მანძილზე, ე. წ. ბეშთაშნის ტაფობში, სადაც ამჟამად ხრამჭესის ხელოვნური ტბაა. ძველი ლუნია-ყალას მაგიერად, ტბის სამხრეთ ნაპირას მდებარე ფერდობებზე, შარა გზის გასწვრივ გაშენდა ახალი ლუნია-ყალა.

ძველი ლუნია-ყალა მდებარეობდა ნოციერ ნიადაგიან ბეშთაშნის ტაფობში, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირას, მის ტერასაზე. ამ ვაკობის აბსოლუტური სიმაღლე დაახლოებით 1500 მ აღწევდა. სოფლის ცენტრალურ ნაწილში იყო პატარა გორაკი, რომელზედაც იდგა „ბერძნების“ მიერ აგებული, პატარა, უსახური საყდარი, წმ. ეკატერინეს სახელობისა.

ვახუშტის რუკის მიხედვით (მაშასადამე, XVIII საუკუნის დასაწყისში), სოფ. ლუნია-ყალას ადგილას ყოფილა თრიალეთის ერთ-ერთი მთავარი და ცენტრალური პუნქტი—წალკა. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში ვახუშტი წერს: „... ქციის კიდეზე არს ეკლესია გუმბათიან[ი], წალკას, დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა“ [1].

ამას ადასტურებს ლუნია-ყალას ძეგლები და ნაშთები, რომლებიც ე. თაყაიშვილმა სქემატურად აღწერა ქვემო ქართლში 1896—99 წ.წ. ისტორიულ-არქეოლოგიური მოგზაურობის შედეგად [2] და რომელთაც ფრაგმენტულად მოაღწიეს 1947 წლის მაისამდე.


XVIII საუკუნის ბოლოს, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, ეს ადგილები გაუქაყურდა და გაპარტახდა. 1829—33 წლებში რუსეთის მთავრობამ ქართველების მიერ მიტოვებულ ამ ადგილებში დაასახლა არზრუმის ოლქიდან მოსული, თურქულად მოუბარი „ბერძნები“. უკანასკნელებმა, ამ სოფელსაც ისევე როგორც თრიალეთის ბევრ სხვა ნასოფლარსა და ადგილს, ახალი სახელი, „ლუნია-ყალა“ უწოდეს.

¹ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. გობეჯიშვილი, ხოლო მონაწილეობდნენ მხატვარი კ. კვეციანი და ამ ნაშრომის ავტორი.



სოფ. ღუნია-ყალას ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ისტორიული ნაშთების შესახებ ფრაგმენტული ცნობები მოგვეპოვება ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრის არქეოლოგიური ლიტერატურიდან [3]. არსებითად კი იგი დღემდე მაინც შეუსწავლელი რჩებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირეგათხრას, რომელიც ბ. კუფტინმა ჩაატარა 1936—37 წლებში სოფლის დასავლეთით, 2—3 კმ მანძილზე მდებარე ძველ სამაროვანზე [4].

ხრამჭისის არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ ბეშთაშნის ტაფობის იმ ნაწილს, სადაც სოფ. ღუნია-ყალა მდებარეობდა, შემდეგი გეოლოგიური ჰრილი ახასიათებს: ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმემდე მდებარეობს შავი, მცენარეული ნაშთების შემცველი თიხები (ნიადაგი); მათ ქვეშ დელუვიური თიხებია და თიხნარები, დაახლოებით 1,0 მ სისქისა; შემდეგ მოდის მდ. ხრამის ძველი ალუვიონი—ქვიშნარები, ქვიშები და როპკი, დაახლოებით 1,5 მ სისქისა; ამ უკანასკნელს კი ფუძედ უგია ძველი ტბიური ნალექების—ყვეთელი თიხების და თიხნარების—სქელი ფენა. ტაფობს გარშემო, მაღლობებზე გამოდის სუსტად დანაოკებული ვულკანური განფენები (ანდეზიტ-ბაზალტები და დაციტები), რომლებიც ძირს უგია აგრეთვე ტბიურ ნალექებს ბეშთაშნის ტაფობში.



სურ. 1

ტაფობის წყლით ამოესებამდე სოფელში გრუნტის წყლები გაგრცელებული იყო დაახლოებით 3 მეტრ სიღრმემდე ალუვიონის ფენაში. ამჟამად კი პილროგეოლოგიური სურათი სულ სხვაა.

როგორც აღვნიშნეთ, სოფლის ცენტრალურ ნაწილში იყო საკმაოდ



სურ. 2


მოზრდილი გორაკი, რომლის ჩრდილო-დასავლეთ სექტორში იდგა პატარა უსახური ეკლესია. მის სამხრეთ კედელში და ამ კედლის დასავლეთ გაგრძელებაზე კარგად ჩანდა ძველი ნაგებობის კედლის ნაშთი (სურ. 1). ირგვლივ ელაგა დიდი ლოდები, რომლებიც, შესაძლებელია, ძველი გალავნის ნაშთები ყოფილიყო. თვით ბორცვის ზედაპირზე კი აქა-იქ მოჩანდა დიდრონი ბრტყელი ლოდები—საფლავის ქვები.

გათხრის დაწყებამდე შედგენილ იქნა გორაკის გეგმა¹. ამ გეგმიდან ჩანს, რომ გორაკის ფუძის დიამეტრი დაახლოებით 20 მ, ხოლო შეფარდებითი სიმაღლე 2 მ-დე აღწევდა (სურ. 2).

რადგან ერთი თვის შემდეგ გორაკი წყალს ქვეშ უნდა მოქცეულიყო და თანაც ის საკმაოდ მოზრდილი იყო, ექსპედიციას მისი მთლიანად გათხრისათვის არც დრო ჰქონდა და არც საშუალება. ამიტომ ექსპედიციამ თხრა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული და თითქმის ბორცვის ცენტრზე გამავალი, ორი მეტრის სიგანის საზევრავე თხრილით დაიწყო. ამ თხრილის ამოღება შეძლებისამებრ ფენა-ფენა წარმოებდა ბუნებრივი გრუნტების სუბსტრატამდე. ზოგ უბნებზე კი, სადაც ექსპედიციამ საჭიროდ მიიჩნია, ჩატარდა ძეგლების ფაქიზი პრეპარაცია.

გათხრის შედეგად დადგენილ იქნა, რომ ბორცვი ხელოვნურადაა შექმნილი, იგი სასაფლაოა და შედგება ოთხ სართულად განლაგებული ქვაყუთებისაგან. ზედა სამ სართულში ქვაყუთები ზომითაც, მოყვანილობითაც და ფილა-ქვების პეტროგრაფიული შემადგენლობითაც ერთგვაროვანია. ქვედა სართულის ქვაყუთები კი, რომლებიც ნაწილობრივ ალუვიონშია ჩაჭრილი, განსხვავდება ზედა სართულთა ქვაყუთებისაგან უმთავრესად ქვა-ფილების სისქით და ქანების პეტროგრაფიული შემადგენლობით.

I-I




სურ. 3

პირობითი ნიშნების განმარტება

1. ნიადაგი. 2. შავი, მკვრივ-პლასტიკური თიხები, ხის ნახშირის ნატეხებითურთ. 3. დიდი და პატარა ქვის ნატეხები, კირის დუღაბის ნატეხები, ყვითელ თიხნართან შერეული. 4. შავი, მკვრივ-პლასტიკური თიხები. 5. ყვითელი, მკვრივ-პლასტიკური თიხები, არაერთგვაროვანი, წვრილი ხრეშითურთ. 6. ყვითელი, ზოგან შავი, მკვრივ-პლასტიკური თიხები და თიხნარები; ქვის ნატეხების, კერამიკის ფრაგმენტების და ადამიანის ძვალთა ნატეხების, ჩანართებითურთ. 7. შავი, მკვრივ-პლასტიკური თიხები. 8. ხეინ-

¹ გეგმა შეადგინა ტოპოგრაფმა დ. ჩიკოვსკიმ.



Լսր. 4

ქიანი ქვიშნარები და ქვიშები. 9. ყვითელი თიხნარები, ქვიშნარები და სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშები ხეინჯის ლინზებით. 10. ლოდები. 11. ზედა სართულთა ქვაყუთები. 11. ქვედა სართულის ქვაყუთები. 13. გათლილი ქვები (ზეძირკვლისა და კედლის წყობა). 14. კედლის შესავსებად ჩაყრილი და კირით შედუღებული ქვები.

იმავე თხრილის ჩრდილო ნახევარში აღმოჩნდა აგრეთვე ნაგებობის კედლის ნაშთები და საძირკველი.





თხრილის დასავლეთი კედლის ქრილიდან ჩანს, რომ გორაკის სუბსტრატს წარმოადგენს ბეშთაშნის ტაფობისათვის დამახასიათებელი ალუვიური ნალექები—ქვიშნარები, ქვიშები და როჰკი (სურ. 3). ქრილის ხელუხლებელ უბნებში, მაგალითად, ნაგებობათა საძირკველქვეშ, ალუვიურ გრუნტებს ზემოდან ადევს შავი, მკვრივ-პლასტიკური თიხები (ნიადაგი). გორაკის დანარჩენ ადგილებში კი ალუვიონს უშუალოდ მოსდევს სხვადასხვა მექანიკური და ფიზიკური თვისების მქონე კულტურული ფენები, რომლებშიაც ხშირად გვხვდება ადამიანის ძვლისა და სხვადასხვა კერამიკული ქურჭლის ფრაგმენტები, ხის ნახშირის ნაჭრები და სხვა.

იმ დიდმა ინტერესმა, რომელიც გამოიწვია თხრილის ჩრდილო ნაწილში აღმოჩენილი ნაგებობის ნაშთების ერთმა ნაწილმა, ექსპედიციის წინაშე დააყენა საკითხი ნაგებობის მთლიანად გათხრისა. ამ შემთხვევაშიც მიწა ვაითხარა ფენა-ფენადა მის ქვეშ, დაახლოებით 0,5—1,0 მ სიღრმეზე, აღმოჩნდა ერთნაირი საყდრის ნაშთები, რომელსაც სამხრეთით მინაშენი ჰქონდა; ხოლო მის დასავლეთ გაგრძელებაზე გამოჩნდა მეორე ნაგებობის ნაშთი, თუმცა მისი სამხრეთი კედლის ნანგრევები ისედაც კარგად ჩანდა მიწის ზედაპირზე (სურ. 4).



პირველი საყდრის სიგრძე—11,85 მ უდრის, სიგანე—6,00 მ (კედლების სისქის ჩათვლით); მინაშენის სისქე იგივეა, რაც საყდრისა, ხოლო სიგანე 2,70 მ; კედლების სისქე 0,9 მ უდრის. აღმოსავლეთით საყდარს ნალისებური მოყვანილობის აბსიდი ჰქონია, სამხრეთ კედელში—კარი, ხოლო მის პირდაპირ, მინაშენში—თაღებიანი კარიბჭე, რომლის შუა სვეტის ძირილა იყო გადარჩენილი.

ამ საყდრის საძირკველი თავისებურია. იგი წარმოადგენს თხრილში ერთპირად ჩაწყობილ და თიხით შედუღაბებულ დიდ ლოდებს, ანდეზიტბაზალტისას. ამ ლოდების ზედაპირს ჰორიზონტული მდებარეობა აქვს და მასზე ერთპირად აწყვია სუფთად გათლილი კვადრები (ზეძირკველი), ხოლო ამ უკანასკნელზე ამოყვანილია კედლები; კედლების ვარეთა პერანგი მოპირკეთებული ყოფილა გათლილი, ბრტყელი ფილებით, გული კი წარმოადგენს დადუღაბებულ ნატეხ ქვას, რომელიც ფილების შიგნითა ხორკლიანი პირით აკავშირებს პერანგსაც (სურ. 5).

სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების გასწვრივ ამოღებულ თხრილებში აღმოჩნდა მოყვითალო ტუფის ჩუქურთმიანი ქვის ფრაგმენტები და ანდეზიტის ლორფინები. ეს ადასტურებს, რომ საყდარს ადგილ-ადგილ ჩუქურთმები ამკობდა და ლორფინის სახურავი ჰქონია.



მეორე საყდარი პირველზე მცირე ყოფილა, მისი სიგრძე 8,60 მ უდრის. მასაც სამხრეთი მინაშენი ჰქონია, ხოლო სამხრეთ კედელში—კარი. მინაშენში კარებისა აღარაფერი ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი აქაც



სურ. 6

ისეთნაირად იქნებოდა განლაგებული, როგორც პირველ საყდარში. მისი აბსიდის შესახებაც ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ გავითხრია. აღვილი შე-

სადღებელია, რომ დიდი, პრიზმული მოყვანილობის ტრაპეზის ქვა, რომელიც „ბერძნების“ ახალ საყდარში იდგა, მეორე ძველი საყდრის ტრაპეზის ქვაა და მისთვის ხელი არ უხლიათ ახალი საყდრის აშენებისას.

მეორე საყდრის ნაშთები გვიჩვენებს, რომ მისი შენების ტექნიკა განსხვავდება, პირველი, ძველი საყდრის შენების ტექნიკისაგან: მისი საძირკველი უფრო ღრმადაა ჩაყრილი და კირით შედგენილი ნატეხი ქვისაგან შედგება. საძირკველი არა აქვს. კედლები აშენებულია კირით შედგენილი მსხვილი ნატეხი ქვით. კედლის გარეთა და შიგნითა პირის ნატეხი ქვის გარჩევა კედლის გულის ნატეხი ქვისაგან მხოლოდ ზომით შეიძლება. ნაპირებზე მოზრდილი ნატეხებია დაწყობილი, ხოლო გულში—მცირე ნატეხი ქვა. საყდრის სამხრეთი კედლის ერთად-ერთი გადარჩენილი ნაწილის მიხედვით კედლის სიმაღლე 3,65 მეტრია. მისი კარნიზი მეტად სადა ყოფილა (სურ. 5, ქრილი V—V').

თხრისას პირველი საყდრის შიგნით და ორივე საყდრის მინაშენში აღმოჩნდა ორ სართულად განლაგებული ქვაყუთები, რომლებშიც თითო ან რამდენიმე ადამიანის ჩონჩხი იყო. აღსანიშნავია, რომ იმ ქვაყუთებში, სადაც ადამიანის რამდენიმე ჩონჩხი აღმოჩნდა, სულ ზევით მდებარე ჩონჩხი წესიერად იდო, ხოლო ძირს მდებარე ჩონჩხები აშლილი და ზოგან არეულიც კი იყო.

საზვერავე თხრილში ისევე როგორც საყდრებში, გაშიშვლებული ქვაყუთები (ყველა სართულში), ერთნაირად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენა დამხრობილი (სურ. 6—632). მიცვალებულები დაკრძალული არიან გულაღმა, თავით აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. როგორც ამ პერიოდის ყველა სხვა სამარხში, აქაც მიცვალებულთათვის თითქმის არავითარი ნივთი არ ჩაუტანებიათ. მხოლოდ რამდენსამე საფლავში, მიცვალებულის მკერდს ახლოს, აღმოჩნდა თიხის სხვადასხვაგვარი ჭრაქები (სურ. 6—5), ხოლო ერთ სამარხში თითზე ბრინჯაოს ბეჭედი და მკერდის არეში რამდენიმე მძივი [6].

თხრისას სამხრეთ ნახევარში, დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეზე, მეორე და მესამე სართულის ქვაყუთებს შორის მდებარე კულტურულ ფენაში, აღმოჩნდა პატარა, პირამიდული მოყვანილობის ქვის სტელის ფრაგმენტი ასომთავრული წარწერით. წარწერა ამოჭრილია როგორც სტელის ფასალზე, ისე მის ამოღარულ გვერდზე (წერტილებით). ეს წარწერები ერთსა და იმავეს გადმოგვცემს და ასე იკითხება: **Ⲑⲓ Ⲛ̅ⲓ**—თე წი ე. ი. „თველორე წმიდაი“.

პირველი საყდრის გეგმა, სამაშენებლო ტექნიკა და მინაშენის შესავალთან მდებარე სვეტის ძირი (სურ. 6—2), თითქმის ზედმიწევნით ჰგავს იმ საყდრებისას, რომელნიც ხუროთმოძღვრებმა ნ. ჩუბინაშვილმა და რ. შმერლინგმა შეისწავლეს თრიალეთში—სოფ. სოფ. ოლთისში (ახლანდელ კუში) და თეთრ წყაროში (ახლანდელი აიაზმა) [5]. ამიტომ სულ ადვილი დასაშვებია, რომ ჩვენი ექსპედიციის მიერ გათხრილი პირველი საყდრის ნაშთები ეკუთვნოდეს VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასა-

წყისს.¹ რაც შეეხება მეორე საყდარს, ის უფრო ახალია. დროის მანძილი მათ შორის საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რადგან მეორე საყდრის აღმშენებელს, მართალია, ძირითადად გაუმეორებია პირველი საყდრის გეგმა, მაგრამ სულ სხვა, გვიანდელი ტექნიკით აუშენებია. ამასვე უნდა ადასტურებდეს პირველი საყდრის მახლობლად აღმოჩენილი, ორნამენტაანი ქვის ფრაგმენტები (სურ. 3,4).

რადგან პირველი საყდრის აბსიდისა და კედლების ქვეშე სამარხები არ არის, შეიძლება დავუშვათ, რომ საყდრის აშენებისას ეს სამარხები არ ყოფილა და ამიტომ სასაფლაოს ქვედა სართულის ქვაყუთები უდაოდ უნდა ეკუთვნოდეს პირველ საყდარს, დანარჩენი სამი სართული კი, პირობით, ორსავე საყდარს. სასაფლაოს ზედა ფენებში აღმოჩენილი ქურჭლის და ლურჯი მინის სამაჯურის ფრაგმენტები შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ სასაფლაოს ასაკი XIII—XIV საუკუნეებამდეც აღწევს. ამასვე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ სასაფლაოზე ვერ ვხვდებით იმ საფლავის ქვებს, რომლებიც ასე აშკარად ახასიათებს ქვემო ქართლის გვიან-ფეოდალური პერიოდის სასაფლაოებს.

¹ სოფ. ღუნია-ყალაში ადრეფეოდალური ხანის ნაშთების არსებობაზე მიუთითებს აგრეთვე გორაკის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 100 მ მანძილზე მდებარე ანდენიტ-ბაზალტის კვარცხლბეკი ბოლნური ჯვარის გამოსახულებით (სურ. 6—1) (შეად. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია. ტომი 1, 1936. გვ. 42).

ციტირებული ლიტერატურა

1. ვ ა ხ უ შ თ ი—აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1941, გვ. 42.
2. Е. Т а к а й ш в и л и—Археологические экскурсии, разыскания и заметки. Известия ИКОИМАО. Выпуск III, Тифлис, 1913, стр. 23—26.
3. А. Я. И о а к и м о в—Выписка из дневника археологических работ на Цалке. ИКОИА, том I, Тифлис, 1882, гв. 7—9.
4. Б. А. К у ф т и н—Археологические раскопки в Триалети. Издательство Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, 1941, стр. 50—64.
5. Н. Г. Ч у б и н а ш в и л и и Р. О. Ш м е р л и н г—Храмы в древних селениях Триалети—Олтиси и Тетри-Цкаро. ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 2. თბილისი, 1947, გვ. 47—56.
6. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი—თრიალეთის 1948 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის დღიურები. ხელნაწერი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების არქივში, 1947.

6. ოპროპრიუმ

ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან

სამთავროს სამაროვანზე გათხრილ სამარხებში მრავლად აღმოჩნდა ტან-საცმელთან დაკავშირებული სხვადასხვა ნივთი, მათ შორის ბრინჯაოს საკინძებიც (ჭინძისთავები)¹.

სამთავროს სამ ფენად განლაგებულ სამარხებში ყველგან გვხვდება ბრინჯაოს საკინძები. სულ ქვედა ფენაში, უძველეს ორმოსამარხებში ნაპოვნი ბრინჯაოს საკინძები, ზედა ფენათა საკინძებთან შედარებით, ბუნებრივად უფრო მარტივია და არქაულ ტიპს წარმოადგენენ.

სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს საკინძების შესწავლას სწორედ ამ უმარტივესი საკინძების განხილვით ვიწყებთ და პირველ რიგში მათი დანიშნულების გარკვევას, ფორმების მიხედვით დაჯგუფებასა და დათარიღებას ვცდილობთ.

1938—1948 წლების განმავლობაში სამთავროზე გათხრილია სულ 529 ორმოსამარხი (356 ჩრდილო უბანზე და 173 სამხრეთ უბანზე). ამათგან ჩვენთვის საინტერესო საკინძების შემცველი უძველესი ორმოსამარხი არის 35 (32 ჩრდილო უბანზე და 3 სამხრეთ უბანზე), რაც ორმოსამარხთა საერთო რაოდენობის 6,6% შეადგენს.

სამთავროს ორმოსამარხებში აღმოჩენილია 270 ღერონახვრეტისანი ბრინჯაოს საკინძი და 81 თავხვია საკინძი, რაც საკინძთა საერთო რიცხვის 23% შეადგენს.

თავხვია საკინძები აღმოჩნდა: 1 სამარხში — ექვსი ცალი; 11 სამარხში — ოთხ-ოთხი ცალი; 1 სამარხში — სამი ცალი; 6 სამარხში — ორ-ორი ცალი, ხოლო 16 სამარხში — ე. ი. სამარხთა თითქმის ნახევარში — თითო ცალი. ამ 35 ორმოსამარხიდან 17 კაცისა იყო, 18 — ქალისა.

კაცის სამარხებში თავხვია საკინძები აღმოჩნდა: 14 სამარხში — თითო ცალი; 2 სამარხში — ორ-ორი; 1 სამარხში — ოთხი ცალი, სულ 22 ცალი.

ქალის სამარხებში ბრინჯაოს თავხვია საკინძები აღმოჩნდა: 1 სამარხში —

¹ ქართველ-არქეოლოგთა ნაწილი თავხვია საკინძს „ჭინძისთავს“ უწოდებს (მაგ., პროფ. გ. ნიორაძე და ს. მაკალათია). ამ საგანს საკინძი უწოდებს სამთავროს ექსპედიციის მუშაკებმა და ასეა ეს ტერმინი შესული სამთავროს საველე დღიურებსა და დავთრებში. სიტყვა „საკინძი“ ზმნა „კინძისავან“ წარმოადგება.

საკინძი ეწოდება ტანსაცმლის საყელოსთან მოთავსებულ შესაკრავს. სულხან-საბა-ორბელიანის განმარტებით „საკინძიც“ და „საკინძავიც“ შესაკრავს ნიშნავს.

მავე მნიშვნელობით აქვთ ნახმარი ეს სიტყვა ვ. ფშაველასა და ბაჩანას (იბ. ვაჟა-ფშაველა, ტ. I, ლექსიკონი, პროფ. აკ. შანიძისა; ბაჩანა, ლექსები და პოემები, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, გვ. 323, 1938 წ.). დღესაც ხალხი ტანსაცმლის საყელოს შესაკრავს „საკინძეს“ უწოდებს. ამიტომ სასურველი მართებული იქნება, თუ იმ საგანს, რომელიც თავიდანვე ასრულებდა შესაკრავის ფუნქციას, საკინძს ვუწოდებთ.



ექვსი ცალი; 10 სამარხში—ოთხ-ოთხი ცალი; 1 სამარხში—სამა ცალი; 4 სამარხში ორ-ორი ცალი; 2 სამარხში—თითო ცალი, სულ 59 ცალი¹.

ბრინჯაოს თავხვია საკინძების შემცველ ყველა სამარხში იყო თიხის ჭურჭელი, სამიდან შვიდ ცალამდე (გამონაკლისს შეადგენს ქალის ერთი სანარჩი, რომელშიაც ცხრა ჭურჭელი იყო და აგრეთვე კაცის ერთი სამარხი, სადაც თორმეტი ჭურჭელი იყო).

კაცის ჩვიდმეტსავე სამარხში აღმოჩნდა თითო ფოთლისებური სატევრის პირი, ბრინჯაოსი; 8 სამარხში—თითო მასრაგახსნილი შუბისპირი, ბრინჯაოსი; 1 სამარხში—ბრინჯაოს ლახტისთავი; 5 სამარხში—ბრინჯაოს თხელი სამკუთხოვანი ისრისპირები; 3 სამარხში ძვლის ისრისპირები; 8 სამარხში — ირმის ტოტებწაკვეთილი (გახვრეტილი და გაუხვრეტავი) რქის ძირები; 1 სამარხში—დანის ტარი, რქისა.

სამკაულებიდან: 1 სამარხში—ბრინჯაოს ნახევარსფერულთავიანი საკინძის ნატეხი, ყუნწგახვრეტილი; 1 სამარხში—საწვივე რგოლი; 9 სამარხში—სარდონისა და იასპის მძივები, ტლანქად დათლილი; 1 სამარხში—პასტის მძივები.

შინამოსაქმეობის საოჯახო საგნებიდან აღსანიშნავია: 2 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს თითო სადგისი. მამაკაცთა სამარხებშია აღმოჩენილი აგრეთვე: 4 სამარხში ობსიდიანის ნატეხები; 1 სამარხში ძვლის სამთვლიანი; უენია სალამური; 4 სამარხში—მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები; 1 სამარხში—ბრინჯაოს ჩქიფი და სხვა.

ქალის 18 სამარხში იარაღი არცერთგან არ ყოფილა. სამკაულებიდან ყველა სამარხში აღმოჩნდა მძივები; ერთ სამარხში ბრინჯაოს თავბურთულა, ყუნწგახვრეტილი საკინძიც იყო; 7 სამარხში — ბრინჯაოს უბრალო საყურე რგოლები; 3 სამარხში — ბრინჯაოს უბრალო მავთულის სამაჯურები; 3 სამარხში — ბრინჯაოს უბრალო მავთულის რგოლები—ბეჭდები.

შინა-მოსაქმეობის საგნებიდან ქალის სამარხებში იყო: ერთ სამარხში—ბრინჯაოს ნემსი; 10 სამარხში — ბრინჯაოს თითო მახათი და სხვა.

როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, ჩვენთვის საყურადღებო მამაკაცთა სამარხებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ბრინჯაოს თითო სატევრისპირი, ხოლო ქალის სამარხებისათვის ქვის მძივები. საერთოდ კი, როგორც კაცის, ისე ქალის სამარხებისათვის დამახასიათებელია თიხის ჭურჭელი. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან უკვე შეჰქველადა მიჩნეული, რომ იმდროინდელი ყველა სამთავროელი მამაკაცი ატარებდა იარაღს, ხოლო ყველა ქალი ატარებდა სამკაულს.

სანიშნოდ მომაქვს ბრინჯაოს თავხვია საკინძების² შემცველი ორი ტიპური სამარხის (კაცისა და ქალის) აღწერილობა.

¹ სამთავროს 1938, 1939, 1940, 1946, 1947, 1948 წლების საველე დავთრებში თავხვია საკინძები შემდეგი №№-ითაა აღწესებული: 241, 270, 263, 264, 285, 305, 329, 337, 629, 784, 841, 1442, 1457, 2020, 2084, 2299, 3222, 3239, 3256, 3278, 3662, 3731, 3817, 3919, 4148, 5490, 5543, 5611, 5944, 6050, 6055, 6107 და 6271.

² ასეთი ნივთების მიმართ „ბრინჯაო“ მეტ-ნაკლებად პირობითია, ვინაიდან ზოგი მათგანი შეიძლება სპილენძისაც იყოს. ანალიზი არაა გაკეთებული.

„საფლავი №№ 75, VI თხრილის NO ნაწილში, დედამიწის ზედაპირიდან 2,70 მეტრის სიღრმეზე, თიხნარი მიწის ფენაშია მოთავსებული. ჩონჩხის მიმართება თავით NWW.

საშუალო ადამიანის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე წევს, მოკრუნჩხულ პოზაში, გულმკერდით ოდნავ მიწისკენ დახრილი. თავის ქალა, საკმაოდ სქელი, კარგად იყო დაცული, მაგრამ მუშას ზედ წერაქვი მოუხვდა და დაზიანდა. მარცხენა ხელის მტევანი მარჯვენა ლოყის ქვეშ აქვს ამოღებული, ხოლო მარჯვენა ხელისა კი პირის წინ უდევს. ბარძაყის სიგრძე—0,46 მეტრს უდრის...

ჩატანებული ჰქონდა ინვენტარი: ბრინჯაოს ლახვარი, ორმანჭკლიანი, შუაზე აბეჭებული—იდაყვებსა და ბარძაყებს შუა იდო; ბრინჯაოს შუბისპირი, პატარა, შუაზე მილჩაპრილი—ეკირა მარჯვენა ხელში; ბრინჯაოს ყუნწიანი მილი, წაწვეტილი ოთხწახნაგოვანი სადგისი (?)—მაჯის ძვალთან; ბრინჯაოს თავმოკაუჭებული ოთხწახნაგოვანი საკინძი—მენჯის ქვეშ; ირმის რქის ძირი (უტოტებო) გახვრეტილი—მუხლებსა და იდაყვებს შუა; თიხის ჯამი—იდაყვის ცოტა სამხრეთით; თიხის ჯამი პირზე შემოდარული, ქუსლიანი—იდაყვის წინ; თიხის ფიალა-ჯამი იყო ჩაპირქვაებული; დიდი ჯამი—თავთან; დიდი ქილა—წვივებთან; მუცელდაღარული ქილა—თავის დასავლეთით; რომელიღაც ცხოველის დამუშავებული რქა—ფეხითა“¹.

საფლავი № 12 მდებარეობს V ფართობის SO თხრილში, 2 მეტრის სიღრმეზე; საფლავის მოედანი უდრის 1,50 (SOO—NWW) × 0,90 (NOO—SWW) მეტრს. ეტყობა სამარხის გეგმა ოთხკუთხედი ყოფილა. თავით სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთით მიქცეული ჩონჩხი საშუალო სიმაღლის ადამიანისაა (შესაძლებელია, დედათა სქესისა). იგი ჩაქედლია ადვილად შლადი ქვიშა ქვის ოთხ ნაგლეჯ ქვას შორის, რომელთაგან ორი თავთან უდევს, ორივე მხარეს, ისე რომ თავის ქალა გაქეპილია მათ შორის, ორი კი ფეხებთან უდევს. ამათგან ერთ-ერთზე (ჩრდილო მხარეზე) ცალი ფეხის ტერფის ნაწილია შემორჩენილი. მიცვალებული წევს მარცხენა გვერდზე ფეხებმოკუნტული; ხელები იდაყვებში სწორკუთხოვნად აქვს მოხრილი და პირთან ახლოს მიტანილი; მისი პოზა მძინარისას მიაგავს. ძვლები ცუდადაა დაცული...

ჩატანებული ჰქონდა ინვენტარი: ჩონჩხის წვივების ძვლებს გარედან, W ნაწილში—შავი თიხის ქილა, უყურო, განივად გვერდებდაღარული; მუხლებთან—ორყურა ქილა; სახის წინ—პატარა უყურო ქილა; თავს უკან, სამხრეთით—უყურო, ძირდაკეპნილი ქოთანის; თავს უკან, ჩრდილოეთით—პატარა ლამაზი, პირფართო, მუცელგანიერი ცალყურა ქოთათური, ყურზე აცქვეტილი ბიბილოები აქვს; ორი ფრიალა ლანგარი (ერთ-ერთზე მიცვალებული მარცხენა მკერდით იწვა, მეორე—გულმკერდის წინ ჰქონდა). გულმკერდის არეში მომრგვალო სარდინის (აყიყის) მძივები ჰქონდა, 169 ცალი; ბრინჯაოს მასივური მრგვალი მძივი (?); პასტის (თეთრი) წვრილი მრგვალი მძივები, 339 ცალი; ბრინჯაოს თავმოკაუჭებული ოთხკუთხოვანი, წვერმრგვალი საკინძები—ორი ყელის არეში, ორიც—ხელებთან².

¹ მცხეთა-სამთავროს ექსპედიციის ჩრდილო ჯგუფის 1939 წ. საველე დღიური, შედგენილი ა. კალანდაძის მიერ; რეველი მგ-2, გვ. 346—347.

² მცხეთა-სამთავროს ექსპედიციის ჩრდილო ჯგუფის 1939 წ. საველე დღიური, შედგენილი ა. კალანდაძის მიერ; რეველი 1-ლი, გვ. 105—106, 1939 წ.

როგორც ვხედავთ, თავხვია საკინძების შემცველი უძველესი ორმოსამარხები¹ ზოგადად ხასიათდება წმინდა ბრინჯაოს (და არა რკინის), რკისა და ძვლის ნივთებით, თიხის ქურჭლით, უხეშად გამოთლილი ქვის მძივებით და ინვენტარის საერთო სიღარიბითა და არქაულობით².

აღნიშნული ინვენტარის არქაულობის მანიშნებლად ითვლება ბრინჯაოს თავხვია საკინძები (ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე), ფოთლისებრი სატევრისპირები, მასრაგახსნილი შუბისპირები, ხელით ნაძერწი თიხის ქურჭელი. ყველა ამათ უპირისპირდება მოგვიანო დროის ორმოსამარხებში წარმოდგენილი, ბევრად უფრო სრულყოფილი ფორმები ამავე ტიპებისა. ხოლო რაც შეეხება სარდიონისა და იასპის დაბალ ცილინდრულ ტლანქად დათლილ ერთფეროვან მძივებს, ისინი მოსატანიც კი არ არის გვიანდელ ორმოსამარხებში აღმოჩენილ ლამაზად გამოთლილსა და მრავალგვარ მძივებთან.

სამთავროს არქეოლოგიური თხრის ხელმძღვანელი ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე უძველესი ორმოსამარხების შესახებ აღნიშნავს, რომ მათი „საერთო რიცხვიდან გამოიყოფა დაახლოებით 50-დ საფლავი, რომლებიც საკუთრივ ბრინჯაოს ხანას უნდა ეკუთვნოდნენ; ეს უკანასკნელნი მოთავსებულნი არიან ღრმად, დღევანდელი მიწისზედაპირიდან 2,40—3,50 მეტრის სიღრმეზე, მაშინ როდესაც მოგვიანო დროის (ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი და საკუთრივ რკინის ხანის) საფლავების სიღრმე მეტყეობს 1,25—2,50 მეტრამდე. მართალია, ზოგ კერძო შემთხვევაში შეიძლება მიცვალებულთათვის რაიმე მიწის გამოღრმა სამარე გაეჭრათ და ამგვარად საფლავი, ვთქვათ რკინის ხანის მიცვალებულისა უადრესი კულტურის შესატყვის ფენაში მოქცეულიყო; მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ჩვენმა დაკვირვებამ კი ჩვენ მიერ ბრინჯაოს ხანისად განკუთვნილ საფლავების მიწის უღრმეს პორიზონტში გავრცელების ცოტად თუ ბევრად სისტემატური ხასიათი აღმოაჩინა... შემოადნიშნულ სამარხებს სხვათაგან მათში მოპოვებული ინვენტარიც ასხვავებს: უკანასკნელებში (მოგვიანო დროის საფლავებში) რკინის იარაღსა და სამკაულს საკმაოდ დიდი, ზოგჯერ გაბატონებული ადგილი უჭირავს, ხოლო პირველებში მხოლოდ ბრინჯაოა და რკინა კი სულ უმნიშვნელო პროცენტით არის წარმოდგენილი. პირველებში თიხის ქურჭელთა რიცხვი შედარებით მცირეა (3,5,6,7), ხოლო მეორეებში ქურჭელი ბევრია და ყველა მორგეზეა ნაკეთები. პირველებში გაბატონებულია ქინძისთავთა პრიმიტიული სახე—თავმოკაუჭებული და დაკუთხულგვერდებიანი ქინძისთავები, რომელთაც მოგვიანო ხანის საფლავებში დიდ მრგვალთავიან ლეროზე ნახვრეტებიანი და (თავზე) მოხატულ ზედაპირიანი ქინძისთავები ენაცვლება. პირველებში შესამჩნევია გაუმჭვირვალე იასპის მრგვალი ქვის მძივების დამუშავების უხეში ტექნიკა, მაშინ, როდესაც მეორისათვის მათი დამუშავების ტექნიკა შეუდარებლად მაღალ საფეხურზე დგას“³.

¹ ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე მ (სამთავროს ანვარიში) და გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე მ (ნაშრომში „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში“) დაასაბუთეს, რომ ორმოსამარხთა ეს ჯგუფი სამთავროს სამარხთა შორის უძველესია, გარდა უფრო ძველი ყორღანული სამარხისა.

² მაგ., ორმოსამარხები: №№ 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 20, 73, 75, 100 და სხვა.

³ ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. მცხეთა-სამთავროს ჩრდილო ჯგუფის 1938—1939 წ. არქეოლოგიური გზის მოკლე ანგარიში, გვ. 105—106.

81 თავებია საკინძიდან 47 აღმოჩნდა მიცვალებულთა ჩონჩხების გულმკერდის არეში, ხოლო დანარჩენი—34 ჩონჩხის სხედასხვა ადგილთან (9—მუხლებთან, 3—სახის წინ; 5—ზურგს უკან; 2—თავს უკან; 2—ფეხებთან; 2—მუხლის ქვეშ; 1—მუცლის არეში; 4—თავქვეშ; 2—მენჯის ქვეშ; 2—ჭურჭელზე; 2—ჩონჩხის მოშორებით).

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკინძის ხმარების ადგილი უმთავრესად გულმკერდისა და ყელის არეში ყოფილა. რაც შეეხება დანარჩენ საკინძებს, ჩონჩხის სხედასხვა ნაწილში რომაა აღმოჩენილი, საფიქრებელია, მათი მკერდისაგან სიშორე ზოგჯერ გვამის ხრწნასთან იყოს დაკავშირებული. ისიც შესაძლებელია, რომ ტანისამოს შესაკრავი ზურგზედაც ჰქონდა, ამის გამოც შეიძლებოდა საკინძი ზურგს უკან მოხვედრილიყო. რაც შეეხება იმ საკინძებს, რომლებიც მიცვალებულისაგან დამოუკიდებლად ეწყო, ისინი პატრონს სიცოცხლეშივე ექნებოდა მოხსნილი და სამარხში ქირისუფლების მიერ ჩატანებული უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ კაცის ტანსაცმელი უმეტეს შემთხვევაში, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ საკინძს საჭიროებდა, ქალისა კი—ოთხს.

ჩემს ხელთ არსებული თავებია საკინძები (81 ცალი) შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. მრგვალგანივკვეთიანი (17 ც.) და 2. ოთხკუთხა განივკვეთიანი (64 ც.). მრგვალგანივკვეთიანი საკინძები თითქმის ყველა ერთნაირია. რამდენადმე გამონაკლისს შეადგენს ორი მათგანი¹; კარგა დაკვირვებისას ამათ ორი მოპირდაპირე გვერდი ოდნავ შებრტყელებული უჩანთ და თავის დასაწყისიდან წვერამდე ოდნავ შესამჩნევი ღარი გასდევს შუაზე, საკინძის ამ ნაწილს აშკარად ეტყობა ჭედვის კვალი. დანარჩენები მხოლოდ სიგრძითა და დიამეტრით განსხვავდება ერთიმეორისაგან. ისინი წარმოადგენენ მრგვალ ღეროს, რომელიც თავის დასაწყისიდან წვერამდე თანდათან წვრილდება. თავთან კი ღერო გაბრტყელებულია და მოხვეული (სურ. 1, ა). ეს მოხვეული თავის საკინძის ყუნწსა ჰქმნის. ამგვარ საკინძთა სიგრძე საშუალოდ 4,3—7,5 სმ უდრის, ღეროს დიამეტრი 2—4 მმ-მდეა, თავის დიამეტრი 1—3 მმ-მდე (ორ შემთხვევაში 4 მმ-მდე), თავი მეტწილად 1,5 ხვიას შეიცავს, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში—ორს.

ოთხკუთხაგანივკვეთის მქონე თავებია საკინძებში უფრო მეტი განსხვავება შეიძლება დავინახოთ. მათი სიგრძე საშუალოდ 4,7—12 სმ-ია, განივკვეთი უდრის 3—4 მმ-ს, თავის დიამეტრი 1—3 მმ-ამდეა. თვითული ამგვარი საკინძი წარმოადგენს ბრინჯაოს ღეროს, რომლის წვერი სიგრძის $\frac{2}{3}$ -მდე მრგვალია, ხოლო ზედა ნაწილი საშუალოდ 2—4 სმ თავამდე ოთხკუთხაგანივკვეთიანია. თავთან ღერო გაბრტყელებულია და იმგვარადვე მოხვეული და ღეროზე ისევე მჭიდროდ მიკრული, როგორც მრგვალგანივკვეთიანი საკინძებისა. თავი აქაც ყუნწსა ჰქმნის, საერთოდ ამ ყუნწს უეჭველად პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ჩემი აზრით, მასში უყრიდნენ ძაფს ტანსაცმელზე მისაბმელად.

¹ 1939 წ. სამთავროს ჩრდილო ჯგუფის საველე დავთარი, რვეული პირველი, № 1442, 1442.

ძნელი სათქმელია, თუ რა პრაქტიკული უბირატესობა ან ნაკლი ჰქონდა ერთ სახეობას მეორესთან შედარებით. ის კი აშკარაა, რომ თევზიფხური ორნამენტი მხოლოდ ოთხკუთხაგანივკვეთიანი თავზეია საკინძებია შემკული და ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვხედავთ ამ ორნამენტს მათი ღეროს მრგვალ ნაწილზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი შემკობა სწორედ ასეთი განივკვეთის მქონე ღეროსი უფრო ადვილი იყო და ეგებ საერთოდაც ამიტომ გადავიდნენ ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროების კეთებაზე.

როგორც თავზეია საკინძებზე დაკვირვება გვიჩვენებს, ისინი ქედვის საშუალებით არიან დამზადებული. აშკარად ეტყობა ზოგ მათგანს ქედვის კვალთ, მოხვეული თავიც ცხადყოფს, რომ ისინი ქედვის საშუალებით არიან გაკეთებული. მათზე აღბეჭდილი ორნამენტი კი ქედვის საშუალებით არის გაკეთებული.

თავზეია საკინძების დამზადების ტექნიკა შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: აიღებდნენ ბრინჯაოს პატარა მოგრძო ნაჭერს, გაახურებდნენ ცეცხლზე და გამოკვერვის საშუალებით აძლევდნენ მას სასურველ ფორმას.

მრგვალგანივკვეთიანი თავზეია საკინძების დამზადების დროს ღეროს დამრგვალებდნენ, შემდეგ ერთ მხარეს თანდათან გაუწვრილებდნენ და ამგვარად გაუკეთებდნენ წვერს; მეორე მხარეს კი დაიწყებდნენ ღეროს გაბრტყელებას, ისე რომ მრგვალი ღერო თანდათან გადადის სიბრტყეში. გაბრტყელებულ ნაწილს დაუდებდნენ ბრინჯაოს სხვა ღეროს იმის მიხედვით, თუ რა დიამეტრის თავი სურდათ გაეკეთებინათ და ზედ შემოახვევდნენ იმრიგად, რომ მოხვეული თავი საკინძის ღეროს მჭიდროდ მიჰკვროდა. როცა ლითონი გაცივდებოდა, გამოაძრობდნენ ხვიაში გაყრილ ლითონის ღეროს და ამგვარად მიიღებოდა უხეში.

ასევე დამზადებოდა ოთხკუთხაგანივკვეთის მქონე თავზეია საკინძები იმ განსხვავებით, რომ აქ ღეროზე ოთხკუთხეც გამოჰყავდათ და საკინძის ამ ნაწილს ქედვის საშუალებით თევზიფხური ორნამენტით დაფარავდნენ, თუ კი სურდათ საკინძის შემკობა¹.

სამთავროს ბრინჯაოს თავზეია საკინძებს მრავალი პარალელი მოეპოვება: პირველ ყოვლისა თვით საქართველოში (ფლავისმანი, გომნა, თრიალეთი, რაჭა და საჩხერე) და საერთოდ კავკასიაში (ერევანი, ყოზანი, განჯა-ყარაბაღი); შემდეგ—ტრაში, სირია-პალესტინაში, ევროპაში და სხ.

ბრინჯაოს თავზეია საკინძების შესახებ ბევრმა მკვლევარმა გამოსთქვა თავისი აზრი და თითქმის ყველამ ისინი მიიჩნია საკინძთა პრიმიტიულ სახეობად.

ავსტრიელმა არქეოლოგმა ფ. ჰანჩარმა თავისი კვლევის საგანს—კავკასიური ბრინჯაოს ყოველგვარ საკინძებს—საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი² მი-

¹ ამ მოსახრების შესამოწმებლად ვიყავი მჭედელ ი. კასრაძესთან (ბოჭორიშვილის ქ. № 17), რომელსაც ვთხოვე გაეკეთებინა თავზეია საკინძი მოტანილი ნახატის მიხედვით. მან აიღო რკინის მოგრძო ნაჭერი, გაახურა ქურახზე და დაიწყო მისი გამოკვერვა სრულად იმგვარადვე, როგორც ხემოთა აღწერილი ბრინჯაოს თავზეია საკინძთა კეთება.

² Franz H a n c a r — Die Nadelformen des prähistorischen Kaukasus gebietes“. Eurasia septentrionalis Antiqua, VII, Helsinki, 1932.

უძღვნა. მისი აზრით, ბრინჯაოს კულტურის ქრონოლოგიისათვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ბრინჯაოს საკინძთა შესწავლა მათი ფორმების მიხედვით. განჯის რაიონში, ელენენდორფის (ამჟამად ხანლარის) მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს თავხვია საკინძები მას საინტერესოდ მიაჩნია თავიანთი პრიმიტიულობით. მისი სიტყვით, ხოჯალის თორმეტი სამარხი, რომელნიც შეიცავდნენ ბრინჯაოს თავხვია საკინძებს, ინვენტარით ღარიბი ყოფილა (ასეთივე მდგომარეობაა, როგორც ვთქვით, სამთავროში), შემდეგ ავტორს, ა. გოეტცეზე დაყრდნობით, თავხვია საკინძების სამშობლოდ და ამიერკავკასიაში ამგვარ საკინძთა გამავრცელებელ კერად მიაჩნია ტროა, რადგან მათი განვითარების საწყისები აქაა მოცემულიო. ჰანჩარის თქმით ტროაში თავხვია საკინძების გამოჩენა იწყება II—V ფენებში. ყველაზე მეტი აღმოჩენილია VI ფენაში, რომდენიმე ცალი ყოფილა VII ფენაშიაც. ამის გამო, მისი აზრით, VI ფენის ხანაში ტროას უნდა ეწარმოებია თავხვია საკინძების ექსპორტი ამიერკავკასიაში. ასეთივე დასკვნა გამოაქვს მას ნემსების ანუ მახათების მიმართაც.

ავტორი განჯა-ყარაბაღის კულტურის საერთო ასაკის მიხედვით, თავხვია საკინძებს ათარიღებს ძვ. წ. XV—XIII სს.-თ, ხოლო განჯა-ყარაბაღის კულტურის იგი, როგორც ცნობილია, უფრო ადრინდელად მიიჩნევს, ვიდრე სამთავროს ძირა სართულის უძველეს ორმოსამარხებს. თავხვია საკინძების დანიშნულების შესახებ კი ჰანჩარი არაფერს ამბობს.

ჩემი აზრით, საეჭვოა ჰანჩარის აზრი, თითქოს ტროა აწარმოებდა თავხვია საკინძების ექსპორტს ამიერკავკასიაში. მართალია, ტროაში გვაქვს მათი განვითარების საწყისები, სახელდობრ, თავხვია საკინძებს წინ უძღვის თავმოლუნული საკინძები, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა მათი აქედან ამიერკავკასიაში შემოზიდვის დასამტკიცებლად, ეს იმიტომ რომ შენგავეთშიც (ერევანი) არის წარმოდგენილი თავხვია საკინძთა განვითარების საწყისები¹, მათ იქაც წინ უძღვით უბრალოდ თავმოლუნული საკინძები, მაშ რაღად უნდა ვიფიქროთ ტროადან მათი შემოტანა, როცა უფრო მახლობელ ტერიტორიაზე თვით ამიერკავკასიაშიც ყოფილა?

როგორც აღვნიშნეთ, თავხვია საკინძები მრავალ ადგილას არის აღმოჩენილი, მაგრამ ისინი ყველგან ერთნაირ ღეროიანი და ერთი ზომისანი არ არიან. ყობანის თავხვია საკინძებს შორის ორმაგ-სპირალურთავიანი და ღეროდაგრეხილი საკინძებიც არის ისეთივე როგორიც ტროაშია. თრიალეთის თავხვია საკინძებშიც ურევია ღეროდაგრეხილი საკინძი. მაშინ როცა სამთავროში მათი მსგავსი საკინძების აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის. ასეთივე სხვაობაა ზომის მხრივ. ყობანის თავხვია საკინძების სიგრძე 12—25 სმ-მდეა, გომნას (ბორჯომის ხეობა) თავხვია საკინძის სიგრძე 17 სმ უდრის, ხოლო სამთავროს 81 საკინძიდან სიგრძით არცერთი არ აღემატება 12 სმ. ვფიქრობ ეს გარემოება ერთ-ერთი საბუთია სამთავროს თავხვია საკინძების ადგილობრივობისა.

¹ Б. К у ф т и н. „Урартский Колумбарий“ у подошвы Арарата и Куро-Аракский энселит“, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIII В, 1944 წ. გვ. 117.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს ამიერკავკასიაში ბრინჯაოს კულტურა უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე იყო (უშუალოდ მომდევნო საფეხურზე ხდება ამ კულტურის ნამდვილი აყვავება) და თანაც ტანსაცმლის შეკერილობა უექველად საჭიროებდა ლითონის შესაბნევს, მაშინ ისეთი პრიმიტიული შესაბნევის დამზადება, როგორცაა თავებია საკინძი, იმდროინდელ ხელოსნებსაც შეეძლებოდათ იმპორტისა თუ სხვის დაუხმარებლივ. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ რომელიმე მახლობელი ტერიტორიის მოსახლეობისაგან კულტურული ურთიერთობის შედეგად იყოს ნასესხები საკინძის აღნიშნული ფორმა (და არა თვით საკინძები იყოს შემოზიდული).

პროფ. გ. ნიორაძე ექვის თვლით უყურებს ჰანჩარის მოსაზრებას. იგი წერს: „თუ რამდენად მართალია ფ. ჰანჩარი, როდესაც ამბობს, რომ თავმოკაუქმებული ანუ თავზეული ქინძისთავები ტროადან არიან ექსპორტირებული, და ან რომ ტროა იყო ამ ქინძისთავების დამწერგველი ამიერკავკასიაში, ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხები ფრიად საყურადღებოა და სპეციალურ კვლევა-ძიებას ითხოვს არა მარტო ქინძისთავების მიმართ, არამედ სხვა ნივთების მიმართაც“¹.

3. უვაროვას სიტყვით, უბრალოდ თავმოხვეული ბრინჯაოს საკინძები ყობანის სამარხებში გულმკერდის და თეძოს არეშია აღმოჩენილი და ეს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ისინი, ალბათ, შალის მძიძე ტანსაცმლის შესაბნევად იხმარებოდა, ასეთ ქსოვილებს დღემდე ხმარობენ მთიულეში. ყობანის თავებია საკინძების სიგრძეს ავტორი აღნიშნავს 12—25 სმ-მდე².

ა. ფურტვენგლერი საკინძთა უძველეს პირველ სახეობად მიიჩნევს ბრინჯაოს უბრალო, სწორ, უთავო, მრგვალგანივკვეთიან ღეროს; მის მომდევნოდ—ამგვარსავე, ოდონდ თავმოლუნულ, ღეროს, მათ მომდევნოდ კი სთვლის თავებია საკინძებს. აღნიშნული საკინძები მას მიაჩნია პრაქტიკული დანიშნულების საგნებად, რომელნიც, მისი აზრითაც, შალის ტანსაცმლის შესაბნევად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სახელდობრ, ეს ტანსაცმელი მხრებთან უნდა ჰქონოდათ შებნეული.

ავტორის აზრით, აღნიშნული საკინძები საბერძნეთში იხმარებოდა დორიული სამოსის, განსაკუთრებით კი ქალების „პელოსისათვის“, რომელიც შალის ქსოვილისა იყო, იონურ „ხიტონს“ კი, თხელი ტილოსაგან შეკერილ სამოსს, საკინძი არ ესაჭიროებოდა. ავტორი თავებია საკინძების მომდევნოდა სთვლის თავსქვემოთ ღეროზე ნახვრეტიან საკინძებს და მათ უკავშირებს ფიბულების შემოღებას. მისი აზრით, ღეროზე ნახვრეტიანი საკინძები ძაფით უნდა ყოფილიყო მიბმული ტანსაცმელზე³.

¹ გ. ნიორაძე. არქეოლოგიური დახვეწებები მტკვრის ხეობაში (საქ. მუხ. მოამბე, XII, 1944 წ., გვ. 208).

² П. С. Уварова. Мопльники Северного Кавказа (Материалы по археологии Кавказа, вып. VIII, Москва, 1900 г. стр. 50—53)

³ Adolf Gurtwanger Aegina. München, 1906, s 397—416.



გ. ნიორაძე გომნას სამარხთა ინვენტარის განხილვისას იქ აღმოჩენილ საკინძთა შორის უძველეს ფორმად მიიჩნევს ბრინჯაოს თავხვია საკინძს, რომელიც საკმაოდ მსხვილია და სიგრძით 17 სმ უდრის¹.

ს. მაკალათია ფლავისმანის სამარხებში აღმოჩენილ თავხვია საკინძებს მიიჩნევს კავკასიის ბრინჯაოს კულტურის დამახასიათებელ ფორმად. ავტორი ფლავისმანის სამარხებში აღმოჩენილ ინვენტარსა და სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში აღმოჩენილ ინვენტარს შორის დიდ მსგავსებას ხედავს. იგი ფლავისმანის სამარხებს ათარიღებს ძვ. წ. აღ. XIII—IX საუკ.².

ფლავისმანის სამარხებში მოპოვებული თიხის ჭურჭელი და სხვა ნივთები მართლაც ძალიან ემსგავსება სამთავროს ორმოსამარხთა ნივთებს, ოღონდ შედარებას ართულებს ერთი გარემოება, ფლავისმანის ინვენტარში რკინის ნივთებიც შედის და თუ ისინი ბრინჯაოს საკინძებთან ერთად ყოფილა სამარხებში, ამ უკანასკნელს ვედარ გავუტოლებთ სამთავროს უძველეს ორმოსამარხებს, სადაც თავხვია საკინძებია აღმოჩენილი, რადგან აქ რკინა სრულიად არ მოიპოვება. ესეც კია, ფლავისმანში ინვენტარი მუშებს ამოუღიათ და თვით მაკალათიამ არ იცის, თუ რომელ ნივთებთან ერთად იქნა აღმოჩენილი. საერთოდ კი რკინა აქაურ ინვენტარში საკმაო რაოდენობითაა.

გ. ლომთათიძე სამთავროს ორმოსამარხთა ბრინჯაოს საკინძების მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვან ფორმებიდან გამოყოფს თავხვია საკინძებს, როგორც ყველაზე უფრო არქაულ ფორმას.

იმავე ავტორის აზრით, სამთავროს უძველეს ურკინო ორმოსამარხებში წარმოდგენილი ბრინჯაოს ნივთების ტიპოლოგიური შემადგენლობაც, დამზადების ტექნიკაცა და თანმზლები ინვენტარის რაგვარობაც განვითარებული ბრინჯაოს ინდუსტრიის მანიშნებელია. სამთავროს უძველეს ორმოსამარხებს იგი ათარიღებს II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით³.

ა. კალანდაძის აზრით, როგორც ზემოთაც დავიმოწმეთ, სამთავროს ჩვენთვის საინტერესო სამარხები, რომლებიც სხვებთან შედარებით უფრო ღრმადაა, საკუთრივ ბრინჯაოს ხანას უნდა ეკუთვნოდნენ⁴.

ბ. კუფტინი ბეშთაშენში მის მიერ გათხრილ თავხვია საკინძების შემცველ ორმოსამარხებსა და სამთავროს უძველეს ორმოსამარხებს შორის მსგავსებას ხედავს, მაგრამ ბეშთაშენის სამარხებს უფრო ადრინდელად სთვლის, რადგან ბეშთაშენის სამარხებში წმინდა ბრინჯაოს ინვენტარია, რკინის ინვენტარი კი არ ყოფილაო. კერძოდ ბეშთაშენის თავხვია საკინძებს იგი საკინძთა პრიმიტიულ სახეობად მიიჩნევს და ათარიღებს გვიანი ბრინჯაოს პერიოდით⁵.

¹ გ. ნიორაძე. არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში (საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XII 1944 წ. გვ. 206—208).

² ს. მაკალათია. ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი (საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1930 წ., გვ. 228—29).

³ გ. ლომთათიძე. ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში, გვ. 62, 63, 343, 344.

⁴ ა. კალანდაძე. მცხეთა-სამთავროს ჩრდილო-დასავლეთის 1938—39 წ. არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში, გვ. 105—106.

⁵ Б. К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети, т. I, Тбилиси, 1941, стр. 141.

როგორც ჩანს, ბ. კუჭტინი იმ დროს ჯერ არ იცნობდა სამთავროს თავზე საკინძების შემცველ უძველეს ორმოსამარხებს, თორემ ვეღარ დაინახავდა მათ შორის ასაკობრივ განსხვავებას: სამთავროს თავზე საკინძებს რკინის ნასახიც კი არ ახლავს.

ვფიქრობთ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამთავროს თავზე საკინძების შემცველი უძველესი ორმოსამარხები განეკუთვნება გვიანი ბრინჯაოს ხანას და უფრო აღრიხდელია, ვიდრე ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანა.

საქართველოში ბრინჯაოს თავზე საკინძების არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს ძირითადად შალის მძიმე ქსოვილის ტანსაცმლის ხმარებასთან. სავარაუდებელია, რომ ძველი დროიდანვე მეცხვარეობა საქართველოში საკმაოდ განვითარებული იყო (რასაც თვით სამთავროს ორმოსამარხებში მრავლად აღმოჩენილი ცხერის ძვლებიც ნათელჰყოფს).

ამ მოსაზრების დასადასტურებლად უნდა გავიხსენოთ ზემოთ მოტანილი და ჩემ მიერ გაზიარებული აზრი ზოგიერთი მკვლევარისა (ფურტვენგლერი და უვაროვა), რომელნიც თავზე საკინძებს შალის მძიმე ტანსაცმელს უკავშირებენ და ამგვარი ტანსაცმლის შებნევით განსაზღვრავენ მათ პრაქტიკულ დანიშნულებას.

ფურტვენგლერის აზრით საბერძნეთში დორიელების „პეპლოსზე“ ხმარობდნენ თავზე საკინძს, რადგან ის შალის მძიმე ქსოვილისაგან მზადდებოდა, ხოლო იონურ „ხიტონს“, თხელ და ნაზ ტილოსაგან დამზადდებულს, საკინძი არ ესაჭიროებოდა.

როგორც ირკვევა, თავზე საკინძს ძირითადად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ იმავე დროს იგი, რა თქმა უნდა, სამკაულსაც წარმოადგენდა, რის ფიქრის სდფუძველს გვაძლევს მათზე აღბეჭდილი ორნამენტი.

სამთავროს უფრო გვიანდელ ორმოსამარხთა ინვენტარში თავზე საკინძებს ენაცვლება ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მრავალგვარი მოყვანილობის, ლამაზთავიანი საკინძები, რომელნიც იგივე დანიშნულების შემსრულებელნი უნდა იყვნენ, რისაც თავზე საკინძები.

რაც შეეხება სამთავროს მერმინდელ სამარხების საკინძებს (ქვაყუთები, კრამიტყუთები), ისინი უფრო წვრილიცაა და უფრო მოკლეც. თავები მეტწილად სხვადასხვა ფერადი ქვებისაგან აქვთ გაკეთებული და მათი სამკაულბრძვი ფუნქცია გაცილებით უფრო წინაა წამოწეული: ისინი თმის თუ თავსაბურავის დამმაგრებელ დამამშვენებელი საკინძებია. ტანსაცმლის შესაბნევად კი გაჩნდა ღილი და ფიბულა.

ამგვარად ამ მცირე ძიების შედეგები შეიძლება ასე შევაჯამოთ:

1. სამთავროს ბრინჯაოს თავზე საკინძები, ისევე როგორც საქართველოს სხვა ამგვარი საკინძები, ადგილობრივი ნაწარმოები უნდა იყოს და არა საიდანმე შემოტანილ-გავრცელებული;
2. სამთავროს ძველი სამარხების თავზე საკინძები, მათ შემცველ უძველეს ორმოსამარხებთან ერთად უნდა მიეკუთვნოს გვიანი ბრინჯაოს ხანას და

ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანაზე უფრო ადრინდელად არის სავარაუდებელი.

3. თავხვია საკინძების ძირითადი დანიშნულება ტანსაცმლის შებნევა უნდა ყოფილიყო, თუმცა მათ იმავე დროს შეეძლოთ სამკაულობაც გაეწიათ.

4. თავხვია საკინძების არსებობა საქართველოში უნდა აიხსნას მოსახლეობის მიერ ძირითადად შალის ქსოვილისაგან დამზადებული ტანსაცმლის ხმარებით.

5. სამთავროს გვიანდელ სამარხებში აღმოჩენილი საკინძების სამკაულებრივი ფუნქცია ძალიან წინაა წამოყენებული, თუმცა მათ არც პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონდეთ დაკარგული.

დიონიზო კარლოს
თბილისის აღწერა

ორალური ტექსტი თარგმნა
და შენიშვნები დაურთა
ბუჟან გიორგაძემ

ბეჟან გიორგაძე

დიონიჯო კარლის რელაციონის ტექსტისა და თარგმანისათვის

მიხეილ თამარაშვილის პირად არქივში (აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 10) ჩვენ მოვიძიეთ იტალიელი მისიონერის — დიონიჯო კარლის მიერ რომში „სარწმუნოების გამავრცელებელი კონგრეგაციისადმი“ გაგზავნილი მოხსენების ფრაგმენტები. ეს „რელაციონი“ თავის დროზე გამოქვეყნებული ყოფილა წიგნში: „Le Quattro Parti del Mondo. 1687, Bassano“, შემდეგი სათაურით: Dionigio Carli da Piacenza, Il Moro. Della Città di Tiflis... cap. XIX, სამწუხაროდ, ამ წიგნს საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკებში ვერ მოვაგენით. ტექსტი და მისი თარგმანი იბეჭდება მ. თამარაშვილის მიერ რომში შესრულებული ამონაწერების მიხედვით. ტექსტი ამ სახითაც, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

აღნიშნულ წიგნიდან მ. თამარაშვილს გადმოუღია მხოლოდ თბილისის და ქართლ-კახეთის შესახები ამბები. ამრიგად, დიონიჯო კარლის „რელაციონზე“ ამჟამად მხოლოდ ამ ფრაგმენტების მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა.

ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ 23 გვერდს შეიცავს. მისი ავტორია კაპუჩინი მისიონერი დიონიჯო კარლი პიაჩენციელი (ქალაქ პიაჩენციდან). თბილისში ის დაახლოებით 1681 წელს მოსულა და აქ ექვს თვეს დარჩენილა. შემდეგ კი წინამძღვრად დაუნიშნავეთ გორის კათოლიკეთა ოსპიტალში, სხვა ცნობები დიონიჯო კარლის ვინაობასა და მოღვაწეობაზე არ მოგვეპოვება. ტექსტში დაცული ერთი ცნობის მიხედვით ის საქართველოდან უკან გაბრუნებულა. მეტად საყურადღებოა, რომ მისი „რელაციონი“ სტამბური წესით გამოქვეყნებულა უკვე 1687 წელს.

დიონიჯო კარლის მოხსენება მრავალმხრივია საყურადღებო XVII ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ქართლისა და კახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ბევრი უცნობი მოვლენის გასაგებად და გასათვალისწინებლად.

კათოლიკე მისიონერი დიონიჯო კარლი მის მიერ აღწერილი ამბების თანადამხდური და თვითმხილველია. ამასთან ის განათლებულ მისიონერად გამოიყურება და, როგორც ჩანს, არც დაკვირვების უნარსაა მოკლებული. თუმცა, საჭიროა აღინიშნოს, რომ მისი მოთხრობის ზოგიერთ ეპიზოდს ერთგვარად ეგზოტიკური ელფერი გადაჰკრავს. ზოგან კი საესებით აშკარაა ავტორის კონფენსიონალური ტენდენციები. ალაგ-ალაგ ვხვდებით ნატყუარ ცნობასაც (მართალი არაა გარდაცვლილი შაჰნავაზის ყველა ვაჟიშვილის შაჰის კარზე გამოცხადების ამბავი ან ის, რომ ქართველ დიდბატონებს თბილისში საკუთარი სახლები არ ჰქონდათ). მაგრამ საქმეში ჩახედულ მკითხველს ეს ხელს არ შეუშლის შესწორება თუ შესწორებანი შეიტანოს იტალიელი დამკვირვებლის აღწერილობაში.

დიონიჯო კარლი საკმაოდ ვრცლად აღწერს XVII ს-ის უკანასკნელი მეოთხედის თბილისისათვის და, საზოგადოდ, ქართველთათვის დამახასიათებელ ყოფა-ცხოვრებით მომენტებს (მაგ., ჩაცმა-დახურვა, ქორწილი, გლოვის წესი, ყაბახი, ჩოგან ბურთი და სხვ.). განსაკუთრებით საყურადღებოა მის მოთხრობაში აღმ. საქართველოს ერანთან დამოკიდებულების შესახები ცნობები (მაგ., ქართლის მეფის მიერ სპარსული ხალათის ჩაცმის ცერემონიალი, სპარსელთა ლაშქრის სარდლის პოლიტიკა ქართლის მეფის მიმართ, ერანის ხელმწიფის და ქართლის მეფის შორის გამართული მიწერ-მოწერა და სხვ.). ავტორი გაკვირვებით აღნიშნავს იმასაც, თუ რამდენად სასურველი იქნებოდა ქრისტიანული ევროპისათვის საქართველოში (სადაც, ავტორისავე მოწმობით, ფართო გამოხმაურება ჰპოვა ვენასთან ოსმალებზე გამარჯვებამ) ქრისტიანობის განმტკიცება (იგულისხმებ: კათოლიკობის გავრცელება) და ამ ქვეყნისათვის ეფექტური დახმარების აღმოჩენა მუსულმანურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლისას. ერთი სიტყვით, დიონიჯო კარლის „რელაციონი“ წარმოადგენს კარგ წყაროს XVII ს-ის ქართული წეს-ჩვეულებების, სპორტის, საქართველოს ერანთან და დას. ევროპასთან ურთიერთობის ისტორიისათვის.

ხანგრძლივად ჩერდება ავტორი გიორგი XI მოღვაწეობაზე. ქართლის ამ მეფეზე სხვა ავტორებსაც მოეპოებათ მეტნაკლებად ვრცელი ცნობები (ფარსადან გორგიჯანიძეს, სეხნია ჩხეიძეს, ვახუშტი ბაგრატიონს, თადეოზ კრუსინსკის, დიუ სერსოს, ჰანვეის, ოტერს, ლიანდრო და სანტა ჩეჩილიას და სხვ.), მაგრამ მათი დიდი უმეტესობა ეხება გიორგი XI-ის ერანში მოღვაწეობის ხანას. დიონიჯო კარლის ცნობებში მკითხველი, გიორგი XI-ის შესახებ, ბევრ საგულისხმო და დამახასიათებელ დეტალს იპოვნის. გარდა ამისა, XVII—XVIII სს. თბილისის ცნობილ უცხოურ აღწერილობებს (შარდენის, ტურნეფორის და სხვ.) ახლა ემატება დიონიჯო კარლის აღწერილობაც.

სამწუხაროდ, მ. თამარაშვილს, ეტყობა კონფენსიონალური მოსაზრებით, ზოგი რამ შეგნებულად აქვს გამოტოვებული (მაგ., თბილისში მცხოვრებ სომეხთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა). ცხადია, უკეთესი იქნებოდა ხელთ გვექონოდა დიონიჯო კარლის რელაციონის სრული ტექსტი. მაგრამ მ. თამარაშვილის მიერ გამოკრებილი ადგილები იმდენად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, რომ სრული ტექსტის ძიება-მოპოებას აღარ დავუტადეთ და გადავწყვიტეთ მისი უცვლელად დაბეჭდვა.

მთარგმნელი ცდილობდა ზუსტად დაეცვა თარგმანში იტალური ტექსტის ყველა დამახასიათებელი თავისებურება. მცირეოდენი ცვლილებანი იმ შემთხვევისათვისაა დაშვებული, როდესაც აუცილებლივ საჭირო იყო იტალური იდიომის გადმოქართულება ან მისთვის სათანადო ქართული შესატყვისის მოძებნა.

Dionigio Carli da Piacenza, Il Moro,
1687, Bassano

(Le Quattro Parti del Mondo. Libro secondo)

Della Città di Tiflis,... cap. XIX

Giace la città di Tiflis (Detta in latino „Artaxata”) Metropoli della Giorgia, tra due schiene di Monti, la maggior parte è in piano, il resto s'alza nella falda della Nontagna, il muro la circuisce da tre parte, e della quarta, vi scorre il Fiume Cirro; à mezzo giorno tiene la Fortezza, col Presidio Persiano, e non Turco, come dice un Autore moderno;

E volendo passare il sodetto Fiume, bisogna entrare nella porta della Fortezza, vicino alla quale è un Ponte di legno, essendo in questo luogo il Fiume stretto; passato il Ponte, vi è anche un borgo, ma assai più alto della Città, quale con la Città può essere di tre miglia di circuito in circa, il più bello è il Bazzar.

Gli Armeni vi hanno sei Chiese con Campanili, i Giorgiani due, una del suo Vescovo, l'altra del loro Patriarca; vi è anche una dignità, che è la seconda persona Ecclesiastica di questo paese, detto in loro lingua Giuaris Mama, cioè Padre della Croce;

დციონიჯო კარლი

თბილისის აღწერა

საქართველოს დედაქალაქი თბილისი (ლათინურად „არტაქსატად“¹ წოდებული) მთის ორ ქედს შორის მდებარეობს. ქალაქის მთავარი ნაწილი დაბლობზეა, დანარჩენი კი ზევით, მთის კალთაზეა [გაშენებული]. მას სამი მხრივ გალავანი აქვს შემოვლებული, მეოთხე მხარეზე კი მდინარე მტკვარი ჩამოედის. სამხრეთით ამართულია ციხე, რომელშიც სპარსელთა მეციხოვნე ჯარი დგას, და არა ოსმალთა, როგორც ამას ამბობს ერთი ახალი მწერალი.

მდინარეზე გადასასვლელად საჭიროა ციხის კარის გავლა, რომლის მახლობლად, იმ ადგილას, სადაც მდინარე ვიწროვდება, ხის ხილია გადებული. ხილს გაღმაც ციხე-ქალაქია, ოღონდ ქალაქთან შედარებით ის საკმაოდ მაღალ ადგილზეა. მას, ქალაქთან ერთად დაახლოებით სამი მილის ტერიტორია უჭირავს. [ქალაქის] ყველაზე ლამაზი ადგილი ბაზარია.

სომხებს აქ ექვსი ეკლესია აქვთ სამრეკლოებითურთ², ქართველებს — ორი; აქედან ერთი მათი ეპისკოპოსისაა³, მეორე მათივე პატრიარქისა⁴, აქვე იმყოფება ერთი წარჩინებული, რომელიც ამ ქვეყნის მეორე საეკლესიო პირად ითვლება, და მათს ენაზე, „ჯვარის მამად“ (Giuaris Mama) იწოდება.



l'aria poi per me non è stata buona, essendomi infermato due volte, è luogo assai caldo l'Estate, perche Tiflis, in questa lingua significa Città calda, onde il Principe cò Vescovi, et altri Signori principali escono, e si ritirano sopra d'un Monte abbondante d'acqua freschissima, lontano dalla Città quattro miglia in circa, detto Cogiori;

Il vitto à assai à buon prezzo; il popolo ascendera al numero di dodici milla aniane, e forse più, e questi la maggior parte Armeni, Scismatici, e la feccia dell'Armenismo.

Volendo poi il Padre Prefetto mandare un Superiore nel nostro Ospitio di Gori, me ne diede perciò la patente, ancorche Io instantemente lo pregassi, e supplicassi à fare il Padre, che colà solo si ritrovava, et era andato prima di me; non mi valse scusa ne mi giovò le repulse, bisognò chinare il capo alla Santa ubedienza; per tanto il primo di Febraio secondo la Chiesa Armena, mi portai a Gori, viaggio di due giornate, e ben vero, che d'Estate, si puo fare in un giorno, essendo camino di cinquanta miglia in circa.

Giunto all'Ospitio vi sono dimorato tutto il tempo della Missione, eccetto, che sei mesi in Tiflis. Mà perche non è la mia intentione di scrivere effettivamente sopra le Missioni, perche dovrei, e si potrebbe fare un libro. Solo dirò, come ho accenato delle

აქაური ჰავა არ მომიხდა, დამცადა და ორგზის ავად გავხდი. ზაფხულობით აქ ძალიან ცხელა. ამიტომაც, რომ თბილისი ამათ ენაზე „ცხელ ქალაქს“ ნიშნავს. სიცხის გამო მეფე, ეპისკოპოზების და სხვა წარჩინებული ბატონების ამალით, ქალაქს სტოვებს და გრილი წყაროებით უხვ მთაში ადის. ეს ადგილი ქალაქიდან დაახლოებით ოთხი მილითაა დაშორებული. მას კოჯორი ეწოდება.

სურსათ-სანოვაგე აქ ძალიან იაფია. მოსახლეობა 12.000 სულს აღწევს. შესაძლებელია ამაზე მეტიც იყოს. მოსახლეობის მთავარ ნაწილს სომხები, მწვანელები და სომხურ სარწმუნოებას მიკედლებულნი შეადგენენ.

[ჩემი თბილისში ყოფნის დროს] პატრმა პრეფექტმა მოისურვა გორის ჩვენს ჰოსპიტალში წინამძღვრის დანიშვნა. ამ მოვალეობის შესრულება მე დამეკისრა. თუმცა დაჟინებით ვებეწებოდი და ვემუდარებოდი წინამძღვრად განეწესებინა ის პატრი, რომელიც იქ იმყოფებოდა და ჩემზე უწინ იყო წასული, მაგრამ არც ბოდიშმა გასკრა და ვერც უარმა მიშველა. წმინდა მორჩილების წინაშე ქედის მოხრის გარდა სხვა არაფერი დამრჩენოდა. ამიტომ 1 თებერვალს, სომხური ეკლესიის კალენდრის მიხედვით, გორს გავემგზავრე. ორ დღეს ვიმგზავრე, თუმცა, ნამდვილად, ზაფხულში ეს გზა, რომლის მანძილი დაახლოებით 50 მილს უდრის, შეიძლება ერთ დღეშიც გაიაროს.

ჰოსპიტალში მოსვლის დროიდან აქ დავყავი მისიონის მთელი დრო, გარდა იმისა რომ ექვსი თვე თბილისში ვავატარე. განზრახული არ მაქვს არსებითი რამ ვთქვა მისიონის შესახებ, რადგან ეს რომ მოვიწადინო, ამას, ალბათ, მთელი წიგნი დასჭირდებოდა. ვიტყვი

altre Missioni, tanto del Levante, come del Ponente, che si predica, si confessa, si comunica, si battezza, havendo per tale effetto il Battistero in Chiesa publica, si fa la scola, poiche si vede chiaramente, che li Padri, e Madri non insegnano ne meno fare il segno della Santa Croce à suoi figliuoli, come se non fossero Christiani, e tanto più, che con verità si può asserire esservi la feccia del Armenismo, et una ignoranza crassa.

In quanto poi alli Giorgiani, questi sono uniti con Greci, essen dosi vergognati unirsi nella fede con gl'Armeni, tenendoli in concetto de loro Schiavi. Mà al meno questi Greci instruissero il popolo Giorgiano, massime delle Ville, ma questi di continuo stano nele Corti di questi Signori, e le povere Anime de suditi, sono affatto privi delle cognitione de Misteri della Fede, che pur saprebbero qualche cosa, ancorche Scismatici.

I Preti Giorgiani poi, li ho veduti dietro à Carri, (ne meno si conoscono per Ecclesiastici) alle some, e sino à lavorare il terreno, il che fanno con quattordici Bovi, e fra questi vi saranno sei Buffali, da essi chiamati Cambeg, e per questo i terreni bene lavorati, rendono molto frutto, il che è Causa, che il tutto è à buonissimo prezzo, mà è d'avvertirsi esser necessario fare le sue provisioni al raccolto, et alla vendemia, che in questo modo con poco denaro

მხოლოდ, რომ ისევე როგორც სხვა მისიონებში, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, აქაც მთავარია ქადაგება, აღსარება, ზიარება და ნათლისღება. ნათლისღებისათვის სამრევლო ეკლესიებთან ეკვდრია გაძართული. ყველაფერი ეს (ამათვის) სკოლაა, რადგან ცხადად ჩანს, რომ მშობლები თავიანთ შვილებს პირჯვრის გამოსახვასაც კი არ ასწავლიან, თითქოს ქრისტიანები არ იყვნენ. მეტიც: ეს შეიძლება სრულის დაქვემდებარებით მივაწეროთ სომხური ეკლესიის მიმდევრობას და ველურ უმეცრობას.

ქართველთა შესახებ კი უნდა ითქვას, რომ ესენი ბერძნულ სარწმუნოებასთან არიან დაკავშირებული. მათ სირცხვილად მიაჩნიათ სარწმუნოებრივი კავშირი სომხებთან, რადგან ამ უკანასკნელთ თავიანთ ყმებად სთვლიან. ბერძნები სწრთვნიან ქართველ ხალხს, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, მაგრამ ისინი ხანგრძლივად ჩერდებიან ფეოდალთა კარზეც. საბრალო და მორჩილი ღვთისშვილები გულმხურვალედ არიან მოწაინებელი გაეცნონ სარწმუნოების საიდუმლოებებს, რათა ცოტა რამ მაინც იცოდნენ, თუნდაც ის მწვალებლური [მიმართულებების] იყოს.

ქართველი მღვდლები ურემზეც მინახავს (ვერ მიხედვებით რომ ისინი სასულიერონი არიან) ტვირთის ზიდვის დროს. მიწას ისინი ხნავენ თორმეტი ხარით, რომელთა შორის ექვსი კამეჩია („Cambeg“). ამიტომაც მიწები კარგადაა დამუშავებული და უხვ მოსავალსაც იძლევა. ესაა იმის მიზეზი, რომ აქ ყველაფერი იაფია. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ [აქ] სარჩოს რთველსა და ღვინობისთვეში იმზადდებიან. ამ დროს ცოტა ფულით (ჩვენ ქვეყნებთან შედარებით) მთელი წლის სარჩოს შექენა

(rispetto à nostri paesi) si fa la provisione per tutto l'anno, perche volendo poi provedersi frà l'anno, si paga tre volte di più, massime il vino, che è da costoro bevuto senza misura, e però diviene caro.

Mà ritorniamo à Preti Giorgiani, e cosa indecente alla loro Chiesa, mà questo alli Greci poco importa, basta, che assistano à Principi, per cavarne il denaro di molte intrate, che uniscono assieme, per trasmetterle in Gerusalemme (vi sono terreni, e beni stabili à tal effetto destinati) dando ad intendere, che nel Santo Sepolcro venghi li fuoco dal Cielo, (questo Santo Sepolcro di Gerusalemme lo tengono i Greci con lor sborso di cento milla piastre) e che questo fuoco lo vedono tutti, eccetto che noi altri Franchi, pazzia manifesta, essendo falsissimo, che venghi tal fuoco dal Cielo, ma il loro Patriarca, con fraude ve lo porta, e tiene così ingannato non solamente la sua Nazione Greca, mà questi Giorgiani, gli Armeni, Iacobiti, et altri Scismatici, quali sanno convenire tutti con denari da trasmettere in Gerusalemme, e così ingrassano quel Patriarca, et altri loro Ecclesiastici con danno notabile delle sodette Nationi.

Ciò non ostante li Giorgiani sono verso li Franchi affettionati, perche dicono, che essendo nel loro paese mancata affatto la Religione Christiana, ovvero, e è più credibile, essendo peranche Gentili, venne in queste parti una Santa Vergine Romana,

შეიძლება, სხვა დროს კი სამჯერ ძვირი ღირს, განსაკუთრებით ღვინო, რომელსაც უზომოდ სვამენ და, ცხადია, ძვირდება კიდევ.

ისევ ქართველ მღვდლებზე საუბარს უნდა დაეუბრუნდე. მათს ეკლესიაში დიდი უწესობა სუფევს, მაგრამ ამაზე ბერძენი მღვდლები ყურსაც არ იბერტყავენ. მათთვის ისიც კმარა, რომ მეფე-მთავრებს დაეხმარონ იმ ფულის შეგროვებაში, რომლითაც კარგი შემოსავალი დგება და იერუსალიმს გადაგზავნონ (იქ მათ [ბერძენებს] საამისოდ განკუთვნილი მიწები და მამულები აქვთ). ისინი ირწმუნებიან, რომ ქრისტეს საფლავზე ზეციდან ცეცხლი ჩამოდის (იერუსალიმში ბერძენთა ხელთაა ქრისტეს საფლავი, რომელსაც ასი ათასი პიასტრის შემოსავალი აქვს) და რომ ამ ცეცხლს, კათოლიკეთა გარდა, ყველანი ხედავენ. მტკნარი სისულელეა და ნაყალბევი ზეციდან ცეცხლის ჩამოსვლის ამბავი, მაგრამ მათი პატრიარქი ამას თვალთმაქცურად იყენებს და ასე ატყუებს არა მარტო ბერძენებს, არამედ ქართველებს, სომხებს, იაკობიტებს და სხვა მწვალებლებს. ყველა ამათ ერთხმად პირი აქვთ შეკრული, რათა იერუსალიმს ფული გაგზავნონ და ამრიგად დააპურონ როგორც პატრიარქი, ისე მისი სხვა საეკლესიო პირნი, რასაც საგრძნობი ზიანი მოაქვს ხსენებულ ხალხთათვის.

ყველა ამის მიუხედავად ქართველები კათოლიკეთა მიმართ კეთილად არიან განწყობილი. ამბობენ, რომ იყო დრო, როდესაც მათ ქვეყანაში ან მთლად არ იყო დამკვიდრებული ქრისტიანული სარწმუნოება ანდა, ეს უფრო სარწმუნოა, [სრულიად] წარმართნი იყვნენ. ამ

buale li predico la Santa Fede, questa la chiamano Santa Nino, detta dagli' Armeni Santa Nune, e s'introdusse con la medicina, operava maraviglie con le semplici herbe, ma più con le orationi, e predicationi.

I Giorgiani sono gentilissimi ne costumi, et affabili; nella Fede poi, non pretendono d'havere il primato, come li Greci, ne meno hanno tanta aversione alla Chiesa Romana, come i Moscoviti, anzi mostrano grandissima divotione, et riverenza à Roma, et à San Pietro; mà quando nominano il Persiano, lo chiamano col nome di cane, che in loro lingua dicono, Tatarsi Zagli aris, ma parlando poi de Turchi, da loro tenuti in più peggio concetto, dicono, Tatarsi Urumi Zagli aris, e però è cosa, che ha del miracoloso il vedere, come questi Giorgiani, nonostante le guerre, che hanno havuto, e che li bisogna stare sempre con l'armi alla mano, essendo il loro paese cinto da tutte parti da potentissimi nemici, e tutti infedeli, con tutto ciò essi forti, e costanti, si sono sempre mantenuti nella fede Christiana, cosa in vero degna d'ammirazione.

Essendo questo paese fuori di strada, ove non passano più, che tanto Forestieri, ne meno Caravane, molti Scrittori hanno detto cose grandi, ma tutte per relationi, ò cavate da libri,

1. მასალები, ნაკვ. 29

მხარეში მოსულა რომაელი წმინდა ქალწული, რომელმაც მათ თურმე უქადაგა ქეშმარიტი სარწმუნოება. ქართველები მას წმინდა ნინოს უწოდებენ, სომხები — წმინდა ნუნეს. სამკურნალო ცოდნით შეგებული ნინო სასწაულებს ახდენდა, მაგრამ უფრო კი ლოცვებით და ქადაგებით ჰკურნავდა.

ქართველთა წეს-ჩვეულება კეთილშობილურია და ბუნებით მკვირცხლნი არიან. ბერძენთა მსგავსად სარწმუნოებაში პირველობას არ ჩემულობენ. რომის ეკლესიისადმი არც ის სიძულვილი აქვთ, მოსკოვიტებს რომ სჩვევიათ. პირიქით, უდიდეს მოკრძალებას და მოწიწებას ამჟღავნებენ რომისა და წმინდა პეტრეს მიმართ. მაგრამ თუ ვინმემ სპარსელი ახსენა, ისინი მას (სპარსელს) ძალს უწოდებენ, რაც ამათ ენაზე ასე გამოითქმის „თათარი ძალლი არის“ („Tatarsi Zagli aris“). კიდევ უფრო უარესია მათი შეხედულება ოსმალებზე. ოსმალოს ხსენებაზე ამას ამბობენ: „თათარი ურუმი ძალლი არის“ („Tatarsi Urumi Zagli aris“). ყველაზე გასაოცარი მაინც ისაა, რომ გადახდილი ომების მიუხედავად, რაც მათ აიძულებს მუდმივად იარაღში ისხდნენ, და იმის მიუხედავად, რომ მათი ქვეყანა ყოველმხრივ ძლიერი მტრებითაა გარშემორტყმული, თანაც ყველა ისინი ურწმუნო მაჰმადიანები არიან, იმდენი სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინეს, რომ ბოლომდე შეინარჩუნეს ქრისტიანული სარწმუნოება. ეს ამბავი მართლაც რომ ღირსია განცვიფრებისა [და ქებისა].

ეს ქვეყანა ახლა [სატრანზიტო] გზის გარეთაა დარჩენილი, თავის დროზე კი ამ [ქვეყნის] გზით მიდიოდნენ უცხოელები, ქარავნები. მრავალ მწერალს ბევრი საოცარი რამ აღუნიშნავს ამ



e però Io ne dirò qualche cosa di quello ho veduto.

Il Principe, che governa questa Provincia di Giorgia, è di nascita Giorgiano, ma di legge Persiano, e caso, che ricusasse di far si di tal legge, il Rè di Persia vi manderebbe un Chan, che vuol dire Vice Rè, come fa in altri luoghi, et occorendo ciò sarebbe pericoloso, che tutta questa Christianità si perdesse affatto;

Acciò che il Lettore possi in— [ten] dere meglio, e da sapersi, che volendo il padre di questo Principe, detto Sanavacan, andare in Ispahan, morì per camino; onde il Rè di Persia, ciò inteso, ordinò a cinque Figlioli restati del detto Principe, di portarsi alla Corte: questi udito il Real comando andarono tutti cinque, bene accompagnati dal Rè di Persia, qual non volendo fare torto à niun di loro, chiamò il primo, e li disse: le conventioni già fatte con suoi antecessori, se voleva succedere nel Principato, bisognava, che col piede calpestasse la Croce, e si facesse di legge Persiano, col farsi circoncidere, fù dunque portata la Croce, e posta in terra, acciò il Levan (tal nome tiene al primo de Fratelli) li ponesse il piede sopra, mà questi al comparire della Santa Croce tanto si commosse, e s'intenerì, che non fù possibile potesse fare tal sacrilegio, anzi dirottamente, si diede a piangere à

ქვეყნის შესახებ. ბევრი მათგანი რელიციონების სახითაა აღწერილი, ზოგი წიგნებიდან ამოკრებილი. მე კი აღწერი მას, რაც თვითონ ვნახე.

მეფე, რომელიც საქართველოს ამ კუთხეს მართავს, დაბადებით ქართველია, მაგრამ სპარსული სარწმუნოების აღმსარებელი. თუმცა ისეც მოხდება ხოლმე, რომ ზოგი [მეფე] უარს ამბობს აღიაროს მაჰმადიანთა სარწმუნოება, მაშინ სპარსეთის მეფე მის აღვილზე გზავნის ხანს, როგორც ამას ის სხვა ოლქების [მიმართ] ჩადის. ხანი ხელმწიფის მოადგილეს ეწოდება. მსგავსი რამ თუ აქაც მოხდა, შეიძლება იმდენად სახიფათო აღმოჩნდეს, რომ მთლიანად წარიხოცოს ქრისტიანობა.

მკითხველისათვის. რომ ზოგი რამ უკეთ იყოს გასაგები, საჭიროა იცოდეს, რომ [ახლანდელი] მეფის მამამ, შაჰნავაზად წოდებულმა, ისპანს წასვლა მოიწადინა, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა. ამ ამბის გაგონებისთანავე სპარსეთის შაჰმა ბრძანა, რათა ხსენებულ მეფის ხუთი ვაჟიშვილი მის კარზე გამოცხადებულიყო⁷. ესენიც დაემორჩილნენ ბრძანებას და ხუთნივე, სპარსეთის შაჰის რჩეული მხლებლებითურთ, ერანს გაემართნენ. შაჰს არ სურდა რომელიმე მათგანისათვის რაიმე ვნება მიეყენებინა. უხუცეს ძმას თავისთან მოუწოდა და ასე უთხრა: შენს წინაპართა ჟამს დადებული წესის თანახმად, თუ გსურს სამეფო მიიღო, უნდა ფეხით ვაჰქელო ჯვარი და წინდაცვეთით გამაჰმადიანდე. მცხვე ჯვარი მოატანინა და მიწაზე დასდო. როდესაც ლევანმა (ეს სახელი ერქვა უხუცეს ძმას) ფეხი შემართა ჯვარზე დასადგმელად, წმინდა ჯვრის გამოსახულებამ ისე ააღელვა და მოადუნა, რომ არ ძალუძდა ამგვარი მკრეხელობის ჩადენა და გულმდუღარედ

più potere; il Rè che non vuole, che quest'atto sia sforzato: li disse, che non occorreva piangere, perche non era per fargli forza alcuna, e come non voleva assentire a quanto li diceva, se ne restasse in buon'hora, che havrebbe fatto Principe della Giorgia, qualcheduno de suoi Fratelli; mà avanti che tre di loro fossero interrogati, mossi dall'esempio del maggiore, supplicarono Sua Maestà contentarsi (alla vista della Croce s'erano ancor essi inteneriti, e commossi) di lasciargli nella loro fede Christiana, ove erano nati, con soggiungere altre parole proferite con ogni umiltà, e rispetto. Il Rè li parlò in questo modo à tutti trè; Già hò detto, che questa fontione non si deve fare con violenza, e voi ricusando di fare quello, che habbiamo statuito cò vostri antepassati, venite ancor si ad escludervi dal Principato;

Chiamato per tanto il più giovane detto per nome Giorgio, li disse; che già poteva vedere, come li suoi Fratelli ricusavano il Principato, e che però à lui toccava essere Principe della Giorgia. Questi essendo, come dissi il più Giovane fece tutto quello, che del Rè li fù comandato, poscia ordinò, che subito si facesse circondere, e poi ritornasse per haver la solita veste, (costumano li Rè di Persia di dare una veste lunga alla Persiana, ò mandarla, quando la Persona è lontana) il bastone del Principato, il tutto fù eseguito.

Mentre questo si negoziava, il Rè prese grande affetto ad uno di questi Fratelli, detto, per nome Arcille, qual essendo un Giovane non sola-

აქვითინდა. შაჰმა, რომელსაც არ სურდა ძალა ეხმარა, უთხრა: ნუ სტირი, რადგან არავითარ ძალადობას არ მივმართავ; თუ არ გსურს ის შეასრულო, რაც ვითხრეს, იყოს ნება შენი, ქართლის სამეფოს კი შენს ძმათა შორის ერთს რომელიმეს დავუმტყიცებ. მაგრამ სანამ მომდევნო სამ ძმას დაჰკითხავდნენ, იმათზეც, თავის მხრივ, უფროსი ძმის მაგალითმა, ისე იმოქმედა, რომ უავგუსტეს [შაჰს] მუდარით შესთხოვეს დაკმაყოფილებულიყო (ჯვარის დანახვამ ესენიც აღელვა) მათი დატოვებით ქრისტიანულ სარწმუნოებაში, რომელშიაც ისინი დაბადებული იყვნენ. სხვა სიტყვებით ისინი მას მდობალ მორჩილებას და პატივისცემას უცხადებდნენ. შაჰმა სამთავეს ასე მიმართა: უკვე ითქვა, რომ ეს საქმე ძალდატანებით არ უნდა შესრულდეს; თქვენ უარს ამბობთ გააკეთოთ ის, რაც თქვენ წინაპრებთან ერთად დავაქანონეთ, ამიტომ თქვენც მოგიხდებათ სამეფოზე ხელისაღება.

შაჰმა თავისთან მოუწოდა ძმათა შორის ყველაზე უმრწემესს, სახელად გიორგის, და უთხრა: უკვე იცი და განიცადე, თუ როგორ თქვეს უარი სამეფოზე შენმა ძმებმა, ამიტომ ქართლის მეფობა შენ გერგო. შემდეგ ბრძანა, დაუყოვნებლივ წინდაცვეთის წესის შესასრულებლად გაეყვანათ, უკან მობრუნებულს კი საპატიო ხალათი ჩააცვეს (სპარსეთის შაჰს წესად აქვს გრძელი სპარსული ხალათის ბოძება, ან მისი გაგზავნა, როდესაც [შეწყალებული] პიროვნება შორს იმყოფება) და სამეფო კვერთხი გადასცეს. ყველაფერი [რიგზე] შესრულდა.

სანამ ეს ამბავი მოგვარდებოდა ხელმწიფეს დიდად მოეწონა ერთი ამ ძმათაგანი, რომლის სახელი არჩილია. ეს ყმაწვილი ლამაზი იყო არა მარტო სა-



mente di fattezze bellissimo (corrispondono in fatto al grido) mà di costumi, e tratti veramente da Principe; perciò al Rè dispiaceva assai, che questo dovesse andarsene, senza contrasegno della liberalità Reggia; in progresso di poco tempo, passò si avanti la confidenza, che Sua Maestà haveva con questo Principe, che per maggiormente dargli a conoscere, quanto fosse da lui amato, et anche stimato: ordinò che nella medesima sua camera, ove esso Rè dormiva, fosse posto un letto anche per Principe Arcille, cosa, che cagionò non poca ammiratione in tutta la Corte, sapendosi benissimo da tutti, che questo è il maggior favore, e confidenza che possa usare il Rè di Persia:

Mà qui non terminarono le gratie del Persiano, verso questo Principe; perche con la continua conversatione, scoprendo più tratti nobilissimi, e talenti non ordinari, anzi degni di comando (ogni sua attione haveva del grande) un giorno dopo forsi d'havere passato il tempo in diversi trattenimenti, ne quali in tutti, e ciascuno in particolare riusciva mirabile. Il Rè li parlò in questo modo: hai già veduto, come non havendo voluto voi quattro Fratelli maggiori fare quanto Io desideravo, e caduta la sorte del Principato della Giorgia in Giorgio minor Fratello, quale forse non ci pensava meno; nulladimeno dovendo voi tutti quattro partire per il vostro paese, à me però non dà l'animo di lasciarti andare, senza, che tu ancora non partecipi della mia

ხითა და ვარეგნობით (მისი სილამაზე მისი ქების მოწმობა იყო), არამედ ქვეითაც და ქვეშარიტად მეფური ღირსებებით. ხელმწიფეს სწყინდა, რომ არჩილი უნდა ვაესტუმრებინა ხელმწიფური წყალობის გამოხატვის გარეშე. სულ ცოტა ხანში ხელმწიფის ნდობა მისდამი იმდენად გაძლიერდა, რომ მისმა უზენაესობამ ამ ბატონიშვილის უკეთ გასაცნობად, და მისდამი თავისი სიყვარულისა და პატივისცემის დასადასტურებლად ბრძანა, რათა მის ოთახში, სადაც ხელმწიფე იძინებდა, საწოლი დაედგათ აგრეთვე ბატონიშვილ არჩილისათვის. ამან მთელ მის კარზე მცირე გაოცება როდი გამოიწვია, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს იყო უმაღლესი წყალობისა და ნდობის გამოხატულება სპარსეთის ხელმწიფის მხრივ (როგორიც კი შეიძლებოდა გამოეჩინა სპარსეთის ხელმწიფეს).

მაგრამ სპარსელის [შაჰის] წყალობა ამ ბატონიშვილის მიმართ ამით არ დამთავრებულა. გამუდმებულმა საუბრებმა კიდევ უფრო აშკარა გახადეს ბატონიშვილის კეთილშობილური ყოფაქცევა, მისი არაჩვეულებრივი ნიჭი. ყველაფერი ეს კი მას კიდევ უფრო მეტად ხდიდა მბრძანებლობის ღირსად (ყოველ მის მოქმედებას დიდებულობის ელფერი გაღვკრავდა). ერთ მშვენიერ დღეს ზოგადსა და კერძოზე საუბარმა განსაკუთრებით გააოცა ხელმწიფე. მან ასე მიმართა ბატონიშვილს: კარგად იცი, თუ როგორ მსურდა თქვენ, უფროს ძმებს, შეგესრულებინათ ის, რაც მე მწუღდა. ქართლის სამეფო ერგო გიორგის, უმრწემეს ძმას, რომელიც ამას აღბათ არა ნაკლებ იყო მოწადინებული. მიუხედავად ამისა ოთხივე უნდა წახვიდეთ თქვენს ქვეყანაში. მაგრამ გონება მეუბნება ისე არ გაგიშვა, რომ ჩემი

liberalità, tanto più havendo scorto in te talenti non indegni di Principi; per tanto havendo inteso, essere morto il Principe di Cacheti (luogo discosto da Tiflis guattro giornate) di presente ti consegno il bastone di comando di quel Principato, et in ciò dire li diede un bastone indorato, che teneva nelle mani, (Tutti i Persiani costumano portare sempre un bastone ben fatto nelle mani, andando anche per la Città) et in questo proposito, quando fu in Ispahan volendo uscire di Casa..

Ma ritonando al nostro discorso. Terminato, che ebbe il Rè tali parole, il Principe Arcille genuflesso, baciò la veste al Rè e pigliando il bastone del Principato con humili, e riverenti parole, ringratiò Sua Maestà; dal quale poscia licentiatisi tutti cinque, se ne ritornarono quattro in Tiflis, Metropoli della Provincia, et Arcille nel suo Principato nel Cacheti, ove col suo governo, non solamente era amato da suoi sudditi, mà anco da tutta la Giorgia, e paesi circonvicini, stimato al maggior segno.

Poco dopo pigliò Moglie una Principessa di queste parti di bellezza straordinaria, dalla quale ha havuto più Figliuoli, non punto dissimili dal Padre, e dalla Madre, e ben si può asserire, che un solo Apelle, ne potrebbe cavare i ritratti;

E perche i Persiani, che si trovano in Giorgia, si nella Fortezze, come per la Città, e Corte, et e anche quelli, che stavano in Cacheti, havendo occasione

წყალობის მონაწილე არ გაგხადო მით უმეტეს, რომ შენში მეფური ღირსების ნიჭი აღმოვაჩინე. სწორედ ახლა გავიგე, რომ კახეთის მეფე გარდაცვლილა (ეს მხარე თბილისიდან ოთხი დღის სავალზეა). ახლა შენ გაძლევ ამ სამთავროს მმართველის კვერთხს, ამ სიტყვების შემდეგ მას მისცა მოოქროვილი კვერთხი, რომელიც იმ მეფეს ხელთ ეჭირა (ყველა სპარსელს ჩვეულებად აქვს ლამაზად ნამუშევარი კვერთხის ტარება, ქალაქში გასვლის დროსაც). ამ წინადადების შემდეგ, ეს ისპაანში მოხდა, შაჰმა სასახლიდან გასვლა მოისურვა..⁸⁾

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს მოთხრობას. დამთავრა თუ არა ამ სიტყვების წარმოთქმა ხელმწიფემ, ბატონიშვილ არჩილმა მუხლი მოიდრიკა, ეამბორა ხელმწიფის კალთას, მორჩილებით ჩამოართვა მას სამეფო კვერთხი და პატივისცემით აღსაესე სიტყვებით მადლობა მოახსენა. ამის შემდეგ შაჰმა ხუთივე დაითხოვა. ოთხი თბილისში, ამ სამეფოს დედა-ქალაქში დაბრუნდა, ხოლო არჩილი თავის სამეფოში—კახეთს მივიდა⁹⁾. თავისი მართვა-გამგეობით მან არა მარტო თავის ქვეშევრდომთა სიყვარული დაიმსახურა, არამედ მთელ საქართველოში და მეზობელ ქვეყნებშიც დიდი პატივისცემა მოიხვეჭა¹⁰⁾.

მცირე ხანი რომ გამოხდა არჩილმა ცოლად შეირთო ამ ქვეყნის, არაჩვეულებრივი სილამაზით შემკული, ბატონიშვილი ქალი. მასთან არჩილს შეეძინა რამდენიმე შვილი, რომელნიც სილამაზით მშობლების მსგავსნი იყვნენ. ქეშმარიტად, მხოლოდ აპელეს¹¹⁾ შეეძლებოდა მათი სახეების დახატვა.

ქართლში, ციხეში, ქალაქში და კარზე მყოფ სპარსელებს, აგრეთვე იმ სპარსელთ, კახეთში რომ იმყოფებიან, შემთხვევა მიეცათ ენახათ ხსენებული

di vedere la sodetta Principessa, non costumando i Giorgiani Serragli, ne meno uscendo di Casa, andare come fanno le Donne Persiane, e Turche coperte, con un manto bianco, anzi costumano portare la faccia scoperta, et usano un vestito molto modesto, mà maestoso, e bizzarro, solo in Christianità, si vedono andare le Donne spettorate, abuso detestabile, e posono gridare, quanto vogliono i Predicatori;

E perciò essendo veduta spesso si bella Principessa, si cominciò à proparlare la fama di questa Signora in modo, che gionse alle orecchie del Rè Persiano, quale supponendo d'haverla in pugno, (non li bastava una Mandra che ne tiene nel suo Serraglio, tutte Giorgiane, e Circasse, stimate il più bel sangue dell'Asia) per essere Moglie di un suo particular Amico, ed obligato; per tanto scrisse al Principe Arcille, acciò li facesse questo favore di mandargli la Principessa sua Moglie, havendo inteso, per cosa certa, che in bellezza, a vanzi tutte le Donne dell'Asia; alla comparsa di tal lettera restò il Principe perplesso, (è da credere, che al principio non la mostrasse alla Moglie per non turbare l'altra parte del suo cuore) percue da una parte posto in bilancia le obligationi, che doveva a Sua Maestà, dall'altra l'obbligo, che doveva a Dio, contratto con santo Maritaggio, con tal Principessa, flutuava perciò la di lui mente in un mare di pensieri, e sopra ciò è credibile non risolvesse (ancorche prudente) cosa alcuna solo, ma che si por-

დედოფალი. ადვილად გასაგებია, რადგან ქართველებს ჰარამხანა არა აქვთ. მათი ქალები სახლიდან გამოსვლისას, სპარსელი და თურქი ქალების მსგავსად, თეთრ ჩადრში როდი არიან გამოხვეული, ის კი არა ირთვებიან კიდევ, სახე გამოჩენილი აქვთ და იცვამენ მეტად სადა, მაგრამ მაინც დიდებული და თანაც უცნაური შეხედულების კაბებს. მხოლოდ ევროპაში დაიარებიან ქალები მკერდშიშველნი, რაც საძაგელი ცთომილებაა, როგორადაც არ უნდა აღიმაღლონ ხმა მის დამცველ-მეხობებებმა.

ლამაზი დედოფლის მნახველებმა მისი ლამაზეს ისე გაუთქვეს სახელი, რომ ამ ქალბატონის ქებამ შაჰის ყურამდე მიიღწია. ამას ასე ეგონა ის უკვე ხელთა მყავსო (მისთვის არ კმარა, რომ ჰარამხანაში მთელი ჯოგი ჰყავს ქართველ და ჩერქეზ ქალებისა, რომელნიც მთელ აზიაში განთქმული არიან თავიანთი მშვენიერი აღნაგობით). ეს ქალი ხომ მისი დიდი მეგობრის, და მისგანვე შეწყალებულის ცოლი იყო! ამ საბაბით ხელმწიფემ არჩილს წერილი გაუგზავნა, რომლითაც მოითხოვდა პატივისცემას და მისი ცოლის, დედოფლის, გამოგზავნას, რადგან დაქვშმართებით ვიცი, რომ ევ სილამაზით აზიის ყველა ქალებს სჯობს. ასეთი წირილის მიღებამ მეფე ფრიად დაალონა (ცხადია, ამ წერილს თავის მეუღლეს ვერ უჩვენებდა, რომ ამით თავისი გულის მესაიდუმლე არ შეეწუხებინა). მან სასწორის ერთ მხარეზე მოვალეობა დასდო, რომლითაც ის სპარსეთის ხელმწიფესთან იყო დაკავშირებული, ხოლო მეორე მხარეზე მოვალეობა ღვთის წინაშე დაწმინდა ქორწინების კავშირი დედოფალთან. მეფე ფიქრთა ზღვაში ცურავდა. ცხადი უნდა იყოს, რომ ამ საქმეს

tasse in Tiflis, per notificare à Fratelli la domanda ingiusta del Rè;

Quello, che trattarono, o si determinarono non lo sò; quello posso asserire è, che li Giorgiani si governano con una si fina politica, che il Macchiavelli la perderebbe, (in questo paese vi è la Casa de Macchiavelli è delle prime della Provincia, tanto basta) e pure sono senza libri, e senza stampa.

L'esito però del negotio ci chiari ben presto, perche il Principe Arcille rispose alla lettera, del Rè con parole humili si, mà però tiene di generoso ardire; notificando a sua Maestà, che essendo lui Cristiano, non li era permesso d'havere che una Moglie, e questa con legame indissolubile, e che solo la morte poteva separargli, e che meno si doveva alla sua grandezza pigliare Donna, che d'un altro haveva partorito più Figliuoli, e con molte altre ragioni, e cautele, che usò per sottrahersi da simile dimanda spropositata. Il Sophi, che haveria creduto, non solo di dovere ricevere per risposta la Principessa stessa, mà anche tutte le Donne della Giorgia, se l'havesse richieste; vedendo fallire il suo pensiero, diede in smania tale, che subito scrisse al Principe Giorgio, Fratello d'Arcille, che dovesse mandargli la testa di suo Fratello Principe di Cacheti, et assieme la di lui Moglie viva e ben accompagnata.

მარტო ვერ გადაწყვეტდა (აქაც გონება მ გაუჭრა). ამიტომ თბილისში წავიდა, რათა ძმებისათვის ხელმწიფის უსამართლო მოთხოვნა ეცნობებინა.

რა მოილაპარაკეს ძმებმა, ან რა გადაწყვეტილება მიიღეს მათ, არ ვიცი. იმის მტკიცება კი შემიძლია, რომ ქართველები ისეთი ოსტატური და დახვეწილი პოლიტიკით მართავენ თავიანთ ქვეყანას, რომ თვით მაკიაველიც კი თავს ვერ გაართმევდა (საკმარისია, აღინიშნოს, რომ აქ არსებობს მაკიაველის (Macchiavelli)¹² სახლი, რომლის წევრები ამ სამეფოს პირველ თავკაცებად ითვლებიან) თუმცა არც წიგნები აქვთ და არც სტამბა.

ძმათა შორის გამართული მოლაპარაკების შინაარსი მალე გამოარკვია მეფე არჩილის მიერ ხელმწიფისათვის მიწერილი წერილის შინაარსმა. მოკრძალებული სიტყვებით, მაგრამ სულგრძელი გაბედულებით, არჩილი ხელმწიფეს ატყობინებდა, რომ მას, როგორც ქრისტიანს, უფლება აქვს იყოლოს მხოლოდ ერთი ცოლი, რომელთანაც ის ურღვევი კავშირით არის შეერთებული და რომ მხოლოდ სიკვდილს შეუძლია მათი გაყრა. თან დასძენდა, რომ თუ შაჰური ბრწყინვალეობა მოიხურვებს ქალს, მას მიჰგვრის სხვა უფრო ახალგაზრდა გოგონას. სხვა ამგვარი შეგონებით და ხერხიანი ფანდებით ცდილობდა იგი უარეყო უაზრო მოთხოვნა. შაჰი დარწმუნებული იყო, რომ პასუხად მიიღებდა არა მარტო დედოფალს, არამედ საქართველოს ყველა ქალს, თუ კი ის ამას მოითხოვდა. ამიტომ განზრახულია ჩაუშუშვამ ისე განარისხა, რომ დაუყოვნებლივ მეფე გიორგის, არჩილის ძმას, წერილი მისწერა, რათა კახეთის მეფის მოკრილი თავი გამოეგზავნა, მისთან ერთად კი მისი

Ricevuto tal ordine il Principe Giorgio, non devo Io scrivere que lo passò fra di loro Fratelli, solo dirò, che il Principe Arcille con la Moglie, e Figli, et alcuni suoi più idati, si ritirò sopra d'una Montagna, nella quale è fabricato una buona Fortezza, ove non si può salire, ehe per un picciolo sentiero, et anche carpone, et lui fortificossi. Assicurato in questo modo Arcille;

Il Principe Giorgio diede per risposta al Rè, che molto volentieri havrebbe servito la Maestà sua, ma che essendo, non sò come, venuto tutto a notitia d'arcille, era fugito con tutta la sua Famiglia sopra d'una Montagna altissima, et ivi in una Fortezza si era assicurato.

Non si quieto per questo il Rè, anzi rescrisse al Principe, che fatto un Esercito, dovesse in persona portarsi ad assediare Arcille in quel Monte, e fare il possibile, per haverlo nelle mani ò vivo, ò morto.

Il Principe Giorgio alla comparsa di questo nuovo ordine, per postiglione à tal effetto inviatogli, volendo mostrare, almeno estrisecamente, à Persiani, quanto li premesse, che fossero eseguiti gl'ordini di sua Maestà, si porto con tutta la Giorgia, sotto al medesimo Monte, e nel andarvi passò per Gori, ove Io mi trovavo, e però vidi l'armata, nella quale premieramente vi era il Principe, poi li Vescovi, Arcivescovi, et il loro

კოლი, ცოცხლად, შერჩეული მსლებლებით.

ეს ბრძანება მეფე გიორგიმ მიიღო. მაგრამ განზრახვა არ მაქვს აღწერო, თუ რა მოხდა ძმათა შორის. ვიტყვი მხოლოდ, რომ მეფე არჩილი ცოლით, შვილებით და ზოგიერთი ყველაზე უფრო ერთგული ყმით ერთ მალალ მთაზე ავიდა, სადაც მაგარი ციხე იყო აგებული. ამ ციხეზე ასვლა მხოლოდ ვიწრო ბილიკით შეიძლებოდა და ისიც მხოლოდ ხოხვით. ეს ციხე არჩილმა კიდევ უფრო გაამაგრა, ამრიგად ჰპოვა არჩილმა უშიშარი თავშესაფარი.

გიორგი მეფემ ხელმწიფეს პასუხად მიწერა, რომ ის დიდის ხალხით ემსახურება მას, მაგრამ არ იცის როგორ და საიდან შეიტყო არჩილმა ყველაფერი. ახლა ის თავისი სახლეულთი ერთ მალალ მთაში გაიქცა და იქ ციხეშია თავშეფარებული.

ასეთ პასუხს ხელმწიფის დაწყნარება არ შეეძლო. მან მეფეს ხელახლად მისწერა წერილი, რათა მას შეეყარა ლაშქარი, პირადად გასძლიროდა, იმ მთაში არჩილისათვის ალყა შემოეკრეტა და ყველა ღონე ეხმარა, რათა არჩილი ხელთვედო მკვდარი ან ცოცხალი.

მეფე გიორგიმ ამ ახალი ბრძანების მიღებისთანავე, საგანგებოდ გამოგზავნილმა შიკრიკმა რომ მოიტანა, გადასწყვიტა სპარსელთათვის გარეგნულად მინც ეჩვენებინა, რომ ის მზადაა ხელმწიფის ბრძანება შესარულოს. ქართლის მთელი ჯარით დასახელებულ მთისაკენ მიმავალმა [მეფემ] გზად გაიარა გორზე, სადაც მე ვიმყოფებოდი და შემეძლო მენახა ლაშქარი, რომელსაც მეფე მოუძღოდა. მას მოსდევდნენ ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები

Patriarca, che chiamano il Cattolico, non per che sia Cattolico per Fede, mà è un nome antico, come da noi il Papa, e tutti si chiamano di questo nome, anzi sono scismatici tutti, come dissi, et uniti con Greci, de quali pure ve ne erano molti tutti a cavallo, e questi Signori tutti camminano col Principe sempre, qualunque volta esce fuori della città di Tiflis.

Riposati un giorno in Gori, che posero la carestia nella paglia, et orzo, poscia partirono, et arrivato al luogo determinato, posero l'assedio al Monte, e perche non erano sufficienti le Genti, mi fu detto, che vi andarono anche de Persiani, quali posero li loro alloggiamenti da un'altra parte, affatto separati da Giorgiani, per evitare qualche buglia. Stettero quivi qualche tempo, ma cominciando il verno assai rigoroso, è più, che il freddo di Lombardia, essendo in gradi settantacinque, e minuti quaranta di Longitudine e di Latitudine gradi quarantadue, e minuti quaranta; si risolvettero, si i Giorgiani, come i Persiani di ritirarsi, e ritornar in Tiflis, come fecero, e con l'attestazione delli stessi Persiani, fù scritto al Ré di quanto era passato, promettendo, che alla primavera di farvi ritorno con più sforzo di Gente, e di colà non partire sin tanto, che non si adempisse totalmente voleri di Sua Maestà.

და პათი პატრიარქი. პატრიარქს კათალიკოზი ეწოდება არა იმიტომ, რომ ის სარწმუნოებით კათოლიკეა, არამედ იმიტომ რომ ესაა მისი ძველი სახელწოდება, როგორც ჩვენი პაპისა, და ამ სახელით ახსენებენ მას ყველანი. თუმცა, ყველა ესენი, როგორც აღნიშნული იყო, მწვალებლები არიან და ბერძნულ სარწმუნოებასთან დაკავშირებულნი. (ლაშქარში) ბერძენი მღვდლებიც ბლომად იყვნენ და ყველანი ცხენებზე ისხდნენ. ეს დიდბატონები მუდამ მეფეს ახლავან ხოლმე, როცა ეს უკანასკნელი ზოგჯერ ქალაქ თბილისიდან გამოდის.

[მოლაშქრებმა] ერთ დღეს გორში შეისვენეს. ამას მოჰყვა ხორბლეულისა და შვრიის განადგურება. შემდეგ გზას გაუღდნენ, დანიშნულ ადგილს მიადწიეს და მთას ალყა შემოარტყეს. მაგრამ რადგან [საამისოლ] საკმარისი მეომრები არ ჰყავდათ, როგორც მითხრეს, იქვე მისულან სპარსელები, რომელთაც ქართველებისაგან სრულიად განცალკევებით დაუდგამთ კარავი, ყოველგვარი დავი-დარაბის თავიდან ასაცდენად. რამდენიმე ხანს აქ იდგნენ, მაგრამ მალე სასტიკი ზამთარი დაიწყო, უფრო მკაცრი, ვიდრე ლომბარდიის ყინვებია. ლომბარდია კი მდებარეობს $42^{\circ}40'$ განივზე და $79^{\circ}40'$ გრძივზე. როგორც ქართველებმა, ისე სპარსელებმა უკან გაბრუნება გადასწყვიტეს, და თბილისში დაბრუნდნენ. [ამ ლაშქრობის] მონაწილე სპარსელთა მტკიცებით ყველაფერი, რაც მოხდა, ხელმწიფეს მისწერეს. თანაც აღუთქმევს, რომ გაზაფხულზე ხელახლად გაემართებიან სალაშქროდ უფრო ძლიერი ჯარით, და უკან მანამ არ დაბრუნდებიან, სანამ შაჰის ნებას მთლიანად არ შეასრულებენ.

Il Rè in luogo di lettera, e di risposta, venuto il Verno spedi un esercito nella Giorgia, dubitando d'essere gabbato; il Generale si chiama „Spasalara„, molto zelante della sua legge, qual venuto nella Città di Gangia posta a confini della Media, e Giorgia, con sei milla soldati, ò poco più.

L'ordine poiche tiene non si è potuto penetrare, con tutto ciò, non si crede, che rigori, e straggie; son quattro ani, e più che si ritrova in quella Città, e non tiene animo d'avanzarsi, non ostante, che il suo Rè habbi rinforzato di Persiani le fortezze di Tiflis, e di Gori, trè volte di più, che non crano, quando Io gionsi in questo paese, perche se si avanza teme l'esterminio del suo Esercito, assieme con la riputatione, del nome Persiano, et i Giorgiani l'attendono con coraggio, essendo buoni soldati, e combattendo in casa loro, e più volte hanno tagliato a pezzi milliaia de Persiani, se poi ritorna à dietro, teme l'ira del Rè, che irremissibilmente li farà troncàre il capo: non fanno processo.

In questo mentre il Principe Giorgio non dorme, perche havendo inteso per cosa certa, che suo Fratello Arcille, non solamente à uscito dalla Fortezza sodetta, ma anche dalla Giorgia, havendo ritrovato ricetta

ხელმწიფემ, რომელმაც ეპვი აიღო რომ ატყუებენ, წერილისა და პასუხის მაგიერ, გაზაფხულის დადგომისთანავე საქართველოსაკენ ჯარი გაგზავნა. ლაშქრის უფროსი¹³⁾, რომელსაც აქ „სპასალარს“ უწოდებენ და თავისი სარწმუნოების ფანატიკური ერთგულებითაა ცნობილი, ექვსი ათასი მეომრით, თუ ცოტა მეტი, ქალაქ განჯაში მივიდა. ეს ქალაქი მიდიხისა და საქართველოს საზღვარზე ძვეს.

„სპასალარი“, შაჰის ბრძანების მიუხედავად, ვერ ჰბედავს საქართველოში შეჭრას, რადგან ფიქრობს, რომ სისასტიკით და ხოცვა-ჟლეტით ვერაფერს გახდება. ოთხს წელზე მეტია ამ ქალაქში დგას, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნის წინ წაიწიოს. ეს კი მიუხედავად იმისა, რომ მისმა ხელმწიფემ სამჯერ და მეტადაც გააძლიერა სპარსელებით თბილისის და გორის ციხეები იმასთან შედარებით, რაც ჩემი ამ ქვეყანაში მოსვლის ეამს იყო. მას თავისი ჯარის, თუ ვინიცობაა წინ წაიწია, დაღუპვისაც ეშინიან და სპარსელთა სახელის პრესტიჟის დაკარგვისაც. ქართველები გულადად უცდიან მას, რადგან კარგი მეომრები არიან და თანაც საკუთარ მიწა-წყალზე იბრძვიან. ბევრჯერ ყოფილა, რომ ქართველებს ნაკუწ-ნაკუწად აუკაფავთ ათასობით სპარსელი. სარდალი ვერც უკან გაბრუნებულა, რადგან შაჰის რისხვის ეშინია; თუ უკან გაბრუნდა მას [შაჰი] შეუბრალებლად და განუკითხავად თავს გააგდებინებს.

ასეთ ვითარებაში მეფე გიორგის ფხიზლად უქირავს თავი. მან სარწმუნო წყაროდან შეიტყო, რომ მისი ძმა არჩილი არა მარტო გასულა ხსენებულ ციხიდან, არამედ უკვე საქართველოს გარეთ იმყოფება და მოსკოვის მეფის

appresso al Gran Dacá di Moscovia (voleva venire in Italia, ma è restato per la spesa, e lontananza) il tutto ha fatto sapere al Rè, supponendo, che intesa tal partenza fosse per quietarsi, e non ricercasse altra soddisfazione, et anche richiamasse l'esercito, ma il Rè, non ha fatto, ne l'uno, ne l'altro; onde si crede fermamente, che sia stato fatto consapevole della Intelligenza passata trà Fratelli, e perciò la vita del Principe Giorgio sia in pericolo, ma questi, come dissi, non dorme, anzi havendo un Figliuolo l'ha accasato con la Principessa unica delli Osci, che sono Genti fierissimi, soliti habitare fra boschi, e combattere con Orsi, et altre fiere; acciò bisognando ritrovi un asilo per la sua persona, ovvero per poter maggiormente resistere al Persiano; di più ha fatto, che il maggior Fratello, essendo vedovo con alcuni Figliuoli, sposi di nuovo una Principessa herede di molti paese, e singolarmente di una Fortezza posta a confini.

Se tutti questi Principi della Georgia, Guria, Mengrelia, et altri, che sono finalmente tutti parenti, fossero uniti, e dicessero da dovero, essendo Gente bellicosa, ed assuefatta all'armi, et in Paesi per se stessi forti, e in grandezza non meno d'Italia, per il contrario poi il Persiano di presente assai avilito, potrebbero i Giorgieni mostrargli i denti, come più volte hanno fatto.

კარზე თავშეფარებული (იტალიაში წასვლა სდომებია, მაგრამ ამ განზრახვაზე ხარჯებს და გზის სიშორეს აუღებინებია ხელა). ყველაფერი ეს მან ხელმწიფეს აცნობა იმ ვარაუდით, რომ არჩილის განშორება მას დააწყნარებდა, მეტს არაფერს მოითხოვდა და ჯარსაც უკან გაიწვევდა. მაგრამ ხელმწიფეს არც ერთი გაუკეთებია და არც მეორე. მტკიცედ სჯერათ, რომ ორ ძმას შორის ამასწინდელი შეთანხმების ამბავი გამომჟღავნდა და რომ [ამის გამო] გიორგი მეფის სიცოცხლე ხიფათშია ჩავარდნილი. მაგრამ ამ უკანასკნელს, როგორც ვთქვი, არ სძინავს, პირიქით, მან თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი ოვსთა მთავრის ასულზე დააქორწინა. ოვსნი გულზვიადნი არიან, განმარტოებით ცხოვრობენ ტყეებში და დაჯებსა და სხვა მხეცებზე ნადირობენ. ამ ქორწინება-დანათესავეების წყალობით, საჭიროებისამებრ, გიორგი მეფე იქ თავშესაფარს ჰპოვებს და სპარსეთს წინააღმდეგობას გაუწევს. მან ამაზე მეტიც ვააყეთა. მისმა უფროსმა ძმამ, დაქვრივებულმა და რამდენიმე შვილის პატრონმა, ხელახლად შეირბო ერთი მთავრის ქალი, რომელიც მემკვიდრე-მფლობელა მრავალი ქვეყნისა, და ზედ საზღვარზე მდებარე ერთი ციხე-სიმაგრისა.

ქართლის, გურიის, სამეგრელოს და სხვათა მთავარი ბოლოსდაბოლოს ერთმანეთის ნათესავნი არიან. ყველა ეს მთავარი რომ შეერთებულიყო, მეომარსა და საომარ იარაღში გაწაფულ [ქართველებს], რომელთა ქვეყნის ძალა და სიდიადე იტალიისას არ ჩამოუვარდება, შეეძლოთ ამჟამად დაძაბუნებული სპარსეთისათვის მუშტი ეჩვენებიათ, როგორც ეს მათ არა ერთხელ მოუქმედიათ.

ყველაზე მეტ მრავალფეროვნებას ქვის მძივები იჩენს ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხებში, რომლებშიც მიცვალებულები გვერდზე მოკუნტული არიან დასვენებული (ძვ. წ. XII—VII ს. ს.). ამ ტიპის უძველეს სამარხებში (XII—IX ს. ს.) ქარბობს წითელი ლუქისფერი, იასპისებრი სარდიონისაგან ტლანქად „დახერხილი“ და მილაკით დახვრეტილი მძივები. მათი წარმომავლობა ჯერ არაა მთლად ცხადი. შესაძლოა, ისინი კეთდებოდა თუ თვით ამიერკავკასიაში არა, მის ახლოს მაინც, სადმე სამხრეთით. შემდეგ ზედიზედ ჩნდება და ერთდროულად გვხვდება რამდენიმე ტიპი—მასალის, დამუშავების ტექნიკისა და მოყვანილობის მიხედვით განსხვავებული. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალგვარია ღია ვარდისფერი და მოვარდისფრო-ნარინჯისფერი სარდიონის, მილაკით დახვრეტილი მძივები. ამ უკანასკნელთა მასალისა და მათი დამზადების ტექნიკური ხერხების დეტალური შედარება ასურული ცი-

კლინდრებისა და ჩამოსაკიდი საბეჭდავების მასალა-ხერხებთან გვიჩვენებს მათ სრულ იგივეობას ამ მხრივ, და ეს კი ნებას გვაძლევს ვარდისფერი სარდონის მძივები მივიჩინოთ ასურული ქვისსაჭრელი სახელოსნოების ნაწარმად. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ლიაფერი სარდონის მძივთაგან შემდგარი ყელსაბამები უმეტესწილად გვხვდება ქალთა სამარხებში. ეს შეესაბამება აღმოსავლეთში ძველითგანვე არსებულ დაყოფას ქვებისას, ფერის მიხედვით: ლიაფერისა „სადაიცო“ იყო და მუქი ფერისა—„სავაჟაკო“.

რაც შეეხება მძივთა იმ ტიპს, რომელიც წითელ-მურა, ყავისფერძარღვებიანი სარდონისაგანაა გაკეთებული, შეიძლება სრულიად დარწმუნებით გამოითქვას მოსაზრება, რომ ისინი ეგვიპტიდან მომდინარეობს, ვინაიდან მასალა სრულიად იგივეა, რაც ეგვიპტური სარდონის სკარაბებისა და უფრო გვიანდელი, დანამდვილებით ბერძნულ-ეგვიპტური წარმოშობის მძივებისა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორი მცირე მძივსაკიდი (დაახლ. ძვ. წ. VII საუკუნის სამარხში აღმოჩენილი ყელსაბამისა), გაკეთებული მოქროსფრო-ნარინჯისფერი სარდონისაგან, რომელნიც არაჩვეულებრივ წვრილი (1 მმ-ზე ნაკლები), მკაცრად ცილინდრული მილების სახითაა დახვრეტილი. უქვევლია, რომ საამისოდ გამოუყენებიათ ბურღი; რომელსაც წვეტად წვნიკი აღმასი ჰქონია. მათი ინდოეთიდან წარმომავლობა მით უფრო დასაშვებია, რომ იგივე ასხმულა შეიცავს ერთს კონუსურ ნიჟარას მოლუსკის *Ricinula trifasciata*-სი, რომელიც მხოლოდ ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში ბინადრობს.

ფორმათა დიდ მრავალფეროვნებასა და სინატიფეს, მოღელირებისა და ნახელობის სიბეჯითეს ვხედავთ მუქი მურა სარდონის, „სარდის“ მძივებში, რომელნიც წყირიანი ბურღითაა დახვრეტილი. ამ ტიპისა და აგრეთვე ზოგი სხვა მათი თანმხლები ტიპის მძივთა წარმოშობა ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. შეიძლება, ზოგი მათგანი მზადდებოდა ძველ მცხეთაში, ან მის მახლობელ საწარმოო ცენტრებში.

საინტერესოა მრავალრიცხოვანი პაწია, ხუთკუთხოვანი მძივები ალუმლისფერი სარდონისა, რომელიც იგივე გამოდგა, რაც მაიკოპის ყორღანის ცილინდრულ მძივთა სარდონი. საყურადღებოა აგრეთვე ზოლოვანი სარდონიქსის თითო-ოროლა დიდრონი, მოგრძო ელიფსოიდური მძივი, რომელთაც შეეტყოთ, რომ მუქი ზოლები ხელოვნურად ყოფილა შეღებილი—ალბათ თაფლით გაუჟღენთიათ და შემდეგ გამოუწვავთ, როგორც პლინიუსი აგვიწერს ამ წესს.

ყურადღებას იქცევს ის დიდად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ, ძვ. წ. VI—V საუკუნეებიდან მოყოლებული, ზემოთ ჩამოთვლილ, ფრიად დამახასიათებელ ტიპთა ქვის მძივებზე სავსებით ქრება და აღვილს უთმობს მძივებს, რომელნიც უპირატესად ხელოვნური მასალისაგანაა გაკეთებული. ქვის მძივები ხელახლა იჩენს თავს მხოლოდ ძვ. წ. ბოლო საუკუნეთა და ახ. წ. პირველ საუკუნეთა სამარხებში. ამ დროიდან მოკიდებული, ვხედავთ მხო-




ლოდ ორს—ეტყობა, ერთიმეორის მოქიშპე, ტიპს: აღმასითა და მილაკითა ბურლით დახვრეტილ მძივებს.

აღმასით დახვრეტილია უმთავრესად მოოქროსფრო და ნარინჯისფერი სარდიონის, უფრო იშვიათად—სარდონიქსის, მთისბროლის, გრანატისა და ლაჟვარდის მძივები. მოყვანილობით ისინი ფრიად ნაირნაირია. ახ. წ. II—III საუკუნიდან განსაკუთრებით ვითარდება სხვადასხვაგვარი „გეომეტრიული“ ფორმები. იშვიათად გვხვდება სარდიონის მძივები, თეთრი საღებავით მინანქრისებურად მოხატული. მასალა საესებით შეესატყვისება ახ. წ. IV—VI და მომდევნო საუკუნეთა საბეჭდავების მასალას. იგივე შეიძლება ითქვას მძივებისა და პატარა, ბურთულა საბეჭდავების დამზადების (გახვრეტის) ტექნიკის შესახებ. ამავე ტიპის მძივები, უდავოდ, ირანულ-ინდური და ირანულ-არაბული ინდუსტრიის ნაწარმი, ადრეულ საშუალო საუკუნეებში ძალიან ფართოდ ვრცელდება ყველგან, სადაც კი აღწევს აღმოსავლური საქონლით ვაჭრობა.

ამდროინდელი, მილაკით დახვრეტილი მძივების ერთი ნაწილი იმით გამოირჩევა, რომ ყოველ მათგანს შესასვლელ ნახვრეტთან სავანგებოდ ამოჭრილი აქვს ჭდე, რომელიც ხელს უშლიდა ბურღის ასხლეტას ხვრეტის დაწყებისას. სამთავროში ასეთი მძივები მცირერიცხოვანია. გაცილებით უფრო მეტია ისინი დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით კი ძველი ბოსფორის სამეფოს მიწა-წყალზე. პტოლომეების ეგვიპტიდან მომდინარე მძივებთან და სკარაბებთან შედარება ამჟღავნებს მათ ბერძნულ-ეგვიპტურ წარმოშობას. ამ დროის მილაკით დახვრეტილ მძივთა სხვა ქვეტიპები მოყვანილობითაც და მასალითაც განსხვავდება მათგან და, ალბათ, წარმოადგენს ნაწარმს მცირე აზიის ელინისტური სახელოსნოებისა, რომელთა უფრო დანამდილებით განსაზღვრა ჯერ ვერ ხერხდება.

რამდამცინისაბან

იგ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ამ რამდენიმე წლის წინ მისცა საშუალება პროფ. გ. ლემელინს—მინერალოგიის სპეციალისტს, სასამკაულე მინერალების კარგ მკოდნეს—შეესწავლა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული დიდძალი ქვის მძივები და წერილობითი ნაშრომის სახით გაეფორმებია მუშაობის შედეგები. ინსტიტუტი არ იზიარებს ამ ნაშრომის ზოგიერთ ძირითად დებულებას და, კერძოდ, ავტორის შეხედულებას მძივებისა და მათი მასალის თითქმის მხოლოდ უცხოური წარმოშობის შესახებ, რაც ამჟამად ძველებური არქეოლოგიური აზროვნების ინერციის შთაბეჭდილებას სტოვებს. მიუხედავად ამისა, ინსტიტუტი ხელს უწყობს ამ წერილის გამოქვეყნებას, რათა ეს დებულებანი იქცნენ ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღების, კრიტიკულად განსჯის საგნად. ერთი ასეთი გამოძახილი ინსტიტუტმა უკვე მიიღო კავკასიის არქეოლოგიის მკვლევარის ე. კ. უპნოვისაგან, რომლის შენიშვნებსაც თან ურთავს გ. ლემელინის წერილს.



1




2




3




4




5




6



7



8



9



10



11



12



1



2



3




4



5




6



7



8



9





1



2



3



4



5



6



7




8




9



10



11



12



13



14



15




16



17



18



19



20




25



21



22




26




23







24




27









14



15




16




17



18




19



20



21




22








23



24







1




2




3



6



4




5




8




7



9



10



11

Отзыв о работе проф. Г. Г. ЛЕММЛЕЙНА

„КАМЕННЫЕ БУСЫ САМТАВРСКОГО НЕКРОПОЛЯ“

Среди многочисленных предметов из погребальных комплексов древних культур Кавказа, особенно распространенными являются бусы. К сожалению, до последнего времени бусы Кавказа мало обращали на себя внимание исследователей. Между тем, при углубленном изучении столь многочисленной категории, какую являются бусы, они могут стать ценнейшими вещевыми историческими источниками для освещения быта, уровня техники, культурных связей и даже датировки отдельных периодов истории народов Кавказа.

Вспомним работу П. П. Ефименко о Рязанских могильниках, в которой так убедительно было доказано значение бус, как датирующего материала.

Бесспорно большой заслугой Г. Г. Леммлейна является плодотворный почин в изучении бус Кавказа, как продукции весьма трудоемкого процесса древних мастеров.

Известно, что данной работе, посвященной только каменным бусам Самтаврского могильника, предшествовал ряд специальных штудий автора по изучению всех каменных бус со всего Кавказа, хранящихся в Музеях Москвы, Ленинграда, Тбилиси и др. городов.

Автором выработана своя методика изучения бус. Им впервые у нас разработана классификация бус по определенным техническим и морфологическим признакам и итоги уже проделанной Г. Г. Леммлейном работы безусловно заслуживают самого пристального внимания историков и археологов.

Отправляясь от данных археологии, Г. Г. Леммлейн установил специфические особенности техники сверления, технологии и форм каменных бус разных периодов древней истории Кавказа.

В ряде случаев, скажем, сверление сердоликовых бус на конус (типа майкопских) оказалось настолько типичным для наиболее древних эпох, что теперь этот признак уже сам по себе может служить датирующим признаком.

На основании ряда убедительных факторов, автор указал на районы производства некоторых типов каменных бус на Древнем Востоке, откуда эти типы распространялись и по Кавказу.

По цвету сердолика, формам и технике сверления бус, Г. Г. Лемлейн устанавливает источники производства и снабжения (сердоликовых бус с цилиндрическим каналом) в ирано-индийском культурном мире, (светло-розовых бус, сверленных трубкой) в месопотамских районах, (красно-бурых бус, сверленных тонким трубчатым сверлом) в Средиземноморье.

Время распространения на Кавказе тех или иных бус иногда устанавливается в прямой связи с историческими событиями и это звучит убедительно. Так, напр., автором прослежено, что наибольшее распространение на всем Кавказе бус из розового сердолика, имеющих, по автору, явно месопотамское происхождение, падает на период наибольшей ассирио-урартской экспансии на Кавказ (стр. 16).

Наоборот, прекращение импорта бус в следующий, ахеменидский период (стр. 4, 17, 25) объясняется нарушением мирных связей с Востоком, повидимому, обусловленным последовательными киммеро-скифскими вторжениями в Малую Азию через Кавказ. В это время налаживаются связи с Западным Кавказом, с Восточным Причерноморьем, откуда и начинают поступать бусы пастовые и стеклянные.

В двух случаях автор только полупризнает местное происхождение некоторых типов бус, предположительно допуская возможность добычи камня-сырья на юге Кавказа (стр. 3) и „изготовление“ бус „где-либо в самом Закавказье“ (стр. 9—10).

Думается, что дальнейшее столь же углубленное изучение бус, с обязательным учетом данных о месторождениях на Кавказе выходов сердолика и др. камней, окончательно уточнит вопрос о местном производстве на Кавказе некоторых бус и в первую очередь „рубленных“.

Интересная работа Г. Г. Лемлейна вызывает одно замечание общего характера. Рассматривая такую многочисленную категорию, как человеческие украшения, автор проявляет интерес только к одной стороне вопроса—к технике и технологии. Совершенно без внимания оставлены социальные функции бус, как украшений, форма которых и цвет имели спрос и потребление в человеческом коллективе, не только в зависимости от случайности привоза их, но и в зависимости от моды.

По автору же, форма бус оказывается строго подчинена только двум признакам—сору камня и технике сверления (стр. 2). Так мотивы социальные, общественные оказались производными от техники. Между тем в истории общества бывает наоборот—техника является порождением общественных условий.

Сугубо технический уклон автора ограничил его возможности и в оценке ремесленной деятельности мастеров Кавказа, особенно в эллинистический и римский периоды. Между тем, кажется просто невероятным, чтобы мастерам-камнерезам Мцхеты-Армази, знакомым с современной резьбой по камню (портретные геммы) было недоступно изготовление бус. Автор-

совершенно не допускает и привоза камня-сырья извне и изготовление бус на месте, что более чем вероятно. Ведь знали же и более древние кавказские металлурги-литейщики привозное олово, которого на Кавказе действительно нет.

Одно замечание частного характера. Все ссылки на № № погребений Самтаврского некрополя и все данные о них желательно было бы свести в таблицы.

В целом, работа Г. Г. Леммлейна представляет значительный интерес для историков и археологов-кавказоведов и безусловно заслуживает быстрого напечатания.

Е. И. КРУПНОВ

Ст. н. с. ИИМК АН СССР и ГИМ.

кандидат исторических наук.

2. IV — 1948 г.

ინოვაციები

ახალი მხილვის კვლევები თეთრამიწიდან

ამ ნაშრომის საგანს წარმოადგენს გორაკ „თეთრამიწაზე“, პ. ჯაბუკიანის მიერ რამდენიმე წლის მანძილზე (1924—1932) შეგროვილი და ამჟამად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული, ახალი ქვისხანის ნაშთების აღწერა-კლასიფიკაცია და კოლექციის ძირითადი ნაწილის გამოქვეყნება¹. ეს სამუშაო გათვალისწინებული იყო აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმით. მის შესასრულებლად 1950 წლის ივლისში ერთი თვით მივლინებული ვიყავი ქუთაისში.


თეთრამიწის მასალების გამოქვეყნება განსაკუთრებით საჭირო შეიქნა იმის გამო, რომ საქართველოში აღმოჩენილი, ახალი ქვისხანის ნაშთების შესახებ საერთოდ მცირე ცნობები მოგვეპოვება, ხოლო კერძოდ ამ ფრიად საინტერესო და მთლიანი კომპლექსის შესახებ დღემდე არქეოლოგიურ ლიტერატურაში არაფერი გამოქვეყნებულა, გარდა თითო-ორი წინასწარი მოსაზრებისა².

„თეთრამიწა“ მდებარეობს ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან დაახლოებით ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე. გეომორფოლოგიურად ქუთაისის ეს მხარე ცარცული კარქვებით აგებული და კარსტულ-ეროზიული მოვლენებით წარმოქმნილი, სხვადასხვა სიმაღლის მთა-გორაკებით არის წარმოდგენილი. ერთი ასეთი გორაკთაგანია თეთრამიწაც (სურ. 1). იგი ზღვის დონიდან 297—8 მმ სიმაღლეზე მდებარეობს (თვით ქუთაისის სიმაღლე კი 125 მეტრია). ამდენად ქუთაისის დაბლობებთან შედარებით თეთრამიწა საკმაოდ არის შემადგენელი. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობი და ქუთაისიდან თეთრამიწისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ მდებარე ადგილები მჭიდროდაა დასახლებული. თეთრამიწა დღეს უკვე თვით ქალაქის ფარგლებში ექცევა (სურ. 2).


¹ თეთრამიწის ნაშთების ნაწილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში, 1—34, 1—52.

² პროფ. ბ. კუფტინი თეთრამიწის მასალიდან მხოლოდ კაქის ისრის წვერებს და თიხის ქურჭლის ფრაგმენტებს განიხილავს (Б. А. Купфин. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, გვ. 110, 119 და 120). პროფ. ბ. პაოტროვსკი უფრო ვრცლად ეხება თეთრამიწის ნაშთებს და თან გულისტყვივს გამოსთქვამს დღემდე ამ ნაშთების გამოქვეყნების გამო (Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Ленинград, 1949, გვ. 28—29).

ქუთაისის მდამოები საერთოდ და კერძოდ მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გეოლოგიურად საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და იქაური ცარცული ნალექების კრილიც დადგენილია¹.



სურ. 1



სურ. 2

1. იბ. ა. ჯანელიძე, დასავლეთ საქართველოს ცარცის გლაუკონიტოანისზედა კირქვების ასაკის გამო. საზ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 447.

თეთრამიწის ჩრდილო ფერდობის გამოშვლებულ ნაწილში აშკარად შეიმჩნევა შუა-და ზედაიურული ნალექების, კვარციანი ქვიშაქვების წყების უშუალო გადასვლა ცარცული თეთრი კირქვების წყებაში. ეს კირქვები უფრო ძლიერაა წარმოდგენილი გორაკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც სჭრის მათ საშენ მასალად. სწორედ ამ კირქვების ფერის მიხედვით უნდა შერქმეოდეს გორაკს „თეთრამიწა“.

აღსანიშნავია, რომ თეთრამიწის გორას ადგილობრივ ზოგი „ქვის სამტენლოს“ უწოდებს, ხოლო ზოგი „გძელიშვილების გორას“. ჩვენ ვამჯობინებთ სახელწოდება „თეთრამიწას“.

თეთრამიწას ჩრდილოეთით, დაახლოებით 2—3 კილომეტრის მანძილზე ჩამოუღის მდინარე ოლასკურა, რომელიც გამოდის სათაფლიის კლდის ძირიდან და შემდეგ ერთვის ქუთაისის დასავლეთით მიმდინარე გუბისწყალს.

თეთრამიწის ახლოს რამდენსამე ადგილას შემორჩენილია ძველი წყალსადენის მილები, რომელნიც ამ მიდამოებში მდებარე ბაგრატის ტაძარს უნდა უკავშირდებოდეს. თვით გორაკს ირგვლივ დღესაც არის რამდენიმე წყარო (ხელთუფლიშვილებისა, გძელიშვილებისა და სხვ.) და ჭა. ექვს გარეშეა, რომ თეთრამიწის გორაზე ჩვენთვის საინტერესო ხანაში მსახლობელი ადამიანი უზრუნველყოფილი იქნებოდა წყლით.

თეთრამიწიდან 5—6 კმ დაშორებით, ჩრდილოეთით, ზღვის დონიდან 487 მ სიმაღლეზე მდებარეობს სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალი. ნაკრძალის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი წარმოადგენს საკმაოდ მაღალ კლდეს, რომელიც ცარცული (ქვედანეოკომური) კირქვებისაგან შედგება¹. სწორედ ამ კირქვებშია კარსტული წარმოშობის, სტალაქტიტებიანი და სტალაგმიტებიანი, ცნობილი გამოქვაბული. მას შუაზე სჭრის ზემოხსენებული მდინარე ოლასკურა, რომელსაც გამოქვაბულიდან საკმაოდ დაშორებულ მაღალ გორათა შორის მოქცეულ ტაფობში აქვს სათავე. იგი გაივლის სათაფლიის დიდ ჭალას, შემდეგ შედის გამოქვაბულში, სადაც იმატებს ჭერიდან და კედლებიდან ჩამონაჟონ წყალს და იქედან უკვე ჩანჩქერის სახით ეშვება კლდეზე.

ოლასკურა გამოქვაბულს ქვემოთ მდებარე დაბლობზე გუბის წყალმდე დაახლოებით 15 კმ სიგრძე დელის სახით მიედინება.

სათაფლიის კლდის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, ე. წ. „ნაციხვარზე“, იმავე პ. ჭაბუკიანის მიერ ნაპოვნია ახალი ქვის ხანის მცირერიცხოვანი ნაშთები, რომლებიც დამუშავების ტექნიკითა და ნაწილობრივ იარაღთა სახეებითაც ახლო დგას თეთრამიწის ნაშთებთან. თეთრამიწის ნაშთებს ენათესავება აგრეთვე ჩხარის რაიონში აღმოჩენილი, ქვის რამდენიმე იარაღი².

1 А. Джанелидзе Геологическое наблюдения в Окрибе. Тбилиси, 1930 г. зб. 336.

2. სათაფლიასა და ჩხარის რაიონში დაგროვილი ახალი ქვისხანის ნაშთები დაცულია ქუთაისის მუზეუმში.

სათაფლიის კლდე ცნობილია აგრეთვე ბუნების ერთი იშვიათი ძეგლით. კლდის ჩრდილო კალთაზე გაშვლებულ მერგელოვან კირქვებზე აღმუშავდა ცარცის პერიოდის ცხოველთა (დინოზავრების) ტერფების ნაკვალევი. ამ ნაკვალევს სწავლობს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალიეობიოლოგის სექტორის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. გაბუნაძე.



თეთრამიწის გორაზე ქვისხანის ნაშთებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიაკვლია პ. ჭაბუკიანი, ამჟამად სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორმა. პირველად მას შემთხვევით უბოვნია კაყის ისრის წვერი. იგი დაინტერესებულა და თეთრამიწაზე მხვნელ-მთესველთა მიერ დაშლილ კულტურულ ფენებში მრავალი სხვა ნაშთიც შეუგროვებია. როგორც პ. ჭაბუკიანმა გადმოგვცა, რამდენსამე ადგილას ხელუხლებელი ნიღაგი თითონაც მოუსინჯია და მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე ქვის ხანის სხვადასხვა ნაშთები აღმოუჩინია. ამ აღმოჩენების შესახებ თავის დროზე ადგილობრივ გაზეთში პატარა წერილიც ყოფილა მოთავსებული¹. თუმცა ეს წერილი მეტად მოკლე და ზოგ შემთხვევაში არასწორ ცნობას იძლევა, იგი მაინც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს პირველ ცნობას თეთრამიწის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ, გამოქვეყნებულს ჯერ კიდევ ამ 25 წლის წინ.

თეთრამიწის ნაშთებს შორის მასალის მიხედვით უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს კაყისა და რიყის ქვის იარაღები. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ობსიდიანისა და თიხის ნაწარმი.

კაყი დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. კერძოდ, ქუთაისის მიდამოებში კაყის საბადო ცნობილია მდ. ჩეშურას მარცხენა ნაპირს, ქალაქის აღმოსავლეთით, მისგან 7 კილომეტრის მანძილზე, და აჯამეთში. მეორე საბადო ცნობილია ქუთაისის ჩრდილოეთით, ოსეთის სამხედრო გზაზე, სადაც კირქვებში მრავლად მოიპოვება ღია მონაცრისფრო კაყი. აღსანიშნავია, რომ თეთრამიწის კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი სწორედ ამ კაყს უჭირავს. ობსიდიანი კი უმთავრესად ანამტრევე-ანატკეცების სახით გვხვდება, მისგან გაკეთებული იარაღი სულ რამდენიმე ცალია.

თეთრამიწის კოლექციის მეორე და მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს რიყის ქვისაგან ნაკეთები იარაღები. ასეთი რიყის ქვები ჩვენთვის საინტერესო ადგილებში, და განსაკუთრებით კი მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, დღესაც მრავლად მოიპოვება.

კოლექციაში აგრეთვე მრავლად მოიპოვება სხვადასხვა კლდის ქანებისაგან გაკეთებული იარაღი.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ადგილებში ხერხემლან ცხოველთა არსებობის ნიშნები მეტად შორეულ წარსულში გადადის, ხოლო ახალი ქვისხანის ადამიანთა არსებობის ნიშნები არ შემოიფარგლება მხოლოდ თეთრამიწის ნაშთებით.

მივლინებაში ყოფნის დროს ჩვენც ჩავატარეთ არქეოლოგიური დაზვერვა სათაფლიაზე — პ. ჭაბუკიანის, ქუთაისის მუზეუმის დირექტორის მ. გოგაძისა და მუზეუმის თანამშრომლის ლ. გვანცელაძის მონაწილეობით. მცირე ფართობზე (3×2 მ) ნიღაგის მოსიწვევითავე ვნახეთ ნეოლითური რიყის ქვის იარაღის ნატეხები და შედარებით გვიანი დროის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ეს ნაშთებიც ამაჟამად დატულია ქუთაისის მუზეუმში.

¹ თეთრამიწის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე დღესაც სიესავენ სიმიანდს.

² იხ. გაზ. „წითელი ვარსკვლავი“, № 178, 7 აგვისტო 1925 წ.

ქუთაისის რაიონი საერთოდ მდიდარია სხვადასხვა ქანებით. აქ ცნობილია მალახარიხოვანი ტუშენიტი, მარმარილო, ბაზალტი, ტუფი, კვარციანი ქვიშაქვები, საკერამიკო თიხები და სხვა¹. თითქმის ყველა ამ ქანებს ვხედავთ გამოყენებულს თეთრამიწის იარაღებისა და სხვა საგნების დასამზადებლად.

როგორც ჩანს, თეთრამიწის გორაზე მსახლობელს, ახალი ქვისხანის ადამიანს, იარაღის წარმოებისათვის საჭირო ნედლი მასალა ადგილობრივ მოუპოვებია. საინტერესოა ის გარემოება, რომ თეთრამიწელ ადამიანს ქვა არა მხოლოდ ნედლ მასალად გამოუყენებია, არამედ იგი იარაღთა სხვადასხვა სახეებისათვის ბუნებრივი სიმკვრივის მიხედვითაც შეურჩევია. სახელობრ, რბილი ქვიშაქვებისაგან უკეთებია უმთავრესად შინახელოსნური საქმიანობისათვის საჭირო იარაღები (გრდემლები, სალესები, საკრიალებელი იარაღები), ხოლო ისეთი მაგარი ქვებისაგან, როგორცაა ბაზალტი, დიორიტი და კირქვები — უმთავრესად სამიწათმოქმედო იარაღები. აგრეთვე მაგარი ქვისაგანაა გაკეთებული ზის დასამუშავებელი იარაღები (საჭრეთლები, სატეხები).

ამრიგად, თეთრამიწის კოლექციაში შემოჩნევა ქვის იარაღების დიფერენციაცია არა მარტო მათი საწარმოო დანიშნულების, არამედ აგრეთვე მასალის მიხედვით. ან გარემოებამ ჩვენც შეგვიწყობს ხელი ქვის იარაღების კლასიფიკაციაში, რის შედეგებსაც ქვემოთ განვიხილავთ. ამრიგად, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ქუთაისის მიდამოებში ადამიანთა დასახლებისათვის ხელი შეუწყვია თვით ადგილობრივ მდიდარ ბუნებრივ პირობებსაც. ქვის იარაღების წარმოებისათვის საჭირო ადგილობრივი ნედლი მასალის დიდი მარაგი და აგრეთვე ცხოვრებისათვის ხელსაყრელი სხვა პირობები უფლებას გვაძლევს, რომ თეთრამიწის მიდამოებში ადამიანთა ხანგრძლივი დასახლება ვივარაუდოთ. ამის მაუწყებელი უნდა იყოს ის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ნაშთებიც, რომლებსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ.

თეთრამიწის კოლექცია თავის იარაღთა მრავალსახეობით მდიდარ კომპლექსს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშთები გორაკის სხვადასხვა ადგილებში და დიდ ფართობზეა შეგროვილი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ქვისხანის ერთ დანაყოფს მიეკუთვნება. ამას მიგვითითებს. როგორც იარაღთა ტიპები, ისე მათი დამუშავების ტექნიკა. თვით კომპლექსის სიუხვე კი იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ თეთრამიწაზე მსახლობელნი ყოფილან არა შემთხვევით მოსულნი, არამედ ხანგრძლივად მობინადრე ადამიანები, რომელთაც იქვე ჰქონიათ ქვის იარაღების სახელოსნო. იარაღებს გარდა კოლექციაში მრავლად მოიპოვება ქვის იარაღთა წარმოებაში წარმოქმნილი სხვადასხვა ანამტვრევები და დაუმთავრებელი იარაღები.

1 გ. ძოწენიძე. ქუთაისის მიდამოების ახალგაზრდა დიორიტული ქანები. სახ. უნივერსიტეტის გამომცემა, 1948.

ი. სალინიძე. ქუთაისის რაიონის საშენი ქანების მინერალურ-პეტროგრაფიული დასასიახება. სადისერტაციო ნაშრომი, 1949 წ.

16. „მასალები“, ნაკვ. 29



კოლექტივიდან ცალკე გვაქვს გამოყოფილი ისეთი ნაშთები, რომლებიც ამა თუ იმ სამეურნეო საქმიანობაში ან თვით შრომის იარაღების დამზადების პროცესში ხელისშემწყობ მასალას წარმოადგენდა. ამ სახის ნაშთებს იარაღთა ძირითად ტიპებში აღარ ვაერთიანებთ და მათი ფუნქციის, დანიშნულების ცალკე დახასიათებას ვიძლევი. ეს ეხება უმთავრესად კაყის იარაღს.

კოლექტივიდან აგრეთვე ცალკე გამოყოფთ თიხის მეტად უმნიშვნელო ფრაგმენტებს, რომლებიც ჭურჭლის ალდგენის, ან მისი ფორმის დადგენის არავითარ შესაძლებლობას არ იძლევა. ეს ფრაგმენტები მეტად უხეში თიხის ცომისაგანაა დამზადებული და მსხვილმარცვლოვანი კვარცის შენარევით ხასიათდება¹ (სურ. 3). კოლექციაში არის თიხის მხოლოდ ერთი დიდი ფრაგმენტი, რომელიც როგორც გამოწვით, ისე მასალით განსხვავდება თიხის სხვა ფრაგმენტებისაგან და შეიძლება არც უკავშირდება კოლექციას².

კოლექციის საინტერესო ელემენტებს წარმოადგენს ამჟამად მეტად გამოფიტული კირქვის ჭურჭლის ფრაგმენტები და ქვიშაქვისაგან დამზადებული სამაჯურის რამდენიმე ნატეხი.

თეთრამიწულ ადამიანს ადგილობრივი, მუქი ვარდისფერი ტუფიც გამოუყენებია³. გვხვდება მისი მრგვალი ქვები და კენჭები. ზოგიერთი მრგვალი ქვა შუაზეა ამოდარული.

აი, ძირითადად ამგვარი მასალისაგან შედგება. თეთრამიწის არქეოლოგიური კოლექცია.

ამ პრავალრიცხოვან მასალაში ერთგვარი წესრიგის შესატანად და იმ დროის ადამიანთა ყოფაცხოვრების შესახებ უფრო თვალსაჩინო წარმოდგენის შესაქმნელად ვამჯობინებთ შრომის იარაღების დალაგებას არა მხოლოდ ცალკე ტიპების, არამედ თვით სამეურნეო საქმიანობის მიხედვით, ე. ი. ნივთის დანიშნულების საკითხის იმთავითვე დაკავშირებას შრომის პროცესთან, რაც, რასაკვირველია, მთელი მასალის წინასწარი კლასიფიკაციიდან გამომდინარეობს.

ამრიგად, შრომის იარაღებში ფუნქციის მიხედვით გამოყოფთ სამ ძირითად ჯგუფს:

- 1) შინახელოსნობის იარაღებს,
- 2) მიწათმოქმედების იარაღებს,
- 3) სანადირო იარაღებს.


ქვისხანის უძველესი საფეხურიდან მოყოლებული, კაცი წარმოებაში ფაქტოდ იყო გამოყენებული. შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქვისხანაში

¹ პროფ. ბ. პოტროვსკის ცნობით (იხ. დამოწმ. ნაშრომი, გვ. 28) და თვით აღმოჩენის გადმოცემითაც კოლექციაში ყოფილა აგრეთვე თიხის ქანდაკება, ადამიანის გამოსახულება. ეს ნივთი ქუთაისის მუზეუმში ადგილზე აღარ აღმოჩნდა. ცნობა ამავე ქანდაკების შესახებ იხ. **Материалы и исследования по археологии СССР, 1941 г., № 3, გვ. 114.**

² თეთრამიწის კოლექციაში შერეული იყო როინჰესის მშენებლობისას აღმოჩენილი პალეონტოლოგიურა ნაშთები და აგრეთვე სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილა, ახალი ქვისხანის ნაშთები. მასალის გადარჩევაში დახმარება გაგვიწიეს პ. ჭაბუკიანი და გეოლოგმა ი. საღინაძემ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

³ ქუთაისიდან 10 კილომეტრის მანძილზე იმყოფება კარიობის ტუფის საბადო.

იგი ძირითად მასალას წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ახალ ქვისხანაში კაყი ასეთ უპირატესობას კარგავს და მის ადგილს სხვადასხვა ჯიშის ქვა იკავებს. ასეთსავე ვითარებას ვამჩნევთ თეთრამიწის კოლექციაში. თუმცა, როგორც შინახელოსნურ საქმიანობაში, ისე მონადირეობასა და მიწათმოქმედებაში კაყს მნიშვნელობა სავსებით მაინც არ დაუკარგავს.



სურ. 3

კაყის იარაღებით შეიძლება, როგორც ცნობილია, ფხეკა, ხვრეტა და ა. შ. კაყის ბუდობებით მდიდარ ტერიტორიაზე დასახლებულმა იმ დროის ადამიანმა კარგად იცოდა კაყის ეს თვისებები და, ბუნებრივია, იგი მას უცბად არ მიაწებებდა თავს.

ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ ქუთაისის მიდამოებში დღეს უკვე მოგვეპოვება ზედა პალეოლითის ძეგლიც. 1937 წელს პროფ. გ. ნიორაძემ აწარმოვა არქეოლოგიური თხრა ქუთაისის მახლობლად მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე მდებარე გამოქვაბულ საყაყიაში, სადაც აღმოაჩინა ძველი ქვის ხანის მრავალი ნაშთი. ეს ნაშთები სწორედ კაყის წარმოების თვალსაზრისით მეტად საინტერესო კომპლექსს წარმოადგენს¹.

თეთრამიწის კოლექციაში კაყის იარაღის ერთი ნაწილი წარმოადგენილია: საფხეკეებით, რომელთა შორის გამოვყოფთ შემდეგ რვა ჯგუფს:

1. საფხეკეები, რომლებსაც შერჩენილი აქვთ ბუნებრივი ქვით კაჭრის ქერქი, ე. ი. ანამტვრევის თუ ლამელის² ზურგის ნაწილი არა აქვთ გათლილი.

¹ გ. ნიორაძე. ძველი ქვისხანა კავკასიაში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, VI, 1937, გვ. 268—284.

² ლამელა ეწოდება თხელ და ვიწრო დანისებრი მოყვანილობის ფირფიტას, ატეცილს იარაღის გასაკეთებლად.


იარაღის სამუშაო პირზე და ზოგჯერ გვერდებზედაც მხოლოდ რეტუმით¹ არის შემოცლილი კაჭრის ქერქი. მომხმარებელს წინასწარ არ უზრუნვია იარაღის გამზადებაზე. ხშირად საფხეკის სამუშაო პირი დაქანებულია ლამელის ნიჟარისებრი სიბრტყისაკენ. ასეთი იარაღებისათვის დამახასიათებელია გვერდებზე გაკეთებული რეტუმი — უმთავრესად გვერდის იმ ნაწილზე, რომელზედაც იარაღის გამოყენების დროს, ალბათ, ეყრდნობოდა სალოკი თითი ან ცერი.

ამგვარი იარაღი თეთრამიწის კოლექციაში 10 ცალია. ამათგან უდიდესის ზომა 5 სმ უდრის, უმცირესისა კი—3 სმ (ტაბ. 1, სურ. 2, 3)².

ამგვარი იარაღი თეთრამიწის კოლექციაში 10 ცალია. ამათგან უდიდესის ზომა 2½ სმ უდრის, უმცირესისა კი—4 სმ (ტაბ. 1, სურ. 1, 2, 3).

აქვე აღსანიშნავია 12 ცალი საფხეკი, რომლებსაც კაჭრის ქერქი ლამელის ზურგის მცირე ნაწილზე აქვთ დატოვებული (ტაბ. 1, სურ. 6, 8).

2. მოგრძო ლამელებისაგან გამოყვანილი ცალგვერდრეტუმიანი საფხეკები. ასეთი იარაღი კოლექციაში სულ 14 ცალია. ზოგ მათგანს თავი გადამტერეული აქვს (ტაბ. 1, სურ. 4).



სურ. 4

3. ორგვერდრეტუმიანი საფხეკები, რომლებიც გაკეთებულია უმთავრესად ბრტყელი ლამელებისაგან. შედარებით ზემოაღნიშნულ იარაღებთან, ამათი რეტუმი ფაქიზად არის შესრულებული. ასეთი იარაღი კოლექციაში 13 ცალია (ტაბ. 1, სურ. 5).

4. მიკრო-საფხეკები კოლექციაში სულ 11 ცალია. ასეთ იარაღს სამუშაო პირი ივალური აქვს და საერთოდ იგი ფაქიზად არის გაკეთებული. ამ ჯგუფის საფხეკთა უდიდესი ზომა 2½ სმ არ აღემატება (ტაბ. 1, სურ. 6).

5. მრგვალი საფხეკები, რომლებსაც დამახასიათებელი მომადლო მოყვანილობა აქვთ. ასეთი საფხეკი კოლექციაში სულ 13 ცალია (ტაბ. 1, სურ. 9).

6. ამოდარული საფხეკი ჩვენს კოლექციაში მხოლოდ ერთი ცალია, მას სამუშაო პირი მეტად გაცვეთილი აქვს (ტაბ. 1, სურ. 8). ცნობილია, რომ ამგვარი იარაღი ზედა პალეოლითში ხისა და ძვლის დასამუშავებლად იყო განკუთვნილი. თეთრამიწის მასალებში ძვლის იარაღი სრულიად არ გვხვდება და შეიძლება ამით იყოს გამოწვეული ამოდარული საფხეკების სიმცირე.


¹ რეტუმი ეწოდება ქვის იარაღის ნაპირების შემოკეთებას.

² სურათები დახატულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის თანამშრომლის, მხატვარ ა. ამბრიაშვილის მიერ.

7. საინტერესოა ის გარემოება, რომ თეთრამიწის კოლექციას კაჟის ნედლი მასალის დაზოგვა არ ემჩნევა. იშვიათად ვხვდებით დუბლირებულსა და კომბინირებულ იარაღებს, რაც მეტად დამახასიათებელია ახალი ქვისხანის წინა დროისათვის და განსაკუთრებით კი ძველი ქვისხანის უკანასკნელი ეპოქისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნეოლითში კაჟის დამუშავების ტექნიკა უაღრესად განვითარებულია, ამ დროისათვის დამახასიათებელია შესანიშნავი წნევითი ტექნიკით გამოყვანილი ისრის წვერები, დაკბილული და რეტუშიანი ნამგლის პირები და სხვა. კომბინირებულ იარაღებს აღარ ვხვდებით, მათ მნიშვნელობა დაკარგული აქვთ. დუბლირებული იარაღი სულ 3 ცალია (ტაბ. 1, სურ. 7), კომბინირებული იარაღი კი 8 ცალი (ტაბ. II, სურ. 1). ამ იარაღების უმრავლესობას საფხეკებზე გაკეთებული აქვს სიგრძივი გვერდწახანავი და ამრიგად გაფორმებულია საჭრისის კუთხე. მხოლოდ ერთს აქვს ხიწვიანი გვერდწახანავი (ტაბ. 1, სურ. 10). კომბინირებულ იარაღთა ჯგუფს მიეკუთვნება ერთი პატარა საფხეკი, რომლის თავზედაც ირიბი დარტყმითა და რეტუშით გამოყვანილია წვეტი (ტაბ. II, სურ. 4).



სურ. 5




სურ. 6

8. საფხეკების ჯგუფს მიეკუთვნება ახალ ქვისხანაში ტრადიციულად შემონახული, პალეოლითის თითქმის ყველა ეპოქისათვის და განსაკუთრებით კი მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი სწორპირიანი საფხეკი — ასტამი. ასეთი იარაღი თეთრამიწის კოლექციაში მხოლოდ ორი ცალია (ტაბ. II, სურ. 13).

შემოჩამოთვლილი საფხეკების გარდა თეთრამიწის კოლექციისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ზომის, ვიწრო და მოგრძო საფხეკები (12 ცალი), რომლებსაც სამუშაო პირი ოვალური აქვთ და რომელნიც საერთოდ ძველი

ქვისხანის საფხეკებისგან არაფრით გამოირჩევიან. უდიდესის სიგრძე 4,8 სმ უდრის, უმცირესისა კი — 3,6 სმ (ტაბ. II, სურ. 2,3).

აქვე უნდა აღინიშნოს 5 ცალი გატეხილი საფხეკი. საფხეკების შემდეგ თეთრამიწის კოლექციის კაჟის იარაღების უმრავლესობას საჭრისები წარმოადგენს. საფხეკებთან შედარებით, საჭრისები მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. მცირე რაოდენობით გვხვდება აგრეთვე საჭრისებთან დაკავშირებული სამწახნაგ ანამტერეები (ტაბ. I, სურ. 11). შესაძლებელია, ახალ ქვისხანაში საჭრისების დანიშნულება სხვაგვარ ქვის იარაღებს ჰქონდათ დაკისრებული და ამიტომ მათ მნიშვნელობა დაკარგული აქვთ. ხშირია შემთხვევა, რომ გატეხილ ან გაცვეთილ იარაღზე გაკეთებული საჭრისისათვის დამახასიათებელი მოგრძო გვერდწახნაგი. გვხვდება ხიწვიანი საჭრისებიც (ტაბ. I, სურ. 10).



სურ. 7


თეთრამიწის კოლექცია მოკლებული არ არის ძველი ქვისხანისათვის დამახასიათებელ კაჟის სახვრეტებსაც. ასეთი იარაღი კოლექციაში სულ 12 ცალია. ეს სახვრეტები გაკეთებულია უმთავრესად სქელ ლამელებზე, რომელთაც მოგრძო სამუშაო წვეტებს ირგვლივ ეტყობათ რეტუში (ტაბ. I, სურ. 14).

კოლექციაში შემორჩენილია „გრავეტის ტიპის“ დანაც (ტაბ. I, სურ. 13).

კაჟის იარაღებს გარდა, კოლექციაში მრავლად მოიპოვება კაჟის ისეთი ნასალაც, რომელიც გვიდასტურებს, რომ ეს იარაღები ადგილობრივ არის დამუშავებული. აღსანიშნავია: უხეში ფორმის ნუკლეუსი¹, გვერდის ანამტერე-

¹ ნუკლეუსი ეწოდება კაჟის ან სხვა ქანის კაჟრის შუაგულს, რომელსაც ირგვლივ ატკეცილი აქვს საიარაღ ფორფიტები.

ვები 40 ცალი (ტაბ. II, 5); კაქის 9 მრგვალი კაჭარი (ერთი მათგანის დიამეტრია 10,2 სმ); კაჭრის ჭერქიანი ანამტვრევი 155 ცალი; ბრტყელი ანამტვრევი 25 ცალი; 115 მიკროლითი¹, კაჭრის თავთა ლამელები და სხვა. ლამელები უმთავრესად დანისებური ფორმისაა (ტაბ. II, სურ. 6, 7, 9). ზოგ მათგანს რეტუში ეტყობა (ტაბ. II, 10). ლამელებისაგან ცალკე გვაქვს გამოყოფილი მოგრძო და სქელი ლამელები, რომლებსაც ზურგის ნაწილზე ან ლამელის მთელ ფართობზე მსხვილფაცეტისანი² რეტუში გასდევთ (ტაბ. II, 11, 12). ამ ლამელებს მივაკუთვნებთ ისრის წვერებად განკუთვნილ „ნამზადს“, რომელთა დამუშავება დამთავრებულ არ არის.



სურ. 8

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ობსიდიანის იარაღი თეთრამიწის კოლექციაში სულ რამდენიმე ცალია, ანამტვრევები კი მეტი.

¹ მიკროლითი ეწოდება ქვის პაწაწინა ანატეციებს, რომელთაგანაც, ხშირად, ფაქიზ იარაღებსაც აკეთებდნენ.

² ფაცეტები ეწოდება იმ სხვადასხვა ზომის, მეტწილად მოგრძო საბრტყეებს, რომელნიც შემორჩენილია ნუკლეუსისა და ანატეციების ზურგებზე.

ამრიგად, თეთრამიწა ზედა პალეოლითისათვის დამახასიათებელი კაყის იარაღების ტიპებს იმეორებს. აქ ჩამოთვლილ იარაღთა სახეების სიღარიბე და მათი დამუშავების ტექნიკაც უკვე მოწმობს, რომ კაყის ასეთი იარაღი კოლექციის ძირითად ნაწილს აღარ წარმოადგენს.

კაყის იარაღებიდან, როგორც თვისებური ფორმებით, ისე დანიშნულებით, ცალკე გამოიყოფა კაყის ისრისწვერები და ნამგლისპირის ნაწილები — დაკბილული ფირფიტები. ეს იარაღები ახალი ქვის ხანის განსაკუთრებულ ტიპებს წარმოადგენენ. მათ ქვემოთ აღწერთ.



სურ. 9

ზემოაღწერილი კაყის იარაღები, როგორც მათი ფუნქციური განსაზღვრულობა მოწმობს, შინახელოსნურ საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ თუ ძველი ქვისხანის ნაშთებში კაყის უმეტესობა წარმოების ნარჩენსა და ანამტვრეე-ანატკეცებს წარმოადგენს, ახალ ქვისხანაში ამგვარ გადანაყარს შედარებით ცოტას ეხვდებით. ასეთივე ვითარე-

საფხეკებს ძირითადად ხის დასამუშავებლად იყენებდნენ, თუმცა ხშირია შემთხვევა, რომ საფხეკის სამუშაო პირის ფაცეტები გაპრიალებულია და ზოგჯერ გადალესილიც. ალბათ, ამ იარაღებს ხეზე უფრო რბილი მასალის (ხის ქერქი, ტყავი და სხვა) დასამუშავებლადაც იყენებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, კაქის იარაღის ასეთი ტიპები ახალ ქვისხანაში ძირითად იარაღებს აღარ წარმოადგენენ; ისინი შინახელოსნური საქმიანობის ხელსაწყო-იარაღებს მიეკუთვნებიან. ამით უნდა აიხსნებოდეს ზემოაღწერილი იარაღების უხეში ფორმები და ცალკე ჯგუფებში შემავალი ტიპების მცირერიცხოვანება. ამიტომ კაქის იარაღის ჯგუფებში გარეგნული სახესხვაობანი იარაღთა დანიშნულების მიხედვით გავაერთიანეთ, ვინაიდან ფუნქციით ნაკარნახევი მიზნის თვალსაზრისით თვით იარაღის ფორმას მნიშვნელობა დაუკარგავს.

თეთრამიწის კოლექციისათვის სრულიად უცნობია პატარ-პატარა, ე. წ. მიკროლითური იარაღები. ე. წ. გეომეტრიული ფორმის აღარც ერთი იარაღი აღარ გვხვდება. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ თეთრამიწის კოლექცია ძველი ქვისხანისაგან საკმაოდ დაშორებულ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

სამაგიეროდ კოლექციაში მეტად მრავლად არის წარმოდგენილი რაციის ქვის იარაღები. ეს იარაღები მეტწილად თანამიმდევრობით არის დავიწროვებული, ორივე ზედაპირზე მსხვილი ფაცეტების ამოტყეცით. ზომები და დამუშავების ტექნიკა ამ იარაღებს აკავშირებს დღეს ლიტერატურაში უკვე კარგად ცნობილ, დიდრონ, მაკროლითურ იარაღებთან. ამ უკანასკნელთ კი უკავშირებენ შუა ნეოლითს, ე. ი. იმ პერიოდს, როდესაც აღამიანმა ჯერ კიდევ არ იცოდა ქვის სამუშაო იარაღის გახერხება. სამაგიეროდ, ამ ხანაში იგი უკვე დაუფლებული იყო ქვის გახეხვა-გაპრიალებას.

რაციის ქვის ასეთი იარაღები უმთავრესად მიეკუთვნება თეთრამიწის კოლექციის იმ ნაწილს, რომელიც განკუთვნილია შინახელოსნური საქმიანობისათვის.

შინახელოსნობის იარაღები რამდენიმე ჯგუფად გვაქვს დაყოფილი, დამუშავებისა და თვით ქვის მასალის მიხედვით. რბილი ქვიშაქვებისგან მეტწილად გაკეთებულია სალესავები, საკრიალებელი იარაღები და გრდემლები. მაგარი ქვებისგან კი ნაკეთებია ხის დასამუშავებელი იარაღები.

გრდემლი რაციის უბრალო ქვებისგან მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ მას ცალი გვერდი ხელოვნურად აქვს გაბრტყელებული და ზედაპირის შუა ნაწილში ეტყობა დანეჩქილი ადგილი. ასეთი გრდემლი კოლექციაში სულ 7 ცალია. ამასთან მხოლოდ ერთია მთელი, ხოლო სხვები დამტკრეულია. ამის მიზეზია გრდემლის მასალა და დანიშნულება. არის ავრეთვე 16 ისეთი გრდემლი, რომელთაც ბრტყელ ზედაპირზე მოპრიალება ეტყობათ. შესაძლოა, მათ მარცვლის საღერღავად და საფშენეტად იყენებდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს მაგარი ჯიშის რაციის ქვა, რომელსაც ორი გვერდი აქვს გაბრტყელებული და შუაზედაც ორმხრივ ღარები დაუყვება. მისი დიამეტ-

რია 5,5 სმ, ხოლო სიგრძე 10,5 სმ. თავი და ბოლო მას დაჩეჩქვილი აქვს. ეს იარაღი უფრო უროს მოგვაგონებს. შუაზე გავლებული ღარები ტარის მისამარებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

კოლექციაში შედის უფრო დიდი უროც, რომელიც მაგარი ჭიმის რიყის ქვისგან არის გაკეთებული. მასაც ეტყობა დაჩეჩქვილი ნაწილები. ქვა ორივე მხრივ ერთნაირად არის გამოყენებული. მისი სიგრძეა 13,8 სმ, სიგანე თავთან — 7 სმ, მოპირდაპირე ნაწილის სიგანე — 8 სმ, ქვის უდიდესი დიამეტრი — 7 სმ.

ასეთი, ორმხრივ გამოყენებული, რიყის ქვა სულ 6 ცალია.

ხელსაფქვავეები კოლექციაში უმთავრესად მოგრძო ოვალური ფორმისაა. არც ერთი ხელსაფქვავე არ არის მთელი, ყველა წარმოდგენილია სხვადასხვა ნაწილების სახით. შემორჩენილია უმრავლესად ხელსაფქვავის თავები, რომლებიც მომადლო ბეჭობებით მთავრდება. უდიდესი ნატეხი 20 სმ სიგრძისაა. მისი სიგანეა 14,5 სმ, სისქე კი 5,5 სმ. ზედაპირი ბრტყელი და თავამდე სწორი აქვს, მომრგვალებული თავის სიმაღლე გათანასწორებულია ნატეხის შუა წელთან. გვერდები ორივე მხრივ ჩამოსწორებული აქვს და განივ ქრილში სწორკუთხედს იძლევა (ტაბ. III, სურ. 1).

ხელსაფქვავის ფორმა და შუაში ჩაზნექილი ადგილები იმას მოწმობენ, რომ მუშაობა სიგრძივი მოძრაობით უნდა შესრულებულიყო, ე. ი. ქვევითა ბრტყელ ქვას ზემოდან აგრეთვე ბრტყელ ქვას დაამხოზდნენ, ორთავე ხელს ჩაჰკიდებდნენ და ორმხრივი მოძრაობით დაფშენტდნენ, ან დაფქვავენ მარცვალს (ტაბ. III, 3). ხანგრძლივად გამოყენების გამო ხელსაფქვავეების შუა წელი უფრო გაცვეთილ-გადალესილია და სწორედ ამ ადგილებშია ისინი შემდეგ გადატეხილი. თავები კი კარგად შემონახულა, ვინაიდან მუშაობის პროცესში მათ ნაკლები ძალა ადგებოდათ. ხელსაფქვავის თავთან ბეჭობის არსებობაც ამ მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული. ზოგიერთ ხელსაფქვავეს კი ბუნებრივად მოღუნული თავი აქვს. ასეთი მთელი ხელსაფქვავე მხოლოდ ერთი ცალია შემონახული (სურ. 4).

შემორჩენილია აგრეთვე ისეთი ფრაგმენტები, რომლებიც ხელსაფქვავეთა შუა წელს უნდა ეკუთვნოდეს. ასეთი ფრაგმენტი 8 ცალია. არის აგრეთვე ისეთი ნატეხები (14 ცალი), რომლებიც მხოლოდ მასალითა და ბრტყელი ზედაპირით შეიძლება მიეკუთვნოს ხელსაფქვავეს.

ხელსაფქვავის ყველა ფრაგმენტი გამოფიტულია და მათი ზედაპირი უმეტეს შემთხვევაში ხაოიანია. ხელსაფქვავეები ნაკეთებია ისეთი ქვისაგან, რომელიც ხევის ან მარცვლის დაფქვის დროს გლუვ ზედაპირს არ გაიკეთებდა, ე. ი. თვით ქვა ადვილად არ გაილესებოდა.

კოლექციაში ხელსაფქვავეთა ფრაგმენტები სულ 30-დე ცალია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ერთიმეორეს არ შეესაბამება, არც მასალითა და არც სისქით. ეს სხვადასხვა ნაწილები თხუთმეტ მთელ ხელსაფქვავეს და ეგებ უფრო მეტსაც უნდა ეკუთვნოდეს. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად დახლოვებული ყოფილან თეთრამიწაზე ახალ ქვისხანაში მსახლობელი ადამიანები მარცვლეულის გამოყენებაში.

შინახელოსნური იარაღების ძირითადსა და წამყვან ნაწილს წარმოადგენს ხის დასამუშავებლად განკუთვნილი იარაღები. ასეთი იარაღებიდან თეთრამიწის კოლექციაში თავისი სისწირით ყურადღებას იმსახურებენ საჭრეთლები, სატეხები და სათლელები.

ს აჭ რ ე თ ლ ე ბ ი. სანამ ამ იარაღების აღწერას შევუდგებოდეთ, გვინდა გავარკვიოთ, თუ საიდან შეიძლებადა ასეთი იარაღი განვითარებულიყო. მათი პროტოტიპები, რასაკვირველია, ქვისხანის უფრო ადრე პერიოდებში უნდა ვეძიოთ. შეიძინევა, რომ თეთრამიწის კოლექციაში, ლამაზად გამოყვანილსა და გაპრიანებულ რიყის ქვის იარაღებთან ერთად, გვაქვს აგრეთვე ისეთი იარაღები, რომლებსაც ზედაპირი არა აქვთ მოპრიანებული და რომელსაც უხეშ იარაღებად უნდა ჩაითვალოს. ამ იარაღებს, ზურგის მხარეზე მსხვილი ფაცეტების თანდათანობით ამოტყეცით, სამუშაო პირი გათხელებული აქვთ, ბუნებრივად ბრტყელი გვერდი კი ხელუხლებლად აქვთ დატოვებული. ერთი შეხედვით ეს იარაღები ძალიან წააგავს ძველი ქვის ხანის მოგრძო და ოვალური სამუშაო პირის მქონე კაყის საფხეკებს (ტაბ. VIII, 3).

საფხეკი, რომელიც ძალიან დიდხანს არსებობდა ძველ ქვისხანაში და, შეიძლება ითქვას, უნივერსალურ იარაღს წარმოადგენდა იმ დროს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ახალ ქვისხანაშიც მრავლად არის შემორჩენილი. რასაკვირველია, საფხეკის მსგავსი იარაღის რიყის ქვისაგან გაკეთების შესაძლებლობა გამორიცხული არ არის. სწორედ საფხეკისაგან განვითარებულ, ასეთ პრიმიტიულ სათლელებს უნდა მიეკუთვნოს თეთრამიწის კოლექციაში შემონახული რამდენიმე ცალი რიყის ქვის იარაღი (ტაბ. VIII, 3). მაგრამ ასეთი იარაღი, კაყთან შედარებით, თვით ქვის სირბილის გამო ნაკლებ გამძლე იქნებოდა. გარდა ამისა, რიყის ქვაზე მსხვილი ფაცეტებით გამოყვანილი იარაღი უხეშ ფორმას მიიღებდა და შრომის პროცესში ქიმებიანი და ხაოიანი ზედაპირის გამო მისი ხანგრძლივად ხელში დაკავებაც მოუხერხებელი იქნებოდა. სწორედ ასეთი იარაღების პრაქტიკულმა უვარგისობამ გამოიწვია, ალბათ, მათი ზედაპირის შემოსწორება-გაშალაშინება. ამ უკანასკნელმა კი მეტი გამძლეობა და თანაც ლამაზი ფორმა მისცა იარაღს.

საჭრეთლები, მათი ზომის მიხედვით, დაყოფილი გვაქვს 3 ჯგუფად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჭრეთლები ძირითადად შინახელოსნურ საქმიანობაში იხმარებოდა და ასეთი იარაღებით ამუშავებდნენ ხეს. მაგრამ გამორიცხული არ არის ის შესაძლებლობა, რომ საჭრეთლების მეტად განსხვავებული ზომები ხის დამუშავების პროცესში მათ კონკრეტულ ფუნქციასაც განსაზღვრავდა. არის საჭრეთელი, რომლის სიგრძე 10 სანტიმეტრს უდრის და არის საჭრეთელი, რომლის სიგრძე 3 სანტიმეტრია. გასაგებია, რომ მცირე ზომის იარაღები უფრო მსუბუქსა და ფაქიზ სამუშაოს შეასრულებდა (ტაბ. V, სურ. 2,5).

საჭრეთლები წარმოადგენს რიყის ქვის მოგრძო იარაღებს, რომლებსაც ცალი გვერდი ბრტყელი და მეტწილად მოპრიანებული აქვთ, მეორე კი უფრო ამობურცული ან შუაზე ცოტა გაბრტყელებული. სამუშაო პირი გამოყვანილია ამობურცული მხრიდან. იარაღს დაახლოებით $\frac{1}{3}$ ნაწილზე (პი-

რის მიმართულებით), თანდათანობით ატყეცით, თუ ერთი ძლიერი და ირბი დარტყმით, ჩამოტყეხილი აქვს ნაპირები და ამრიგად სამუშაო პირი გათხელებულია (ტაბ. IV, 1). გათხელებული ნაწილი გაშლაშინებულ-გაპრიალებულია. არის შემთხვევა, რომ საჭრეთელი ორმხრივ ერთნაირად გაპრიალებული და ირგვლივ გლუვი პატინით დაფარულია. საჭრეთლებს თავები უმეტეს შემთხვევაში მომრგვალებული აქვთ.

1. დიდი საჭრეთელი სულ 10 ცალია. მათი სიგრძე 8—9½ სმ შორის მერყეობს. უდიდესი სიგანე 4 სმ უდრის, უმცირესი—3—5 სმ, სისქე — 2—3 სმ. ზოგიერთი იარაღის ზომა და მომრგვალებული თავი გვაფიქრებინებს, რომ წით უტაროდაც გამოიყენებდნენ. სამუშაო პირები პირველი 3 და ხშირად 4 სმ შემდეგ აქვთ გათხელებულ-გაპრიალებული. ეს მოპრიალებული ნაწილები განივჭრილში ხშირად წარმოადგენს სამკუთხედს, ვინაიდან ამობურცულ გვერდზე დატოვებული ბეჭობი მკვეთრად გამოიყოფა (ტაბ. IV, 1) იარაღის ზედაპირისაგან. ზოგი ბეჭობი კი ოვალურად გადადის იარაღის მთელ ზედაპირზე.

2. საშუალო ზომის საჭრეთელი 34 ცალია. მათი სიგრძე 6—7,5 სმ შორის მერყეობს, სიგანე — 2,5—3,5 სმ. ისინი დამუშავებულია იმავე წესით, როგორც დიდი საჭრეთლები. მეტწილად მათ მხოლოდ სამუშაო პირები აქვთ დამუშავებული (ტაბ. IV, 2).

3. პატარა საჭრეთლები. ასეთი იარაღი თეთრამიწის კოლექციაში 16 ცალია. უდიდესის სიგრძეა 5,5 სმ, უმცირესისა კი 3 სმ. ეს იარაღები საერთოდ უფრო ფაქიზად გამოყვანილი და განსაკუთრებული მზრუნველობით შესრულებულია (ტაბ. IV, 6—9).

თეთრამიწის საჭრეთლების კლასიფიკაცია ამ სახეებით არ ამოიწურება.

არის ისეთი საჭრეთლებიც, რომლებსაც ერთი ან ორივე გვერდი აქვთ ჩამოთლილ-ჩამოსწორებული. ასეთი იარაღის განივჭრილი სწორკუთხოვანია (ტაბ. VI, 2).

კოლექციაში მრავლად მოიპოვება დაუმთავრებელი და გატეხილი საჭრეთლები. მეტწილად შემონახულია იარაღთა ჩამონატეხი პირები.

საინტერესოა გაირკვეს, თუ რა წესით შეიძლებოდა საჭრეთლის გალესვა-გაპრიალება და ასეთი კოხტა ფორმების გამოყვანა. ცნობილია, რომ ახალ ქვის ხანაში ტუქნიკის დიდ მიღწევას წარმოადგენდა იარაღის ზედაპირის მოპრიალება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მიღწევა ქვის ხანის ადამიანს წარუშეშინებია ხანგრძლივმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ მოუპოვა.

რიყის ქვის მსხვილფაცტებიანი ზედაპირი და მჭრელი ქიმები შრომის პროცესში ხელს დააზიანებდა. პირველად, ალბათ, მსხვილი ქიმების მოცილება სცადეს. ქიმების მოცილება დარტყმით, რასაკვირველია, ვერ მოხერხდებოდა. რბილი რიყის ქვის ზედაპირის შემოსწორება აგრეთვე ქვაზე ხახუნით სწორედ ამ ქიმების მოცილების მიზნით მოხდებოდა. ქიმების მოცილების დროს სალესად განკუთვნილი ქვის ზედაპირიც მოპრიალდებოდა, რაც თავის მხრივ მას გლუვსა და ლამაზ ფორმას მისცემდა. გასაგებია, რომ ამის შემდეგ ახალი ქვისხანის ადამიანი შესაფერ სალეს ქვებსაც გააკეთებდა. რასაკვირვე-

ლია, ყოველივე ეს უცბად არ მომხდარა. ქვის გახეხვა-გაპრიალება ემჩნევა ახალი ქვისხანის შუა პერიოდის ნაშთებს.

ჩვენს კოლექციაში სალესი ქვები სხვადასხვა ფორმისა გვხვდება.

არის ისეთი ირიბი ქვა, რომელსაც თავი აწეული აქვს, ბოლო კი მიწას ებჯინება. გლუვი ზედაპირიც დაქანებულია. ქვის ასეთი ბუნებრივი ფორმა მუშაობის ხელისშემწყობ საშუალებად არის გამოყენებული. ამ სალესში კარგად თავსდება პატარა საჭრეთლები (ტაბ. V, 1).

კოლექციაში დიდი სალესებიც მოიპოვება. მათ ზედაპირი ბრტყელი და გადალესილი აქვთ. რკალისებური მეორე გვერდი კი წარმოადგენს სალესის ძირს, რომლითაც იგი იდგმებოდა მიწაზე. ქვის ზედაპირს ნალესი ადგილი აჩნია (ტაბ. VI, 1). ზოგიერთ სალეს ქვას ზედაპირიც და ძირიც ბრტყელი აქვს (ტაბ. VI, 3).

აღსანიშნავია, რომ ამ დიდ სალეს ქვებთან ერთად, რომლებიც მუშაობის დროს მიწაზე იდგმებოდა, მომცრო ხელში დასაჭერი სალესებიც (ძელაკები) მოიპოვება თეთრამიწის კოლექციაში. ეს იარაღი გაკეთებულია რბილი ქვიშაქვის. მოგრძო, ვიწრო. ნატეხებისაგან. მისი სიგრძე 6 სმ უდრის, უდიდესი სიგანე — 2,5 სმ. ამ პატარა სალესს საჭრეთლისათვის დამახასიათებელი სამუშაო პირი ეტყობა, ოღონდ ეს პირი, სხვა საჭრეთლებთან შედარებით, უფრო სოლისებურია (ტაბ. VI, 2). შესაძლებელია, ის იარაღი თავდაპირველად წარმოადგენდა საჭრეთელს, რომელსაც სოლისებური პირი ჰქონდა, და იგი შემდეგ გამოიყენეს სალესად.

რიყის ქვისაგან გაკეთებული იარაღის შემდეგ ჩვეუს წარმოადგენს სატეხები. ეს იარაღი უფრო ქვის დასამუშავებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. სატეხები, ისევე როგორც საჭრეთლები, მოგრძო ქვებისგან არის გაკეთებული, მაგრამ მათზე უფრო სქელი და დიდია. შესაძლებელია, სატეხებს მსხვილი ხის საჩეხად თუ სათლელადაც იყენებდნენ.

საჭრეთლებისაგან სატეხები კიდევ იმით განსხვავდება, რომ სატეხს ხშირად თავი დაჩეჩქვილი აქვს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ იარაღს ზემოდან ქვას არტყანდნენ და ამრიგად აპობდნენ ხეს ან ამუშავებდნენ ქვას. ასეთი წესით გამოყენება უმთავრესად დამახასიათებელია უხეში ფორმის სატეხებისათვის. არის ისეთი სატეხები, რომლებსაც სამუშაო პირი მოპრიალებული აქვთ და საერთოდ მთელი ზედაპირი — სუფთად გამოყვანილი.

შინახელისური საქმიანობისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი თეთრამიწის 9 სოლისებრი სამუშაო პირის მქონე იარაღი, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნოს საჭრეთლებსაც და სატეხებსაც (ტაბ. V, 5). ეს იარაღები ზომით მცირეა, მაგრამ მათი სქელი სამუშაო პირი და დაჩეჩქვილი თავები სატეხებს მოგვაგონებს.

კარგად გაფორმებული სატეხი კოლექციაში სულ 7 ცალია. უდიდესის სიგრძეა 15 სმ, სიგანე პირთან — 6,4 სმ, სისქე — 2,8 სმ. უხეში ფორმის, მასიუური და საშუალო ზომის სატეხი 15 ცალია (სურ. 5, 6). ასეთ სატეხებს, ორივე გვერდი მსხვილი ფაცეტებით აქვთ გათლილი. მათი სამუშაო პირები უმეტესად სოლისებრია.

შინამოსაქმეობის საინტერესო ხელსაწყოს წარმოადგენს 8 ცალი, აგრეთვე სოლისებრ-პირიანი იარაღი. მათი პირის დიდი ნაწილი გაპრიალებულ-გათხელებულია (სურ. 8). ეს იარაღი ერთი შეხედვით სატეხსაც წააგავს (თავი ჩამოტეხილ-დაჩეჩქვილი აქვს), მაგრამ საკმაოდ ამოზურგული გვერდი და ორივე მხრივ მსხვილი ფაცეტებით ჩამოტეხილი შევიწროებული ადგილები გვაჟაქრებინებს, რომ იგი შეიძლება ცულად ყოფილიყო განკუთვნილი.

თეთრამიწის კოლექციაში ცულის საუკეთესო ეგზემპლარს წარმოადგენს ორმხრივ გაპრიალებული რიყის ქვის (დარბაზის) იარაღი (ტაბ. VII, 3). იარაღს მთელ ზედაპირზე ეტყობა გამოყენების პროცესში წარმოქმნილი, დაჩეჩქვილი და ხაოიანი ადგილები.

ჩვენი კოლექცია სრულად მოკლებულია ყუნწგაზვრეტილსა და კარგად გათლილ-გაშანდაკებულ ქვის იარაღებს. საერთოდ თეთრამიწაში ნაპოვნი რიყის ქვის იარაღები ახალი ქვისხანის გვიან პერიოდს არ უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ისინი არც თუ ისეთი არქაული ფორმისაა.

კოლექციაში მრავლად (71 ცალი) მოიპოვება აგრეთვე ისეთი ქვის იარაღები, რომლებიც დამთავრებული არ არის, მაგრამ რომელთაც დამუშავების კვალი ზოგ რამეში მაინც აჩნია.

თეთრამიწის სამეურნეო იარაღთა მეორე და ძირითად ჯგუფს წარმოადგენს მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილი, რიყისქვისა და ნაწილობრივ კაქის იარაღები.

სამიწათმოქმედო იარაღები მეტად უხეში ფორმისაა, განსაკუთრებით კი — რიყის ქვისაგან გაკეთებული.

1. თავისი სიმრავლით ყურადღებას იპყრობს რიყის ქვის „თოხები“. ეს სახელწოდება, რასაკვირველია, პირობითია, ვინაიდან ისინი ლითონის ყველაზე უფრო არქაულ თოხებთან შედარებითაც კი მეტად უფრო მო და უხეშია. ამ იარაღებს განიერი და თხელი სამუშაო პირი აქვთ. პირთან შედარებით, იარაღის ტანი უფრო სქელი და უხეშია. ბუნებრივად მოგრძო რიყის ქვაზე ორივე მხრით გვერდების თანდათან ჩამოტეხით გაკეთებულია სამუშაო პირი. ასეთი „თოხების“ პირის სიგანე 7—8 სმ და ზოგჯერ მეტსაც უდრის, თვით ქვის სისქე კი 4—5 სმ.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ზოგჯერ ასეთ თოხის პირებს ზედაპირი გლუვი აქვთ. ეს რიყის ქვის ბუნებრივი სიგლუვეა და არა ხელოვნური. ე. ი. მდინარის მიერ ნაგორები ქვის მოპრიალებული ზედაპირი ადამიანს ხელუხლებლად დაუტოვებია, ვინაიდან უკვე იცოდა სიგლუვის ფასი. პირს ირგვლივ ჩამოთლილ ნაწილებს კი ხაოიანი ზედაპირი შერჩენია.

ასეთი „თოხის პირი“ თეთრამიწის კოლექციაში 13 ცალია. ამთგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი ცალი, რომელიც გარეგნობით ძალიან წააგავს ლითონის თოხს. პირი მას ოვალური და გაბრტყელებული აქვს. შუაში ცოტა მოღუნულია. ყუნწი, თუმცა არ არის გაზვრეტილი, იმდენად გრძელია, რომ უეჭველად ტარზე იქნებოდა წამოცმული (ტაბ. VII, 1). ამ იარაღის უდიდესი სიგანე (პირთან) 5, 8 სმ უდრის, ყუნწის სიგრძე — 4,2 სმ, ხოლო მისი უდიდესი სიგანე — 1,5 სმ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მიწის დასამუშავებლადვე უნდა ყოფილიყო განკუთვნილი უხეში ფორმის ე. წ. მაკროლითური იარაღები. ამათგან ყურადღებას იპყრობს ერთი 18 სმ სიგრძის იარაღი, რომლის სიგანე თავიანთ 2,3 სმ უდრის, შემდეგ პირისაკენ კი თანდათან მატულობს და 8 სმ აღწევს (სურ. 9).

აქვე უნდა აღვნიშნოთ კოლექციაში შემავალი, ათობით რიყის ქვები. მართალია, ისინი თავიანთი იერით იარაღის არც ერთ გარკვეულ ტიპს არ მოგვაგონებს, მაგრამ ყოველ მათგანს ეტყობა დამუშავების კვალი. ამათი უმრავლესობა დამტვრეულ იარაღებს ან იარაღად განკუთვნილ, მაგრამ გამოუყენებელ ქვებს წარმოადგენს.

2. სამიწათმოქმედო იარაღთა ჯგუფში ვათავსებთ თეთრამიწის კოლექციაში მრავლად წარმოდგენილ, კაჟისა და კირქვის მაკროლითებს. ამ იარაღებს გვერდებზე მსხვილი ფაცეტების ამოტყეცით მიღებული, ორმხრივი ტალღისებრი ზოლები მიუყვება, რის გამოც გვერდის წიბოებიც კლაკნილ ზოლებს ჰქმნიან (სურ. 10). საერთოდ სქელსა და უხეშუნდაპირიან იარაღს წვეტები კარგად აქვს გამოყვანილი (ტაბ. VII O, 1), ზოგს მხოლოდ ერთი წვეტი აქვს, მეორე თავი კი ოვალური (სურ. 7), ზოგს მეორე წვეტი ძოტეხილი აქვს (ტაბ. VIII, 2).

ამგვარ მაკროლითებს „წვეტიანი ტიპის“ იარაღებს უწოდებენ. ისინი ხშირად იჩენს თავს ახალი ქვისხანის ნაშთებს შორის¹.

ჩვენი აზრით, თეთრამიწის ეს წვეტიანი იარაღები წალკატებს უნდა წარმოადგენდნენ. ასეთი იარაღით შეიძლება ხე-ბუჩქთა ამოძირკვაც, თვით ხის დაჩხვაც და, რაც მთავარია, მაგარი მიწის დამუშავებაც.

შესაძლოა, უფრო გვიანი დროის ლითონის პირვიწრო თოხების პროტოტიპებს სწორედ ეს წალკატები წარმოადგენდნენ, მით უმეტეს, რომ ასეთი პირვიწრო ლითონის თოხები სწორედ დასავლეთ საქართველოში (ბათუმი, ურეკი) უკვე ცნობილია².

თეთრამიწის კოლექციაში კაჟის ასეთი იარაღი სულ 5 ცალია. უდიდესის სიგრძე 7,3 სმ უდრის, სიგანე—3 სმ, დიამეტრი—2,3 სმ. წალკატების უმეტესობა გაკეთებულია მაგარი კირქვებისაგან (სურ. 9). რამდენიმე ასეთი იარაღი რიყის ქვისგანაც არის გაკეთებული (სურ. 7).

ახალი ქვისხანის შესატყვისი, სამიწათმოქმედო იარაღის განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს კაჟის დაკბილული იარაღები, რომლებსაც ნამკლის პირის დეტალებად მიიჩნევენ³.

¹ В. А. Городцов Археология, т. 1. Кам. период, 1923. გვ. 340 სურ. 64.

А. С. Уваров, Археология России. Кам. пер. 1. М. 1881, 386.

ა. კ ა ლ დ ა ძ ე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიკის მოამბე IV, 3, 1939, გვ. 363—371.

² Б. А. Куфтин К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XII ბ, გვ. 317.

ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. საქ. სახ. მუზ. მოამბე XVI, გვ. 112, 113. სურ. 2. ა.

³ J. de Morgan. Le prehistoire orientale, t. I, გვ. 271, სურ. 41.

საინტერესოა ის გარემოება, რომ საქართველოში ასეთი იარაღი პირველად აღმოჩენილა, ჯერ კიდევ ამ 50 წლის წინათ, სწორედ ქუთაისში¹.

თეთრამიწის კოლექციაში შედის 19 ასეთი დაკბილული კაეი (ტაბ. VIII, 5). ზომით ისინი თითქმის ტოლია და მხოლოდ ერთი, მოთეთრო-მოყვითალო იარაღი გამოირჩევა. მას აქვს დამახასიათებელი მოღუნულობა და 18 კბილი. დაკბილული ნაპირის პარალელური გვერდი ბასრია და იარაღი ორმხრივ თანმიმდევრობით ამოტკეცილი, მსხვილფაცეტებიანი რეტუსით არის გამოყვანილი. შუაზე მიუყვება კლაკნილი ხაზი. საფიქრებელია, რომ იარაღის ბასრი გვერდი სწორედ ამ შუა ხაზამდე თავსდებოდა ხის ან ძვლის ჩარჩოში, ხოლო დაკბილული გვერდი ნამგლის სამუშაო პირს წარმოადგენდა. უკანასკნელს შუა ნაწილში რამდენიმე კბილი გაცვეთილ-ჩამოტეხილი აქვს (ტაბ. VIII, 4).

კოლექციიდან ცალკე გამოიყოფა ლითონის ბრტყელი ცულის მსგავსი, მოგრძო და ოვალური სამუშაო პირის მქონე იარაღები რიყის ქვისა. (ტაბ. VIII, 3). ზოგ მათგანს შუაში, ერთიმეორის გასწვრივ, გვერდებზე ამოღარული აქვს მცირე ნაწილები. ზოგს ეს ამოღარული ნაწილი უფრო ზემოთ აქვს, თავთან ახლოს. ამოღარული ნაწილები ტარის მისამაგრებელ ადგილს მიგვიითებებს, სამუშაო პირის დაჩეჩვილი ნაწილები და თვით იარაღთა ზედაპირები კი სამიწათმოქმედო საქმიანობაში მათ გამოყენებას.

მონადირეობისათვის განკუთვნილი იარაღები. ახალი ქვისხანის განსაკუთრებულ იარაღებს წარმოადგენს კაეის ისრის წვერები და შუბის წვერები. ისრის თუ შუბის წვერები, მართალია, ჩანასახის სახით, ცნობილია ძველი ქვისხანის გვიანი პერიოდის (სოლუტრე-მადლენი) სადგომებშიაც, მაგრამ ისინი მეტად ცოტა გვხვდება და თანაც უხეში ფორმისაა.

საქართველოში ამგვარი იარაღი ნაპოვნია ძველი ქვისხანის მხოლოდ ერთ სადგომში და ისიც სწორედ ქუთაისის რაიონში, საკაეის გამოქვაბულში².

ისრის და შუბის წვერების ფართო გამოყენების დასაწყისს შუა ნეოლითში გულისხმობენ³. კაეის ისრის წვერები უმთავრესად სამკუთხოვანია. მათ ბოლოში აქვთ ღერო და ისინი ორმხრივ დამუშავებულია რეტუსით.

თეთრამიწაზე კაეის ისრის წვერი 34 ცალია აღმოჩენილი. ეს იარაღები უმეტესად მოთეთრო-მოყვითალო კაეისაგან არის დამზადებული; მხოლოდ ერთი ცალია მუქი ყავისფერი კაეისა. ისრის წვერები სულ სხვადასხვა ზომისაა. გვხვდება ისეთი წვერი, რომლის სიგრძე 10,5 სმ უდრის და არის მეტად მცირე, 1 სმ სიგრძე წვერებიც. გარეგანი ფორმის მიხედვით ისრის წვერები დაყოფილი გვაქვს 4 ჯგუფად.

¹ Museum Caucasicum, 1902, გვ. 106, № 2479.

² პროფ. გ. ნიორაძე. ქვის ხანის ადამიანები. ზედა-პალეოლითი. თბილისი 1948 წ., გვ. 41.

³ В. А. Гордцов. Археология, გვ. 338.

Г. Обермайер. Донсториический человек, გვ. 557. იქვე სურ. 294.

17. „მასალები“, ნაკვ. 29



1. სქელდეროიანი და სწორფრთებიანი. ასეთი კოლექციაში სულ 4 ცალია. უდიდესის სიგრძე 7,5 სმ უდრის, ხოლო უმცირესისა—2,5 სმ (ტაბ. IX, 1).

2. მოკლდეროიანი და ფრთებდაშვებული. უდიდესის სიგრძეა 7,5 სმ, უმცირესისა — 3 სმ (ტაბ. IX, 2).

3. გრძელდეროიანი და ოვალურფრთებიანი. უდიდესის სიგრძეა 5,5 სმ, უმცირესისა — 2,5 სმ (ტაბ. X, 1).

4. ბოლოამოდარული. ამ ტიპის ისრის წვერებს გვიან ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის ნაშთებთან ერთადაც კი პოულობენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ განხილული ისრის წვერები უხეში რეტუშით არის გამოყვანილი. ასეთი ისრის წვერები შუა ნეოლითის პერიოდში უკვე ცნობილია.

თეთრამიწის კოლექციაში ბოლოამოდარული ისრის წვერი მხოლოდ ორი ცალი მოიპოვება (ტაბ. X, 3).

გარდა ზემოთ განხილული ისრის წვერებისა, კოლექციაში მოიპოვება დაუმთავრებელი იარაღიც. კაქის მოგრძო ანამტვრევს, ორმხრივ წვეტიანს, ზედაპირი უხეში რეტუშით აქვს გამოყვანილი. ერთი წვეტი მოღუნული აქვს, გვერდებიც სიმეტრიულად არ მიუყვება და საერთოდ იარაღის ფორმა არ არის დასრულებული (ტაბ. X, სურ. 4).

შინახელოსნობის მრავალი ხელსაწყო-იარაღი — სატეხი, საკრეთლები და საღესავები, ქვის გარდა, ხის დამუშავების ფართო წარმოებას უნდა მოასწავებდეს.

კაქის ნამგლის პირები, ხელსაფქვავეები და რიყის ქვის სხვადასხვა იარაღები იმას უნდა მოწმობდნენ, რომ ადამიანს უკვე ათვისებული ჰქონია მარცვლეული.

კაქის ისრის წვერების სიმრავლე და სხვადასხვაობა იმის მაუწყებელია, რომ მონადირეობა უკვე შრომის ნორმალურ დარგად არის ქცეული. ყველა იარაღი ერთნაირი გულმოდგინებით და ქვის ხანის ტექნიკის საკმაო გამოცდილებით არის გაკეთებული.

ქვის იარაღთა წარმოებაში წარმოქმნილი მრავალი ანატკეც-ანამტვრევი და ზოგიც სხვა ნაშთი ნათლად მოწმობს, რომ ეს იარაღები აღმოჩენის ადგილზე დევნილი და მუშავებული. უფრო მეტიც, თეთრამიწის დიდი მასალა, რომელიც ასევე იარაღს შეიცავს, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ თეთრამიწის გორაკზე იმ დროს უნდა ყოფილიყო ქვის იარაღების სახელოსნო, რომელიც ამბარებდა ამ მიდამოებში დასახლებულ ადამიანთა დიდ ჯგუფებს.

იმის მიუხედავად, რომ სამეურნეო იარაღები ასეთი მრავალსახეობით არაა წარმოდგენილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეთრამიწის კოლექციაში ღარიბად გამოიყურება თიხის ნაწარმი. შემონახულია მეტად უხეში თიხის უსახო კერამიკა. ჩანს, თეთრამიწელი ადამიანი თიხის წარმოებაში არ ყოფილა კარგად გააფუჭი, იმ დროს, როდესაც იგი ფართოდ იყენებდა მშვილდისარს და, შესაძლოა, მოსაშინაურებლად გამოსადეგ ცხოველებსაც კი ჰფლობდა.

და. ეს გარემოება კი თეთრამიწის ძეგლების ხნოვანებას ზრდის. მათი დაძტოვებული საზოგადოება ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე უნდა ვიგულისხმოთ¹.

არქეოლოგიურად კი ეს ძეგლები ნეოლითის შუა საფეხურს უკავშირდება, თუმცა ამავე კოლექციაში შემონახული ზოგიერთი საგანი თეთრამიწის კოლექციას გვიანნეოლითურ ელფერსაც აძლევს.

ადრევე აღვნიშნეთ, რომ ჩვენ მიერ აქ განხილული ნაშთები შემთხვევით არის აღმოჩენილი და წლების მანძილზეა შეგროვილი მიწის ზედაპირზე. არც თავის დროზე და არც შემდეგ სრული და ზუსტი ფიქსაცია თუ აღწერა არავის უწარმოებია². ამ მასალის ერთი ნაწილი მუზეუმის კატალოგშიც კი არ არის შეტანილი; არ არის ცნობილი ნაშთების სტრატეგრაფია და სხვა. ამიტომ, შესაძლებელია, ზოგი ნაშთი თეთრამიწის კოლექციაში სხვა კულტურული ფენიდან ან შემთხვევით სხვა კომპლექსიდან არის მოხვედრილი (ტაბ. XII, 1).

თეთრამიწის მთელ კოლექციასთან შედარებით, ცოტა არ იყოს, თავისებურად გამოიყურება მუქი ნაცრისფერი ფიქლისაგან გაკეთებული ქვის სამაჯურის რამდენიმე ფრაგმენტი.

რბილი ქვიშაქვის მაგარი ქვით (მაგ. კაყით, კირქვით) ამოღარვა ან გახვრეტა ახალი ქვისხანის წარმოების ტექნიკისათვის საკმაოდ ცნობილი ხერხია. თუ როგორ უნდა ეხვრიტათ უძველეს დროში ქვა, ამ საკითხზე მრავალ არქეოლოგს აქვს გამოთქმული აზრი და ზოგს ექსპერიმენტულადაც კი უცდია პრიმიტიული წესით ქვის გახვრეტა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი რუსი არქეოლოგი ვ. გოროდცოვი. მისი აზრით, ქვის გახვრეტას წინ უძლოდა ქვის გაღვსვა-გაპრიალება. ხვრეტა ჯერ კაყის წვეტიანი იარაღით ხდებოდა, შემდეგ კი პრიმიტიული ბურღით, რომელიც შემდეგ დაზგად იქცა³. ცხოველის კბილის, ძელის ან ქვის სამკაულის გახვრეტა ჯერ კიდევ პალეოლითშია ცნობილი. ამიტომ თეთრამიწის კოლექციაში ზოგიერთი გახვრეტილი ბრტყელი ქვის არსებობა არ უნდა იყოს მოულოდნელი. რამდენსამე ბრტყელ ქვას ორივე მხარეზე, ცენტრში, თანდათანობით ამოტეხილი აქვს წვრილი ნაწილები და ამრიგად გასახვრეტი ადგილი გათხელებულია. ზოგიერთი ასეთი ქვა შუაზეა გატეხილი. როგორც ჩანს, იარაღი დამუშავების პროცესში გატეხილია. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ ქვის ხვრეტა ამ დროს შეიძლება მეტად პრიმიტიული წე-

1. ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. 1938, გვ. 24—25.

2. პროფ. ბ. კუფტინს 20 წლის წინათ თეთრამიწის მასალები უნახავს და ზოგიერთი იარაღი ჩაუხატავს კიდევ, როგორც თვითონ განაცხადა, (წინამდებარე მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში, 13. II. 1951). მთელი მასალა მას არ დაუმუშავებია. იმავე კამათში გამოიჩინა, რომ ბ. კუფტინს თავის „ბიარდ კოლექციაში“ ჰქონია თეთრამიწაზე მის მიერ ნაპოვნი, ქვის სამაჯურის ნატეხი, რომლის შესახებ არცერთ მის ნაშრომში არცერთი სიტყვა არაა ნათქვამი.

³ В. А. Городцов. Археология. 83. 335.



სით ხდებოდა — უბურღოდ, სოლისებრი ქვის იარაღის მეშვეობით (ტაბ. XI, 2—4, 5).

ქვის ამოღარვის ტექნიკის კარგ ნიმუშს წარმოადგენს კირქვისაგან გაკეთებული, ამჟამად მეტად გამოფიტული და გატეხილი ქურქელი (ტაბ. XI, 3). მისი სიმაღლე 14,2 სმ უდრის, პირის შიგნითა დიამეტრი — 12 სმ, ძირის დიამეტრი კი 10 სმ. წარმოდგენილია ისეთივე მასალის, მხოლოდ სხვა ქურქელის ფრაგმენტის, რომელსაც მოგრძო ბორცვისებრი ყური აქვს (ტაბ. XI, 3).

კოლექციაში შედის აგრეთვე ცენტრში გახვრეტილი ქვის საწაფავი (ტაბ. XI, 2) და მისი მსგავსი საგნის რამდენიმე ნატეხი (ტაბ. XI, 4, 5).

ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც თავისებურად გეჩვენება თეთრამიწის კოლექციაში მოხვედრილი, ქვის წვრილი სამაჯურის ფრაგმენტები. ეს ნივთები უკვე შესულია ლიტერატურაში და მათი მიხედვით თეთრამიწის კოლექციას გვიან ნეოლითს და ზოგი არქეოლოგი ენეოლითსაც კი აკუთვნებს¹.

სამაჯურის ეს ფრაგმენტები განივკრილის მიხედვითა შეიძლება სამ ჯგუფად დავყო.

1. ფრაგმენტები, რომლებსაც შიგნითა მხარე გაბრტყელებული აქვთ, გარეთა კი მომრგვალებულია; განივკრილი ნახევარსფეროსებრია (ტაბ. XII, 3).

2. ფრაგმენტები, რომლებსაც შიგნითა და გარეთა მხარე მრგვალად აქვთ გამოყვანილი; განივკრილი მოგრძო-ოვალურია (ტაბ. XII, 3).

3. ფრაგმენტები, რომლებსაც შიგნითა მხარე ბრტყელი აქვთ და გარეთა ორფერდა მხარეს კი შუაზე ირგვლივ გასდევს ქედისებრი წიბო; განივკრილი სამკუთხედიანია (ტაბ. XII, 3).

დამუშავების მიხედვით ამ უქანასკნელს უკავშირდება სამაჯურის 6 ფრაგმენტი, რომლებიც მეტად წვრილი ქვისგან არის გამოთლილი (ტაბ. XII, 1). უდიდესი ფრაგმენტის მიხედვით მათი დიამეტრი 4—5 სმ უნდა ყოფილიყო. სამაჯურის ღერო ძალიან გათხლებულ-გაწვრილებულია, მისი სისქე 2,6 სმ-ზე მეტი აღარ არის, ე. ი. ამ სამკაულების გამკეთებელი კარგად ყოფილა დახლოვებული ქვის ხვრეტა-გამოთლის ტექნიკაში. ამიტომ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ისინი თეთრამიწის ძირითად მასალას ეკუთვნოდნენ, ვინაიდან თუ ასეთი ტექნიკით უკვე აღჭურვილი იყო თეთრამიწელი ადამიანი, რატომ არ გამოიყენა იგი მან სამეურნეო იარაღებზე?

აღნიშნული დიამეტრის სამაჯურის გაკეთება ხეხვით ან ლესვით, რასაკვირველია, მეტად დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა; აქ ლითონის წვეტიანი იარაღიც კია საგულისხმებელი, რასაც სრულიად გამორიცხავს თეთრამიწის შედარებით პრიმიტიული სამეურნეო იარაღები.

ამიტომ სამაჯურის ეს ფრაგმენტები განცალკევებულად გამოიყურება მთელ კოლექციაში. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნაშთები არ გვაძლევს იმის

¹ Б. Б. Пиотровский. Археология Закавказья, გვ. 28.

А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий, Могильник в Нальчике. Мат. исслед. по арх. СССР, 1941, გვ. 114.

საფუძველს, რომ ასე ფაქიზად გაკეთებული სამაჯურები თეთრამიწის შასალს დაუკავშიროთ.

*
*
*

ახალი ქვისხანის ნაშთები საქართველოში დღეს უკვე რამდენსამე აღვილას არის დადგენილი. მასალის სიმრავლის მიხედვით და თვით კომპლექსის სისრულითაც პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ასეთი ნაშთები, არქეოლოგ ა. კალანდაძის მიერ ზუგდიდის რაიონის ს. ოდიშში, ძველი ქვისხანის დასასრულისა და ახალი ქვისხანისკენ გარდამავალი ეპოქის (მეზოლითურ) იარაღებთან ერთად აღმოჩენილი¹. ამ კომპლექსის მსგავსი ნაშთები აღმოჩენილია აგრეთვე გუდაუთის მახლობლად, კისტრიკში². ეს ორი ძეგლი, როგორც იარაღთა ტიპებით, ისე მათი დამუშავების ტექნიკით, ერთიმეორესთან ახლოს დგას. ორივესათვის დამახასიათებელია, გეომეტრიული ფორმის კაყის იარაღებთან ერთად, გახვრეტილი რიყის ქვის სამეურნეო იარაღები. ორივესთვის უცნობია ისრის წვერები³ და დაკბილული კაყის იარაღები. თუმცა ამავე დროს მრავლად არის წარმოდგენილი მიწათმოქმედებისა და შინახელოსნობის, გახეილ-გაპირალეული იარაღები.

არქეოლოგ ნ. ხოშტარიას მიერ აგრეთვე ზუგდიდის რაიონში, სოფ. ურთაში, აღმოჩენილია ახალი ქვისხანის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები და რიყის ქვის იარაღები⁴.

ცნობები მახარაძის რაიონის ს. ანასეულში აღმოჩენილი, ნეოლითური ხანის რამდენიმე ქვის იარაღის შესახებ გამოქვეყნებული აქვს ო. ჯაფარიძეს⁵.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ქვისხანის ნაშთები მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი. ამათგანაც მთლიანი კომპლექსის სახით გამოქვეყნებულია მხოლოდ გუდაუთის მასალა. ამიტომ დღესდღეობით მეტად ძნელია მიახლოვებათი წარმოდგენა მინც ვიქონიოთ საქართველოს ახალი ქვისხანის ცალკე პერიოდების შესახებ. მაგრამ მდგომარეობა არც ისეთი უმწეოა, როგორც გვეჩინდა ა. იესენის ნაშრომის გამოქვეყნების დროს⁶.

შემთხვევით მოპოვებულ ნაშთებს გარდა, არქეოლოგიური გათხრით თუ დაზვერვით აღმოჩენილი ძეგლებიც გვაქვს ხელთ. ეს ნაშთები, ალბათ, ახლო მომავალში ბევრს ახალს იტყვის ამ საკითხის შესახებ და ჩვენ მიერ აქ გამოთქმულ მოსაზრებებშიც კორექტივებს შეიტანს.

¹ ა. კალანდაძე. მეზოლითური და ნეოლითური კულტურის ნაშთები საქართველოში, ენის, ისტორიისა და მატ. კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე IV, 3, 1939 წ. გვ. 263—371.

² А. Лукин. Неолитическое селище Кистрик близ Гудаут. Сов. Арх. XII, 1950. გვ. 247—286.

³ ა. კალანდაძეს ოდიშში მხოლოდ ერთი კაყის ისრის წვერი უნახავს, მიწის ზედაპირზე.

⁴ ეს ნაშთები ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

⁵ ო. ჯაფარიძე. დაზვერვითი ექსპედიცია ვურიაში. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—3. 1950, გვ. 110.

⁶ А. А. Иессен. Из истории древней металлургии Кавказа 1936 г. გვ. 78.

Н. З. КИЛАДЗЕ

ПАМЯТНИК НОВОГО КАМЕННОГО ВЕКА ИЗ ТЕТРАМИЦА

Резюме

В работе рассматриваются памятники неолитической культуры, собранные в пригороде г. Кутаиси в 1924 и последующих годах директором государственного заповедника Сатаплиа, П. И. Чабукиани.

Изучение этого материала было предусмотрено по плану государственного Музея Грузии им. акад. С. Джанашиа, что и дало нам возможность ознакомиться с материалом из Тетрамица, хранящимся в Кутаисском Музее Академии Наук Груз. ССР¹.

Весьма богатый и разнообразный каменный инвентарь из Тетрамица недостаточно освещен в археологической литературе². До сих пор еще никем не был классифицирован весь материал, чем и вызвана датировка его поздним неолитом и даже энеолитом.

Первое упоминание об этих находках имеется в Кутаисской газете, в 1925 г.³.

Холм Тетрамица (рис. 1—2) находится в северо-западном пригороде г. Кутаиси, на правом берегу р. Риони. Название холма („белая земля“) происходит от цвета почвы (меловые известняки).

Материалом для каменных орудий использованы: кремль, обсидиан, песчаник, базальт, диорит, туф и другие породы. Остатки керамических изделий слишком фрагментарны и нет возможности судить о размерах и формах сосудов. Толстостенные сосуды сделаны из грубого теста с примесью крупнозернистого кварца (рис. 3)⁴.

Основная масса материала представлена многочисленными орудиями из камня. Типологическая классификация каменных орудий, детальное изу-

¹ Незначительная часть коллекции из Тетрамица хранится в Музее Грузии, им. акад. С. Джанашиа, инв. № 1—34/1—56.

² Круглов А. П., Пиотровский Б. Б. и Подгаецкий Г. В. Могильник в Нальчике. Мат. и иссл. по Арх. СССР, 1941, стр. 114. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, 1941, стр. 110, 119—120. Пиотровский Б. Б. Археология Закавказья, 1949, стр. 28—29.

³ Гаа. „Шигели Варсклави“, 1925, № 178.

⁴ В коллекции имеется фрагмент плоской формы, напоминающий обломок от „кеци“. Этот фрагмент как по составу глины, так и по обжигу кажется более поздним. Необходимо отметить, что коллекция из Тетрамица не имеет никакой документации — ни стратиграфических резервов, ни дневников, ни полевых записей. По каталогу музея к коллекции Тетрамица отнесены находки и с других неолитических стоянок. В предварительном разборе материала нам помогал П. И. Чабукиани.

чение не только законченных форм орудий, но и случайных отбросов производства и заготовок, дали возможность выделить следующие остатки хозяйственной деятельности людей нового каменного века:

I. Орудия домашнего промысла

II. Орудия земледелия

III. Оружия охоты

Из всего комплекса выделяем ту часть кремневого инвентаря, которая в эпоху неолита не является уже основным материалом производства. В кремневом инвентаре преобладают скребки, которые и в неолите почти без изменения сохраняют форму, характерную для верхнего палеолита (табл. I, рис. 1—9). Сравнительно в малом количестве встречаются кремневые резцы, проколки и комбинированные орудия (табл. I, рис. 10, 14; табл. II, рис. 4). Кроме того, в коллекции имеются кремневые нуклеусы, пластинки удлиненной формы, желваки и разные осколки и отщепы, получившиеся при изготовлении орудий.

Из кремневого материала нами выделены наконечники стрел и копий, пилки и вкладыши „серпа“. Описание этих орудий дается по разным группам (табл. IX, табл. VIII, рис. 4—5).

Орудия домашнего промысла: зернотерки (табл. III), тесла (табл. IV), стамески разной величины (табл. V), долота (табл. V, рис. 4). По количеству орудий особое место занимают стамески (85 шт.) и долота (70 шт.). Зернотерки представлены в обломках разной величины (30 шт.). К этой же группе относятся единичные экземпляры точильных камней (табл. VI) и наковален. Стамески и тесла почти сплошь отшлифованы.


Обилие стамесок, тесел и частично рубящих орудий указывает о широком применении дерева для различных хозяйственных целей.

Орудия земледелия представлены крупными экземплярами. Они весьма грубые и изготовлены в основном колотой техникой. Большая часть этих орудий не имеет полировки и их рабочие концы сильно сработаны. Орудия земледелия по их назначению и по характеру обработки можно разделить на две основные группы: а) мотыгообразные, с закругленными и клиновидными рабочими концами, (таб. VII, рис. 1, 3; рис. 8 в тексте) и б) макролитические орудия типа „пик“ (табл. VIII, рис. 1). Вкладыши от „серпа“, название которых определяет их функцию, относим к этой же группе.


В коллекции нет сверленных орудий.

Оружия охоты представлены наконечниками стрел и копий (законченных орудий 20 шт., незаконченных и сломанных 60 шт.). По характеру обработки, наконечники стрел делятся на ряд групп (табл. IX, X).

Широкое использование кремня, скудность керамических изделий, архаичность орудий земледелия и домашнего промысла, техника обработки некоторых форм наконечников стрел и других орудий, дают возможность отнести коллекцию Тетрамица к среднему периоду нового каменного века.




კაქის იარაღები: 1—3—საფხეები, რომელთაც კაკრის ქერქი შერჩენიათ; 4—საფხეი, რომელსაც ცალ გვერდზე აქვს რეტუში გაკეთებული; 5—საფხეი, რომელსაც ორ გვერდზე აქვს რეტუში გაკეთებული; 6—პატარა საფხეი; 7—ღუბლორებული საფხეი; 8—ამოღარული საფხეი; 9—მრგვალი საფხეი; 10—ხიწვიანი საჭრისი; 11—სამწანა ანამტრევი; 12—გატეხილი საფხეი; 13—„გრავეტის ტიპის“ დანა; 14—სახეგრეტი.




1—კომბინირებული იარაღი (საფხეკ-საქრისი); 2—3—მოგრძო საფხეკები; 4—კომ-
ბინირებული იარაღი (საზვრეტ-საფხეკი); 5—ნუკლეუსის გვერდი ანამტვრევი;
6—8—დანისებრი ლამელები; 9—გვერდლამუშავებული ლამელა; 10—12—რეტუ-
შიანი ლამელები; 13—საფხეკი-ასტამი.



1




2



3

ხელსაფეკვავები



1



2



2



3



4



5



6



7




8




9




სხვადასხვა ზომის საკრეტლები.



1




2



3



2




4




5


1—საღესი ქვა და საკრეთელი; 2, 5—პატარა საკრეთლები; 3—პატარა სატე-
ხი; 4—საშუალო ზომის საკრეთელი.



1



2




3

1—საღესი ქვა, რომელსაც რკალისებრი ძირი აქვს; 2—საღესი ქვა, რომელსაც სოლისებრი სამუშაო პირი აქვს; 3—ძირბრტყელი საღესი ქვა.



1—ქვიშაქვის „თოხი“; 2—კირქვის წალკატი; 3—ორმხრივ გახეზილ-გაპრიადე-
ბული ცული.

ტაბ. VIII




1, 2—კაყისა და რიყის ქვის წაღკატები; 3—ბრტყელი «ცული»;
4, 5—ნამგლისპირები და ხერხები.

ტაბ. IX



1—სქელლერიანი და სწორფრთებიანი ისრისწვერები; 2—ისრისწვერები
სქელლერიანი და ფრთებაშვებული.




1—გრძელდეროიანი და ოვალურფრთხიანი ისრისწვერები; 2—ფოთლისებრი შუბისწვერი; 3—ბოლამოლარული ისრისწვერი; 4—დაუმთავრებელი ისრისწვერები; 5—გატეხილი ისრისწვერები.

ტაბ. XI



1




2



3





4



5

1—ამოღარული მრგვალი ქვები; 2—4—შუაზე გახვრეტილი საწაფავი და საწაფავის ნატეხები; 5—კირქვის კურკლის ნატეხი.

ტაბ. XII



ქვის სამაჯურთა ნატეხები

ЦАРЕВИЧ ДАВИД О РЕЙНЕГСЕ

Публикуемое письмо царевича Давида о Рейнегсе явилось в результате обращения графа А. А. Мусин-Пушкина к нему—«объяснить обстоятельно пребывание в Грузии доктора Рейнегса».

Аполосс Аполоссович граф Мусин-Пушкин ученый, известный своими трудами в области химии, минералогии и физики, одно время состоявший вице председателем горной коллегии в Петербурге, член Лондонского королевского общества, знал, конечно, доктора Рейнегса, если не в первые годы его пребывания в Петербурге (1781 и 84 г. г.), то в последующие, когда последний поселился там, занимая вплоть до смерти скромную должность при Медицинской академии.

Заинтересовав Павла I богатствами Грузии и получив от него разрешение на поездку туда, Мусин-Пушкин обследовал горные богатства страны, больше присматриваясь к государственным делам Грузии.

Пробыв там (с конца 1799 г.) несколько месяцев, Мусин-Пушкин по прибытии в Петербург сделал обстоятельный доклад о политическом состоянии Грузии при царе Георгии, после чего «поставлял в виду пользы от присоединения Грузии к державе Российской» (Бутков, ч. II, стр. 464).

И после этого, когда вопрос этот был уже окончательно решен, «мнением своим, поданным генерал-прокурору в июле 1801 г. для доклада государю, вновь исчислял выгоды, сопряженные с присоединением к России сего края» (ib. стр. 484).

Вскоре после этого, при установлении русского правления в Грузии, Мусин-Пушкину было поручено «приведение горной части в надлежащий порядок и чеканка монеты», там.

В 1802 г. он выехал туда для минералогических исследований, где деятельно занялся разведкой и разработкой горных богатств в Ахтале и Аллаверды. В 1804 г. он прислал оттуда Академии наук большое собрание камней и минералов с их описанием. В 1805 году он скончался в Грузии.

Граф Мусин-Пушкин обращался в письме к царевичу Давиду, как к знакомому. Он имел возможность познакомиться с ним еще в бытность последнего в 1797 г. в Петербурге, в Преображенском полку, а также во время первого пребывания своего в Грузии.

Это письмо интересно во многих отношениях; здесь в главных чертах обрисована деятельность Рейнегса в Грузии, описываются причины, заставившие его удалиться отсюда и стать «комиссонером» у Потемки-



на, впервые дается критика отдельным местам его книги, где он говорит о себе и своей деятельности в Грузии (об этом говорит также Броссе в своей *Histoire de la Géorgie, Addition XIII*) и некоторые подробности из придворной жизни последних грузинских царей.

Кроме того, это письмо дает возможность судить о назревавших уже тогда важных событиях в русско-грузинских отношениях, закончившихся манифестом 12-го сентября 1801 г.

12 марта 1802 г. это письмо было зачитано Мусин-Пушкиным на конференции Академии Наук.

К о п и я с к о п и и

Милостивый государь

Аполосс Аполоссович.

Возложив на меня, ваше сиятельство, приятный для меня долг, чтоб объяснить вам обстоятельно пребывание и обращение здесь доктора Рейнекса,¹ тшусь оное охотно исполнить и всю объявлю вам истину, сколько позволит краткость, ибо в сем случае истина есть первейший и важнейший пункт, а для меня сильнейший долг, и так начну сим.

Человек сей был достопамятен и знающий, но характер его казался нам вспыльчив.

Когда покойный дед мой царь Ираклий остался от Российского покровительства безнадёжен, то вознамерился войти под покровительство Турецкого Султана, для чего в (1)778-м году отправил посольство в Константинополь, в коем первейший был царский секретарь Мирза Гурген², который во время пребывания его в Константинополе познакомился с доктором Рейнексом. Мирза Гурген видя его знание уговорился с ним, чтоб притти в Грузию и по взаимном соглашении выехали вместе из Константинополя до города Тохата, но потом Рейнекс возвратился назад из Тохата за некоторыми делами и обещал нашему посланнику приехать через 6-ть месяцев непременно в Грузию и в сем слове честно и верно устоял. По прошествии 6-ти месяцев приехал в Карс и дал о себе знать царю. Царь тотчас послал своего человека³ в Карс, откуда и привели потом в Тефлис. Здесь был принят от царя весьма ласково и также все грузины начали его любить и почитать по обычаю своему, ибо грузины знающего и ученого человека любят.

После 2-х месяцев пребывания его здесь сделался чрезвычайно болен родитель мой, ныне здравствующий и владеющий царь Георгий⁴, и доктор Рейнекс вылечил его совершенно, чрез что прославился он у нас весьма много, за что в вознаграждение пожаловал его царь Ираклий драгоценными уборами и платьем по персидскому обычаю манеру и что здесь называют халатом. По излечении родителя моего сделался великим другом и приятелем, особенно нашего дома, всегда входил к нам свободно и беседовал с нами дружественно. Один раз вошел он к

нам надев на себя портрет Марии Терезии,⁶ который был на красной ленте, мы рассматривали портрет с великим удивлением, на что он отвечал нам: не дивитесь, чтоб я был сын простого человека и потом сказал, я есть сын одного благородного из Саксонии, а за мое достоинство наградила меня императрица сим портретом. Когда же царь чрез приятелей рейнексовых услышал о нем, что он был сын благородного и достоин знака отличия, то по рекомендации и по старанию друзей его пожаловал доктору Рейнексу 50 дворов крестьян в провинции Болнис. Рейнекс видя от царя такую себе милость и честь обещал показать много полезных вещей и чрез несколько времени поехал сам собой в Еривань и там отыскав Кермес-Червецъ в околичности Арарата принес с собой и представил царю, за что царь его и благодарил.

О человеке сем никто порока не скажет из грузин потому, что он во всем был знающ и разумен и от всех был любим.

Я видел сочинение его⁷, где он описывает о некоторых своих делах и говорит, что будто он завел рудоплавильный здесь дом, правда, что хотя он и сделал чтоб водой посредством колеса мехи действовали, а человек бы не трудился. Но как он не был практикован в сем деле, рудоплавления, то и не мог привести в совершенство печи и греки мастеровые, которые всегда у нас в заводе работают опытом показали, что он не мог хорошо плавить.

Еще пишет он, что будто построил здесь артиллерийский двор и научил давать цвет пушкам за то будто бы вознаградил его царь тем, что в память имени его и дел приказал выразить на мраморной доске имя Рейнекса и его дела на персидском языке золотыми литерами и оную доску над дверями пушечного двора врезать, то это совсем несправедливо, потому что еще прежде прибытия к нам Рейнекса наш один князь Андроников, приехавший из Москвы, где он обучался артиллерии, здесь находился, он преобразил нашу артиллерию на образец российской, которая прежде у нас была по персидски, а что сказать о мраморной доске или монументе, то не токмо у нас, но и во всей почти Азии о таком делании монументов и понятия не имеют, что до пороховой мельницы, которую будто бы он здесь сделал, то это была одна только модель толчей и других многих, кои будто он наделал и о коих мы никакого понятия не имели, совсем мы не знаем и не слышали ничего. Об Зоненфельсе же скажу, что мы и по сие время ни о его имени ниже о полицейских его установлениях никогда и ничего не слышали и никогда не было Рейнексу приказано или препоручено какое ни есть полицейское распоряжение и оным занимался потому, что грузины издревле не препоручали и не препоручают никогда иностранцу полицейских должностей. Рейнекс также совсем и никогда типографией здесь не заводил, еще прежде нежели родился Рейнекс, в Грузии была типо-

графия и книги печатаемы. Сей человек хотя всегда от всех был здесь почитаем, однако чрез несколько времени произошло между царем и Рейнексом несогласие и негодование.

Когда Рейнекс пришел сюда, привел с собой одного человека из Европы. Здесь называли его всегда только графом, ибо Рейнекс, никогда не выпускал его из дому. Чрез несколько времени граф сделался болен, призвал к себе патера для исповеди, тогда был у нас один патер из Палермы, именем Андрей, которого царь Ираклий весьма любил и жаловал за его знание. Граф на исповеди объявил патеру свое имя и фамилию и также все обстоятельства и свою историю и когда помер граф, то патер его похоронил, что в завещании от графа патеру было отказано, Рейнекс ничего патеру не дал, отчего произошло несогласие и раздор между Рейнексом и патером. Патер пришел к царю доносить, что Рейнекс обидел графа, приехавшего в его царство, не допустил графа во первых еще царю поклониться, захватил и завладел его имением, когда же граф хотел просить царю на Рейнекса, то тогда же сделался болен и скоро помер, что и заставляет думать, что он умер не натурально. Таков донос патера, но хотя такой поступок Рейнекса и был царю противен, однако по иностранству здесь Рейнекса царь ничего ему не приказал.

1780-го году пришел в Тефлис из Персии один человек, который назвал себя сыном шаха Надира, он совсем не был сын шахов, а подлинно был один тут Испаганской. Царь его принял ласково и почитал много, он доносил царю, что он знал алхимию и когда Рейнекс услышал, что тот персиянин знал такое ремесло, познакомился с ним и сделался ему другом.

Во время летнее, когда царь находился на мызе своей в Кочжоре, а батюшка мой в своей мызе Табахмеле, царь был тогда в намерении чтоб испытать сего персиянина в его ремесле, о чем услыша персиянин и опасаясь, чтобы не открылось его плутовство зачал гулять, пить и веселиться на подобие лебеду поющего перед своим концом, сей персиянин послал Рейнекса к батюшке моему сказать, дабы он приготовился угостить персиянина. Рейнекс, будучи у персиянина немного развеселел по-скакал один на мызу к своему батюшке и потеряв дорогу, встретил людей конх счел лезгинцами, бросился на них и одного из них поранил и маша саблею порубил в местах шею своей лошади и в таком состоянии приехал в Кочжор, где находился царь Ираклий и батюшка мой, здесь доложил он царю, что лезгинцы на него напали. Царь тотчас приказал послать и разведать. Посланные возвратясь донесли царю, что это совсем не лезгины и известие обо всем сделал репремант Рейнексу. Рейнекс воротился назад и сказал тогда: сие весьма мое не забытое слово, боже мой французы хотят одно великое дело сделать, однако-ж замешалось.

И так когда я вижу нынешнюю французскую революцию, то весьма мне воображается не об ней ли он тогда говорил и хотя потом весьма много мы его спрашивали, что такое хотели сделать французы, однако, никогда он нам о том ничего не сказал, потом батюшка мой приметя, что он несколько от царского выговора опечалился, взял его в свою мызу, на другой день получил известие, что персиянин Шах Заде болен сделался, почему царь писал к Рейнексу, чтоб он отправился к Шах Заде.

Сей персиянин воображал, что его станут осматривать, принял для избежания стыда опий, Рейнекс приехав к нему и увидя, что он умирает, тотчас возвратился и поехал к моему батюшке и на дороге встретился с царем и будучи опрошен о Шах Заде доложил царю, что Шах Заде умирает. Царю была сия весть весьма неприятна и просил Рейнекса согласиться ехать с собой к Шах Заде. Рейнекс на сие не согласился, тогда царь в гнев толкнул тростью Рейнекса и неприятели Рейнексовы доносили царю, что Рейнекс давал лекарства несколько дней пржде Шах Заде, когда он был нездоров, а что это лекарство, конечно, врдило Шах Заде. Однако-ж Рейнекс оправдался тем, что когда пришил дом Шах Заде, то Рейнекс взяв оное лекарство, которое он давал Шах Заде и которое было неиздержанно, выпил в присутствии царя, что царь приказал остановить, но Рейнекс выпил прежде нежели могли его остановить. Сие неудовольствие первого было причиной, что он возмерился поехать в Россию. Потом, когда Рейнекс сделался болен и бы в отчаянии, призвал армянского аргирея и сделался армянином, какдесь говорят и сие для того, как сам потом сказывал, чтоб быть слаее и громче похороненному по армянской церемонии. По выздоровлении же опять отрекся от армянства и за сие начали его критиковать сие была вторая причина, которая побудила его ехать в Россию.

Сударь мой, ежели б вы приказали мне несколько ранее об нем написать, то бы я с удовольствием доставил вам обширное о сем известие.

Что касается до поездки его в Россию и обратно опять сюда, вмешательство его в некоторые дела и другие обстоятельства, то уповаю, что вы лучше может быть обо всем том известно.

Иподлинном подписано: Ваш покорнейший слуга Царевич грузински Давыд.

24 октября 1800 году

Тиче

Арз Акад. Наук ф. 1 оп. 3, № 74 л. 36—39 об.

копия с копии верна:

Ученый архивист—Крутикова М.

Примечания

1) Яков (Антон) Рейнекс—по выражению академика Брессе «quelque peu aventurier» был несколько раз в Грузии, где зарекомендовал себя искусным врачом, дипломатом и на военном поприще. Уроженец Саксонии, имея большие научные познания и зная несколько языков, Рейнекс в 1776 году попадает в Стамбул, где с ним (в 1778 г.) знакомится посланный Ираклием II—Мирза Гурген. В результате этого он переезжает в Грузию. Пробыв здесь без малого 3 года, Рейнекс покинул Грузию, имея обиду на Ираклия II и направился в Петербург.

В июле 1781 г. он представился князю Григорию Потемкину, тогдашнему наместнику Кавказскому, который сделал его своим «комиссионером» при царях Карталинском и Имеретинском (1782 г.). В такой роли он (осенью) приезжает в Тбилиси, имея поручение «подвинуть» Ираклия искать формально покровительства самодержицы российской». Тогда же он посещает и царя Соломона I Имеретинского.

Летом 1783 г. Рейнекс отъезжает на Кавказскую линию и принимает участие в заключение договора в Гиоргиевске (24 июля 1783 г.) Рейнекс больше в Грузию не являлся. С 1784 г. жил в Петербурге, состоя при Медицинской академии, где и скончался в 1793 году.

2) Мирза Гурген (Гургин) Энаколопашвили, занимал наследственную в этом роду должность дипломата при грузинских царях. Имел звание мунши. Особенно заслужил признательность Ираклия II за переговоры в Тегеране с шахом Персии Керм-Ханом, затем с турецким правительством в 1778 г. (для чего выехал в Стамбул) завершившиеся выгодными для Грузии мирными условиями. Оба эти посольства возглавлял Мирза Гургин. Скончался он в Тбилиси в 1786 г.

3) Был послан Степан Погоашвили, имея инструкцию царя от 24 июня.

4. Царь Георгий XII скончался спустя два месяца после этого письма (2 декабря 1800 г.).

5) Мария Терезия—императрица Австрии (1717—1780 г. г.).

6 Кермес-Червец—насекомое, водящее главным образом близ Арарата. В высушенном виде дает красящее вещество, идущее на приготовление кармина.

7) Сочинение это: Reineggs—Allgemeine histor.-topograph. Beschreibung des kaukasus... Gotha. 1797, в 2-х т.

Сочинение это не всегда отличающееся точностью (чему виной издание бумаг Рейнекса малосведущим лицом) все же, по заявлению известного библиографа Миансарова «по своему времени, есть одно из богатых фактами произведений иностранной литературы, и даже в настоящее время может послужить полезной сводной книгой для специалиста, который сумеет ориентироваться между данными ежего и настоящего времени».

8) Сын шаха Надира,—Признав это лицо действительно за правнука Нир-шаха—Неср-Улла-Мирзу, царь Ираклий II, тогда же (15 марта 1780 г.) опускал в Грузии и Персии манифест о правах этого потомка Надира на персидский престол. В намерении царя было совместно с Ибрагимом-ханом Карабагским восстановить его силой в Персии. Вскоре убедившись, что на самом деле он является вышленным лицом, Ираклий II перестал им интересоваться. В августе того же год правнук

9) Шах-Заде—царевич.

5. ბეკამენიშვილი

იასე ცინცაძე—ქიზანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან*

(X—XVI ს. ს.)

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე იასე ცინცაძე დიდი ხანია მუშაობს. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მუშაობის ძირითად ობიექტს მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ამ ორი ხალხის ურთიერთობის ისტორია შეადგენს. მეცნიერული მუშაობის ასეთი წესი გამოცდილია და მის მიმდევარს უეჭველი წარმატება ელის. ი. ცინცაძე თვითონ არის ამ დებულების სისწორის ერთი თვალსაჩინო მაგალითი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში მან შესამჩნევი კვალი გააგლო. ავტორის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ მან (ი. ცინცაძემ) საუნივერსიტეტო განათლება საქართველოს ისტორიის სპეციალობით მიიღო, ხოლო რუსეთის ისტორიაში მის დასპეციალისტებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ისეთი მკვლევარი ხელმძღვანელობდა, როგორც განსვ. პროფ. მ. პოლიევქტოვი იყო.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან ი. ცინცაძემ არა ერთი წერილი გამოაქვეყნა, არა ერთი საკითხი ახლებურად გადაჭრა, არა ერთი საკითხი ახლად დასვა, თავისი საკანდიდატო დისერტაცია ავტორმა ამავე პრობლემის ერთ-ერთ მონაკვეთს მიუძღვნა. ისტორიული კვლევის გვერდით ი. ცინცაძე ფრიად საქირო შრომას ნაყოფიერად ეწევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის დოკუმენტური მასალების გამოვლინება-გამოცემის ხაზით. მან ამ მიზნით შეისწავლა რუსეთის სიძველეთ-საცავებში არსებული დიდძალი საარქივო მასალა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემკველი არა ერთი ასეული დოკუმენტი პირველად გამოავლინა და გამოსაცემად დაამზადა.

ასეთი სისტემიანი მუშაობის შედეგად ი. ცინცაძე უფრო ზედმიწევნით, ვიდრე სხვა ვინმე, გაეცნო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ფაქტებს და, ბუნებრივია, მას გაუჩნდა სურვილი ამ ურთიერთობის ისტორიის დამუშავება-შესწავლისა მთელ მის სივრცეზე. სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ რივისაა; ავტორს, როგორც ამავე წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს, ეს ნაშრომი შესავალად აქვს ნაგულისხმევი იმ ერთიანი

* წაკითხული იყო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე 1947 წელს.

შრომისა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელ ისტორიას გააშუქებს. ასეთი ისტორია, ზოგად ხაზებში, ავტორს, როგორც ჩანს, შემუშავებული აქვს¹.

სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი დაბეჭდილია 305 გვერდზე და ექვსი თავისაგან შედგება. ნაშრომს წინ უძღვის სარჩევი (გვ. 0) და წინასიტყვაობა (გვ. გვ. 1—2), ხოლო დართული აქვს სია „ნაშრომში მოხსენებული, ციტირებული ან ნაგულისხმევი წყაროებისა და ლიტერატურის“ (91 სახელწოდება).

ნაშრომის პირველ თავში თავმოყრილია და განხილული „უძველესი ცნობები რუსების, ვარანგების და სლავების შესახებ ქართულ ძეგლებში“ (გვ. 3—52);

მეორე თავის საგანია „კიევის სამთავროს ურთიერთობა საქართველოსთან XII საუკუნეში და რუსი უფლისწული საქართველოში“ (გვ. 53—174); მესამე თავია: „ცნობები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის პერიოდში“ (გვ. 175—199);

მეოთხე თავში განხილულია „პირველი ცნობები XV საუკ. მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან“. გვ. 200—241;

მეხუთეში კი—„პირველი ცნობები XVI საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან“. გვ. 241—289.

¹ მაგრამ ვერ თვითონ თემის ქრონოლოგიური მოხაზვის გამო. გამართლებულია თუ არა ი. ცინცაძის მიერ სადისერტაციო თემაში აღებული ქრონოლოგიური საზღვრები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასა? სამწუხაროდ, არა. აღებული მონაკვეთი ხსენებული ურთიერთობისა არაფერს მთლიანს არ წარმოადგენს, ის ერთიმეორისაგან განსხვავებული ურთიერთობათა მექანიკური შეერთებაა. თუ ი. ცინცაძე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხასიათიდან გამოვიდოდა, და სწორედ ეს იქნებოდა ერთადერთი მართებული, მას ამ ურთიერთობის ქრონოლოგიური საზღვრებიც უნდა ამავე ხასიათის თვალსაზრისით მოეხაზა. სამწუხაროდ, ასეთი რამ აქ არა ჩანს.

რას, მაგალითად, საერთო X—XI საუკუნეების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასა და XVI საუკუნის 60—70-იანი წლების ამათივე ურთიერთობას შორის? იმას გარდა, რა თქმა უნდა, არაფერი, რომ ორივე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაა. ეს კი, ცხადია, არ კმარა იმისათვის, რათა მათ უსათუოდ ერთად განიხილავდნენ.

მაგრამ, თუ ეს ზოგადი საფუძველი ავტორმა საქმაოდ მიიჩნია, რატომ შემდეგი დროის ურთიერთობაც აქვე არ განიხილა?

მართლა და, რა საფუძველი ჰქონდა ჩვენს ავტორს, რომ XVI საუკუნის 70-ან წლებზე შეჩერდა? რით განსხვავდება ამ ურთიერთობის თვალსაზრისით XVI საუკუნის 60—70-იანი წლები ამავე საუკუნის 80-იანი წლებისაგან? გადაჭოთ შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ურთიერთობა ორივე შემთხვევაში ერთი ბუნებისა და მათი ურთიერთობისაგან დაშორება ხელოვნურია და უსაფუძველო.

ამრიგად, ავტორმა თემა ვერ მოხაზა ხელმარჯვედ და ეს იმიტომ, რომ თემის მოხაზვისას ავტორის ამოსავალი პრინციპი არ აყო ამ ურთიერთობის ხასიათი, მისი განვითარება, არამედ ის, უმთავრესად, ურთიერთობის ექატების დადგენით კმაყოფილდებოდა. ამიტომაც მოხდა, რომ წარმოდგენილი ნაშრომი დასრულებულ ისტორიულ სურათს ვერ გვაძლევს და ნებისმიერად გაწყვეტილი ჩანს. ამითვე აიხსნება, რომ ავტორს ეს თავისი ნაშრომი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესავალად წარმოუდგენია. უნდა მოგახსენოთ, ჯამბართლებელი შესავალი იქნებოდა...

უკანასკნელი—მეშვიდე თავია „დასკვნა„—გვ. 290—299, სადაც თეზისების სახით 53 დებულებად არის მოცემული ავტორის მიერ მიღებული მეცნიერული შედეგები.

ერთი სიტყვით, სარეცენზიო წიგნი ყველა იმ გარეგნულ ნიშანს ატარებს, რაც სერიოზული მეცნიერული მონოგრაფიისათვის აუცილებელია; მეშვიდე თავის—„დასკვნის“—გადაკითხვა კი ამ წიგნის შინაგანი ნიშნების შესახებაც დამაჯერებლობით გვაუწყებს: აქ წარმოდგენილი დებულებები, ავტორს რომ მიუღია, ნაშრომის შინაგან ღირსებათა შექვევლი მოწმობაა.

ნაშრომის ზოგადი დადებითი მხარეების შესახებვე ითქმის: ავტორი, რა თქმა უნდა, კარგად იცნობს საგნის ლიტერატურას. ის წინა მკვლევართა მთელ რიგ შეცდომას ასწორებს და მათ მიერ გადაჭრილ საკითხებს ახლებურად და მართებულად წყვეტს. აქ ავტორს ხელს უწყობს, როგორც საკვლევო მეთოდის სისწორე და სათანადო მეცნიერული დაკვირვების უნარი, ისე საფუძვლიანი ცოდნა როგორც რუსეთის, აგრეთვე საქართველოს ისტორიისა. ამ მხრით ის შესამჩნევად განსხვავდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე მომუშავე ყველა აქამდე ცნობილ მკვლევართაგან.

ავტორი საჭირო ცოდნით და მეცნიერული შემოქმედების უნარით ახერხებს ძუნწად მოღწეული ქრონიკული ცნობების მეცნიერულ ინტერპრეტაციას და ამ საშუალებით დაადგენს არა ერთ ფაქტს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან,—აქამდე უცნობს, ან მცირედ ნაცნობს. წყაროების შედარებითი (კრიტიკული) ანალიზით ავტორი სწორად დაადგენს ხოლმე ამა თუ იმ ცნობის უპირატესად სანდოობას, თუ მცდარობას და, რიგ შემთხვევაში, სანიმუშო მეცნიერული სიფრთხილის მაგალითს იძლევა (246—251).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის კვლევის გვერდით ავტორი საკუთრივ საქართველოს ისტორიის საკითხების გადაჭრასაც ხშირად ცდილობს. თუ ზოგჯერ ავტორის დასკვნები აქ საცილობელია ან მიუღებელი, ზოგ შემთხვევაში მაინც ის ახერხებს დადებითი წვლილის შეტანას საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქებაში.

მოხსენებულს, თუ ჯერ კიდევ მოუხსენებელს, დადებით მხარეებზე ჩვენ ქვემოთაც, თავთავის ადგილას, მივუთითებთ. და ასეთ მიღწევათა შეფასებასაც იქვე შევეცდებით. ახლა კი ნაშრომის უფრო ზედმიწევნით განხილვას და მისი ღირსება-ნაკლის წარმოჩენას უნდა შევუდგეთ.

ჩვეულებრივ წესადაა ჩვენთან გადაქცეული, რომ რეცენზენტი (ან, შემდეგ, ოპონენტი) სარეცენზიო ნაშრომის ღირსება-ნაკლის აღნიშვნისას უკანასკნელ პუნქტში შეაფასებს ავტორის ენას, შეაქვებს მას, აღნიშნავს მარცხის მაგალითებს, განსაკუთრებით რომ თვალში სცემს, მიუთითებს კორექტურულ შეცდომებზე (რაც უმაღლვე მემანქანეს დაბრალებდა) და საქმეც ამით ბოლოვდება.

ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სერიოზულ ყურადღებას უთმობს მეცნიერული ნაშრომის წიგნიერების საკითხს. მიმდინარე წელს სამეც-

ვად შესრულებული ნაშრომი გამოაქვეს სახარისხოდ. მხოლოდ ასეთი ვითარებისას არის ბუნებრივად გასაგები, რომ ოპონენტ-რეცენზენტი ბოლო პუნქტში ღიმილით და თითქმის ბოდიშით აღნიშნავს ხოლმე ნაშრომის გრამატიკულ-სტილისტიკური უწიგნურობის მაგალითებს, დისერტანტი თავის მხრით (ისიც ღიმილით) მაღლობით შეპირდება სამეცნიერო საბჭოს ასეთ შეცდომათა გათვალისწინებას წიგნის დაბეჭდვისას.

ვიმეორებთ, ამ მძიმე მდგომარეობის კარდინალური საშველი იმ წესის შემოღება-გატარებაშია, რომ სადისერტაციოდ ნავარაუდევია ნაშრომი, განსაკუთრებით სადოქტორო, უნდა გამოქვეყნებული იყოს, ვიდრე მას დასაცავად გამოიტანდნენ. დღეს ჩვენს უნივერსიტეტს ამის შესაძლებლობა აქვს და კიდევაც უნდა განახორციელოს მან ეს წესი. აქვე უნდა ხაზი გავუსვა ერთ მომენტსაც: ამ წესის განხორციელება სასიკეთოდ იმოქმედებს არამხოლოდ დისერტანტის მუშაობაზე, ის ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ნაშრომის ზრდას, არამედ ასევე სასიკეთოდ იმოქმედებს იგი რეცენზენტ-ოპონენტის მუშაობაზე. დაბეჭდილ-გამოქვეყნებული ნაშრომის შეფასება რეცენზენტ-ოპონენტს დიდად გაუზრდის როგორც პასუხისმგებლობის გრძობას, ისე მუშაობის ხალისს. ამ შემთხვევაში რეცენზენტს საქმე ექნება არა რაღაც ნახევარ-ფაბრიკატთან, რომლის შეფასება მას, სამწუხაროდ, მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ამ ნაშრომის მიზანია მის ავტორს ესა თუ ის ხარისხი მოუპოვოს, არამედ მას საქმე ექნება საბჭოთა საზოგადოების წინაშე გამოტანილს მეცნიერულად ყოველმხრივ გამართულ ნაწარმოებთან; მის საჯარო შეფასებისას, ოპონენტ-რეცენზენტს უპირველეს ყოვლისა საქმე აქვს იმავე საბჭოთა მეცნიერულ საზოგადოებასთან, რომელიც შემთავსებელია არამხოლოდ სარეცენზიოდ წარმოდგენილი შრომის, არამედ ამ შრომაზედ წარმოდგენილი რეცენზიებისაც¹.

სადისერტაციო ნაშრომთა წინასწარი დაბეჭდვის წესის გატარებისას ჩვენ მივიღებთ ნაშრომის სერიოზულ მეცნიერულ შეფასებას (და არა სახელდახელო და ზეპირად დაწერილ ატესტაციას), რაც, კერძოდ, დარწმუნებული ვარ, უკიდურესად შეამცირებდა იმ ყოვლად უსიამოვნო შემთხვევებს,

¹ ჩვენს მეცნიერულ პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, რომ სადისერტაციოდ წარმოდგენილ ნაშრომს იწუნებენ, მაგრამ მე არ მასწავს, რომ რეცენზიის დაწუნება ვინმეს ფიქრად მოსვლიდა. ჩვენში რეცენზენტს რაღაც „მეცნიერული შეუვალობა“ მოუპოვებია და მის ნებაზეა დამოკიდებული, გააბედნიერებს თუ გააუბედურებს ხარისხის მაძიებელს. ეს უპასუხისმგებლობა აბედინებს ზოგიერთ რეცენზენტს კერძო საუბარში „თავი მოიწონოს“, რომ წუნიანი ნაშრომი დადებითად შეაფასა, ან კიდევ, რომ შრომა ერთხელ გადათვალისწინებით ზეპირად შეაფასა.

იგივე „მეცნიერული შეუვალობა“ აბედინებს ზოგიერთ მოხალისეს ყოველგვარი ნაშრომის შეფასება იკისროს...

როცა ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ აპრობაციაქმნილ დისერტაციას წუნსა სდებს უმაღლესი საკვალიფიკაცია კომისია.

თავისი შრომის წინასიტყვაობაში ი. ცინცაძე ასახელებს იმ ავტორებს, რომელთაც აღებული პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ უწერიათ. ჩვენი ავტორი აღნიშნავს მათი შრომის შესაბამისობას XIX საუკუნის მეცნიერული მოთხოვნილებებისადმი და დასძენს: „საბჭოთა მოქალაქე (უფრო სწორი იქნებოდა—საბჭოური მეცნიერება, ნ. ბ.) სულ სხვა მოთხოვნილებებს უყენებს მკვლევარებს და, თავისთავად ცხადია, XIX საუკუნეში არსებული მდგომარეობით და მიღწევებით მას დაკმაყოფილება არ შეუძლია“. ამ სამართლიანი მსჯელობიდან მკითხველი იმ ერთადერთ დასკვნას გამოიტანს, რომ ჩვენი ავტორი მის წინამორბედთაგან არსებითად განსხვავებული ხასიათის ნაშრომს გვპირდება, ნაშრომს, რომელიც საბჭოთა მკითხველის მეცნიერულ მოთხოვნილებას შეესაბამება, და, წინასიტყვაობის დასასრულს, ი. ცინცაძე აცხადებს კიდევაც, რომ „საქმის ნამდვილი ვითარების სურათი“ თუ სავსებით ვერ აღადგინა, მან ის მაინც შეძლო, რომ „ჩვენამდე არსებული მდგომარეობა უღაოდ“ შეცვალა. ასეთი განცხადების ავტორს უთუოდ ევალებოდა გაეცნო მკითხველისათვის წინამორბედ მკვლევართა მიღწევები, რათა ცხადი და დამაჯერებელი ყოფილიყო განცხადება, რომ მისი ეს ახალი ნაშრომი არსებითად (ხარისხობრივად) განსხვავდება წინა ნაშრომთაგან.

სამწუხაროდ, ი. ცინცაძეს ამისათვის თავი საგანგებოდ არ შეუწყუხებია და მკითხველი იძულებულია მის ზეპირ განცხადებას ენდოს¹.

შრომის პირველ თავში—„უძველესი ცნობები რუსების, ვარანგების და სლავების შესახებ ქართულ ძეგლებში“ (3—52)—ავტორი თავს უყრის და განიხილავს ყველა ცნობას, რომელიც პირდაპირ მიუთითებს რუსების, ვარანგებისა და სლავების ქართველებთან შეხვედრანაცნობობის შესახებ ან კიდევ ასეთ შეხვედრა-ნაცნობობას გვაგარაუდებინებს.

ავტორი აქ, ბუნებრივია, არ კმაყოფილდება ქართული ძეგლებით (ამ დენადვე ამ თავის დასათაურება უნდა შესწორდეს) და მოაქვს ბერძნული, სომხური თუ არაბული წყაროები (სამწუხაროა, რომ ყველა ეს მას თარგმანის და არა დედანის ენაზე აქვს მოტანილი).

ქართულ-სომხურ-ბერძნული წყაროების ამ ცნობებს რუსეთ-საქართველოს იმ დროის ურთიერთობით დაინტერესებული არა ერთი მკვლევარი შეხები

¹ პირადად ჩვენთვის, მაგალითად, სადაოა ავტორის დებულება, რომ ეს ნაშრომი ისევე განსხვავებულია მის წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებისაგან, როგორც საბჭოური მეცნიერება მოთხოვნილებანი განსხვავებულია XIX საუკუნის მეცნიერების მოთხოვნილებისაგან.

(ბროსე, ბაქრადე, ჯანაშვილი). მათგან ჩვენი ავტორი განსხვავდება, როგორც მოტანილ მოწმობათა სისრულით, აგრეთვე ამ მოწმობათა ინტერპრეტაციით. ი. ცინცაძე მართებულად ასწორებს მის წინამორბედ მკვლევართა ზოგიერთ შეცდომას.

ჩვენი ავტორი არ კმაყოფილდება ამ პირდაპირი ჩვენებებით და ითვალისწინებს ისტორიულ გარემოს, რომელიც მას უფლებას აძლევს რუსთა და ქართველთა ურთიერთ ნაცნობობა, უშუალო წყაროებით რომაა დადასტურებული, საესებით შეჭველი გახადოს.

ავტორის წარმატებაა, უთუოდ, რომ ცნობილი ფაქტების თავის მოყრით და მათზე გარკვეულის მიმართულებით ყურადღების გამახვილებით მან უფრო დამაჯერებელი გახდა აქამდეც არსებული შეხედულება (ჯანაშვილი, ბაქრადე) რუსებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ X—XI საუკუნეში. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, ავტორი არ უნდა დასჯერებოდა ხსენებული ურთიერთობის ფაქტების დადგენას და უნდა დაღრმავებით ცდილიყო წარმოეჩინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საფარაუღებელი სურათი: პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული.

მართლაც და სლავები (რუს-ვარანგ-სლავები) დიდი „ნათესავია“, მას იცნობენ არაბები, ბიზანტიელები, ხაზარები, ოს-ჩერქეზები (ეს უკანასკნელი გარემოება უნდა განსაკუთრებით გაეხაზა ავტორს). სკლავ-რუსები ამიერკავკასიაში იჭრებიან, ბიზანტიას უტყვენ, ხაზარებს და ჩერქეზებს ებრძვიან, შავ ზღვაზე დათარეშობენ, კავკასიის ქალაქებში ტყვე-მონებად ისყიდებიან, ბიზანტიაში ესახლებიან, ბიზანტიის იმპერატორის თუ სხვა დამქირავებელთა ლაშქარში შედიან. ასეთი ფაქტების გათვალისწინებისას ავტორს საფუძველი ჰქონდა მეტი და არსებითი ეთქვა. ეს ფაქტები არა მარტო რუსებისა და ქართველების ურთიერთ ნაცნობობას მოწმობს, არამედ ამ ნაცნობობის ხასიათზე და ც მიუთითებს. სამწუხაროდ, ავტორი ყურადღებას ამ მიმართულებით არ ამახვილებს, რაც ერთი ძირითადი ნაკლთაგანია ამ შრომისა (ამით არის, რომ ეს ნაშრომი არსებითად არ განსხვავდება მის წინამორბედთაგან).

სწორედ ამ თვალსაზრისის არქონებით აიხსნება ის გარემოება, რომ ავტორი აგრე ნდობით ეკიდება და ეთანხმება აკად. ვასილევსკის (გვ. 11). „აკად. ვასილევსკი საესებით მართალი უნდა იყოს, როცა ასოლიკის ცნობის გამო შენიშნავს, რომ 1001—2 წლებში ქართველებსა და რუსთა რაზმს შორის მომხდარი კონფლიქტი 989 წლის ამბებთან შეიძლება იყოს დაკავშირებულიო. ბიზანტიაში ქართულ რაზმებს ახალი ძალა გაუჩნდა მოქიშპედ და 989 წელს დამარცხებული ქართველები საკონფლიქტოდ განწყობილი იყვნენო“.

ჩვენი ავტორი, იგი რომ ურთიერთობის არა მხოლოდ ფაქტით, არამედ ამ ურთიერთობის ბუნებით, მისი ხასიათით იყოს დაინტერესებული,— უნდა შეეჭვებულიყო აკად. ვასილევსკის ნაგულისხმევ თეზის სისწორეში, საიდანაც მისი მსჯელობა გამომდინარეობს, რომ „ბიზანტიაში ქართულ რაზმებს ახალი ძალა გაუჩნდა მოქიშპედ“. მაინც და მაინც ი. ცინცაძეს უნდა



ცხადეყო თავისი დამოკიდებულება აკად. ვასილევსკის თეზასთან, რომ რუს-ვარანგები და ქართველები თითქო თანაბარი ხარისხის მოვლენას წარმოადგენდნენ ბიზანტიის ლაშქარში.

სხვა უფრო მცირე მნიშვნელობის შენიშვნებზე საუბრით ჩვენ თავს არ შეგაწყენთ (გვ. გვ. 13, 30—31). შევნიშნავთ მხოლოდ ერთს: ავტორი უნდა გასჯილიყო და ეუწყებინა მკითხველთათვის, რომ რუსი, ვარანგი, სკლავი, წყაროებში რომ სხვადასხვა სახელით გვხვდება და ზოგჯერ ერთი ავტორიც რომ სხვადასხვა სახელით იხსენიებს მათ, — რომ ყველა ესენი ერთი და იგივეა. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც მიღებული იყო დებულება ვარანგთა (რუსთა?) და სლავთა ეთნიკური სხვადასხვაობის შესახებ.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ჩვენი ავტორი თავის შრომაში ხალისით ეკიდება საკუთრივ საქართველოს ისტორიის საკითხებს და მათ გადაჭრას ცდილობს. თავისთავად აქ დასაძრახი არაფერია. პირიქით, სრულიად ბუნებრივია, რომ ორი ხალხის ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე მომუშავემ თითოეული ამ ხალხის წარსულის შესაფერისი საკითხები შეისწავლოს. სამწუხაროდ, სარეცენზიო ნაშრომი ამ მხრივ უნაკლო არ არის და ავტორის ისტორიული წიაღსვლები ხშირად სწორედ იმ საკითხების გაშუქებას არ ისახავს მიზნად, რომელთაც, სადაც სამართალია, უნდა შეეხებოდეს. ურთიერთობაზე საუბრობს ავტორი, ამ ურთიერთობის ფაქტებს დაადგენს, ვთქვათ, მეათე, მეთერთმეტე საუკუნისათვის. ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, რომ ამ ურთიერთობის ხასიათის ნათელსაყოფად ავტორი შეეხებოდა საკითხებს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ამ ურთიერთობის კონტრაგენტები (X—XI საუკუნეთა რუსეთი, X—XI საუკუნეთა საქართველო; რა ხასიათის მოვლენა იყო რუზიკთა მიერ ბარდავის აღება, ტმუტარაკანის სამეფო, ვარანგები ბიზანტიის ლაშქარში, ქართველები ბიზანტიაში და სხვ.). ი. ცინცაძე ასეთი საკითხებისათვის თავს არ იწუხებს და ხელში გვრჩება რუსეთის საქართველოს ურთიერთობა კი არა X—XI საუკუნეებში, არამედ რუსთა და ქართველთა შეხვედრის ფაქტები X—XI საუკუნეებში. ამავე დროს ჩვენი ავტორი 17 გვერდს უთმობს იმის შესახებ მსჯელობას, თუ ვის ეხმარებოდა ვარანგთა რაზმი XI საუკუნის შუაზღედ, ბაგრატ მეფეს, თუ მის წინააღმდეგ აჯანყებულ ლიპარიტს. ეს ფართე მსჯელობა რომ ავტორს იმ მიზნით ეწარმოებია, რათა შექი-რაიმე შეეტანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში, ასეთი შრომა გამართლებული იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ეტყობა, რომ ავტორს ამ შემთხვევაში ასეთი მიზანი ამოქმედებდა. ამიტომ ეს წიაღსვლა ავტორის ხელში უბრალო ცნობისმოყვარეობად და, მაშასადამე, გაუმართლებელ შრომად გამოიყურება. მაგრამ აღნიშნული ცოდვა, სამწუხაროდ, დამძიმებულია იმით, რომ აქ ავტორის მსჯელობა არსებითადაც მცდარია.

საქმე შემდეგშია. ქართულ წყაროში („მატიანე ქართლისაჲ“), იქ, სადაც საუბარია ბაგრატ მეფისა და ლიპარიტ ერისთავის შორის ბრძოლაზე (XI საუკუნის 40-იანი წლები), აღნიშნულია: „და იყუნეს თანადგომ (M თა-

ნადგომნი) ლიპარიტის კახნი ძალითა მათითა, და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა. განძლიერდეს იგინი ძალითა მათითა ამას (M-ამის) კერძოსა ქართლისას, და იყო მი-და-მო საუბარი გელოვნებისა (M-საურავი¹ გელოვნად).

და მოვიდეს ვარგნი (M-ვარანგნი) სამი ათასი (M-სამ ათასი) კაცი (M-და დააყენა შუას—B: ბაშს—გარედამოიტანა—B: გარდამოიტანა თანა შვიდასი კაცი) . (M, B უმატებენ: და), მოვიდა ბაგრატ შიდათ (M—შვიდასითა) ლაშქრითა და ამით ვარანგითა, მესხნი ველარა მოილოდინნეს. მივიდეს და შვიბნეს თავსა სასირეთის ქალისასა, გაიქცა შიდას (M-შივა, B-შიდა) ლაშქარი. და ომსა (M-ჰმისა) ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მისთანა; და (MB-ahest) ვერლარა უძღეს ბრძოლად (M-ბრძოლა, B-ბრძოლად) ვარანგთა ბრძოლად (M-ვარანგთა). (M-უმატებს:—და) მისცნა (M-მისცა) ლიპარიტ პაშტინი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ეგრეთ ლიხი (—ლიხნი) გარდავლეს.² თავდაპირველად უნდა ვუსაყვედუროთ ავტორს: როცა მარიამისა და ანასეული ნუსხები გვაქვს, მხოლოდ ბროსეს მიერ დაბეჭდილი ვარიანტი დაკმაყოფილება შეუძლებელია. ასეთი საყვედური მით უფრო მართებულია, რომ მოტანილი ტექსტი ი. ცინცაძეს და ზოგიერთ ვინმეს სხვადასხვანაირად ესმით. ამავე დროს ამ თხზულების მეცნიერული (კრიტიკულად დადგენილი) ტექსტი არ მოიპოვება. ასეთ პირობებში სხვადასხვა ნუსხების ტექსტუალური ჩვენებანი გადამწყვეტი მნიშვნელობისა შეიძლება აღმოჩნდეს.

მოტანილ ტექსტში ი. ცინცაძეს აინტერესებს, თუ ვის მხარეზე იბრძვიან „ვარანგები“. ჩვენი ავტორისათვის უდავოა, „რომ სამი ათასი ვარანგი ბაგრატ IV-თან მოვიდნენ (Sic., ნ. ბ.). ბაგრატს ისინი დაუბანაკებია ბაშს. ამათგან შვიდასი კაცი წაუყვანია ბაგრატს და თავის „შიდა ლაშქრისათვის შეუერთებია, მესხების შემოერთებას და მოსვლას ველარ დაელოდა ბაგრატი და შეება ლიპარიტს სასირეთის ქალის თავს. ბაგრატ მეფის ქართველთაგან შემდგარი ძირითადი რაზმი გაქცეულა, მარტო ვარანგებს ბრძოლა ვერ გაუგრძელებიათ და ბაგრატი დამარცხებულა“ (გვ. 18). ამრიგად, ჩვენი ავტორის აზრით ვარანგები ბაგრატის მხარეზე იბრძვიან (ამავე აზრის არიან ვახუშტი, მ. ჯანაშვილი). ამ ცნობის სისწორეში დაეჭვებულა ბიზანტიანისტი ვასილევსკი: ბერძნული წყაროების მიხედვით მოსალოდნელი იყო წინააღმდეგი. ვასილევსკის თხზულებათა გამომცემელთ ნ. მარისათვის მიუმართავთ თხოვნით, რათა მატთანე ქართლისაჲს ეს ადგილი, რომელსაც აკად. ვასილევსკი ბროსეს თარგმანით იცნობდა, შეემოწმებინა და ეთარგმნა. ნ. მარს ტექსტი არსებითად შეუსწორებია, თუმცა საამისო დასაბუთება არ წარმოუდგენია, და მიუღია, რომ ვარანგები არა ბაგრატის, არამედ ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ.

ი. ცინცაძე ამ პუნქტში მარს არ ეთანხმება და საკმაო საფუძვლიანობით ამტკიცებს, რომ ისტორიული მონაცემები (ქართული და ბერძნული წყა-

¹ აბზაცი ჩვენია.

² ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. გვ. 137. ვარიანტული ჩვენებანი ჩვენია. განკვეთილობის ნიშნები რედაქტორისეულია.



როები) არ იძლევიან იმის კატეგორიულად მტკიცების უფლებას, თითქო მას მოსული ვარანგები ლიპარიტის დამხმარე ის ჯარი იყო, ბერძენთა კეისარმა რომ მოაშველა მას ბაგრატის წინააღმდეგ (მაგრამ ჩვენი ავტორი ამით იმ გარემოებას მაინც ვერ უარჰყოფს, რომ აღნიშნული ისტორიული მონაცემები ასეთ ექვს საკმაო საფუძველს უქმნის).

ასეთ პირობებში, მსჯელობს ავტორი, „მატიანის ცნობა უნდა იქნეს გამოსავალ წერტილად მიჩნეული“. და ვინც არ უნდა წაიკითხოს მატიანის ეს ადგილი, — განაგრძობს ის, — არ შეიძლება მან ვარიანგები ლიპარიტის მხარეზე დაინახოს. საკმაო გარკვევით არის იქ ნათქვამი, რომ ვარიანგები ბაგრატის ლაშქარში იმყოფება“ (გვ. 22).

ი. ცინცაძის მსჯელობა იმ მხრით არის სწორი, რომ ასეთ პირობებში ჩვენი წყაროს „ცნობა უნდა იქნეს გამოსავალ წერტილად მიჩნეული“. მაგრამ საქმეც „მატიანის ამ ცნობის“ გაგება-დადგენაშია. აქ კი ჩვენი ავტორის პოზიცია სადავოა. მკვლევარი უნდა ცდილიყო ტექსტის კრიტიკულ დადგენას. ის კი ამისათვის თავს არ იწუხებს და უკრიტიკოდ იზიარებს ერთ-ერთ ვარიანტს. წყაროს ავტორისეული კრიტიკა, სამწუხაროდ, მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მან (ი. ცინცაძემ), დაუსაბუთებლად (და უმართებულად) უკუაგდო და არც კი მოიტანა ტექსტის ის ადგილი, რომელიც მას „სრულიად გაუგებარი და უადგილო“ ეჩვენა (25). ამავე დროს ისე ჩანს, რომ ხსენებული ადგილი სწორედ ვარანგებს შეეხება. ჩვენი ავტორი სამართლიანად უსაყვედურებს ნ. მარს ნებისმიერად, საკმაო დასაბუთების გარეშე, ტექსტის შესწორებას და ვერ ამჩნევს, რომ თითონაც ასევე სცოდავს, როცა სრულიად დაუსაბუთებლად უკუაგდებს ტექსტის იმ მონაცემს, რომელიც ნ. მარსისმიერი ოპერაციის ერთ-ერთ საფუძვლად გამოიყურება.

ჩვენ კი გვგონია, რომ ვარანგები ლიპარიტის მხარეზე იბრძვიან და ამის საფუძველია არა სხვა ისტორიული მონაცემები იმდენად, არამედ სწორედ ეს ტექსტი.

ი. ცინცაძის პოზიცია, ერთი შეხედვით, იმითაა ძლიერი, რომ ქცას სამივე ვარიანტი თანხმობით უჩვენებს „მოვიდა ბაგრატ შიდა ლაშქრითა და ამით ვარანგითა“ (უხეირო იქნებოდა ფორმა „ვარანგითა“: უნდა დაგვეშვა, რომ მწერალმა იხმარა *pars pro toto*). სამივე ვარიანტი მოწმობს, თითქო, რომ ვარანგები ბაგრატის მხარეზე იბრძვიან. მაგრამ ი. ცინცაძის პოზიციის სიმტკიცე ამაზე თავდება. როგორც ისტორიული მონაცემები, ისე ტექსტზე დაკვირვება თანხმობით იძლევა იმის საფუძველს, რომ მოტანილი ადგილი უნდა შესწორდეს.

1. უპირველეს ყოვლისა, ამ ტექსტიდან, როგორც ის ჩვენამდეა მოღწეული, პირდაპირ არც კი ჩანს, ვინ გაიმარჯვა სასირეთის ომში: ლიპარიტის გამარჯვებას აქ ბაგრატის დამარცხებით დავასკვნით მხოლოდ. არც ის ჩანს პირდაპირ; თუ ლიპარიტმა ვისი საშუალებით გაიმარჯვა. ისტორიკოსი ვახუშტი, როგორც ჩანს, ამ გარემოებას დაუფიქრებია. სიმნელის გადასალახავად ვახუშტი ლიპარიტის მხარეზე ამ ომში კახელებსა და სომხთარებს ვარაუდობს (ვახუშტი, საქ. ისტორია, ნაწ. I, ბაქრაძის რედაქციით, 1885 წ.)



გვ. 156—157). ტექსტი კი არ გულისხმობს, რომ კახნი და სომხითარნი ამ ომში უთუოდ მონაწილეობდნენ. კახთა და სომხითართა შესახებ, რომ ისინი „იყუნეს თანადგომ ლიპარიტისა“, ამ წყაროს ავტორს საუბარი აქვს ზემორე, ძალთა საერთო განწყობილების დახასიათებისას. სასირეთის ომში ამ მოკავშირეთა მონაწილეობას, ასეთ რასმე რომ ადგილი ჰქონოდა, ავტორი, საფიქრებელია, ამას პირდაპირ აღნიშნავდა, როგორც აღნიშნავს ხოლმე სხვა შემთხვევებში (ანასეული ქცა, 188).

წყაროში, ამრიგად, სასირეთის ომის მონაწილედ ჩანან მხოლოდ შიდა ლაშქარი და ვარანგნი. ისინი ბაგრატისანი არიან და მარცხდებიან. ვის მიერ? წყაროში ეს არ ჩანს. ამიტომ ბუნებრივია ტექსტის შესწორება ზე ფიქრი.

2. ი. ცინცაძე არ ეთანხმება ნ. მარს იმაში, რომ მესხნი აქ ჩვენ წყაროს ლიპარიტის მომხრედ ჰყავს ნაგულისხმევი (ტექსტი, როგორც ჰხედავთ, ისეა გამართული, რომ, თუ მესხნი ლიპარიტის მხარეზე იქნებიან ნავარაუდევნი, მაშინ ვარანგებიც ლიპარიტის მხარეზე უნდა ვიგულისხმოთ, და, მაშასადამე, ტექსტი უნდა შესწორდეს). ი. ცინცაძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ მესხები შეიძლება ბაგრატის მხარეზედაც ყოფილიყვნენ და მოტანილი ადგილიც შეიძლება ასეთებს გულისხმობდესო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ „მატ. ქართლისაჲს“ ავტორი, აქ მოტანილი ადგილის ზემორე, სწორედ იმ მესხებზე საუბრობს, მაწყვერელის მეთაურობით ბაგრატს რომ განუდგნენ და ლიპარიტს მიუვიდნენ. და როცა უშუალოდ ამის შემდეგ საუბრისას ჩვენი წყაროს ავტორი ლაპარაკობს: „მესხნი ველარა მოილოდინნესო“, მას, ბუნებრივია, მხედველობაში ჰყავს იგივე მესხები, ლიპარიტის მომხრენი. თუ ეს არა, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი განმარტავდა ამ სხვა მესხებს ბაგრატის მომხრეებად. ასე რომ მესხნი ლიპარიტის მომხრენი ჩანან. მაშასადამე, კანონიერი ფიქრი ტექსტის შესწორებაზე.

3. მოვიტანოთ ერთხელ კიდევ ტექსტი: და მოვიდეს ვარგნი (M—ვარანგნი) სამი ათასი (M—სამათასი) კაცი. (M—და დააყენა შუას—B—ბაშს. გარდამოიტანა—B: გარდამოიტანა თანა შვიდასი კაცი (MB უმატებენ—და) მოვიდა ბაგრატ შიდათ (M—შვიდასითა) ლაშქრითა და ამით ვარანგითა...

ი. ცინცაძე აქ ორ წინადადებას ჰხედავს. პირველის ქვემდებარე ვარანგნი, მეორესი—ბაგრატ. მაგრამ ეს მეორე წინადადება ასეთი სახით ყოველად უჩვეულო და უწიგნურია ქვემდებარის ადგილის თვალსაზრისით: „და დააყენა ბაშს გარდამოიტანა თანა შვიდასი კაცი მოვიდა ბაგრატ შიდას ლაშქართა და ამით ვარანგითა“ (ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ „ვარანგითა“ ასევე მოულოდნელია). მაგრამ უწიგნურობა უმაღლესაა, თუ „დააყენა“—„გარდამოიტანა“ შემასმენელთა ქვემდებარე ზემოთ იქნება ნაგულისხმევი. ზემოთ კი ასეთი ქვემდებარე მართლაც იგულისხმება—„ლიპარიტი“ (ანასეული ქცა, გვ. 187—15), რომელმაც „გამოიყვანა ახლად საბერძნეთით დემეტრე... განხეთქნა ამისა სამეფოსა კაცნი... რომელნიმე

წარუდგინა დემეტრეს... ითხოვა (თავისი შვილი ივანე) ბაგრატიან-
 გან, ნაცულად გაუშუა აბუსერი“. აი, ამანვე „დააყენა ბაშს (ვარანგები
 და) გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი“. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ში-
 ნაარსეულად შეუძლებელია: „მოვიდა ბაგრატი შიდა ლაშქრითა და ამით
 ვარანგითა“ იმიტომ, რომ ვარანგები ლიპარიტმა „გადმოიტანა“. და ტექ-
 სტიც უნდა შესწორდეს.

4. რას ნიშნავს გამოთქმა „ვერღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა“? იმას
 კი არა, თითქო ვარანგებმა ვერ შეძლეს ბრძოლა (როგორც ამას ი. ცინცაძე
 ფიქრობს), არამედ იმას, რომ „იმათ“ ვერ შეძლეს ვარანგებთან ბრძოლა ან
 უკეთ, რომ იმათ ვერ გაუძღეს ვარანგებთან ბრძოლას. ავტორს რომ იმისი
 თქმა სურებოდა, რასაც ი. ცინცაძე გულისხმობს, ის იტყოდა: „ვარანგთა
 ვერღარა უძღეს ბრძოლა“. ვინ ვერ შეძლო ვარანგებთან ბრძოლა, ვინ ვერ
 გაუძლო მათ ბრძოლას?—ვინც მათ შეება. საქმის ისე წარმოდგენა, თითქო
 ვარანგებს არ უბრძოლნიათ, შეუძლებელია. ამას უარყოფს გამოთქმა „ვერ-
 ღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა“.

რალა გამოდის? ბაგრატი შიდა ლაშქარი და ვარანგები მოიყვანა. შიდა
 ლაშქარი გაიქცა, დიდებულები ტყვედ ჩაუტყვიდნენ მტერს, ხოლო ვარანგებ-
 მა გაიმარჯვეს, ბაგრატი კი დამარცხდა (და აფხაზეთს გადავიდა). გაუგებ-
 რობა აშკარაა. მაშ ტექსტი უნდა შესწორდეს.

ესლა ერთის წუთით დავეთანხმით ი. ცინცაძეს და ვიგულისხმობთ, რომ
 „ვერღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა“ ნიშნავს, რომ ვარანგებმა ვერ შეძლეს
 ბრძოლა ლიპარიტის ჯართან, ე. ი. რომ ვარანგები დამარცხდნენ. მაშინ
 მართლაც ყოვლად გაუგებარი დარჩება, თუ რატომ მისცნა მათ ლიპარიტმა
 პაშტნი. და ჩვენ ან უნდა ი. ცინცაძესავით ტექსტს ჩამოვაცილოთ ეს ადგი-
 ლი (რა უფლებით??) ან უნდა ტექსტის შესწორებაზე ვიფი-
 ქროთ.

5. ტექსტის ისეთი ვაგებისას, როგორც ის ი. ცინცაძეს ესმის, მართლაც
 „სრულიად გაუგებარი და უადგილო ჩანს“ მისი ბოლო ნაწილი: „მისცნა ლი-
 პარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ვგრეთ ლიხი გარდა-
 ვლეს“. „შიდა ლაშქარი“ გაიქცა, აბუსერი და სხვანი დიდებულნი შეიპყრეს,
 მარტო ვარანგებმა ბრძოლა ვერ შეძლეს, ბაგრატი დამარცხდა, ლიპარიტმა
 გაიმარჯვა. ასეთ პირობებში გაუგებარია, ვის „მისცნა ლიპარიტ პაშტნი
 (კონტექსტით თითქო დამარცხებულ ვარანგებს...), ვინ ისინი (ვარანგები?)
 უკაზმიდეს პურსა და ვის იმათ,—და ვინ „გარდავლეს“ ლიხი...

მაგრამ საკმაოა ტექსტი შესწორდეს, რომ ეს „სრულიად გაუგებ-
 არი და უადგილო“ რამ ბუნებრივი და გასაგები გახდეს (სწორედ ეს გარე-
 მოებაა ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ ტექსტი უნდა შესწორ-
 დეს). ი. ცინცაძე რომ ამ ფაქტს ჩაფიქრებოდა, ის სულ სხვა დასკვნებს
 მიიღებდა.

ლიპარიტმა (ვარანგებით) დაამარცხა ბაგრატი (მისი „შიდა ლაშქარი“).
 ამ ომში შეიპყრეს აბუსერი და ბაგრატის სხვა დიდებულები. ლიპარიტმა
 ტყვე დიდებულები შეურაცხყოფელი სასჯელით დაამცირა: მისცა მათ ცხრი-

ლები (მისცა პაშტინ¹) და ფქვილი აცრევიანა (თუ ხორბალი აწმენდინა?) გამარჯვებული ვარანგებისათვის („და წინა მათრა პურსა უკაზმიდეს“).

ნ. მარი იწყნარებს B ქცას მონაცემს — „და ეგრეთ ლხინი გარდავლეს“ და სთარგმნის ასე: так потешились (победители). M ვერსიის მონაცემი — „და ეგრეთ ლხინი გარდავლეს“ — მას გადამწერის დამახინჯებად მიაჩნია და ურთავს: Случайно так называется одна горная цепь и потому чтение версии ц. Марии можно понять так: „так перешли через [гору] Лих. Труды В. Г. Васильевского, т. I, 316—п. 7. ეს კონიექტურა მისაღები არაა. ჯერ ერთი „ლხინი, გარდავლეს“ (потешились) უჩვეულოა და სათუო. ავტორი გრძნობს ამ გარემოებას და თავისი თარგმანის გამო შენიშნავს: Буквально по идиотизму грузинской речи: так перешли потеху“. მეორე, ნ. მარს შესაღარებლად ქცას M ვერსია ჰქონდა. დღეს ჩვენ ქცას A ვერსიაც მოგვეპოვება, რომელიც ამ ადგილში მხარს უჭერს M ვერსიას—ლხინი. რატომ უნდა მიენიჭოს უპირატესობა B ვერსიას?

მესამე, ასეთ პირობებში ამა თუ იმ წანაკითხის მეტი სანდოობა სხვა დამატებითი საფუძვლებით უნდა დამტკიცდეს. ნ. მარს საამისო რაიმე საბუთი არ მოაქვს. ჩვენ კი მისი მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეგვიძლია მოვიტანოთ: „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორმა ზემოთ აღნიშნა, რომ ლიპარიტმა სამი ათასი ვარანგი ბაშს დააბანაკა და მათი ერთი რაზმი,—შვიდასი კაცი-საგან შემდგარი, თან გადმოიყვანა ქართლში. მოსალოდნელი იყო, რომ მემატინე იმასაც გვაცნობებდა, თუ ომის დამთავრების შემდეგ რა მოუვიდა ვარანგების ამ რაზმს. და მართლაც, ამბის მომთხრობელი გვატყობინებს იმასაც, თუ საით წავიდნენ გამარჯვებული ვარანგები. როგორც მოსალოდნელი იყო, ვარანგებმა ლხინი (თუ ლხინი) გარდავლეს, ე. ი. უკან დაბრუნდნენ თავიანთ მეტომეებთან.

სურათი ნათელია და ისტორიულად სავსებით მისაღები. ამიტომ ჩვენ გვგონია ქცას A და M ვერსიების წაკითხვა—„და ეგრეთ ლხინი გარდავლეს“—სწორია, ხოლო ქცას B ვერსიის „ლხინი“, ნ. მარი რომ იწყნარებს, გადამწერის დამახინჯებაა: უნდა ყოფილიყო „ლხინი“ („ლხისი“ ძველი ფორმა).

როგორც ვხედავთ, „გაუგებარი და უადგილო“ აქ აღარაფერია: პირიქით, მოვიპოვეთ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა იმის შესახებ, თუ საით წავიდა გამარჯვების შემდეგ ვარანგთა რაზმი.

¹ მაგრამ შეიძლება სიტყვა პაშტინ სომხურ պաշտის, պაշտისიკის დეფიკატივით და პაშტი მისახურის შესატყვისად ვიცნოთ (თუ „მსახურს“ ასეთი შესატყვისი აღმოჩნდებოდა ქართულში, სულერთია, უშუალოდ ძველი სპარსულიდან შემოსული, თუ სომხურის მეშვეობით,—ეს მეტად საინტერესო ფაქტი იქნებოდა „მსახურის“ ცნების შინაარსის ევოლუციის გასათვალისწინებლად). მაშინ საქმე შემდგენიარად წარმოგვიდგება. ლიპარიტმა თავის მოკავშირე ვარანგებს მისცა მსახურები, რომელნიც მათ „პურს უკაზმიდეს“, ვიდრე გამარჯვებული ვარანგები ლხის გარდავიდნენ და თავისიანებს დაუბრუნდებოდნენ.

ასეთი გაგების წინააღმდეგ არსებითად არაფრის თქმა არ შეიძლება და ის უფრო ბუნებრივად გამოიყურება.

მაგრამ ყველაფერი ეს, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელი შეიქმნა იმიტომ, რომ გავიზიარეთ მოსაზრება ვარანგთა ლიბარიტის მხარეზე ყოფნის შესახებ სასირეთის ომში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სათანადო ტექსტი ისე უნდა შესწორდეს, როგორც ის ნ. მარმა შეასწორა: „ამით ვარანგთა“.

ი. ცინცაძე ტექსტის ასეთი შესწორებისათვის ერთ-ერთ დაბრკოლებას იმაში ჰხედავს, რომ ბაში „აფხაზეთში“ (—იმერეთში) იყო, ხოლო იქ ვარანგების „დასაყენებლად ლიბარიტს ხელი არ მიუწვდებოდაო. ეს დაბრკოლება მოჩვენებითია. ჩვენს ავტორს ავიწყდება საკუთარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მესხები შესაძლებელია ყოფილიყვნენ, და იყვნენ კიდევაც, მომხრენი როგორც ლიბარიტის, ისე ბაგრატის. და ასეთი დაყოფა მეფისა თუ ლიბარიტის მომხრეებად დამახასიათებელი იყო ამ დროს არა მხოლოდ სამცხისათვის, არამედ ასევე საქართველოს სხვა მხარეებისათვისაც. აკი წყაროს ავტორი სწორედ ამის ზემორევე აღნიშნავს, რომ ლიბარიტმა „განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი, რომელნიმე წარუდგინა დემეტრეს და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულობასა შინა“ (ანასეული ქცა, 187). ვინა სთქვა და სად, რომ ლიბარიტ-დემეტრეს დას. საქართველოში („აფხაზეთში“) მომხრენი არა ჰყოლიათ? აკი ზემოთ მემატინე პირდაპირ მიუთითებს კიდევაც (ანასეული ქცა, 183, 184), რომ ანაკოფიის ციხეში მყოფი დემეტრეს გამეფება „გულს ეღვა“ არა ერთ აზნაურს. დასაშვებია განა, რომ დემეტრეს მომხრე ეს აზნაურები ყველა აღმოსავლეთ საქართველოდან იყვნენ?

არც ის დაბრკოლებაა გარდაუღსაველი, ი. ცინცაძე რომ აღნიშნავს მარის მიერ შესწორებული ტექსტის გამო: „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვარანგთა 700 კაცისაგან შემდგარი რაზმი თვით არის ბრძოლის თადარიგის ინიციატორი, ლიბარითი არსად ჩანს, ვარანგები წყვეტენ საკითხს, მესხებს დაელოდონ თუ არა. ვინ მისცა ვარანგებს ამის უფლება“ (გვ. 29).

წყაროს მიხედვით აქ არც ინიციატივის საკითხია დასასმელი და არც უფლებისა. მარის მიერ შესწორებულ ტექსტში ვკითხულობთ: „და ამით ვარანგთა მესხნი ევლარა მოილოდინნეს“ და არ სწერია „მესხნი არღარა მოილოდინნეს“. ე. ი. ლიბარიტის მიერ მოყვანილი ვარანგები იძულებული იყვნენ შეზომოდნენ ბაგრატის შიდა-ლაშქარს, რომელიც ბაშიდან მოსულ ვარანგებს თავს წამოადგა. (თუმცა ესეც რომ არ იყოს და „ველარა მოილოდინნეს“ ნაკვლად „არღარა მოილოდინნეს“ ეწეროს, მაშინაც კი უცნაური არაფერი იქნებოდა: ვარანგების ამ „ინიციატივიდან“ ლიბარიტის მეთავეობა გამორიცხულად მაინც არ იქნებოდა საგულისხმებელი).

ი. ცინცაძე ძირითადად იზიარებს ვასილევსკის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვარანგთა რაზმი, რომელიც „თავდაპირველად დემეტრეს და ლიბარიტს გამოჰყვა,—შემდეგ ბაგრატმა გადაიმხრო“ (31).

ყველა იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, სპეციალური საუბარი ავტორის ამ მოსაზრების შესახებ ჩვენ აღარ დაგვიძირდება, რადგან ვარანგები

ბაგრატს არც თავისით მისვლიან და ისინი მას არც გად-
მოუბიძრებია ¹.

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ი. ცინცაძე არ ეთანხმება ვასილევსკის,
თითქო „ბერძენთა მეფისა ლაშქარი“ და ბაშს დაყენებული სამი ათასი „ვა-
რანგი“ ერთი და იგივე იყოს. აქ ჩვენი ავტორი უსაბუთო არ ჩანს. ვარანგთა

¹ საბოლოოდ ამ საკამათო ტექსტის ისტორია ჩვენ შემდგენარად წარმოგვიდგება. თავ-
დაპირველად ტექსტი ასეთი იყო:

„და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა ბაშს; გარდმოიტანა თანა შვიდა-
სი კაცი, და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა, და ამათ ვარანგთა შესხნი ველარა მიილო-
დინნეს, მივიდეს და შეებნეს თავსა სასირეთის ქალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი და ომსა
ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მისთანა: ვერლარა უძლეს ბრძოლად ვა-
რანგთა; მისცნა ლიპარიტ პასუხი და წინა მათსა პურსა უჯახმიდეს და ეგრეთ ლიხნი გარდა-
ვილეს“. ერთ-ერთი უძველესი ნუსხის გადამწერმა „ამათ ვარანგთა“ ნაცვლად დასწერა „ამით
ვარანგთა“, ასეთი შეცდომა შეძლებოდა სამი მიზეზის გამო: 1. მატინაე ქართლისსა, გვაქვს სა-
ბუთი ვიფიქროთ, ნუსხა სუტურით იყო დაწერილი. ასეთ პირობებში ადვილწარმოსადგენია,
რომ პატივ ქვეშ მყოფი, შესაძლებელი, სიტყვები: ამ თ ვ რ ა ნ გ თ ა გადამწერმა გახსნა „ამით
ვარანგთა“. 2. და ეს იმიტომ, რომ, მისი ახით, ვოანგები ბაგრატს შველოდნენ, ხოლო ასეთ
გაგებას ხელი შეუწყო, უნდა ვიფიქროთ, იმ გარემოებამ, რომ ის, ვინც ვარანგები „დააყენა“
და ვინც მათგან შვიდასი კაცი „გადმოიტანა“ (ე. ი. ქვემდებარე „ლიპარიტი“) მეტად შორსაა
აქედან დასახლებული. 3. ამასვე, უნდა ვიფიქროთ, ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ, თუ
განსაკუთრებით არ ჩაუკვირდებით, ადამიანს ადვილად ეჩვენება თითქო ლიპარიტი შეყრილი
ლაშქრით (ბერძენთა ძალით, სომეხთა მეფის ძალით და კახელებით) მხადა დგას და ბაგრატ-
თან ომს ელოდება, თითქო ამ დროს მოვიდნენ ვარანგნი, რომელთა დახმარებით ბაგრატი
შეება მას. ნამდვილად კი ეს ასე არაა. ის, რაც ზემორეა მოთხრობილი, ამახედ წინ მომხდარი
ამბავია. ავტორი აქ გვაძინებს საერთო სიტუაციას...

რაკი გადამწერმა ასეთი შეცდომა დაუშვა, შეიქმნა სრულიად ახალი კონიექტურა, რომ-
ლის გამართვა თავს იძვეს შემდგომმა გადამწერებმა თუ რადაქტორებმა. ჯერ კიდევ ანა-
სტული ნუსხის გადამწერი შეეცადა (ქვეცნობიერად?) შეესწორებინა ერთი შეუსაბამობა. ძველ
ტექსტში ეწერა „ვერლარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“—(ე. ი. „იმით“ ვერ შესძლეს ვარან-
გებთან ბრძოლა). გადამწერმა—კავშირი და-ს წინდართვით ეს წინადადება უშუალოდ დაუ-
კავშირა ბაგრატის შიდა ლაშქრის დამარცხებას და მის დიდებულთა დატყვევებას, ხოლო ამა-
ვე წინადადების ბოლოს სიტყვა „ბრძოლად“ გამეორებით (და ვერლარა უძლეს ბრძოლად ვა-
რანგთა „ბ რ ძ ო ლ ა დ“) გადამწერმა (ქვეცნობიერად?) გამოამჟღავნა, რომ ის ამ წინადადების
აზრს არ ეთანხმება, თუმცა ტექსტი გადატრიათ ისე მაინც ვერ შეეცადა, როგორც, უნდა ვი-
ფიქროთ, მას ესმოდა: რომ ვარანგებმა ვერ უძლეს ბრძოლა იმათ წინააღმდეგ: ამას მოით-
ხოვდა მიღებული კონიექტურა, რომ ვარანგები ბაგრატის მხარეს იბრძოდნენ. (ი. ცინცაძის
გაგება, რომ ვარანგებს ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუ თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში
მცდარია). რედაქტორის შემდგომი საფიქურია ჯანაშვილისეული ნუსხა. სწავლულ კაცთა კო-
მისიამ ტექსტი კიდევ უფრო არსებითად შეასწორა.—„და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი
და დააყენა ბაშს გარდადმოიტანა თანა შვიდასი კაცი მოვიდა ბაგრატ შიდას ლაშქრითა და
ამით ვარანგთა“, უწიგზურად რომ გამოიყურებოდა (უკეთუ ბაგრატი იყო ის, ვინც დააყენ-
და ვარანგები ბაშს და ვინც გ ა რ დ ა მ ო ი ტ ა ნ ა თანა შვიდასი კაცი), კომისიამ წიგნიერად
შეცვალა. „მაშინ მოერთნეს მეფესა ბაგრატს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა ბაშს და
გადრამოიტანა მეფემან თანა შვიდასი კაცი და მოვიდა შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგი-
თა“. აქ უკვე, როგორც ვხედავთ, ნათელია, თუ ვის მოუვიდნენ ვარანგები, ვინ დააყენა ისინი
ბაშს, ვინ გადმოიტანა შვიდასი კაცი. მართალია, კომისიას ამას ქვემოთ დარჩა რამოდენიმე
ბნელი ადგილი: მან არ აღნიშნა გარკვევით, თუ ვის შეება ბაგრატი შიდა ლაშქრით და ვარან-
გებით. კომისია ლიპარიტის მხარეზე, შექველია, ბერძენთა ძალას, კახელებსა და სომხთა-

და ქართველთა ურთიერთობის საკითხის შესწავლისათვის ხსენებულ დეტალის კატეგორიულად გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამდენადვე სამწუხაროა, რომ ი. ცინცაძე აქ უფრო მეტის საბუთიანობით ვერ წარმოდგა და წყაროების ჩვენებანი ამოწურვით ვერ გამოიყენა. „აფხაზეთში“ (—დას. საქართველოში) სამი ათასი ვარანგი მოვიდა. რატომ აფხაზეთს მოვიდა? საიდან მოვიდა? ზღვით მოვიდა თუ ხმელთა? რატომ დააყენეს ბაშს? საფიქრებელი ხდება, რომ ისინი ზღვით მოვიდნენ: სანაოსნო პუნქტში—ბაშს—დააყენეს; რატომ მხოლოდ 700 კაცი მოიხმარიეს ომში და არა ყველა სამი ათასი? საფიქრებელი ხდება, რომ ამისათვის მათი დაქირავება იყო საჭირო. ამასთან ხომ არ არის კავშირში მათიანე ქართლისა-ს ავტორის ცნობა იმის შესახებ, რომ „ბერძენთა მეფისა განძი—შემწე იყო“ ლიპარიტიისა? (რატომ ალარსად იხსენიებ-

რებს ვარაუდობს, მაგრამ რედაქტორებს შეშვენილათ აჩუც, მეტი გარკვეულობისათვის, დავსახელებინათ ისინი, როგორც ეს ჩაიღინა ამ ტექსტის უკანასკნელმა რედაქტორმა ვახუშტომ (იხ. ქვემოთ). სამწუხაროდ, ჯანაშვილისეული ნუსხა ამ ადგილას ნაკლულია და ჩვენთვის საინტერესო ტექსტს ბოლო აკლია. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ გაართვა თავი კომისიამ. ამ უკანასკნელ სიძნელეს, ცნობის ბოლოზე რომ გვხვდება—„მისცა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკახშიდეს და გვრეთ ლიხი გარდავლეს“. რედაქციის უკანასკნელი საფეხურია ვახუშტი. ეს მეცნიერი იწინაურებს ვახტანგის კომისიის მეთოდს და ტექსტს გამართავს ისე, როგორც ეს მას ესმის. ამას ის აკეთებს უფრო გაბედულად და თანმიმდევრულად, ვიდრე სწავლულ კაცთა კომისია.

ისევე, როგორც სწავლულ კაცთა კომისიის რედაქციით, ვახუშტითაც „ბაგრატს მოერთენენ სამი ათასი ვარანგი“. ამის შემდეგ ვახუშტი, სხვებისაგან განსხვავებით, არ აღნიშნავს, რომ მეფემ ისინი ბაშს დააყენა, მაგრამ, რომ ასეთი ცნობა მას ნებისად გამოუტოვებია, იქიდან ჩანს, რომ „მოიკვანა (და არა ვარდამოიტანა!) მეფემან შვიდასი მათგანი“. შემდეგ ვახუშტი, ასევე სხვებისაგან განსხვავებით, „შიდათ ლაშქარისა“ მაგივრად წერს „შიდა ქართველნი“, რაც ამ მეცნიერის კომენტარს წარმოადგენს (თავისთავად „შიდა ლაშქარი“ სრულიად არ ნიშნავს მანიცა და მანც „შიდა ქართველს“, ის ასევე შეიძლება „აფხაზეთის“ ე. ი. ლიხთ იქითის ლაშქარს ნიშნავდეს. უდრ. ანასეული ქვა 212, სადაც „შიდი თა სპითა“ ნიშნავს ლიხთიმერთის სპას..). ასევე მეტი გარკვეულობა შეაქვს ტექსტში მეცნიერ ისტორიკოსს, როცა არც მთლად ნათელ „მესხნი ვერღარა მოილოდინეს“ (ვინ ვერ მოილოდინა?) ნაცვლად გარკვევითა წერს: „მეფემან... მესხნი ვერღარა მოიცადა“. ასევე, ისტორიული თხრობის გარკვეულობისათვის მეცნიერი რედაქტორი ურთავს ტექსტში იმ წინადადებას, რომელიც მისი აზრით (ისევე როგორც სხვა რედაქტორების აზრითაც) აქ იკლუდის: „და ლიპარიტცა მოვიდა კახით და სომეხთა მეფით დავითით“. ესლა სრულიად ნათელია ვინ ვის შეება სასირეთის „ჰალასა შინა“. ამის შემდეგ ვახუშტი მოკლედ აღნიშნავს „იძლიენეს ბაგრატისანი“ (ნაცვლად წყაროსეული „გაიქცა შიდა ლაშქარი“) და შეიპყრეს კჳლად აბუხერი და სხვანი დიდებულნიცა—და აქ მეცნიერი რედაქტორი კიდევ ერთხელ აქტიურად ასწორებს ტექსტს: „და ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა“ (ნაცვლად წყაროსეულ „ვერღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა“), მაგრამ რას ნიშნავს „და ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა“? იმას, რომ ლიპარიტმა და მისმა მომხრეებმა, რომელთაც გაიმარჯვეს ბაგრატზე და „შეიპყრეს კჳლად აბუხერი და სხვანი დიდებულნიცა“, აი ამათ „ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა“. რატომ ვერ „უყვეს ბრძოლა“, ვახუშტი არა ხსნის, მაგრამ ტექსტის ასეთი გაგება მას შევლის სიძნელედ გადალახოს, თუ რატომ მისცა ლიპარიტმა პაშტნი ვარანგებს: ვარანგები, მართალია ბაგრატს ახლდნენ, მაგრამ ომში მონაწილეობა არ მიუღიათ. ბაგრატის ჯარის ქართული ნიჭილის დამარცხების შემდეგ ლიპარიტის ჯარი ვარანგებს უნდა შეებოდა, მაგრამ „ვერღარა

ბიან ეს ვარანგნი მას შემდეგ, რაც სასირეთის ომი მოიგეს და უკანვე „ლი-
 ხი გარდავლეს“? (გამოდის, რომ „ვარანგნი“, თუ ისინი მატიაზე ქართლი-
 სახს იგივე „ბერძენნი“ არ არიან,—და ი. ცინცაძე ამტკიცებს, რომ არ არიან,
 —საქართველოდან უკანვე წასულან). საით უნდა წასულიყვნენ ვარანგები,
 თუ ისინი მართლაც წავიდნენ? (საფიქრებელია, რომ ეს ვარანგები ბიზანტიაში
 არ დაბრუნებულან, თუნდაც რომ იქიდან მოსული ყოფილიყვნენ: ბერძნული
 წყაროები ასეთ მოსაზრებას უჭერენ მხარს).

ხოლო, თუ ვასილევსკი მართალია და დემეტრე-ლიპარიტის დასახმა-
 რებლად გამოგზავნილი ლაშქარი ბერძენთა მეფისა იგივე ვარანგებია (ე. ი.
 თუ მატიაზე ქართლისაჲ ტერმინებს—„ბერძენთა მეფისა ლაშქარი“—187,
 „ვარანგნი“—187 და „ბერძენნი“—188 ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად
 ურთიერთის შესატყვისობით ხმარობს), მაშინ მთელი რიგი სხვა ისტორიუ-
 ლი საკითხებისა იჩენს თავს, როგორც საქართველოს საშინაო თუ საგარეო
 (ბიზანტია) ურთიერთობიდან, ისე, კერძოდ, ქართველებისა და ვარანგების
 ურთიერთობიდან (ამ შემთხვევაში, მაგალითად, იძლეული ვიქნებოდით
 გვევარაუდნა, რომ ვარანგები მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში
 ბანაკობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის შინაურ პოლი-
 ტიკურ ცხოვრებაში...).

სამწუხაროა, რომ ი. ცინცაძე ვარანგ-ქართველთა ურთი-
 ერთ ნაცნობობის ფაქტის აღნიშვნით კმაყოფილდება და ამ
 მოვლენის დაღრმავებით შესწავლის მიზნით ფაქტისათვის
 ფიქრი არ მიუდევნებია.

შემდეგ ავტორი აკვირდება სხვა ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს და
 მართებულად განმარტავს, რომ ათონის მონასტრის სულთა მატიაზეში მოხ-
 სენებული იოანე რუსყოფილი არ არის ჩამომავლობით რუსი, როგორც ეს
 მოსე ჯანაშვილს და ებისკოპოს კირიონს ეგონათ (35—38).

აქვე უნდა შევნიშნოთ: თუ ბიზანტია რუსთა და ქართველთა შეხვედ-

უყვეს ბრძოლა“ და ლიპარიტმა საშიში ვარანგები მშვიდობით გაისტუმრა: „მისცა პაშტანი,
 მათ გარდავლეს ეგრეთვე ლიხი“. უნდა ითქვას, რომ ვახუშტიმ არსებულს პირობებში, რო-
 გორც რედაქტორმა, საუკეთესო გამოსავალი ნახა, თუმცა ამისათვის მას დასჭირდა ტექსტში
 არსებითი ხასიათის შესწორების შეტანა: „უძლეეს“ ნაცვლად „უყვეს“. წყაროსეული „გერ-
 დარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა ნიშნავს, რომ „ისინი“ შეებნენ ვარანგებს და
 დამარცხდნენ, ხოლო ვახუშტისეული „და ვარანგთა გერდარა უყვეს ბრძოლა ნიშნავს,
 „ისინი“ ვერ შეებნენ ვარანგებს, რომ საქმე ვარანგებსა და „იმათ“ შორის მშვი-
 დობით დამთავრდა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვახუშტის სხვა გამოსავალი არ ჰქონდა იმის
 ასახსნელად, თუ რატომ მისცა ლიპარიტმა ბაგრატიის მხარეზე მყოფ ვარანგებს პაშტნი: (და
 ვარანგთა გერდარა უყვეს ბრძოლა“—ჩვენ არ ვფიქრობთ ვახუშტის ისე ესმოდეს, თითქო ვა-
 რანგებმა ვერლარა შეუძლეს ბრძოლა ლიპარიტის ლაშქართან. ამის თქმა რომ სურვებოდა, ვა-
 ხუშტი დაწერდა „და ვარანგთა გერდარა ყვეს ბრძოლა“ და მეორეც; მაშინ აუხსნელი დარ-
 ჩებოდა ლიპარიტის მიერ პაშტის მიცემა ვარანგებისათვის).

რის მარჯვე ადგილი იყო (და ეს მართლაც ასე იყო), ათონის მთა, როგორც შეხვედრის ადგილი რუს და ქართველ მონაზვნებისა, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა არის სავარაუდებელი. უნდა ვიცოდეთ მხოლოდ, და ეს უნდა ეჩვენებინა ჩვენს ავტორს, თუ რა დროიდანაა ბიზანტიაში და, კერძოდ, ათონზე რუსი მონაზვნების მოღვაწეობა დადასტურებული.

ამ პირველი თავის დასასრულს ი. ცინცაძე აკვირდება ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნ ლიტერატურას (42—52), საიდანაც მართლაც ჩანს, რომ ქართველი საზოგადოება ამ ლიტერატურის გზით ასე¹ თუ ისე იცნობდა „სკლავებს“, მაგრამ ესენი, როგორც სწორად შენიშნავს ჩვენი ავტორი, პალკანეთის სლავები არიან (50) და, მაშ, შრომის ამ ნაწილს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან საერთო არაფერი აქვს.

ნაშრომის მეორე თავია: „კიევის სამთავროს ურთიერთობა საქართველოსთან XII საუკუნეში და რუსი უფლისწული საქართველოში“. ის შეიცავს 122 გვერდს და მისი ორი მესამედი საქართველოში რუსი უფლისწულის შემოყვანასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ საკითხებს უჭირავს, როგორცაა: რუსი უფლისწულის შემოყვანის საკითხი, რუსი უფლისწული და ქართული პოლიტიკური დასები, „მეფე-ქმარის“ საკითხი საქართველოში, რუსი უფლისწულის გაძევებისა და მისი კვლავ შემოყვანის საკითხი სამეფო კარის გარშემო პოლიტიკური ბრძოლის სინათლეზე და სხვ.

XII საუკუნის საქართველოს ამ უაღრესად საინტერესო შინა-პოლიტიკურ საკითხებს არავითარი კავშირი არა აქვთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან და ამ თვალსაზრისით აქ ისინი ზედმეტი ჩანან. ეს მსჯელობა, მას 80 გვერდი უჭირავს, საქმისათვის უზიანოდ შეეძლო გამოეშვა ავტორს: ნაშრომი ამით არა თუ არაფერს დაკარგავდა, მოიგებდა კიდევაც: ზედმეტ სიმძიმესთან ერთად ავტორი თავის ნაშრომს იმ შეცდომებისაგანაც განტვირთავდა, ამ ფრიად რთული და სპეციალური საკითხების შესახებ მსჯელობისას რომ მოსვლია მას.

ჩვენ შეგვეძლო ასეთი შენიშვნით გვერდი აგვევლო ნაშრომის ამ ნაწილისათვის და სხვა, საკუთრივ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხებისათვის დაგვეთმო გულისყური, მაგრამ ამ ნაშრომის სრულად შეფასების თვალსაზრისით ეს ხერხი მართებული არ იქნებოდა: ჩვენი ავტორი თავისი ნაშრომის მეტად მოზრდილ ნაწილს სწორედ ასეთი საკითხების განხილვას უთმობს და ჩვენ მის ამ შრომაზე ასე თუ ისე სრული წარმოდგენა არ გვექნებოდა, თუ ამ, ჩვენი აზრით ზედმეტს, საკითხებსაც არ განვიხილავდით და აქ ავტორის მეცნიერულ წარმატება-წარუმატებლობას არ შევაფასებდით.

იწყებს ი. ცინცაძე რუსი უფლისწულის თამარის საქმროდ მოყვანის საკითხიდან. ის აკვირდება საამისო ქართულ წყაროებს და ცდილობს ალაღვინოს სურათი, თუ როგორ შეაჩრჩის თამარის საქმროდ რუსი უფლისწული და როგორ მოავგარეს მისი საქართველოში შემოყვანის საქმე.

ი. ცინცაძე მართალია, როცა ფიქრობს, რომ რუსი უფლისწულის მოწვევის ინიციატივა საერო ფეოდალების („ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი“—ბასილი ეზოსმოდლუარი, 16) საქმე იყო, ცდება, ოღონდ, იმაში, რომ ჰგონია, თითქო რუსი უფლისწულის მოწვევის საკითხი „საეკლესიო კრებაზე გადაწყდა“ (55—58). და „ეს გადაწყვეტილება რუსუდან დედოფალს აცნობეს“ (58). ჩვენს ავტორს არ მოჰგონებია, ჩანს, რომ საეკლესიო კრებაზე საერო პირებს მონაწილეობა არ შეეძლოთ. ამდენადვე საეკლესიო კრების საგანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის საკითხი, რომლის მოსაგვარებლად „ზოგად ილუაწეს“ (ბ. ე—მ. 16) საერო და საეკლესიო პირებმა.

წყაროს ჩვენებით საქმე ასე წარმოიდგინება. საერო დიდებულთა თათბირი გაიმართა. მეფე-ქალისათვის საქმროს შერჩევის საკითხი იდგა. აქ (რა თქმა უნდა, სხვათა შორის) ქართლისა და თბილისის ამირა აბულასანის წინადადება მოისმინეს. მოიწონეს, რომ რუსი უფლისწული „გასანახავად“ და „განსაცადად“ საქართველოში შემოიყვანონ. მაგრამ, როგორც ჩანს, საერო დიდებულთა ასეთი სურვილი საქმაო არ იყო და საქმის გადასაწყვეტად და მის სისრულეში მოსაყვანად „სპასალარ-ერისთავებს“ საჭიროდ მიაჩნდათ საეკლესიო მოღვაწეთა დახმარება. სწორედ ამ დროს თამარის მოწვევით საეკლესიო კრება მიმდინარეობდა. ის იყო ეს კრება დასრულდა („ალიესებოდა რა კრება“), რომ საერო დიდებულები („ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი“) მოვიდნენ და საეკლესიო კრების წევრთ მონაწილეობის მიღება სთხოვეს თამარისათვის საქმროს შემოყვანის საქმის მოგვარებაში („მოაქსენეს მამათა, რათა ზოგად ილუაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისათვის“ ბ. ე—მ. 16). საფიქრებელია, თავიანთი ნათათბირევი საერო დიდებულებმა გააცნეს ეკლესიის მამებს. და თუ აქ თათბირი რაიმე მოხდა („რომელი ყუესცა“ ბ. ე—მ. 16), ეს უკვე საეკლესიო კრება, რა თქმა უნდა, აღარ იყო. მაგრამ საკითხი საბოლოოდ არც აქ გადაწყვეტილა. საერო და საეკლესიო ხელისუფალნი ამის შემდეგ რუსუდანთან წავიდნენ და საქმე საბოლოოდ აქ გადაწყდა და სხვაგან არც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო („შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ“ ბ. ე—მ. 16).

ი. ცინცაძე მართებულად იტყვება, როცა საქართველოს შინა-პოლიტიკურ მოვლენებთან კავშირში ცდილობს განიხილოს რუსი უფლისწულის თამარის საქმროდ შერჩევის საკითხი. სამწუხაროა, მხოლოდ, რომ მას ამასთან დაკავშირებით არ აგონდება ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან სხვა ავტორი, რომელიც ამავე საკითხს ასეთივე თვალსაზრისით აშუქებს (პ. ინგოროყვა, რუსთველიანი, 168—171).

ჩვენი ავტორი აკვირდება ბასილი ეზოსმოდლუარის (თამარის მეორე ისტორიკოსი) გამონათქვამს, სადაც აღნიშნულია რუსი უფლისწულის შერჩევის ერთ-ერთი მოტივი: „წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათვის მათ ნათესავთასა“ (ბ. ე—მ. 16) და ამის გამო აცხადებს: „და სწორედ საეკლესიო კრების დადგენილების კვალი



ამჩნევია... მოცემულ წინადადებასო“ (60). ასეთი მოსაზრება ავტორს უჩნდება იმ შეცდომის გამო, რომ მისი აზრით „საეკლესიო კრებას დიდებულთა კანდიდატურა დაუმტკიცებია“ (იქვე). არაფერი „საეკლესიო კრების დადგენილების“ სპეციფიკური „კვალი“ აქ არ ჩანს. ჩანს მხოლოდ, რომ მსჯელობის დროს (არა „საეკლესიო კრებაზე“, არამედ საერო და საეკლესიო ხელისუფალთა თათბირზე რუსუდან დედოფლის „წინაშე“) რუსი უფლისწულის მართლმადიდებლობა ის მიმე არგუმენტი ყოფილა, რომლის წყალობით მის მომხრეებს გაუმარჯვნიათ. ჩანს, თამარის საქმროები სხვებიც იყვნენ, რომელთა შესახებ მსჯელობდნენ, მაგრამ მათ ეს სათნოება (მართლმადიდებლობა) ჰკლებიათ. საქმე ისე უნდა წარმოედგინოთ, რომ რუსი უფლისწულის მომხრეებს მეტისმეტად გაუზვიადებიათ ეს არგუმენტი, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში არც აგრე დიდი იყო, რამდენადაც საქართველოს მეფის ქმარი *eo ipso* ქრისტიანი და მართლმადიდებელი უნდა ყოფილიყო. ასე რომ რუსი უფლისწული სხვა სასიძოვებს აჯობებდა *ceteris paribus*. აქი არაა ამ არჩევით კმაყოფილი ბასილი ეზოსმოდვარი და საყვედურობს კიდევაც, რომ ამ ნიშანს (მართლმადიდებლობას) აგრე გადამწყვეტი მნიშვნელობა მიაჩნებს: „და ეს ვერა კეთილად განაგეს“ (ბ. ე—მ. 16).

ჩვენი ავტორი აკვირდება, რომელი სოციალური ფენები უჭერდნენ მხარს რუსი უფლისწულის საქართველოში შემოყვანას და ასახელებს „დიდგვარიან და გავლენიან აზნაურებს“ (63). ეს სადაო არა ჩანს. თუ „დიდგვარიან და გავლენიან აზნაურებში“ ძირძველ აზნაურთა იმ ნაწილს ვიგულისხმებდით, რომელიც ამ დროს სამეფო კარზე და ქვეყანაში წარმატებით იბრძოდა მეფის ხელისუფლების ცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ. ი. ცინცაძე ბუნებრივად აკვირდება აბულასანს, რათა მისი სოციალური ვინაობა გაარკვიოს (62). როგორც ცნობილია, აბულასანი რუსი უფლისწულის საქართველოში შემოყვანის ინიციატორი იყო. ამდენადვე ჩვენი ავტორის ცდა მართებულია. ოღონდ არა საკმაო სიღრმისა ჩანს მისი საამისო მსჯელობა („თავადი“, „მკვიდრი“, „ამირა ქართლისა და ტფილისისა, ლურჯი მონასტრის წარწერა“...). სამწუხაროდ, არც საამისო სამეცნიერო ლიტერატურა აქვს ავტორს გათვალისწინებული (რუსთველიანა, 172—174). ი. ცინცაძის დასკვნა, რომ აბულასანი დიდგვარიანი აზნაურია, როგორც ჩანს, სწორია, მაგრამ მისი საამისო არგუმენტაცია ნაკლულია.

შემდეგ, რუსი უფლისწულის საქართველოში შემოყვანის მომხრედ ი. ცინცაძე სამართლიანად ვარაუდობს გარკვეულ ჯგუფს საეკლესიო მოღვაწეებისას მიქაელ კათალიკოზის მოთავეობით. ავტორი მხოლოდ იმაში ცდებდა, რომ ჰგონია, თითქო მიქაელ კათალიკოზის გამარჯვება საეკლესიო კრებაზე მორალურადაც სრული იყო, ე. ი. თითქო საეკლესიო კრების უმრავლესობა მიქაელის მომხრე იყო. ასეთი დასკვნა ჩვენს ავტორს იქიდან გამოაქვს, რომ მეფის პოლიტიკის მომხრეებმა მიქაელი „ვერა განაყენეს“, „დალაცათუ ფრიდ ილუაწეს“. მეორეგან ჩვენი ავტორი ტექსტის აშკარა ჩვენების წინააღმდეგ ამბობს: „კრებამ (*sic*) არ ინება მიქაელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ“ (101). წყარო კი აღნიშნავს,



რომ კრებამ კი არა, „წინამძღვართა კრებისათა ნიკოლაოზ და ანტონი... არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგრ ქართლისა კათალიკოზი“—ო. (ბ. ე—მ., 15—16).

საერთოდ, უნდა ითქვას, მიქაელის „გამარჯვება“ ხსენებულ კრებაზე არც ასე უკომპრომისო იყო, როგორც ეს ი. ცინცაძეს ჰგონია, და თუ მან მაინც „გამარჯვება“ („ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად ილუაწეს“), არა იმიტომ, რომ საეკლესიო მოღვაწეთა უმრავლესობა მისი მომხრე იყო,—პირ იქით, მასავით „წინაუკმო“ და, უნდა ვიფიქროთ, მისი მომხრე არა ერთი ფაისკოპოზი („სხვა ვინმე ებისკოპოზნი“) „შეცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს“ (ბ. ე—მ. 16), არამედ ვერ განაყენეს იმიტომ, საფიქრებელი ხდება, რომ დიდგვარიან მირიანისძეთა სახლის შვილი მიქაელ ქართლისა კათალიკოზი დიდი მხარის დაქვრით სარგებლობდა დიდგვარიანთა მხრით და ამავე დროს ის არც ისე „წინაუკმო იყო წესთაგან ეკლესიისათა“, როგორც ეს სურს წარმოგვიდგინოს მისმა მოწინააღმდეგე დასმა (მხედველობიდან არ უნდა გაუფშავთ, რა თქმა უნდა, რომ საეკლესიო წესები სხვადასხვანაირად, სხვადასხვა სოციალურ-წოდებრივი ელფერით ესმოდათ ეკლესიის მსახურთა სხვადასხვა წრეს. საამისო საყურადღებო მოწმობანი ჩვენ არ გვაკლია). რაც შეეხება ჭყონდიდლობის „მოვერაგებას უფლისაგან“, ეს, მართალია, უჩვეულო რამ იყო ქართულ სახელმწიფო და საეკლესიო პრაქტიკაში, მაგრამ საეკლესიო კანონის თვალსაზრისით აქ დანაშაული რაიმე არ იგულისხმება. ხოლო მეფის ცენტრალისტურ მისწრაფებათა წინააღმდეგ ოპოზიციაში მყოფ ძირძველ აზნაურთათვის მიქაელის მიერ ჭყონდიდლობის „მოვერაგება“ განსაკუთრებით სასურველი რამ იყო... საერთოდ უნდა ითქვას, აღნიშნული დროის პოლიტიკური ამბების შესწავლა ჯერჯერობით მხოლოდ დაწყებულია (ი. ჯავახიშვილი) და ჩვენი ავტორის შეცდომა მხოლოდ იმაშია, რომ ამ თითქმის შეუსწავლელისა და უაღრესად სადაო საკითხების გაშუქებას ის სხვათაშორის აპირებს.

ი. ცინცაძე, შემდეგ, სვამს კითხვას, თუ სამხედრო და საეკლესიო წრეებს გარდა ვინ იყო რუსი უფლისწულის შემოყვანის მომხრე. ის აკვირდება დიდვაჟარი ზანქან ზორაბაბელის მისიას, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის როლს რუსი უფლისწულის მეორედ შემოყვანის საქმეში, აგონდება ისიც, რომ „თამარ მეფეს 1185 წელს მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუარსლანი განუღდა“ და რომ „ვაჟკრები ამ სავაზიროს უწყებაში შედიოდნენ“ (64). მისი აზრით მოხსენებულნი გარემოებანი შესაძლებელია გარკვეული მიმართულებით ერთი რიგისა იყოს და „მხედველობაში მისაღებიც“ (64) იმისათვის, რათა კაცმა იფიქროს, რომ „ვაჟართა გავლენიანი წრეც რუს უფლისწულს უჭერდა თითქო მხარს“. ჩვენი ავტორი აქ თავის აზრს გარკვევით და ნათლად არ გამოსთქვამს, მაგრამ უნდა გულისხმობდეს, თითქო, რომ მეჭურჭლეთუხუცესები შესაძლებელია „ვაჟართა გავლენიანი წრის“ პოლიტიკურ განწყობილებას, რამოდენადმე მაინც, გამოხატავდნენ. ჩვენ შეგვეძლო ერთი ფაქტიც მიგვეშველებინა ავტორისათვის: თვით აბულასანი ტფილისის ამირა იყო და შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის ნაცვალიც (აბულასანის დავალებით

და თანხმობით?¹) რუსი უფლისწულის მეორედ შემოყვანას მცდელობდა. მაგრამ აქედან ისეთი დასკვნის მიღება, ჩვენი ავტორი რომ ვარაუდობს, შეუძლებელია. ჩვენ სახელდახელოდ მოვავაზნებდით ი. ცინცაძეს მეჭურჭლეთუხუცესთა სიას: კახაბერ ვარდანიძე („დიდი და გუარიანი კაცი“), ყვარყვარე ჯაყელი, კახა თორელი, სარგის ჯაყელი. ამათივე მსგავსი იყო აბულასან მეჭურჭლეთუხუცესი და ერისთავთ ერისთავი, ხოლო ყუთლუარსლან მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის ჩამომავლობა ჯერჯერობით დადგენილი არაა (ფიქრობენ რომ ის უგვართავანი იყო, რაც საეჭვოა), იყო „თავისა თვისისა ამირსპასალარად მწოდებელი და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა, ლორეს, დაჯდომად განმზადებული“ (ისტ. და აზმ. 77). ასე რომ მეჭურჭლეთუხუცესთა საქმიანობიდან ვაჭართა ფენაზე, ვაჭართა პოლიტიკურ ინტერესებზე რამე დასკვნების კეთება სახიფათო და ნაადრეგია სანამ არ დაგვიმტკიცებია, რომ ვაჭართა ამ გავლენიანი წრის პოლიტიკური პოზიცია მეფის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხში ეთანხმებოდა დიდგვარიან ფეოდალთა პოლიტიკურ პოზიციას: მეჭურჭლეთუხუცესი XII—XIII ს-თა საქართველოში ისეთივე ფეოდალია (ვაზირი და ე-ვეი), როგორც, ვთქვათ, მანდატურთუხუცესი ან ამირსპასალარი.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ავტორმა დაასკვნა, რომ რუსი უფლისწული „გარკვეულმა წრემ“ მოიწვია, ის სამართლიანად სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ „რატომ უნდა ყოფილიყო მიმზიდველი რუსი უფლისწული გარკვეული წრეებისათვის, რატომ მიენიჭა მას უპირატესობა“ (66). ამ კითხვასთან დაკავშირებით მას აინტერესებს, თუ „რა უფლებების მატარებლად ვარაუდობენ მეფე-ქმარს მაშინდელი მოწინააღმდეგე დასები და თვით თამარი“ (იქვე). საამისო მასალაზე სახელდახელო დაკვირვებით (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რუსულანის დროის საამისო მასალა, მისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის გარეშე, გამოუსადეგარია და ის არც უნდა მოეტანა ავტორს) ი. ცინცაძე დაასკვნის, რომ „მათ (ე. ი. მეფე-ქალის მეუღლეს) სახელმწიფოსამხედრო საქმე აბარიათ“ (19). ავტორის ასეთი დასკვნა არასრულია და განმარტებას საჭიროებს: „სამხედრო საქმე“ რთული შინაარსის ცნებაა და ყველა ის საქმე, რაც ამ ცნებაში შედიოდა „მეფე-ქმარს“ როდი ეკითხებოდა. „მეფე-ქმარი“ იყო „წინამძღუბარი სპათა“, ხოლო ომის გამორჩევა, ლაშქრის განაზღვა, ლაშქრის წვევა, ლაშქრის ორგანიზაცია და სამხედრო მეურნეობა ისევე მეფისა (თამარის) და მის ვაზირთა ხელში რჩებოდა.

ამრიგად, ავტორმა არც თუ შეუმცდარად, მაგრამ მაინც დაადგინა, რომ საქ-ში „მეფე-ქმარის“ უფლებები მეტად შეზღუდული იყო და ამით კმაყოფილნი იყვნენ ძლიერნი ამა სოფლისანი“ (74). მაშ რითღა აიხსნებაო, კითხულობს ის, „საქართველოდან გაძევებული რუსი უფლისწულის მზარეზე გა-

¹ თუმცა თავისთავად ასეთი ვარაუდი სავალდებულო არაა: მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი („საქუთუქოს ნაცვალი“), ის ჯილისუფალი იყო, რომელიც მეფის და ვაზირთა საბჭოს დავალებით სამოციქულო (დიპლომატიურ) საქმეებს ასრულებდა (გაიგივება კელმჭიდის კარი-სა, გვ. 19, § 8).

დასვლა დიდგვარიან და საკმაო საპატიო თანამდებობის მქონე აზნაურების როგორც კი დავით სოსლანი შეერთო თამარმა? (74—75). „ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, — განაგრძობს ი. ცინცაძე, — რომ რუს უფლისწულს თამარ მეფის ორივე ისტორიკოსთა (sic) ცნობებით პრესტიჟი საკმაოდ შერყეული ჰქონდა“ (75). ჩვენი ავტორი აკვირდება თამარის ორივე ისტორიკოსის ცნობებს და პოულობს, რომ სოსლანი „ყველასათვის მისაღები პირი იყო“ (75—76). ი. ცინცაძე არ ცდილობს ეჭვი შეიტანოს თამარის ისტორიკოსთა ამ ცნობის სრულს სიმართლეში და იძულებულია ეძიოს ახსნა დიდგვარიანთა მოზრდილი ნაწილის ამ უცნაურად სწრაფი პოლიტიკური ტრანსფორმაციისა.

თამარის პირველ ისტორიკოსთან ის პოულობს ცნობას, რომ შამქორის ომის წინ საქართველოს სამეფო კარზე იმყოფებოდნენ „ოგსნი და ყიფჩაყნი ახალნი“ (ი. ა. 103). უკანასკნელთ წინამძღვრობდა ყიფჩაყთა მეფის ძმა სალავათი, რომელიც „აქა იყო სამსახურად“ (ი. ა. 102). ეს გარემოება ეჭვის საბუთს აძლევს ჩვენს ავტორს, თუ ვის და რად სჭიროდა ეს უცხო ჯარები ოს-ყიფჩაყებისა და კითხულობს: „ამ ჯარის (ე. ი. ყიფჩაყების, ნ. ბ.) მოწვევა და დავით სოსლანის მამულის ოგსთა რაზმი ჰარბად ხომ არ აძლიერებდა თამარ მეფესა და დავით სოსლანს და საშიშროება რაიმე ხომ არ ექმნებოდა „თანამდგომ და მეფობის თანაზიარობას“ მოპოვებულ დიდებულებს, რომელთაც განდევნილი რუსი უფლისწულის მეორედ სასახლეში მოყვანა სცადეს?“ (77), ანუ რაიმე საფრთხე ხომ არ მოელოდა დავით სოსლანის შერთვის შემდეგ „თანადგომობისა და ერთნებობის უფლებებს“ (79).

საკითხის აგრე დასმა სასარგებლო იქნებოდა, რომ მას (საკითხის დასმას) საკმაო საფუძველი ჰქონდეს. რა გამოდის? თამარმა სოსლანი შეერთო. ამის მომხრე ყველა იყო. სოსლანმა ოს-ყიფჩაყები მოიწვია და დიდებულები მიუხედავად, რომ ეს ზომა მათ გასატეხად და მეფის შეუზღუდველ უფლებების აღსადგენად არის მოლონებული. და დიდგვარიანთა გარკვეული ნაწილი (რატომ ყველა არა? ნ. ბ.) აჯანყდა და ისევ რუსი უფლისწული, თუმცა საკმაოდ სახელგატეხილი, მოიწვიეს. აქ თავდება ჩვენი ავტორის ვარაუდების თავისუფალი სარბიელი. და მერმე რა მოხდა? რა და აჯანყებული დიდებულები დამარცხდნენ, რუსი კვლავ გააძევეს, აჯანყების მონაწილენი დასაჯეს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ განახორციელეს თამარმა და დავით სოსლანმა ბრძოლის მთავარი მიზანი? გააუქმეს, ჩვენი ავტორის ენით რომ ვთქვათ, „თანადგომობისა და ერთნებობის უფლებები“? უცნაურია, რომ ი. ცინცაძე ასეთი კითხვით თავს აღარ იწყუხებს. მაგრამ ავტორს აქ სხვა ცოდვაც სჭირს. როგორც დავინახეთ, დიდგვარიანთა აჯანყება თამარ-დავითის წინააღმდეგ და რუსი უფლისწულის კვლავ გამეფების ცდა ი. ცინცაძემ ოსებისა და ყიფჩაყების მოწვევას დაუკავშირა. ავტორს ასეთი მარცხი იმის გამო მოუვიდა, რომ მან მოველენათა ქრონოლოგია მართებულად ვერ გაითვალისწინა.

ი. ცინცაძის საამისო ქრონოლოგია ასეთია: დიდგვარიანთა აჯანყება

თამარისა და დავითის წინააღმდეგ „ემთხვევა დავით სოსლანის შერთვის წელს“ (75), შამქორის ომი მოხდა 1191—1192 წელს (77), ამიტომ, მსჯელობს ავტორი, „შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1190 წელს ან 1191 წლის დასაწყისში ყივჩაყთა ახალი ჯარი საქართველოშია“ (78).

„ამავე წლებშია დავით სოსლანის გამეფება და რუსი უფლისწულის საქართველოში დაბრუნების ცდაც“ (78).

თუ მოტანილი თარიღები ჩვენს ავტორს მეცნიერულად დადგენილი აქვს, მას უნდა ეჩვენებინა ეს. ჩვენ კი გვეჩვენება და ამის საბუთად ისა გვაქვს, რომ ი. ცინცაძე შამქორის ომს 1191—2 წლით ათარიღებს და ისიც ი. ჯავახიშვილის დამოწმებით (77). განსვ. მეცნიერის საამისო თარიღი კი არის 1194—1195 წელი (საქ. ისტორია, II, 596—607).

დღესდღეობით მიღებული მეცნიერული ქრონოლოგია ხსენებული ამბებისა ასეთია:

რუსი უფლისწული პირველად გააძევეს 1187—1188 წელს; თამარმა დავით სოსლანი შეირთო 1189 წელს;

დიდებულები აჯანყდნენ და რუსი უფლისწულის კვლავ გამეფება სცადეს 1190—1191 წელს;

შამქორის ომი მოხდა არა უადრეს 1194 წლისა. „ყივჩაყნი ახალნი“ კი ტექსტის მიხედვით შამქორის ომის წინ მართლაც ახლად მოსულნი ჩანან. მაშასადამე, ისინი რუსი უფლისწულის მომხრეთა აჯანყებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ მოსულან. ამდენადვე ამ ახალი ყივჩაყებისა და ოსების მოყვანა (მოიყვანა ვინმემ, თუ თავისით მოვიდნენ „სამსახურად“? ნ. ბ.) ხსენებული აჯანყების მიზეზებს ვერ დაუქავეშირდება (რუსი უფლისწულის მომხრეთა აჯანყების დროსაც, მართალია, იხსენებიან ყივჩაყები—უოსებოდ—თამარის მომხრეთა ლაშქარში, მაგრამ ისინი, როგორც ამას სამართლიანად ჰგონებენ, ჩვენი ავტორიც (78) და B ქცას რედაქციაც (439), „ახალნი“ არ არიან, „ძველნი“ არიან).

ავტორის მთელი ეს შემცდარი ვარაუდები ემყარება, გარდა ზემოხსენებულისა, წყაროს ცნობებთან არა საქმაო კრიტიკულ დამოკიდებულებას. ისტორიკოსთა ცნობები ჩვენ რომ სიტყვა-სიტყვით დაგვეჯერებინა, მაშინ „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით რუსი უფლისწულის პირველად შემოყვანა ყველასათვის სასურველ აქტად უნდა მიგვეჩინა.

რა თქმა უნდა, სოსლანი, ისევე როგორც რუსი უფლისწული, ყველასათვის სასურველი არ ყოფილა და რუსი უფლისწულის მომხრე დასი აზულასან მეჭურჭლეთუხუცესისა და ვარდან მსახურთუხუცესის მეთაურობით, მართალია, მიჩუმებულია რუსი უფლისწულის სკანდალის გამო (რომელიც ამ დასს, უნდა ვიფიქროთ, ისე არ ესმის, როგორც ეს ისტორიკოსებსა და თამარ-სოსლანის სხვა მომხრეებს ესმით), მაგრამ მიჩუმებულია დროებით. სოსლანის გამეფება არ შეიძლებოდა რუსი უფლისწულის მომხრე დასის დამარცხებად არ შეფასებულიყო მათ მოწინააღმდეგეთა მიერ და არ შეიძლებოდა ამ უქანასკნელთ იმედი არ მისცემოდათ, რომ სოსლანის მიერ მხარის დაჭერით ისინი რუსი უფლისწულის მომხრე დასს, აქამდე გაბატონებულს, შეა-

ვიწროებდნენ. ამდენადვე ამ უკანასკნელთა ეჭვი და შეშფოთება ბუნებრივია.

ამრიგად, ავტორმა, თუმცა მცდარი წინამძღვრების საფუძველზე, მიიღო დასკვნა, რომ დავით სოსლანის გამეფების მომდევნო წლებში „საქართველოში უკმაყოფილება სუფევს გარკვეულ წრეებში. დავით სოსლანის სასახლეში შესვლა წინათ არსებულ მდგომარეობას ცვლის ან ემუქრება შეცვლით“ (84). ამის შემდეგ ი. ცინცაძეს საჭიროდ მიაჩნია, მისივე ენით რომ ვთქვათ, „რუსი უფლისწულის სასარგებლოდ განდგომილების მოწყობის განხილვა“ (79). ჩვენი ავტორი სწავლობს საამისო ცნობებს და კვლავ სვამს კითხვას, თუ რა ნიადაგზე უნდა ყოფილიყო ეს განდგომილება აღმოცენებული. კვლავ უბრუნდება „თანადგომობისა და ერთნებაობის უფლებას“, მაგრამ ეხლა არსებითად განსხვავებულ მოსაზრებას უჭერს მხარს, ვიდრე ზემორე ვარაუდობდა: უარყოფს შესაძლებლობას, რომ ამ „უფლებას“ რაიმე საფრთხე მოელოდა (იგულისხმება, რა თქმა უნდა, მეფის მხრით)—(84) და ეხლა სვამს საკითხს: ის ჯგუფი, რომელიც თამარს და დავით სოსლანს განუდგა „თანადგომობისა და ერთნებაობის“ არსებულ უფლების საფუძველზე ხომ არ იჩაგრებოდა უმრავლესობის მიერ და დავითის მიერ ეს მიმძღავრება ხომ უფრო საკრძნობი არ შეიქმნა“ (84). ავტორს, ჩანს, არ აგონდება, რომ განდგომილების მეთაურები სწორედ ამ ერთნებაობა თანადგომის წესის პირველად შემოღებისას ან კიდევ ამის შემდეგ და, მამასადაამე, იმავე ერთნებაობა თანადგომის წესის არსებობის საფუძველზევე იყვნენ აღზვევებულ-დაწინაურებულნი,—მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სამცხის ერისთავი და სპასალარი ბოცო ჯაყელი 1185 წელს (ი. ა. 78), ხოლო გუზან—„პატრონი შავშეთისა და კლარჯეთისა“—შემდეგ. და აკი აღნიშნავს ისტორიკოსი, რომ განდგომილებას სათავეში ჩაუდგნენო არა მიმძღავრებულ-დაჩაგრულები, არამედ ისინი, „რომელნიც თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და გულსაგსედ წყალობითა აღესილ იყვნეს“ (ი. ა. 90).

ამრიგად, ფაქტობრივი ისტორიული ვითარებაც და ისტორიკოსის მოწმობაც თანხმობით უარყოფს ჩვენი ავტორის ამ ვარაუდს. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეუძლებლად არ მიგვაჩნია, რომ „ერთნებაობა-თანადგომის“ წესის არსებობის პირობებში შეიძლება ვინმე დიდგვარიანი ან დიდგვარიანთა რომელიმე ჯგუფი დაიჩაგროს, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ამის მოწმობანი, როგორც ვნახეთ, არა გვაქვს.

ამის შემდეგ ი. ცინცაძე განდგომილთა ვინაობის საკითხს განიხილავს და დასკვნის (არც თუ მთლად სამართლიანად), რომ ლიხს იქითი მთლიანად აჯანყებულია, ხოლო ამერთი მთლიანად, მცირე გამონაკლისის გარდა, თამარის „მხარეზე დარჩა“ (85). რაკი ასეთი სურათი მიიღო, ავტორს ბუნებრივად ებადება კითხვა: ეს განდგომილება საქართველოს ორად გაყოფას ხომ არ ისახავდა მიზნად? და ავტორი ამ კითხვის დადებითად გადაწყვეტილსავე იხრება (86—87).

ჯერ ერთი, აჯანყებული ლიხთიმერის შესახებ. აქ გასათვალისწინებე-

ლია, რომ აჯანყების მეთაურია მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი „ლიხთიქით ნიკოფსადმი უცილობელად მქონებელი“ (ი. ა. 91). ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ხანით მას ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოს ხუთივე საერისთავოზე. ასე რომ ვარდან დადიანი თავისი „მოკიდულითურთ“, მეტად დიდი ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ბევრი ვინმე ნებაუნებლიეთ ჩაეთრია თამარის წინააღმდეგ აჯანყებაში. ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ ლიხთიქითის დიდი აზნაურები ყველანი თამარის მოწინააღმდეგედ ისევე არ შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც არ შეიძლება თამარის მომხრეთ დავსახოთ ყოველი დიდი აზნაური ლიხთამერეთიდან თამარის მომხრე ოლქებში. ერთი დეტალიც: ისტორიანი და აზმანის ტექსტი აქ თითქო იმის ფიქრის უფლებასაც იძლევა, რომ ვარდან დადიანმა მთელი ლიხთიქითის ლაშქარი შეყარა „რეცა პატრონისა წადილითა“ (ი. ა. 91). თუ ასეთი გაგება სწორია, მაშინ მსახურთუხუცესის ზემოქმედების მომენტი ამ ლაშქარზე, ჩვენ რომ უამისოდაც ვვარაუდობდით, სრულიად გარკვეული და მეტად თვალსაჩინო ყოფილა. ასე რომ „მთელი ლიხთიქითის“ დიდებულთა აქტივობა რუსი უფლისწულის სასარგებლოდ საგრძნობლად ნელდება... (აქვე ვბოდიშობთ: ჩვენ საერთოდ თავს ვიკავებთ ამ შრომაში აღძრული საკითხების პოზიტიური კრიტიკისაგან. ასეთი კრიტიკისათვის აქ არც ადგილია და ეს საქმე არც ადვილია, რომ სახელდახელოდ ისტორიულ-მეცნიერული სურათის გადმოშლა შეიძლებოდეს და, თუ ზოგჯერ მაინც ვერ ვიცავთ მიღებულ წესს და პოზიტიური ხასიათის მსჯელობანი შემოგვაქვს, ეს უფრო ნაკლია ჩვენი რეცენზიისა, ვიდრე მისი ღირსება).

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, მომხრენი არც აქედან აკლდათ აჯანყებულებს.

თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად,—რომ აჯანყებულთა მიზანი სამეფოს ორად გაყოფა იყოვო,—ჩვენი ავტორი ცდილობს წყაროების მოხმობას, მაგრამ ცდება.

საქმე ასე იყო: გაძევებული გიორგი რუსი კონსტანტინოპოლიდან კარნუქალაქს დაბრუნებულიყო. ამ დროს მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი საქართველოს სამეფო კარიდან კარნუქალაქს გაიგზავნა რალაც საქმისათვის. აქ ის რუს უფლისწულს შეეყარა და მისი საქართველოში შემოყვანის საქმეში გაერია. გიორგი რუსს თამარისა და დავით სოსლანის წინააღმდეგ მიემხრნენ გუზან—„შეშეთისა და კლარჯეთის პატრონი“, ბოცო-სამცხის სპასალარი, ვარდან დადიანი—მსახურთუხუცესი. ამ უკანასკნელმა თამარს განუყენა მთელი დასავლეთ საქართველო. ქვეშის ციხიდან ის გადავიდა გეგუთს და აქ იხმო მთელი ლიხთიქითის ლაშქარი. შეყრილი ჯარი მან რუსი უფლისწულის ერთგულებაზე დააფიცა, აქედან გაგზავნა ლაშქარი გუზანთან, სადაც გიორგი რუსი მოსულიყო. მომხრეემა რუსი უფლისწული გეგუთს გადმოიყვანეს და აქ სამეფო ტახტზე დასვეს.

შეშფოთებულმა თამარმა დიდებულ-ერისთავნი იხმო. კარზე მოსულებმა „ჰკადრეს ფიცით არა მათგან ნებადართულობა საქმისა და ვითარცა შეაჯგერეს უმათოდ ქმნილება, მვეცებრ განჯდა გული მათი ერთგულებისათვის და თავისა საწამებლად დადებისათვის“ (ი. ა. 91).

მოტანილ ციტატაზე დაკვირვებით ი. ცინცაძე დაასკვნის, რომ აქ ნაგულისხმევია საქართველოს ორად გაყოფა. აი, ჩვენი ავტორის მსჯელობა: „რას გვეუბნება მოტანილ ტექსტში ისტორიკოსი? შეყრილი „დიდებულნი და მეურნენი საქმეთანი“ რუსი უფლისწულის მომხრენი რომ არ არიან, ისედაც ნათელი არ არის თამარისათვის? იმის მომხრენი თამართან რათ მოვიდნენ (ალბათ უნდა: „მივიდოდნენ“, ნ. ბ.). რის „ნებადართულობა“ არ გაუციათ თამართან შეკრებილთ? საფიქრებელია, რომ განდგომილებით საქართველოს სამეფო ორ სამეფოდ გაიყო, „იმიერთ“ რუსი გაიმეფეს, ამიერთ დავითი და თამარი დაუტოვეს. სხვა რიგად შეკრებილთა საუბარი და ფიცი თამართან გაუგებარია“ (87).

ავტორის ეს მსჯელობა არც სრულია, არც დამაჯერებელი. როცა თამარმა შეიტყო, რომ გეგუთში გიორგი რუსი კვლავ გამეფეს, მან მოიწვია ყველა, ვინც არ გამდგარიყო. თამარისათვის სრულიადაც არაა ნათელი, ჩვენი ავტორი რომ ფიქრობს, თითქო კარზე მოსულნი ყველანი მისი ერგულნი არიან. ლიხთამერთიდან ყოველი ორგული, ვიდრე აჯანყებულნი არ ვადმოსულიყვნენ, გაბედავდა და მეფეს არ ეახლებოდა? მაგალითად, ის „ქართლელნიც“, რომელნიც, როგორც ჩანს, მას შემდეგ „მიერთნეს“ აჯანყებულთ, როცა ეს უკანასკნელნი ნაქარმაგევისა და გორის მიდამოებში გაჩნდნენ? სწორედ ამ ექვის გამოა, რომ თამარი სიტყვას არა სჯერდება და დიდებულებს ფიცს ქვეშ ათქმევინებს, რომ ისინი რუსი უფლისწულის შემოყვანისა და მისი „კვლავ გამეფების“ „ნებისდამრთველნი“, ე. ი. ამ შეთქმულების თანახმანი არ არიან და რომ ეს საქმე მათი მონაწილეობის გარეშე წამოწყებულა „უმათოთ ქმნილობაჲ“. თავისი მცდარი ვარაუდისას,—თითქო „იმიერთ“ რუსი გაიმეფეს, ხოლო ამიერთ თამარი და დავითი დაუტოვეს,—ჩვენს ავტორს აუხსნელი რჩება „ამიერთა“ (ბოცო ჯაყელი სამცხის დიდი ნაწილით, შიდა ქართლის ნაწილი, ყოველი სმოხითი ქურდვაჭრის იქით და „სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“, აქვე უნდა დასახელებული იყოს გუზანიც „შეშვით-კლარჯეთის ბატონი“ და „მეფეთა ტაოელთა ადგილს ზედა“ შეწყალებული) მონაწილეობა ამ აჯანყებაში რუსი უფლისწულის მხარეზე.

მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, ტექსტის ავტორისეული გაგება სხვა მხრივაც უსაფუძვლოდ გამოიყურება. ქვეყნის ასეთი გაყოფა იმ დროს რა ჭკუაში მოსასვლელი იყო, როცა თბილისში იჯდა მეშვიდრე მეფე („აფხაზთა მეფე“), რომლის საკუთარ „სახლს“ სწორედ ეს „ძველი სამეფო“ (სამსახურთუხუცესო) წარმოადგენდა? მსახურთუხუცეს ვარდან დადიანს ყველაზე კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ქვეყნის აგრე გაყოფას თამარი („აფხაზთა მეფე“) ცოცხალის თავით ვერ შეურიგდებოდა. იცოდნენ და ამიტომაც არც არავინ ფიქრობდა ქვეყნის აგრე გაყოფას. ამიტომაც იყო, რომ აჯანყებულნი, რა მომავლდნენ, თბილისზე წამოვიდნენ. როგორც დავინახეთ, ამ აჯანყებაში რუსი უფლისწულის მხარეზე არა-იმერელნიც მრავლად მონაწილეობდნენ. ეს გარემოება აიძულებს ჩვენს ავტორს იფიქროს ამ სიძნელის გადალახვაზე, ამ მიზნით ის სხვადასხვა მოსაზრებას მიჰპართავს.

პირველად ის ცნება „იმიერის“ გაფართოებას ცდილობს. მაგრამ წყაროები არ მოსდევნენ ჩვენს ავტორს. „იმიერი“ იქ სრულიად გარკვეული ცნებაა და ლიხს იქითს ნიშნავს. არც შავშეთ-კლარჯეთი და, მით უფრო, არც სამცხე „იმიერში“ არ იგულისხმება (ქართლსა და სომხითს, ალბათ, არც ჩვენი ავტორი დაობს იმერეთად).

ი. ცინცაძე, ჩანს, გრძნობს ამ თავისი არგუმენტის უკმარისობას და სხვა მოსაზრებებს მოიშველიებს: „მიმძლავრებული და შევიწროებული ზოგიერთი „ამიერიც“ შეიძლებოდა ყოფილიყო და დაწინაურება ახალ სამეფოში უფრო რეალურად წარმოედგინა“ (89). ავტორი, ჩანს, ბოლომდე არ ჩაფიქრებია ამ თავის ახალ მოსაზრებას. საკითხი ეხება იმერეთის სამეფოს შექმნას, ავტორი რომ ვარაუდობს, და იმას, თუ როგორ შეიძლებოდა „ამიერი“ უკმაყოფილოს მხარი დაეჭირა ამ აქტისათვის. თანაც გაუგებარია, რომელ „ახალ სამეფოს“ (იმერეთს? ნ. ბ.) ჰგულისხმობს ავტორი, სადაც მისი აზრით, „დაწინაურება“ „უფრო რეალურად წარმოედგინა“, ვთქვათ, ქართლელსა თუ სამცხელ „მიმძლავრებულს“?

ავტორის სხვა ახალი მოსაზრება ამავე საკითხის გამო შემდეგია: „განდგომილებაში ყოველთვის ყველა ერთი მიზეზით მონაწილეობას არ იღებს. ზოგიერთი სხვა მოტივით ემხრობა მას“ (89). ეს მოსაზრება კიდევ უფრო ნაკლებად შველის საქმეს. კითხვა დგას არა იმის შესახებ, თუ ვინ რა მიზეზით ან მოტივით ემხრობა აჯანყებას (მოტივი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა შეიძლება იყოს და უშეკვლავადაც ასე არის), არამედ კითხვა დგას იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა „ამერელი“ აჯანყებულის, ვთქვათ, ბოცო ჯაყელის განდგომილების მიზანი იმერეთის სამეფოს შექმნა ყოფილიყო ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, შეიძლებოდა თუ არა „ამერელ“-„იმერელ“ აჯანყებულთა შეთანხმება ასეთ პოლიტიკურ „პლატფორმაზე“? ჩვენი ავტორი, ვფიქრობთ, დაგვეთანხმება, რომ ასეთი შეთანხმება იმ საფუძველზე შეიძლებოდა, უკეთეს არა მარტო იმერეთის (—„აფხაზეთის“), არამედ სხვა ქართული სამეფოების („ქართველთა“, „რანთა და კახთა“, „სომეხთა“) აღდგენის საკითხიც აგრეთვე დღის წესრიგში იდგა, ე. ი. თუ თამარის დროის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური დაშლის წინაშე იდგა. არა გვერინა, რომ ჩვენმა ავტორმა ასეთი შესაძლებლობა დაუშვას.

გარდა ამისა, ჩვენ ამ აჯანყების მოტივების ვარაუდის უფლება გვაქვს, მაგრამ, ის, თუ რა იყო აჯანყებულთა ოფიციალური მიზანი, სავარაუდოდ არა გვაქვს. ის სრულიად გარკვევით აქვთ ჩვენს ისტორიკოსებს დასახელებული. ეს იყო—რუსი უფლისწულის „კუთხად გამეფება“ (ბ. ე—მ. 18). სხვა მიზნებიც შეიძლება ამას იქით იმალებოდეს, მაგრამ დასახელებული მიზანი უმთავრესია და უახლოესი. გამოდის, მაშასადამე, ი. ცინცაძის ვარაუდით, რომ რუსის იმერეთში გასამეფებლად იბრძოდნენ ტაოელნი, შავშეკლარჯნი, სამცხელები, სომხთაარნი, ქართლელნი და აღმოს. საქართველოს მთიელებიც...

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი შესაძლებლობა დაუშვებელია.

მართალია, რომ „შველი სამეფოს“ დიდგვარიანებში უფრო ძლიერი

ყო უკმაყოფილება (ი. ცინცაძის ეს მითითება-გუმანი სწორი და მისაღები ჩანს, მას სხვა ფაქტებიც მოწმობს), მაგრამ აქედან არ მიიღება ლიხთიმერეთის სამეფოს შექმნის (თუ აღდგენის) იდეა. მაინც და მაინც ჩვენ აქ საქმე არა გვაქვს ასეთი იდეის განხორციელების ცდასთან.

ბასილი ეზოსმოდღვარი, რომელიც ამ საქმეში ხაზს უსვამს იმერელ-სვანთა ინიციატივას, აღნიშნავს: „რუსი მოიყუანეს რეცა კუალად განსამეფებლად. ეუზნებოდეს მესხთაცა მირთვასა, რომელი ვერა უძღეს, არამედ უფროსლა შეიმტერნეს. გააქცივნეს და წარვიდეს სირცხვილეულნი, რამეთუ ღმერთი თამარისათუის მოურნეობდა“ (ბ. ე—მ. 18). თავი რომ დავანებოთ ფაქტობრივ შეცდომებს, ამ ისტორიკოსს რომ მოსდის (მესხები არ მიუდგენენო, სხვას ამერეთიდან ვერავის ჰხედავს, არც გუზანი იცის), მისი თვალსაზრისი ჩვენი საკითხის გარკვევისათვის მეტად საყურადღებოა (მით უფრო, რომ ი. ცინცაძე უპირველესად ამ ავტორს ემყარება ხსენებული აჯანყების იმერულობაში). ბ. ე-მოდღვრის წარმოდგენით „იმერელ-სუანნი“ თავს იწუხებენ რუსის „კუალად განსამეფებლად“ და, უეჭველია, ამ პერსპექტივით „ეუზნებოდეს მესხთაცა მირთვასა“. ამ გამოთქმის—„კუალად განსამეფებლად“—გაგება მხოლოდ ერთნაირად შეიძლება, სახელდობრ, რომ რუსი უფლისწული აჯანყებულთ არა მხოლოდ იმერეთის, არამედ მთელი საქართველოს მეფედ სურდათ: მისი მხოლოდ იმერეთში გამეფებას „კუალად“ აღარ ურქმევოდა. ბ. ე-მოდღვრის ამ თვალსაზრისს მოწმობს ის გარემოებაც, რომ ეს ავტორი არაფერს ამბობს ვეგუთის სასახლეში რუსის შეყვანისა და მისი იქ გამეფების შესახებ. და ეს იმიტომ, რომ მას იგი ამით „კუალად განმეფებულად“ არ მიაჩნია (ისე, როგორც არ მიაჩნდათ ის საბოლოოდ გამეფებულად თვით აჯანყებულებსაც, რომელნიც ამ საქმისათვის თავის მობმას თბილისში აპირებდნენ და ამ პერსპექტივით სხვებსაც „ეუზნებოდეს მირთვასა“).

დასასრულ, ი. ცინცაძის მოსაზრებას მხარს არ უჭერს აგრეთვე აჯანყებულთა საქციელი მას შემდეგ, რაც მათი შეტევა თბილისის წინააღმდეგ ჯავახეთში დამარცხდა. „იმერეთის მეფე“ მოსალოდნელი იყო იმერეთში დაბრუნდებოდა და თავს დაიკავდა, მით უფრო, რომ მთელი იმერეთი, ჩვენი ავტორის გაგებით, მას ერთსულოვნად მხარს უჭერდა. მაგრამ, როგორც ვიცით, მისი იმერეთის მეფობა არავის მოჰგონებია და, მთლიან საქართველოს მასშტაბით მოქმედნი, იარაღს ჰყრიან, რაკი ამ მასშტაბით ბრძოლა წააგეს.

ამრიგად, ი. ცინცაძის დებულება რუსი უფლისწულის ლიხთიმერეთის მეფედ დასმის შესახებ მცდარია.

ამასთან დაკავშირებით ი. ცინცაძე იმის შესახებ სვამს კითხვას, „თუ რამდენად მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო ექსორიად მყოფი რუსი უფლისწული დავით სოსლანთან შედარებით“ (89), ანუ მადლიერნი იყვნენ თუ არა, დრომდე მაინც, რუსი უფლისწულისა მისი ყიფიყიფიდან მოყვანის მოქმედნი? მკვლევარი აკვირდება ცნობებს რუსი უფლისწულის საქართველოში საქმიანობის შესახებ, თამარის ისტორიკოსებს რომ აქვთ დაცული, ცდილობს ამ ცნობების კრიტიკულად შეფასებას (93) და დაასკვნის, რომ საქართველოს

სამეფო კარიდან რუსი უფლისწულის გაძევება საკმაო იურიდიულსა და პოლიტიკურ საფუძვლებს ემყარებოდა (93—95). და რაკი ასეთი დასკვნა მიიღო, ჩვენს ავტორს უმაღლესი საკითხი წამოეჭრა: თუ ორივე ისტორიკოსის ეს თანხმობლივი მოწმობანი სამართლიანია და რუსი უფლისწული მართლაც ყოვლად უკეთური იყო, „გაუგებარი ხდებოდა“, მსჯელობს ის, „რას ფიქრობდნენ განდგომილნი, როცა რუსი უფლისწული მეორედ სასახლეში შეჰყავდათ“ (95).

აქ ი. ცინცაძე მზადაა შეეჭვდეს ისტორიკოსთა ცნობების სისწორეში რუსი უფლისწულის უკეთურებათა შესახებ, მაგრამ თავს ანებებს ასეთ განზრახვას. იმიტომაც, გვაუწყებს ჩვენი ავტორი, „რომ წყაროები ერთხმად ერთს გვეუბნებიან და, რაც მთავარია, სხვანაირადაც შეიძლება განდგომილთა მიერ რუსი უფლისწულის მოწვევა ვარაუდით წარმოვიდგინოთ ისე, რომ ცნობები მის უკეთურებათა შესახებ ძალაში დარჩეს“ (95).

მკვლევარის ეს სხვანაირი შესაძლებლობა შემდეგია: მისი სიტყვით „განდგომილნი, შესაძლებელია, სრულიადაც არ ფიქრობდნენ საბოლოოდ და სამუდამოდ საქართველოს ორად გაყოფას. რუსი უფლისწულის მოყვანით და გაყოფის (sic) მუქარით თამარი გარკვეულ დათმობაზე უნდოდათ, იქნებ, წაეყვანათ და შემდეგ რუსი უფლისწული იმავე გზით გაესტუმრებინათ, საიდანაც მოვიდა“ (95).

რა გამოდის ი. ცინცაძის ამ ვარაუდით? აჯანყების მომწყობნი მეტად სათუო მორალისა და ქუჩის პოლიტიკური მოღვაწეებია. მეფის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობენ, ქვეყნის დიდ ნაწილს შიგ ითრევენ, რუსი უფლისწულის ერთგულებაზე აფიცებენ („უკეთურის“ ერთგულებაზე?), ლიხთიმერეთს ცალკე სამეფოდ აცხადებენ და ყველაფერი ეს მხოლოდ იმიტომ მოიმოქმედეს, რომ თამარი მოატყუონ, შეაშინონ, რათა „გარკვეულ დათმობებზე წაიყვანონ“. მაგრამ ეს უკაცრავად პოლიტიკოსები რუს უფლისწულსაც ატყუებენ. ის გასაგებად უნდათ, როგორც კი თამარს მოურიგდებიან. რა თქმა უნდა, მათ არც ეს იმერეთის სამეფო სწამთ. ერთიან სახელმწიფოსაც უმაღლეს ალადგენენ. მაგრამ ეს პოლიტიკოსები იმათაც ატყუებენ, ვინც მათვე ააჯანყეს. ფიცი ამათ ხელში საკუთარ მომხრეთა მოსატყუებელი საშუალებაა.

რატომ არ იკითხავს ავტორი, შეიძლება თუ არა ასეთი პოლიტიკური დასი. და ვინღა ენდობოდა ან მხარს ვინღა დაუჭერდა ამის შემდეგ ამ პირისა და ფიცის მტეხელ შეთქმულ მატყუარებს?

სამწუხაროა, რომ ასეთი არასერიოზული მსჯელობა ახლავს ამ სერიოზულ ნაშრომს.

უცნაურია, რომ ჩვენი ავტორი არ ჩაფიქრებია, თუ როგორ მოახერხა ვარდან მსახურთუხუცესმა, რომ მთელი დას. საქლოს ფეოდალურ საზოგადოებას რუსი უფლისწულის ერთგულების ფიცი დაადებინა. ხომ უეჭველია, რომ ვარდან დადიანს პირადი გავლენის გვერდით სხვა არგუმენტიც უნდა ჰხლებოდა. ან როგორ მოხდა, რომ დას. საქართველოს ეკლესიის მესვეურნი ყველანი (გარდა ანტონი საღირისისა) ამ „სოლომია“ რუსი უფლისწულის მხარეზე აღმოჩნდნენ. განა ეს საკმაო საბუთი არაა იმისა, რომ ექვიშვილიანთა რუსი უფლისწულის „უკეთურებათა“ შესახებ ცნობებში და ეს ცნობები გაზვიადებულად წარმოვიდგინოთ?...

უქველად მართალია ი. ცინცაძე, როცა წყაროების სიმცირეს უჩივის, მაგრამ ისიც მართალია, რომ მან ეს მცირე ცნობები სისრულით ვერ გამოიყენა.

ამის შემდეგ ჩვენი ავტორი საქართველოს ისტორიის კიდევ უფრო ბნელ საკითხს ეხება. ის ცდილობს გაარკვიოს, თუ როგორი ცვლილებანი მოჰყვა სამეფო კარზე რუსი უფლისწულის გამეფებას. ბუნებრივად ვარაუდობს მკვლევარი, რომ რუსი უფლისწულის გამეფებით უნდა ესარგებლნათ იმათ, ვინც მისი შემოყვანა-გამეფების მომხრე მონაწილენი იყვნენ. და ერთ-ერთ ასეთ პირს ჩვენი ავტორი, მისი აზრით, პოულობს კიდევაც. ეს არის მიქაელ კათალიკოზი.

თამარის ისტორიკოსთა ცნობების გათვალისწინებით ი. ცინცაძე ცდილობს გადასინჯოს ზოგიერთ ისტორიულ მოვლენათა შესახებ ქართულს ისტორიოგრაფიაში აქამდე არსებული შეხედულებანი. ერთ-ერთი ასეთი საკითხია, თუ როგორ და როდის მიიღო მიქაელ ქართლის კათალიკოზმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა. ჩვენი ავტორი უარყოფს „ახალი ქართლის ცხოვრებისა“ და ივ. ჯავახიშვილის კონიექტურას, თითქო მიქაელ კათალიკოზი იმ საეკლესიო კრების დროს, თამარის მეფობის დასაწყისში რომ იქმნა მოწვეული, უკვე ჭყონდიდელიც იყო და მწიგნობართუხუცესიც.

ცნობა, რომლის გაგება უთანხმოებას იწვევს, ასეთი სახით აქვს დაცული ბასილი ეზოსმოდვარის თხზულების ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერს: საეკლესიო კრებაზე ნიკოლოზ გულაბერიძემ და ანტონ სალირისძემ (ამ კრების ხელმძღვანელებმა) „არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოზი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ მაწუყერელთ უხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“ (ბ. ე. მ. 16). ამ ცნობაში გამოთქმა „ჭყონდიდელ მაწუყერელთ უხუცესობა“ სამართლიან ექვს იწვევს როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. საქმე უნდა გვქონდეს ტექსტის დამახინჯებასთან. ი. ჯავახიშვილი ამ ტექსტს ასე აღადგენს: „ჭყონდიდელ მაწუყერელობა და მწიგნობართ უხუცესობაც მოევერაგა უფლისაგან“ (ბ. ე. მ. 16). ქართლის ცხოვრების შემვსებლებით კი: „ჭყონდიდელ მაწუყერელობა და მწიგნობართუხუცესობაც მას მოეხვეჭა უფლისაგან“.

ჩვენი ავტორი არ ეთანხმება ტექსტის ასე აღდგენას. მისი აზრით მიქაელ კათალიკოზი ამ დროს მწიგნობართუხუცესი არ იყო. ის იყო კათალიკოზი, მაწუყერელი და ჭყონდიდელი. მიქაელ კათალიკოზმა, ჩვენი ავტორის აზრით, უფლისაგან „მოივერაგა“ მხოლოდ ჭყონდიდლობა. მან ის ანტონი გნოლისთავისძეს წაართვა. და რადგან ცნობილია, რომ ჭყონდიდლობა ქართული სახელმწიფო სამართლით მწიგნობართუხუცესობასთან იყო შეერთებული, ი. ცინცაძე დაასკვნის, რომ მიქაელ კათალიკოზმა, მამასადამე, 1184—1185 წელს „ჭყონდიდლობა მწიგნობართ უხუცესობას მოსწყვიტა და თვით მისაკუთრა“ (102), ხოლო მწიგნობართუხუცესად ამის შედეგად რჩებოდა იგივე ანტონი გნოლისთავისძე. ამ უკანასკნელი დებულებისათვის ცინცაძე იმორწმებს თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობას ანტონი გნოლის-

თავისძის „ჰყონდილდალ მწიგნობართა უხუცესად“ დამტკიცების შესახებ 1185 წელს („თანადგომა ერთნებობის“ წესის გატარებისას სამეფო კარზე). სამწუხაროდ, ჩვენი ავტორის მსჯელობა აქაც შემცდარია. ჯერ თამარის მეორე ისტორიკოსის ტექსტის აღდგენის შესახებ: „ჰყონდილელ მაწყვერელთ უხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“. საქართველოს ისტორიის მოვლენათა და ამავდროულად წყაროს სხვა მონაცემების გათვალისწინებით ამ დამახინჯებული აღგების აღდგენა ასე შეიძლება: უნდა ვიფიქროთ, ეწერა— „ჰყონდილელ მწუთ * უხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“ (მოიგონე „მწუთუხუცესი“—დავით აღმაშენებლის ანდერძში). გადამწერმა (შეიძლება გვიან, როცა მწიგნობართუხუცესობა, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტი, გამქრალი იყო) დაქარაგმებული სიტყვა მწუთ სწორედ ვერ გაიგო და ისე გახსნა, როგორც შეეძლო:— „მაწყვერელთ“. ქცას გამგრძელებლებმა უხეირო „მაწყვერელთ“ შეცვალეს გასაგებ „მაწყვერელობა“-დ, ხოლო უნივთოდ დარჩენილ „უხუცესობა“-ს საგანი მოუძებნეს: მის წინ ჩაურთეს სიტყვა „მწიგნობართა“. ასევე აღადგინა ეს დამახინჯებული აღგილი აკად. ი. ჯავახიშვილმაც.

უნდა ითქვას: ეს უნივთო „უხუცესობა“ ი. ცინცაძესაც მეტად აწუხებდა. ამ სიძნელისათვის მას ვერ მოუვლია და გულწრფელად აცხადებს, რომ ეს გარემოება „საეჭვოდ ხდის მთელ ჩვენს მსჯელობას“-ო (105). ეს „მსჯელობა“ კი მას ათ გვერდზე აქვს გაშლილი. ოჯახაშენებულს ჯერ ამ სიძნელისათვის მოეველა ბარემ...

ამრიგად, ჩვენი კონიექტურისას დედნის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია სრულად. იქ არც მეტია რამე და არც ნაკლები. მას, ამიტომ, არც შევსება სჭირია და არც მოკლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქარაგმიანი „მწუთ“ გადამწერმა თავისებურად გახსნა (ფორმა „მაწყვერელთ“ სწორედ იმის მოწმობაა, რომ ქარაგმიანი სიტყვა „მწუთ“ ფორმით იყო მოცემული: გადამწერმა სხვა ვერაფერი მოისაზრა ამ უცნაური მწუთ-ს ქვეშ, თუ არ „მაწყვერელთ“, რომელიც, მართალია, „უხუცესობას“ არ ეხამებოდა, მაგრამ ჰყონდილობის გვერდით ერთადერთ მისაღებ კონიექტურად ეჩვენა გადამწერს).

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბასილი ეზოსმოდღვარის ამ ცნობის მიხედვით მიქაელ კათალიკოზი მაწყვერელი არ ყოფილა (ამის საბუთად ისიც გამოდგება, რომ ესევე ავტორი მიქაელ კათალიკოზს უფრო გვიან მაწყვერელად აღარ იხსენიებს..), არამედ მას „მოევერაგა უფლისაგან“ ჰყონდილელ-მწიგნობართუხუცესობა“ (ასევე კომპოზიტის ფორმით აქვს აღნიშნული ეს ჯელი ამავდროულად მეორეჯერაც: „მოკუდა ქართლისა კათალიკოზი, ჰყონდილელ-მწიგნობართუხუცესი“...).

ი. ცინცაძე, გატაცებული საკუთარი კონცეფციით, საჭირო ყურადღებას ვერ აქცევს წყაროების იმ ჩვენებებს, მის დასკვნებს რომ არ ეთანხმებიან. ჯერ ერთი, ასეთი საკითხების მკვლევარს, ი. ცინცაძეს, უნდა სცოდ-

* აქ ბატონის ქვეშ შეიძლება დაცული იყო ფორმა მწუთ ან, კიდევ უფრო სანტიტარსო. მწუთ (=მწიგნობრეთ) შდრ. ვ. დონდუა „ლიბარიტეთ“ და სხვ. უნივერსიტეტის „შრომები“, 32-ბ).

ნოდა, რომ ამ დროს ტერმინი „ჰყონდიდელი“ უპირატესად მწიგნობართუხუცესს ნიშნავდა, რომ ტერმინები „ჰყონდიდელი“, „ჰყონდიდლობა“, „მწიგნობართუხუცესისა“ და „მწიგნობართუხუცესობა“-ს შესატყვისობით იხმარებოდა, რომ კომპოზიტის—„ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა“—შემადგენელი ნაწილები შინაარსის თვალსაზრისით გაიგივებული იყო.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ავტორს უნდა მეტი ყურადღება მიექცია წყაროს ჩვენებათათვის. ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით: „მოკუდა ქართლისა კათალიკოზი, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ქართველი მირიანის ძე მიქაელ“ (ბ. ე—მ. 118), და თამარმაო „მოიყვანა ანტონი გნოლისთავის ძე გარეჯით, რომელ პირველ ჰყონდიდელ[ი] იყო და მიქაელ კათალიკოზმან მას მისტაცა მოძმაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახთათა... ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჰყონდიდი სამთავისი, კისისწვევი და მწიგნობართუხუცესობა“ (ბ. ე—მ. 18).

ი. ცინცაძის კონცეფცია ასეთია: 1184 წელს ანტონ გნოლისთავის ძე ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია. ამის საბუთია თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა, რომ გიორგი III გარდაცვალებისას სამეფო სასახლეში თამარს შეხვდნენ „მიქაელ პატრიარქი ყოველთა ებისკოპოზთა თანა მდგომი და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ და სხვანი ჯელისუფალნი“ (ი. ა. 72); 1184/85 წელს მიქაელ კათალიკოზმა „მოიფერავა უფლისაგან“ ჰყონდიდლობა, რომელიც მან ამით „მწიგნობართუხუცესობას მოსწყვიტა“. ამის საბუთია, ჩვენი ავტორის აზრით, ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობა, დამახინჯებული სახით რომ არის ჩვენამდე მოღწეული: „ჰყონდიდელ მაწყვერელთუხუცესობა მოეფერავა უფლისაგან“ (ბ. ე—მ. 16).

შემდეგ, უფრო გვიან, მიქაელ კათალიკოზმა მწიგნობართუხუცესობაც მისტაცა ანტონ გნოლისთავისძეს. ამის საბუთი ისაა, რომ მიქაელ კათალიკოზი გარდაცვალების ჟამს „ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა“ (ბ. ე—მ. 18). და ჩვენს ავტორს საბუთიერად მიაჩნია ვარაუდი, რომ მიქაელ კათალიკოზმა მწიგნობართუხუცესობა ანტონის „მისტაცა“ რუსი უფლისწულის გამეფების შემდეგ და მისივე წყალობით. უკანასკნელ გარემოებას უნდა ჰგულისხმობდეს, მკვლევარის აზრით, ბასილი ეზოსმოძღვარის გამოთქმა: „მისტაცა მოძმაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახთათა“ (ბ. ე—მ. 18).

ამრიგად, ჩვენი ავტორის აზრით მიქაელ კათალიკოზმა პირველად ჰყონდიდის ებისკოპოზობა წაართვა ანტონის, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესობა.

მაგრამ როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში ანტონი ჰკარგავს, ხოლო მიქაელი მოიფერავებს თუ მიიტაცებს „ჰყონდიდლობას“ (პირველ შემთხვევაში, წყაროს ჩვენებისდა მიუხედავად, ი. ცინცაძე ამტკიცებს, რომ მიქაელმა მხოლოდ „ჰყონდიდლობა“—ჰყონდიდის ებისკოპოსობა მოიფერავაო, ხოლო მეორე შემთხვევაში თვით წყარო აჩვენებს უდავოდ, რომ ანტონი „პირველ ჰყონდიდელ [ი] იყო და მიქაელ კათალიკოზმა მას მისტაცა მოძმაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახთათა“). ჩვენი ავტორი კი ერთ შემთხვევაში „ჰყონდიდლობაში“ მხოლოდ ჰყონდიდის ებისკოპოსობას ჰხედავს, მეორე შემთხვევაში კი „ჰყონდიდელში“ ის ჰყონდიდის ებისკოპოსობას აღარ ჰხედავს, არამედ მხოლოდ მწიგნობართუხუცესობას.

ასე, რომ მცდარი ჩანს მოსაზრება, თითქო მიქაელ კათალიკოზმა პირველად ჰყონდიდელ-ეპისკოპოზობა მოივერა-ვა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესობა მიიტაცა. წყარო (ბასილი ეზოსმოდვარი) ორივე ცნობაში ერთ ფაქტს გულისხმობს, როცა მიქაელ ქართლისა კათალიკოზმა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა მოივერა-ვა უფლისაგან „მომძაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახთათა“ (ჩვენ აქ აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ჩვენს ავტორს არ ესმის სწორად ტერმინი „მეფის განმზრახნი“. ეს ტექნიკური ტერმინია ისევე, ვთქვათ, როგორც გვიან ფეოდალურ ხანაში „მუსაპიბი“, და, მაშასადამე, არ იძლევა საბუთს „მეფე“-ში მინც და მინც რუსი უფლისწულის ვარაუდისას). თუ როდის მიიტაცა მიქაელ კათალიკოზმა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა, ეს ცალკე კვლევის საგანია და აქ ამ საკითხისათვის გამოდევნება ჩვენი საქმე არაა. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით ვკმაყოფილდებით, რომ ისტორიული სურათი ი. ცინცაძემ რომ სცადა აღედგინა, წყაროთა მონაცემებს არ ეთანხმება (ჩვენ აქ, ამის შემდეგ, აღარც იმის შესახებ საუბარს დავიწყებთ, თუ როგორ და რაში ცდება ჩვენი ავტორი, როცა ამტკიცებს, რომ მიქაელმა „ჰყონდიდლობა მოსწყვიტა მწიგნობართუხუცესობას“ და ამით „ეკლესია ცენტრალურ ხელისუფლების გავლენისაგან დაიხსნა“ (102). აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ასეთი დასკვნები საქართველოს ისტორიის სპეციალური საკითხების არასაკმაო შესწავლის ნიადაგზე წარმოდგარი შეცდომებია).

გარდა მიქაელ კათალიკოზისა ი. ცინცაძეს რუსი უფლისწულის მეოხებით დაწინაურებულად მიაჩნია აბულასან მეჭურჭლეთუხუცესი (197). თავისთავად ასეთი ვარაუდი მართებულია. საჭიროა ოღონდ საამისოდ საკმაო არგუმენტი. ასეთი კი არა ჩანს. სამწუხაროა აგრეთვე, რომ ჩვენს ავტორს პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“ არც აქ მოჰკონებია.

ამის შემდეგ ი. ცინცაძე კანონიერად სვამს საკითხს: „რით მიიზიდა რუსი უფლისწულმა საქართველოს მმართველი კლასის გარკვეული წრეები და ეკლესიის მეთაურნი“ (108) და აწარმოებს კვლევას იმის შესახებ, თუ ვინ იყო რუსი უფლისწული. რუსული წყაროების მოშველიებით ის საინტერესო ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის ხსენებული უფლისწულის შესახებ და დამაჯერებელი ჩანს აგრეთვე მოტივაცია მისი საქართველოში წამოსვლისა (108—117). ჩვენი ავტორი უთუოდ მართალია, როცა ფიქრობს, რომ თამარის ქმრად რუსი უფლისწულის მოწვევა გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენებთან კავშირში უნდა იქნეს განხილული. ამის საბუთი უთუოდ არსებობს (მთელი აჯანყება). მაგრამ მკვლევარი მეტისმეტად ამარტივებს საკითხს, როცა ვარაუდობს, რომ უფლისწულის უთვისტომობა „ქართველ დიდებულთა გარკვეული წრეებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი და მიმზიდველი უნდა ყოფილიყო“ (119). იმიტომ, თურმე, რომ „უთვისტომო გიორგის აქ საქართველოს სამეფო კარზე ადგილობრივ გაბატონებულ წრეში დასაყრდენის ძიებაზე უნდა ეზრუნა“ (იქვე), „ამდენად იგი საშიში ვერ იქნებოდა გაბატონებულ და მებრძოლ დიდგვარიან აზნაურთა გარკვეულ წრეებისათვის“ (იქვე).

ჯერ ერთი, „ქმარი-მეფე“ რომ უთვისტომო არ ყოფილიყო, ის ვითომ ვის დაეყრდნობოდა, თუ არ „გაბატონებულ წრეს“? მეორეც, არ ჩანს, რომ რუსი უფლისწულის შემოყვანის შემდეგ განვითარებული პოლიტიკური მოვლენები ავტორის ამ ვარაუდებს უჭერდნენ მხარს. მაინც და მაინც ავტორი უნდა ცდილიყო ეს მოვლენები შეეთანხმებია თავის თეორიასთან, ან უკეთ, ეს თეორია ამ მოვლენათა ანალიზიდან გამოეტანა.

უთვისტომო მოიყვანეს, უძლიერეს დასს დაეყრდნო. ვინდა გააძევა ის? როცა რუსი შემოიყვანეს „თანადგომა-ერთნებაობის“ წესი უკვე გატარებული იყო. როგორ შეეძლო ამ უთვისტომო მეფეს, რომელიც უძლიერესთა დასს ეყრდნობოდა, ამათი ნების გარეშე ვილაკაები დაწინაურებია? ვარდანი, გუზანი, ბოცო—ერთნებაობის წესის შედეგად დაწინაურებულნი—რატომ აჯანყდნენ? საფრთხე ელოდათ? ვისგან? სულ ყველაფერი შეუსწავლელია...

რუსი უფლისწულის ყივჩაყეთიდან მოყვანასთან დაკავშირებით ჩვენი ავტორი ვაკვრით ეხება საქართველოსა და ყივჩაყეთის ურთიერთობას XII საუკუნეში. ის ყურადღებას აქცევს ქართული წყაროების მონაცემებს და საბუთიერად დასკვნის, რომ „XII საუკუნის მიწურულს (გიორგისა და თამარის მეფობაში) ყივჩაყეთი საქართველოს უშუალო გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნად უნდა მივიჩნიოთ, თუ მთელი ყივჩაყეთი არა, ნაწილი მაინც“ (124). საცილობელი აქ შესაძლებელია მხოლოდ ის იყოს, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს „უშუალო გავლენა“, ფორმალური საპატრონჟო ურთიერთობის სახით, როგორც ეს ი. ცინცაძეს ჰგონია, თუ უფრო განსხვავებული დამოკიდებულების სახით მდიდარსა და კულტურულ სამეფოს ერთის მხრით და უკულტურო, ღარიბ მომთაბარეთა შორის—მეორეს მხრით. უკანასკნელი ვარაუდი ჩვენ უფრო საბუთიერად გვეჩვენება.

არაა აგრეთვე საფუძველს მოკლებული ჩვენი ავტორის გუმანი, რომ რუსი უფლისწულის „კანდიდატურის წამოყენება“ შესაძლებელია „მისი ამ მიმართულებით წინასწარ გადადგმული ნაბიჯის შედეგი იყვეს. მას შეეძლო ყივჩაყეთში გაცნობოდა საქართველოს ტახტზე არსებულ მდგომარეობას და მოლაპარაკება ეწარმოებინა საქართველოს ზოგიერთ დაწინაურებულ პირთან ვაჭრების საშუალებით, მათ შორის აბულასანთანაც“ (125).

მართალი ჩანს ჩვენი ავტორი, რომ ყივჩაყეთი XII საუკუნეში რუსთა და ქართველთა მშვიდობიანი შეხვედრების ცხოველი ასპარეზი უნდა ყოფილიყო, რომ ყივჩაყეთის მეშვეობით რუსეთის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები საქართველომდე მოდიოდა (125).

სწორია და ფასიანი ავტორის მიერ რუსული წყაროებიდან შემოკრებილი ცნობები კიევის დიდი მთავრის იზიასლავის ქორწინების შესახებ ქართველ დედოფალზე (135—157). საესებით ახალი, კიდევ უფრო საინტერესოა ავტორის დაკვირვება ვოლინელ მემატინის ცნობაზე და იმ ფაქტის მართებული დადგენა, რომ რუსი დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახოსის შეტევითომები ყივჩაყთა წინააღმდეგ და დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ყივჩაყთა გადმოყვანა 1118 წელს უშუალო კავშირში იმყოფება ერთი მეორესთან (157—174).

ჩვენი ავტორის განსაკუთრებულ დამსახურებად დარჩება ამ ფაქტის დადგენა, რომლითაც მან მნიშვნელოვანი სამსახური გააუწია ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი დავითის ეპოქის შესწავლის საქმეში.

საერთოდ, მთელი ამ პირველი და მეორე თავის შესახებ შეიძლება ითქვას:

ავტორის წარმატებაა, რომ მან აქამდე ცნობილი ფაქტების ახალი შეწყობით და უცნობი ფაქტების აღმოჩენით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უწყვეტი სურათი XI—XII საუკუნეთა სიგრძეზე უდავოდ დაადგინა. მაგრამ სანანებლად მკითხველს ისა რჩება, რომ ავტორი ამ ისტორიული ფაქტების დადგენის იქით არ მიდის, რომ ამ ურთიერთობის ბუნებას არ იკვლევს.

ამიტომაცაა, რომ ი. ცინცაძეს, მაგალითად, ერთხელაც არ მოსდის თავში კითხვა იმის შესახებ, თუ რა იყო მიზეზი, რომ ქართული ისტორიული მწერლობა უძველესი დროიდანვე პირმიქცეული ჩანს აღმოსავლეთ-სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რომ ამ მწერლობის წარმოდგენაში ჩრდილოეთი ბარბაროსთა ქვეყანაა, „ხაზარეთი“ და „სკვითეთია“. ეს ფაქტი განა ურთიერთობის ბუნებაზე არაფერს ლაპარაკობს?

მრავალმეტყველია ჩვენი ავტორის მიერ შემოკრებილი ცნობები. X საუკუნეში იწყება რუსთა და ქართველთა ურთიერთინაცნობობა.

XI საუკუნეში ეს ურთიერთობა ამ ორ ხალხს შორის კიდევ უფრო ძლიერი ჩანს, როგორც ბიზანტიის მეშვეობით (კეისრის კარი, კონსტანტინოპოლი), ისე უშუალო შეხვედრებითაც (ტმუტარაკანი?). შეიძლება მტკიცება, რომ XI საუკუნეში ქართველები ქირაობენ ვარანგებს (ბაშელები...).

XII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური წონა ახლო-აღმოსავლეთში განსაკუთრებით იზრდება. ის ბიზანტიის თანასწორობას ჩემობს. ამ დროს მისი პოლიტიკური და კულტურული გავლენა იმიერკავკასიაში სრულიად უდავოა. კიევის რუს მთავრებს, რაღა საეჭვოა, საქართველოზე გარკვეული ცოდნა ჰქონდათ. ქართველებსაც საკმაოდ უნდა სცოდნოდათ რუსთა დიდი სამთავრო. თუ ინტენსიური პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა არა, ქართველი დედოფლის გათხოვება იზიასლავზე ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა. ყივჩაყეთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოსაშუალებე ჩანს, თუმცა პირდაპირი კავშირიც, უეჭველად სავარაუდებელია: ზღვის გზა. ამ მწკრივში თამარის საქმროდ რუსი უფლისწულის შერჩევის ფაქტს სრულიად ახალი შუქი ეფინება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ორ ხალხს შორის ურთიერთობის კვლევისას ეს არის შრომის პირველი საფეხური. შემდგომი, და უმთავრესი, ამოცანაა ამ ურთიერთობის კვალიფიკაცია: როდის როგორია ეს ურთიერთობა, ვინ ვის როგორ საპირობებს, ვინ ვის როგორ უყურებს, ვინ ვისგან უპირატესად სესხულობს, ვინ ვის უპირატეს გავლენას განიცდის და სხვ.

სამწუხაროა, რომ ი. ცინცაძე საკითხის აგრე შესწავლას არ ცდილა.

შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ ჩვენს მკვლევარს არ აგონდება კედლის მხატვრობა დიდ ნოვგოროდში (ნერედიცი 1185 წლისა), რომლის შე-

სახებ არსებობს საფუძვლიანი. მოსაზრება, რომ ეს მხატვრობა (მისი გარკვეული ნაწილი მაინც) ქართველი ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

დასკვნა: ი. ცინცაძის დამსახურება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფაქტების დადგენაში უდავო და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ურთიერთობის მის მიერ კვლევა (კვლევის ხასიათი) უთუოდ ნაკლებია.

ავტორის მიერ დადგენილი ურთიერთობის ფაქტები შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის. სამწუხაროდ, ესევე არ ითქმის ავტორის შტუდიებზე საკუთრივ საქართველოს ისტორიის სფეროდან. აქ მისი ცდები უმეტეს შემთხვევაში მარცხის უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამის შემდეგ ავტორი ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს XIII—XIV საუკუნეებში. აღნიშნული ხანისათვის ასეთი ურთიერთობის ცნობებს მკვლევარი ვერ პოულობს. მაგრამ ეს არ იქნებოდა, ვფიქრობთ, საკმაო იმაში დასარწმუნებლად, რომ „მონღოლთა ბატონობამ XIII საუკუნემდე არსებული ურთიერთობის ძაფი გაწყვიტა ძველ რუსეთსა და საქართველოს შორის“ (200). ასეთი ურთიერთობა, შექველია, განელებულ-გაძნელებული, უნდა არსებებოდა XIII—XIV საუკუნეებშიაც. საქართველოს მხრით ამის შესაძლებლობა გამორიცხული არ ჩანს—(დიდ ვაჭრობა შავი ზღვით...). თათართა ბატონობა თავისთავად (სუბიექტურად) ხელს არ უშლიდა ხალხთა შორის მშვიდობიან სავაჭრო ურთიერთობას. ხოლო XV საუკუნიდან ხომ სრულიად უტყუარი სურათი გვაქვს იმისა, თუ როგორ ხერხდებოდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ხალხთა შორის სავაჭრო (თუ არასავაჭრო) ურთიერთობა ასტრახან-ვოლგის მეშვეობით. არა გვაქვს საბუთი გამოვრიცხოთ საქართველოს ვაჭრები ამ ურთიერთობიდან. პირიქით, ალექსანდრე მეფის წიგნი 1492 წელს მოსკოვის მეფესთან ამ ურთიერთობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს სწორედ.

ვერაა მარჯვე მეოთხე თავის დასათაურება: „პირველი ცნობები XV საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან“. როგორც ირკვევა, ამ საუკუნიდან ჩვენი საკითხისათვის მხოლოდ ერთი ცნობა მოგვეპოვება და ისიც 1491/1492 წლისა. ასე, რომ აქ არც „პირველი“ და არც „ცნობები“.

აღნიშნული თავის დასაწყისში ავტორი სწორად შენიშნავს, რომ XV საუკუნეში მონღოლთა „ძლიერების დაცემას მოსკოვის რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის განახლება მოჰყვა, მაგრამ შინაარსით, წინა ხანასთან შედარებით, განსხვავებული“ (200). ჩანს, ავტორი ამჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მონღოლთა შემდგომი ხანისა შინაარსით განსხვავებულია ამის წინააღმდეგ ურთიერთობისაგან. სამწუხაროა, რომ ავტორი გულდაგულ არ მოეკიდა ამ კეთილ აზრს და, შემთხვევით წარმოთქმული, მან ის დაუსაბუთებელი დატოვა. რით და რაში იყო ეს ურთიერთობანი ერთი მეორისაგან განსხვავებული, რა ნიშნის მიხედვით შეიძლება რუსეთ-საქარ-



თველოს ურთიერთობის დაყოფა ასეთ ორ ხანად (რა თქმა უნდა, „მონღოლების ძლიერების დაცემა“ არც ქრონოლოგიურ ნიშნად გამოდგება და არც სხვა რაიმე ნიშნად). ასეთი განმასხვავებელი ნიშანი, სწორია ავტორის გუमानი, ამ ურთიერთობის შინაარსში უნდა ვეძიოთ. ი. ცინცაძე, როგორც ჩანს, ამჩნევს ამ განსხვავებას. მით უფრო სამწუხაროა, რომ ის არ ცდილა დაემუშაებინა ეს საკითხი და მკითხველისათვის ეჩვენებია იგი. სწორედ ესაა ის უმთავრესი, რაც ამ შრომას აკლია.

ი. ცინცაძე აკვირდება რუსულ კვინკლოსურ ცნობას იმის შესახებ, რომ 1492 წლის ზამთარში მოსკოვის დიდ მთავარს ივერიის ქვეყნიდან ჰბლებია ალექსანდრე მთავრის ელჩი მურატი: „Тоя же зимы прииде посол к великому князю из Бѣверския земли от князя Александра именем Мурат“. ამ ცნობასთან კავშირში ი. ცინცაძეს მოაქვს მეორე საბუთი. ესაა ალექსანდრე ივერთა მეფის მოკითხვის წიგნი მოსკოვის დიდ მთავართან. ამ უკანასკნელი დოკუმენტის თარიღი სადაოა. ჩვენი ავტორი ზედმიწევნითი და საბუთიერი მსჯელობით არკვევს, რომ ხსენებული დოკუმენტი XV საუკუნის მიწურულს უნდა ეკუთვნოდეს (203—211), მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ დროს საქართველოში ორი ალექსანდრე ერთად მეფობდა: კახეთში და ლიხთიმერეთში. ამ საკითხის გადასაწყვეტად—თუ რომელს ამ ალექსანდრეთაგანს ეკუთვნის ეს საბუთი—ავტორი აკვირდება მოკითხვის წიგნის ბოლო აბზაცს, სადაც „ივერის“ მეფე ასახელებს თავის ელჩებს: „И еще сведомо буди, много государю челом бьючи, Наримана, Дамяна к твоему порогу послали есмя; Хоземарума шекинца в товарищех с ними же послали есмя“.

აქ ჩვენი ავტორის ყურადღების საგანია ელჩობის ერთ-ერთი მონაწილე Хоземарум Шекинец. მკვლევარი საბუთიერად ასწორებს: მარი ბროსესა და ს. ბელოკუროვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ Шекинец არ ნიშნავს ჩეჩენეცს და შემოაქვს უფრო მისაღები კონიექტურა, რომ აქ აღნიშნული პირის სადაურობაა მოცემული: შაქელი (214—215). ავტორის ეს მსჯელობა იმ მხრითაა ნაკლული, რომ ეს შაქელი კაცი მას თავადი ან აზნაური ჰგონია და საკითხს ამის მიხედვით სწყვეტს კახეთის მეფის სასარგებლოდ (215). მკვლევარი არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ ეს Хоземарум Шекинец ვაჭარი შეიძლება იყოს. „ხოზემარუმი“ აზნაურობა ან თავადობა ამ დოკუმენტიდან სრულიადაც არა ჩანს, ხოლო იმის საწინააღმდეგო არაფერი ითქმის, რომ ეს პირი ვაჭარი ვინმეა. მაგრამ თუ „ხოზემარუმი“ მხოლოდ „შაქელი“ ვაჭარია და მისი შაქელობა ამ ელჩობასთან არაფერ შუაშია, მაშინ ის ისევე ადვილად შეიძლება ვთავაზობდეს ვაჭალოდა კახეთის მეფის ელჩებს, როგორც იმერეთის მეფის ალექსანდრეს ელჩებს. ხოლო თუ ეს ვაჭარი აქ შაქელობით დასახელებულია ამ ელჩობასთან მისი სამშობლოს (შაქი) დაკავშირებით, მაშინ უეჭველია, რომ ელჩობის ორგანიზატორ ალექსანდრე მეფეს შაქე როგორღაც ხელი მიუწვდება და რომ, მაშასადამე, ეს ალექსანდრე მეფე კახელი და არა იმერელი შეიძლება იყოს. ამის შემდეგ ი. ცინცაძე საკითხს სვამს ზემოაღნიშნული კვინკლოსური ცნობის ურთიერთობის შესახებ ალექსანდრე კახთა

მეფის ამ „წიგნთან“. ის სწორად შენიშნავს, რომ 1491 წელს გაგზავნილი ეს წიგნი (და ელჩობა), როგორც ეს აღნიშნულია ამ დოკუმენტში, მოსკოვს მართლაც 1492 წლის ზამთარს მივიდოდა. ასე რომ ქრონოლოგიური დაბრკოლება ამ ორი ცნობის გაიგივებაში არა ჩანს. მაგრამ დაბრკოლება ისაა, რომ კვინკლოსურ ცნობაში, როგორც ვხედავთ, ელჩი ერთია და არა სამი, როგორც ეს „მოკითხვის წიგნში“ დასახელებული, და ამ ელჩის სახელიც სხვაა—**Мурат**.

ჩვენი ავტორი ცდილობს მოუაროს ამ დაბრკოლებას (215—219). ის საბუთიერად უარყოფს იქ რაიმე სხვა ელჩობას იმერთა თუ კახთა მეფისაგან და ვარაუდობს, რომ კვინკლოსურ ცნობაში დასახელებული **Мурат** შეიძლება „მოკითხვის წიგნში“ დასახელებული **Нариман**-ის დამახინჯება იყოს (219).

სამწუხაროდ, ავტორი არ გვიჩვენებს, თუ სად, რატომ და როგორ უნდა მომხდარიყო **Нариман**-ის გადამახინჯება **Мурат**-ად (ავტორის საამისო მაგალითები დამაჯერებელი არაა: გრემი—**Крым**, ალავერდი—**Лаверди**, ლევან—**Леонтей** ყველა ადვილად გასაგებია. არც ხორეშან—**Христина** არის აუხსენელი. მაგრამ **Нариман** და **Мурат** ერთი მეორეს ვერ დაუახლოვდება ვერც ბგერითი მიმსგავსებით და ვერც ქრისტიანულად გაშინაარსებით).

გაცილებით უფრო ბუნებრივად გვეჩვენება კვინკლოსის **Мурат** მოკითხვის წიგნის **Хоземарум**-ად გავიგოთ. ასეთ კონიექტურას ჩვენი ავტორი უმართებულოდ უარყოფს (მას თავისდათავად შეუძლებლად არ მიაჩნია, რომ **Хоземарум** ბერძნული დამწერლობის ნიადაგზე მიღებული იყოს ჰაჯი მურატ-ისაგან)—219.

საქმე შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ დანიშნულ ელჩობაში შედიოდნენ ორი ქართველი (თუ ქრისტიანი) და ერთი შაქელი კაცი. ეს უკანასკნელი იყო ვაჭარი—„ხოჯა“ და მისი სახელი იყო **Мурат** (ან **Марум**) „**Хозе марум**“-ში ეს ხოჯა ჩანს (ისე როგორც რუსული წყაროების **Ази Хосров** არის ჰაჯი ხოსროვ და სხვა.). ხოჯა ამ დროს ჩვეულებრივ ვაჭარს („დიდ ვაჭარს“) აღნიშნავდა, ხოლო დიდვაჭრების მონაწილეობა ელჩობაებში ცნობილი ამბავია. ელჩობა შემდგარა. ნარიმანი (თავადი?) და დამიანე (ბერი?) ვერ მისულან საელჩოდ (შეიძლება ალექსანდრე მეფეს რაიმე მიზეზის გამო ისინი არც გაუგზავნია. „გამოსაჩვენებელი წიგნში“ რომ არიან დასახელებული, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, თითქო ამ პირთა შეცვლა ან ელჩობის მონაწილეთა რიცხვის შემცირება არ შეიძლებოდა. საამისო მაგალითი ჩვენ გვაქვს კიდევაც XVI საუკუნის 90-იანი წლებიდან) და ელჩობა შეუსრულდება შაქელ ვაჭარს ხოჯა მურადს. (ეს სახელი ალექსანდრე მეფის წიგნის რუსული თარგმანის გადანაწერში **Хозе марум**-ად ქცეულა). კვინკლოსურ ჩანაწერში ამ რთულ სახელს ტიტული ხოჯა (-**Хозя**)— ჩამოსცილებია და გადარჩენილია მარტივი **Мурат**.

შემდეგ ი. ცინცაძე გადადის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შინაარსის განხილვაზე. ალექსანდრე მეფის ზემოაღნიშნული წიგნი საამისო რაიმე პირდღიპირ ცნობას არ იძლევა. მიუხედავად ამისა ჩვენი ავტორი ფიქრობს, რომ ეს გარემოება ვერ იქნება დაბრკოლება იმისათვის, რათა ჩვენ ეს წიგნი პოლიტიკური ურთიერთობის მაჩვენებელ დოკუმენტად ვივარაუდოთ.

ამ მიზნით ი. ცინცაძე მოკლე ისტორიული ექსკურსით აცნობს მკითხველს იმ დროის მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკურ ვითარებას, მის სწრაფ ზრდას, მის ურთიერთობას ერანთან; შარვანის ხანთან, მის ვაჭრობას ამ ქვეყნებთან. ყურადღებას აქცევს ოქროს ურდოს საბოლოო დასუსტებას და დაასკვნის: „ყველა ზემოდ მოტანილი ფაქტები ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კახეთის მეფეს მოსკოვის შესახებ საკმაო ინფორმაცია უნდა ჰქონოდა და ელჩების გაგზავნა წმინდა პოლიტიკური ხასიათის მიზნებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ალექსანდრეს წერილში რომ არაფერია ამის შესახებ, სწორედ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ელჩს საიღუმლო პოლიტიკური ხასიათის დავალებები ჰქონდა“ (228—229).

არ გვეჩვენება, რომ ასეთი დასკვნა შეთანხმებულ იყოს რუსეთისა თუ საქართველოს ყველა იმ დროს ცნობილ საგარეო ურთიერთობის საკითხებთან.

ასეთი მსჯელობის უფლება მკვლევარს მაშინ ექნებოდა, თუ—1. ალექსანდრე მეფის წიგნში ამის მაჩვენებელს რასმე აღმოაჩენდა, ან არა და, 2. დაამტკიცებდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფეს, „საკმაო ინფორმაციის“ მქონეს მოსკოვის სახელმწიფოს. შესახებ, შეეძლო თავისი რეალური პოლიტიკური მიზნების შესაბამისად ასეთი ელჩობა მოსკოვს გაეგზავნა.

ჩვენი ავტორი ამას ვერ ამტკიცებს. მოსკოვი ჯერ ოსმალეთს არსად შეხვედროდა; ოსმალეთი კი იყო ამ დროს საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის საგანი (ამით აიხსნება, რომ კონსტანტინე მეფე რუსეთზე გავლით ესპანეთში გზავნის ელჩს ოსმალეთის წინააღმდეგ ქრისტიანული სახელმწიფოების კოალიციის შექმნის მოწოდებით და ამ კოალიციაში მოსკოვის სახელმწიფოს არც კი ჰგულისხმობს). ოქროს ურდო და მისი ნამსხვრევები, მოსკოვის დიდი მთავრის ყურადღების საგანი რომ იყო, საქართველოს სრულიად არ აინტერესებდა. ამავე დროს თვით ი. ცინცაძე ამტკიცებს, რომ მოსკოვის პოლიტიკა ამ დროს არ შეიძლებოდა კავკასიონს მოსწვდომოდა. მაშ რა და სად იყო მოსკოვ-საქართველოს (კახეთის) რეალური საგარეო პოლიტიკის შეხვედრის წერტილი? თუ ეს არ იქნა აღმოჩენილი, უქმია საუბარი იმის შესახებ, თითქოს ალექსანდრე კახთა მეფის „მოკითხვის წიგნს“ იქით რაღაც კონკრეტული პოლიტიკური ამბები იგულისხმება.

შემდეგ (229—231) ი. ცინცაძე მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელი მიმართულებით უნდა ემგზავრათ ალექსანდრე მეფის ელჩებს კახეთიდან მოსკოვამდე. ავტორი ითვალისწინებს სხვადასხვა მარშრუტს, მაგრამ მხედველობიდან გამორჩენია, როგორც ჩანს, კახეთ-თარღუს გზა (ძველი „ბელაქნის გზა“), რომელიც კახელების აზრით ყველაზე მოხერხებული იყო კახეთიდან ჩრდილოეთისაკენ (კასპისპირეთ-ვოლგისპირეთი) სამოგზაუროდ და, როგორც ეს კახთა მეფის ალექსანდრე II მოწმობიდან საგულისხმებელია, ამ გზის უდიდესი ნაწილი (კავკასიონზე) XV საუკუნეში ჯერ კიდევ კახეთის მეფის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ მეოთხე განყოფილების დასასრულს ავტორი ეხება „ყველაზე უფრო საინტერესო“ საკითხს, თუ „რით იყო გამოწვეული ასეთი შორეული (sic)

მოგზაურობა და რა დავალებით გაიგზავნა ელჩები მოსკოვის მთავართან“ (231).

ი. ცინცაძე საბუთიერად უარჰყოფს კარამზინის და ბაქრაძის მოსაზრებას, თითქო ამ ელჩობით კახეთის მეფე მფარველობას სთხოვდა მოსკოვის დიდ მთავარს; ეკამათება ბელოკუროვის და იცავს ბროსეს, რომელიც ფიქრობდა, რომ ამ ელჩობით ალექსანდრე მეფე ულოცავდა მოსკოვის დიდმთავარს ყაზანის სახანოს დამორჩილებას, 1487 წელს რომ მოხდა. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენი ავტორი ფიქრობს, რომ ამ ელჩობას „იმავე სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის მისია ეკისრებოდა უდაოთ“ (238) და ი. ცინცაძე ვარაუდობს: „შესაძლებელია ალექსანდრე კახთა მეფეც თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნაში იყო ჩაბმული და მოსკოვის მთავართან ამ კოალიციაში მონაწილეობის მისაღებად ელჩები გაგზავნა სხვა ქართველ მეფეებთან შეთანხმებით“ (238). „ასეთი შესაძლებლობა არის“, დაასკვნის ჩვენი ავტორი, თუმცა „ამის დასაბუთება ჯერჯერობით არ ხერხდება“ (238).

ჩვენს ავტორს, რა თქმა უნდა, მოეხსენება, რომ „შესაძლებელსაც“ საკმაო საფუძველი სჭირია. სამწუხაროდ, ის თავს არ იწუხებს ასეთი საფუძველის ჩვენებით.

მართლაც და, ი. ცინცაძე თვითონვე აღნიშნავდა ზემოთ, რომ მოსკოვის სახელმწიფოს ამ დროს ჯერ კიდევ ოსმალეთთან უშუალო შეხების წერტილი არსად ჰქონია. არც ის აქვეებს ჩვენს ავტორს, რომ ქართველები კარგად ერკვეოდნენ საერთაშორისო ხასიათის პოლიტიკურ მოვლენებში და მათ მოქმედებას ამ სფეროში საჭირო სიფრთხილე და სიფხიზლე ახასიათებდა. თუ ეს ასე იყო, როგორღა უნდა გაეგზავნა ალექსანდრე მეფეს (ისიც „სხვა ქართველ მეფეებთან შეთანხმებით“) ელჩობა „მოსკოვის მთავართან ამ კოალიციაში (ე. ი. ოსმალების წინააღმდეგ) მონაწილეობის მისაღებად“? რატომ კონსტანტინე მეფემ, ხსენებული კოალიციის ამ აქტიურმა მოღვაწემ, არ გაუგზავნა ასეთი ელჩი მოსკოვის მთავარს? აქვე ერთი კითხვაც: თუ ალექსანდრე კახთა მეფე, ქართველი მეფეების სახელით, მოსკოვის დიდ მთავარს ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციაში მოუწოდებდა, რატომ ამისი კვალი რაიმე არა ჩანს მის წიგნში? ვითომ სიფრთხილით აიხსნება ეს? თითქო, არა. მაშინ კონსტანტინე მეფე, ოსმალეთის წინააღმდეგ რომ მოუწოდებდა ესპანეთის კოროლს, რუსეთზე გავლით არ გაგზავნიდა თავის ელჩს, აღჭურვილს ასეთი წერილობითი მოწოდებით. კონსტანტინე მეფის მოქმედებიდან ჩანს თითქო: 1. რომ გზა საქართველოდან რუსეთისაკენ ამ მხრით ჯერ კიდევ უშიშარი იყო, ე. ი. ოსმალთა კონტროლი ამ გზაზე არავითარი არ იგულისხმებოდა და 2. რომ საქართველოში ამ დროს მოსკოვის რუსეთი ოსმალეთის მიმართ ინდიფერენტულად განწყობილი ეგულებოდათ. ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა მოწმობდეს ალექსანდრეს წერილიც...

მაინც და მაინც ჯერ ასეთი კითხვების პასუხზე უნდა ეზრუნვა ჩვენს ავტორს, ვიდრე მის მიერ ნავარაუდევს როგორც „შესაძლებელს“ დააკვალიფიცირება.



საკმაოდ მოქარბებული მსჯელობის შემდეგ (231—239) ჩვენი ავტორი აცხადებს: „ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ალექსანდრე მეფის ელჩების მიზნის დანამდვილებით გარკვევა შეუძლებელია“ (239). ავტორი მართალია, რომ „დანამდვილებით გარკვევა შეუძლებელია“, მაგრამ ყველა მონაცემისაგან უფრო შესაძლებელის გარკვევა მკვლევარის ვალაა. არა ჩანს, რომ ჩვენი ავტორის გუშმანი (ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიცია) ასეთი იყო.

მაინც 1492 წლის ამ ელჩობის შესახებ უფრო გარკვეული რამ თითქო შეიძლებოდა თქმულიყო. რატომ კახთა მეფე გზავნის ამ ელჩებს და არა ქართლის მეფე კონსტანტინე? ოსმალეთის საკითხი რაიმე მხრით იყო აქტიური ხასიათისა კახეთის მეფისათვის ამ დროს თუ არა? და თუ ოსმალეთი არა, თურქმანების ერანი შეიძლებოდა თუ არა ალექსანდრე კახთა მეფის რეალური სავარგო პოლიტიკის საგანი ყოფილიყო მოსკოვის რუსეთთან ურთიერთობაში?

XVI საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მოსკოვის სახელმწიფო ყაზანსაც ფლობს და ასტარხანსაც, კახეთის მეფე (ლევანი) ფრთხილად ზვერავს მოსკოვის მეფის შესაძლებლობას და მის პოლიტიკურ დაინტერესებულობას ახლო-აღმოსავლეთში. დასაშვებია, რომ XV საუკუნეში, როცა მოსკოვის სახელმწიფოს საზღვრები აგრე შორს იყო ახლო-აღმოსავლეთის სამყაროდან, ალექსანდრე კახთა მეფეს რეალური ვარაუდები ჰქონოდა მოსკოვის მხრით რაიმე დახმარების მიღებისა თუნდაც თურქმანების ერანთან ურთიერთობაში? თითქო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ელჩობის კონკრეტული მიზანი არც ერანი უნდა ყოფილიყო და, მით უფრო, არც ოსმალეთი. კახთა მეფემ XV საუკუნის მიწურულს შეიტყო მოსკოვის დიდი მთავრის წარმატებათა შესახებ (თათართა გატეხა; ყაზანის დამორჩილება), მოსკოვის სახელმწიფოს სიმდიდრისა, და გაძლიერების შესახებ და ალექსანდრე მეფე ზვერავს. მას, ბუნებრივია, სიამოვნებს დიდი საქრისტიანოს წარმოქმნა და გზავნის მოსკოვის დიდ მთავართან ელჩებს მოკითხვის წიგნით (ნავალი დიდვაჭარი შაქელი ხოჯა მურადი ასეთ ელჩობაში სასურველი პერსონაა). ასეთ პირობებში არაა სავალდებულო ვეძიოთ, თუ რა კონკრეტული პოლიტიკური წინადადება მიჰქონდათ ამ ელჩებს მოსკოვის დიდმთავართან. ასეთი წინადადებანი, ჩვეულებრივ, გამოითქმის მაშინ, როცა საამისო წინასწარი მუშაობა უკვე საკმაოდ აწეული და ამ წინადადებათა ხორცშესხმის რეალურობა მეტნაკლებად გარკვეულია.

შრომის უკანასკნელ თავში ი. ცინცაძე მიმოიხილავს ქართულ ცნობებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ XVI საუკუნის პირველ ნახევარში, ის მართებულად აკრიტიკებს და უარჰყოფს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ცნობას მოსკოვის მთავრის მიერ ლევან ბატონიშვილისათვის რუსთა ჯარის მიწვევების შესახებ XVI საუკუნის ოციან წლებში (243—251).

ამის შემდეგ ავტორი განიხილავს ვახუშტის ცნობას რუსთა მეფის ივა-

ნე IV მიერ მეციხოვნე ჯარის თხოვნების შესახებ ლევან კახთა მეფისათვის. მკვლევარი ითვალისწინებს რუსული მატიანის ცნობას, რომ ივანე მეფის კარზე 1564 წლის ნოემბერში „ლევან ქართველი მთავრის“ ელჩი იაკობი ყოფილა (254). ამ ფაქტთან კავშირში ჩვენს ავტორს შემოაქვს ინგლისელი კომერსანტის ჯეკინსონის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა ქართველი მეფის მიერ მასთან შამახიაში საგანგებოდ მოგზავნილი კაცი, რათა პოლიტიკური რჩევა-დანმარება მიეღო თავისი მეფისათვის. ი. ცინცაძე ჰგონებს, რომ ჯეკინსონის ცნობაში ნაგულისხმევი ქართველი მეფე არის კახთა მეფე ლევანი. უსაბუთო არა ჩანს ჩვენი ავტორის ასეთი ვარაუდი, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ჯეკინსონის ინფორმატორი სიმონ ქართლის მეფის მოციქული იყო (რომ ამ ქართველ მეფეს ერანის წინააღმდეგ განუწყვეტელი ომი აქვს, რომ ჯეკინსონის წარმოდგენით საქართველოს დედაქალაქი თბილისია, —უფრო იმ ვარაუდს უჭერს მხარს, რომ აქ სიმონ ქართლის მეფე იგულისხმება. ამასვე გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ამ ქართველ მეფეს, როგორც ჩანს, აქამდე რუსთა მეფესთან არც ელჩი გაუგზავნია და არც სიტყვა რაიმე შეუთვლია. ლევანზე კი ეს არ ითქმის. მან ჯერ კიდევ 1557 წელს „თავი დაუკრა“ რუსთა მეფეს ყაბარდო-ჩერქეზ ბატონებთან ერთად ამ უკანასკნელთა ელჩის „კანკლიჩის“ პირით. მაინც და მაინც ი. ცინცაძე მოვალე იყო ამ ფაქტების მოვლაზე ეზრუნა, ვიდრე გადაჭრით იმ აზრს დაადგებოდა, რომ ჯეკინსონის ქართველი მეფე იგივე ლევან კახთა მეფეა).

ჩვენი ავტორი საკმაო სისრულით აღწერს ამდროის რუსეთის საგარეო პოლიტიკას საერთოდ და ამ პოლიტიკის იმ უბანს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობას შეეხება, კერძოდ, და დამაჯერებელ სურათს დაადგენს იმისას, თუ რამდენად იყო მოსკოვის რუსეთი დაინტერესებული, რათა იმიერსა და ამიერ-კავკასიაში ხელდებულ-მოკავშირეები მოეპოვებინა (259—271).

ამის შემდეგ ი. ცინცაძე საკითხს სვამს იმის შესახებ, „გააფორმა თუ არა მოსკოვმა ლევანთან ის ცნობილი ფიცის წიგნი, რომელზედაც დიდის ვაი-ვაგლახით, შემდეგ, ხელს აწერდნენ კახეთის მეფე ალექსანდრე და მისი შთამომავალნი 1587 წლიდან“ (271). ავტორი აკვირდება მოსკოვის მეფის მიხეილის მიერ თეიმურაზ კახთა მეფისადმი ბოძებულ წყალობის სიგელს (1641 წ.). ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ მოსკოვის დიპლომატები ერანთან ურთიერთობაში ან სხვაგან არსად არ იხსენიებენ ამ ფაქტს და, ბოლოსდაბოლოს, იმ აზრისაკენ იხრება, რომ ლევან კახთა მეფეს მოსკოვის მეფისათვის ფიცის წიგნი არ უნდა მიეცეს (271—276). უსიამოვნების მიუხედავად უნდა მიეუთითოთ ავტორს, რომ ამ საკითხის შესახებ მოიპოვება მოსაზრება ქართულ მეცნიერულ პუბლიკაციაში (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ., ნაკვეთი 1, გვ. 17). ავტორი მოვალეა იცოდეს ასეთი ფაქტის არსებობა და სათანადო ანგარიში გაუწიოს მას. რაც შეეხება საკითხის არსებით მხარეს, შეიძლება დაჯერებით ითქვას, რომ ივანე IV-სა და ლევან მეფეს შორის მფარველობა-ხელდებულების აქტი არ გაფორმებულა. ჩვენს ავტორს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია იმ გარე-



მოებისათვის, რომ მოსკოვის მეფე ფიცის წიგნს ვერც მოსთხოვდა კახეთის მეფეს, რადგან უკანასკნელს ასეთი მოქმედების თავისუფლება არ ჰქონია, ის ერანის შაჰის ყმა იყო (მძველიც კი შაჰის კარზე ჰყავდა). მოსკოვის მეფეს უნდა სცოდნოდა, რომ კახეთში მისი ასეთი საქმიანობა ერანის შაჰის მხრით საპასუხო სამტრო აქტს გამოიწვევდა. სამისო საბუთია, რომ რუსეთის სამეფო კარი 1587—1589 წლების მოსკოვ-კახეთის მფარველობა-სელდებულების საერთაშორისო აქტის კანონიერებას იმით უსაბუთებს ერანის შაჰს (1607 წელს), რომ ერანი თავის მოვალეობას ვასალური კახეთის მიმართ ვეღარ ასრულებდა და კახეთი, თავის ანაზარად მიტოვებული, მამასადამე, თავისუფალი და უფლებამოსილი იყო, როცა 1587 წელს, მაჰმადიანური ოსმალეთისაგან შევიწროებული, ის ერთმორწმუნე მოსკოვის მეფის მფარველობაში შევიდა (იხ. მასალები, 1, 1944 წ. გვ. 12).

ლევან მეფეს რომ მოსკოვის მეფისათვის ფიცის წიგნი არ მიუცია, ეს იქიდანაც ჩანს, და ამას ჩვენი ავტორიც აქცევს ყურადღებას, რომ რუსეთის სამეფო კარი ამ ფაქტს არსად იხსენიებს, მაშინ როცა ასეთ მოხსენებაში ის დანტერესებულია (იხ. მასალები I, 1944 წ. გვ. 17₂); ესევე გარემოება ჩანს იქიდანაც, რომ მიხეილ რუსთა მეფის 1641 წლის წყალობის წიგნი სრულიად გარკვევით განასხვავებს რუსეთის მეფეების ურთიერთობის ხასიათს ლევან მეფესთან და, შემდეგ, მის შემკვიდრე ალექსანდრე კახთა მეფესთან. იქ ნათქვამია, რომ მეფე ივანემ „принял Леонтия царя... во оборону“, ალექსანდრე კახთა მეფემ კი თავისი შვილებით „Феодору Ивановичю... крест... целовали“. ვინ და სად, მაგრამ ასეთ დოკუმენტში მიხეილ რუსთა მეფე აღუნიშვნელად, რასაკვირველია, არ დატოვებდა, რომ ლევან მეფის ყმობისა და ერთგულების ფიცის წიგნი მოსკოვის „პრიკაზში“ არსებულიყო.

ამ გარემოებასთან, საფიქრებელია, კავშირშია ისიც, რომ ივანე მეფემ ლევან კახთა მეფეს სწორედ ყაზახთა რაზმი (500 კაცი) მიაშველა მეციხოვნეებად დაღისტანის მხრით კახურ ციხეებში შესაყენებლად: ყაზახები „უბატონონი“ იყვნენ და მათი მოქმედებისათვის მოსკოვის მეფე პასუხისმგებლობას ფორმალურად არ კისრულობდა (ვგულისხმობთ შაჰთამაზის შესაძლებელ პრეტენზიებს).

ამის შემდეგ ჩვენი ავტორი აკვირდება ვახუშტის ცნობის იმ ნაწილს, რუსთა დამხმარე რაზმის მოსვლას რომ შეეხება. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოაქვს ს. ბელოკუროვთან დაცული ცნობა და საბუთიერი მოსაზრებებით იმ სწორ დასკვნამდე მიდის, რომ ამ ცნობაში მოხსენებული 500 ყაზახი სწორედ ის რაზმია, რომელიც, ვახუშტის ცნობით, ივანე IV ლევან მეფეს მიაშველა მეციხოვნეებად. სამწუხაროა ოღონდ, რომ მკვლევარმა აქაც უყურადღებოდ დასტოვა ამავე საკითხის შესახებ მეცნიერულს პუბლიკაციაში გამოთქმული აზრი (იხ. მასალები 1944 წ. 1, 17_{2,3}, 27—28).

ი. ცინცაძე მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორი იყო ლევან მეფის პოლიტიკური მიზნები, როცა ის რუსთა მეფის კარზე ელჩსა ჰგზავნიდა. ავტორი ცდილობს დაგვიხატოს ის ისტორიული ვითარება, რომელშიაც ამ დროს



კახეთი იმყოფებოდა (281). სამწუხაროდ, ეს სურათი არა ჩანს შეთანხმებული სხვა ცნობებთან და დამაჯერებლად არ გამოიყურება (ლევან მეფის ურთიერთობა შამხალ-დალისტანთან, ერანთან, ოსმალეთთან).

სწორია ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ და როდის უნდა გასულიყო რუსთა ეს დამხმარე რაზმი კახეთიდან.

დასასრულ, ჩვენი ავტორი კიდევ ერთხელ მოაგვებს თვალს იმ ისტორიულ ვითარებას, რომელმაც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოსული მოსკოვის რუსეთისა და მტრული გარემოცვით შევიწროებული კახეთის რეალური საგარეო პოლიტიკური ინტერესები ერთი-მეორეს შეუთანხმა.

ასეთია ძირითად ხაზებში სარეცენზიო ნაშრომი. ვამბობთ „ძირითად ხაზებში“, რადგან ზოგი რამ ნებისაღ გამოვტოვე: რეცენზიის მეტისმეტ სიგრძეს მოვერიდე, ზოგი რამ უნებლიედ გამოირჩა, ალბათ, და ეს შეეხება, როგორც ნაკლს, ისე წარმატება-მიღწევებსაც.

როგორც ვხედავთ, შრომა უნაკლო არაა. მაგრამ, ნაკლთა ხასიათს თუ ჩვეუკვირდებით, ჩვენ ავტორის ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებასაც დავინახავთ: შეცდომები, ავტორს, უმთავრესად, ისეთი საკითხების კვლევისას მოსდის, რომელნიც მის ვიწრო სპეციალობის სფეროში არ შედიან და ავტორის მარცხი აქ, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რომ მან თავს იღო ასეთი საკითხების გადაჭრა. რიგი შეცდომა კი გამოწვეულია თემის იმ თავისებურებით, რომ აქ მკვლევარი ზოგჯერ იძულებულია თავის ვიწრო სპეციალობას გადასცილდეს და მეზობელი სპეციალობის საკითხები აშუქოს. აქ ჩვენი ავტორის მარცხი იმაშია, რომ მან ასეთი საკითხები წინასწარ არ გაიტანა იმ სპეციალისტთა წრეში, სადაც მას სასარგებლო შენიშვნები შეეძლო მიეღო.

მოიპოვება, როგორც ენახეთ, სხვა სახის შეცდომებიც.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ნაშრომი უეჭველად დადებითი შენაძენია ჩვენი საისტორიო სამეცნიერო მწერლობისა. ასევე შენაძენია ის რუსული ისტორიოგრაფიისათვის, რომელიც ჯერ კიდევ მეტად ღარიბია ახლო-აღმოსავლეთის საგარეო ურთიერთობის ისტორიის უბანზე.

ჩვენი ავტორის ამ შრომის დიდი ღირსებაა, რომ აქ, როგორც ეს მეცნიერულ მონოგრაფიას შეეფერება, ამოწურვით (თითქმის) არის გათვალისწინებული საკითხის ლიტერატურა და წყაროებიც. მიღებულია, როგორც ენახეთ, არა ერთი მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნა, მოპოვებულია ახალი მნიშვნელოვანი ფაქტები, წარმოჩენილია უწყვეტი ისტორიული თავგადასავალი ამ ურთიერთობისა მისი ჩასახვიდან XVI საუკუნის მიწურულამდე. ასე რომ უეჭველად მართალია ჩვენი ავტორი, როცა ფიქრობს, რომ მან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის აქ განხილული მონაკვეთის შესწავლა საგრძნობლად წინ წასწია.



დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. სარედ.-საგამომც. საბჭოს
დადგენილებით

*

რედაქტორი საქ. სსრ. მეცნ. აკად.

ნამდ. წევრი ნ. ბერძენიშვილი

ტექნორედაქტორი ნ. გვეტაძე

კორექტორი ეკ. კაკაბაძე

კონტრ.-კორექტორი თ. იოსელიანი

გამომშვები კ. ნინუა

გადაეცა წარმოებას 15.XI.1950. შეკვეთა 796. უე 02395.

ტირაჟი 1000. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.2.1951.

ქალ. ზომა $70 \times 108/16$, ქალ. ფურც. 10,75 სააეტროო ფ. 21,6.

საბეჭდი ფურ. 29,46. საალრ.-საგამომც. ფ. 22,27.

ფასი 18 მან.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა თბილისი,

აკ. წერეთლის ქუჩა, 3/5.

და ბ ე ქ დ ი ლ ი ა

უნ და ი ყ ა ს

10 ₂₁	ქვ. ეკონომიულ	ეკონომიურ
23 ₂	ზემ. (ცნობილ „Акты“-ში).	ცნობილ „Акты“ ში.
27 ₃	ზემ. უწოდებენ	უწოდებდნენ
27 ₅	ქვ მმართველების	მმართველობის
29 ₂	ქვ. დარსებაზე	დამყარებაზე
35 ₄	ზემ. თავის	თავიანთი
35 ₇	ზემ. „დაჯდებიან დეპუტატები თვითოეული	„დასხდებიან დეპუტატები თვითოეული
37 ₁	სქოლ. ცხოვრება ქართლისა	საქართველოს ცხოვრება
43 ₇	ქვ. უკუგდომამ	უკუდგომამ
44 ₂	ზემ. ავთანდილ	ავთანდილმა
45 ₁	ქვ. აასხეს	დაასხეს
46 ₁₀	ქვ. ყულარალისის	ყულარალისის
52 ₂	სქოლ. „ქორკონებში“	„ქორონკონებში“
53 ₅	ზემ. შვილი... დისწული	შვილის... დისწულის
53 ₁₀	ქვ. ნათლოსავითა	ნათლოს ვითა
63 ₇	ქვ. შემსუბუქების	შემსუბუქების
67 ₄	ქვ. ევდმოზ	ევდმოზ
73 ₁₆	ქვ. შენ. собранные	собранные
76 ₁₀	ზემ. Надир-Шаха	Надир-Шаха
96 ₁₂	სქ. ქვ. მკლველი	მკლველი
99 ₁	ზემ. ნაწილი, —სიკვდილი)	ნაწილი, <i>მან</i> , —სიკვდილი)
136 ₁₇	ქვ. სისქე	სიგრძე
139 ₂₀	ქვ. (სურ. 6—632).	(სურ. 6—6, 3, 2).
139 ₅	ქვ. ხუროთმოძღვრებმა	ხელოვნებათმცოდნეებმა
140 ₆	ზემ. (სურ. 3, 4)	(სურ. 6—3, 4).
144 ₁	სქ. ების	გათხრების
149 ₃	სქ. Мошльники	Могильники
163 ₁₃	ქვ. წინდაცვეთის	წინადაცვეთის
169 ₁	ზემ. პათი	მათი
171 ₁	ქვ. მოუქმედიათ	მოუშოქმედიათ
188 ₁	სქ. читанный	читанный
206 ₂₀	ზემ. шлифовки	шлифовки
211 ₃	ზემ. მივიჩინოთ	მივიჩინოთ
212 ₁	ქვ. ურთავს	ვურთავთ
263 ₂	სქ. неолитических	неолитических
294 ₂	ქვ. года правнук	года он скончался.
302 ₁₆	ქვ. რუსეთი საქართველოს	რუსეთ-საქართველოს
303 ₃	ზემ. საურავი ¹	საურავი
303 ₄	ზემ. და მოვიდეს	და ¹ მოვიდეს
303 ₁₂	ზემ. (—ლხინი)	(<i>Б</i> = ლხინი)
304 ₂₀	ზემ. სწორედ ვარანგებს	სწორედ ვარანგებს
307 ₂	ზემ. მათსა	მათსა
307 ₃	ზემ., ¹² ზემ., ¹³ ზემ., ⁶ ქვ. ⁷ ქვ. ქცას	ქ ⁷ ცის
310 ₁₃	ზემ. სქ. ვარდამოიტანა	ვარდამოიტანა
320 ₈	ზემ. მომხრეთ	მომხრედ
321 ₁₄	ზემ. ერთგულნი	ერთგულნი
321 ₁₇	ქვ. სომხითი	სომხითი
339 ₁₂	ზემ. უნებლიედ	უნებლიეთ

